# გაბრიელ გარსია მარკესი

## მარტოობის ასი წელიწადი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომანი

ესპანურიდან თარგმნა ელზა ახვლედიანმა

17274

### რამდენიმე სიტყვა გაბრიელ გარსია მარკესსა და მის რომანზე „მარტოობის ასი წელიწადი"

კოლუმბიელი მწერალი გაბრიელ გარსია მარკესი 39 წლისა იყო, როდესაც გამოქვეყნდა მისი რომანი „მარტოობის ასი წელიწადი". მწერალს ამ დროისათვის საკმაო გამოცდილება ჰქონდა მიღებული ცხოვრებაშიც და ლიტერატურაშიც: იგი კორესპონდენტად მუშაობდა ბოგოტაში, პარიზში, კარაკასში, ნიუ-იორკში; კინოსცენარისტად — მექსიკაში; გამოცემული ჰქონდა ნაწარმოებები: „მკვდარი ფოთოლი" (1955 წ.), „პოლკოვნიკს წერილს არავინ სწერს" (1958), „ავი ჟამური" (1962) და მოთხრობების კრებული — „დედა-გრანდეს დაკრძალვა". ასე თუ ისე მარკესს უკვე იცნობდნენ ლიტერატურულ წრეებში და თითქოს მასაც განსაზღვრული ჰქონდა საკუთარი სამწერლო თემა: კოლუმბიის პროვინციული ქალაქის ყოფის აღწერა, მაგრამ მწერალს მაინც გულს აკლდა, მთლად კმაყოფილი არ იყო საკუთარი თავისა. დიდი ხანია სურვილი სწვავდა, შეექმნა ისეთი რომანი, რომელიც მკითხველს ღრმად ჩაახედებდა სინამდვილეში, ამისთვის კი, მწერლისვე სიტყვებით რომ ვთქვათ, „საჭირო იყო სინამდვილის ისე გადმობრუნება, რათა ყველას ეხილა მისი უკუღმა პირი".

და მართლაც, გარსია მარკესს ეყო შეუპოვრობა, მიზანდასახულება და, რაც მთავარია, ნიჭი, რათა თავისი ჩანაფიქრისთვის ხორცი შეესხა. მან შექმნა ერთადერთი და გამორჩეული ნაწარმოები არა მარტო ლათინური ამერიკის, არამედ თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში. მან შექმნა თავისებური რომანი-ეპოსი, რომელიც აღსავსეა ეპიკური ამბებითა და ასევე ეპიკური, მონუმენტური სახეებით. ეს არის რომანი, სადაც ერთმანეთის გვერდიგვერდ დგას მართალი და გამონაგონი, ტრაგიკული და კომიკური, დრამა და ლირიკა (როგორც ცხოვრებაშია საერთოდ).

ფანტასტიკა ამ რომანის სტილისა და შინაარსის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. იგი მჭიდროდ უკავშირდება სინამდვილეს, რეალურის ნაწილია და ამ რეალურს ახალი კუთხიდან — „უკუღმა პირიდან" გვიჩვენებს.

რომანის ფანტასტიკა სათავეს იღებს უძველესი კულტურული საგანძურიდან: ბიბლიური თუ ანტიკური მითებიდან, ხალხური ზღაპრებიდან და თქმულებებიდან. ამ მხატვრული ხერხის მეშვეობით მწერალი მეტ სიღრმესა და მასშტაბურობას სძენს ამა თუ იმ ამბავსა და გმირს, ზოგჯერ ეს ხერხი მწერალს ეხმარება ირონიული ქვეტექსტითაც გაამდიდროს სახე.

სწორედ ხალხური ზღაპრებიდან და საიქიოს შესახებ ხალხში გავრცელებული თქმულებებიდან გადმოსულან წიგნში აჩრდილები. ისინი „არამატერიალურად გამატერიალე-



კ. მარქ...

ბულ" მოგონებებად წარმოგვისახავენ მიცვალებულებს, რომლებიც ადამიანთა მოგონებებში მანამდე ცოცხლობენ, ვიდრე დავიწყების ფერფლი არ გადაეფარებათ მათ, ხოლო როგორც კი გადაეფარებათ, მაშინვე „საბოლოო სიკვდილის სამყოფელს" მიაშურებენ. პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია ერთადერთი ადამიანი იყო მთელს ოჯახში, თავისი მშობელი მამის აჩრდილს რომ ვერ ხედავდა და ვერ ხედავდა იმიტომ, რომ მის დაცარიელებულ სულში იოტისოდენა მოგონებაც არ დარჩენილიყო მამაზე.

რომანში ბევრია ისეთი ადგილი, რომელიც თავისი გროტესკით „რაბლეს" მოგვაგონებს. რაღაც რაბლესეული აქვთ ურსულას უფროს ვაჟს — სქესობრივად გაუმაძღარ ხოსე არკადიოსა და სტომაქამოუყორავ აურელიანო მეორეს. ორივე მწერალი — სახელგანთქმული ტურენელი და ჩვენი თანამედროვეც — ერთ ხაზს მიჰყვებიან: ორივე იზიარებს ხალხისეულ ოპტიმისტურ შეხედულებას ცხოვრებაზე, როგორც ერთ მთლიან პროცესზე, სადაც მაღალი და მდაბალი, სულიერი და მატერიალური განუყოფლად დგას ერთმანეთის გვერდიგვერდ.

წიგნში მოქმედება ვითარდება რეალურ ისტორიულ წლებში და რეალურ სამგანზომილებიან სივრცეში („მეოთხე განზომილების" აღმოჩენაზე მწერალი დაცინვით ალაპარაკებს ხოსე არკადიო ბუენდიას). მთხრობელს თხრობისას ნება აქვს წინ გაუსწროს მოვლენებს და ამას აკეთებს არა იმიტომ, რომ შეუძლია სურვილისამებრ გამოიყენოს საკუთარი „სუბიექტური" დრო, არამედ იმიტომ, რომ უბრალოდ, ზედმიწევნით კარგად იცის ყველაფერი და ამ ხერხით სურს დააინტერესოს მსმენელი (ან მკითხველი). იგი გადმოგვცემს ერთმანეთის საწინააღმდეგო და სხვადასხვა წყაროებიდან გამომდინარე მოსაზრებებს მოვლენებსა თუ ადამიანებზე, მაგრამ საბოლოო აზრი თვითონ გამოაქვს ისტორიის ობიექტურ სიმართლესა და ხალხის მიერ გამოტანილ განაჩენზე დაყრდნობით, რამეთუ თავის გმირებს ის სჯის სწორედ ხალხის მიერ გამომუშავებულ ზნეობრივი კანონებიდან გამომდინარე. ამიტომაც ზოგიერთი ბუენდიას ცხოვრება იგავივით აქვს მწერალს გადმოცემული. ეს არის ამბავი უფროსობის მოყვარული კაცისა, ჭამა-სმას გადაყოლილი კაცისა, წოდებრივი სიამაყით შეპყრობილი ქალისა, ამბავი ერთი ჭაბუკისა, სრულიად შემთხვევით რომ ჩაუვარდება ხელში ძალაუფლება და ა. შ.

რომანში მოქმედება ვითარდება პატარა ქალაქ მაკონდოს დამაარსებლების — ბუენდიების ოჯახში მომხდარი ამბების ფონზე. მაკონდო გამოგონილია, მაგრამ ერთი რამ ცხადია: იგი კოლუმბიაში, მდინარე მაგდალენას აუზში მდებარეობს, რეალური ქალაქის არაკატაკის მახლობლად, სადაც 1927 წელს დაიბადა მომავალი მწერალი.

მაკონდოს ასწლეულის ისტორია იგივე კოლუმბიის ისტორიაა დაახლოებით მე-19 საუკუნის შუა ხანებიდან თითქმის მე-20 საუკუნის შუა ხანებამდე. ეს არის ისტორია აღსავსე იმ ტიპური ამბებითა და მოვლენებით, რაც ასე დამახასიათებელი იყო არა მარტო კოლუმბიის, არამედ ლათინური ამერიკის ბევრი სხვა ქვეყნის ისტორიისთვისაც.

პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას სამხედრო საგმირო საქმეები ნამდვილ ფაქტებს ეყრდნობა. 1830 წლიდან თითქმის 1903 წლამდე კოლუმბიაში წამოიწყეს საყოველთაო ეროვნული მასშტაბის ცხრა სამოქალაქო ომი, თოთხმეტი „ლოკალური" ომი და სამი პუტჩი, რამდენჯერმე დამყარდა სამხედრო დიქტატურა. ბრძოლა მიმდინარეობდა ორ ტრადიციულ პარტიას შორის — ლიბერალებსა და კონსერვატორებს შორის, უფრო ზუსტად, მათ მეთაურ ოლიგარქიულ დაჯგუფებათა შორის. ორივე პარტიამ არაერთხელ შეცვალა პოლიტიკური პროგრამა და მოვლენებისდა მიხედვით ან უზავდებოდნენ ერთმანეთს ან პირიქით, ზავს არღვევდნენ. გამარჯვებულები მდიდრდებოდნენ, მთავრობაში გამოსარჩენსა და საპატიო ადგილს იკავებდნენ და დამარცხებულთა მიწებს ითვისებდნენ.

სამოქალაქო ომებმა ძალა გამოაცალეს ქვეყანას და მანაც უსიტყვოდ გაუღო კარი იმპერიალისტურ კაპიტალს. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ბანანის კომპანიის ამბები ყველაზე დაძაბული და თითქმის დოკუმენტური სიზუსტით არის გადმოცემული რომანში. ბანანის კომპანიამ, იგივე ყბადაღებულმა მონოპოლიამ — „იუნაიტედ ფრუტ კომპანიმ" კოლუმბიაში შეაღწია გასული საუკუნის მიწურულსა და მდ. მაგდალენას სანაპიროზე თავისი პლანტაციები გააშენა. ამ „ბანანის სამოთხეში" შრომა და ცხოვრება რომანში ზუსტად არის აღწერილი: ხალხი კატორღულად შრომობდა, ქოხმახებში ცხოვრობდნენ, არ გააჩნდათ აუცილებელი ჰიგიენური პირობები და სამედიცინო დახმარება. შრომის საზღაურადაც ხელფასის ნაცვლად ბონებს ურიგებდნენ და ამ ბონებით მხოლოდ კომპანიის მაღაზიებში თუ იყიდდნენ რამეს, ისიც მეტისმეტად ძვირად.

1929 წლის 12 ნოემბერს კომპანიის პლანტაციებში საყოველთაო აჯანყებამ იფეთქა და მერე ყველაფერი ისე მოხდა, როგორც გარსია მარკესი აღწერს: „პლანტაციებში მუშაობა შეწყდა, ხილი ლპებოდა, ას ოც ვაგონიანი მატარებლები უქმად იდგნენ რკინიგზის ჩიხებში". კომპანიის მესვეურებმა მთავრობას მიმართეს დახმარებისთვის. ომითაც ჯარები გამოგზავნეს და სადგურის მოედანზე თავმოყრილ გაფიცულებს, მათი ოჯახის წევრებსა და უბრალოდ სეირის საყურებლად მოსულ ხალხს ტყვიამფრქვევიდან [illegible] გაუშინეს... ამ გაუგონარი სისხლისღვრის მერე მოედანზე ათას ხუთასამდე [illegible]

ბანანის კომპანიამ საბოლოოდ მოუღო ბოლო მაკონდოს, უკაცრიელი გახადა იგი. სწორედ აქ ჩანს მთავარი აზრი რომანისა, სწორედ ასე დახატა მწერალმა კოლუმბიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების დამოკიდებულება აშშ-ს მონოპოლიებთან. მართალია, მწერალი აქ თითქოს რეალურობას შორდება და ურჩი მაკონდოელების დასასჯელად და დასაღუპავად მისტერ ბრაუნს გამოაწვევინებს საბედისწერო წვიმას, რომელიც ზუსტად ოთხ წელიწადს, თერთმეტ თვესა და ორ დღეს გაგრძელდება, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ლიტერატურული ხერხი ქარაგმულად მიგვანიშნებს მწერლის თვალთახედვაზე. „ბანანის კომპანიის" თანამოძმეებთაგან ზოგს ხელი არ მიუწვდებოდა ჯადოქრობაზე და ამიტომ ხალხის დასაშინებლად და დასამორჩილებლად სხვა ხერხს მიმართავდნენ. კერძოდ, „ეკონომიურ სანქციებს", იგივე ეკონომიურ ბლოკადას. უნდა ითქვას, რომ დღესდღეობით, როდესაც არსებობს მძლავრი სოციალისტური ბანაკი, ეს ხერხი არც თუ ისე ვარგისია. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს სოციალისტური კუბა.

პოლიციური რეჟიმი, ზურგიდან მიპარვით თავდასხმა და მკვლელობა, პროვოკაცია და ხალხის დაშინება — ლათინური ამერიკის კონტინენტზე გაფანტულ ათასობით მაკონდოს მწარე ნილხვედრია დღესაც.

გაბრიელ გარსია მარკესის რომანი უპირისპირდება თანამედროვე მოდერნიზმის „უგმირო" და „არაჰუმანურ-უსულგულო" ლიტერატურას. მისი გმირები, მეტწილად რკინის ნების, ძლიერი ვნებების ადამიანები არიან. ისინი მოქმედების ადამიანები არიან, საკუთარ თავს უპირველესად საქმეში ავლენენ და სწორედ ეს მატებს წიგნს განსაკუთრებულ დინამიურობას.

ადამიანური იმედების მსხვრევის თემა რომანში არაერთგზის მეორდება და ამ მხრივ იგი ტრაგიკულია, მაგრამ უიმედობას როდი გიტოვებს გულში! ერთობ ძლიერად და მაღალმხატვრულად აქვს მწერალს დახატული ჭეშმარიტად ადამიანური გრძნობები და თვისებები: მშობელი მიწის ძახილი, სიყვარული, შრომისმოყვარეობა, სულიერი სიწმინდე, მოვალეობის ერთგულება, სიმამაცე. მწერალი რისხვით იმაღლებს ხმას იმ ავი სოციალური ძალების წინააღმდეგ, რომელმაც დაღუპვის პირამდე მიიყვანა მისი მაკონდო. კოლუმბიელი მწერლის ჰუმანიზმი აქტიურია, ბრძოლისაკენ მოუწოდებს. მას სწამს: როდესაც ადამიანი (ან მთლიანად საზოგადოება) კარგავს გამბედაობას, ივიწყებს წარსულს, ეგუება ბოროტებას, — იგი უკვე განწირულია, აღარაფერი უშველის: ან წითელი ჭიანჭველები შეჭამენ, ან სხვა ისეთი უწმინდური მოუღებს ბოლოს, ჯერაც რომ ბოგინობს დღევანდელ მსოფლიოში.

„ინოსტრანნაია ლიტერატურა", 1970 წ. № 8.

გაივლის წლები და დახვრეტის მოლოდინში კედელთან მდგომი პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია იმ შორეულ საღამოს გაიხსენებს, მამამისმა ყინულის სანახავად რომ წაიყვანა პირველად. მაკონდო მაშინ ერთი პატარა სოფელი იყო: თიხის და ლერწმისგან შეკოწიწებული ოციოდე ქოხი ჩაედგათ მდინარის პირას, რომლის გამჭვირვალე ტალღებიც თავდაუზოგავად მიექანებოდნენ პრეისტორიულ კვერცხებივით უზარმაზარი ქვების თეთრსა და კრიალა სარეცელზე. ქვეყანა ისეთი ახალი იყო, რომ ბევრი საგნისთვის ჯერაც არ დაერქმიათ სახელი და მხოლოდ თითით უჩვენებდნენ.

ყოველ წელიწადს, მარტის თვეში, სოფლის ახლოს ჩამოძონძილი ბოშები შლიდნენ კარვებს და სასტვენებისა და ტამბურების ხმაზე ამცნობდნენ მაკონდოელებს მეცნიერების უახლეს მიღწევებს. პირველ ჩამოსვლაზე ბოშებმა მაგნიტი ჩამოიტანეს. ერთი ზორბა წვეროსანი ბოშა, ბეღურას ფეხებივით რომ დაღვლარჭნოდა ხელის თითები, მელკიადესად გაეცნო ყველას და უნაკლოდ წარმოუდგინა საზოგადოებას, — როგორც თავად აღნიშნა, — მაკედონელ ალქიმიკოსთა მიერ შექმნილი ქვეყნიერების მერვე საოცრება: ხელში რკინის ძელებმომარჯვებული ბოშა სათითაოდ ყველა ქოხში შედიოდა და შეძრწუნებული ხალხი ხედავდა, მათი ტაშტები, ქვაბები და ტაფები როგორ ტოვებდნენ მიჩენილ ადგილს, ხოლო ლურსმნებს და ჭანჭიკებს ისეთი ჭრაჭაჭრუჭი გაუდიოდათ, ლამის ფიცრებიდან ამოცვენილიყვნენ. დიდი ხნის წინათ უგზოუკვლოდ დაკარგული ნივთები ახლა სწორედ იქ ჩნდებოდნენ, სადაც ყველაზე მეტად ეძებდნენ ხოლმე პატრონები და უწესრიგოდ მისდევდნენ უკან მელკიადესის სასწაულმოქმედ რკინის ძელებს. „საგნები უსიცოცხლონი როდი არიან, — თავისებურ კილოზე გაჰყვიროდა ბოშა, — ოღონდ ძალა უნდა შეგწევდეს, სული შთაბერო მათ!“ ხოსე არკადიო ბუენდიას ჭკუაზე მეტად ფანტაზიის სიჭარბე აწუხებდა და გადაწყვიტა, მეცნიერებაში ჯერჯერობით გამოუსადეგარი ეს საოცრება მიწიდან ოქროს ამოსაღებად გამოეყენებინა. მელკიადესი პატიოსანი კაცი იყო და გააფრთხილა, მაგ საქმისთვის მაგნიტი არ გამოდგებაო, მაგრამ ხოსე არკადიო ბუენდიას ჯერ კიდევ მაშინ არ სჯეროდა ბოშების პატიოსნებისა და მაგნიტურ ძელებში ჯორი და რამდენიმე თხა გაუცვალა მელკიადესს. ხოსე არკადიო ბუენდიას ცოლს ურსულა იგუარანს ამ პირუტყვის იმედი ჰქონდა, ეგებ ოჯახი ცოტა გავმართო წელშიო, და ყოველნაირად ცდილობდა ქმრისთვის ხელი შეეშალა, მაგრამ, მალე „ყველამდე ოქროში ჩაგავამო“, ჰპირდებოდა ქმარი და ამ დღიდან მოყოლებული ბარე ორი და სამი თვე ჯიუტად ცდილობდა დანაპირების ასრულებას: მტკაველ-მტკაველ რომ გადათხარა სოფელი, მერე მდინარის ფსკერსაც მისწვდა. დაათრევდა რკინის ძელებს და მელკიადესის ნასწავლ შელოცვას ხმამაღლა იმეორებდა. ერთადერთი რამ, რაც მიწიდან ამოქექა და დღის სინათლეზე გამოიტანა, მეთხუთმეტე საუკუნის ჟანგმოდებული საომარი ბექთარ-მუზარადი იყო, რომელიც ხელის ოდნავ შეხებაზეც კი ქვებით ამოვსებულ გოგრასავით გუგუნებდა. ხოსე არკადიო ბუენდიამ და მისმა ოთხმა თანამოლაშქრემ ნაპოვნი გაჩხრიკეს და ბექთარქვეშ აღმოაჩინეს ჩონჩხი; მკერდის ძვლებზე ქალის კულულიანი მედალიონი იდო.

მარტში ბოშები კვლავ ესტუმრნენ მაკონდოს. ამჯერად ჭოგრიტი და დოლისოდენა ლუპა ჩამოიტანეს და ხალხს აუწყეს, ეს უახლესი გამოგონება ამსტერდამელ ებრაელებს ეკუთვნითო. დასვეს ერთი ბოშა ქალი სოფლის გზაზე, ჭოგრიტი კი კარავთან გზიდან კარგა მოშორებით გამართეს. საოცრების ნახვის მსურველი ხუთ რეალს იხდიდა, ჩაიხედავდა ჭოგრიტში და ბოშა ქალი ისე ახლოს იჯდა, ლამის ხელით მისწვდენოდა. „მეცნიერებამ მოსპო მანძილი, — ქადაგებდა მელკიადესი. — სულ მალე დადგება დრო, როცა ადამიანს შეეძლება დაინახოს ყველაფერი დედამიწის ყველაზე შორეულ კუთხეშიც კი, და თანაც დაინახოს ისე, რომ სახლიდან ფეხიც არ მოიცვალოს“. ერთ პაპანაქება შუადღეს ბოშებმა უცნაური სანახაობა გამართეს: შუა გზაზე ერთი ბღუჯა თივა დაყარეს და ლუპით მზე დააჩხირეს. მალე თივა აბრიალდა. ხოსე არკადიო ბუენდიას ჯერაც რომ ვერ მოენელებინა მაგნიტის საქმეში ნაგემი მარცხი, მაშინვე

დაებადა აზრი, ეს ლუპა სამხედრო იარაღად გამოეყენებინა. მელკიადესმა ახლაც უარი უთხრა, მაგრამ ბოლოს მაინც დაეთანხმა და სანაცვლოდ თავისი ორი მაგნიტური ძელი დაიბრუნა და სამი ოქროს მონეტაც მიიღო. გულგასიებული ურსულა ცრემლად იღვრებოდა. ეს მონეტები ხომ პატარა ზანდუკში [illegible]ტულ, მამამისის მოგროვილ ძველებურ ოქროს ფულს მოაკლო! [illegible] მთელი სიცოცხლე ხელმომჭირნედ ცხოვრობდა, ოღონდ კი [illegible]ვებინა. ურსულას ზანდუკი თავის საწოლქვეშ ჰქონდა გადამალული შავი დღისთვის. ხოსე არკადიო არც ცდილა ცოლის დამშვიდებას, თავით ფეხამდე ჩაეფლო თავის ცდებში და ნამდვილი მეცნიერის თავგანწირვით შეუდგა მუშაობას. ერთხელ, ცოტას გაწყდა, თვითონაც არ შეეწირა. აქაოდა, იქნებ ლუპა მტერთან ბრძოლაში გამოგვადგესო, საკუთარ სხეულზე ჩაატარა ცდა. შედეგად კი ის მიიღო, რომ დამწვარი ადგილები წყლულებად გადაექცა და კარგა ხანს არც მოშუშებია. ის კი არადა, საკუთარი სახლის გადაწვაც მოინდომა, მაგრამ ცოლი მტკიცედ აღუდგა წინ მის განზრახვას. თავის ოთახში ჩაკეტილ ხოსე არკადიო ბუენდიას არა ერთი და ორი საათი გაუტარებია ფიქრებში ჩაძირულს. იქნებ ეს ახალი იარაღი სტრატეგიული მიზნებისთვის გამოვიყენოო. ამის თაობაზე სახელმძღვანელოც კი შეადგინა, საოცრად ნათელი მსჯელობითა და დასაბუთებული აზრიანი დასკვნებით აღსავსე. ბოლოს ამ სახელმძღვანელოს ჩატარებული ცდების მხილველთა ჩვენებები და ერთი-ორი ნახაზიც დაურთო და მთავრობას გაუგზავნა მალემსრბოლის ხელით. შიკრიკმა გადალახა მთები, გაიარა გაუვალი ჭაობები, გადაცურა აბორგებული მდინარეები, რამდენჯერმე დაუსხლტა ნადირის კბილებს და ვიდრე ფოსტის გზაზე გავიდოდა, დარდისაგან სიკვდილიც გადაიტანა და ჭირისაგან სიკვდილიც. თუმცა იმხანად ქალაქამდე მიღწევა თითქმის შეუძლებელი იყო, ხოსე არკადიო ბუენდია წერილში მაინც ჰპირდებოდა მთავრობას, პირველივე დაძახებაზე მანდ გავჩნდები, სამხედრო მოხელეებს ვუჩვენებ ჩემს გამოგონებას და არა მარტო ვუჩვენებ, კიდევაც შევასწავლი მზის ომის რთულ საქმესო. ბოლოს ლოდინით გაბეზრებულმა მელკიადესს შესჩივლა, ახლაც ლავმარცხდიო. და მაშინ ბოშამ მეტად დამაჯერებლად წარმოუჩინა მასპინძელს თავისი კეთილშობილება: დაიბრუნა ლუპა, დაუბრუნა ფული და ზედაც საჩუქრად დაუმატა პორტუგალიური რუკები და საზღვაოსნო ხელსაწყოები. მერე საკუთარი ხელით დაუწერა ბერი ჰერმანის შრომების მოკლე შინაარსი და ასტროლაბისა და ბუსოლის გამოყენების წესები. ხოსე არკადიო ბუენდიამ წელიწადის ყველაზე ხანგრძლივი დრო — დაუსრულებელი წვიმების დრო — ერთ პატარა, მყუდრო და მივარდნილ ოთახში გაატარა: ეს ოთახი თვითონ ამოირჩია, რათა ხელი არავის შეეშალა მისთვის მეცნიერულ დაკვირვებათა ჩატარებისას. ხოსე არკადიომ სრულიად დაივიწყა ოჯახის თავკაცის მოვალეობა: ღამით ეზოში გადიოდა და ვარსკვლავებს ადევნებდა თვალს, დღისით ზენიტის განმსაზღვრელ ზუსტ ხერხს ეძიებდა და ერთხელაც ისე გაერთო მის ძებნაში, ლამის მზემ არ დაჰკრა. ხელსაწყოები სრულად რომ შეისწავლა, სამყაროზე უკვე ისე ზუსტი წარმოდგენა შეექმნა, რომ ამიერიდან შეეძლო დაუბრკოლებლივ გადაეცურა უცნობი ზღვები, გამოეკვლია ასევე უცნობი ადგილები და დაახლოებოდა საოცარ არსებებს ისე, რომ თავისი ოთახიდან ფეხიც არ მოეცვალა. სწორედ ამ ხანებში ექცა ჩვეულებად საკუთარ თავთან საუბარი და ოთახებში ბორიალი. მის ცოლ-შვილს კი ამ დროს შრომით წელი სწყდებოდა ბანანისა და მალანგის, მანიოკისა და ნიამის,

აუიამისა[1] და ბადრიჯნის ბალჩა-ბაღებში. მაგრამ მალე ხოსე არკადიო ბუენდიას მჩქეფარე საქმიანობას წერტილი დაესვა და სამაგიეროდ რაღაცნაირი უცნაური გუნება-განწყობილება დაეუფლა: ჩაფიქრებული მონუსხულივით დაბორიალობდა, რაღაცას დუდღუნებდა, თვითონვე უკვირდა, თავში ისეთი საშინელი და დაუჯერებელი აზრები უტრიალებდა, მერე დეკემბრის ერთ სამშაბათ დღეს სადილობისას, როგორც იქნა, გზა მისცა მტანჯველ ფიქრებს. ბავშვებს მთელი სიცოცხლე ემახსოვრებათ, რა დიდის ამბით დაჯდა სუფრის თავში მათი მამა და ციებაშეყრილივით აცახცახებულმა როგორ აუწყა ყველას თავისი ახალი აღმოჩენა:

— დედამიწა ფორთხოლავით მრგვალია!

ურსულა ლამის გადაირია: „შენ თუ გინდა ჭკუაზე შეიშალო, შეიშალე, ბატონო, ხელს არავინ გიშლის, ბავშვებს კი თავი დაანებე, გონებას ნუ ურევ იმ შენი წყეული ბოშების მონაჩმახით!" — უყვირა ქმარს, მაგრამ ხოსე არკადიო ბუენდიას ვითომ არც გაუგონია, არც მაშინ შეურხევია წარბი, გაავებულმა ცოლმა იატაკს რომ დაანარცხა მისი ასტროლაბი. მოთმინებით გამართა მან ახალი ხელსაწყო, თანასოფლელ კაცებთან ერთად ოთახში ჩაიკეტა და მეცნიერულ დასკვნებზე დაყრდნობით, — თუმცა ამ დასკვნებისა ვერავინ ვერაფერი გაიგო, — ახალი საოცარი აზრი გამოთქვა: თუ სულ აღმოსავლეთისკენ ვევლით, ისევ იმ ადგილზე დავბრუნდებით, საიდანაც გზას დავადექითო. კაცებმა მთელ სოფელს მოსდეს, ხოსე არკადიო ბუენდია ნამდვილად ჭკუაზე შეიშალაო, მაგრამ ამ დროს მოვიდა მელკიადესი და ყველაფერს ნათელი მოჰფინა. ბოშამ საჯაროდ შეასხა ქება ადამიანის გონებას, ქება შეასხა თვით ხოსე არკადიო ბუენდიას, ვინც მხოლოდ და მხოლოდ ასტრონომიული დაკვირვებითა და ცდების მეშვეობით აღმოაჩინა უკვე კარგა ხნის წინ აღმოჩენილი და ცნობილი ამბავი. მერე რა ვუყოთ, რომ მაკონდოელებს ჯერაც არაფერი სმენიათ ამის თაობაზე! თავისი აღტაცებისა და მადლიერების ნიშნად მელკიადესმა ხოსე არკადიო ბუენდიას უბოძა საჩუქარი, რასაც ბედად ეწერა გადამწყვეტი გავლენა მოეხდინა მაკონდოელთა ბედ-იღბალზე: ეს იყო ალქიმიური ლაბორატორია მთელი თავისი აღჭურვილობით.

მაკონდოში პირველი ჩასვლისას მელკიადესი ხოსე არკადიოს ტოლი ჩანდა თითქმის, მაგრამ ახლა რატომღაც სწრაფად მოხუცდა და დაბერებულიყო. სამაგიეროდ ხოსე არკადიო გამოიყურებოდა ჯანიანად: ცხენს რომ ყურებში ჩაავლებდა ხელს, ისე სწრაფად წამოაქცევდა, თვალის დახამხამებას ვერ მოასწრებდა კაცი. ბოშას კი რაღაც უცნაური სნეული შეჰყროდა, ჯიუტად მისდგომოდა მის ხორცს და სჭამდა და ძიძგნიდა. თუმცა რის ერთი სნეული! მთელი ცხოვრება გაუთავებელ ხეტიალში გალია ბოშამ, ათას ჭირსა და სნეულს გაუძლო, მაგრამ სამაგიეროდ ახლა უწია ყველამ ერთად. „სიკვდილი კუდში დამდევს. ხან სად ჩამისაფრდება, ხან სად, მაგრამ ვერ ბედავს საბოლოოდ ჩამასოს კლანჭები", — ეუბნებოდა მელკიადესი ხოსე არკადიო ბუენდიას ლაბორატორიის გამართვისას. მართლაც, რა არ გადახდომია კაცობრიობას თავს, მაგრამ მელკიადესს ერთი თმის ბეწვი რა არის, ისიც კი არ შერხევია არასდროს. სპარსეთში პელაგრას სძლია, მალაის არქიპელაგზე — სურავანდს, იაპონიაში — ბერიბერს, ალექსანდრიაში — კეთრს, მადაგასკარზე — ბუზონურ შავ ჭირს,

[1] ძირხაყოთა კულტურული მცენარეები

სიცილიაში მიწისძვრისას არაფერი დაშავებია, მაგელანის სრუტეში ხომალდის ჩაძირვისას კი მრავალთაგან მხოლოდ ის გადარჩა ცოცხალი. ჩვეულებრივ, დიდებულ შარავანდედით დამძიმებულ სახეკუშტ ვაცს, რომელიც ირწმუნებოდა, ნოსტრადამუსის[1] ყველა საიდუმლო ვიციო, აზიური თვალები ჰქონდა და ამ თვალებით იგი მიუწვდომელსა და უხილავსაც ჭვრეტდა თითქოს. ეხურა ფართოფარფლიანი დიდი შავი ქუდი, რომელიც გასაფრენად ფრთებგაშლილ ყვავს უფრო ჰგავდა და ეცვა საუკუნის ობმოდებული და დაფორებული ჟილეტი. თუმცა მელკიადესი მეტისმეტად ბრძენი და იდუმალებით მოსილი პიროვნება გახლდათ, იგი მაინც ადამიანი იყო სულით ხორცამდე, მიწა იზმობდა და იზიდავდა მას თავისაკენ. ყოველდღიურ მიწიერ საზრუნავსა და უსიამოვნებას ემორჩილებოდა იგი: ხშირად წუწუნებდა, დავბერდი და დავუძლურდიო. სიცილს კარგა ხანია გადაჩვეოდა, რადგან სურავანდს შეეჭამა მისი კბილები. ხოსე არკადიო ბუენდიას რწმენით, მათ დიდ მეგობრობას იმ ერთ პაპანაქება შუადღეს დაედო სათავე, როცა მელკიადესმა მასპინძელს თავისი საიდუმლოებანი გაანდო. ბავშვები გაოცებული უსმენდნენ ბოშას, რომელიც ათასნაირ ფანტასტიურ ამბებს უყვებოდა მათ. აურელიანო მაშინ მხოლოდ ხუთი წლისა იყო, მაგრამ მთელი ცხოვრება ემახსოვრება, როგორ ისხდნენ ისინი ფოლადისფრად აბრჭყვიალებულ ფანჯარასთან და ყოვლისმცოდნე უცნაური სტუმრის ორღანოსავით დაბალი ხმა როგორ სწვდებოდა ბავშვური წარმოსახვის ყველაზე უშორესსა და უბნელეს კუნჭულსაც კი; ემახსოვრება სტუმრის საფეთქლებზე გამდნარ ცხიმის წვეთებივით მოწანწკარე ოფლიც. აურელიანოს უფროსი ძმა ხოსე არკადიო კი თავის შთამომავლობას საგვარეულო განძივით გადასცემს ამ საოცარი პიროვნების ამბავს. მხოლოდ ურსულას დაამახსოვრდება ბოშა მელკიადესი, როგორც ერთი რამ უკმური და უამური, რადგან ოთახში სწორედ მაშინ შევიდა, როცა მელკიადესს ვერცხლისწყლის ქლორიდით სავსე შუშა გაუტყდა.

— ეშმაკის სუნი დგას აქ, — თქვა ურსულამ.

— სულაც არა, — შენიშნა მელკიადესმა. — ეშმაკს, მოგეხსენებათ, გოგირდნარევი სუნი უფრო მიეკადაგება, აქ კი ახლა სულემის სუნი დგას ოდნავ, — და მელკიადესი იმავე დიდაქტიკურ კილოზე მიჰყვა სინგურის ჯადოსნური თვისებების ჩამოთვლას, მაგრამ ურსულამ ყურადღება არ მიაქცია მის ქადაგებას და ბავშვები სალოცავად გაიყვანა. ამ დღიდან ურსულას ეს მკვეთრი სუნი მუდამ მოაგონებს მელკიადესს.

მთელი ლაბორატორია, — თუ არ ჩავთვლით აუარება ქვაბს, ძაბრს, საცერსა და ფილტრს — შედგებოდა ერთი ჩვეულებრივი ქურისაგან და ვიწროყელიანი შუშის კოლბისაგან — „ფილოსოფიური კვერცხისაგან". აქვე იყო წყლის გამოსახდელი ხელსაწყოც, რომელიც თავად ბოშებს აეწყოთ ახლებურად იუდეველი მარიამის[2] გამოსახდელი ქვაბის აღწერილობის მიხედვით. მელკიადესმა ხოსე არკადიო ბუენდიას აჩუქა ფოლადის შვიდნაირი ნიმუში, — შვიდი პლანეტის შესაბამისად, — გადასცა აგრეთვე მოსესა და ზოსიმეს ფორმულები — ოქროს გასაორმაგებლად და გასაზრდელად — და ათასგვარი ნა-

[1] მიშელ ნოსტრადამუსი (1503-1566) — ფრანგი ასტროლოგი და ექიმი, ავტორი თავის დროზე გახმაურებული წინასწარმეტყველური წიგნისა კაცობრიობის მომავლის თაობაზე

[2] იუდეველი მარიამი (ძვ. წ. III ს. დაახლოებით) — ალქიმიკოსი ქალი.

ხაზი და ჩანაწერი „დიდი მაგისტერიუმის"[1] შესახებ. ჰა, ვინც ძირფესვიანად შეისწავლიდა და შეითვისებდა მელკიადესის ნაბოძვარს, საბოლოოდ „ფილოსოფიური ქვის" პოვნასაც შესძლებდა. ხოსე არკადიო ბუენდიას ისე ადვილი და მარტივი მოეჩვენა ოქროს გაორმაგების ფორმულა, რომ [illegible], როგორმე მოელბო ცოლის გული და ის აღთქმული ზანდუკიდან [illegible] ოქროს მონეტა მაინც დაეცინცლა; იმედი ჰქონდა, ცდა გაუმართლებდა და ამ ოქროს იმდენჯერ გაზრდიდა, რამდენჯერაც შესძლებდა ვერცხლის წყლის დანაწევრებას. ხოსე არკადიო ბუენდიამ იმდენი უტრიალა ცოლს, რომ იმას, როგორც ყოველთვის, ახლაც დაჰყვა ჯიუტი და ახირებული ქმრის ნებას. კაცმა მაშინვე ჩაყარა ქვაბში ოცდაათი დუბლონი, ზედ დაუმატა აურიპიგმენტი, სპილენძის ნაფხეკი, გოგირდი და ტყვია და ეს ყველაფერი ერთად გადაადნო. მერე მიღებული მასა გადაიტანა მეორე ქვაბში, რაშიც აბუსალათინის ზეთი ესხა, და ძლიერ ცეცხლზე იქამდე ადუღა, სანამ არ მიიღო სქელი აყროლებული სითხე, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო საოცნებო ოქროსთან. სასოწარკვეთილმა ხოსე არკადიო ბუენდიამ დისტილაციაც მოიშველია, ხელახლადაც გადაადნო შვიდნაირ ფოლადთან ერთად, ჰერმეტული ვერცხლისწყალი და ძალაც შეურია და რადგან ბოლოკის ზეთი არ ჰქონდა, ღორის ქონთან ერთადაც წამოადუღა კიდევ ერთხელ. მაგრამ ურსულას ძვირფას მემკვიდრეობას მაინც არაფერი ეშველა, ისე ჩანახშირდა და ჩაიწვა, კაციშვილი რომ ვერ ამოფხეკდა ქვაბიდან.

როცა ბოშები კვლავ ესტუმრნენ მაკონდოს, ურსულამ მთელი სოფელი აამხედრა მათ წინააღმდეგ. მაგრამ ცნობისწადილმა სძლია შიშს: ამჯერად ბოშებს ათასნაირი მუსიკალური საკრავი ჩამოეტანათ, ქუჩაში ყურთასმენა აღარ იყო, იმათმა მაცნემ კი აჯაროდ გამოაცხადა, კარავში გვესტუმრეთ და ნაზიანზელების[2] სასწაულებრივ აღმოჩენას გიჩვენებთო. მთელი სოფელი დაიძრა ბოშათა კარვისკენ. კარავში შესასვლელად თითო სენტავოს იხდიდნენ, შედიოდნენ შიგ და რას ხედავდნენ? — შუა კარავში იჯდა სალსალამათი, გაახალგაზრდავებული და კბილებჩაწიკწიკებული მელკიადესი. ვისაც მისი სურავანდისაგან შეჭმული უკბილო პირი, ჩავარდნილი ლოყები და დამჭკნარ-დანაოჭებული ტუჩები ახსოვდა, ახლა შიში მოჰგვარა ბოშას ამ კიდევ ერთმა ზებუნებრივმა ყოვლისშემძლეობამ. მაგრამ ეს შიში მოგონილი იყო იმ ძრწოლასთან შედარებით, რითაც [illegible] მნახველი, როცა ბოშამ პირიდან გამოიღო ქათქათა და საღი კბილები და ერთბაშად კვლავ ბებრუკ ბერიკაცად იქცა. მერე ისევ ჩაიდო პირში კბილები, გაიღიმა და კვლავ ახალგაზრდული იერი დაედო. ერთი პირობა ხოსე არკადიო ბუენდიაც დაეჭვდა, მელკიადესმა მეტისმეტად ხომ არ გადააჭარბა ადამიანისთვის დაკანონებულ გონიერების საზღვრებსო. მაგრამ როცა ბოშამ მხოლოდ მას გაანდო ხელოვნური კბილების საიდუმლო, დამშვიდდა და გულიანადაც იცინა. ყველაფერი ისე უბრალო და თანაც სასწაულებრივი ეჩვენა, რომ მეორე დღესვე აიცრუა გული ალქიმიაზე, რაღაცნაირად მოეშვა. აღარც ჭამა უნდოდა და აღარც სმა და დილიდან დაღამებამდე უმიზნოდ დაბორიალობდა ოთახებში. „საოცარი ამბები ხდება ქვეყნად, — შესჩიოდა იგი

[1] ალქიმიური პრეპარატი, რის მეშვეობითაც შეიძლება ლითონი გადაიქცეს ოქროდ.

[2] მცირე აზიის [illegible] ნაზიანზში [illegible]

ცოლს, — აგერ იქ, მდინარის გაღმა უამრავი სასწაულმოქმედი ხელსაწყო აქვთ, ჩვენ კი პირუტყვებივით ვცხოვრობთ". ყველა, ვინც ხოსე არკადიო ბუენდიას მაკონდოს დაარსების პირველი დღიდანვე იცნობდა, ახლა გაოცებას ვერ ფარავდა, მელკიადესმა ასე როგორ შეცვალა ეს კაციო.

ადრე ხოსე არკადიო ბუენდია ახალგაზრდა პატრიარქს მოგვაგონებდათ: რჩევა-დარიგებას არ იშურებდა, ვის თესვას ასწავლიდა, ვის ბავშვების აღზრდას თუ პირუტყვის მოვლა-პატრონობას. ყველას ეხმარებოდა, შრომასაც არ გაურბოდა, უნდოდა სოფელი ღონიერი ყოფილიყო. ბუენდიების სახლი საუკეთესო იყო მთელ სოფელში და ყველანი ცდილობდნენ, თვითონაც ასეთი სახლი აეშენებინათ. თვალს იტაცებდა დიდი და ნათელი სასტუმრო ოთახი, ფერად-ფერადი ყვავილებით მორთული ტერასისებრი სასადილო და ორიც საძინებელი ოთახი. ეზოში ტოტებგაბარჯღული წაბლის ხე იდგა, სახლს უკან გადაჭიმულიყო საგულდაგულოდ მოვლილი ბაღჩა-ბაღი, მოჩანდა პირუტყვის სადგომი, სადაც ერთმანეთის გვერდით უშფოთველად ცხოვრობდნენ თხები, ღორები და ქათმები. მხოლოდ მოჩხუბარ მამლებს არ აჭაჭანებდნენ ამ სახლში და არა მარტო ამ სახლში, მთელ სოფელშიც კი.

შრომის სიყვარულში არც ურსულა ჩამორჩებოდა ქმარს. ეს ერთთავად მოძრავი, სახეკუშტი, აუღელვებელი ქალი, ვისაც ალბათ ერთხელაც არ წაუღიღინებია თავის სიცოცხლეში, იშვიათი უნარით დაეჯილდოვებინა ღმერთს— საწოლიდან დილაბნელზე წამომდგარი შუაღამემდე ფუსფუსებდა. დილიდან დაღამებამდე ყოველ კუთხე-კუნჭულს სწვდებოდა ჰოლანდიური ქსოვილისაგან შეკერილი მისი ქვედა კაბის შრიალი. სწორედ ურსულას წყალობით გაჰქონდა კრიალი მიწურ იატაკს, შეუთეთრებელ თიხის კედლებსა და უხეშად ნაჩორკნ ავეჯს; ტანსაცმლის შესანახ ძველ ზანდუკებს კი ალბაჰაკის ნაზი სურნელი ასდიოდათ.

სოფელში ყველაზე ჭკვიანმა კაცმა ხოსე არკადიო ბუენდიამ სახლების მშენებლობა ისე დაგეგმა, რომ წყალზე წასულ ხალხს ერთნაირი გზა გაევლო მდინარემდე, ქუჩებიც ისე გონივრულად გაიყვანა, რომ მზის ცხოველმყოფელი სხივი ერთნაირად მისდგომოდა ყოველ სახლს. დაარსებიდან სულ რამდენიმე წელიწადში მაკონდო გახდა ყველაზე სუფთა და კეთილმოწყობილი დაბა იმ სოფელ-დაბებს შორის, რაც კი საერთოდ ენახა აქაურ სამასიოდე მცხოვრებს. მაკონდო იყო ბედნიერი ადგილი, სადაც ოცდაათი წლისთვის ჯერაც არავის გადაებიჯებინა და სადაც ჯერ არავინ მომკვდარიყო.

ხოსე არკადიო ბუენდიამ მაკონდოს დაარსების პირველ დღეებშივე დაამზადა ათასნაირი მახე და ბადურა. მალე მარტო თავისი ეზო-კარი კი არა, სხვებისაც აავსო მოლაღურებით, იადონებით, ღიღილოებითა და ყოლოთი. ნაირნაირი ჩიტები ისე ყურისწამღებად ჟივჟივებდნენ, რომ ურსულამ — ჭკუაზე არ შევიშალოო და, ყურები ცვილით დაიცო. როცა სოფელში პირველად გამოჩნდა მელკიადესის ტომი და თავის ტკივილის გამაყუჩებელი შუშის ბურთულების გაყიდვას მიჰყვეს ხელი, გაკვირვებულმა მაკონდოელებმა ჰკითხეს, ამ უკიდეგანო ველზე მიკარგულ ჩვენს სოფელს როგორ მოაგენითო. მოსულები გამოტყდნენ: ჩიტების სტვენა-გალობას გამოვყევითო.

მაგრამ მალე მაგნიტმა, ასტრონომიულმა გამოკვლევებმა, ოქროს მოპოვებისა და ამა ქვეყნის საოცრებათა შეცნობის სურვილმა ხოსე არკადიო ბუენდიას სრულიად დაავიწყა ხალხისთვის გარჯა. ოდესღაც საქმიანი, სუფთად ჩაც-

მულ-დახურული კაცი ახლა თანდათან გადაიქცა ჩაბინძურებულ, წვერმოშვებულ მუქთახორად. ურსულა ქმარს დიდი გაჭირვებით და ისიც ათასში ერთხელ თუ წაასხეპავდა წვერს სამზარეულოს დიდი დანით. სოფელში ბევრი ფიქრობდა, ხოსე არკადიო ბუენდია კუდიანებს ემსხვერპლაო. მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, იმათაც კი, ვისაც სჯეროდა, ხოსე არკადიო [illegible] რუკაზე შეიშალაო, მიატოვეს თავ-თავიანთი ოჯახები და უკან გაჰყვნენ — მხარზე თოხგადებულსა და ზურგზე ტომარამოკიდებულ სოფლის თავკაცს, რომელმაც თანასოფლელებს სთხოვა, დამეხმარეთ და ის ბილიკი გამაჭრევინეთ, მაკონდოს რომ დააკავშირებს უდიდეს აღმოჩენებთანო.

ხოსე არკადიო ბუენდიამ სრულებით არ იცოდა იქაური მიდამოების გეოგრაფია, იცოდა მხოლოდ, რომ აღმოსავლეთით ცად აწვდილ მთის გადაღმა მდებარეობდა ძველი ქალაქი რიოაჩა, სადაც თურმე ძველ დროში —ბაბუამისის ,პირველი აურელიანო ბუენდიას თქმით — სერ ფრენსის დრეიკი[1] გასართობად ქვემეხს უშენდა კაიმანებს, მერე დახოცილ ცხოველებს მისი ბრძანებით ფატრავდნენ, მუცლის ღრუს თივით უკსებდნენ და ასე უგზავნიდნენ დედოფალ ელისაბედს. ახალგაზრდობაში ხოსე არკადიო ბუენდიამ და სხვა კაცებმა თავთავიანთ ცოლებთან, შვილებთან და შინაურ პირუტყვთან ერთად, ზურგზე ათასნაირი ხარახურააკიდებულებმა გადაავლეს ეს მთა იმ იმედით, იქნებ ბოლოს და ბოლოს ზღვას მივადგეთო, მაგრამ ზღვის ძებნაში ოცდაშვიდი თვე რომ შემოაღნათ ხელში, იმედწართმეულებმა უარი თქვეს თავიანთ განზრახვაზე, უკან დაბრუნებაც აღარ ისურვეს და აქვე დააარსეს სოფელი მაკონდო. ამიტომ ახლა ხოსე არკადიო ბუენდიას აღარ იზიდავდა აღმოსავლეთის გზა, რომელიც უკან, წარსულში დააბრუნებდა მას. სამხრეთით იყო მარადიული მცენარეებით დაფარული, გაუვალი ჭაობები და უზარმაზარი ველი, — მთელი ქვეყანა, რომელსაც, ბოშების თქმით, არც ბოლო ჰქონდა და არც დასაწყისი. დასავლეთით ველს უნაპირო წყალი ესაზღვრებოდა. ამბობდნენ, იქ ვეშაპისნაირი ნაზკანიანი არსებანი სახლობენ, თავი და ზედა ტანი ქალისა აქვთ და ლამაზი მკერდით ხიბლავენ და ღუპავენ ზღვაოსნებსო. ბოშები თურმე შვიდი თვე მოცურავდნენ ამ წყალში, ვიდრე ერთ მშვენიერ დღეს ფეხი არ დაადგეს მიწას. სადაც ფოსტის ჯორები დაიარებოდნენ. ხოსე არკადიო ბუენდიას სჯეროდა, ცივილიზებული სამყარო მხოლოდ ჩრდილოეთით იყო და აი, მან ნიჩბებით, თოხებით, სანადირო თოფებით, აღჭურვა ის კაცები, ვისთან ერთადაც დააარსა მაკონდო, საზღვაოსნო ხელსაწყოებითა და რუკებით სავსე ტომარას პირი მოუკრა და სარისკო ლაშქრობაში გაემგზავრა.

პირველ ხანებში გზაზე არაფერი გაჭირვებიათ. ისინი რიყეს გაუყვნენ იმ ადგილამდე, სადაც რამდენიმე წლის წინათ ბექთარ-მუზარადი ამოჩხრიკეს მიწიდან, მერე ტყეში შევიდნენ და ველურ ფორთოხლის ხეებში გაკვალულ ბილიკს დაადგნენ, კვირის თავზე ბედი ეწიათ, ირემი მოკლეს, ნაწილი შეწვეს, ნაწილი კი დაამარილეს და შეინახეს, ვინ იცის იქნებ არც ისე შორს იყო ის დღე, როცა თუთიყუშების ლურჯი ხორცის შეჭმა მოუწევდათ. მომდევნო ათი დღე მზისთვის თვალი არ მოუკრავთ. მიწა რბილი და ნესტიანი გახდა ვულ-

[1] ფრენსის დრეიკი (1541—1596) — ინგლისელი ზღვაოსანი, ადმირალი. მეკობრულად ესხმოდა თავს სამხრეთ ამერიკის სანაპიროებს, ებრძოდა ესპანელებს.

კანური ფერფლივით. მცენარეები სულ უფრო ვერაგულად ჩასაფრებულიყვნენ ყოველ ნაბიჯზე. ჩიტების ძახილი და მაიმუნების ყვირილი ახლა უკვე სადღაც შორიდან მოისმოდა — თითქოს მარადიული მწუხრი გადაეფარა ქვეყნიერებასო. ამ ნესტისა და მდუმარების საუფლოში, რომელიც პირველყოფილ ცოდვამდელ სამოთხეს ჰგავდა, მოლაშქრეებს წებოვანსა და [illegible] ორმოებში ეფლობოდათ ფეხი, მაჩეტეთი ხოცავდნენ ოქროსფერ სალამანდრებსა და ჩეხდნენ სისხლისფრად აბდღვიალებულ ბუჩქებს. ძველისძველი მოგონებებიც არ ასვენებდათ, სტანჯავდა მათ. მთელი კვირა მდუმარედ, მთვარეულივით მიიწევდნენ წინ დარდითა და ნაღველით პირთამდე სავსე მხარეში, ღამით ციცინათელების შუქზე მიიკვლევდნენ გზას, ფილტვებში ჩაგუბებული საკუთარი სისხლის სუნი ახრჩობდა ყველას. წამისწინ გაკვალულ ბილიკს წამშივე ედებოდა ბალახი, თითქმის ხედავდნენ კიდეც, როგორ ჰყოფდა თავს მიწიდან ქორფა სიმწვანე. „არა უშავს, — ამბობდა ხოსე არკადიო ბუენდია,— მთავარია, მიმართულება არ დავკარგოთ". იგი თვალს არ აშორებდა კომპასის ისარს და ხალხს უხილავი ჩრდილოეთისკენ მიუძღოდა. როგორც იქნა, ერთ დღესაც თავი დააღწიეს ამ მოჯადოებულ ადგილს. თუმცა ბნელი და უვარსკვლავო ღამე ერტყათ გარს, სამაგიეროდ ჰაერი იყო ცინცხალი და სუფთა. ხანგრძლივი მგზავრობით ქანცგაწყვეტილებმა ჰამაკები გააბეს და პირველად ორი კვირის მანძილზე ცაიძინეს ღრმა და უშფოთველი ძილით. მზე კარგად იყო ამოწვერილი, როცა გაეღვიძათ და მაშინვე გაოცებული გახევდნენ: გვიმრებსა და პალმებში, ზედ მათ წინ წამომართულიყო ზეწარივით მტვერწაფარებული, დილის ნაზ შუქში გახვეული უზარმაზარი თეთრი ესპანური გალიონი. იგი ოდნავ დაფერდებულიყო მარჯვენა მხარეს. ანძები მთელი შერჩენოდა და ორქიდეებით შემოსილ მავთულებზე დაძონძილი და გაზინტლული იალქანი ეკიდა. გაქვავებული ნიჟარებითა და ხავერდოვანი ხავსით დაფარული ხომალდი მყარად იდგა მიწაზე. იგი ისე შერწყმოდა იქაურობას, თითქოს ვიღაცას საგანგებოდ შეერჩია და შემოესაზღვრა მისთვის ეს ადგილი; იდგა მარტოობისა და დავიწყების ნაკრძალში, სადაც ვერასოდეს მისწვდებოდა დროის მსახვრალი ხელი და ჩიტების ჟივილ-ხივილი. მგზავრებმა ხომალდი უჩვეულო მოთმინებითა და ყურადღებით დაათვალიერეს შიგნიდან და ყვავილთა გაუვალი ტყის გარდა ვერაფერი აღმოაჩინეს.

გალიონის დანახვაზე ხოსე არკადიო ბუენდია მიხვდა, ზღვა სულ ახლოს იყო და თითქოს ჩაიფუშაო, სადღაც გაუქრა მებრძოლი სული. ონავარი ბედი დასცინოდა: ზღვის ძებნაში ათასი ჭირ-ვარამი გამოიარა, მაგრამ ვერ იპოვა, ახლა კი, როცა ხელი აიღო ზღვის ძებნაზე, მოულოდნელად გადაულახავ დაბრკოლებად გადაეღობა წინ. გაივლის კარგა ხანი და პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდიაც შემთხვევით აღმოჩნდება ამ მხარეში, სადაც უკვე გაყვანილი იქნება ფოსტის გზა და სწორედ ამ ადგილას, ყაყაჩოების ველზე წააწყდება დანახშირებულ ჩონჩხს გალიონისას. იგი მხოლოდ მაშინ მიხვდება, რომ მთელი ეს ამბავი მამამისის ფანტაზიის ნაყოფი არ ყოფილა, მიხვდება და გულში გაივლებს, ნეტავ ხომალდი ხმელეთზე რამ გამორიყა ზღვიდან ასე შორსო? ხოსე არკადიო ბუენდიას კი მაშინ თავიც არ შეუწუხებია ამგვარი ფიქრებით, რადგან მეოთხე დღეს გალიონიდან თორმეტი კილომეტრის გავლის მერე მიადგა ზღვას. ამდენი ხალხის ტანჯვა-წვალებად არც ღირდა ეს ქაფმოდებული ჭუჭყიანი და ნაცრისფერი ზღვა, რომლის ნაპირებთანაც ფრთა შეეკვეცა მის ოცნებებს.

— დასწყევლოს ღმერთმა! — შეჰყვირა ხოსე არკადიო ბუენდიამ, — მაკონდოს წყალი აკრავს ყოველი მხრიდან!

ის აზრი, რომ მაკონდო შესაძლოა ნახევარკუნძული ყოფილიყო, კარგა ხანს მეფობდა იმ მარტივი რუკის წყალობით, რომელიც ლაშქრობიდან დაბრუნებულმა ხოსე არკადიო ბუენდიამ შეადგინა. გაბრაზებულ[illegible] რუკას, განგებ აზვიადებდა გარე სამყაროსთან დაახლოების შეუძლებლობას, თითქოს საკუთარ თავზე იყრიდა ჯავრს, ასე უჭკუოდ რად ამოვირჩიე ეს ადგილი სოფლის სამოსახლოდო. „აქაურობას თავს ვერასოდეს დავაღწევთ, — მწარედ შესჩიოდა ურსულას, — ისე დავიმარხებით, ვერასოდეს გავიგებთ მეცნიერების სიკეთეს". თავის ოთახ-ლაბორატორიაში ჩაკეტილი ხოსე არკადიო ბუენდია სწორედ ამ აზრს ჩაეჭიდა, რამდენიმე თვე რეზინივით ღეჭავდა და ბოლოს გადაწყვიტა, მაკონდო უკეთეს ადგილას გადაეტანა. მაგრამ ამჯერად ურსულა მტკიცედ აღუდგა წინ ქმრის უგუნურ ჩანაფიქრს. იგი ჭიანჭველასავით ჩუმად და ჯიუტად შეუდგა საქმეს, ქალები აუმხედრა გადასაბარგებლად უკვე აცეცებულ კაცებს. ხოსე არკადიო ბუენდიას ვერაფრით გაეგო, როდის და ვინ ჩაფუშა მისი გეგმა, ვისი წყალობით აებნა თავგზა, უეცრად ამოტივტივებულ მიზეზთა და სავარაუდო დაბრკოლებათა უსიერ ტყეში, ბოლოს და ბოლოს ვინ დაუმსხვრია ოცნების კოშკი! ურსულა, ვითომც არაფერიო, ქმარს თვალს ადევნებდა და მგონი, ცოტა შეეცოდა კიდეც, როცა დაინახა, ხოსე არკადიო ბუენდია როგორ აწყობდა ყუთებში ლაბორატორიის ხელსაწყოებს და თან როგორ დუდღუნებდა, უსათუოდ უნდა გადავბარგდეთო. ურსულამ აცალა ჩალაგება. ვიდრე კაცი შეკრულ ყუთებზე მელანში ამოვლებული პირის საპარსი ფუნჯით თავის ინიციალებს აწერდა, ქალს საყვედური არ დასცდენია, თუმცა იმასაც მიხვდა (ქმრის ნაბუტბუტარი მონოლოგების წყალობით), რომ ხოსე არკადიო ბუენდიამ უკვე იცოდა, თანასოფლელი კაცები მხარს აღარ აუბამდნენ ამ ახლად წამოწყებულ საქმეში. მაგრამ როცა კაცმა კარების ჩამოხსნას მიჰყო ხელი სახლში, მაშინ კი ჰკითხა ურსულამ, ამას რად სჩადიო, რაზეც ქმარმა უხალისოდ უპასუხა: სხვა თუ ვერ ბედავს, ჩვენ გადავსახლდებით მარტოო. ურსულამ აღელვება არ შეიმჩნია:

— არსადაც არ გადავსახლდებით. აქ ჩვენი შვილი დაიბადა.

— კი მაგრამ, აქ ხომ ჯერ არავინ მომკვდარა ჩვენიანი? — უპასუხა ხოსე არკადიო ბუენდიამ. — განა ტყუილად ამბობენ, ადამიანი მხოლოდ იმ ადგილთან არის მიჯაჭვული, სადაც მისი მიცვალებული განისვენებსო.

ურსულამ მშვიდად, მაგრამ მტკიცედ და გადაჭრით უპასუხა:

— ოღონდ აქ დავრჩეთ და თუ გინდა, ახლავე მოვკვდები.

ხოსე არკადიო ბუენდია თვალსა და ყურს არ უჯერებდა. ნუთუ ასე ურყევი და გაუტეხავი ყოფილა მისი ცოლი? მაგრამ მაინც სცადა სიტყვებით მოეხიბლა და მოენუსხა ქალი, ზღაპრულ ცხოვრებას ჰპირდებოდა ზღაპრულ მხარეში, სადაც საკმარისია მიწას ჯადოსნური წვეთები აპკურო და ხეები ნაყოფებით დაიხუნძლებიან, სადაც გროშებად იყიდება ნაირ-ნაირი სამკურნალო ხელსაწყოები. მაგრამ ურსულა კლდესავით იდგა:

— მაგ ბოდვას გირჩევნია ბავშვებს მიხედო. ნახე ერთი, ძაღლის ლეკვებივით გყავს მიგდებული ბედის ანაბარა.

ხოსე არკადიო ბუენდიამ ცოლის სიტყვები მაშინვე ზუსტად შეასრულა, ფანჯარაში გადაიხედა და მზით დაფერილ მინდორში ორ ფეხშიშველა ბიჭს

მოჰკრა თვალი; თითქოს ურსულას ჯადო სიტყვებზე სადღაც არარსებულიდან წამოიმართნენო უეცრივ. მაშინ რაღაც იდუმალი და მნიშვნელოვანი მოხდა ხოსე არკადიო ბუენდიას არსებაში, ფესვებიანად მოწყდა იმ დრო-ჟამს, რომელშიც ცხოვრობდა და მოგონებათა უცნობ მდინარებას გაჰყვა, როცა ურსულა სახლს გვიდა. — მან უკვე იცოდა, სიკვდილამდე აქ იცხოვრებდა, — მამა გაკვირვებული შესცქეროდა თავის ვაჟიშვილებს, ბოლოს თვალებში მომდგარი ცრემლი ხელის ზურგით მოიწმინდა და ოხვრით ამოხდა:

— აგრე იყოს. ბიჭებს უთხარი, ყუთების ამოლაგებაში მომეშველონ.

უფროს ვაჟს, თოთხმეტი წლის ხოსე არკადიოს, ოთხკუთხედი თავი და გაბურძგნული თმა ჰქონდა. მამასავით ტანადი და ღონიერი ყმაწვილი იყო, მაგრამ მამასავით ფანტაზიის ნიჭი კი არ დაჰყოლოდა. იგი ჩაისახა და ქვეყნიერებას მოევლინა იმ დროს, როცა — ჯერ კიდევ მაკონდოს დაარსებამდე — მთებზე გადადიოდნენ. მშობლებმა ღმერთს მადლობა შესწირეს, მათ ბავშვს ცხოველისა რომ არაფერი გამოჰყვა. აურელიანო კი მაკონდოში დაბადებული პირველი არსება გახლდათ და მარტში ექვსი წელი შეუსრულდებოდა. იგი უთქმელი და გულჩახვეული ბიჭი იყო. დედის მუცელში კი ტიროდა და თვალგახელილი დაიბადა. ვიდრე ჭიპლარს გადაჰჭრიდნენ, ჩვილი თავს აქეთ-იქით ატრიალებდა; თითქოს იმახსოვრებსო, ყველას და ყველაფერს ცნობისწადილითა და უშიშრად შესცქეროდა. მერე უკვე ყურადღებას აღარავის აქცევდა, მთელი გულისყური მიეპყრო ისლის სახურავისკენ, რომელსაც კოკისპირული წვიმა ყოველ წუთს უქადდა ჩაქცევას. სწორედ ეს დაჟინებულად მზირალი თვალები გაახსენდა ურსულას, როცა ერთ დღეს სამზარეულოში მოაკითხა სამი წლის აურელიანომ. ურსულამ ის იყო წვნიანით სავსე ქვაბი ცეცხლიდან გადმოიღო და მაგიდაზე დადგა. ბავშვი გაუბედავად აწრიალდა კართან და უცბად თქვა: „ახლა გადმოვარდება". ქვაბი შუა მაგიდაზე იდგა, მაგრამ უეცრად, თითქოს ვიღაც უხილავმა უბიძგაო, გადმოვარდა, იატაკს დაენარცხა და ნამსხვრევებად იქცა. შეშფოთებულმა ურსულამ მაშინვე ყველაფერი უამბო ქმარს, მაგრამ მან შესაშფოთებელი ვერაფერი დაინახა ამ ამბავში. ასე იყო მუდამ, ხოსე არკადიო ბუენდია ჯერ არ შეუწუხებია შვილების ბედს, ალბათ იმიტომ, რომ ბავშვობის ხანა გონებრივად უმწიფარობის ხანად მიაჩნდა და თანაც თვითონაც არ სცალოდა, თავით ფეხამდე ჩაფლულიყო თავის გამომგონებლურ საქმეებში.

მაგრამ იმ დღიდან, როცა შვილებს სთხოვა, ყუთების ამოლაგებაში მომეშველეთო, ხოსე არკადიო ბუენდია უმეტეს დროს მათთან ატარებდა. თავის მყუდრო და პატარა ოთახში, რომლის კედლებიც უცნაური რუკებითა და ფანტასტური ნახაზებით მოევსო, შვილებს ასწავლიდა წერა-კითხვასა და ანგარიშს, უყვებოდა ათასნაირ საოცარ ამბებს, რაც თავად წაეკითხა და იცოდა, ხოლო როცა წაკითხული შემოაკლდებოდა, მაშინ საკუთარ უსაზღვრო ფანტაზიას მოიშველიებდა ხოლმე. მამის ნაამბობიდან ბავშვებმა გაიგეს, რომ აფრიკის სამხრეთ ნაწილში ჭკვიანი და მშვიდობიანი ხალხი ცხოვრობდა: ჯდომისა და ფიქრის მეტს არაფერს აკეთებდნენ თურმე; გაიგეს აგრეთვე, რომ ეგეოსის ზღვა შეიძლება ფეხით გადასეროს კაცმა და კუნძულიდან კუნძულზე ხტუნვით მიაღწიოს პორტ სალონიკს. მამასთან გატარებული საღამოები, მისი მოყოლილი უჩვეულო და გაუგონარი ამბები ბავშვებს ისე ჩაებეჭდებათ გონებაში, რომ გაივლის რამდენიმე წელიწადი და დახვრეტის მოლოდინში კე-

დელთან მდგომ პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას — ვიდრე მთავრობის ჯარების ოფიცერი თავის ხელქვეითებს უბრძანებდეს, ესროლეთო — თვალწინ გაუელვებს მარტის ის თბილი საღამო, როცა მამამ ფიზიკის გაკვეთილი შეწყვიტა, ჰაერში ხელგაშეშებული შედგა და ყური მიუგდო შორს ახმაურებულ ფლეიტას, დაფდაფს და დოლებს: სოფელს ბოშები ეწვივნენ კვლავ, რათა ყველასათვის ემცნოთ მემფისელ ბრძენთა ახალი საოცრება.

ამჯერად სხვა ბოშები ესტუმრნენ მაკონდოს. უმეტესად ახალგაზრდები იყვნენ; ქალი თუ კაცი. ყველანი მხოლოდ თავიანთ ენაზე ლაპარაკობდნენ. ბოშათა ტომის დიდებულ წარმომადგენლებს ზეთით დარბილებული კანი და მოქნილი, სწრაფი ხელები ჰქონდათ. ქუჩა აავსეს ყიჟინითა და ჭყივილებით. რაღა არ ჩამოეტანათ თან: ყვითელ-მწვანე თუთიყუშები იტალიურ რომანსებს მღეროდნენ; ქათამი დაფდაფის ხმაზე აა-ას ცალ ოქროს კვერცხსა დებდა; აწვრთნილ მაიმუნს სხვათა აზრის ამოცნობა შეეძლო; ეშმაკისეულ მანქანას ღილის დაკერებაც ეხერხებოდა და ავადმყოფის სიცხის დაწევაც; ხელსაწყო — უამური მოგონებათა დასავიწყებელი, სალბუნი— დროის მოსაკლავი და ვინ მოთვლის კიდევ რითი არ გააკვირვეს მაკონდოელები. ხოსე არკადიო ბუენდიას ამდენი უცნაური და ნაირ-ნაირი არაფერი ენახა თავის ცხოვრებაში და ყველაფერი რომ კარგად ჩაებეჭდა გონებაში, თავად უნდა გარჯილიყო და გამოეგონებინა მახსოვრობის მანქანა. სოფელმა წამში იცვალა სახე. ქუჩებში ისეთი ჟრიამტრიალი დადგა, ისე გადაივსო მილეთის ხალხით, ნამდვილი ბაზრობა გეგონებოდა. მაკონდოელებს დიდი სიყოჩაღე მართებდათ, გზა არ აბნეოდათ საკუთარ სოფელში.

ხოსე არკადიო ბუენდიას შვილებისათვის ხელი მაგრად ჩაევლო, ვინძლო არ დამეკარგონ ამ ჯგლეთაშიო. ჯერ ოქროს კბილებიან ექიმ-ოინბაზს გაჰკრა მხარი, მერე ექვსხელიან ჯადოქარს დაეჯახა, სულს უხუთავდა ნაკელისა და სანდალის სუნი, ხალხის ჯგროს რომ ასდიოდა. ხოსე არკადიო ბუენდია გიჟივით აწყდებოდა აქეთ-იქით, გამალებული ეძებდა მელკიადესს, იქნებ ძველებურად დამეხმაროს და ამომიხსნას ეს ზღაპრული იდუმალებით მოსილი ამბებიო. თითქმის ყველა ბოშას ეკითხებოდა, მელკიადესის ხომ არაფერი იცითო, მაგრამ ამაოდ, მათ არ ესმოდათ მისი ენა. ბოლოს, დიდი გაჭირვებით მიადგა იმ ადგილს, სადაც მელკიადესი ყოველ ჩამოსვლაზე შლიდა ხოლმე კარავს. იქ ახლა ვიღაც მწუხარე სახის სომეხი ბოშა იჯდა და კასტილიურად შელოცვას ბუტბუტებდა, რათა უჩინრად ქცეულიყო. ბოშამ ის იყო, რაღაც ქარვისფერი სითხე გადაჰკრა, რომ ხოსე არკადიო ბუენდიამაც ხალხის ტალღა გაარღვია. ერთი კი მოასწრო ბოშასთვის მელკიადესის ამბავი ეკითხა, მაგრამ მან გაკვირვებულმა შემოხედა მხოლოდ და უცბად გაქრა, მის ადგილზე გაჩნდა ამყრალებული გუბე, რომლის ზედაპირზეც ტივტივებდა პასუხი: „მელკიადესი მოკვდა". ხოსე არკადიო ბუენდიას ზარი დასცა ამ ამბავმა, დამწუხრებული და გახევებული იდგა იქამდე, ვიდრე ხალხმა სხვა საოცრების სანახავად ახლა მეორე მხარეს არ გადაინაცვლა, ხოლო მწუხარე სახის ბოშას გუბე მთლად არ აორთქლდა. მერე სხვა ბოშებმაც დაუმოწმეს, მელკიადესი ციებამ მოკლა სინგაპურის ჭაობებში და მისი გვამი იავასთან გადაუშვეს ზღვაშიო. ბავშვების გულს სულაც არ მიჰკარებია მელკიადესის ამბავი, ისინი მამას იმ კარვისკენ ექაჩებოდნენ, სადაც ხალხის თქმით, მემფისელ ბრძენთა სასწაულებრივ აღმოჩენას უჩვენებდნენ, იმასაც ამბობდნენ, მემფისელებამდე სოლომონ მეფეს

გამოუგონია ეს საოცრებაო. ხოსე არკადიო ბუენდია ბავშვების ნებას დაჰყვა. ოცდაათი რეალი გადაიხადა და კარავში შევიდნენ. შუა კარავში იჯდა თავგადაპარსული, ბანჯგვლიანი, ცხვირში რგოლგაყრილი და ფეხზე რკინის ჯაჭვშემოხვეული გოლიათი, რომელიც ზუსტად ისეთსავე სკივრს დარაჯობდა, მეკობრეები რომ დაათრევენ ხოლმე განძეულის შესანახად. გოლიათმა სკივრის თავი ახადა თუ არა, იქიდან აუტანელი სიცივე ამოვარდა. სკივრში იდო უზარმაზარი, გამჭვირვალე თეთრი ლოდი, რომლის ზედაპირიც თეთრსავე ნემსებს მოეფინა. სალამოს შუქზე ლოდი ათასფერ ვარსკვლავებად აციმციმდა.

ხოსე არკადიო ბუენდია დარდისგან ლამის გათავდა, შვილები ეკითხებოდნენ, სკივრში რა დევსო, მან კი არ იცოდა რა ეპასუხა, არც ენახა ასეთი რამ თავის სიცოცხლეში, მაგრამ ბოლოს ძალა მოიკრიბა და ბავშვებს წასჩურჩულა.

— ეს არის ყველაზე დიდი ბრილიანტი ამქვეყნად.

— არა, — შენიშნა გოლიათმა, — ეს ყინულია.

ხოსე არკადიო ბუენდია ვერაფერი მიხვდა და ლოდისკენ ხელი გაიწვდინა, მაგრამ გოლიათმა შეაჩერა: „ხუთი რეალი გადაიხადეთ კიდევ და მერე შეგიძლიათ ხელი შეახოთ". ხოსე არკადიო ბუენდიამ გადაიხადა ხუთი რეალი და ყინულს ხელი დაადო. რამდენიმე წუთს იდგა გარინდული, გული შიშითა და სიხარულით უცემდა, საიდუმლოს ხელი შევახეო. შვილებისათვის ვერაფრით აეხსნა ეს უჩვეულო გრძნობა და კიდევ ათი რეალი გადაიხადა, რათა პატარებს თავად განეცადათ იგივე. პატარა ხოსე არკადიომ უარი თქვა, აურელიანო კი თამამად დაიხარა და ხელი შეახო ყინულს, მაგრამ მაშინვე მოაცილა: „დუღს!" — იყვირა შეშინებულმა. მამას აინუნშიც არ ჩაუგდია ბავშვის შიში. მას ახლა აღარაფერი ახსოვდა ამქვეყნად, აღარც თავის წამოწყებულ საქმეებში განცდილი მარცხი და აღარც კალმარების ლუკმადქცეული მელკიადესის გვამი. ხოსე არკადიო ბუენდიამ კიდევ გადაიხადა ხუთი რეალი და დიდის ამბით ისე შეეხო ყინულს, როგორც სასამართლოს მოწმეები ადებენ ხოლმე ხელს ბიბლიას, და შეჰყვირა:

— ეს არის ჩვენი დროის უდიდესი აღმოჩენა!

მე-16 საუკუნეში, როდესაც მეკობრე ფრენსის დრეიკმა რიოაჩას ალყა შემოარტყა, ურსულა იგუარანის ბებიის ბებია ისე შეაშინა უეცრად ატეხილმა ზარების გაბმულმა გუგუნმა და ქვემეხთა გრიალმა, რომ თავგზააბნეული ზედ გახურებულ კერიაზე დაჯდა. საბრალო ქალი ისეთნაირად დაიწვა, რომ ცოლქმრული ურთიერთობის აღსრულება სამუდამოდ მოესპო. მხოლოდ ცალ გვერდზე შეეძლო ჯდომა და ისიც ბალიშზე; სიარულიც უჭირდა, უცხოთა თანდასწრებით ხომ სულ ვერ ბედავდა გავლას! მთელი ღამე ალიონამდე ეზოში იჯდა, ოთახში შესვლისა და დაძინებისა ეშინოდა — მოჩვენებები კლავდა, ვითომ ინგლისელები თავიანთ ძაღლებიანად მის ოთახში ფანჯრიდან ძვრებოდნენ და გავარვარებული შანთით სამარცხვინოდ აწამებდნენ. ქმარი, არაგონელი ვაჭარი, — ვისთანაც ორი ვაჟი შეეძინა, — ყოველნაირად ცდილობდა, ცოლისთვის ოდნავ მაინც შეემსუბუქებინა ტანჯვა. ნახევარი ქონება რომ ექიმებსა და წამლებს დაახარჯა, მერე დუქანიც გაყიდა და მთელი ოჯახი ზღვიდან შორს, კეთილ ინდიელთა ერთ პატარა, მთებში ჩაკარგულ სოფელში გადაიყვანა საცხოვრებლად. იქ ცოლს უსარკმლო საძინებელი ოთახი აუშენა, რათა ღამეულ მოჩვენებებს ველარ დაეფრთხოთ მისთვის ძილი.

დიდი ხნის წინათ ამ მიკარგულ სოფელში ცხოვრობდა თურმე ერთი კრეოლი სახელად დონ ხოსე არკადიო ბუენდია. მას თამბაქო მოჰყავდა და ურსულას პაპის პაპასთან შეამხანაგებული ისეთ მოსავალს იღებდა, რომ რამდენიმე წელიწადში ორთავეს კარგა ბლომად ფული დაუგროვებიათ; [illegible] მერე ეს ორი გვარი ერთმანეთს დაუმოყვრდა: კრეოლის შვილთაშვილმა [illegible] მოიყვანა არაგონელის შვილთაშვილი. ყოველთვის, როცა კი ქმრის სისულელე ალაშფოთებდა, ურსულა ერთი ნახტომით ისე გადაევლებოდა ხოლმე სამას წელიწადს, ვითომც არაფერიაო, და იმ დღეს სწყევლიდა, ფრენსის დრეიკმა ალყა რომ შემოარტყა რიოაჩას. ურსულა წყევლით გულს იოხებდა, თორემ სინამდვილეში სიყვარულზე უფრო დიდი რამ აკავშირებდა ქმართან: ეს იყო სინდისის ქენჯნა, რომელიც ორივეს სტანჯავდა და აწვალებდა. ურსულა და მისი ქმარი ერთმანეთს ბიძაშვილებად ერგებოდნენ. ისინი ერთად გაიზარდნენ პატარა სოფელში, რომელიც მათი წინაპრების შრომისმოყვარეობისა და გულმოდგინების წყალობით ერთ-ერთი საუკეთესო სოფელი იყო მთელს იმ მხარეში. თუმცა ახალდაბადებულნი აკვანშივე დანიშნეს, მაინც როცა წამოიზარდნენ და თვითონ განაცხადეს, ჯვარი უნდა დავიწეროთო, მშობლები უარზე დადგნენ. უფროსებს ეშინოდათ, საუკუნეთა მანძილზე ერთმანეთთან ქორწინებით დაკავშირებული ორი გვარის ჯანსაღი თაობა ახლა თუ არა, ოდესღაც მაინც შეირცხვენდა თავს და ქვეყანას მოუვლენდნენ იგუანებს[1]. ერთხელ უკვე მოხდა ასეთი საზარელი ამბავი: ურსულას დეიდა ცოლად გაჰყვა ხოსე არკადიო ბუენდიას ბიძას. მათ ვაჟი შეეძინათ. ეს ბავშვი ისე გაიზარდა, დავაჟკაცდა და მოკვდა, რომ ტანზე ერთი კარგად მორგებული ვიწრო შარვალი არ ჩაუცვამს, სულ ფართო შარვალი ეცვა; 42 წლისა მოკვდა, სისხლისაგან დაიცალა სრულიად უბიწო მამაკაცი, რამეთუ კუდიანი დაიბადა, დიახ, ნამდვილი გოჭის კუდი ჰქონდა და მოკვდა ისე, რომ ეს კუდი არც ერთ ქალს არ აჩვენა დედამიწის ზურგზე. მისი მოცილება კი სიცოცხლის ფასად დაუჯდა: მეგობარმა ყასაბმა მისივე თხოვნით ხორცის საჩეხი ნაჯახით ძირში მიაჭრა კუდი... და მაინც ყოველივე ამის შემდეგ, ხოსე არკადიო ბუენდიამ, როგორც ცხრამეტი წლის უზრუნველსა და თავქარიან ჭაბუკს შეეფერება, მთელ ამ დავა-კამათს ერთი პატარა წინადადებით მოუღო ბოლო: „თუნდაც გოჭები დაიბადონ, ოღონდ ლაპარაკი იცოდნენ". ქორწილმა სამ დღეს გასტანა. ამის შემდეგ ახალგაზრდები ღიახაც ბედნიერად იცხოვრებდნენ, ურსულა დედამისს რომ არ დაეშინებინა ამ ავბედითი მემკვიდრეობით. ბოლოს მოხდა ისე, რომ დედის გამუდმებული ჩიჩინით სულით ხორცამდე შეძრულმა და შიშსატანილმა პატარძალმა ნეფეს ცივი უარი სტკიცა იმ საქმეზე, რითაც უნდა დაგვირგვინდეს ქორწილის პირველი ღამე... ურსულას ეშინოდა, ჩემი ქმარი ღონიერი და თავისნათქვამა კაცია, მომერევაო და ლოგინში ჩაწოლამდე ყოველთვის დედამისის შეკერილ უხეში ქსოვილის გრძელ უცნაურ ნიფხავს იცვამდა. ნიფხავს დაკერებული ჰქონდა რამდენიმე ქამარი, რომლებიც წინ რკინის ბალთებზე იკვრებოდნენ. ასე გავიდა რამდენიმე თვე: დღისით ქმარი თავის მოჩხუბარ მამლებს უვლიდა, ცოლი დედასთან ერთად ქარგვას აკლავდა თავს. ღამით კი ახალგაზრდები ქანცის გაწყვეტამდე ებღლარძუნებოდნენ ერთმანეთს და ამ ბღლარძუნში ილევდნენ ყინს. ალბათ კიდევ კარგა ხანს გაგრძელდებოდა ასე, ყოველისმცოდნე

---

[1] ხვლიკის სახეობა.

მეზობლებს რომ არ ეგუმანათ რაღაცა. მალე სოფელში ხმა დაირხა, ერთი წლის ქორწინების შემდეგ ურსულა ჯერ ისევ ქალიშვილია თავისი უგერგილო ქმრის წყალობითო. ხოსე არკადიო ბუენდიამ ყველაზე გვიან გაიგო ეს ამბავი:

— ხომ გესმის, რას ამბობს ხალხი? — მშვიდად მიმართა მან ქმარს.

— ნეტავი ერთი შენც, ილაყბონ რამდენიც უნდათ, — უპასუხა ქმარმა, — მე და შენ ხომ ვიცით, მართალს არ ამბობენ.

ერთი სიტყვით, კიდევ ექვს თვეს ტანჯეს და აწამეს ერთმანეთი და, ალბათ კარგა ხანს გაგრძელდებოდა ასე, რომ ერთ შავად გათენებულ კვირა დღეს არ დატრიალებულიყო ის ტრაგედია: მამლების ჩხუბის საყურებლად მთელი სოფელი გამოსულიყო. ხოსე არკადიო ბუენდიას მამალმა პრუდენსიო აგილარის მამალს სული გააფრთხობინა. დამარცხებით გაცოფებულმა და თავისი გასისხლიანებული მამლის დამნახავმა პრუდენსიომ ხოსე არკადიო ბუენდიას განგებ მიმართა ხმამაღლა და ყველას გასაგონად:

— სულითა და გულით მოგილოცავ, იქნებ მაგ მამალმა მაინც გააბედნიეროს შენი ცოლი!

ხოსე არკადიო ბუენდიამ მშვიდად აიყვანა ხელში თავისი გამარჯვებული მამალი, ხალხს დაუძახა: ახლავე მოვალო, ხოლო პრუდენსიო აგილარს ორი სიტყვა მიუგდო:

— შენ კი წადი ახლავე შინ და იარაღი წამოიღე, უნდა მოგკლა.

ათ წუთში დაბრუნდა ხოსე არკადიო ბუენდია პაპისეული შუბით ხელში. მამლების ბრძოლისთვის განკუთვნილ ფარდულთან თითქმის ნახევარი სოფელი შეყრილიყო. პრუდენსიო აგილარი ფარდულის კართან ელოდა, ხელის განძრევაც ვერ მოასწრო, რომ ხოსე არკადიო ბუენდიას საოცარი სიძლიერითა და უნაკლო სიზუსტით ნასროლი შუბი — როგორადაც ოდესღაც პირველი აურელიანო ხოცავდა ამ მხარეში იაგუარებს — ყელში ჩაერჭო. ღამით, როცა იმავე ფარდულში ნათესავები თავიანთ მიცვალებულს დარაჯობდნენ, ხოსე არკადიო ბუენდია საძინებელ ოთახში შევიდა. ცოლი დასაწოლად ემზადებოდა და ჩვეულებისამებრ თავის უბიწოების ნიფხავს იცვამდა. კაცმა შუბი შეაქანა ხელში და ცოლს უბრძანა: „ახლავე გაიხადე!" ურსულა მიხვდა, კაცი არ ხუმრობდა და მორჩილად ჩაიბუტბუტა: „რამე რომ მოხდეს, იცოდე, შენ აგებ პასუხს". ხოსე არკადიო ბუენდიამ შუბი მიწურ იატაკში ჩაარჭო:

— თუ ბედად გვიწერია ხვლიკების დაბადება, რას ვიზამთ, ბედს ვერსად გავექცევით, გავზრდით ხვლიკებს, ამ სოფელში კი შენი მიზეზით აღარავინ მოკვდება, იცოდე!

ივნისის მშვენიერი, მთვარიანი და გრილი ღამე იდგა. ცოლ-ქმარს თვალი არ მოუხუჭავს, დილამდე ანჯღრევდნენ საწოლს და აინუნშიც არ აგდებდნენ ოთახში შემოჭრილ, პრუდენსიო აგილარის ახლობელ-ნათესავების მოთქმა-გოდებით დამძიმებულ ქარის თარეშს.

თუმცა ეს ორთაბრძოლა სოფელმა ღირსეულ ორთაბრძოლად მიიჩნია, ცოლ-ქმარს მაინც სინდისის ქენჯნა დაეუფლა ამ დღიდან. ერთხელ ღამით ურსულას რატომღაც ვერ იქნა და ვერ დაეძინა, წამოდგა, წყალს მაინც დავლევო და ეზოში გავიდა, სადაც წყლით სავსე კოკა იდგა. უცებ პრუდენსიო აგილარი დაინახა, ნაღვლიანი და მიცვალებულივით ფერგამკრთალი პრუდენსიო ჭრილობიდან სისხლის შეჩერებას ლამობდა, გამოღადრულ ყელში ბალახს იჩურ-

თავდა. ურსულას სულაც არ შეშინებია პრუდენსიოსი, შეეცოდა მხოლოდ. ოთახში დაბრუნებისთანავე უამბო ქმარს ყოველივე. მაგრამ მან ყურიც არ ათხოვა ცოლის სიტყვებს: „როდის იყო, მიცვალებული საფლავიდან დგებოდა? სინდისი გვქენჯნის. ეს არის და ეს". მესამე ღამეს ურსულა პრუდენსიო აგილარს საბანაო ოთახში გადააწყდა, ბალახით იშორებდა ყელზე შემხმარ სისხლს. ერთ წვიმიან ღამესაც ეზოში მოჰკრა თვალი. ხოსე არკადიო ბუენდიას გული გაუწყალა ცოლის მოჩვენებებმა და ისიც ეზოში გავიდა: მიცვალებული ისევ იქ იდგა; როგორც ყოველთვის, ახლაც ნაღველი ეხატა სახეზე.

— დაიკარგე აქედან! — დაუყვირა ხოსე არკადიო ბუენდიამ. — იცოდე, რამდენჯერაც მოხვალ, იმდენჯერვე მოგკლავ!

პრუდენსიო აგილარი არც შეხებულა. ხოსე არკადიო ბუენდიამ შუბის მოქნევა ვერ გაბედა. იმ დღიდან მასაც სანატრელი გაუხდა მშვიდი ძილი. ხოსე არკადიო ბუენდიას არ ასვენებდა ის უსაზღვრო ნაღველი, წვიმაში მდგომ მიცვალებულის თვალებში რომ ამოიკითხა — ნაღველი და მონატრება შინ დარჩენილებისა; თვალთაგან არ სცილდებოდა, რა გაფაციცებული ეძებდა წყალს პრუდენსიო ბალახის დასასველებლად და ჭრილობის მოსაბანად. „ეტყობა, უჭირს, — უთხრა ხოსე არკადიო ბუენდიამ ცოლს. — ეტყობა, მარტოობა უჭირს". ურსულას ისე შეეცოდა მიცვალებული, რომ ერთ ღამეს, როცა კვლავ გადააწყდა მოჩვენებას, —იგი ახლა სამზარეულოში შესულიყო და ღუმელზე დადგმულ ქვაბებში ეტყობა წყალს ეძებდა, — გადაწყვიტა, სახლის ყოველ კუთხე-კუნჭულში წყლით სავსე თასები დაედგა. ხოლო, როცა ხოსე არკადიო ბუენდიამ დაინახა, როგორ იბანდა ჭრილობას პრუდენსიო აგილარი მის საძინებელ ოთახში, ველარ გაუძლო და მორჩილად თქვა:

— იყოს ნება შენი, პრუდენსიო. წავალთ ამ სოფლიდან, წავალთ შორს და არასოდეს არ დავბრუნდებით. ახლა კი წადი და მშვიდად იყავი.

ჰოდა, სწორედ ამის შემდეგ დალაშქრეს მთიანი ქედი. ხოსე არკადიო ბუენდიამ და მასავით თამამმა და გაბედულმა ახალგაზრდებმა მიატოვეს სახლკარი და ცოლ-შვილიანად დაადგნენ გზას... დაუსახლებელი ადგილების საძებნელად. ხოსე არკადიო ბუენდიამ გამგზავრებამდე მიწაში ჩამარხა თავისი შუბი და მერე საკუთარი ხელით სათითაოდ წააცალა თავი თავის მოჩხუბარ მამლებსაც. ეგონა, პრუდენსიო აგილარის სულს ამით სიმშვიდეს მოჰფენდა. ურსულამ ცოტა რამ წაიღო თან: ზანდუკი, რომელშიც საქორწინო კაბა-მორთულობანი ედო, ერთი-ორი აუცილებელი საოჯახო ნივთი და პატარა ყუთი — მამისეული დანატოვარი ოქროს მონეტებით სავსე. წინასწარ თავი არავის შეუწუხებია, რომელ გზას დასდგომოდნენ, აიღეს და უბრალოდ გადაწყვიტეს, ევლოთ რიოაჩას საწინააღმდეგო მიმართულებით, რათა გზად ნაცნობს არავის გადაყროდნენ და ამ მხარეში მათი ასავალ-დასავალიც არავის სცოდნოდა. ამაზე უგნური მოგზაურობა არ ახსოვს ქვეყანას. წლისა და ორი თვის ხეტიალის მერე, როცა კუჭი აღარ უვარგოდათ მაიმუნის ხორცისა და გველის წვნიანის ჭამით, ურსულამ შობა ვაჟი და ამ ვაჟს ყველაფერი ადამიანისა ჰქონდა. ურსულას ფეხები დაუსივდა, ძარღვები დაებერა. სიარული აღარ შეეძლო და თითქმის ნახევარი გზა ჰამაკში მწოლიარემ გაიარა. ჯოხებზე დამაგრებული ჰამაკი ორ კაცს მიჰქონდა მხრებზე გადებული. ბავშვები მშობლებზე უკეთ გრძნობდნენ თავს გზაში, დარდი არ აწუხებდათ, ჩვეულებრივად იზრდებოდნენ, თუმცა საცოდავი შესახედავი კი იყვნენ თვალებამოღამებულნი და მუცელგამობე-

რილნი. ერთ დღეს, გამთენიისას, თითქმის ორი წლის ხეტიალის შემდეგ, ჩვენმა მოგზაურებმა, მოკვდავთა შორის პირველებმა, დაინახეს მთიანი ქედის დასავლეთი ფერდობი. ღრუბლებში აზიდული მწვერვალიდან დაჰყურებდნენ ისინი მდინარეებით დასერილ, უკიდეგანო, ქვეყნის დასალიერამდე გადაჭიმულ ველს... მაგრამ ზღვა კი არა და არ ჩანდა, რამდენიმე თვე [illegible] იხეტიალეს. კარგა ხანი იყო, გზად სულიერიც არ შეხვედროდათ. ერთხელ ღამით ქანცგაცლილები დაბანაკდნენ ქვიანი მდინარის ნაპირას, რომლის ტალღებიც გამლღვალ მინასავით კრიალებდა. გაივლის მრავალი წელიწადი და უკვე მეორე სამოქალაქო ომის დროს პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია რიოაჩას გარნიზონის ხელში ჩასაგდებად სწორედ ამ გზაზე წარუძღვება თავის ჯარს. მაგრამ ექვსი დღის წოწიალის მერე მიხვდება, ამ გზით სიარული სიგიჟე რომ იყო. იმ ღამით, მდინარესთან რომ დაბანაკდნენ, ხოსე არკადიო ბუენდიას დაესიზმრა, ვითომ ბანაკის ადგილას წამოიმართა დიდი ქალაქი, სადაც სახლებს უცნაურად გამჭვირვალე კედლები ჰქონდა. როცა იკითხა, რა ქალაქიაო, პასუხად გაიგონა ასევე უცნაური და უაზრო სახელი, მაგრამ სიზმარში მეტისმეტად ზებუნებრივად ჟღერდა ეს სახელი: მაკონდო. მეორე დღეს ხოსე არკადიო ბუენდიამ თავისიანები დაარწმუნა, ზღვის ძებნას მოვეშვათ, ტყე გავკაფოთ და ყველაზე გრილ ადგილას მიწა მოვასუფთავოთო. სწორედ აქ დაარსეს კიდეც სოფელი.

სიზმარში ნანახი გამჭვირვალე სახლები ხოსე არკადიო ბუენდიას მხოლოდ მაშინ ენიშნა, როცა ყინული ნახა პირველად და წამშივე დაასკვნა: იმ სიზმარში დიდი და ღრმა წინასწარმეტყველური აზრი იყო ჩაქსოვილიო: სულ მალე შესაძლოა ხელი მივყო ყინულის აგურების დამზადებას ისეთი ადვილად ხელმისაწვდომი მასალისგან, როგორიც წყალია, შემდეგ ამ მასალით სახლებს ავაშენებ და თონესავით გახურებული მაკონდოც, სადაც ახლა მზეზე კარ-ფანჯრების საკლიტულები და ანჯამებიც კი ლღვებიან, მარადიული სიგრილის ქალაქი გახდებაო. მაგრამ ხოსე არკადიო ბუენდია მაშინვე არ შედგომია ყინულის ქარხნის აშენებას, საამისოდ არ ეცალა, შვილების აღზრდით იყო გართული: განსაკუთრებით აურელიანოს ექცეოდა გულისხმიერებით, რადგან ბავშვს იმთავითვე აღმოაჩნდა ალქიმიის ნიჭი. ლაბორატორიაში კვლავ გაჩაღდა მუშაობა. მამამ ხელმეორედ გადაიკითხა მელკიადესის ჩანაწერები და ახლა უკვე მშვიდად, იმ სულსწრაფობისა და აღტყინების გარეშე, რაიც ყოველ ახლად წამოწყებულ საქმეს ახლავს თან, გადაწყვიტა ურსულას ოქროს მონეტები შვილის დახმარებით მოეცილებინა ქვაბის ფსკერზე მიმწვარ სხვადასხვა მინაერთებისთვის. უფროსი შვილი ხოსე არკადიო ლაბორატორიას ვერ ეგუებოდა და არც ეკარებოდა. ვიდრე მამა მთელი არსებით მისცემოდა თავის საქმეს ქურასთან, მისი პირმშო კარგა მოზრდილი ყმაწვილი გახდა, ხმა დაუბოხდა და ნიკაპი და ლაწვისთავები შეელინდლა. ერთხელ ურსულა ოთახში იმ დროს შევიდა, როცა შვილი დასაძინებლად ემზადებოდა. ქალს უცებ შერცხვა და შეეშინდა კიდეც: ქმრის მერე საკუთარი ვაჟიშვილი პირველი მამაკაცი იყო. ქალმა შიშველი რომ ნახა, თანაც ცხოვრებისთვის შვილი უკვე ისე დასრულებული და მომართული ჩანდა, რომ დედას მეტისმეტიც მოეჩვენა. ურსულა ფეხმძიმედ იყო, მესამე ბავშვს ელოდა და იმ შიშა შეეპყრო, ახლად ჯვარდაწერილს რომ სტანჯავდა და აწვალებდა.

იმ ხანებში ბუენდიებს ხშირად სტუმრობდა ერთი მხიარული, თამამი

და ენაკვიმატი ქალი. ურსულას ეხმარებოდა ხოლმე საოჯახო საქმეებში და მკითხაობაც ეხერხებოდა კარტზე. ურსულამ თავისი შიში გაანდო ქალს, ვაჟიშვილის ნაადრევი დაკაცება ისევე უჩვეულო მეჩვენება, როგორც ჩემი ნათესავის ღორის კუდიო. სტუმარ ქალს ისეთი სიცილი აუტყდა, რომ მისი ხმა მთელ სახლს მოედო ვერცხლის ზანზალაკებივით. „ნუ [illegible] — დაამშვიდა შეშფოთებული ურსულა, — ბედნიერი კაცი იქნება, [illegible] თუ არა!" ერთი-ორი დღის მერე, თავისი ნათქვამის სიმართლეში რომ დაერწმუნებინა, ქალმა კარტი მოიტანა და ხოსე არკადიოსთან ერთად ჩაიკეტა სამზარეულოს გვერდით პატარა საკუჭნაოში. იქ ფიცარზე გაშალა კარტი და ბუტბუტს მოჰყვა, ხან რას ეუბნებოდა და ხან რას იქვე გვერდით მდგომ ჭაბუკს, რომელიც დაღლილი უფრო ჩანდა, ვიდრე გულისხმაში ჩავარდნილი, ნეტავი კარტში რა ამომივაო. უცებ ქალმა ხელი გაიშვირა და ბიჭს შეეხო. „ერთი ამას უყურე",— ქალს მართლა შეეშინდა და კრინტი ველარ დასძრა მეტი. ხოსე არკადიოს თითქოს ძვლები დაუდნაო, მთელ მის არსებას რაღაც ისეთი მომთენთავი შიში დაეუფლა, რომ ცრემლი ძლივს შეიკავა. ქალს სხვა არაფრით გაუთამამებია ჭაბუკი, მაგრამ იგი მაინც მთელი ღამე მასზე ფიქრობდა, ბორგავდა, არ ასვენებდა კვამლის სუნი, იღლიაში რომ ასდიოდა ქალს. ამ სუნით თითქოს გაიჟღინთა ხოსე არკადიოს სხეული. ნეტავ სულ მასთან იყოს და არასოდეს გამოვიდნენ საკუჭნაოდან, ნეტავ კიდევ შეახოს ხელი და უსასრულოდ იმეოროს: „ერთი ამას უყურეთ! ერთი ამას უყურეთ!" ერთ დღესაც ხოსე არკადიომ ველარ მოითმინა და ქალს შინ ესტუმრა, მაგრამ სიტყვა არ დაუძრავს. ახლა მას აღარ სურდა ეს ქალი, რადგან ეს იმას არ ჰგავდა, იღლიაში კვამლის სუნი რომ ასდიოდა, თითქოს სხვა იყო... ვაჟმა ყავა დალია და გულდამძიმებულმა დატოვა იქაურობა. ღამით უძილობამ დატანჯა, ვერა და ვერ მოხუჭა თვალი, კვლავ აღენთო ვნება, ძლიერი და მომთენთავი, მაგრამ ამჯერად ის ქალი კი არ სურდა, საკუჭნაოში რომ ეჯდა გვერდით, არამედ ის ქალი, ვისაც საღამოს ესტუმრა შინ.

რამდენიმე დღის მერე თვითონ ქალმა იხმო ხოსე არკადიო: სტუმარს დედასთან ერთად დახვდა და მერე ვითომ კარტით სასწაულების ჩვენება უნდა ვასწავლოო, თავის საწოლ ოთახში შეიყვანა. ოთახში ქალმა ისე თამამად და მოურიდებლად შეახო ხელი, რომ ვაჟს კანკალმა დაურბინა მთელ სხეულში და მისდა გასაოცრად ტკბობისა და თრობის ნაცვლად რაღაცნაირი შიში და უიმედობა დაეუფლა. ქალმა ჩასჩურჩულა, ამაღამ უსათუოდ მოდიო. ხოსე არკადიო ოღონდ ახლა დასხლტომოდა მასპინძელს ხელიდან და შეჰპირდა, მოვალო, თუმცა წინასწარვე იცოდა, აქ მომსვლელი აღარ იყო, მაგრამ ღამით თავის გავარვარებულ საწოლში მიხვდა, წაუსვლელობა არ შეეძლო, რაღაც ეწეოდა იქით და იმ რაღაცის წინაშე იგი უძლური აღმოჩნდა. სიბნელეში ხელის ფათურით მოძებნა ტანსაცმელი. იქვე ძმა მშვიდად ფშვინავდა, გვერდით ოთახში მამა ხანდახან წამოახველებდა ხოლმე, გარეთ საქათმეში ქათმები ქოთქოთებდნენ. შიშითა და სურვილით ერთიანად ატანილ ვაჟს მწერების ბზუილი და საკუთარი გულისცემაც ესმოდა. უკაცრიელ ქუჩაში ფეხაკრეფით მიიპარებოდა და თან გულში ნატრობდა, ნეტავ კარი ჩაკეტილი დამხვდესო, მაგრამ დაპირებისამებრ კარი ღია დაეტოვებინათ. ხოსე არკადიო კარს ოდნავ შეეხო და ანჯამებმა ისე დაიღრჭიალეს, სისხლი გაეყინა ძარღვებში. მერე ჩუმად გადადგა ნაბიჯი და ოთახში შესვლისთანავე ნაცნობი სუნი ეცა ცხვირში. იცო-

და. წინა ოთახში ქალის ძმებს ეძინათ ჰამაკებში, მაგრამ სიბნელეში ვერაფერს ხედავდა და ხელების ფათურით მიიწევდა ქალის ოთახისაკენ. ამ ძებნაში უცებ დაბლა დაკიდულ ჰამაკს გადააწყდა. ჰამაკში ვიღაც კაცი მშვიდად ხვრინავდა, მერე მხარი იცვალა და რაღაცნაირი დანანებით წაიბუტბუტა: [illegible] შაბათი იყო“. ხოსე არკადიომ როგორც იქნა იპოვა მეორე ოთ[illegible] გამოაღო. კარი უსიამოდ ახრიგინდა ოღროჩოღრო იატაკზე. დარდით და ეჭვით შეპყრობილი ვაჟი უიმედოდ მიიკვლევდა გზას სიბნელეში, თევზებივით ჩაწყობილიყვნენ დედა, მისი მეორე ქალიშვილი ქმართან და ორ ბავშვთან ერთად და ის ქალიც, რომელიც, ეტყობა, სულაც არ ელოდა ხოსე არკადიოს. ვაჟი სუნით მიაგნებდა მას. მაგრამ მთელ სახლში ისეთივე მოუხელთებელი და ამავე დროს მკვეთრი სუნი იდგა, თავად რომ ასდიოდა აგერ უკვე რამდენიმე დღეა. ხოსე არკადიო კარგა ხანს იდგა გახევებული, ნეტავ რამ მომიყვანა ამ უილაჯობის წყვდიადშიო, ფიქრობდა შეშინებული, რომ უცებ სიბნელეში ვიღაცის მოფათურე ხელი შეეხო სახეზე. ხოსე არკადიოს არც გაკვირვებია, თითონაც ვერ იტყოდა, რატომ ელოდა ამ შეხებას. ქანცგამოცლილი მიჰყვა ამ ხელს უჩინარ საწოლისაკენ, სადაც თვალისდახამხამებაში გააძრეს ტანთ და კარტოფილით სავსე ტომარასავით დაუწყეს ნჯღრევა. უკუნ სიბნელეში წაღმა-უკუღმა ატრიალებდნენ და ეჩვენებოდა, ზედმეტი ხელები გამომებაო. სადღა იყო ქალის ნაცნობი სუნი, ამიაკი ყარდა ირგვლივ! ხოსე არკადიო ქვეცნობიერად გრძნობდა, იმას აკეთებდა, რისი გაკეთებაც დიდი ხანია სურდა, თუმცა ყოველთვის ღრღნიდა ეჭვი, ვერ შევძლებო. თვითონაც არ იცოდა, როგორ აკეთებდა, ერთმანეთში აერია თავისი და სხვისი ხელები, ფეხები, თავი. სული ეხუთებოდა, გრძნობდა, მეტს ველარ გაუძლებდა და ახლა მხოლოდ ერთ სურვილს შეეპყრო, განშორებოდა ამ უსასოო სიჩუმეს, ამ შიშისმომგვრელ მარტოობას, მაგრამ ძალაწართმეულს არც ეთმობოდა აქაურობა დასატოვებლად.

ამ ქალს პილარ ტერნერას ეძახდნენ. თავისი მშობლების ნება-სურვილით იგი იმ დიად წამოწყებაში მონაწილეობდა, რომელსაც მაკონდოს დაარსება მოჰყვა. მშობლებს სურდათ თავიანთი ქალიშვილი აქაურობისთვის მოეშორებინათ, უფრო სწორად, იმ კაცისთვის დაეცილებინათ, ვინც თოთხმეტი წლისას ნამუსი ახადა და მას შემდეგ აგერ უკვე რვა წელიწადი კვლავ ერთად იყვნენ. მაგრამ კაცი აქაური არ იყო და ვერ გადაეწყვიტა პილარი კანონიერ ცოლად გაეხადა. კაცმა შეჰფიცა პილარს, ქვეყნის დასასრულამდე გამოგყვებოდი, მაგრამ ახლა ცოტა ხანს მაცალე, საქმეები მაქვს მოსაგვარებელი, მერე კი უსათუოდ ჩამოგაკითხავო. იმ დღიდან ელოდა პილარი თავის სატრფოს და თუმცა რა ჯურის მამაკაცები არ ამოსდიოდა კარტში — მაღალი თუ დაბალი, ქერა თუ შავგვრემანი. ზოგი ხომალდით მოისწრაფოდა მისკენ, ზოგიც ფეხით, ზოგი სამი დღის ან სამი თვის მერე თუ არა, სამი წლის მერე მაინც უნდა ჩამოსულიყო — შეხვედრის იმედი საბოლოოდ გადაუწყდა. ამ მოლოდინში მამაკაცის ალერსს გადაეჩვია, ნელ-ნელა ჩამოხმა, თეძოები დაუწვრილდა, მკერდი მოემჩვარა, მაგრამ გულის სიკასკასე კი უცვლელი დარჩა. ბავშვივით ატაცებული ხოსე არკადიო ახლა ყოველ ღამე გადიოდა შინიდან, რათა იქ, იმ ჩაწყვდიადებულ ლაბირინთებში ხელის ცეცებით ეპოვა თავისი ახლად აღმოჩენილი მშვენიერი სათამაშო. ერთხელ როგორღაც კარი ჩაკეტილი დაუხვდა. სასოწარკვეთილმა ვაჟმა კარს მუშტი დაუშინა. რაკიღა გაბედა და ბრახუნი ატეხა, მერე აღარ მოეშვა, ვიდრე პილარმა არ გაუღო კარი... უძილობისგან

მოთენთილ ხოსე არკადიოს მთელი მეორე დღე დასდევდა ხოლმე წინა ღამეს განცდილი სიტკბო. მაგრამ როცა ბუენდიების სახლში გამოჩნდებოდა ხოლმე ძველებურად მხიარული, თამამი და ენაკვიმატი პილარ ტერნერი, ხოსე არკადიო სულაც არ ცდილობდა მღელვარება დაეფარა, რამეთუ ამ ქალს, ვისი ზარივით სიცილი მტრედებსაც კი აფრთხობდა ეზოში, არაფერი საერთო არ ჰქონდა იმ უხილავ ძალასთან, რომელმაც ყმაწვილს სულის შეგუბება ასწავლა, საკუთარი გულისცემისთვის ყურის მიგდებაც ასწავლა და ისიც გააგებინა, რატომ ეშინიათ მამაკაცებს სიკვდილისა. ხოსე არკადიო ისე იყო ჩაფლული საკუთარ განცდებში, რომ ვერც მიხვდა, რატომ ატყდა სახლში მხიარული ყიჟინა, როცა მამამისმა და უმცროსმა ძმამ ყველას ამცნეს, ქვაბში ჩამწვარი ნაერთი ხელახლა გადავადნეთ და ურსულას ოქრო გადავარჩინეთო.

მამა-შვილმა სამი დღე-ღამის შეუსვენებელი შრომით მიაღწია ამ გამარჯვებას. ურსულა სიხარულისაგან აღარ იყო, ის კი არადა, ღმერთს მადლობაც შეაწირა ალქიმიის გამოგონებისთვის. თითქმის ნახევარმა სოფელმა მოიყარა თავი ლაბორატორიაში, ყველას სურდა საკუთარი თვალით ეხილა სასწაული. ურსულა მურაბიანი ნამცხვრებით უმასპინძლდებოდა სტუმრებს. ხოსე არკადიო ბუენდია ყველას სათითაოდ უჩვენებდა აღდგენილი ოქროთი სავსე ტიგელს და ისეთი გახარებული ჩანდა, თითქოს თვითონ გამოეგონოს ოქრო პირველად. ხან ერთს მიადგებოდა, ხან მეორეს და ბოლოს თავისი უფროსი ვაჟიშვილის წინ აღმოჩნდა. შვილს ზედ თვალთან მიუტანა მოყვითალო ნაცარი და ჰკითხა, აბა, თუ მეტყვი, ეს რა არისო? ხოსე არკადიომ სიმართლე უთხრა:

— ძაღლის ქაქია.

მამამ ხელუკულმა ისე გამეტებით სთხლიშა ტუჩებში, რომ ხოსე არკადიოს პირიდან სისხლი წასკდა და თვალებიც ცრემლით აევსო. იმავე ღამით პილარ ტერნერამ სიბნელეში ხელის ფათურით მოძებნა ბამბა და მალამო და შესიებულ ტუჩზე დაადო ვაჟს, მერე ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც ხოსე არკადიოს უნდოდა, ქალი ცდილობდა ალერსის დროს ნატკენ ტუჩზე არ შეხებოდა. ბოლოს და ბოლოს ქალ-ვაჟი ისე დაუახლოვდა ერთმანეთს, რომ თავისდა შეუმჩნევლად ჩურჩულსაც მოჰყვნენ:

— მხოლოდ შენთან მინდა ვიყო, — ეუბნებოდა ვაჟი, — სულ მალე ყველას ვეტყვი ჩვენს ამბავს და ამ კუკუმალულობასაც მოეღება ბოლო.

— ნეტავი ცალკე ვიყოთ ოთახში... — მაშინვე დაეთანხმა ქალი, — ლამპას ავანთებდით, ერთმანეთს დავინახავდით. რასაც მოვისურვებდი, იმას გავაკეთებდი, ვიყვირებდი, კისტუხავებდი, არვინ არ დამძრახავდა, შენ კი ყურში მიჩურჩულებდი ათასნაირ სისულელეს...

ამ საუბარმა, მამისადმი გაბოროტებამ და იმის რწმენამ, რომ როგორც არ უნდა დატრიალებულიყო მისი ბედის ჩარხი, უკანონო სიყვარულით მაინც ყოველთვის შესძლებდა გულის მოჯერებას, ხოსე არკადიოს უშფოთველი გამბედაობა ჩაუნერგა და ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე უამბო ძმას ყველაფერი.

პატარა აურელიანომ უფროსი ძმის თავგადასავალი რომ მოისმინა, პირველად შიშმა შეიპყრო, ცუდი არაფერი შეემთხვესო. თუმცა ვერაფრით მიმხვდარიყო, რა ძალა იზიდავდა ძმას იქითკენ, მაგრამ მალე მასაც გადაედო ხოსე არკადიოს მღელვარება, ღამის ამბებს ათასჯერ და დაწვრილებით მოაყოლებდა ხოლმე, მასთან ერთად იზიარებდა ტანჯვასაც და სიტკბოსაც, ეშინოდა და რა-

ლაც უხაროდა კიდეც. მთელი ღამე ელოდა ძმას, დილამდე არ იძინებდა, შამფურივით ტრიალებდა ლოგინში, მერე ხოსე არკადიო რომ მოვიდოდა, დილამდე ჩურჩულებდნენ; მალე ორივენი მთვარეულებს დაემსგავსნენ, ორივეს ერთნაირად შესძულდა ალქიმია, მამის განსწავლულობა, და განმარტოვდნენ. „ბიჭებს რაღაცა ჭირთ, — ჩიოდა ურსულა. — ნამდვილად ჭია აწუხებთ". შვილებს პაიკოს[1] ნახარში მოუმზადა და მისდა გასაკვირად ორივემ მოთმინებით და უსიტყვოდ გადაჰკრა ეს სისაძაგლე. აურელიანოს თანდათანობით ეზიარებოდა ძმის მღელვარება და უკვე საკუთარივით განიცდიდა. ერთხელ, როცა ძმა წვრილად უამბობდა სიყვარულობანას თამაშს, აურელიანომ ჰკითხა, იმ დროს რასა გრძნობო, რაზედაც ხოსე არკადიომ მაშინვე უპასუხა:

— გეგონება, მიწა იძრაო.

იანვრის ერთ ხუთშაბათ ღამეს, ორ საათზე დაიბადა ამარანტა. ვიდრე ოთახში ვინმე შევიდოდა, ურსულამ საგულდაგულოდ მიათვალ-მოათვალიერა ჩვილი. გოგონა მართალია ხვლიკივით სხარტი და მსუბუქი იყო, მაგრამ ყველაფერი ჩვეულებრივი ადამიანისა ჰქონდა. აურელიანო მხოლოდ მაშინ მიხვდა, დაიკო შემეძინაო, როცა სახლში მოფუსფუსე ხალხის ხმები ჩაესმა ძილში. მაშინვე ძმას გადაწვდა, იმასაც გავაღვიძებო, მაგრამ მისი საწოლი ღამის თერთმეტი საათიდან უკვე ცარიელი იყო. აურელიანომ ისე ერთბაშად გადაწყვიტა, იქ მივაკითხავო, რომ არც დაფიქრებულა, რა მანქანებით გამოიყვანდა ძმას პილარ ტერნერას საწოლი ოთახიდან. კარგა ხანს დაძრწოდა ბიჭი პილარის სახლის გარშემო, შეთქმულივით უსტვენდა, მაგრამ ამაოდ. სტვენა-სირბილში თავს დაათენდა და შინისკენ მოკურცხლა; შინ კი დედის ოთახში ხოსე არკადიო უცოდველი კრავივით იჯდა და ახლად დაბადებულ დაიკოს ეთამაშებოდა.

ორმოცი დღის მოლოგინებული იყო ურსულა, როცა სოფელს კვლავ მოადგნენ ბოშები. ეს ის ოინბაზი და ტაკიმასხარა ბოშები იყვნენ, წინა ჩამოსვლაზე ყინული რომ ჩამოიტანეს. მალე ყველასათვის ცხადი გახდა, რომ მელკიადესის ტომისგან განსხვავებით, ესენი პროგრესის მაცნენი კი არა, უბრალოდ სანახაობით მოვაჭრენი იყვნენ მხოლოდ. მაშინაც ყინული იმიტომ კი არ ჩამოიტანეს, რომ ხალხისთვის აეხსნათ, ესა და ეს სარგებლობა შეუძლია მოგიტანოთ ამ გამჭვირვალე ლოდმაო, არამედ უბრალოდ საცირკო სანახაობისთვის. ბოშებმა მაკონდოელები ამჯერად მფრინავი ჭილოფით გააკვირვეს, მაგრამ თვით ბოშებისათვის ეს ჭილოფი მხოლოდ და მხოლოდ გასართობი იყო და არა მიმოსვლის საუკეთესო საშუალება, რომლის გაუმჯობესებასაც მომავალში დიდ წვლილს შეიტანდა ხალხთა დაახლოების საქმეში. მაკონდოელებმა, რა თქმა უნდა, უკანასკნელი გროშებიც კი არ დაიშურეს, რათა სოფელს გადაფრენოდნენ თავზე. ამ საერთო არეულობაში ხოსე არკადიოსა და პილარისთვის არავის ეცალა და ისინიც სრულ თავისუფლებაში ცურავდნენ. ხალხის ბრბოში დაკარგულებს თავი ბედნიერ შეყვარებულებად მიაჩნდათ. მხოლოდ აქ მიხვდნენ, სიყვარული მარტო საიდუმლო ღამეებში განცდილი შმაგი წუთიერი ტკბობა კი არა, დინჯი და უშფოთველიც ყოფილა თურმე.

მაგრამ პილარმა ვაჟის სიხარულს მალე შეუკვეცა ფრთები, რაკილა დარ-

[1] ინდიელები ეძახიან ერთგვარ ტროპიკულ მცენარეს, რომელსაც სამკურნალო თვისებები აქვს.

წმუნდა, უფრო სწორად, მოეჩვენა, ხოსე არკადიოს უჩემოდ სიცოცხლე არ შეუძლიაო, აღგა და ერთ მშვენიერ დღეს უცბად მთელი ქვეყანა დაამხო თავზე: ახლა კი ნამდვილი მამაკაცი ხარო, გამოუცხადა სატრფოს. ქალი ვერაფერს მიხვდა და პილარ ტერნერამაც ჩამოუმარცვლა:

— მალე შვილი გეყოლება.

ხოსე არკადიო რამდენიმე დღეს ვერ ბედავდა ლაბორატორიიდან გამოსვლას. საკმარისი იყო სამზარეულოდან პილარის გულიანი კისკისი მისწვდენოდა მის ყურთასმენას, რომ შეშინებული მაშინვე ჩაიკეტებოდა ლაბორატორიაში, სადაც ურსულას ლოცვა-კურთხევით კვლავ გაჩაღებულიყო მუშაობა. ხოსე არკადიო ბუენდიამ გაიხარა გზააბნეული შვილის დაბრუნებით და მაშინვე საიდუმლოდ გაანდო, „ფილოსოფიური ქვის" ამოცნობას მოვკიდე ხელიო. ერთ საღამოს ზედ ლაბორატორიის ფანჯრებთან კილობით ჩაიქროლეს ბოშამესაჭემ და რამდენიმე მაკონდოელმა ბიჭმა. ბიჭებმა ხელი დაუქნიეს ძმებს, რომლებიც პირდაღებული შესცქეროდნენ ამ საოცარ სანახაობას. ხოსე არკადიო ბუენდიას თავიც არ აუწევია. „იფრინონ, იფრინონ,— ჩაიბუზღუნა მან.— დადგება დრო და ჩვენ უფრო უკეთესი, მეცნიერულად აწყობილი მანქანით გავფრინდებით და არა ამ მათხოვრული ჭინჭით". ხოსე არკადიო მოგონილი გულისყურით ცდილობდა ჩასწვდენოდა „ფილოსოფიური კვერცხის" არსს, მაგრამ მაინც ვერაფრით გაეგო, რას წარმოადგენდა იგი და ბოლოს და ბოლოს დაასკვნა: ეს არის ერთი უხეიროდ ჩამოსხმული ბოთლი და მეტი არაფერიო. ლაბორატორიაში მუშაობას მისთვის დიდი შვება არ მოუტანია. მადა დაეკარგა და მოიწყინა: მამამისსაც ასე სჩვეოდა ყოველი ახლად წამოწყებული საქმის ჩავარდნის მერე. ხოსე არკადიო ბუენდიამ შვილის უგუნებობა რომ შეამჩნია, იფიქრა, ალბათ ალქიმიამ გადაღალაო და ლაბორატორიაში მუშაობისაგან გაათავისუფლა. მამისაგან განსხვავებით აურელიანო მიხვდა, „ფილოსოფიური ქვის" კვლევა-ძიება კი არა, სხვა რამ უღრღნიდა მის ძმას გულს, მაგრამ აქამდე გულახდილ ხოსე არკადიოს ახლა სიტყვაც ვერ დააცდენინა თავის წუხილზე. წინანდელი მეგობრული სიახლოვე, წინანდელი ხალისი სადღაც გამქრალიყო და მის ნაცვლად გულჩახვეულობასა და მტრობას დაესადგურებინა ძმის არსებაში.. მარტოობის წყურვილით შეპყრობილმა და მთელ ქვეყნიერებაზე შემომწყრალმა ხოსე არკადიომ ერთხელ ღამით კვლავ მიატოვა თავისი საწოლი და პილარ ტერნერას ნაცვლად ბოშათა ბანაკისკენ გასწია, სადაც უსაქმურებს მოეყარათ თავი. ვაჟმა გულგრილად ჩაუარა ათასნაირ საეშმაკო გასართობსა და სანახაობას, თვალი არც ერთისკენ არ გაქცევია, მაგრამ ბუშის მძივების სიმძიმისაგან ლამის წელში მოხრილი ერთი ბოშა ყმაწვილი ქალი რომ დაინახა, მაშინ კი შედგა უცებ. ასეთი მზეთუნახავი ხოსე არკადიოს ჯერ არ ენახა. ქალიშვილი ბრბოში იდგა და ნაღვლიან სურათს შესცქეროდა — დედ-მამის ურჩი შვილი გველად გადაქცეულიყო.

ხოსე არკადიომ არც კი შეხედა საბრალო კაცს. ვიდრე ხალხი გველკაცის ნაღვლიან ამბავს ისმენდა, ხოსე არკადიომ ჯიკავ-ჯიკავით გაიკვლია გზა ბრბოში და ბოშა ქალიშვილის უკან დადგა. ქალიშვილმა წინ წადგა ნაბიჯი. ვაჟიც მიჰყვა და უფრო მიეკრო ზურგზე. მაშინ იგრძნო ყმაწვილმა ქალმა, რომ უკან კაცი ედგა. შიშისა და გაოცებისაგან აკანკალებული გაყუჩდა, იქნებ მოვტყუვდიო. მერე მოტრიალდა და მორცხვად გაუღიმა ხოსე არკადიოს. ამა-

სობაში ბოშებმა გველკაცა გალიაში შეაგდეს და კარავში შეიტანეს.

ერთ-ერთმა ბოშამ გამოაცხადა:

— ბატონებო და ქალბატონებო, ახლა საშინელი სანახაობის მოწმენი გახდებით ყველანი, გიჩვენებთ ქალს, ვისაც აგერ უკვე ას ორმოცდაათი წელიწადია ყოველღამ ამ დროს თავს კვეთენ იმისათვის, რომ მან [illegible] არ უნდა ენახა!

ბიბლიოთეკა

ხოსე არკადიო და ქალიშვილი თავის მოკვეთას არ დაესწრნენ. ისინი უკვე კარავში იყვნენ და გახელებული ჰკოცნიდნენ ერთმანეთს და თან ტანსაცმელს იხდიდნენ. ქალიშვილმა ჯერ ერთი ქვედა კაბა გაიხადა, მერე მეორე, მესამე... უსარგებლო კორსეტიც მიაყოლა მაქმანგაყვითლებულ უამრავ ქვედა კაბას, შუშის მძივებიც მოიხსნა და სინამდვილეში არც არაფერი დარჩა მისგან. მერე ეს გალეული, ძვალტყავა პატარა ბაყაყი, — რომელსაც ერთი ციცქნა მკერდი და ხოსე არკადიოს მკლავებთან შედარებით უფრო წვრილი ფეხები ჰქონდა, —ისეთ ცეცხლს აფრქვევდა, სულ რომ არ შეეფერებოდა მის სიგამხდრეს. სამწუხაროდ, ხოსე არკადიოს ერიდებოდა ალერსზე ალერსითვე ეპასუხა, კარავში წამდაუწუმ შემოდიოდნენ ბოშები, ზოგს შემოჰქონდა, ზოგსაც გაჰქონდა რაღაცა. ერთი ბოშა მუხლის გასამართავად პირდაპირ მათ საწოლთან ჩაჯდა იატაკზე, ესეც არ იყოს, შუა კარავში დაკიდული ლამპის შუქიც ყველა კუთხე-კუნჭულს სწვდებოდა. ბოშა ქალიშვილი ამაოდ ცდილობდა სისხლი აეჩქროლებინა, სურვილით აეგზნო ტახტზე ულონოდ გაშხლართული დედიშობილა ხოსე არკადიო. ამასობაში კარავში ფაშფაშა ბოშა ქალი შემოვიდა ვიღაც კაცთან ერთად. კაცი ბოშა არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ არც აქაურობა ეტყობოდა. ორივენი იქვე ზედ მათ ტახტთან გაშიშვლდნენ უცებ. ფაშფაშა ქალმა შემთხვევით დახედა ხოსე არკადიოს და აღტაცება მოჰგვარა მისმა მოზრდილმა მძინარე მხეცმა.

— ბიჭიკო, — შესძახა მან, — ღმერთმა შეგარჩინოს ეგა!

ხოსე არკადიოს გოგომ მოსულებს უთხრა, ხელს ნუ გვიშლითო და ისინიც ტახტთან, იატაკზე მოკალათდნენ. ბოლოს და ბოლოს სხვისი ვნების დანახვაზე ხოსე არკადიოსაც გაეღვიძა სურვილი, ქალიშვილს მძლავრად ჩაავლო ხელი და მის ძვლებს ისეთი ტკაცუნი აუტეხა, კაცს ეგონებოდა, დომინოს კენჭები მიმოიფანტნენ იატაკზეო. გოგოს თვალები ცრემლით აევსო, სხეულმაც თითქოს ამოიკვნესა და შლამის სუნი აუვიდა ოდნავ. მაგრამ მაინც გმირულად გაუძლო ვაჟის პირველ შეტევას, რაც აღტაცების და ქების ღირსი იყო ნამდვილად. ხოსე არკადიოს ეჩვენებოდა, სადღაც მაღლა სამოთხის ღრუბლებში დავფრინავო, გულში აღარ ეტეოდა უნაზესი უხამსი სიტყვები, რომლებიც ქალიშვილის ყურში მიიკვლევდნენ გზას, ხოლო შემდეგ ქალიშვილისვე პირიდან ამოდიოდნენ ქალიშვილისვე ენაზე თარგმნილი. ეს ამბავი მოხდა ხუთშაბათს. შაბათ ღამეს კი ხოსე არკადიომ თავი წითელი ხილაბანდით გაიკრა და ბოშებთან ერთად დატოვა მაკონდო.

პირველად ურსულამ მოისაკლისა შვილი, ახლომახლო რომ ვერსად ნახა, მერე მთელ სოფელში დაუწყო ძებნა. ბოშათა კარვების ადგილას ნაგავი და ჯერ კიდევ მხრჩოლავი ნაცარი დაუხვდა. ერთი მაკონდოელი კაცი ბოშათა ბანაკში დაბორიალობდა თურმე, იქნებ შუშის მძივები მაინც ვიპოვოო. სწორედ იმას დაუნახავს, წინა ღამით ხოსე არკადიო როგორ მიათრევდა ორთვალას, რაზედაც გველკაცას გალია იყო შედგმული. „ბოშა გახდა!“ — შესძახა

სასოწარკვეთილმა ურსულამ ქმარს, რომელიც სულაც არ აუღელვებია უფროსი შვილის გადაკარგვას.

— სწორადაც მოიქცა, — ხოსე არკადიო ასჯერ დაფქვულ-გადაფქვულ და გაცხელებულ-გადაცხელებულ რაღაც ნაერთს სრესდა. — საბოლოოდ ნამდვილი მამაკაცი გახდება.

ურსულამ გამოიკითხა, საით წავიდნენ ბოშებიო და მერე, რუქებს კითხვა-კითხვით დაეწიოო, ისიც გზას დაადგა. ამ ძებნასა და დევნაში ისე გაერთო, რომ ბოლოს მიხვდა, სოფელს კარგა მანძილზე დაშორებოდა და ერთბაშადაც გადაწყვიტა, ახლა უკან დაბრუნება აღარ ღირსო.

ხოსე არკადიო ბუენდიას არც შეუმჩნევია ცოლის შინ არყოფნა, მაგრამ მოსაღამებულს, ის იყო თავისი ნაერთი ნეხვის საფენზე დადო გასათბობად, რომ ამარანტას გულისწამღები უღონო ჩხავილი მოესმა. ნეტავ ამდენ ხანს რას ატირებენო, გაიფიქრა და ბავშვის ოთახისაკენ გასწია. მერე დიდხანს აღარც უცდია, ამარანტა ერთ ქალს ჩააბარა და თვითონ კი იარაღასხმულ თანასოფლელებთან ერთად გაუვალ ბილიკებს დაადგა ცოლის საძებნელად. აურელიანოც თან წაიყვანა. განთიადისას ინდიელმა მეთევზეებმა მდევრებს ხელებით მიანიშნეს, აქ არავის გაუვლიაო. სამი დღის უშედეგო ძებნის შემდეგ მაკონდოელები შინ დაბრუნდნენ.

ხოსე არკადიო ბუენდია კარგა ხანს დარდობდა ცოლს, ამარანტას დედასავით უვლიდა, ბანდა, საფენებს უცვლიდა, დღეში ოთხჯერ მიჰყავდა მეძუძურ ქალთან და ასე გასინჯეთ, ძილის წინ ნანასაც უმღეროდა, რაც ურსულას სულ არ ემარჯვებოდა. ერთ დღეს პილარ ტერნერამ ხოსე არკადიო ბუენდიას შესთავაზა, ურსულას დაბრუნებამდე მე მოვუვლი სახლ-კარსო, მაგრამ აურელიანომ, — ვისი იდუმალი ინტუიციაც ცხოვრებამ უძვე გამოაწრთო და გამოაბრძმედა, — როგორც კი ეს ამბავი გაიგო, თითქოს გონება გაუნათდაო, მიხვდა, სადღაც ამ ქალს მიუძღვის ბრალი ჩემი ძმისა და დედის გადაკარგვაშიო და ისე მტრულად და გამეხებული დაუხვდა, რომ პილარ ტერნერა აღარც გამოჩენილა მეტად.

დრომ ყველა სატკივარი განკურნა. ხოსე არკადიო ბუენდიამ და მისმა ვაჟმა ვერც კი შეამჩნიეს, ისე აღმოჩნდნენ კვლავ ლაბორატორიაში. მტვერი გადაწმინდეს, ღუმელში ცეცხლი გააჩაღეს და რამდენიმე თვის წინ ნეხვის საფენებზე მიტოვებული ნაერთის დამუშავებას მიჰყვეს ხელი. ამარანტას იფნის წნელებით მოწნული კალათაც იქვე ედგათ ხოლმე ვერცხლისწყლის ანაორთქლით გაჟღენთილ ლაბორატორიაში. ბავშვი გაფაციცებული შესცქეროდა საქმეში გართულ მამასა და ძმას. ურსულას გადაკარგვიდან თვეც არ იყო გასული, რომ ლაბორატორიაში უცნაური ამბები ხდებოდა. კარგა ხნის წინ კარადაში შედგმული ცარიელი ბოთლი ახლა ისე დამძიმებულიყო, კაცი ვერ დაძრავდა ადგილიდან. სამუშაო მაგიდაზე მდგარ ქვაბში წყალი თავისით, უცეცხლოდ აჩუხჩუხდა და იქამდე დუღდა, ვიდრე ბოლო წვეთიც არ აორთქლდა. თუმცა მამა-შვილს ვერაფრით აეხსნა ეს უცნაური მოვლენები, მაინც გახარებული ვარაუდობდნენ, რაღაც ახალს მივაგენითო. ერთ მშვენიერ დღეს ამარანტა თავის კალათიანად უცბად მაღლა-მაღლა ავიდა ჰაერში, და ოთახში წრე შემოხაზა. იმ დროს, როცა გაოცებული აურელიანო ცდილობდა კალათა დაეჭირა, ხოსე არკადიო ბუენდია უშფოთველად იდგა, მერე კალათა

შეაჩერა, თავის ადგილზე დადგა და მაგიდის ფეხს გამოაბა. იგი საბოლოოდ დარწმუნდა, მათი ოცნება მალე ფრთებს შეისხამდა და შვილს უთხრა:

— ღმერთისა თუ არ გეშინია, ლითონისა გეშინოდეს.

ხუთი თვის მერე გამოჩნდა ურსულა. აღგზნებულსა და გახალგაზრდავებულს ისეთი კაბა ჩაეცვა, სოფელში რომ არავის ენახა. ხოსე არკადიო ბუენდია ლამის არ გაგიჟდა სიხარულისაგან. „ესეც ასე! სწორედ ისე მოხდა, როგორც ვფიქრობდი!" — თქვა მან და ეს იყო მართალი. ის ხომ ლაბორატორიაში თავის ცდებზე ხანგრძლივი მუშაობისას სულის სიღრმეში ღმერთს დღენიადაგ ევედრებოდა, არ მინდა ფილოსოფიური ქვის აღმოცენება, არც ბოქლომ-ანჯამების ოქროდ გადაქცევა. მინდა, თუ სადმე ხარ, უფალო, ერთი საოცრება მომივლინოო და მართლაც, ეს საოცრება გახლდათ ის, რაც ახლა მოხდა — ურსულას დაბრუნება. სამაგიეროდ ცოლს არ გაუზიარებია ქმრის მღელვარება და სიხარული. ისე ჩვეულებრივ აკოცა ქმარს, თითქოს ერთი საათის უნახავი ყოფილიყვნენ მხოლოდ. მერე უთხრა:

— აბა ერთი გამოდი გარეთ.

ხოსე არკადიო კარგა ხანს ვერ გამოერკვა, თავის სახლის წინ რომ თავშეყრილი უამრავი ხალხი დაინახა. ისინი ბოშები არ იყვნენ, ჩვეულებრივი ქალები და კაცები იყვნენ, მაკონდოელებს ჰგავდნენ, მათსავე ენაზე ლაპარაკობდნენ და მათივე სატკივარი სტკიოდათ. იქვე ნაირ-ნაირი სანოვაგით, ფუთებითა და არსებობისთვის საჭირო ჭკვიანური და უეშმაკო საოჯახო ნივთებით დატვირთული ჯორები ისე იდგნენ, გეგონებოდათ, ეს ყველაფერი ბაზრობაზე გამოუტანიათ გასაყიდადო. ეს ხალხი ხეობის გაღმა მხრიდან წამოსულიყო. იქამდე სულ ორი დღის სავალი იყო, მაგრამ იქაურ ქალაქებში ყოველთვე იღებდნენ ფოსტას და ხალხიც მანქანებით დაიარებოდა. თუმცა ურსულა ბოშებს ვერ დაეწია, სამაგიეროდ ის გზა იპოვა, რომელსაც უდიდესი აღმოჩენებით გატაცებულმა მისმა ქმარმა ვერ მიაგნო.

პილარ ტერნერას ვაჟიშვილი ორი კვირის მოვლენილი იყო ამქვეყნად, როცა ბებიისა და პაპის სახლში მიიყვანეს. ურსულას სულაც არ ეჭაშნიკა ეს ამბავი, მაგრამ რას იზამდა. ვერც ახლა აღუდგა წინ ქმრის ნება-სურვილს, ბუენდიების ნაშიერი ბედის ანაბარა როგორ მიეაგდოთო. ურსულამ ერთი პირობა კი ჩამოართვა ქმარს, ბავშვისათვის არასოდეს გაემხილათ თავისი ნამდვილი წარმოშობა. ბიჭს ხოსე არკადიო დაარქვეს, მაგრამ პაპისა და მამის სახელებში რომ არ არეოდათ, უბრალოდ არკადიოს ეძახდნენ. იმხანად მაკონდოელებმა მეწარმეობას მოჰკიდეს ხელი და ბუენდიების სახლშიც ისეთი ალიაქოთი იდგა, ბავშვებისათვის არავის ეცალა. მათი აღზრდა მიანდეს ვისიტასიონს, გუახიროს ტომის ინდიელ ქალს, რომელიც ძმასთან ერთად ჩამოსულიყო მაკონდოში. ორივენი გამოქცეოდნენ საშინელსა და გადამდებ სენს — უძილობას, რომელიც უკვე რამდენიმე წელიწადია მძვინვარებდა მათ მხარეში. და-ძმა მშრომელი და დაუზარელი ადამიანები იყვნენ, ამიტომაც მოიყვანა ურსულამ ისინი. საქმეში ხელს წამაშველებენო. სწორედ ამ და-ძმის წყალობით იყო, ამარანტა და არკადიო გუახიროს ენაზე უფრო ადრე რომ ატიკტიკდნენ, ვიდრე ესპანურზე. სწორედ მათ მიაჩვიეს ბავშვები ხვლიკის წვნიანისა და ობობის კვერცხების ჭამას. ურსულა ისე ჩაფლულიყო შაქარყინულის ჩიტუნებისა და ცხოველების წარმოებაში, ისე გაიტაცა საოფიანმა

ვაჭრობამ, რომ სულაც არ შეუმჩნევია ეს ამბავი. ამასობაში მაკონდომ მთლად იცვალა სახე. ურსულას მოყვანილმა ხალხმა ქვეყანას მოსდო აქაური მიწის მადლისა და სიკეთის ამბავი და მალე მაკონდო ერთ დიდ აურზაურებულ ქალაქად გადაიქცა თავისი დუქან-სახელოსნოებით და რაც მთავარია, მოსახერხებელი სავაჭრო გზის წყალობით. ამ გზამ მოიყვანა პირველად მაკონდოში ყურში რგოლგაყრილი და ქუსლამოჭრილი ფეხსაცმლით მოსული არაბები, რომლებმაც ჩამოსვლისთანავე მიჰყვეს ხელი შუშის ყელსაბამების გაცვლას თუთიყუშებზე. ხოსე არკადიო ბუენდიას წამით არ ჰქონდა მოცლა. ახალი რეალური ცხოვრებით მოხიბლულსა და ატაცებულს, რომელიც უფრო ფანტასტური ეჩვენებოდა, ვიდრე საერთოდ წარმოიდგინა, — გახედვა აღარ უნდოდა თავისი ალქიმიური ლაბორატორიისკენ და თვეების მანძილზე ათასნაირი გადაკეთება-გადმოკეთებით დაღლილ-განაწამებ ნაერთებს, როგორც იქნა, დასვენების საშუალება უბოძა. იგი კვლავ იმ საქმიან და დაუზარელ კაცად იქცა, ოდესღაც რომ ფიქრობდა, ქუჩები ისე გონივრულად გაეყვანა, სახლებიც ისე აეშენებინა, ყველა მოსახლისათვის ერთნაირად ხელსაყრელი ყოფილიყო ერთიცა და მეორეც. ახალმოსახლენი დიდ პატივს სცემდნენ ხოსე არკადიო ბუენდიას. მისი რჩევის გარეშე არც ერთი საძირკველი არ გათხრილა, არც ერთი სვეტი არ ჩასობილა, ის კი არადა, მიწების გადაზომვაც მას დაავალეს. როდესაც მაკონდოს კვლავ ესტუმრნენ ღინბაზი და ტაკიმასხარა ბოშები და ამჯერად აზარტული თამაშების სწავლას შეჰპირდნენ აქაურებს, ყველანი მხიარული ყიჟინით შეხვდნენ, ეგონათ, ხოსე არკადიო ბუენდიაც გაიზიარებდა მათ სიხარულს, მაგრამ იგი არსად ჩანდა, არსად ჩანდა გველკაცაც. ურსულას სწამდა, იგი ერთადერთი კაცი იყო, ვინც ხოსე არკადიოს ასავალ-დასავალი იცოდა. მალე ბოშებს გამოუცხადეს, მაკონდოში გეკრძალებათ გაჩერება და საერთოდ მომავალშიც თქვენი ფეხი არ ვნახოთ აქო. ახლა უკვე მაკონდოელები ბოშებს იხსენიებდნენ, როგორც უბედურებისა და სიხარბის მომტანთ. ხოლო რაც შეეხება მელკიადესის უძველეს ტომს, — აღნიშნა ხოსე არკადიო ბუენდიამ, — თავისი ათასწლეული სიბრძნითა და საოცარი აღმოჩენებით დიდად შეუწყო ხელი მაკონდოს აღორძინებას და თუკი ოდესმე გვესტუმრებიან, გულღიად და ხელგაშლილი დავხვდებითო. მაგრამ მაკონდოში გზად გავლილ მოგზაურთა და მოხეტიალეთა თქმით, მელკიადესის ტომი კარგა ხნის წინ აღგვილა პირისაგან მიწისა, რამეთუ მათ გაბედეს და გადააბიჯეს ადამიანთა წარმოსახვისათვის დაწესებულსა და დაკანონებულ ყოველგვარ საზღვრებს.

ხოსე არკადიო ბუენდიამ, როგორც იქნა, თავი დააღწია თავისი უსაზღვრო ფანტაზიის მტანჯველ ტყვეობას. ყოველ შემთხვევაში, დროებით მაინც. მოკლე ხანში თითქმის მთელი ქალაქი ჩააბა შრომის ფერხულში. ყველგან და ყველაფერში წესრიგი სუფევდა; მხოლოდ ერთხელ დაირღვა სიმშვიდე და ისიც თვითონ ხოსე არკადიო ბუენდიას მიზეზით: მან გალიებიდან გამოაშვებინა ჩიტები, მაკონდოს დაარსების დღიდანვე დროს რომ ამცნობდნენ ხალხს თავიანთი წკრიალა ჭიკჭიკით და ჩიტების ნაცვლად ყოველ სახლში გამართა მუსიკალური საათი. ეს ლამაზი მოჩუქურთმებულ ხის ჩარჩოში ჩასმული საათები არაბებს გაუცვალა თუთიყუშებში. მან ისე მომართა საათები, რომ ყოველ ნახევარ საათში ქალაქი გაეხალისებინა ერთ-ერთი ვალსის დასაწყის აკორდებს, ხოლო შუადღისას კი მთელი ვალსი დაეკრა ტკბილხმოვანი და

უშეცდომო. ხოსე არკადიო ბუენდიამ ითავა აგრეთვე ქუჩებში აკაციების ნაცვლად ნუშის ხეები დაერგოთ. მანვე გამოიგონა ისეთი რამ, ნუშის ხეებს მარადიულ სიცოცხლეს რომ ანიჭებდა და ეს საიდუმლო ისე ჩაიტანა საფლავში, არც არავისთვის გაუმხელია. მრავალი წლის მერე, როცა მაკონდო თუნუქის სახურავიანი ხის სახლებით აივსება, მის ძველისძველ ქუჩებში კვლავაც იყვავილებს თეთრად დამტვერილი ტოტებგაბარჯგული [illegible] ხსოვნით კი აღარავის ემახსოვრება, ვისმა ხელებმა დარგო ეს სიმშვენიერე.

ვიდრე მამა ქალაქის კეთილდღეობაზე ზრუნავდა, ხოლო დედა ოჯახში ფუსფუსებდა და უგემრიელეს შაქარყინულის მამლებსა და თევზებს ამზადებდა, რომლებიც შემდეგ დღეში ორჯერ მიჰქონდათ ქალაქში გასაყიდად,— აურელიანო მთელი დღე არ სცილდებოდა ლაბორატორიას და ამასობაში ცნობისწადილით შეპყრობილმა ნელ-ნელა შეისწავლა კიდეც ოქრომჭედლის ხელობა. ბიჭმა ისე სწრაფად აიყარა ტანი, რომ მალე ძმის ტანსაცმელი აღარ რგებდა და მამისას იცვამდა. მაგრამ აურელიანო ახოვნებაში ჯერ კიდევ ჩამორჩებოდა მამასაც და ძმასაც და ვისიტასიონი უვიწროებდა ხოლმე შარვალ-ხალათს. ჭაბუკობის ხანაში შესულ აურელიანოს ხმა დაუბოხდა, გულჩახვეული გახდა და საბოლოოდ ჩაიკეტა აკუთარ მარტოობაში. გამოხედვა ისეთივე დაძაბული გაუხდა, ჯერ კიდევ ახალშობილს რომ შეამჩნია ურსულამ. აურელიანო ისე გაიტაცა ოქრომჭედლობამ, რომ მხოლოდ საჭმელად თუ გამოვიდოდა სახელოსნოდან. ხოსე არკადიო ბუენდიას გულს უკლავდა შვილის გარიყულობა და ფული და სახლის გასაღები მისცა, იქნებ ქალი მოისურვილოსო. აურელიანომ ფულით მარილმჟავა იყიდა, გასაღები კი ოქროში ამოავლო. და მაინც მისი უცნაურობა მონაგონი იყო არკადიოსა და ამარანტას უცნაურობასთან. ისინი უკვე სარძევე კბილებს იცვლიდნენ, მაგრამ კვლავ ინდიელებს დაჰყვებოდნენ კუდში და კვლავ გუახიროს ენაზე ლაპარაკობდნენ. „ვერავის დააბრალებ, — უთხრა ურსულამ ქმარს, — რას იზამ, მშობლების ცოდვა შვილებზე გადადის მეშკვიდრეობად". ურსულამ დაარწმუნა საკუთარი თავი, ჩემი შვილების უცნაური ხასიათი გოჭის კუდზე უარესი თუ არა, არც ნაკლებიაო და ის იყო, უნდა დაეჩივლა, რა უბედური ვარო, რომ უცებ აურელიანო ისე მიაშტერდა, ქალი შეცბა.

— ვიღაც მოვა, — თქვა აურელიანომ.

სხვა დროსაც, როცა კი აურელიანო წინასწარ გამოაცხადებდა რამეს, ურსულა ცდილობდა ყოველივე უბრალოდ და მარტივად აეხსნა შვილისთვის. ახლაც დაამშვიდა, რა მოხდა მერე, ვინმე თუ მოდის; დღე ერთია და მაკონდოში ათასი მიმსვლელ-მომსვლელია. ყველაფერს გულთან ხომ ვერ მივიტანთ, ან რა საჭიროა წინასწარ ავიტკივოთ თავი იმაზე ფიქრით, ვიღაცა მოდისო. — მაგრამ აურელიანოზე არც ახლა იმოქმედა ამ სიტყვებმა და ჯიუტად გაიმეორა:

— ვინ მოვა, არ ვიცი, მაგრამ გზაში რომ არის, ის კი ვიცი.

და მართლაც, კვირა დღეს მოევლინათ რებეკა. გოგონა თერთმეტი წლისა იქნებოდა. მანაურედან დიდი გზა გამოევლო ტყავით მოვაჭრეებთან ერთად, როგორც ამ ვაჭრებმა თქვეს, მანაურეში ვიღაც კაცს უთხოვია, ეს გოგო ხოსე არკადიო ბუენდიას სახლში მიიყვანეთ და ეს წერილიც გადაეცითო. ამ კაცის სადაურობა და ვინაობა ვაჭრებმა არ იცოდნენ. გოგოს მთელი ავლადიდება გახლდათ პატარა ზანდუკი, ასევე პატარა, ყვავილებით დაჩითული ხის

სარწეველა სავარძელი და ერთიც ტომარა, საიდანაც გოგონას მშობლების ძვლების რაკარუკი ისმოდა წამდაუწუმ. ხოსე არკადიო ბუენდიას ის ვიღაცა უცნობი კაცი ზედმიწევნით თავაზიანად სწერდა: მიუხედავად დროისა და მანძილის სიშორისა, კვლავ მხურვალედ მიყვარხართ და თავს მოვალედ ვრაცხ უბრალოდ, ადამიანურობის გამო მოვიმოქმედო ეს ფრიად კეთილშობილური საქმე — გამოგიგზავნოთ საბრალო, მიუსაფარი ობოლი გოგონა ურსულას ბიძაშვილი და რაღა თქმა უნდა, ამავე დროს თქვენი შორეული ნათესავიც, რამეთუ იგი ღვიძლი შვილია თქვენი დაუვიწყარი მეგობრის ნიკანორ ულოასა და მისი ღირსეული თანამეცხედრის რებეკა მონტიელისა, რომლებიც ღმერთმა იხმო ზეციურ სასუფეველში და რომელთა ძვლებიც თან ერთვის ამ წერილს დიდი თხოვნით — ქრისტიანული წესით მიაბაროთ მიწას. თუმცა წერილის ბოლოში სახელი და გვარი გარკვევით იყო გამოყვანილი, ვერც ურსულამ და ვერც ხოსე არკადიო ბუენდიამ ვერ გაიხსენეს ამ გვარისა და სახელის ნათესავი კი არა, საერთოდ უბრალო ნაცნობიც კი და ისიც შორეულ მანაურეში! მერე იფიქრეს, იქნებ თვითონ გოგონამ გაგვაგებინოს რამეო. მაგრამ ამაოდ: სახლში შესვლისთანავე იგი თავის სარწეველა სავარძელში ჩაჯდა და თითის წოვას მოჰყვა, თან შეშინებული შესცქეროდა ყველას თავისი დიდი თვალებით. სახეზე არაფერი ეტყობოდა, შეკითხვებისა ესმოდა თუ არა რამე. გაცრეცილი შავი კაბა და ტყავდამსკდარი ფეხსაცმელი ეცვა. თმა ყურსუკან ორ ბლუჯად გაეკრა შავი ბაფთებით. ყელზე ავგაროზი ეკიდა —ოფლისგან დაბინდული სურათი, მარჯვენა ხელის მაჯაზე ავი თვალისგან დასაცავი თილისმა ჩამოეკონწიალებია — თითბრის წვრილ ჯაჭვზე გამობმული რომელიღაც ნადირის ეშვი. მომწვანო კანსა და დოლივით გამობერილსა და მკვრივ მუცელზე ეტყობოდა, სუსტი ჯანისა იყო და დიდი ხნის შიმშილობა სჭირდა. და მაინც საჭმელს პირი არ დააკარა, უძრავად იჯდა, მუხლზე დადებულ თეფშსაც არ ახლო ხელი ბუენდიებმა იფიქრეს,ალბათ ყრუ-მუნჯიაო. მაგრამ როცა ინდიელებმა გოგოს ჰკითხეს, ხომ არ გწყურიაო, მან თვალები ისე გადაატრიალა, თითქოს ანიშნა, გავიგეო და თანხმობის ნიშნად თავი დაიქნია.

სხვა გზა მაინც არ იყო და გოგონაც დაიტოვეს. ვერაფრით გაიგეს, რა ერქვა სახელად. აურელიანომ რომელი სახელიც არ ჩამოთვალა, გოგონას არც ერთზე არ მიუნიშნებია, ეს მქვიაო. ბოლოს ადგნენ და როგორც წერილის მიხედვით გაიგეს, დედამისის სახელი —რებეკა დაარქვეს. რაც შეეხება ძვლებიან ტომარას, გადაწყვიტეს, ჯერჯერობით გადაენახათ სადმე კუნჭულში, რადგან მაკონდოში ჯერ არავინ მომკვდარიყო და, რაღა თქმა უნდა, არც სასაფლაო ჰქონდათ. ხან სად წააწყდებოდნენ ხოლმე ამ ტომარას და ხან სად, არაკუნებული და კრუხივით აქოთქოთებული ზოგჯერ ისეთ ადგილზეც ხვდებოდათ, სულ რომ არ ელოდნენ. ბევრჯა წყალმა ჩაიარა, ვიდრე რებეკა ამ ოჯახს შეეჩვეოდა. პირველად, ჩვეულებად ჰქონდა, სადმე მოფარებულში თავის სავარძელში ჩამჯდარიყო და თითი ეწოვა. არაფერს არ აქცევდა ყურადღებას, მხოლოდ მაშინ, როცა საათი ღარეკავდა ხოლმე, ისე შეშინებული იცქირებოდა ირგვლივ, თითქოს სურდა ჰაერში დაეჭირა ეს ხმები. დიდხანს ვერ მიაჩვიეს ჭამას. ყველას უკვირდა, ამდენი შიმშილობისაგან როგორ ედგა სული ამ პატარა გოგოს. ბოლოს ინდიელებმა, — უჩუმრად რომ დაბიჯებდნენ ოთახებში, — აღმოაჩინეს, რომ რებეკას თურმე მიწა და კირი ყვარებია და სწორედ მაშინ წაასწრეს, ფრჩხილებით რომ ფხაჭნიდა კედლიდან კირს. ეტყობა,

იქ, თავის სოფელში გოგონას ამ ცუდი ჩვევისათვის სჯიდნენ და აქაც. იცოდა, დანაშაულს სჩადიოდა და ცდილობდა სხვათა თვალს მოფარებულს დაეღრღნა კედლები ან ჩამონაფხაჭნი კირი მალულად გადაენახა, რათა შემდეგ სადმე კუნჭულში მიყუჟულს მშვიდად შეეჭამა. რებეკას მოთვალთვალე დაუყენეს. ეზოში მიწას ძროხის ნაღველა მოასხეს, კედლებს [illegible] ცხარე პილპილი მოუსვეს, ეგონათ, გადაეჩვეოდა მიწისა და კირის ჭამას, მაგრამ გოგონას ვერ აჯობეს ეშმაკობაში და ურსულაც იძულებული გახდა უკიდურესი ზომებისათვის მიემართა. მან ფორთოხლის წვენითა და რევანდით სავსე ქვაბი მთელი ღამით გადგა ცვარში. დილით კი რებეკას დაალევინა უზმოზე. ურსულასათვის არავის ესწავლებია მიწის ჭამის საწინააღმდეგო წამალი. თვითონ მოიფიქრა და დაადგინა, ცარიელ კუჭში ჩასული ყველანაირი მწარე სითხე ღვიძლის შეტევას გამოიწვევსო. თუმცა გარეგნულად რებეკა სუსტი და უღონო არსება ჩანდა, წამლის დალევისას ისეთი ძალა გამოიჩინა, რომ ყველას გაუკვირდა: ირქინებოდა ,იკაწრებოდა, იკბინებოდა, იფურთხებოდა და თან წამდაუწუმ გაუგებარ სიტყვებს ისროდა. „ვოგო ისე უწმაწურად იგინება, ამაზე უარესი გინება არც არსებობს გუახიროს ენაზე", — თქვეს გამწყრალმა ინდიელებმა. ურსულა მთლად გაგიჟდა, ქამრით ვასწავლი ჭკუასო. ერთი სიტყვით, ბოლოს და ბოლოს ვერავინ გაიგო, რომელმა იმარჯვა — რევანდმა, ქამარმა თუ ორივემ ერთად. მხოლოდ ერთია ცხადი: რამდენიმე კვირაში რებეკას გამოჯანმრთელება დაეტყო, არკადიოსა და ამარანტასთან დაიწყო თამაში. პატარებისთვის რებეკა უფროსი დასავით იყო. საჭმელს უკვე გემრიელად მიირთმევდა და დანა-ჩანგალსაც მშვენივრად იმარჯვებდა ხელში. თანდათანობით გაირკვა, რებეკა თურმე ისევე კარგად ლაპარაკობდა ესპანურად, როგორც ინდიელთა ენაზე, ძალზე ეხერხებოდა ხელსაქმე და საათის ვალსსაც მღეროდა თავისსავე მოგონილ სიტყვებზე. მალე იგი ოჯახის ნამდვილი წევრი გახდა. ურსულას საკუთარი შვილებიც კი არ ეფერებოდნენ რებეკასავით. ამარანტას დაიკოს ეძახდა, არკადიოს — ძამიკოს, აურელიანოს — ბიძიას, ხოსე არკადიო ბუენდიას — ბაბუკოს. ერთი სიტყვით, რებეკამ ნამდვილად დაიმსახურა ბუენდიების გვარი, რომელიც ღირსეულად ატარა მან სიკვდილამდე.

ერთხელ ღამით, უკვე მას შემდეგ, რაც რებეკა გადაეჩვია კირის ჭამას და პატარების ოთახში გადაიყვანეს, ინდიელი ქალი, ბავშვებთან რომ იწვა, გამოაღვიძა ოთახის ერთ კუთხეში უცნაურმა, წყვეტილმა ხმამ. ვაითუ რამე ცხოველი შემოიპარაო, ქალი შეშინებული წამოხტა და... დაინახა: რებეკა სავარძელში ჩამჯდარიყო, თითი პირში ჩაეყო და თვალებს კატასავით აცეცებდა ბნელში. შიშით გაქვავებულმა ვისიტასიონმა რებეკას თვალებში იმ სნეულების ნიშნები ამოიკითხა, რის გამოც მან და მისმა ძმამ, ტახტის მომავალმა მემკვიდრეებმა, სამუდამოდ მიატოვეს ინდიელთა ძველი სამეფო და ამ მხარეში გადმოიხვეწნენ. უძილობამ ბუენდიების სახლშიც მოიკიდა ფეხი.

ინდიელმა კატაურემ გათენებას არც დაუცადა, ისე წავიდა მაკონდოდან. მისი და კი დარჩა. ფატალისტ ქალს სჯეროდა, სადაც არ უნდა წასულიყო, სადაც არ უნდა დამალულიყო, სულ ერთია, უკუღმართ ბედისწერას ვერსად გაექცეოდა. ბუენდიებს ვერ გაეგოთ, რატომ შფოთავდა ვისიტასიონი. „არ დაგვეძინება? მერე რა მოხდა, უკეთესიც არის, — კმაყოფილებით ამბობდა ხოსე არკადიო ბუენდია, — ცხოვრებას ასე უფრო ბევრს გამოვრჩებით".

მაგრამ ინდიელი ქალი სასოწარკვეთილი უხსნიდა ყველას, ძილის უნარის დაკარგვა კი არ არის ყველაზე საშინელი სენი,— უძილობა არც დაგვეტყობაო,— საშინელებაა ის, რაც ამ უძილობას მოჰყვება — გულმავიწყობაო, როცა კაცს უძილობა შეეყრება და ფხიზლობს, მის მეხსიერებაში უპირველესად ბავშვობის მოგონებები ქრებიან უკვალოდ, მერე სახელები და საგანთა დანიშნულებანი ავიწყდება, შემდეგ ხალხს ვეღარ სცნობს და საკუთარი პიროვნებაც ეუცხოება. ერთი სიტყვით, წარსულს მოწყვეტილი კაცი სავსებით ყეყეჩდებაო. ხოსე არკადიო ბუენდიამ ბევრი იცინა, მორწმუნე ინდიელების გამოგონილია ეს ყველაფერიო. მაგრამ წინდახედულმა ურსულამ ყოველი შემთხვევისთვის მაინც დააშორა რებეკა თავის ბავშვებს.

რამდენიმე ხნის მერე, როცა ის იყო ვისიტასიონის შიში უსაფუძვლოდ მიიჩნიეს, ხოსე არკადიო ბუენდიამ უცბად შეამჩნია, რომ უკვე შუაღამე იყო, მას კი არ ეძინებოდა და საწოლში მოუსვენრად წრიალებდა. რა მოგივიდაო, ჰკითხა ურსულამ ქმარს. არც იმას ეძინა თურმე. ისევ პრუდენსიო აგილარზე ვფიქრობო, უპასუხა ქმარმა. ცოლ-ქმარს მთელი ღამე ერთი წუთითაც არ მოუხუჭავს თვალი, მაგრამ დილით უძილობა სულ არ ეტყობოდათ და თეთრად გათენებული ღამეც მალე გადაავიწყდათ. საუზმეზე აურელიანომ გაკვირვებულმა თქვა, წუხელ მთელი ღამე ლაბორატორიაში ვიჯექი, დედაჩემს დაბადების დღისათვის საჩუქარს ვუმზადებდი, გულსაბნევს ოქროში ვფერავდი, თვალი არ მომიხუჭავს, მაგრამ სულაც არ მეძინებაო. პირველად ყურადღება არავის მიუქცევია ამ ამბისთვის, მაგრამ მესამე დღეს დასაძინებლად რომ გაემზადნენ და ძილი არც ერთს არ მოეკარა, მაშინ კი მიხვდნენ, რომ უკვე ორმოცდაათ საათზე მეტი იყო, არ უძინიათ.

— არც ბავშვებს მოუხუჭავთ თვალი. რაკი ამ ჭირმა ფეხი შემოდგა სახლში, ვეღარავინ გადავურჩებით, — თქვა ინდიელმა ქალმა მისთვის ჩვეულ იდუმალ კილოზე.

და მართლაც, მთელ ოჯახს შეეყარა უძილობა. ურსულას დედამისისგან გაეგონა სამკურნალო ბალახების სიკეთე და აკონიტის ნაყენი მოამზადა. მერე ყველას ჩამოურიგა და დაალევინა, მაგრამ უძილობას მაინც არაფერი ეშველა. სამაგიეროდ მთელი დღე სიზმრებში იყვნენ. ძილღვიძარი მარტო საკუთარს კი არა, სხვათა სიზმრებსაც ხედავდნენ. გეგონებოდა, მთელი სახლი სტუმრებით აივსოო. სამზარეულოს კუთხეში, თავის სავარძელში ჩაფლულ რებეკას ეზმანა კაცი, რომელიც მას ჰგავდა ძალიან. კაცს თეთრად ემოსა, საყელოზე ოქროს გულქანდა დაებნია და რებეკას ვარდების თაიგულს აწვდიდა. ამ კაცის გვერდით ქალიც გამოჩნდა. ნაზი ხელებით ვარდი ამოაძრო თაიგულიდან და რებეკას თმაში გაუბნია. ურსულა მიხვდა, ეს ქალი და კაცი რებეკას მშობლები იყვნენ, მაგრამ მაინც ვერ იცნო, ვერაფრით გაიხსენა ისინი და საბოლოოდ დარწმუნდა, არც არასოდეს მინახავს ეს ხალხიო. ამასობაში ბუენდიების სახლში დამზადებული შაქარყინული კვლავ გაჰქონდათ ქალაქში გასაყიდად. ხოსე არკადიო ბუენდიას ვერაფრით ეპატიებინა საკუთარი თავისთვის ეს დაუდევრობა. დიდი და პატარა სიამოვნებით წუწნიდა უძილობის უგემრიელეს მწვანე მამლებს, უძილობის უმშვენიერეს ვარდისფერ თევზებს, უძილობის უნაზეს ყვითელ ცხენებს და ორშაბათი დღე რომ გათენდა, მთელ ქალაქს არ ეძინა უკვე. პირველ ხანებში არავინ შეუშფოთებია ამ ამბავს. ბევრს კიდეც უხაროდა, — მაშინ მაკონდოში საქმე თავსაყრელად

იყო, პირიქით, დრო არ ჰყოფნიდათ და ისე ბეჯითად შეუდგა ხალხი შრომას, რომ სულ მოკლე ხანში მოითავეს ყველა საქმე და ახლა ღამის სააათზე გულხელდაკრებილნი ისხდნენ, არ იცოდნენ დრო როგორ მოეკლათ და, საათის ვალსში რამდენი ნოტააო, იმას ითვლიდნენ. ვისაც ძილი უნდოდა, — ისინი უძილობამ კი არ დაღალა, უბრალოდ, სიზმრები მოენატრათ, — რას არ იგონებდნენ, რომ ქანცგაწყვეტილებს ჩასძინებოდათ, მაგრამ ამაოდ. ყველანი ერთ ადგილას იკრიბებოდნენ, გაუთავებლად ლაქბობდნენ, ერთ ანეკდოტს ათასჯერ იმეორებდნენ, თეთრ ყვერულზე ზღაპარს დაუსრულებლად ჰყვებოდნენ, ერთი სიტყვით, მათი ყოფა იმ თამაშს ჰგავდა, ბოლო რომ არ აქვს: ერთ-ერთი კაცი, მთხრობელი, დანარჩენებს ეკითხებოდა, გინდათ თეთრ ყვერულზე ზღაპარი გიამბოთო და თუ უპასუხებდნენ, „კიო", მთხრობელი ამბობდა, მე „კის" თქმა არ მითხოვია თქვენთვის. მე გთხოვეთ, გეპასუხათ, თეთრ ყვერულზე თუ გინდათ ზღაპარი გიამბოთ-მეთქი? და თუ უპასუხებდნენ, „არაო", მთხრობელი ამბობდა, მე თქვენთვის „არას" თქმა არ მითხოვია, მე გთხოვეთ, გეპასუხათ, თეთრ ყვერულზე თუ გინდათ ზღაპარი გიამბოთ-მეთქი? და თუ ხმას არავინ იღებდა, მთხრობელი ამბობდა, მე თქვენთვის დუმილი არ მითხოვია, მე გთხოვეთ გეპასუხათ, თეთრ ყვერულზე თუ გინდათ ზღაპარი გიამბოთ-მეთქი. თუ ვინმე წასასვლელად მოემზადებოდა, მთხრობელი მაშინვე ეძგერებოდა: მე თქვენთვის წასვლა არ მითხოვია, მე გთხოვეთ, გეპასუხათ, თეთრ ყვერულზე თუ გინდათ ზღაპარი გიამბოთ-მეთქი და ასე მეორდებოდა გაუთავებლად მთელი ღამეები.

როდესაც ხოსე არკადიო ბუენდია მიხვდა, მთელი ქალაქი დაავადდა უძილობით, შეკრიბა ოჯახის თავკაცები, ამცნო მათ თუკი რამ სმენოდა ამ ავადმყოფობაზე და ბოლოს ყველას სთხოვა, ერთად მოვიფიქროთ, როგორ ავაცილოთ ეს დაავადება მეზობელ სოფელ-ქალაქებსო. სწორედ მაშინ გადაწყვიტეს ერთხმად, თხებისთვის მოეხსნათ ზანზალაკები, — არაბებმა რომ გაუცვალეს თუთიყუშებში, — და მაკონდოს შესასვლელში დაეკიდებინათ იმათთვის, ვინც ყურად არ იღებდა ყარაულების თხოვნას და მაინც შევიდოდა ქალაქში. როგორც კი მაკონდოს ქუჩებში გამოჩნდებოდა ზანზალაკიანი უცხოელი, ყველანი ხვდებოდნენ, სალ-სალამათი კაცი მოდისო და ერიდებოდნენ. უცხო ხალხს მაკონდოში ჭამა-სმა ეკრძალებოდა, რადგან ეჭვი აღარ ეპარებოდათ, რომ საჭმელსაც და სასმელსაც ამ ქალაქში უძილობა სჭირდა. ამგვარად, ეპიდემია ქალაქის საზღვრებს არ გასცილებია. ყველანი მიეჩვივნენ საგანგებო ყოფას და კარანტინსაც მკაცრად იცავდნენ. ცხოვრება კვლავ თავის გზით წავიდა. მუშაობაც წინანდებურად გაჩაღდა და უკვე აღარავის აწუხებდა ის ამბავი, უსარგებლო ძილს რომ გადაეჩვია.

გულმავიწყობის საწინააღმდეგო საშუალებამ, რომელიც აურელიანომ აღმოაჩინა სრულიად შემთხვევით, მხოლოდ ცოტა ხანი უშველა მაკონდოელებს. აურელიანო ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც უძილობით დაავადდა და რაღა თქმა უნდა, გამოცდილებაც მეტი ჰქონდა ამ საქმეში. ერთხელ გრდემლი დასჭირდა ფოლადის გასაბრტყელებლად და ვერაფრით ვერ გაიხსენა მისი სახელი. მამამ უკარნახა, გრდემლი ჰქვიაო. აურელიანომ ქაღალდის პატარა ნაგლეჯზე დაწერა ეს სიტყვა და გრდემლს მიაკრა. ახლა კი აღარასოდეს დამავიწყდებაო, გაიფიქრა გახარებულმა. მაგრამ რა იცოდა, რომ ეს გულმავიწყობის დასაწყისი იყო ჯერ. ერთი-ორი დღის მერე ჰაბუქმა შეამ-

ჩნია, რომ ლაბორატორიულ ხელსაწყოთა სახელებს ძლივს იხსენებს. ადგა და, ვიდრე მთლად არ გადავიწყნოდა, ქაღალდებზე ჩამოწერა და ყველას სათითაოდ მიაკრა. ამრიგად, საკმარისი იყო წარწერა წაეკითხა და მაშინვე ხვდებოდა, რომელი საგანი ედო წინ. როდესაც მამამ გულისტკივილით შესჩივლა, ბავშვობის ყველაზე ტკბილი და თბილი ამბებიც კი უკვე ნელ-ნელა მავიწყდებაო, აურელიანომ აუხსნა თავისი გამოგონილი ხერხი და მალე ხოსე არკადიო ბუენდიამ ჯერ საკუთარ ოჯახში, ხოლო შემდეგ მთელ ქალაქში გაავრცელა იგი. მელანში ამოვლებული ფუნჯით ყველა საგანს აწერდა სახელს. ასე გაჩნდა წარწერები: მაგიდა, სკამი, საათი, კარი, კედელი, საწოლი, ქვაბი. მერე პირუტყვის სადგომსაც მისწვდა, მინდორშიც გავიდა და არაფერი არ დატოვა აღუნიშნავი. ძროხა, თხა, ქათამი, მანიოკა, მალანგა, ბანანი — იუწყებოდნენ წარწერები. გულმავიწყობაში ჩაძირული ხალხი მიხვდა, მალე დადგებოდა ის დღე, როდესაც წარწერის მიხედვით საგნის სახელს კი გაიხსენებდნენ, მაგრამ სამაგიეროდ აღარ ეხსომებოდათ თვით ამ საგნის დანიშნულება. ყველანი საგონებელში ჩავარდნენ, აღარ იცოდნენ, რა ეღონათ. იმის წარმოსადგენად თუ როგორ ებრძოდნენ მაკონდოელები გულმავიწყობას, საკმარისი იყო წაეკითხათ ძროხის კისერზე დაკიდული წარწერა: „ეს ძროხაა. უნდა მოწველოთ დილა-საღამოს. იგი რძეს გვაძლევს, რძე კი უნდა ადუღოთ და დაუმატოთ ყავას, რათა რძიანი ყავა მიირთვათ“. აი ასე ცხოვრობდნენ მაკონდოელები. თვალსა და ხელს შუა უქრებოდათ სინამდვილე, ამ წარწერების დახმარებით ცოტა ხანს კიდევ ახარებდათ რაღაც-რაღაცები, მაგრამ მერე რა ეშველებოდათ, როცა კითხვაც დაავიწყდებოდათ?

ქალაქის შესასვლელში დიდი აბრა გამოაკრეს: „მაკონდო“, მთავარ ქუჩაზე კი უფრო დიდი აბრა იუწყებოდა: „ღმერთი არს“. თითქმის ყველა სახლის კედელზე დახატეს ნაირ-ნაირი პირობითი ნიშნები, რომელთაც ევალებოდათ ადამიანებისთვის გაეხსენებინათ საგნები და გრძნობები.

ამ წესით ცხოვრება მეტისმეტად დიდ სიფხიზლესა და უზარმაზარ მორალურ ძალას მოითხოვდა, რადგან ბევრი მაკონდოელი თავისსავე მოგონილსა და წარმოსახულ სინამდვილეში ჩაკეტილიყო. მართალია, ეს სინამდვილე დიდი ვერაფერი პრაქტიკული ჩანდა, მაგრამ სამაგიეროდ სულს უმშვიდებდათ მაინც. მაკონდოში ფეხმოკიდებულ თავისმოტყუებას ყველაზე მეტად პილარ ტერნერა მიეცა. მკითხაობაში ძალიან გაიწაფა, ისევე ოსტატურად შეეძლო წარსულის ამოკითხვა, როგორც წინათ მომავალს წინასწარმეტყველებდა ხოლმე. მისი ეშმაკური და მახვილგონივრული მკითხაობის წყალობით, ძილსგადაჩვეული მაკონდოელები რომელიღაც გაურკვეველსა და წინააღმდეგობებით აღსავსე სამყაროში ბორიალობდნენ. ამ სამყაროში მოხუცებულები ძლივს იხსენებდნენ, აპრილში ჩამოსულ მამას შავი თმა ჰქონდა თუ სხვა ფერისა, ან დედას — შავგვრემან ქალს — მარცხენა ხელის თითზე მართლა ეკეთა ბეჭედი თუ არა. დაბადების დღე კი მარტში ის ბოლო სამშაბათი ამოუდიოდათ, როცა დაფნაზე შემომჯდარი შაშვი მღეროდა. ხოსე არკადიო ბუენდიას თავგზა აუბნია თავისმოტყუების ამ ახალმა წესმა და გადაწყვიტა მის საპირისპიროდ შეექმნა მეხსიერების მანქანა. იმედი ჰქონდა, ეს მანქანა გაახსენებდა ყველაფერს და მათ შორის ბოშათა შესანიშნავ გამოგონებებსაც. მანქანა იმუშავებდა შემდეგი პრინციპით: ხალხს აიძულებდა, ყოველ ცისმარე დღეს დაეზეპირებინა ყველაფერი, რაც არსებობისთვის იყო

საჭირო. ხოსე არკადიო ბუენდიას წარმოდგენით ეს მანქანა უნდა ყოფილიყო მოძრავი ლექსიკონი, რომელიც ღერძის გარშემო იტრიალებდა ღერძზევე დამაგრებული სახელურის დახმარებით. ამრიგად, ადამიანის თვალწინ წამში ჩაიქროლებდა არსებობისთვის საჭირო ყველა ცნობარი. ხოსე არკადიო ბუენდიამ ის იყო თოთხმეტი ათასი ბარათი შეადგინა, რომ მაკონდოს ქუჩაში გამოჩნდა უცნაური ბერიკაცი. იგი საწყალობლად მოაწკარუნებდა ზანზალაკს, დასტურს იმისა, რომ მოსულს ძილი არ სჭირდა. ბერიკაცს თოკით გადაკრული გამობერილი ძველი ჩემოდანი მოეკიდა ზურგზე და ცალი ხელით შავი ძონძებით გადაფარებულ ურიკას მოათრევდა. იგი პირდაპირ ხოსე არკადიო ბუენდიას სახლისაკენ მიჩანჩალებდა.

ვისიტასიონმა კარი გაუღო მოსულს, იფიქრა, უცხო ვაჭარია და არ იცის, ქალაქი გულმავიწყობის მორევში უიმედოდ რომ არის ჩაძირული და არც არაფრის ყიდვა-გაყიდვა რომ არ შეიძლებაო. სტუმარი მთლად მიხრწნილი ბერიკაცი იყო. თუმცა ხმა გაუბედავად უთრთოდა და ხელებშიც ძალა დაჰკარგვოდა, მაინც ეტყობოდა, იმ ქვეყნიდან იყო წამოსული, სადაც ადამიანებმა იციან ძილი და არ დაუკარგავთ მეხსიერება. როდესაც ხოსე არკადიო ბუენდიამ გამოხედა სტუმარს, ის უკვე დიდ ოთახში იჯდა, დაფლეთილი შავი ქუდით სახეს ინიავებდა და ყურადღებითა და ერთგვარი თანაგრძნობითაც კი კითხულობდა კედელზე გაკრულ წარწერებს. ხოსე არკადიო ბუენდია დიდის ამბით მიესალმა ბერიკაცს, იფიქრა, იქნებ ადრე ვიცნობდი და ახლა, როგორც ყველა და ყველაფერი, ეს კაციც გადამავიწყდაო. სტუმარი მიუხვდა ეშმაკობას. იგი მიხვდა, რომ დაივიწყეს, მაგრამ დაივიწყეს არა გულის კარნახით, არამედ უფრო სასტიკად, გულქვად და სამუდამოდ და ამ დავიწყებას მკვდარი კაცის დავიწყება ერქვა. მაშინ იგი მიხვდა ყველაფერს. თავი ახადა უცნაური ნივთებით პირთამდე დატენილ ჩემოდანს და იქიდან ამოათრია უამრავი შუშით სავსე კიდევ ერთი პატარა ჩემოდანი. მერე მასპინძელს გაუწოდა საამო ფერის სითხით სავსე შუშა და ანიშნა, დალიეო, იმანაც დალია და უცებ გონება გაუნათდა. ხოსე არკადიო ბუენდიას თვალები ნაღვლიანი ცრემლით მანამდე აევსო, ვიდრე დაინახავდა ამ უცნაურ ოთახს, სადაც ყველა ნივთს წარწერა ჰქონდა; ვიდრე სირცხვილის ალმურმოდებული წაიკითხავდა კედლებზე გაკრულ გადაპრანჭულ სიბრიყვეებს და ვიდრე უეცრად მოვარდნილი სიხარულის შუქით თვალმოჭრილი შეიცნობდა სტუმარს. დიახ, ეს სტუმარი მელკიადესი გახლდათ.

ვიდრე მაკონდოელები მეხსიერების დაბრუნებას ზეიმობდნენ, ხოსე არკადიო ბუენდიამ და მელკიადესმა მტვერი გადაბერტყეს თავიანთ ძველ მეგობრობას. ბოშას მაკონდოში დარჩენა გადაეწყვიტა. ის მართლაც გამგზავრებულა იმქვეყნად, მაგრამ მარტოობა გაძნელებია და დაბრუნებულა. დაბრუნებულს კი საკუთარი ტომი განუდგა თურმე, კუდიანი ხარ და შენი კუდიანობის წყალობით სიკვდილს ვერ შელევიხარო. სწორედ ამის მერე გადაუწყვეტია მელკიადესს მშვიდი კუთხე ეპოვა ამ მხარეში, სადაც სიკვდილისთვის ჯერაც არ გაეღოთ კარი და მთელის არსებით მისცემოდა დაგეროტიპის საქმეს. ხოსე არკადიო ბუენდიას ჯერ არაფერი სმენოდა დაგეროტიპიაზე, მაგრამ ნაირფრად მოლივლივე ფოლადის ფირფიტაზე სამუდამოდ აღბეჭდილი საკუთარი თავი და მთელი თავისი ჯალაბობაც რომ ნახა, გაკვირვებულს ლამის ენა ჩაუვარდა. სწორედ იმ ხანებიდან შემორჩა ერთი ქანგ-

მოკიდებული დაგეროტიპი, რომელზეც ხოსე არკადიო ბუენდიაა გამოსახული: ფერფლისფერი თმა აჩეჩვოდა, გახამებული საყელო თითბრის საკინძით შეეკრა. სახეზე საზეიმო გაკვირვება ეხატა. ურსულა სიცილით კვდებოდა. „შეშინებულ გენერალს“ ჰგავსო. რაც მართალი მართალია, დეკემბრის იმ გამჭვირვალე დილას, როცა მელკიადესმა ეს დაგეროტიპი გადაუღო, ხოსე არკადიო ბუენდია ნამდვილად შეშინებული იყო: თუ კაცის გამოსახულება ასე ადვილად გადადის ფოლადის ფირფიტაზე, მაშასადამე, ამ კაცს ალბათ ნელ-ნელა დააკლდება რაღაც და საბოლოოდ გაქრება კიდეც მთლიანადო. ყველას გასაოცრად, ურსულამ ამჯერად მეცნიერებას დაუჭირა მხარი და იმდენი ეჩიჩინა ქმარს, რომ როგორც იქნა, თავიდან ამოაგდებინა ეს აკვიატებული აზრი. სწორედ ურსულამ გადაწყვიტა, ძველი ამბები დაევიწყნა და მელკიადესი მათ სახლში დაეტოვებინა საცხოვრებლად. თვითონ ურსულას დაგეროტიპი არასოდეს გადაუღია, უარს ეუბნებოდა მელკიადესს, ეგლა მაკლია, შვილიშვილების დასაცინი გავხდეო. ერთ დილას, რომელზეც ახლა მოგახსენებთ, ურსულამ ბავშვები კარგად გამოაწყო, სახე გაუპუდრა და თითო კოვზი საქონლის ძვლების ნახარში შეახვრეპინა, რათა ორ წუთს უმოძრაოდ გაჩერებულიყვნენ მელკიადესის შესანიშნავი აპარატის წინ. ამ ერთადერთ საოჯახო სურათზე შავი ხავერდის კოსტიუმში გამოწყობილი აურელიანო ამარანტასა და რებეკას შორის დგას. ყმაწვილს ისეთივე დაღლილი სახე და ნათელმხილველის თვალები ჰქონდა, როგორიც რამდენიმე წლის მერე ექნება კედელთან დახვრეტის მოლოდინში მდგომს. სურათზე გამოსახულმა ყმაწვილმა, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არ უწყოდა, რას უქადდა ბედისწერა. დღეისდღეობით ის იყო მხოლოდ და მხოლოდ ხელმარჯვე ოქრომჭედელი და თავისი უზადო ხელობისათვის დიდი და პატარა პატივს სცემდა მახლობელ სოფლებსა და ქალაქებში. სახელოსნოში, სადაც მელკიადესის ლაბორატორიაც იყო, აურელიანოს ხმა თითქმის არ ისმოდა. ვიდრე მამამისი და მოხუცი ბოშა ნოსტრადამუსის წინასწარმეტყველებაზე ბჭობდნენ, ბოთლებსა და კიუვეტებს აჩხაკუნებდნენ და ამ დავა-კამათში სიმჟავეც ბევრი უხარალებიათ და ვერცხლის ბრომიდიც — აურელიანო თითქოს სხვა სამყაროში დაფრინავდა, თავდავიწყებით მუშაობდა და ფულის ყადრიც იცოდა; მალე იმდენი დააგროვა, ურსულას რომ არ მოელანდებოდა, თუნდაც მთელი თავისი შაქარყინულის ცხოველები გაეყიდა. ოღონდ ეს იყო, ყველას უკვირდა, აურელიანო უკვე მოწიფული ყმაწვილია და ქალებისკენ რატომ არ იხედებაო. მართლაც, ქალი არ ჰყავდა აურელიანოს.

გავიდა რამდენიმე თვე და მაკონდოში კვლავ გამოჩნდა ფრანსისკო-ადამიანი, თითქმის ორასი წლის მაწანწალა. ის ხშირად სტუმრობდა მაკონდოს და ყოველ ჩამოსვლაზე ახალ-ახალი სიმღერები მოჰქონდა. ამ სიმღერებში წვრილად იყო ნათქვამი იმ სოფელ-ქალაქების ამბები, შორეული მანაურედან მოყოლებული ხეობის მეორე თავამდე ფეხით რომ შემოევლო ფრანსისკო-ადამიანს. ის, ვინც მოისურვებდა ნაცნობისთვის რამე შეეთვალა, ან ქვეყნისთვის მოედო რომელიმე ოჯახის ამბავი, ორი სენტავო უნდა გადაეხადა, რათა მაწანწალას სიმღერა შეეთხზა ამ თემაზე. ერთ საღამოს ურსულა, იმ იმედით, იქნებ შვილის ამბავი გავიგოო, ყურს უგდებდა მომღერალს და უცბად დედამისის სიკვდილის ამბავს არ მოჰკრა ყური? ფრანსისკო-ადამიანს ეს სახელი იმიტომ შეარქვეს, რომ ეშმაკს აჯობა სიმღერების შეთხზვაში. მისი ნამდვილი

სახელი არავინ იცოდა. მაკონდოში უძილობის ეპიდემიის მერე არავის უნახავს და აი მოულოდნელად კვლავ გამოჩნდა „კატარინოს დუქანში“. ახლა კი გავიგებთ, რა ხდება სოფელ-ქვეყანაშიო, თქვეს მაკონდოელებმა და ყველამ იქით გასწია. ამჯერად ფრანსისკო-ადამიანს ორი ქალი ახლდა. ერთი ისეთი ფაშფაშა იყო, ოთხ ინდიელს ძლივს მოჰყავდა საქანელათი. მეორე შესაბრალისი მულატი ყმაწვილი ქალი ფაშფაშას ქოლგით უჩრდილავდა. [illegible] ამჯერად აურელიანომაც გატეხა ნავსი და „კატარინოს დუქანს“ ესტუმრა. ცნობისმოყვარეებს შუაში ჩაესვათ ფრანსისკო-ადამიანი, რომელიც უზარმაზარ ქამელეონს ჰგავდა. იგი ბებრულ ხმაზე მღეროდა, გულმოდგინედ წელავდა თავის ძველისძველ აკორდეონს, რომელიც, როგორც ამბობდნენ, ჯერ კიდევ გუაიანაში უჩუქებია მისთვის სერ უოლტერ რელეის[1], და დღედაღამ სიარულისგან გატლანქებულ დიდრონ ფეხებს სიმღერის ტაქტს აყოლებდა. ზღვის მარილით გაჟღენთილ ტერფებს კაკაკუკი გაჰქონდა იატაკზე. სიღრმეში მოჩანდა მეორე ოთახში გამავალი კარი, სადაც რიგრიგობით შედიოდნენ კაცები. კართან სწორედ ის ფაშფაშა ქალბატონი იჯდა და მდუმარედ ინიავებდა მარაოს, ოთხ ინდიელს ძლივს რომ მოჰყავდა საქანელათი. კატარინოს ყურთან ხელოვნური ვარდი დაებნია თმაში. ეს ქალი ლერწმის ღვინით ვაჭრობდა და თან წუთს არ აცდენდა, კაცებთან ახლოს მისულიყო და უადგილო ადგილას მიედო მათთვის ხელი. შუაღამისას ისეთი ბული ჩამოდგა, სუნთქვა ჭირდა. აურელიანომ ბოლომდე მოისმინა ფრანსისკო-ადამიანის მონაყოლი ამბები, მაგრამ თავისი ოჯახისთვის საგულისხმო ვერაფერი გაიგო და ის იყო წასასვლელად მოემზადა, რომ ფაშფაშა ქალბატონმა ხელით ანიშნა, მოდიო.

— შენც შედი იმ ოთახში, — უთხრა ქალმა, — ოღონ ოცი სენტავო დადე ახლავე.

ქალს მუხლებზე კათხა ედო. აურელიანომაც ფული კათხაში ჩააგდო და ოთახში ანგარიშმიუცემლად შევიდა... საწოლში მთლად დედიშობილა იწვა მულატი ყმაწვილი ქალი. ძუძუები ძაღლისას მიუგავდა. აურელიანომდე ამ ოთახში სამოცდასამი მამაკაცი შევიდა. სწორედ მათი ფილტვებიდან ამონასუნთქით, მათი ოფლის სუნითა და ოხვრით ავსებულიყო ჰაერი და ტალახივით ჩასქელებულიყო. ქალმა სველი ზეწარი აიღო და აურელიანოს სთხოვა, ერთ ბოლოში მომიკიდეთ ხელი და გამაწურინეთო. ზეწარი სისველეს მეტისმეტად დაემძიმებინა. ქალიშვილი მანამდე წურავდა, ვიდრე ზეწარი არ გამჩატდა. მერე ორივემ დაბერტყეს ქვეშსაფენი ჭილოფიც, საიდანაც ოფლის წვეთები წამოვიდა წვიმასავით. აურელიანო ნატრობდა, ნეტავ სულ ასე გაგრძელდეს უსასრულოდო. მართალია, სიყვარულობანას მექანიზმი თეორიულად იცოდა, მაგრამ ახლა მუხლები ისე უკანკალებდა, ლამის წაქცეულიყო. ქალიშვილი საწოლის ღალაგებას მორჩა და ვაჟს მიუბრუნდა. ახლა კი შეგიძლია ტანთ გაიძროო. აურელიანო თავის მართლებას მოჰყვა, ძალით შემომაგდეს, ოცი სენტავო გადამახდევინეს და თანაც გამაფრთხილეს, დიდხანს ნუ დარჩები ოთახშიო. ქალი ყველაფერს მიხვდა, „გასვლისას თუ კიდევ ჩააგდებ ოც სენტავოს, შეგიძლია ცოტა ხანს კიდევ დარჩე“, — ჩუმად უთხრა ვაჟს. აურელიანო ტანსაცმელს იხდიდა, სირცხვილი სწვავდა და თან

[1] ინგლისელი ზღვაოსანი (1552-1618), სამხრეთ და ჩრდილო ამერიკაში ოქროსმაძიებელთა არაერთი ექსპედიციის ხელმძღვანელი.

ერთი ფიქრიც არ ასვენებდა, ჩემი ძმა უკეთესი შესახედავი იქნებოდა შიშველიო. თუმცა ქალი ბევრს ცდილობდა, აურელიანო მაინც შებოჭილი, უგრძნობელი და მიუსაფარი ჩანდა. „კიდევ ჩავაგდებ ოც სენტავოს“, — ჩაიბურტყუნა მთლად სასოწარკვეთილმა. ქალმა მადლიერებით დაუქნია თავი. კანი გადატკეცოდა თეძოზე. ზურგი მთლად გადაქერცლილი და დასისხლიანებული ჰქონდა, ქანცგაწყვეტილი მძიმედ სუნთქავდა. ორი წლის წინათ აქედან შორს ერთ ღამეს გოგოს ჩასძინებია და სანთელი ანთებული დარჩენია. სიმხურვალემ გაიღვიძა თურმე, ირგვლივ ცეცხლის ალი ბრიალებდა. სახლი, სადაც გოგო და მისი გამზრდელი ბებია ცხოვრობდნენ, ფერფლად ქცეულა. მას შემდეგ დაატარებს ბებია ქალაქად და სოფლად და ისიც ოც სენტავოდ უმასპინძლდება კაცებს ლოგინში. აბა, რა ჰქნან, სახლის ფული ხომ უნდა აინაზღაურონ? ალბათ კიდევ ათ წელიწადს მომიწევს ასე ცხოვრება, ღამეში სამოცდაათი კაცი უნდა გავისტუმრო, რომ სახლის ფული დავაგროვოთ. ესეც არ იყოს, ჭამა ხომ გვინდა, გზაში ფული ხომ გვინდა, ინდიელებსაც ხომ უნდა გადავუხადოთ ბებიაჩემის ზიდვაშიო, — შესჩიოდა აურელიანოს მულატი ქალი. როდესაც ფაშფაშა ქალბატონმა მეორედ დააკაკუნა კარზე, გულდამძიმებული აურელიანო ისე გავიდა ოთახიდან, არაფერი გაუკეთებია. მთელი ღამე არ მოუხუჭავს თვალი, მულატ ქალზე ფიქრობდა, ებრალებოდა და სურვილიც სწვავდა მისი. რაღაცნაირი დაუმორჩილებელი ძალა ეწეოდა მისკენ, გულით ეწადა ყვარებოდა და მფარველადაც გახდომოდა. დილით უძილობითა და განცდებით გატანჯულმა აურელიანომ მტკიცედ გადაწყვიტა, ცოლად ეთხოვა ეს ქალი, გაეთავისუფლებინა ბებიის ბორკილებისაგან და ყოველღამ მხოლოდ ის დამტკბარიყო სამოცდაათი კაცის მაგივრად. ამ გადაწყვეტილებით მიადგა კიდეც დილის ათ საათზე „კატარინოს დუქანს“, მაგრამ მულატი ქალი და ბებიამისი მაკონდოდან წასულიყვნენ უკვე.

თუმცა დრომ თავისი გაიტანა და ყმაწვილ კაცს უცბად მოვარდნილი მგზნებარებისა და აცუნცრუკების ცეცხლი გაუნელა, სამაგიეროდ გულში მაინც დაუტოვა დარდად ფიქრი აუხდენელ სურვილზე. იგი შრომაში ეძებდა ხსნას და ბედსშერიგებულმა თავისთვის გადაწყვიტა, მთელი ცხოვრება უქალოდ დავრჩები, სამარცხვინო უმაქნისობას საიდუმლოდ შევინახავო. ამასობაში მელკიადესმა ფირფიტებზე აღბეჭდა ყველაფერი, რაც აღბეჭდვის ღირსი ეჩვენა მაკონდოში და ბოლოს დაგეროტიპიის მთელი ლაბორატორია ხოსე არკადიო ბუენდიას გადასცა თავისი ახირებული და ობროდული ჩანაფიქრის აღსრულებისთვის: ხოსე არკადიო ბუენდიას გადაეწყვიტა დაგეროტიპიის საშუალებით მეცნიერულად დაესაბუთებინა ღმერთის არსებობა. დარწმუნებული იყო, სახლის სხვადასხვა კუთხე-კუნჭულში გადაღებული ფირფიტების ხანგრძლივი დაშრევების შედეგად უსათუოდ მიიღებდა მამაზეციერის დაგეროტიპს, რა თქმა უნდა, თუ არსებობს საერთოდ, და თუ ვერ მიიღებდა, მაშინ ხოსე არკადიო ბუენდია არც არასოდეს ირწმუნებდა მის არსებობას. რაც შეეხება მელკიადესს, იგი ნოსტრადამუსის შესწავლას ჩაუღრმავდა; ჟამთასვლისაგან გაცრეცილ-გამოხუნებულ ხავერდის ჟილეტში გამოწყობილი სულს ძლივს ითქვამდა, მაგრამ მაინც გვიანობამდე იჯდა და ქაღალდზე ხვეულად ჩხაპნიდა რაღაცას თავისი ბეღურას ფეხებივით დაღელარჭნილი ხელის თითებით, რომლებზეც ბეჭდებსაც კი დაეკარგათ ძველი ბრწყინვალება. ერთხელ ღამით მელკიადესს მოეჩვენა, მაკონდოს მომავალს ვხედავო. მაკონდო დი-

დებული ქალაქი გახდება, მის ქუჩებს დიდი მინის სახლები დაამშვენებს, ბუენდიების ჰაჰანება კი აღარსად იქნებაო, — თქვა მან. „ნუ სულელობ, — გაცხარდა ხოსე არკადიო ბუენდია. — მინის სახლები კი არა, მე რომ სიზმარში ვიხილე, სწორედ ისეთი. ყინულის სახლები დაამშვენებს მაკონდოს. რაც შეეხება ჩვენს გვარს, ისე არ გადავშენდებით, ერთი ბუენდია მაინც დარჩება მაკონდოში უკუნითი უკუნისამდე". ამ შერეკილებით სავსე სახლში მხოლოდ ურსულას შერჩენოდა გონიერება. იგი უკვე იმ ხნისა გახლდათ როცა შეეძლო მოსვენებით ეცხოვრა, მაგრამ კვლავ მუხლჩაუხრელად შრომობდა. სამზარეულოში ღუმელიც კი გაადიდებინა და ამ ღუმელში გამომცხვარი პური, ფუნთუშა თუ ღვეზელი წამში ქრებოდა მაკონდოს გზებზე. ურსულა ისე იყო თავის სარფიან საქმეში ჩაფლული, რომ ერთ საღამოს, ვიდრე ინდიელი ქალი შაქარს ჩაყრიდა ქვაბში, მან წამით გადაიხედა ფანჯარაში და ეზოში საქარგავზე თავდახრილ საღამოს შუქში გაბვეულ ორ უცნობ ყმაწვილ ქალს რომ მოჰკრა თვალი, გაოცდა. ეს ქალიშვილები რებეკა და ამარანტა გახლდნენ. გოგოებს ბებიის გარდაცვალების მერე თითქმის სამი წელიწადი ეცვათ შავები, ახლა გაეძროთ და ფერად კაბებში გამოწყობილებს ველარ იცნობდა კაცი. ყველას გასაოცრად რებეკა ნამდვილი მზეთუნახავი გახდა. ქალიშვილს გამჭვირვალე კანი, დიდი მშვიდი თვალები და ისეთი ჯადოქრული ხელები ჰქონდა, გეგონებოდა, უხილავი ძაფით გამოჰყავსო საქარგავი. უმცროსს, ამარანტას, თუმცა ეშხი და ლაზათი აკლდა, სამაგიეროდ აწ გარდაცვლილი ბებიისაგან მემკვიდრეობად მიელო კეთილშობილება და საკუთარი ღირსების შეცნობის უნარი .არკადიო კი, მართალია, მამამისივით ძალოვანი იზრდებოდა, ქალიშვილებთან შედარებით მაინც ბავშვივით გამოიყურებოდა, აურელიანომ ოქრომჭედლობა და წერა-კითხვაც შეასწავლა ძმისშვილს. ურსულა მიხვდა, მის სახლში ბავშვები უკვე დაიზარდნენ, მალე ალბათ დაქორწინდებიან კიდეც, შვილები ეყოლებათ და ამ პატარა ჭერქვეშ ველარ დავეტევითო. მაშინ მან სახლის გადიდება განიზრახა, სკივრიდან წლების მანძილზე შრომითა და წვალებით დაგროვილი ფული ამოიღო, ხელოსნებს მოურიგდა და კიდეც შეუდგა საქმეს. გადაწყვიტა, სახლისათვის მიეშენებინა ერთი დიდი ოთახი სტუმრებისათვის, მეორე უფრო მყუდრო და გრილი — შინაურებისათვის, სასადილო ოთახი თორმეტი კაცისათვის, ცხრა საძინებელი ოთახი ეზოსკენ გაჭრილი ფანჯრებით და შუადღის მზეს მოფარებული, ყვავილიანი ქოთნებით სავსე გრძელი შუშაბანდი. ურსულამ სამზარეულოს გადიდებაც გადაწყვიტა, რათა შიგ ორი ღუმელი თავისუფლად გამართულიყო. ის საკუჭნაოც, სადაც პილარ ტერნერამ ხოსე არკადიოს მომავალი უწინასწარმეტყველა, უნდა დაენგრიათ და მის ნაცვლად ორჯერ დიდი საკუჭნაო აეშენებინათ: დიდ ოჯახს ხომ დიდი მარაგიც სჭირდება! ურსულასვე ბრძანებით, ეზოში, წაბლის ძირში, უნდა ჩაედგათ ოროთახიანი პატარა აბანო — ცალცალკე კაცებისა და ქალებისათვის. აბანოს უკან იქნებოდა საჯინიბო, ცხაურით შემოღობილი საქათმე, საქონლის სადგომი და ღია გალია — ჩიტების თავშესაფარი. მთელი დღე კალატოზებისა და დურგლების ჯარი დასდევდა ქალს. თითქოს ქმრისგან გადმოედო მზეოთვარე ალტყინებაო, ურსულას ხმა ყველა კუთხე-კუნჭულში ისმოდა, ყველა საქმეს ის თავობდა, ის კარნახობდა, საიდან და როგორ უნდა შემოსულიყო ოთახებში მზე და სითბო, უხეად და ხელგაშლილად ანაწილებდა ფართობს. მაკონდოს დაარსების დროინდელი პატ-

რა უბრალო სახლი სულ მალე პირთამდე აივსო ხელოსნებითა და სამშენებლო მასალა-ხელსაწყოებით. ხელოსნები ვერა გრძნობდნენ, ფეხებში რომ ებლანდებოდნენ ყველას და პირიქით ბუზღუნებდნენ, ხელს გვიშლით, ფეხებში გვედებითო. მუშებს წარამარა ეჩხირებოდათ თვალში, ქვლებით სავსე ტომარა და ყოველ კუთხე-კუნჭულში თან სდევდათ მისი უსიამო რაკარუკი. ვერავინ გაიგო, ამ ფუსფუსსა და დავიდარაბაში, ამ მდუღარე ფისის ორთქლსა და კირის ბუღში როგორ წამოიმართა არა მარტო ყველაზე დიდი სახლი მაკონდოში, არამედ ყველაზე გრილი და სტუმართმოყვარე სახლი მთელს იმ მხარეში. განსაკუთრებით ხოსე არკადიო ბუენდიას ვერ გაეგო ვერაფერი. ის ხომ გახურებული სამშენებლო კატაკლიზმის დროსაც მამაზეციერის გამოსახულების ცდებს ჩაჰკირკიტებდა! სახლი თითქმის დამთავრებული იყო, როცა ურსულამ ქმარი გამოიხმო ქიმერთა საუფლოდან და აუწყა: ბრძანება მივიღე, სახლი თეთრად კი არა, — როგორც ჩვენ გვქონდა გადაწყვეტილი, — ცისფრად შეღებეთო. ხოსე არკადიო ბუენდია მაშინვე ვერ მიხვდა ცოლის სიტყვებს, ბრძანების ხელმოწერას აკვირდებოდა.

— რაო, ვინა ვარო? — ჰკითხა ცოლს.

— ვინა და, კორეხიდორიო, — უპასუხა დარდით გულგასიებულმა ურსულამ. — უფროსად გამოუგზავნია მთავრობას.

კორეხიდორი დონ აპოლინარ მოსკოტე უხმაუროდ ჩამობრძანდა მაკონდოში. იგი „ხაკობის სასტუმროში“ ჩამოხტა. ეს სახლი ააშენეს იმ არაბებმა, პირველად რომ ეწვივნენ მაკონდოს, რათა პატარ-პატარა ნივთები გაეცვალათ თუთიყუშებში. მეორე დღეს კორეხიდორმა ოთახი დაიქირავა ბუენდიების სახლიდან ორი კვარტალის მოშორებით ერთ პატარა სახლში. ოთახის კარი პირდაპირ ქუჩაში გადიოდა. ხაკობს მაგიდა და სკამი გამოართვა, შუა ოთახში დადგა, კედელზე რესპუბლიკის გერბი მიაჭედა, ხოლო კარზე კი წააწერა: „კორეხიდორი“. მისი პირველი ბრძანება გახლდათ, ეროვნული დამოუკიდებლობის წლისთავთან დაკავშირებით ყველა სახლი ცისფრად შეეღებათ.

ხოსე არკადიო ბუენდია ბრძანების ასლით ხელში გამოეცხადა კორეხიდორს, რომელიც ნასადილევს იქვე კანტორაში გაკიდულ ჰამაკში ისვენებდა, „ეს იქვენ დაწერეთ?“ — ჰკითხა ხოსე არკადიო ბუენდიამ. დონ აპოლინარ მოსკოტე ხანში შესული მამაკაცი იყო, სანგვინიკის შეხედულება ჰქონდა. მე დავწერეო, მორიდებულად უპასუხა სტუმარს. „მერე ვინ მოგცათ ამის დაწერის უფლება?“ — კვლავ ჰკითხა ხოსე არკადიო ბუენდიამ.

დონ აპოლინარ მოსკოტემ მაგიდის უჯრიდან რაღაც ქაღალდი ამოიღო და მოაჟულა გაუწოდა: „დანიშნულია ამ ქალაქის კორეხიდორად“... ხოსე არკადიო ბუენდიამ არც კი დახედა ქაღალდს.

— ამ ქალაქში ქაღალდები არ მბრძანებლობენ, — თქვა მშვიდად. — ერთხელ და სამუდამოდ დაიმახსოვრეთ: საკორეხიდორო არაფერი გვჭირს.

მერე ჩვეულებრივ დინჯად და აუღელვებლად ჩამოუმარცვლა უცხოელს, როგორ მოაგნეს ამ ადგილს, როგორ დაანაწილეს მიწა, გაჭრეს გზა და სოფლისთვის რაც საჭირო იყო, ყველაფერი ისე გააკეთეს, არავითარი მთავრობა არ შეუწუხებიათ, არც მათ აწუხებდა ვინმე. „ჩვენ მშვიდობიანი ხალხი ვართ, თავისი სიკვდილითაც კი არავინ მომკვდარა ჯერ, აქ ხომ ნახეთ, მაკონ- საფლაო არცა გვაქვს... მთავრობას არ ვუჩივით, პირიქით, მადლო-

ბელი ვართ, ხელი არაფერში შეგვიშალა. იმედი მაქვს, მომავალშიც ასე გაგრძელდება. განა იმიტომ დავაარსეთ მაკონდო, რომ ვიღაც გადამთიელმა გვიბრძანოს და გვიკარნახოს, როგორ მოვიქცეთ და რა გავაკეთოთ? — დონ აპოლინარ მოსკოტემ უხეში ქსოვილის თეთრი ქურთუკი ჩაიცვა ასევე თეთრ შარვალზე: წამითაც არ დავიწყნია თავაზიანობის კანონი.

— ერთი სიტყვით, თუ გსურთ ჩვენს ქალაქში დასახლდეთ და ჩვეულებრივი უბრალო მაკონდოელი გახდეთ, მაშინ კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, მაგრამ თუ უწესრიგობის შემოტანა განგიზრახავთ აქ, — რის მაგალითადაც დავასახელებ ბალახების ცისფრად შეღებვის ბრძანებას, — მაშინ გირჩევნიათ ახლავე აიკრათ გუდა-ნაბადი და საიდანაც მოსულხართ, იქ წაბრძანდეთ. რაც შეეხება ჩემს სახლს, იგი მტრედივით თეთრი იქნება მუდამ, — დაამთავრა სათქმელი ხოსე არკადიო ბუენდიამ.

დონ აპოლინარ მოსკოტე გაფითრდა, უკან დაიწია და ოდნავ აღელვებულმა თქვა:

— გაფრთხილებთ, შეიარაღებული ვარ.

ხოსე არკადიო ბუენდიამ ვერც კი შეამჩნია, როდის და როგორ ჩაუდგა მკლავებში ის ახალგაზრდული ძალა, რის წყალობითაც ერთ დროს ცხენს მიწაზე ანარცხებდა. კორეხიდორს მკერდზე დაფენილ საყელოს კიდეებში ჩაავლო ხელი და ლამის თავის თვალებამდე ასწია.

— ასე იოლად იმიტომ გადამირჩით, რომ მირჩევნია ცოცხალი გათრიოთ რამდენიმე წუთს, ვიდრე მკვდარმა შემაწუხოთ მთელი ცხოვრება, — უთხრა მასპინძელს.

ასევე საყელოში ხელჩავლებული და მაღლა აწეული გამოიყვანა ოთახიდან, შუა ქუჩაში დააყენა და ქალაქის გზაზე ანიშნა... მაგრამ არ გასულა ერთი კვირა და დონ აპოლინარ მოსკოტე კვლავ დაბრუნდა მაკონდოში. ამჯერად ექვსი ფეხშიშველი და ჩამოძონძილი, შაშხანებით შეიარაღებული ჯარისკაცი ახლდა თან. კორეხიდორმა ჯორებშებმული ფორანით თავისი ოჯახიც ჩამოიყვანა: ცოლი და შვიდი ქალიშვილი. ცოტა მოგვიანებით კიდევ ორი ფორანი მოადგა მაკონდოს ზანდუკებითა და საოჯახო ნივთებით დატვირთული. კორეხიდორმა თავისი ოჯახი დროებით, ვიდრე ბინას იშოვიდა, „ხაკობის სასტუმროში" დააბინავა, თვითონ კი კვლავ გაალო კანტორა და კართან ორი ჯარისკაცი დააყენა. მაკონდოელებმა გადაწყვიტეს, დაუპატიჟებელი სტუმრები გაეგდოთ და ხოსე არკადიო ბუენდიას მიაკითხეს იმ იმედით, გვიუფროსებსო, მაგრამ მან უარი უთხრა: დონ აპოლინარ მოსკოტე ცოლ-შვილთან ერთად ჩამოვიდა და მამაკაცებს არ შეჰფერით მეორე მამაკაცი საკუთარი ოჯახის თვალწინ დაამციროსო: საქმე მშვიდობიანად უნდა გადაწყვეტილიყო.

მამას აურელიანო გაჰყვა კორეხიდორთან. ვაჟს ძალზე უხდებოდა დახვეული და ბოლოებში წებოწასმული შავი ულვაში. ხმაშიც ისეთი ცეცხლი ენთო, წლების მერე ბრძოლებში ათას ხმაში რომ გამოარჩევდი. უიარაღოდ მისულმა მამა-შვილმა მცველებს ზედაც არ შეხედეს, ისე შევიდნენ კორეხიდორის კანტორაში. დონ აპოლინარ მოსკოტეს არ გაჰკვირვებია მათი სტუმრობა. მოსულებს წარუდგინა თავისი ორი ქალიშვილი, რომლებსაც შემთხვევით შეევლოთ მამასთან სამსახურში. თექვსმეტი წლის ამპარო დედამისივით შავთმიანი იყო, ცხრა წლის ულამაზეს გოგონას რემედიოსს კი ლილისფერი კანი და მწვანე თვალები ჰქონდა. ორივენი ჰაეროვანი და ზრდილი გოგონები

ჩანდნენ. სტუმრებს სკამები მიართვეს, მაგრამ მოსულებმა არ ისურვეს დაჯდომა.

— მაშ კარგი, მეგობარო, — თქვა ხოსე არკადიო ბუენდიამ. — ნებას გაძლევთ, დარჩეთ მაკონდოში, მაგრამ არ იფიქროთ, თქვენი მცველებისა შევეშინდა, თქვენს ცოლ-შვილს დავდეთ პატივი.

დონ აპოლინარ მოსკოტემ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ხოსე არკადიო ბუენდიამ არ აცალა: „ორი პირობით გტოვებთ. პირველი პირობა ის არის, ვისაც როგორ სურს, ისე შეღებავს თავის სახლს. მეორე — ჯარისკაცებმა ახლავე უნდა დატოვონ მაკონდო. ქალაქში წესრიგზე ჩვენ თვითონ ვაგებთ პასუხს". კორეხიდორმა თითებგაშლილი მარჯვენა ხელი აღმართა:

— პატიოსან სიტყვას მაძლევთ?

— მტრის სიტყვას გაძლევთ, —უპასუხა ხოსე არკადიო ბუენდიამ და ნაღვლიანად დაუმატა: — მე და თქვენ კვლავ მტრებად ვრჩებით.

ჯარისკაცებმა იმ საღამოსვე დატოვეს მაკონდო.

ერთი-ორი დღის მერე ხოსე არკადიო ბუენდიამ კორეხიდორის ოჯახს ბინაც უშოვა. ყველაფერი თავის რიგზე წავიდა და ყველანიც დამშვიდდნენ... აურელიანოს გარდა. კორეხიდორის უმცროსი ქალიშვილის — რომელიც შვილად უფრო ერგებოდა — რემედიოსის სახე სამუდამოდ, მარადიული ტკივილივით ჩაუსახლდა სადღაც გულის კუნჭულში. ვაჟს ისეთი ფიზიკური შეგრძნება დაეუფლა, თითქოს კენჭი ჩავარდნოდეს ფეხსაცმელში და სიარულს უშლიდა.

ახალი სახლი მტრედივით თეთრად აქათქათდა. ურსულამ გადაწყვიტა, მეჯლისი მოეწყო, უფრო სწორად, პირველად მაშინ ჩაიფიქრა მეჯლისის მოწყობა, როცა უეცრად აღმოაჩინა, რებეკა და ამარანტა დაქალიშვილებულანო. ისე, თუ სიმართლე გინდათ გაიგოთ, სულაც ამ მეჯლისისთვის გადაკეთდა მთელი სახლი, სულაც ეს იყო მთავარი მიზეზი მთელი ამ ორომტრიალისა. ოღონდ მის ოცნებას ფრთები შესხმოდა და ურსულა ძალას არ ზოგავდა, კატორღელივით შრომობდა სახლის გადაკეთების პირველი დღიდან ბოლომდე. იმდენი ტკბილეული და პური გაყიდა, იმდენი ფული დააგროვა, რომ ახლა თავისუფლად შეეძლო ყველაფერი საუკეთესო შეეძინა სახლის მოსართავად და მოსალამაზებლად. განსაკუთრებით ერთი ისეთი რამის ყიდვა ჰქონდა განზრახული, მთელ ქალაქს გაოცებისგან პირს რომ დააღებინებდა. ეს იყო პიანოლა. საკრავი დაშლილი და ყუთებში ჩალაგებული ჩამოიტანეს. მასთან ერთად გადმოზიდეს შესანიშნავი ვენური ავეჯი, ბოჰემიის ბროლის ლარნაკები, ძვირფასი სასადილო ჭურჭელი, ჰოლანდიური თეთრეული, ნაირ-ნაირი ლამპები, შანდლები, საბნები და ხალიჩები. სავაჭრო სახლმა ამ ავეჯსა და ნივთებს თავისი წარმომადგენელიც გამოაყოლა. ეს გახლდათ იტალიელი ოსტატი პიეტრო კრესპი, ვისაც ევალებოდა პიანოლის აწყობა. მასვე უნდა ესწავლებინა აქაურებისათვის პიანოლაზე დაკვრის წესები და ცეკვაც იმ მოდური მუსიკის ჰანგებით, რომელიც ექვს მუყაოს ცილინდრის ნასვრეტებში იყო ჩაწერილი.

პიეტრო კრესპი ახალგაზრდა ქერა ყმაწვილი გახლდათ. ასეთი ლამაზი და ზრდილი კაცი მაკონდოში ჯერ არც ენახათ. მუდამ კოხტად გამოიყურებოდა. პაპანაქება სიცხეშიც კი ვერცხლის ღილებიანი ტყავის ჟილეტი და მუქფერი მაუდის ქურთუკი ეცვა. ოფლში გახვითქული მუშაობდა, სახლის პატრონებ-

ოან ურთიერთობისას თავაზიანობის გარკვეულ საზღვრებს იცავდა, არამც და არამც არ გადადგამდა ნაბიჯს ამ საზღვრებს იქით. ერთი-ორი კვირა ჩაიკეტა სასტუმრო ოთახში და ისევე ხურვებშეყრილივით ჩაუღრმავდა პიანოლის აწყობას, როგორც აურელიანო — საიუველირო საქმეს. ერთ მშვენიერ დილას კი კვლავ სასტუმრო ოთახში გამოკეტილმა პიეტრო კრესპიმ პიანოლაში ჩასვა პირველი ცილინდრი და მალე ჩაქუჩების გამაბეზრებელი ჭახუნი, ფურცლის გაუთავებელი რახარუხი შეწყდა და მის ნაცვლად დამკვიდრდა ჰაეროვანი მუსიკით გაკვირვებული სიჩუმე. ყველანი სასტუმრო ოთახისკენ გაქანდნენ. ხოსე არკადიო ბუენდია გახევდა: ლამაზმა მელოდიამ კი არა, თავისით მოძრავმა ღილაკებმა კლავიშებმა გააკვირვეს. მან ოთახში მელკიადესის აპარატიც კი დადგა, იქნებ უხილავი დამკვრელი გადავიღოო. იმ დილით იტალიელი ოსტატი მთელს ოჯახთან ერთად უჯდა სუფრას. რებეკა და ამარანტა თავს დასტრიალებდნენ მაგიდას. ისინი გაოცებული და დარცხვენილი ადევნებდნენ თვალს, ანგელოზივით კაცი რა მოხდენილად ატრიალებდა დანა-ჩანგალს თავის ნაზსა და უბეჭდო თითებში. პიეტრო კრესპიმ ითხოვა, სასტუმროს გვერდითი ოთახი ცეკვის გაკვეთილებისთვის დამითმეთო. რებეკასა და ამარანტას სამეჯლისო ცეკვებს ასწავლიდა, ცეკვისას შორიშორ მიჰყვებოდა, ახლოს არც ერთს არ ეკარებოდა, ტაქტს მეტრონომით ზომავდა და სხვადასხვა ილეთებს უჩვენებდა. ურსულა ერთი წამითაც არ ტოვებდა საცეკვაო ოთახს, თავაზიანად ზედამხედველობდა თავის ქალიშვილებს. ცეკვის გაკვეთილებზე პიეტრო კრესპის სამეჯლისო ფეხსაცმელი და საგანგებო, ტანზე შემოტკეცილი შარვალი ეცვა: „ამაოდ ღელავ, — ეუბნებოდა ხოსე არკადიო ბუენდია თავის ცოლს, — ეგ ხომ მამაკაცი არც არის“. მაგრამ ურსულამ მხოლოდ მაშინ დატოვა საგუშაგო, როდესაც ცეკვის გაკვეთილები დამთავრდა და იტალიელი ყმაწვილი კაცი მაკონდოდან გაემგზავრა. ზეიმისთვის მზადებაც მაშინ დაიწყო. ურსულამ მეტისმეტად შეკვეცა სტუმართა სია, სადაც მაკონდოს დამაარსებელთა თითქმის ყველა შთამომავალი მოხვდა პილარ ტერნერას გარდა, რომელმაც ამ ხანებში უკვე მოასწრო და ღმერთმა უწყის, ვისგან გააჩინა ორი ბავშვი. არჩევანი ძირითადად კლასობრივი იყო. თუმცა, უნდა ითქვას, არც პირად მეგობრობას ივიწყებდნენ — მოპატიჟების ღირსი სტუმრები ხომ ბუენდიებს მეგობრობდნენ ჯერ კიდევ იმ ლაშქრობამდე, რომელიც მაკონდოს დაარსებით დაგვირგვინდა! მათი ვაჟიშვილები პატარაობიდანვე თამაშობდნენ აურელიანოსა და არკადიოსთან, ქალიშვილები კი რებეკასა და ამარანტასთან ერთად უსხდნენ ხოლმე საქარგავს. მაკონდოს თვინიერ მმართველს დონ აპოლინარ მოსკოტეს თითქმის არაფერი ევალებოდა. ხელკეტებით შეიარაღებულ ორად ორ პოლიციელს უფროსობდა და იმათაც საკუთარი ჯიბიდან აძლევდა გროშებს. ოჯახს როგორმე რომ გაეტანა თავი, მოსკოტეს ქალიშვილებმა სამკერვალო სახელოსნო გახსნეს. ოქროსხელიანი გოგონები ხელოვნურ ყვავილებსაც აკეთებდნენ, გუაიავას ტკბილეულს ამზადებდნენ და სასიყვარულო ბარათებსაც წერდნენ საგანგებო შეკვეთით. თუმცა გოგონები მთელ ქალაქში გამოირჩეოდნენ თავიანთი მოკრძალებულობით, კდემამოსილებითა და სილამაზით და თანაც ყველაზე კარგად ცეკვავდნენ კიდეც, მაინც ვერ მოხვდნენ დაპატიჟებულთა სიაში. ვიდრე ურსულა და მისი ქალიშვილები ავეჯს თავ-თავის ადგილზე დგამდნენ, ვერცხლეულს აპრიალებდნენ და ცარიელ კედლებს რთავდნენ სურათებით, რომლებზეც ქალიშვილები გამოესახათ ვარდებით სავსე ნავებში, ხოსე არკა-

დიო ბუენდიამ უარი თქვა მამაზეციერის ყოფნა-არყოფნის გამოძიებაზე, ერთხელ და სამუდამოდ ჩაიბეჭდა თავში, ღმერთი არ არსებობსო და მიადგა პიანოლას, მთლიანად დაშალა და გამოშიგნა საკრავი, რათა ძირფესვიანად ამოეცნო მისი სასწაულებრივი საიდუმლოება. ზეიმამდე ორი დღით ადრე, ღმერთმა უწყის საიდან მოტანილი ზედმეტ ჭანჭიკებსა და პატარა ჩაქუჩებში ჩაფლული ხოსე არკადიო ბუენდია ხურვებაშეყრილივით იხლართებოდა დაბურდულ-დაბურდულ სიმებში, რომლებიც, საკმარისი იყო ერთი ბოლოდან გაგეჭიმა და მერე გაგეშვა ხელი, რომ კვლავ იხვეოდა და იგორგლებოდა. და მაინც ამ ყოფაში კაცმა მოახერხა და ისევ ააწყო საკრავი. ბუენდიების სახლს არ ახსოვს ასეთი შფოთი და ქოთქოთი, მაგრამ ნავთის ლამპები მაინც ზუსტად დანიშნულ დღესა და საათს აინთნენ. ირგვლივ ფისისა და ჯერაც შეუმშრალი ბათქაშის სუნი იდგა. სახლი აავსო უხუცეს მაკონდოელთა შვილებმა და შვილიშვილებმა. ისინი ჟრიამულით მოედვნენ ბეგონიებით სავსე შუშაბანდს, ოთახებს, ვარდის სურნელით გაჟღენთილ ბაღს, ხოლო მერე ყველანი სულისწრაფვით შემოეხვივნენ სასტუმრო ოთახში თეთრზეწარგადაფარებულ სასწაულს. ვისაც ახლომახლო ქალაქებში თვალი მოეკრა პიანოლასთვის, ახლა, ცოტა არ იყოს, იმედი გაუცრუვდათ. მაგრამ უნდა გენახათ რა დღეში ჩავარდა თვითონ ურსულა: დიდის ამბით აიღო ცილინდრი და ჩასვა მისთვის განკუთვნილ ადგილას, რათა რებეკასა და ამარანტას საზეიმოდ გაეხსნათ მეჯლისი, მაგრამ პიანოლა არ ამუშავდა. თითქმის თვალდაშრეტილმა და სიბერისაგან თვითონ ნაწილ-ნაწილ დაშლილმა მელკიადესმა სცადა ძველი ჯადოქრობა გაეხსენებინა და საკრავი აეწყო, მაგრამ ხოსე არკადიო ბუენდიამ სრულიად შემთხვევით გამოსწია სადღაც გაჩხერილი რაღაც მილი და მუსიკაც უცბად გამოვარდა საკრავიდან. ჯერ კაკაკუკი გაისმა, მერე კი არეულ-დარეული ნოტების ნიაღვარი წამოვიდა. სუსტად დამაგრებული ჩაქუჩები ჭანჭიკებიდან ამოხტომას ლამობდნენ და მეტისმეტად დაჭიმულსა და შესაშური სითამამით აწყობილ სიმებს აწვალებდნენ. მაგრამ იმ ოცდაორი მამაცი და გულოვანი მოლაშქრის შთამომავლები, — ზღვის ძებნაში ოდესღაც რომ გადალახეს ჯერაც ფეხდაუდგამი ქედი, — მოხერხებულად უვლიდნენ გვერდს უეცრად მოვარდნილ მუსიკალური ნიაღვრის წყალქვეშა ქვებს და მეჯლისიც დილამდე გაგრძელდა.

პიეტრო კრესპი მაკონდოში დაბრუნდა, რათა პიანოლა შეეკეთებინა. რებეკა და ამარანტა იტალიელ ოსტატს ეხმარებოდნენ, მასთან ერთად აწყობდნენ ვალსის არეულ-დარეულ ნოტებს. იტალიელს ისე თავაზიანად და ღირსეულად ეჭირა თავი, რომ თვალთვალი ურსულას ამჯერად ზედმეტი მოეჩვენა. გამგზავრების დღეს კრესპის საგანგებოდ მოუწყვეს გამოსათხოვარი მეჯლისი. შეკეთებული პიანოლის მუსიკის თანხლებით იტალიელმა ოსტატმა და რებეკამ საზოგადოებას უჩვენეს თანამედროვე ცეკვის უმაღლესი ხელოვნება. არკადიო და ამარანტაც არ ჩამორჩნენ მათ. მაგრამ საჩვენებელი ცეკვები უცებ შეწყდა, რადგან კართან თავმოყრილ ცნობისმოყვარეთა შორის ჩოჩქოლი ატყდა: პილარ ტერნერამ თმით დაითრია ერთი ქალი, რომელმაც მეზობელს გადაულაპარაკა, ყმაწვილ არკადიოს ქალივით თეძოები აქვსო. უკვე შუაღამე იყო, როცა პიეტრო კრესპიმ თბილი გამოსათხოვარი სიტყვა წარმოთქვა და დამსწრეთ შეჰპირდა, მალე დავბრუნდებიო. რებეკამ ზღურბლამდე მიაცილა სტუმარი, ხოლო როცა ყველა კარი ჩარაზეს და ლამპებიც ჩააქრეს, ქა-

ლიშვილი თავის ოთახში ჩაიკეტა და მწარედ ატირდა. გულამოვარდნილი ტიროდა რებეკა რამდენიმე დღეს და ვერავინ ვერაფერს ხვდებოდა. ამარანტაც კი. რებეკა რომ ჩაიკეტა, არც არავის გაკვირვებია. გარეგნულად ხალისიანი და თავაზიანი ქალიშვილი, სინამდვილეში გულჩახურული იყო, თუმცა, იგი ლამაზი, ჯანიანი და გრძელკანჭება ქალიშვილი დადგა, უწინდებურად [illegible] ჯდებოდა თავის დაძველებულსა და ათასგზის გადაკეთებულ-შეკეთებულ სარწეველა სავარძელში. აბა ვინ იფიქრებდა, რომ ამოდენა ქალიშვილი კიდევ ვერ გადაეჩვეოდა თითის წოვას? ამიტომაც იკეტებოდა ხშირად აბანოში, ამიტომაც მიაჩვია საკუთარი თავი კედლისკენ პირშექცეულ ძილს. წვიმიან ამინდში ბეგონიებით სავსე შუშაბანდში მეგობარ ქალიშვილებთან ერთად ქარგვისას, რებეკას საუბრის ძაფი უწყდებოდა და ბაღის სველი ბილიკებისა და ნესტის მატლების ბალახიანი ბუდე-ბორცვების დანახვაზე მოუცილებელი დარდის მწარე გემოს გრძნობდა პირში, საქმე ის არის, რომ მას შემდეგ, რაც რებეკას ტირილი დასჩემდა, იმ ცუდი ზნის სურვილიც გაეღვიძა, ერთ დროს ფორთოხლის წვენითა თუ ქამრის დახმარებით რომ გადააჩვიეს ურსულამ. ერთი სიტყვით, რებეკამ კვლავ დაიწყო მიწის ჭამა. პირველად ცნობისწადილმა უფრო გააბედინა, ეგონა, მიწის უსიამო გემო ცდუნებას დამაძლევინებსო. მართლაც ჩაიდო თუ არა პირში, მაშინვე გადმოაფურთხა. მაგრამ ნაღველი ისე მოეძალა, რომ საკუთარი დარდით გატანჯულმა ნელ-ნელა დაიბრუნა პირველადი მინერალების მიმართ ადრინდელი მიდრეკილება. ჯიბეში იყრიდა მიწას და მერე ჩუმ-ჩუმად ნამცეც-ნამცეც ჭამდა ბედნიერებისა და ნაღველის ამოუხსნელი განცდით ავსილი. თან ქარგვის ხელოვნების საიდუმლოს ასწავლიდა მეგობარ გოგონებს და იმ მამაკაცებზეც საუბრობდა, რომლებიც ღირსნი არ იყვნენ მათი გულისთვის მიწა ეჭამა ქალს. ამ მიწის თითოეული ნამცეცი თითქოს თვალწინ უცოცხლებდა იმ ერთადერთ კაცს, ვინც ღირსი იყო ამგვარი დამცირებისა; ამ მიწის თითოეული ნამცეცი თითქოს იმ შორეული მიწის ნაწილი იყო, რაზეც ის კაცი დააბიჯებდა თავისი კოხტა ტყავის ფეხსაცმლით; ამ მიწის გემოში პოულობდა ქალი სასურველი კაცის სისხლის სიმძიმესა და სითბოს, რის მერეც პირში სიმხურვალე რჩებოდა, ხოლო გულში შვება და სიმსუბუქე. ერთ საღამოს ამპარო მოსკოტემ ამარანტასა და რებეკას სთხოვა, თქვენი ახალი სახლი დამათვალიერებინეთო. მასპინძლები დაიბნენ ამ მოულოდნელი სტუმრობით და კორეხიდორის უფროს ქალიშვილს ცივად შეხვდნენ, მაგრამ რას იზამდნენ, სახლი აჩვენეს, პიანოლა მოასმენინეს და ლიმონათითა და ნამცხვრითაც გაუმასპინძლდნენ! ამპარო ისე ღირსეულად, მომხიბვლელად და თავაზიანად იქცეოდა, რომ ურსულას ძალიან მოეწონა, თუმცა სულ რაღაც წუთით შევიდა სტუმართან. ორი საათი დაჰყო ამპარო მოსკოტემ ბეგონიებთან და როგორც კი ამარანტა რაღაც საქმეზე გავიდა ოთახიდან, რებეკას სასწრაფოდ გადასცა წერილი. რებეკამ ასევე სწრაფად გადაავლო თვალი კონვერტს და აღელვებულმა ამოიკითხა: პატივცემულ დონია რებეკა ბუენდიას. ასოები ისევე ლამაზად და გულმოდგინედ გამოეყვანა პიეტრო კრესპის, რა ფაქიზად და გულმოდგინებითაც აწყობდა პიანოლას. ამარანტამ სათუთად დაკეცა წერილი, უბეში შეინახა და სტუმარ ქალიშვილს უსაზღვრო მადლიერებით შეაცქერდა, უსიტყვოდ აგრძნობინა, სიკვდილამდე არ გიღალატებო. ამპარო მოსკოტესა და რებეკა ბუენდიას შორის უცბად აღმოცენებულმა მეგობრობამ აურელიანოს გულში იმედის სხივი ჩაუსახა.

მედიოსზე ფიქრი სტანჯავდა, მას შემდეგ თვალი არ მოუკრავს გოგონასათვის. თავის უახლოეს მეგობრებთან მაგნიფიკო ვისბალსა და ხერინელდო მარკესთან ქალაქში სეირნობისას — ეს ბიჭები მაკონდოს დამაარსებელთა შვილები იყვნენ და ორივეს მამების სახელი ერქვათ — აურელიანო მოსკოტეების სამკერვალოს რომ ჩაუვლიდა, ხარბად მოათვალიერებდა ხოლმე იქაურობას, იქნებ პატარა რემედიოსს მოეკრა თვალი, მაგრამ იქ ყოველთვის უფროსი დები ისხდნენ და მუშაობდნენ. ახლა კი მგონი ეშველა, ამპარო მოსკოტეს გამოჩენა მათ სახლში ნიშანივით იყო. „დას უსათუოდ მოჰყვება, — ჩურჩულებდა აურელიანო, — უსათუოდ მოვა!“ იმდენხანს და ისე დაჟინებით იმეორებდა ამ სიტყვებს, რომ ერთ საღამოს, თავის სახელოსნოში ოქროს თევზს რომ აკეთებდა, უცბად იგრძნო, რემედიოსმა ძახილზე უპასუხა. და მართლაც, ცოტა ხნის მერე ბავშვური ხმაც მოესმა, აურელიანომ თავი ასწია და ლამის გული გაეყინა: კარში თეთრ ფეხსაცმელსა და ვარდისფერ კაბაში გამოწყობილი გოგონა იდგა.

— მანდ არ შეხვიდე, რემედიოს, — შუშაბანდიდან დაუძახა ამპარომ პატარა დას. — მანდ მუშაობენ!

მაგრამ აურელიანომ არ აცალა გოგონას დის სიტყვების აზრს ჩასწვდენოდა, ძეწკვზე დაკიდული ოქროს თევზი შეათამაშა და უთხრა:

— შემოდი.

რემედიოსი შევიდა და თევზზე რაღაცა ჰკითხა, მაგრამ მღელვარებისგან სულშეხუთული აურელიანო ხმას ვერ იღებდა. ნეტავ სულ ამ ლილისფერ კანსა და ამ ზურმუხტისფერ თვალებს უცქერდეს, ნეტავ სულ ეს ხმა ესმოდეს. გოგონა ყოველი სიტყვის მერე ისეთი მოკრძალებით დაურთავდა ხოლმე „სენიორს“, თითქოს მშობელ მამას მიმართავსო. მელკიადესის მაგიდის კუთხეში მიმჯდარიყო და რაღაც ამოუკითხავი ხვეულები გამოჰყავდა ქაღალდზე. აურელიანოს უცბად შესძულდა იგი. ის იყო რემედიოსს ოქროს თევზი შესთავაზა საჩუქრად, რომ შეშინებული გოგონა სასწრაფოდ გაეცალა იქაურობას. ამ საღამოს მერე აურელიანოს მოსვენება დაეკარგა. მუშაობას თავი ანება. ამიერიდან მოთმინებით ველარ დაელოდება გოგონას გამოჩენას. ერთი ორჯერ სცადა გონი მოეკრიბა და კვლავ გამოეხმო რემედიოსი, მაგრამ ამაოდ, გოგონა აღარ ემორჩილებოდა მის ძახილს. სად არ ეძებდა აურელიანო მას: დების სამკერვალოში, მის სახლის ფანჯრებზე ჩამოფარებულ ფარდებს მიღმა, მამის კანტორაში, მაგრამ შეხვედრით კი მხოლოდ საკუთარ გულში ხვდებოდა სანატრელ არსებას და მისი ხატება ულამაზებდა მტანჯველ მარტოობას. აურელიანო საათობით იჯდა სასტუმრო ოთახში და რებეკასთან ერთად უსმენდა პიანოლაზე ჩაწერილ ვალსს. რებეკას ეს ვალსი პიეტრო კრესპის აგონებდა, სწორედ ამ მუსიკაზე ასწავლიდა ცეკვას; აურელიანოც უბრალო მიზეზით გაეტაცნა მუსიკას: მშვენიერი რემედიოსი ეხატებოდა თვალწინ.

სახლი სიყვარულით აივსო, აურელიანო თავის სიყვარულს თავისსავე უთავბოლო ლექსებში აქსოვდა. სადღა და რაზე აღარ წერდა ლექსებს — მელკიადესის ნაჩუქარ პერგამენტის ქაღალდზე, აბანოს კედლებზე, საკუთარ ხელებზე! და ყველა ლექსში რემედიოსის სახე ჩანდა: აგერ რემედიოსი შუადღის მთვლემარე ჰაერში, რემედიოსი ვარდების მშვიდ ფშვინვაში, რემედიოსი დილის პურის თბილ სურნელში — რემედიოსი ყველგან და ყოველთვის! რებეკა ფანჯარასთან იჯდა, ქარგავდა და თავის სიყვარულს ყოველდღე ოთხ საათზე

ელოდა. განა არ იცოდა, რომ ფოსტის ჯორი მაკონდოში თვეში მხოლოდ ორჯერ ჩამოდიოდა, მაგრამ ის მაინც ყოველდღე ელოდა, სწამდა, ერთხელაც იქნება ჯორს შეეშლება და ადრე ჩამოვაო. პირიქით მოხდა: ჯორი დანიშნულ დროზეც კი არ გამოჩენილა მაკონდოში. დარდისგან შეშლილი რებეკა შუაღამისას იდგა და გეგონება, თავის მოკვლა განუზრახავსო, სწრაფად და ხარბად მოჰყვა მიწის ყლაპვას ბაღში. ატირებული და გახელებული იტენიდა მიწას, ლოკოკინების ნიჟარებს კნაწაკნუწი გაჰქონდათ პირში. დილამდე გულს იაე აზიდებდა, ძალა წაერთვა, დაკარგა გონი და ბოდვისას უსირცხვილოდ გაამხილა ხვაშიადი. განრისხებულმა ურსულამ რებეკას ზანდუკის საკეტი გატეხა, თავი ახადა და თექვსმეტი სუნამოდაპკურებული და ვარდისფერი ბაფთით შეკრული წერილი იპოვა. ძველ წიგნებში ფურცლებს შორის ჩადებული გამხმარი ფოთლები და პეპლები ხელის პირველ შეხებაზევე მტვრად გადაიქცნენ.

მხოლოდ აურელიანო გრძნობდა, რა მტანჯველი და უსაზღვრო იყო რებეკას სასოწარკვეთილება. იმ საღამოს, როდესაც ურსულა ცდილობდა, ბოდვებისაგან გამოეფხიზლებინა ქალიშვილი, აურელიანო მაგნიფიკო ვისბალსა და ხერინელდო მარკესთან ერთად ეწვია „კატარინოს დუქანს". ამ სახლისათვის უკვე მიეშენებინათ შუშაბანდი და ფიცრის ტიხარით ერთმანეთისგან გამოყოფილი პატარა ოთახები. ამ ოთახებში მარტოხელა ქალები ცხოვრობდნენ და მათ მიმჭკნარი ყვავილების სუნი ასდიოდათ. აკორდეონსა და დოლებზე დამკვრელები ფრანსისკო-ადამიანის სიმღერებს მღეროდნენ. თავად ფრანსისკო-ადამიანი უკვე კარგა ხანი იყო, აღარ გამოჩენილა მაკონდოში. აურელიანომ და მისმა მეგობრებმა შაქრის ლერწმის ღვინო შეუკვეთეს. მაგნიფიკო და ხერინელდო აურელიანოს ტოლები იყვნენ, მაგრამ ამ ცხოვრებისა მეტი გაეგებოდათ. მუხლებზე ქალები წამოესკუპებინათ და ღვინოს ნება-ნება წრუპავდნენ. ერთი მიმჭკნარი ოქროსკბილებიანი ქალი აურელიანოს მიეფერა, მაგრამ მან ხელი აუკრა, ვაჟი მიხვდა, რაც მეტს სვამდა ,მით უფრო ეძალებოდა რემედიოსის მოგონება, თუმცა ეს მოგონება ნასვამს ისე ძალუმად აღარ სტანჯავდა, ადვილად ინელებდა გული. მერე აურელიანო უცებ სადღაც გაქანდა, ზუსტად ვერ იტყოდა, რა წუთში გაქანდა პირველად, მაგრამ მალე შეამჩნია, რომ მისი მეგობრებიც და ქალებიც — უფორმო და უწონადო სხეულები — დაქანაობდნენ ბუნდად მოციაფე მირაჟში. ისინი ლაპარაკობდნენ, მაგრამ სიტყვები მათი ბაგეთაგან არ მოდიოდა, არც მათი იდუმალი მოქმედება ემთხვეოდა მათსავე ქცევას. კატარინომ აურელიანოს მხარზე ხელი დაადო და უთხრა: „მალე თერთმეტი საათი გახდება". აურელიანო მობრუნდა და დაინახა უზარმაზარი გაღლაბნილი სახე და ყურთან თმაში გაბნეული ვარდი, მეტი აღარაფერი ახსოვს, თითქოს გულმავიწყობის სენი შეეყარაო კვლავ. ცნობაზე მხოლოდ მეორე დილით მოვიდა, უცხო ოთახში იწვა, — პერანგისამარა. ფეხშიშველი და თმაგაჩეჩილი პილარ ტერნერა ლამპით ხელში დასდგომოდა თავს და თვალს არ უჯერებდა:

— აურელიანო!

აურელიანო ძლივს წამოდგა და თავი ასწია. ვერაფრით ვერ მიხვდა, აქ საიდან გაჩნდა, მოსვლით კი რატომ მოვიდა, ეს ძალიან კარგად ახსოვს, რადგან აქ მოსვლის სურვილს ბავშვობიდანვე მალავდა თავისი გულის უშორეს კუნჭულში.

— თქვენთან უნდა დავწვე, — თქვა მან.

აურელიანოს ტანსაცმელი ტალახსა და საკუთარ ნარწყევში ამოთხვროდა. პილარ ტერნერას — იგი მაშინ თავის ორ პატარა შვილთან ერთად ცხოვრობდა — არაფერი უკითხავს. ვაჟი საწოლთან მიიყვანა, სახე სველი ნაჭრით მოუწმინდა, ტანთ გააძრო, თვითონაც გაშიშვლდა და კოღოების ბადე ჩამოუშვა, შვილებს არ გამოეღვიძოთ და არ დამინახონო. ქალი დაღალა იმ კაცის ლოდინმა, ვისაც მშობლიურ სოფელში გაყარეს. მერე კიდევ იმ კაცების ლოდინში გამოეცალა ძალა, რომ ჰპირდებოდნენ, მალე დავბრუნდებითო და აღარ ბრუნდებოდნენ. არადა, განა ერთი და ორი კაცი ამოუდიოდა კარტში, მაგრამ რატომღაც მის სახლისკენ გზას ვერც ერთი ვერ იგნებდა. ამასობაში სახე დაეღარა, მკერდი მოემჩვარა და გულშიც ჩაუქრა ცეცხლი. პილარ ტერნერამ სიბნელეში მოძებნა აურელიანო, შუბლზე ხელი მოუფათურა და დედაშვილური სინაზით აკოცა ყელზე. „ჩემი საბრალო ბიჭი“, — ჩაიჩურჩულა ქალმა. აურელიანოს შეაცახცახა. მერე მშვიდად და დაჯერებულად, ფეხაურევლად განშორდა დარდისა და ნაღველის ციცაბო ნაპირს და დაინახა რემედიოსი: იგი გასცქეროდა უკიდეგანო ჭანჭრობს, რომელსაც ნადირისა და ახლად დაუთოებული თეთრეულის სუნი ასდიოდა. მიცურავდა აურელიანო და ტიროდა. პირველად შეკავებული სლუკუნი დასცდა, მერე კი ცრემლის ნიაღვარი წამოვიდა თვალთაგან და იგრძნო, მკერდში როგორ გაუსკდა რაღაც დიდი, გაბერილი და მტკივნეული. პილარ ტერნერას ვაჟის თმაში თითები შეეცურებინა და მოთმინებით ელოდა როდის დააღწევდა იგი თავს გულზე მოწოლილ მაჯლაჯუნას. მერე ქალმა ჰკითხა: „ვინ არის ის გოგო?“ აურელიანომ უთხრა. ქალმა ჩაიცინა. მისი სიცილი ერთ დროს მტრედებსაც აფრთხობდა ჰაერში, ახლა ბავშვებსაც კი არ გაღვიძებიათ. „საცოლის გაზრდა მოგიწევს“, — გაეხუმრა ვაჟს, მაგრამ ამ ხუმრობის მიღმა აურელიანომ თანაგრძნობაც ამოიკითხა... აურელიანომ აქ, ამ ოთახში ირწმუნა საკუთარი მამაკაცური ღირსება და აქვე მოეხსნა ის მტანჯველი ტვირთიც, აგერ რამდენიმე თვე მხრებზე რომ აწვა. ოთახიდან გასვლისას პილარ ტერნერა მოულოდნელად შეჰპირდა:

— გოგონას მოველაპარაკები და ქალი არ ვიყო, თუ ლანგრით არ მოგართვა...

შესრულა კიდეც დანაპირები. მაგრამ ამ ამბისთვის ჯერ არვის სცხელოდა ბუენდიების სახლში, სადაც ძველებური სიმშვიდე აღარ სუფევდა. მას შემდეგ, რაც რებეკამ ბოდვაში თავისდა უნებურად გაამხილა თავისი სიყვარულის ამბავი, ამარანტა ხურვებით გახდა ავად. მასაც შეესვა თურმე უიმედო სიყვარულის სამსალა. ჩაიკეტებოდა თავისთვის საბანაო ოთახში, თავისსავე გაუგზავნელ წერილებს აფრქვევდა მხურვალე ცრემლებს და მერე ისევ ზანდუკში ინახავდა საგულდაგულოდ. გულგასიებული ურსულა ორივეს დასტრიალებდა თავს. რა ღონე არ იხმარა, რა ეშმაკობას არ მოუხმო, მაგრამ ვერა და ვერ გაიგო ამარანტას უეცარი ავადმყოფობის მიზეზი. ერთ დღეს კი, თითქოს გონება გაუნათდაო, ამარანტას ზანდუკსაც ახადა თავი და ნახა ვარდისფერი ბაფთით შეკრული, ჯერ კიდევ ცოცხალი ყვავილებით შემკული, ქალიშვილის ცრემლით დანამული გაუგზავნელი წერილები. რისხვით ანთებულმა და ატირებულმა ურსულამ ის დღე დასწყევლა, როცა პიანოლა იყიდა; ქარგვის გაკვეთილები აკრძალა და მთელს სახლში პანაშვიდი გამოაცხადა უმიცვალებულოდ. სამგლოვიარო დღეები მანამდე გასტანდა, ვიდრე ამარანტაც და რებეკაც უარს არ იტყოდნენ თავიანთ სიყვარულზე. ხოსე არკადიო ბუენდია, —

რომელიც პირველ ხანებში სხვა აზრისა გახლდათ პიეტრო კრესპიზე, ახლა კი აღფრთოვანებული ლაპარაკობდა მის ხელოვნებასა და ოსტატობაზე, — ბევრს ეცადა ამ ოჯახურ ამბავში ჩარეულიყო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. როდესაც პილარ ტერნერამ აურელიანოს ამბავი მოუტანა, რემედიოსი თანახმაა ცოლად გამოგყვესო, ვაჟი მიხვდა, ეს ახალი ამბავი მის მშობლებს თავზარს დასცემდა, მაგრამ რაკი ერთხელ გადაწყვიტა, უკან აღარ დაიხია. სასტუმრო ოთახში იხმო მშობლები მოსალაპარაკებლად და გულის ნადები გაუმჟღავნა. მშობლებმა მშვიდად მოისმინეს შვილის ნათქვამი, მაგრამ როგორც კი აურელიანომ საპატარძლოს სახელი ახსენა, ხოსე არკადიო ბუენდია ლამის გადაირია: „მქუაზე შეიშალე! — დაიქუხა მან. — გაგაგიჟა ნამდვილად ამ სიყვარულმა! მიიხედ-მოიხედე,ირგვლივ ამდენი ლამაზი და ღირსეული ქალიშვილია, შენ კი მაინცდამაინც მტრის შვილს დაადგი თვალი?!" ურსულამ, პირიქით, არჩევანი მოუწონა შვილს, მოსკოტეს შვიდივე ქალიშვილი ლამაზი, მშრომელი, მოკრძალებული და კარგად აღზრდილები არიანო. ცოლის საქებარმა სიტყვებმა ხოსე არკადიო ბუენდიას ფარ-ხმალი დააყრევინა, მაგრამ ერთი პირობით დაეთანხმა შვილის სურვილს: პიეტრო კრესპის ცოლად გაჰყვება რებეკა, რადგან ორივეს უყვართ ერთმანეთი, ურსულა კი როცა მოიცლის, ამარანტას დედაქალაქში წაიყვანს, იქნებ ქალიშვილმა გული გადააყოლოს ახალ გარემოსა და ხალხსო. რებეკამ ეს რომ გაიგო, მაშინვე გამოკეთდა. საქმროს ბედნიერებით ალსავსე წერილი მისწერა, ჩამოდი, მშობლებმა უნდა დაგვლოცონო, და მოუთმენლობით შეპყრობილმა თვითონ წაიღო წერილი ფოსტაში. რაც შეეხება ამარანტას, იგი თითქოს დაემორჩილა მშობლების ნება-სურვილს, ვითომ გამოკეთდა, მაგრამ გულის სიღრმეში შეჰფიცა, ვიდრე ცოცხალი ვარ, რებეკა ვერ გათხოვდებაო.

შაბათ საღამოს ხოსე არკადიო ბუენდიამ შავი მაუდის კოსტუმი და მექლისისთვის გაახლებული ნატის ფეხსაცმელი ჩაიცვა, ცელულოიდის საყელო გაიკეთა და რემედიოს მოსკოტეს ხელის სათხოვნელად გაემართა. კორეხიდორმა და მისმა ცოლმა დიდ პატივად მიიღეს მისი მოულოდნელი სტუმრობა, მაგრამ შეშფოთდნენ კიდეც, ნეტავ რამ მოიყვანაო. როდესაც სტუმარმა მოახსენა მოსვლის მიზეზი, მასპინძლებმა იფიქრეს, საპატარძლოს სახელი ეშლებაო და თვალსაჩინოებისათვის დედამ გააღვიძა პატარა რემედიოსი და ხელში აჟიტებული შემოუყვანა სტუმარს. გოგონა ჯერაც ძილბურანში იყო, როცა მშობლებმა ჰკითხეს, მართლა გინდა გათხოვებაო? მან კი უპასუხა, არაფერიც არ მინდა, ძილი მაცალეთო. ხოსე არკადიო ბუენდია ცოლ-ქმარ მოსკოტეებივით დაეჭვდა, იქნებ მართლა მეშლება რამეო და აურელიანოსთან გაიქცა ამბის დასაზუსტებლად. როდესაც დაბრუნდა, მოსკოტეებს უკვე მოესწროთ მის საპატივცემულოდ გამოწყობილიყვნენ, ავეჯიც აქა-იქ გადაედგილებინათ, ლარნაკებში ცოცხალი ყვავილები ჩაედგათ და ხოსე არკადიო ბუენდიას ელოდნენ თავიანთ უფროს ქალიშვილებთან ერთად. უჩვეულო შუამავლობითა და უხეში საყელოთი გაწვალებულმა სტუმარმა დაბეჯითებით გაიმეორა, საპატარძლო სწორედ რემედიოსიაო. „სოლცარია პირდაპირ, — შეწუხდა დონ აპოლინარ მოსკოტე. — რემედიოსის გარდა ექვსი ქალიშვილი გვყავს და ექვსივე გასათხოვარია. ყოველი მათგანი სიამოვნებით გაჰყვებოდა ცოლად ისეთ დინჯსა და შრომისმოყვარე კაბალიეროს, როგორიც თქვენი ვაჟია. აურელიტომ კი მაინცდამაინც ის ამოირჩია საცოლედ, რომელიც ჯერ კიდევ იფსამს ლოგი-

ნში"... კარგად თავშენახულმა, თვალნაღვლიანმა და დარბაისელმა სენიორა მოსკოტემ ქმარს უსაყვედურა, უხამს სიტყვებს რატომ კადრულობო. მერე, როდესაც ხილის წვენი შესვეს, მოსკოტები გატეხა აურელიანოს სიმტკიცემ და სიჯიუტემ და ჯვრისწერაზე დაეთანხმნენ. ოღონდ ქალბატონმა მოსკოტემ სტუმარს სთხოვა, თუ შეიძლება ურსულას შემახვედრეთ, [illegible] ვუთხრაო. ურსულა ჯერ აბუზღუნდა, მაინცდამაინც მე უნდა [illegible] საქმეშიო, მაგრამ ცნობისწადილმა სძლია და მეორე დღეს აღელვებული და ცოტა შეშინებულიც ეახლა მოსკოტებს შინ. სულ რაღაც ნახევარ საათში დაბრუნდა იქიდან და თავისიანებს გამოუცხადა, რემედიოსი ჯერ მოუმწიფებელია გათხოვებისთვისო. აურელიანო ამდენხანს ელოდა ამ თანხმობას, რომ ეს ამბავი დიდ დაბრკოლებად არ მიუჩნევია. იგი მზად იყო, კიდევ მოეცადა, ვიდრე საპატარძლო იმ ასაკამდე გაიზრდებოდა, როცა დაორსულებას შეძლებდა.

ის იყო მშვიდობიანი ცხოვრება აღდგა ბუენდიების სახლში, რომ მელკიადესი გარდაიცვალა. რა თქმა უნდა, ყველამ იცოდა, ადრე თუ გვიან მოკვდებოდა. მაგრამ მაინც უცნაური იყო მისი სიკვდილი. ბოლო ხანებში ისე დაჩანჩალდა, ისე ზედმეტი და არასასურველი გახდა, ჩვეულებრივ რომ არიან ხოლმე მიხრწნილი პაპები: ოთახებში მოჩვენებებივით დადიან, ფეხებს დაათლატუნებენ და ხმამაღლა იგონებენ თავიანთი ცხოვრების საუკეთესო წლებს. ეს მოხუცები აღარავის სჭირდება, არც აღარავის ახსოვს იმ დღემდე, სანამ მკვდარს არ წააწყდებიან ლოგინში. პირველ ხანებში დაგეროტიპითა და ნოსტრადამუსის წინასწარმეტყველების გაგების სურვილით შეპყრობილი ხოსე არკადიო ბუენდია ეხმარებოდა მელკიადესს, მაგრამ მერე და მერე მიატოვა ბოლოს, რადგან ვეღარ ელეოდა მასთან. დაყრუებულ და დაბრმავებულ მელკიადესს დრო და გარემო ერია, ეგონა, ძველისძველ დროში რომ ვიცნობდი, იმ ხალხს ველაპარაკებიო და რაღაც გაუგებარსა და უცნაურს ლუღლუღებდა სხვადასხვა ენაზე. ოთახებში ბორიალისას ხელს წინ ისე გაიშვერდა, თითქოს ჰაერს სინჯავსო, თუმცა, საკვირველიც იყო, ისე სხარტად უვლიდა გვერდს ავეჯს. ერთხელ ხელოვნური კბილების ჩადგმა დაავიწყდა, წყლიან ჭიქაში ჩატოვა და მერე არც უხმარია მეტად. სახლის გადიდება რომ განიზრახა, ურსულამ ბრძანა, მელკიადესისთვის ცალკე ოთახი მიეშენებინათ აურელიანოს სახელოსნოს გვერდით, მყუდრო და მოხერხებული. ურსულამ ოთახში თაროები გააკეთებინა და ამ თაროებზე საკუთარი ხელით შემოაწყო მოხუცის მტვრიანი და ჩრჩილდაჭმული წიგნები, უცნაური, ჩახლართული ნიშნებით აჭრელებული ქაღალდები და კბილის პროთეზიანი ჭიქაც, სადაც ფესვი გაედგათ პაწია წყალმცენარეებსა და ყვითელ-ყვითელ ყვავილებს. მელკიადესს, ეტყობა, ახალი ადგილი მოეწონა, სასადილო ოთახშიც აღარ გამოდიოდა. მხოლოდ აურელიანოს სახელოსნოში თუ შეეფარებოდა, საათობით იჯდა მაგიდასთან და თავისი იდუმალი ნაწერები გადაჰქონდა მაგარსა და გამომშრალ პერგამენტებზე, რომლებიც ფხვიერი ცომივით ტყდებოდნენ. ჭამითაც სახელოსნოში ჭამდა. ვისიტასიონს მიჰქონდა საჭმელი დღეში ორჯერ, მაგრამ ბოლო ხანებში მადა დაეკარგა, მარტო ბოსტნეულს ჭამდა და სახეც შესაბრალისი და მიმტკნარებული გაუხდა ყველა ვეგეტარიანელივით. მისი ძველისძველი ჟილეტისა არ იყოს — გაუხდელად რომ ეცვა დღენიადაგ — კანზეც თხელი ობი გადაეკრა, სუნთქვისას სიმყრალე ამოსდიოდა პირიდან მძინარე მხეცივით. თავის ლექსებში ჩაძირულ აურელიანოს აღარც ახსოვდა მელკიადესი, მაგრამ ერთხელ

მის ბუტბუტს მოჰკრა ყური და ამ ბუტბუტში თითქოს რაღაცას მიხვდა. აურელიანომ ყური მიუგდო: მოხუცის აბდაუბდა ბუტბუტში, ჩაქუჩის დარტყმასავით გამოარჩია რამდენჯერმე განმეორებული სიტყვა „ბუნიობა", „ბუნიობა", „ბუნიობა" და სახელი — ალექსანდრ ფონ ჰუმბოლდტი. არკადიოც საიუველირო საქმეში ეხმარებოდა ხოლმე აურელიანოს და მელკიადესს ზუსტად იმ ხანებში დაუახლოვდა. ბევრი ბოშა არკადიოსთან საუბარში ფარს არ ამბობდა, ხანდახან ერთ-ორ წინადადებას იტყოდა ესპანურად, მაგრამ ისეთს, დღევანდელობას რომ არაფრით უკავშირდებოდა. ერთ საღამოს ბოშა ერთბაშად აღელდა. გაივლის რამდენიმე წელიწადი და კედელთან დასახვრეტად მდგომი არკადიო გაიხსენებს, მთლად აცახცახებულმა მელკიადესმა რა ხმამაღლა და წამლერებით წაუკითხა თავისი უცნაური ნაწერები. არკადიო, რა თქმა უნდა, ვერაფერს მიხვდა, მაგრამ მოჩვენებით კი მოეჩვენა, თითქოს ენციკლიკები[1] გადაეტანათ მუსიკაზე. კითხვა რომ დაამთავრა, მელკიადესმა მთელი იმ ხნის მანძილზე პირველად გაიღიმა და ესპანურად წარმოთქვა: „როცა მოვკვდები, ჩემს ოთახში სამი დღე გამოწვით ვერცხლისწყალი". არკადიომ ეს სიტყვები ხოსე არკადიო ბუენდიას გადასცა, მერე, იქნებ კიდევ დავაცდენინო რამეო, რაღაც-რაღაცები ჩააკითხა. მაგრამ მელკიადესმა მოკლედ უპასუხა: „უკვდავებას მივაღწიე". როდესაც მოხუც ბოშას სუნთქვა აუმყრალდა, არკადიომ გადაწყვიტა ყოველ ხუთშაბათს დილაობით მდინარეზე წაეყვანა საბანაოდ. მელკიადესი ტანთ იხდიდა და პატარა ბიჭებთან ერთად შედიოდა წყალში. რაღაც იდუმალი გრძნობა ჰკარნახობდა, გვერდი აევლო ღრმა და სახიფათო ადგილებისათვის. „ყველანი წყლიდან წარმოვიშვით", თქვა მან ერთხელ. გადიოდა დრო. მოხუცი ბოშა თითქოს აღარც არსებობდა სახლში, მხოლოდ იმ ღამეს ნახეს, მთელის მონდომებით რომ ცდილობდა პიანოლის აწყობას და ახლა ხუთშაბათობით ხელდავდნენ არკადიოსთან ერთად მდინარისკენ მიმავალს და იღლიაში პირსახოცამოჩრილს. პირსახოცში გამხმარი კვახი და პალმის საპონი გამოეხვია. ვიდრე არკადიო გამოუხმობდა მელკიადესს საბანაოდ, აურელიანომ მის ბუტბუტს მოჰკრა ყური: „ციებამ მომკლა სინგაპურის ჭაობებში". ამჯერად წყალში შესვლისას მოხუცმა ბოშამ სახიფათო გზა აირჩია და იგი მხოლოდ მეორე დღეს იპოვეს კარვა შორს, ნაპირზე გამორიყული. იწვა ქვიშაზე და მუცელზე ქათმის ყორე მიჰკვროდა. ურსულამ მშობელ მამასავით დაიტირა მოხუცი ბოშა და თუმცა ქმარის განრისხებული აღუდგა წინ, ხოსე არკადიო ბუენდიამ მაინც თავისი გაიტანა: მელკიადესს არ დავასაფლავებთო. „მელკიადესი უკვდავია და თვალად მან ამოხსნა მკვდრეთით აღდგომის ფორმულა", — თქვა ხოსე არკადიო ბუენდიამ, მიტოვებული ქურა გააჩაღა, ზედ ვერცხლისწყლით სავსე ქვაბი შემოდგა, მიცვალებული ქურასთან ახლოს დაასვენა და ვერცხლის წყალი მანამ წვა, ვიდრე გვამი ლურჯი ბუშტულებით არ დაიფარა. დონ აპოლინარ მოსკოტემ ხოსე არკადიო ბუენდიას შეაწყვეტინა: წყალში დამხრჩვალი დაუსაფლავებელი მიცვალებული ცოცხლება დაასნეულებსო. „აბა რას ამბობთ, ის ცოცხალია!" — ხოსე არკადიო ბუენდია ზუსტად სამოცდათორმეტ საათს წვავდა ვერცხლის წყალს. ამასობაში გვამი სტვენაშხუილით სკდებოდა და იქაურობას შეაზარავად ედებოდა გახრწნილი ხორცის სუნი. მხოლოდ მაშინ გადაწყვიტა ხოსე არკადიო ბუენდიამ მიწისათვის მიება-

[1] [illegible]

რებინა მიცვალებული და მიებარებინა არა უბრალოდ, არამედ დიდი პატივით. როგორც შეჰფეროდა მაკონდოს ერთ-ერთ კეთილისმყოფელ კაცს. ეს იყო პირველი და ყველაზე ხალხმრავალი დაკრძალვა მაკონდოში. ასი წლის შემდეგ ამ დაკრძალვას სულ ცოტათი გადააჭარბებს სამგლოვიარო კარნავალი, რითაც პატივი მიაგეს დედა გრანდეს[1] ხსოვნას. [illegible] დიდი მინდორი გამოყვეს. შუა მინდორში საფლავი გათხრეს და [illegible] ჩაუშვეს სამარეში. ქვაზე მხოლოდ ის წააწერეს, რაც იცოდნენ მაკონდოელებმა ამ კაცზე: „მელკიადესი". მერე, წესისამებრ, ცხრა ღამე უთენეს მიცვალებულს, ბუენდიების ეზო სავსე იყო მილეთის ხალხით, ყავას სვამდნენ, ანეკდოტებს ყვებოდნენ და ბანქოს თამაშობდნენ. ამ არეულობაში ამარანტამ დრო იხელთა და სიყვარულში გამოუტყდა პიეტრო კრესპის, რომელმაც რამდენიმე კვირის წინ რებეკა თავის დანიშნულად გამოაცხადა და ახლა მუსიკალური საკრავებისა და მოსამართი სათამაშოების მაღაზიის გახსნას აპირებდა სწორედ იმ ადგილას, სადაც ოდესღაც არაბები თუთიყუშებში ცვლიდნენ პატარ-პატარა ნივთებს. ამჟამად ამ ქუჩას ხალხმა თურქების ქუჩა დაარქვა. იტალიელმა ვაჟმა, ვისი მშვენიერი და მბზინავი კულულების დანახვაზეც ქალებს ელეთმელეთი მოსდიოდათ, ამარანტას ისე მიმართა, თითქოს ერთი პატარა, განებივრებული გოგონა ყოფილიყოს და მეტი არაფერი.

— უმცროსი ძმა მყავს, სადაცაა ჩამოვა, მაღაზიაში ხელი რომ წამაშველოს.

შეურაცხყოფილმა და დამცირებულმა ამარანტამ გესლიანად უპასუხა, სიცოცხლის ფასადაც რომ დამიჯდეს, ქორწილს მაინც ჩაგიშლითო. მუქარით გაკვირვებულმა იტალიელმა ვერ მოითმინა და რებეკას უამბო ყველაფერი. ამის გამო იყო თუ რა, ამარანტა მალე გასამგზავრებლად მოამზადეს, აქამდე ურსულას მოუცლელობის გამო არ დაადგა საშველი მის გამგზავრებას! ქალიშვილი ამ გადაწყვეტილებას უსიტყვოდ დაემორჩილა, მაგრამ დამშვიდობებისას რებეკას მაინც წასჩურჩულა ყურში:

— ტყუილად გგონია, თავიდან მიშორებ. ქვეყნის დასასრულამდე რომ მატარონ, სულ ერთია არ გაგახარებ, თუ დამჭირდა, მოგკლავ კიდეც.

ურსულას არყოფნისა და უხილავი მელკიადესის გამო, რომელიც თითქოს კვლავ დაბორიალობდა ოთახებში, სახლი უზარმაზარი და გამოცარიელებული ეგონებოდა კაცს. რებეკას ოჯახის უფროსობა დაევალა, ინდიელ ქალს — საცხობში ტრიალი. საღამოობით სუმბულის სურნელით გაჟღენთილი პიეტრო კრესპი რომ გამოჩნდებოდა ხოლმე უსათუოდ საჩუქრით ხელში — უმეტესად მოსამართი სათამაშოები მოჰქონდა — საცოლე დიდ სასტუმრო ოთახში ხვდებოდა მას, თანაც კარ-ფანჯრებს ფართოდ მოაღებდა, მეზობლებს საჭორაო საბაბი არ მივცეო. მაგრამ ასეთი სიფრთხილე სულაც არ იყო საჭირო — იტალიელ ვაჟს მეტისმეტად ღირსეულად ეჭირა თავი, ხელზეც კი არ ეხებოდა იმ ქალიშვილს, თითქმის რაღაც ერთ წელიწადში მისი ცოლი რომ უნდა გამხდარიყო. სახლი ნელ-ნელა აივსო მშვენიერი მოსამართი სათამაშოებით. რაღას არ ნახავდით აქ: მოცეკვავე ქალებს, მუსიკალურ ზარდახშებს, აკრობატ მაიმუნებს, მედოლე ჯამბაზებს, მოხტუნავე ცხენებს. პიეტრო კრესპის ბოდ-

[1] [illegible] გრანდე — გ. გ. მარკესის მოთხრობების კრებულის „დედა გრანდეს დაკრძალვა" [illegible] მაკონდოში ხდება.

ბულმა ამ უძრავმა დასაქოქმა სათამაშომ ხოსე არკადიო ბუენდიას მელკიადესის სიკვდილზე დარდი მთლად გაუნელა და კვლავ იმ დროს დაუბრუნდა, ალქიმიის მეტი რომ არაფერი ახსოვდა. იგი დასახლდა გამოშიგნული ცხოველებისა და ნაწილ-ნაწილ დაშლილი მექანიზმების სამოთხეში. მიზნად დაისახა, იმგვარად გაეუმჯობესებინა ეს სათამაშოები, რომ ქანქარის პრინციპზე [illegible]-დამ ემოძრავათ. რაც შეეხება აურელიანოს, მან მიატოვა თავისი სახელოსნო და ხელი მიჰყო პატარა რემედიოსისთვის წერა-კითხვის სწავლებას. პირველ ხანებში გოგონას თავისი თოჯინები ერჩივნა იმ ულვაშიან კაცთან ყოფნას, ვინც ყოველ საღამოს მოდიოდა მათთან სტუმრად და ვისი გულისთვისაც თამაშს თავს ანებებინებდნენ — ბანდნენ, რთავდნენ და ისე გამოჰყავდათ სასტუმრო ოთახში. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, აურელიანოს მოთმინებამ და ერთგულებამ ისე დაიმორჩილა, რომ აღარ შორდებოდა. თითქმის მთელი დღე მის გვერდით იჯდა, სწავლობდა წერა-კითხვას და ფერადი ფანქრებით ხატავდა სახლებს, ძროხებს და მთის წვერზე დასკუპებულ სხივყვითელ მზეს.

მხოლოდ რებეკა იყო უბედური, ვერა და ვერ დაევიწყებინა დის მუქარა. კარგად იცოდა ამარანტას ხასიათი, მისი სიამაყე და ეშინოდა ბოროტი შურისძიებისა. რებეკა საათობით იჯდა საბანაოში, წოვდა თითს და სასოწარკვეთილი ებრძოდა თავს, კვლავ არ გაეხსენებინა ძველი ჩვეულება — მიწის ჭამა. თავი რომ დაემშვიდებინა, პილარ ტერნერა მოიხმო, იქნებ მიმკითხაოსო. პილარ ტერნერამ ჯერ რაღაც იბუტბუტა, იბუტბუტა და მერე თქვა:

— ბედნიერებას ვერ ეღირსები, ვიდრე მშობლებს არ დამარხავ.

რებეკას მთელს ტანში ცახცახმა დაურბინა: თითქოს შორეული სიზმარი გაიხსენაო, თვალწინ დაუდგა პატარა გოგო, რომელიც ბუენდიების სახლის კარს მიადგა ზანდუკით, სარწეველა სავარძლითა და რაღაც ტომრით ხელში — ამ ტომარაში კი რა იდო, ვერასოდეს გაიგებს იგი. გაიხსენა ტილოს კოსტიუმში გამოწყობილი, საყელოზე ოქროს საკინძდამაგრებული მელოტი კაცი, ვისაც სულაც არ ჰგავდა კარტში ამოსულ გულის პაპა. გაიხსენა ლამაზი ყმაწვილი ქალი, ვისაც ისეთი თბილი და სურნელოვანი თითები ჰქონდა, რომ სულაც არ ჰგავდა გულის ქალის რევმატიულ-დაღვლარჭნილ თითებს. ის ქალი გოგონას თმაში ყვავილებს უბნევდა და საღამოობით ქალაქის ჩამწვანებულ ქუჩებში გაჰყავდა.

— ვერაფერი გავიგე, — თქვა რებეკამ.

— ვერც მე გავიგე. მაგრამ კარტში ეს ამოდის.

შეშფოთებულმა რებეკამ მაშინვე ყველაფერი უამბო ხოსე არკადიო ბუენდიას. მან დატუქსა ქალიშვილი, კარტის როგორ გჯერაო, მაგრამ თვითონაც გვარიანად აწრიალდა. მალულად გადაქექა ზანდუკები, კარადები, იატაკიც კი აჰყარა ძვლებიანი ტომრის ძებნაში. კარგად ახსოვდა, სახლის გადაკეთების მერე არ მოუკრავს თვალი ტომრისთვის. მალულად დაჰკითხა კალატოზები და ბოლოს ერთმა აღიარა: მუშაობისას ყველგან ფეხებში გვებლანდებოდა. თანაც თავისი რაკარუკით გული გვიწვრილებდა, მეც ავდექი და საძინებელი ოთახის კედელში ჩავატანეო. ხოსე არკადიო ბუენდიამ რამდენიმე დღე კედელზე ყურმიდებულმა გაატარა საძინებელ ოთახში და როგორც იქნა, ერთ დღეს მოისმა საშინელი რაკარუკი. მაშინვე გამოანგრიეს კედელი და ძვლებიანი ტომარაც გამოათრიეს. იმავე დღეს ჩაფლეს მიწაში მელკიადესის საფლავიდან მოშორებით, ოღონდ საფლავზე არაფერი წააწერიათ. პრუდენსიო აგილარის

აჩრდილისა არ იყოს, ხოსე არკადიო ბუენდიას მხრებს უმძიმებდა, სინდისს ქენჯნიდა ეს ტომარა, ახლა კი ამ ტვირთისგან განთავისუფლებული დაბრუნდა შინ, სამზარეულოში შევიდა და რებეკას შუბლზე აკოცა.

— თავიდან ამოიგდე ეგ უამური ფიქრები, — უთხრა ქალიშვილს, — ბედნიერი იქნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებეკასთან დამეგობრებამ პილარ ტერნერას ფართოდ გაუღო ბუენდიების სახლის კარი, რომელიც ურსულამ არკადიოს დაბადებისთანავე მიუხურა. ახლა უკვე — თხის არვესავით — როცა მოესურვებოდა, მაშინ მიადგებოდა ხოლმე ქალი ბუენდიების სახლს და გახელებული ძალა რაღაცაში რომ დაეხარჯა, ყველაზე მძიმე საოჯახო საქმეს ეჭიდებოდა. ზოგჯერ სახელოსნოშიც შეიხედავდა და არკადიოს ისეთი მონდომებით და სინაზით ეხმარებოდა დაგეროტიპიის ფირფიტების დამუშავებაში, რომ ჭაბუკს გონი ერეოდა და ამ ქალის ყოველ მიახლოვებაზე თავბრუ ესხმოდა. მისი მხურვალე კანი, — კვამლის სუნი რომ ასდიოდა, — და ხმამაღალი სიცილი, — ცოტა უხერხულად რომ ისმოდა ამ ბნელ ოთახში, — ჭაბუკს თავგზას ურევდა და შეცდომას შეცდომაზე უმატებდა.

ერთ დღეს აურელიანო ჩვეულებისამებრ თავის თევზებს დასტრიალებდა თავს, რომ სახელოსნოში პილარ ტერნერა შევიდა, მის მაგიდას დაეყრდნო და აღტაცებული შეაცქერდა ვაჟის აუჩქარებელსა და დინჯ საქმიანობას. აურელიანო დარწმუნდა, არკადიო სხვა ოთახშიაო და მხოლოდ მაშინ ჩახედა პილარ ტერნერას თვალებში, სადაც ისე ნათლად იკითხებოდა ქალის აზრები, თითქოს შუადღის მზემ გამოანათაო.

— აბა თქვი, რისი თქმაც გსურს!

პილარ ტერნერას ნაღვლიანმა ღიმილმა დაუსერა პირი:

— ომისთვისა ხარ გაჩენილი, — უპასუხა მან. — რასაც დაუმიზნებ, კიდეც მოახვედრებ.

აურელიანომ შვებით ამოისუნთქა, ეს აზრი სწორად ამომიკითხავს ქალის თვალებშიო, თითქოს არაფერი მომხდარაო, მაგიდაზე დაიხარა და მშვიდად და შეუვალად წარმოთქვა:

— მე მას მივიღებ. გვარს მივცემ.

ხოსე არკადიო ბუენდიამ, როგორც იქნა, მიაღწია საწადელს: საათის ზამბარა ერთ „მოცეკვავე ქალს“ მიუერთა და სათამაშოც მთელი სამი დღე ცეკვავდა თავისსავე მუსიკაზე. ამ გამოგონებამ მთლად მოუთავა ხელი კაცს, აღარც ჭამა უნდოდა, აღარც სმა და აღარც ძილი. ცოლის ზრუნვასა და თვალთვალს მოკლებული ხოსე არკადიო ბუენდია თავით ფეხამდე ჩაფლულიყო თავის განუკურნებელ იბრიოდულ წარმოსახვათა მორევში. დილიდან დაღამებამდე მიდიმოდიოდა ოთახში, ხმამაღლა ებაასებოდა საკუთარ თავს, ხმამაღლა მსჯელობდა და ანგარიშობდა, როგორ დაენერგა ქანქარის პრინციპი ეტლში, გუთანში, ყველაფერში, რაც მოძრაობს, როგორ გამოეყენებინა ეს ყოველივე ხალხის საკეთილდღეოდ. უძილობამ ისე დააძაბუნა საწყალი კაცი, რომ ერთ დილაუთენიას, როცა მის საძინებელ ოთახში ვიღაც თმადათოვლილი მოხუცი კაცი შევიდა. ხოსე არკადიო ბუენდიამ ვერ იცნო იგი. ეს მოხუცი პრუდენსიო აგილარი გახლდათ. ბოლოს, როცა მიხვდა, ვინც ესტუმრა, განცვიფრდა, თურმე მიცვალებულებიც ბერდებიანო და ღრმა ნაღველმა მოიცვა მთელი მისი არსება. „პრუდენსიო! — შესძახა მან. — ასე შორს რამ წამოგიყვანა?!“ პრუდენსიო აგი-

ლარს მიცვალებულთა საუფლოში ხანგრძლივმა ყოფნამ ისე გაუძლიერა ცოცხლებზე დარდი, ისე მონატრა, ვილაც ჰყოლოდა გვერდით, ისე აწამა თვით სიკვდილში არსებულმა კიდევ ამ ერთმა სიკვდილმა, რომ ბოლოს და ბოლოს შეიყვარა კიდეც თავისი უბოროტესი მტერი. დიდი ხანი ეძებდა თურმე. წილას არ ეკითხებოდა მის ამბავს, რიოაჩადან, ვალიე დე უპარიდან [illegible] მოსულ მიცვალებულებს, მაგრამ ამაოდ — მაკონდოს არსებ[illegible]ში არავინ იცოდა, ვიდრე მელკიადესი არ ეტუმრა იქაურობას და შავი წერტილით არ აღნიშნა იგი სიკვდილის გადაჭრელებულ რუკაზე. ალიონის დადგომამდე არ გამოლევიათ სალაპარაკო ხოსე არკადიო ბუენდიასა და პრუდენსიო აგილარს. კარგად რომ ინათა, უძინარი და ღონემიხდილი ხოსე არკადიო ბუენდია აურელიანოსთან შევიდა სახელოსნოში: „დღეს რა დღეა?" აამშაბათიაო, უპასუხა შვილმა. „მეც ასე მეგონა, — თქვა ხოსე არკადიო ბუენდიამ, — მაგრამ ახლა მივხვდი, გუშინდელი ორშაბათი გრძელდება დღესაც. აბა, კარგად შეხედე ცას, კედლებს, ბეგონიებს, დღეს ისევ ორშაბათია". აურელიანომ იცოდა მამის უცნაური ხასიათი და ახლაც დიდად არ დაუტანებია აზრი მისი სიტყვებისათვის. ოთხშაბათ დღეს ხოსე არკადიო ბუენდია კვლავ გამოჩნდა სახელოსნოში. „რა უბედურებაა, — თქვა მან, — ჰაერს დააკვირდი, ყური მიუგდე, მზე როგორ წკრიალებს, ყველაფერი ზუსტად ისეა, როგორც გუშინ და გუშინწინ იყო. დღესაც ორშაბათია". საღამოს პიეტრო კრესპი გადაეყარა ხოსე არკადიო ბუენდიას: იგი დერეფანში იჯდა და ცრემლად იღვრებოდა, ულამაზოდ, ბებრულად ფშლუკუნებდა, დასტიროდა ყველას, ვინც ახლა სიკვდილის მარტოობაში ეგულებოდა — პრუდენსიო აგილარს, მელკიადესს, რებეკას მშობლებს და საკუთარ დედ-მამასაც. პიეტრო კრესპიმ მოსამართი დათვი აჩუქა — ორ თათზე ატოტებული ნადირი მავთულზე გადიოდა, — მაგრამ ვერა და ვერ დაამშვიდა მიცვალებულებზე ფიქრაკვიატებული კაცი. ბოლოს ჰკითხა, ამას წინათ ადამიანის ცაში გასაფრენ მანქანა-ქანქარაზე რომ მელაპარაკებოდით, რა ჰქენითო. ხოსე არკადიო ბუენდიამ უპასუხა, ასეთ მანქანას ვერ შევქმნით, რადგან მართალია, ქანქარა ყველა ნივთს აიტანს ჰაერში, მაგრამ საკუთარ თავს ვერასოდესო. ოთხშაბათ დღეს ხოსე არკადიო ბუენდია კვლავ მიადგა სახელოსნოს, სახეზე სასოწარკვეთილება აღბეჭდოდა. „დროის მანქანა გაფუჭდა, — ლამის ქვითინებდა იგი, — ურსულა და ამარანტა კი ისე შორს არიან". აურელიანომ ბავშვივით დატუქსა მამა და ისიც ჩაჩუმდა, მთელი ექვსი საათი ყურადღებით აკვირდებოდა ყველა ნივთსა და საგანს, გუშინდელს ხომ არ შეცვლილანო და ჯიუტად ეძებდა განსხვავების ნიშნებს — ჟამთა სვლის მტკიცების ნიშნებს. მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს, პრუდენსიო აგილარს, მელკიადესსა და ყველა მიცვალებულს უხმობდა, თავისი შფოთი და ნაღველი სურდა გაეზიარებინა მათთვის, მაგრამ არავინ გამოხმაურებია მის ძახილს. პარასკევი დღე თენდებოდა, სახლში ჯერ კიდევ ყველას ეძინა, ხოსე არკადიო ბუენდია კი კვლავ აკვირდებოდა ირგვლივ ყველაფერს, ბოლოს იოტისოდენა ეჭვიც აღარ დარჩენია, რომ დღეს ისევ ორშაბათი იყო. მაშინ კარს რკინის ურდული ჩამოგლიჯა, მკლავში წინანდებური ძალა ჩაუდგა და გაავთრებულმა მტვრად აქცია ალქიმიური ხელსაწყოები, დაგეროტიპის ლაბორატორია და საოქრომჭედლო სახელოსნოც. რაც ძალი და ღონე ჰქონდა, აქნევდა რკინას და თან გაცოფებული გაჰყვიროდა რაღაცას სრულიად გაუგებარ ენაზე. ალბათ მთელ სახლს მიღეწ-მოღეწავდა, აურელიანოს დროზე რომ არ ეხმო

მეზობლები საშველად. ათმა კაცმა ძლივს წააქცია გავეშებული ხოსე არკადიო ბუენდია, თოთხმეტმა კაცმა ასევე ძლივს შეკოჭა, ხოლო ოცმა კაცმა ძლივს მიათრია დიდ წაბლის ხესთან და თოკით მიაბეს ზედ. ხოსე არკადიო ბუენდია უცნაურსა და გაუგებარ ენაზე იგინებოდა და პირიდან მწვანე დუჟი გადმოსდიოდა. მაკონდოში დაბრუნებულ ურსულასა და ამარანტას იგი კვლავ გაკოჭილი დახვდათ, საცოდავად გალუმპულიყო წვიმაში, მაგრამ სამაგიეროდ მიწყნარებული და მშვიდი ჩანდა. ურსულამ ქმარს თოკი შემოხსნა დასისხლიანებულ ხელ-ფეხზე, მხოლოდ წელზე დაუტოვა, მერე პალმის ტოტებით გადაახურვინა მისი სამყოფელი, რათა მზესა და წვიმას არაფერი ევნო წაბლის ხეზე თოკით მიბმული კაცისთვის.

აურელიანო ბუენდიამ და რემედიოს მოსკოტემ მარტში, ერთ კვირა დღეს დაიწერეს ჯვარი საკურთხევლის წინ, რომელიც მღვდელმა ნიკანორ რეინამ აღმართა სასტუმრო ოთახში. მოსკოტების ოჯახში ბოლო მოეღო მთელი თვის ღელვასა და შფოთს; პატარა რემედიოსი სიმწიფის ხანაში ისე შევიდა, ჯერაც ვერ მოეცილებინა თავისი ბავშვური ჩვევები. დედამ წინასწარ რამდენჯერმე დაარიგა გოგონა, ქალიშვილობაში შესვლისას ასე და ასე მოგივაო, მაგრამ ამდენი რჩევისა და გაფრთხილების მიუხედავად იგი თებერვლის ერთ საღამოს შეშინებული ყვირილით შეიჭრა სასტუმრო ოთახში და ქარგვაში გართულ დებს უჩვენა მუქად დათხვრილი ქვედა საცვალი. დანიშნეს ქორწილის დღე. საპატარძლოს ის იყო აჩვევდნენ თავისით ხელ-პირის დაბანვასა და ჩაცმას, ასწავლიდნენ ყველაზე იოლ საოჯახო საქმეებს. საწოლში ჩასვლებას რომ გადაეჩვიათ, ცხელ აგურებზე აშარდვინებდნენ. ბევრი უჩიჩინეს ცოლქმრულ ურთიერთობაზე, გამოწვლილვით აუწერეს პირველი ღამის ამბები, ისიც უთხრეს, ამაზე ლაპარაკი საჯაროდ არ შეიძლებაო, მაგრამ გოგონას ისე მოეწონა უფროსების ნაამბობი, რომ ლამის ყველასათვის გაეზიარებინა თავისი აზრი. ერთი სიტყვით, პატარა რემედიოსმა ძალიან გააწვალა ყველანი, მაგრამ სამაგიეროდ ქორწილის დღისათვის თავის დებზე ნაკლებად როდი ერკვეოდა ცხოვრებისეულ საკითხებში. დონ აპოლინარ მოსკოტემ საპატარძლოს ხელი ჩაჰკიდა და ყვავილებითა და გირლანდებით მორთულ ქუჩაში გაიყვანა. უკრავდა მუსიკა და წითელ-ყვითლად ითებოდნენ შუშხუნები. რემედიოსი ხელის ქნევითა და ღიმილით უხდიდა მადლობას ფანჯრებში გადმომდგარ მეზობლებს, რომლებიც გაბედნიერებას ულოცავდნენ. შავი მაუდის კოსტიუმსა და ლითონის ბალთებიან პრიალა ფეხსაცმელში გამოწყობილი აურელიანო — სწორედ ეს ფეხსაცმელი ეცმევა დასახვრეტად კედელთან მდგომსაც — თავის სახლის კართან შეეგება საცოლეს. ფერგამკრთალ ვაჟს ყელში ბურთივით მოსწოლოდა რაღაც. რემედიოსი კი პირიქით მშვიდად და მოკრძალებულად გამოიყურებოდა. პატარა საპატარძლოს არც მაშინ უღალატა სიმშვიდემ და თავდაჭერილობამ, როცა საქმროს ხელიდან გაუვარდა საქორწილო ბეჭედი. ყველანი აჩოჩქოლდნენ, აჩურჩულდნენ, რემედიოსი კი ხელგაწვდილი მშვიდად ელოდა, თითზე როდის ჩამოაცმევდა საქმრო ბეჭედს. დედასა და დებს ისე ეშინოდათ, რემედიოსს არაფერი შეშლოდა, რომ ამ შიშით გატანჯულებმა თვითონ დაუშვეს შეცდომა: ქალიშვილს უკარნახეს, პირველმა შენ აკოცე საქმროსო. სწორედ ამ დღიდან ჩაესახა რემედიოსს მოვალეობის გრძნობა, უფრო თავდაჭერილი და თავაზიანი გახდა და ამ შეძენილ თვისებებს იგი ყველაზე მძიმე წუთებშიც არ უღა-

ლატებს. იმ დღეს თვითონ მოიფიქრა და საქორწილო ლევზელის ყველაზე საუკეთესო ნაჭერი ხოსე არკადიო ბუენდიას მიართვა ჩანგალთან და თეფშთან ერთად. პალმის ტოტებქვეშ მიყუჩულმა, წაბლის ხეზე მიბმულმა და წვიმასა და მზეში ფერგაცლილმა ბებერმა გოლიათმა ქალიშვილს მადლიერად გაუღიმა, ლევზელი პირში მოიგდო და გაუგებარ ლოცვას მოჰყვა. ქორწილი ორშაბათამდე გაგრძელდა. ამ ქორწილზე ერთადერთი უბედური ადამიანი რებეკა ბუენდია იყო. მის გაბედნიერებას ფრთა შეუკვეცეს: ურსულას გადაწყვეტილებით, რებეკასაც ამ დღეს უნდა დაეწერა ჯვარი, მაგრამ პიეტრო კრესპიმ მოულოდნელად წერილი მიიღო, დედაშენი სიკვდილის პირზეა და მოუსწარიო. მათი ქორწილი გადადეს. წერილის მიღებიდან ერთი საათიც არ იყო გასული, რომ პიეტრო კრესპი უკვე პროვინციის ქალაქისკენ მიეშურებოდა. გზაში იგი ასცდა დედამისს, რომელიც მაკონდოში ჩავიდა დროულად, შაბათ საღამოს და შვილის ქორწილისთვის საგანგებოდ შესწავლილი სევდიანი რომანსი სამაგიეროდ აურელიანოს ქორწილზე იმღერა. პიეტრო კრესპი კვირა ღამით გამოემგზავრა მაკონდოსაკენ. გზაში ხუთი ცხენი გამოიცვალა, იქნებ საკუთარ ქორწილს ბოლოში მაინც მივუსწროო. ამგვარად, ვერავინ გაიგო, ვინ შეთხზა ეს ავბედითი წერილი. ურსულამ დაკითხვებით გატანჯა ამარანტა. ატირებული ქალიშვილი ჯერ კიდევ დაურღვეველი საკურთხევლის წინ დაემხო და დაიფიცა, დამნაშავე არ ვარო.

ჯვრისწერისათვის დონ აპოლინარ მოსკოტემ მეზობელი ქალაქიდან ჩამოიყვანა მღვდელი ნიკანორ რეინი — თავისი ხელობის უმადური მოხუცი კაცი. მას ავადმყოფური, ძვალტყავა სახე და საკმაოდ გამობზეკილი მრგვალი მუცელი ჰქონდა, დაჩაჩანაკებული ანგელოზის თვალებში სიკეთეზე მეტად გულგრილობა ჩაჰბუდებოდა. ქორწილის შემდეგ მღვდელი სასწრაფოდ თავის მრევლს უნდა დაბრუნებოდა, მაგრამ მაკონდოელთა უდარდელი, აყვავებული და ცოდვილი ცხოვრება რომ მოიხილა, ძალზე განრისხდა: „აქ მხოლოდ ბუნების კანონებს ემორჩილებიან. ბავშვებს არ ნათლავენ და საეკლესიო დღესასწაულებს არად აგდებენ; ამ ნიადაგს კარგი მხვნელი აჭირდება", — თქვა მან და გადაწყვიტა, კიდევ ერთი კვირა დარჩენილიყო მაკონდოში, რათა მოენათლა წინადაუცვეთელნი და წარმართნი, კანონიერი გაეხადა უკანონო ცოლქმრობა და ეზიარებინა მომაკვდავნი. მაგრამ ვინ დაუგდო ყური მის ქადაგებას! ამდენ ხანს უმღვდლოდ ვცხოვრობდით. ღმერთთან თუ რამე გვქონდა მოსაგვარებელი, თვითონ ვაგვარებდით სხვის ჩაურევლად, თანაც უცოდველები ვართო, ამბობდნენ მაკონდოელები. უდაბნოსა შინა ამაო ღაღადისით ქანცგაცლილმა მღვდელმა ნიკანორმა გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დამჯდარიყო, ეგო წმინდანთა კაცისოდენა ქანდაკებებითა და ფერადი ვიტრაჟებით მორთულ-მოკაზმული მსოფლიოში ყველაზე დიდი ტაძარი, რათა ღმერთის თაყვანსაცემად თვით რომიდანაც კი ჩამოსულიყვნენ აქ, ამ ულმერთოთა მხარეში. ხელში დაიჭირა რკანის თეფში და შესაწირის თხოვნა-თხოვნაში ქალაქის ქუჩებს დაუყვა ალმა-დალმა. თუმცა მაკონდოელები არ ძუნწობდნენ და უხვად სწირავდნენ, მღვდელს მაინც კიდევ მეტი თანხის თავმოყრა სურდა, რამეთუ ტაძარს ისეთი ზარი უნდა გაეუკეთოთო, ამბობდა, წყალში დამხრჩვალნიც კი ამოხტნენ ნაპირზეო. თხოვნა-ვედრებისაგან ხმა წაერთვა, ხოლო ძვლებს გუგუნი გაჰქონდათ დაღლილობისაგან. ერთ შაბათ საღამოს დაჯდა და სიმწრით შეგროვილი ფული გადათვალა: გადათვალა და ისე წარეკვეთა სასო, სხვა გზა აღარ ჰქონდა, გიჟური

რაღაც მოიფიქრა: ქალაქის მოედანზე აღმართა საკურთხეველი და კვირა დღეს ზარით ხელში — ეპიდემიის დროს რომ დადიოდნენ ქუჩებში — შემოიარა მთელი მაკონდო. წირვაზე გიხმობთო. თითქმის ნახევარმა ქალაქმა მოიყარა თავი მოედანზე — ვინ ცნობისწადილმა მოიყვანა, ვინ უსაქმობამ, ვინ კიდევ შიშმა, ვაითუ უფალმა პირად შეურაცხყოფად მიიღოს მისი შუამავლის ეგრე რიგი უპატივცემულობაო. ერთი სიტყვით, უკვე დილის რვა საათზე მოედანზე თავმოყრილ ხალხს მღვდელი ნიკანორი სახარებას უკითხავდა მესაწირის თხოვნის დროს დაკარგული ხმით. წირვის ბოლოს, ის იყო ხალხმა დაშლა დაიწყო, რომ მღვდელმა ხელი აღმართა:

— ერთი წუთით შეიცადეთ. ახლავე დაგარწმუნებთ, რაოდენ უსაზღვროა ძალი ჩვენისა უფლისა.

მღვდელ ნიკანორს წირვისას პატარა ბიჭი უხმარებოდა. ამ ბიჭმა მოხუცს ცხელი შოკოლადით სავსე ფინჯანი მოუტანა, იმანაც ადგა და სულმოუთქმელად გადაჰკრა მდუღარე სასმელი. მერე ანაფორის სახელოდან ცხვირსახოცი გამოაფრიალა, პირი მოიწმინდა, ორივე ხელი წინ გაიწვდინა და თვალები დახუჭა... და უცბად ნიკანორი თორმეტი სანტიმეტრით ასცილდა მიწას. მეტისმეტად დამაჯერებელი იყო, წყალი არ გაუვიდოდა ამ საბუთს. რამდენიმე დღეს მღვდელი ნიკანორი ქუჩა-ქუჩა დადიოდა, ცხელ შოკოლადს სვამდა და უკვე მერამდენედ იმეორებდა თავის ოინს. ბოლოს და ბოლოს ბიჭმა იმდენი ფული დააგროვა, რომ ტაძრის მშენებლობა სულ რაღაც ერთ თვეში დაიწყეს. უკვე ყველა დარწმუნდა, რომ ნიკანორი თავად უფლისგან სულშთაბერილი საოცრება იყო. მხოლოდ ხოსე არკადიო ბუენდიას არ სჯეროდა მისი. ერთ დილით ხალხმა წაბლის ხესთან მოიყარა თავი, რათა კვლავ ეხილათ მღვდლის ამაღლება. ყველანი გაოცებულნი შესცქეროდნენ მღვდელს. ხოსე არკადიო ბუენდია კი იჯდა თავისთვის მშვიდად და მხოლოდ მაშინ შეირხა ოდნავ და აიჩეჩა მხრები, როცა თავის სკამიანად ამაღლებული მღვდელი ნიკანორი დაინახა.

— Hoc est simplicissimum, — თქვა ხოსე არკადიო ბუენდიამ, — homo iste statum quatrum materiae inventit[1].

ამის გაგონებაზე მღვდელმა ნიკანორმა ხელი აღმართა და მისი სკამიც მაშინვე დაეშვა მიწაზე.

— Nego, — თქვა მან. — Factum hoc existentiam dei probat sine dubio[2].

ახლა კი მიხვდნენ მაკონდოელები, ხოსე არკადიო ბუენდია ქაჯურად კი არა, ლათინურად ბუტბუტებდა თურმე. ბოლოს და ბოლოს გამოჩნდა კაცი, ვინაც ძალუძდა ამ ენაზე დალაპარაკებოდა მას და მღვდელმა ნიკანორმაც ხელიდან არ გაუშვა ეს ბედნიერი შემთხვევა: იქნებ რწმენის ნათლით გავაშუქო ეგე დაბინდული გონებაო, ყოველ საღამოს დაუჯდებოდა ხოლმე ხოსე არკადიო ბუენდიას და ლათინურად უკითხავდა ლოცვებს, მაგრამ მოხუცს არც მისი რიტორიკისა სჯეროდა, არც მისი შოკოლადით ამაღლებისა. თუ გინდა შენი რამე ვიწამო, მამაზეციერის დაგეროტიპი მომიტანეო, — ეუბნებოდა მღვდელს. მაშინ ნიკანორმა ურწმუნო მოხუცს რამდენიმე მედალიონი და ესტამპი აჩვენა, ვერონიკას რეპროდუქციაც ახლა, მაგრამ ხოსე არკადიო ბუენდიამ არც ერთი არ იწამა, მღვდელს უთხრა, ეგ ყოველივე მეცნიერულ საფუძველს მოკ-

---

1 ეს უბრალო რამეა. ამ კაცმა მატერიის მეოთხე მდგომარეობა აღმოაჩინა (ლათ.).

2 [illegible] ჩემი ამაღლება ღმერთის არსებობას ამტკიცებს (ლათ.).

ლებული, უხეირო ხელოსნობის ნიმუშებია და მეტი არაფერიო. ბოლოს და ბოლოს მისმა სიჯიუტემ მღვდელ ნიკანორს მისიონერობაზე ხელი აეღებინა და მხოლოდ უბრალო კაცთმოყვარეობის გამო თუ ესტუმრებოდა ხოლმე მოხუცს წაბლის ძირში. სამაგიეროდ ახლა თვით ხოსე არკადიო მისდგა სტუმარს. უნდოდა გონივრული მაგალითების მოშველიებით შეერყია მღვდლის რწმენა. ერთხელ, როგორღაც, მღვდელმა ნიკანორმა თან მოიტანა შაშის [illegible] ხოსე არკადიო ბუენდიას შესთავაზა, ვითამაშოთო, მან უარი უთხრა. უაზრობად მიმაჩნია ბრძოლა იმ ორ მეტოქეს შორის, რომლებიც ძირითად საკითხებში ერთმანეთს თითქმის ეთანხმებიანო. მღვდელ ნიკანორს ასეთი რამ არასოდეს მოსვლია თავში შაშის თამაშისას, ბევრი ეხვეწა, მაგრამ ვერაფრით ვერ დაიყოლია მოხუცი. გაკვირვებულმა მღვდელმა ჰკითხა, ასეთი ჭკუა-გონების პატრონი რატომ მიგაბესო ხეზე.

— Hoc est simplicissimum, — უპასუხა ხოსე არკადიო ბუენდიამ, — გიჟი ვარ და იმიტომ მიმაბეს.

ამის შემდეგ შეშინებული მღვდელი, მეც არ გავგიჟდეო, მეტი აღარც მიკარებია მას, მთელის არსებით ჩაეფლო ტაძრის მშენებლობის საქმეში. რებეკას იმედის სხივი ჩაუდგა გულში. მისი ბედნიერება ტაძრის დამთავრებასთან იყო დაკავშირებული. მღვდელმა ნიკანორმა ერთ კვირა დღეს მათთან სტუმრობისას თქვა, მთავარია, ტაძარი აიგოს, მერე კი დიდებულად, მთელის ბრწყინვალებით აღვასრულებთ იქ ღვთის საქმეებსო. „ყველაზე მეტად რებეკას გაუმართლა", — შენიშნა მაშინ ამარანტამ და რაკიგან რებეკამ ვერ გაიგო, ამით რისი თქმა სურდა მის დას, ამარანტამ უწყინარი ღიმილით აუხსნა:

— შენი ქორწილი ხომ ეკლესიის გახსნის დღეს ჩატარდება.

ასე შორ ქორწინებაზე რებეკას ფიქრიც არ უნდოდა. იმ ეკლესიის აშენებას ბარე ათი წელიწადი დასჭირდებაო, თქვა მან. მღვდელმა ნიკანორმა დაამშვიდა, მრევლი დღითი დღე იზრდება, შესაწირს არ იშურებენ და ეს ყოველივე დიდად მაიმედებსო. ბოღმით გულგასიებულ რებეკას ლუკმა აღარ გადასდიოდა ყელში. ურსულამ შეამჩნია ეს და ამარანტას აზრი მოიწონა, მხარი აუბა, ოღონდ ეკლესიის მშენებლობა დაჩქარდეს და ფულს არ დავიშურებ, უხვად გავიღებ შესაწირავსო. მღვდელმა ნიკანორმა თქვა, ერთი ასეთი უხვი შესაწირი და ეკლესიაც სამ წელიწადში იქნება მზადო. იმ დღიდან რებეკას ხმა აღარ გაუცია ამარანტასთვის, რადგან მიხვდა, დის სიტყვები არც ისე უწყინარი იყო, როგორიც თვითონ მას სურდა ეჩვენებინა. „მადლობელი იყავი, რომ უარესი არ გაგიკეთე, — უთხრა ამარანტამ რებეკას, როცა საღამო ხანს ერთმანეთს გაცხარებული შეეკამათნენ, — ყოველ შემთხვევაში, სამ წელიწადში მაინც არ მომიწევს შენი მოკვლა". რებეკამ მიიღო გამოწვევა.

პიეტრო კრესპიმ რომ გაიგო, ქორწილი კვლავ გადაიდოო, სასოწარკვეთილებამ შეიპყრო, საცოლემ კიდევ ერთხელ შეჰფიცა ერთგულება და გავიქცეთო, შესთავაზა, მაგრამ პიეტრო კრესპი ავანტიურისტი არ გახლდათ. თავისი საბედოსავით როდი აჩქარდა, იგი ერთხელ მიცემულ სიტყვას ისევე უფრთხილდებოდა, როგორც ფულს, რისი განიავებაც, მისი აზრით, არავის არ ეპატიებოდა. მაშინ რებეკამ ნაკლებ დამაჯერებელ ხერხს მიმართა: კაცი ვერ მიხვდებოდა, საიდან წამოქროლილი ქარი აქრობდა ლამპებს სასტუმრო ოთახში და ურსულაც წარამარა გადააწყდებოდა ხოლმე სიბნელეში ხვევნა-კოცნაში გართულ შეყვარებულებს. პიეტრო კრესპი საქციელწამხდარი შესჩიოდა ურსუ-

ლას, ახლანდელი ნავთის ლამპები არაფრად არ ვარგაო და სასტუმრო ოთახში უკეთესი ლამპებიც კი დააკიდვინა, მაგრამ ამჯერად ხან ნავთი ილეოდა მალე და ხანაც ფითილი არ ვარგოდა და ურსულაც კვლავ ხედავდა სიბნელეში საქმროს მუხლებზე წამომჯდარ რებეკას. ბოლოს ურსულამ ინდიელ ქალს გადააბარა მთელი საცხობი, თვითონ კი სარწეველა საქანელაში მოკალათებულმა დაუწყო თვალთვალი დანიშნულებს, აქაოდა, თავს არავის გაამჟღავნებინე, ეს ეშმაკური ხერხები ჩემს ყმაწვილქალობაში უკვე მოძველებული იყოო. „საბრალო დედა, — ამბობდა რებეკა დაცინვითა და თანაც აღშფოთებული; ხედავდა როგორ გვრიდა ძილს საპატივცემულო სტუმრის მოსაწყენი სჯა-ბაასი. — როცა მოკვდება, ამ სავარძელში ჯდომა მიესჯება ცოდვების მოსანანიებლად". სამი თვე ითმინა პიეტრო კრესპიმ ეს თვალთვალი, სამი თვე თითქმის ყოველდღე მიდიოდა მშენებლობაზე, მაგრამ იქიდან ყოველთვის გულგატეხილი ბრუნდებოდა და ბოლოს ისე გაბეზრდა, გადაწყვიტა — ოღონდ ეკლესიას მალე დაადგეს საშველი და რაც ფული აკლიათ, მე მივცემ მღვდელ ნიკანორსო. ამარანტა სულაც არ აუღელვებია ამ ამბავს. იგი კვლავინდებურად თავის მეგობარ ქალიშვილებთან ერთად ქსოვდა და ქარგავდა შუშაბანდში, ათას რაღაცაზე ლაპარაკობდა, გულში კი სულ ახალსა და ახალ სასჯელს იგონებდა რებეკასათვის. მაგრამ ერთხელ მაინც შეეშალა და მისი აზრით, ყველაზე ნაღდი და მზაკვრული ჩანაფიქრი ჩაეფუშა. საქმე ის გახლდათ, რომ ამარანტამ გადაწყვიტა რებეკას საძინებელ ოთახში შეპარულიყო და კამოდის უჯრიდან, სადაც რებეკა თავის საქორწილო კაბას ინახავდა, ნაფტალინი ამოეღო. მართლაც ასე მოიქცა, ტაძრის დამთავრებას ორი თვეღა აკლდა, რომ ამარანტამ თავისი ჩანაფიქრი შეასრულა, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ. ქორწილის მოახლოებით აღელვებულმა რებეკამ ვეღარ მოითმინა და გადაწყვიტა საქორწილო კაბა და მოსართავები უფრო ადრე გაემზადებინა, ვიდრე ამას ამარანტა ფიქრობდა. რებეკამ უჯრა გამოაღო, კაბას ჯერ ქაღალდი შემოაცალა, მერე ტილო და უცებ გული კინაღამ გაუსკდა, ატლასის კაბა, მაქმანის ფატა და ხელოვნური თაიგულიც ჩრჩილს მტვრად ექცია. თუმცა ქალიშვილს კარგად ახსოვდა, საკუთარი ხელით ჩაყარა ნაფტალინი, მაინც ვერ გაბედა ამარანტასთვის დაებრალებინა ეს ვერაგობა. ქორწილამდე თვეზე ნაკლებიღა იყო დარჩენილი. მაგრამ ამპარო მოსკოტემ სულ რაღაც ერთ კვირაში შეკერა ახალი კაბა. როდესაც ერთ წვიმიან დღეს მოვიდა კორეხიდორის ქალიშვილი ბუენდიებთან, რათა საბოლოოდ მოერგო კაბა რებეკასათვის, ამარანტამ ლამის გონი არ დაკარგა. მაქმანებში ჩაფლული მკერავი ქალიშვილი რომ დაინახა, ენა ჩაუვარდა და ყინულივით ოფლმა დაუცვარა ზურგი. უკვე რამდენი ხანია შიშითა და თრთოლვით ელოდება ამ დღეს ამარანტა, მან ხომ მტკიცედ გადაწყვიტა, — თუ ქორწილს ვერ ჩაშლის, ან ვეღარაფერს მოიგონებს ვერაგულს, მაშინ ერთადერთი და საბოლოო გზა უნდა ამოირჩიოს — მოწამლოს რებეკა. ვიდრე რებეკას სული ეხუთებოდა ატლასის კაბაში, რომელსაც ამპარო მოსკოტე დიდი მოთმინებით არგებდა ტანზე ქინძისთავებით, ამარანტა ისე გამალებული ქსოვდა, რომ ერთი-ორჯერ ძაფიც გაექცა ხელიდან და საქსოვი ჩხირებიც შეესო თითში. მორჩა და გათავდა: შურისძიება აღსრულდება ქორწილის წინა პარასკევს, ყავაში საწამლავს ჩაუყრის!

მაგრამ ამარანტას განზრახვას კვლავ გადაეღობა წინ ერთი გაუთვალისწინებელი და ამავე დროს გადაულახავი დაბრკოლება, რის გამოც კვლავ გადაიდო

ქორწილი გაურკვეველი ვადით. რებეკასა და პიეტრო კრესპის ჯვრისწერამდე ერთი კვირით ადრე ერთ შუაღამეს პატარა რემედიოსი საშინელმა ტკივილმა გამოაღვიძა: თითქოს მთელმა სხეულმა ხმამაღლა დააბოყინაო, შიგნეულიდან გადმოსდინდა რაღაც ცხელი ტლაპო; საკუთარი სისხლით მოწამლული და საშოში ტყუპი ნაყოფჩამპალი რემედიოსი სამ დღეში გათავდა. ამარანტას სინდისმა შეაწუხა: ის ხომ დღენიადაგ ევედრებოდა ღმერთს, ოღონდ რებეკას ნუ მომაწამლინებ და რაც გინდა ის უბედურება დამატეხე თავსო. არა, ამ უბედურებაზე არ ევედრებოდა ამარანტა ღმერთს. რემედიოსმა მათ სახლში სიხარულის სუნთქვა შემოიტანა. იგი ქმართან ერთად დასახლდა სახელოსნოს გვერდით ოთახში, რომელიც გუშინდელი ბავშვობის სათამაშოებითა და თოჯინებით მორთო. მაგრამ ეს პატარა ოთახი რას დაიტევდა რემედიოსის მჩქეფარე, სიცოცხლით სავსე ბუნებას! იგი მზის ამოსვლისთანავე იწყებდა სიმღერას და საამო ნიავივით დაჰქროდა ოთახებსა და ბეგონიების სურნელით გაჟღენთილ შუშაბანდში. რემედიოსი ერთადერთი ადამიანი იყო, ვინც რებეკასა და ამარანტას შერიგებას ლამობდა, ვინც ხოსე არკადიო ბუენდიას აჭმევდა, წვერს პარსავდა, ჰბანდა — ტილები არ დაესიონ თმა-წვერშიო და ჭექა-ქუხილის დროს პალმის ტოტების სახურავს ზემოდან ბრეზენტსაც ის აფარებდა, რათა წვიმის ერთი წვეთიც არ დასცემოდა ხეზე მიბმულ მოხუცს. ბოლო ხანებში, ხოსე არკადიო ბუენდიამ პატარა რძალს ერთი-ორი სიტყვა ლათინური შეასწავლა. როდესაც აურელიანოსა და პილარ ტერნერას ბავშვი დაიბადა, ბუენდიებმა შინ მოიყვანეს, შინაურულად მონათლეს და სახელად აურელიანო ხოსე დაარქვეს. რემედიოსმა ეს ბავშვი უფროს შვილად მიიღო. ურსულა გაოცებას ვერ მალავდა, ამ პატარა ქალის სულში საიდან აღმოჩნდა ამოდენა გრძნობა დედაშვილობისაო. რაც შეეხება აურელიანოს, რემედიოსმა მის არსებობას აზრი შეჰმატა, იგი მთელი დღე სახელოსნოში იჯდა და მუშაობდა, რემედიოსს კი შეჰქონდა მასთან უშაქრო ყავა. საღამოს ორივენი მოსკოტებთან მიდიოდნენ სტუმრად. ვიდრე აურელიანო სიმამრს დომინოს ეთამაშებოდა, რემედიოსი დებსა და დედას ეკითხებოდა საოჯახო საქმეებზე. ბუენდიების ოჯახთან დამოყვრებულ დონ აპოლინარ მოსკოტეს მაკონდოელებმა უკვე კეთილი თვალით გადმოხედეს. ისიც ძალას არ იშურებდა, პროვინციის დედაქალაქში ხშირად დადიოდა ხან რისა და ხან რის սათხოვნელად. ერთხელაც მთავრობა დაითანხმა, მაკონდოში სკოლა აეშენებინათ. ამ სკოლაში იმასწავლებლებდა არკადიო, რომელსაც პაპისგან მოსდგამდა მასწავლებლობის ნიჭი. დონ აპოლინარ მოსკოტემ იმდენი უჩიჩინა მაკონდოელებს, რომ ეროვნულ დღესასწაულზე სახლები უკვე უმეტესად ცისფრად იყო გადაღებილი. მღვდელი ნიკანორის დაჟინებული მოთხოვნით „კატარინოს დუქანი" ერთ მიყრუებულ-მივარდნილ ქუჩაზე გადაიტანეს. როდესაც ექვს პოლიციელთან ერთად დაბრუნდა და მათ დაავალა წესრიგის დაცვა, აღარავის არ გახსენებია ძველი პირობა, შეიარაღებული ხალხი არ ვნახოთ მაკონდოშიო. აურელიანოს მოსწონდა სიმამრის შემართება. „შენც შენი სიმამრივით ჩასუქდები", — ეუბნებოდნენ აურელიანოს მეგობრები, მაგრამ სახელოსნოში დღენიადაგ ჯდომით სულაც არ მოსდებია ქონი აურელიანოს, ყბები უფრო გამოეკვეთა, თვალებს ცეცხლი მოემატა, ხასიათიც იგივე შერჩა, მხოლოდ ეს იყო, პირის კუთხეები ღრმა ხაზმა დაუსერა, მარტოობაში ჩაძირული კაცის ფიქრებისა და სიჯიუტის დასტურმა. აურელიანომ და მისმა ცოლმა ორივე ოჯახს შეაყვარეს თავი და როდესაც რემე-

დიოსმა ყველას ამცნო, ორსულად ვარო, ამარანტა და რებეკაც კი შერიგდნენ და საჩქაროდ შეუდგნენ ქსოვას ორფერი ძაფით: ცისფერითა და ვარდისფერით. ვინ იცის ვინ მოევლინება ქვეყანას — გოგო თუ ბიჭიო. გაივლის რამდენიმე წელიწადი და კედელთან დახვრეტის მოლოდინში მდგომი არკადიო გაიხსენებს ერთ ადამიანს და ეს ადამიანი იქნება რემედიოსი.

ურსულამ მკაცრი მგლოვიარობა გამოაცხადა. მიხურეს ყველა კარ-ფანჯარა, თუ ძალიან საჭირო არ იყო, არც გარეთ გადიოდნენ და არც სახლში უშვებდნენ ვინმეს. მთელი წლით აიკრძალა ხმამაღალი ლაპარაკი, ხოლო კედელზე რემედიოსის შავარშიაშემოვლებული დაგეროტიპი და ჩაუქრობელი ლამპარი დაკიდეს. ბუენდიათა მომავალი თაობები მკაცრად იცავდნენ მემკვიდრეობად მიღებულ წესს: ცეცხლი არ ჩაექროთ ლამპარში. ისინი შეცბუნებული შესცქეროდნენ თეთრ კაბასა და ფეხსაცმელში გამოწყობილ ბაფთიან გოგონას და ვერაფრით ეგუებოდნენ იმ აზრს, რომ ეს გოგონა მათი დიდი ბებია იყო. ამარანტამ აურელიანო ხოსეს აღზრდა ითავა, ჩემს მარტოობას გაიზიარებს და იმ ტანჯვას შემიმსუბუქებს, ასე რომ მაწვალებსო: საწამლავიანი ყავა ხომ სრულიად შემთხვევით დალია რემედიოსმა! საღამოობით ბუენდიებთან პიეტრო კრესპი მოდიოდა, ქუდზე შავარშიაშემოვლებული იტალიელი ფეხაკრეფით მიეახლებოდა ხოლმე რებეკას, თუმცა სადღა იყო წინანდელი რებეკა! შაოსანი ქალი უსისხლოს დამგვანებოდა. ახლა ქორწილზე ფიქრიც კი მკრეხელობა იყო. უსასრულოდ გაგრძელებულმა ნიშნობამ მათი სიყვარული მოწყენილობითა და ყინულით შემოსა, თავად შეყვარებულები კი, ერთ დროს მალულად რომ აქრობდნენ ლამპებს და სიბნელეში გახელებული კოცნიდნენ ერთმანეთს, ახლა თითქოს სიკვდილის მარწუხებში მოქცეულიყვნენ. იმედგადაწურული რებეკა სულ მოეშვა და კვლავ მიწის ჭამას მიჰყო ხელი. უცბად — მგლოვიარობის ვადა კარგა ხნის დაწყებული იყო და ქალიშვილებს შუშაბანდში კვლავ მოეყარათ თავი ჯვრების ამოსაქარგავად — პაპანაქების სამარისებურ დუმილში, ზუსტად დღის ორ საათზე, ვიღაცამ ისე ძალუმად შემოგლიჯა კარი, რომ მთელი სახლი შეზანზარდა. ყველას — შუშაბანდში მსხდომ ამარანტასა და მის მეგობრებს, თავის ოთახში გამოკეტილ, თითის წოვაში გართულ რებეკას, სამზარეულოში მოფუსფუსე ურსულას, სახელოსნოში მომუშავე აურელიანოს და წაბლის ძირში განმარტოებულ ხოსე არკადიო ბუენდიასაც კი — მოეჩვენათ, მიწა იძრა და ჭერი გვექცევა თავზეო — კარი გაიღო და უცნაური აღნაგობის კაცი გამოჩნდა. ოთხკუთხა მხრები ჰქონდა და ძლივს ეტეოდა კარში, ხარივით კისერზე ღვთისმშობლის ხატი ეკიდა, ხელები და მკერდი უცნაურად ჰქონდა მოსვირინგებული, მარჯვენა ხელის მაჯაზე სპილენძის სალტე-ავგაროზი შემოეჭირა. მისი კანი უამინდობასა და მარილიან ქარებს მთლად დაეშაშრა, თმა მოკლე და უხეში ჰქონდა ჯორის ფაფარივით, ყვრიმალები — ჯიუტი კაცისა, თვალები — ნაღვლიანი. მოსულს წელზე შემოეჭირა უნაგირია გარსაკრავზე ორჯერ სქელი ქამარი, ფეხთ ემოსა ნალდაკრული და დეზებიანი ჩექმა. მის ყოველ ნაბიჯზე სახლი ისე ზანზარებდა, როგორც მიწისძვრის დროს. გაცვეთილი ხურჯინით ხელში სტუმარმა სწრაფად გადაჭრა სასტუმრო ოთახი და მეხივით შევარდა შუშაბანდში, სადაც მდუმარებაში ჩაძირულ ამარანტასა და მის მეგობრებს ეგრევე შეაცივდათ ხელში ნემსები. „გამარჯობათ“, — თქვა მოსულმა დაღლილ ხმაზე, მაგიდაზე დააგდო ტვირთი და ახლა სხვა ოთახისკენ გასწია. „გამარჯობათ“, — მიესალმა იგი შეშინებულ რებეკას. „გამარჯობათ“,

— უთხრა მან მთელის არსებით თავის საქმეში ჩაფლულ აურელიანოს. მოსული არსად არ შეჩერებულა, პირდაპირ სამზარეულოსკენ გაეშურა და მხოლოდ იქ შედგა, მხოლოდ იქ დაუსვა წერტილი ქვეყნის დასალიერიდან დაწყებულ თავის უსასრულო ხეტიალს. „გამარჯობათ“, — თქვა მან. ურსულა ერთ წამს პირდაღებული შედგა, მერე მოსულს თვალებში ჩახედა, ოხვრა დასცდა და სიხარულისგან ატირებული და აყვირებული კისერზე ჩამოეკიდა გოლიათს. ეს კაცი ხოსე არკადიო გახლდათ. იგი ისეთივე ჯიბეგახვრეტილი დაუბრუნდა საკუთარ სახლს, როგორც მიატოვა ბოშებზე აკიდებულმა. ის კი არადა, ცხენის ქირაც, სულ რაღაც ორი პესო, ურსულამ გადაუხადა, ხოსე არკადიო მეზღვაურულ ჟარგონზე ლაპარაკობდა. ჰკითხეს, აქამდე სად იყავიო. იმან უპასუხა: „იქ“. ოთახი მოუწესრიგეს, ჰამაკი გაუბეს და სამი დღე და ღამე ეძინა. რომ გამოიღვიძა, თექვსმეტი მოხარშული კვერცხი გადასანსლა და პირდაპირ გასწია „კატარინოს დუქნისაკენ“, სადაც მისმა გოლიათურმა აღნაგობამ ქალებს ცნობისწადილიც აღუძრა და შიშიც. ხოსე არკადიომ მუსიკა შეუკვეთა და ყველანი არაყზე დაპატიჟა, თან სანაძლეო დაუდო ხუთ კაცს, ხელს ვერ გადამიწევთ ხუთივე ერთადო. „ეს ვინ ყოფილა, — კაცებმა ძვრაც ვერ უყვეს მის ხელს. — სულაც მგონი, ჯადო-სამაჯური უკეთია“. ახლა კატარინო დაენიძლავა, თორმეტ პესოს ვდებ, ამ დახლს თუ დაძრავ ადგილიდანო. ხოსე არკადიო, ვითომც არაფერიაო, დახლს დასწვდა, თავს ზემოთ აღმართა და ასე გაიტანა ქუჩაში. დახლი რომ ისევ დუქანში შემოეტანათ, თერთმეტი კაცი მაინც დაეჭიდა. შუა ღრეობაში იყვნენ, რომ ხოსე არკადიო დახლზე მთლად დედიშობილა შედგა. მთელი ტანი დასვირინგებული ჰქონდა სხვადასხვა ენაზე წითელ-ცისფერი ჩახლართული წარწერებით. ხოსე არკადიომ გარსშემორტყმულ ხარბად მზირალ ქალებს მიმართა, თუ ფულიანები ხართ, გამათამაშეთ და ვისაც შევხვდები, ათი პესო გადამიხადოსო. ფასი ყველას ეძვირა, მაგრამ მაინც დაეთანხმნენ. ქაღალდის ნაკუწებზე დაწერეს თავიანთი სახელები და ქუდში ჩაყარეს. ხოსე არკადიომ ორი ნაკუწი ამოიღო ქუდიდან და სახელები ამოიკითხა:

— კიდევ ხუთ-ხუთი პესო დადეთ, — მიმართა მან გამარჯვებულ ქალებს, — და ორივეს ერთად გასიამოვნებთ.

ასე ცხოვრობდა ხოსე არკადიო. სამოცდაექვსჯერ შემოუარა დედამიწას გემით, სადაც მეზღვაურად მუშაობდა. იმ ღამით „კატარინოს დუქანში“ დიდი დრო გაატარეს ქალებმა მასთან ერთად საწოლში, მერე საცეკვაო დარბაზში მთლად დედიშობილა გამოიყვანეს, რათა ყველასათვის ეჩვენებინათ ამ გოლიათის თმის ძირიდან ფეხის ფრჩხილამდე დასვირინგებული ტანი. თავის ოჯახში ხოსე არკადიო ჩირადაც არავის აგდებდა. დღისით ეძინა, ღამით კი საროსკიპოებში ხარჯავდა ძალას. ზოგჯერ ურსულა როგორღაც მოახერხებდა ხოლმე და შვილს დაიყოლიებდა, მთელ ოჯახთან ერთად ესადილნა. სუფრასთან იგი ათასნაირ ამბებს ყვებოდა შორეულ ქვეყნებში მოგზაურობაზე. ერთხელ თურმე მათი გემი დაღუპულა, ხოსე არკადიო მთელი ორი კვირა იაპონიის ზღვაში დაბორიალობდა პატარა ნავით და თავისი ამხანაგის ხორცით იკლავდა შიმშილს. ეს ამხანაგი მზის დაკვრისაგან მომკვდარიყო. ხოსე არკადიო ირწმუნებოდა, მზეზე დაშაშხული ადამიანის ხორცი ძალზე გემრიელიაო. ერთხელაც მეზღვაურებს ბენგალიის სრუტეში ზღვის ურჩხული მოუკლავთ, გაუფატრავთ და ცხოველის სტომაქში ჯვაროსნის აბჯარ-მუზარადი აღმოუჩენიათ. კარიბის ზღვაში

კი ვიქტორ იუგის[1] მეკობრეთა ხომალდი დაულანდავთ. თუმცა იალქნები სიკვდილის ქარს დაეფლითა და ანძა და ქანდარაც ზღვის ხოჭოებს დაეჭამათ, იგი მაინც გვადალუპისკენ მიისწრაფვოდა, მაგრამ ხომალდი ხომ განწირული იყო, მოჯადოებულივით ვერასოდეს მიეღწია ამ კუნძულისთვის! ამის გამგონე ურსულა ისე ტიროდა, თითქოს დიდი ხნის ნანატრსა და მოუსვლელ წერილებში კითხულობდა შვილის გმირობასა და ფათერაკებზე: „აქ კი ჩვენ არხეინად ვცხოვრობდით ამ დიდ სახლში, — ქვითინებდა ქალი, — საჭმელსაც ვერ ვერეოდით და ღორებს ვუყრიდით". მაგრამ გულის სიღრმეში დედას არ სურდა დაეჯერებინა, რომ ეს ველური კაცი, — ნახევარ გოჭს რომ უთავებდა ხელს ერთ ჭამაზე და თანაც ისე იცარიელებდა მუცელს გაზებისაგან, რომ ყვავილები მაშინვე ჭკნებოდნენ, — მისი შვილი იყო, ის ბიჭი იყო, დიდი ხნის წინათ ბოშებს რომ გაეკიდა. ასე ფიქრობდა თითქმის მთელი ოჯახი. ამარანტას გულს აზიდებდა ხოსე არკადიოს უბოდიშო ბოყინზე. არკადიო — ვისთვისაც ბოლომდე საიდუმლოდ დარჩება საკუთარი წარმოშობა — ვერ ბედავდა დალაპარაკებოდა ამ კაცს, ვინც რატომღაც მისი გულის მონადირებას ლამობდა. აურელიანო ცდილობდა ძმისთვის ის დრო გაეხსენებინა, ერთ საწოლში რომ იწვნენ, ერთმანეთის გულისნადები რომ ესმოდათ, მაგრამ ხოსე არკადიოს ყველაფერი დავიწყებოდა — ზღვას გადაერეცხა ყველა მოგონება. მხოლოდ რებეკა მოინუსხა ამ კაცის პირველ დანახვაზევე. იმ საღამოს, ხოსე არკადიომ მის ოთახთან რომ ჩაიარა, ქალიშვილმა მაშინვე გაივლო გუნებაში, პიეტრო კრესპი ერთი გალეული კოხტაპრუწა კაცია ამ ხვადაგთან შედარებით, ვისი ვულკანისებური სუნთქვაც მთელ სახლში ისმისო. რას არ იგონებდა რებეკა, რომ ხოსე არკადიოს გადაჰყროდა სადმე. ერთხელ ხოსე არკადიომ უტიფრად შეათვალიერა ქალიშვილი და უთხრა: „დაქალებულხარ, დაიკო". რებეკას თავგზა აებნა, უწინდებურად გაშმაგებული ეძგერა მიწასა და კირს, თითსაც ისე ძალუმად იწოვდა, რომ დაუკოჟრდა კიდეც. ღამით არ ეძინა, ციებიანივით ძაგძაგებდა, ებრძოდა დაბინდულ გონებას და ელოდა იმ წუთს, როცა მთელი სახლი შეზანზარდებოდა ხოსე არკადიოს ნაბიჯებზე, ერთხელ გული ისე აერია, რომ მწვანე სქელ სითხეს მკვდარი წურბელებიც ამოაყოლა. ერთ დღეს, ნასადილევს, სიესტის დროს, ვეღარ მოითმინა და ვაჟის ოთახში შევიდა. ნიფხვისამარა ხოსე არკადიოს თვალღიას ეძინა მსხვილი თოკებით დამაგრებულ ჰამაკში. უზარმაზარი, ლამის შიშველი ვაჟის დანახვაზე, რებეკა გაოცებული შედგა, მაგრამ მალე გამოერკვა და ნაბიჯი გადადგა უკან. „მაპატიეთ, არ ვიცოდი, აქ თუ იყავით", — ძლივს გასაგონად დაიჩურჩულა მან. „აქ მოდი", — თქვა ვაჟმა. რებეკამ უარი ვერ გაბედა. ცივმა ოფლმა დაასხა. რეტდასხმული შეჩერდა ჰამაკთან. ხოსე არკადიომ ხელი ნაზად მოუსვა წვივებზე, მერე ბარძაყებზე ამოაცოცა: „ოჰ, დაიკო, ოჰ, დაიკო", — ჩურჩულებდა იგი. რებეკას უცებ სული შეუგუბდა, ზებუნებრივი ძალა მოიკრიბა, რომ არ მომკვდარიყო, რადგან გრიგალივით ეძგერა რაღაც, წელში ჩაეჭიდა, ხელის ერთი მოსმით შემოაძარცვა სამოსი და პატარა ჩიტივით ჩაბუგნა...

სამი დღის მერე საღამოს წირვაზე დაიწერეს ჯვარი. ჯვრისწერის წინა დღეს ხოსე არკადიო მაღაზიაში ეახლა პიეტრო კრესპის. იტალიელი ოსტატი

[1] საფრანგეთის კონვენტის მეთაური კუნძ. გვადალუპეზე (1793). მეკობრულად ესხმოდა ინგლისელებს.

ბავშვებს ამეცადინებდა ციტრაზე დაკვრაში. ხოსე არკადიოს გვერდზე არც გაუხმია მასპინძელი, პირდაპირ მიახალა: „რებეკას ცოლად ვირთავ". გაფითრებულმა კრესპიმ მოწაფეებს გამოუცხადა, გაკვეთილი დამთავრებულია, ხოლო როცა მარტონი დარჩნენ საკრავებითა და მოსამართი სათამაშოებით სავსე მაღაზიაში, სტუმარს უთხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რებეკა თქვენი და არის.

— არა უშავს, — უპასუხა ხოსე არკადიომ.

პიეტრო კრესპიმ სუნამოდაპკურებული ცხვირსახოცით მოიწმინდა შუბლი.

— ბუნების საწინააღმდეგო საქმეს სჩადით, — აუხსნა მან. — თანაც უკანონოს.

ხოსე არკადიო მასპინძლის სიფერმკრთალეზე მეტად მისმა მსჯელობამ გააბრაზა.

— მიმიფურთხებია თქვენი ბუნებისათვის, — უთხრა მან. — აქ იმიტომ მოვედი და მოგახსენეთ ყოველივე, რომ არც თავი შეიწუხოთ და არც რებეკა შეაწუხოთ ზედმეტი ლაპარაკით.

მაგრამ პიეტრო კრესპის თვალებში ცრემლი რომ დაინახა, ხოსე არკადიოს საქციელი წაუხდა:

— აბა, აბა, ეგეთები არ იყოს, — სულ სხვა კილოზე უთხრა იტალიელს, — თუ ჩვენს ოჯახს შეეჩვიე და დაშორება გიძნელდება, ამარანტა იქ არ არის?

თუმცა კვირის ლოცვაზე მღვდელმა ნიკანორმა ყველას აუწყა, რებეკა და ხოსე არკადიო და-ძმა არ არისო, ურსულამ მაინც სიკვდილამდე ვერ აპატია მათ ეს თავხედობა, უფროსები არად ჩაგვაგდეთ, ჩემთვის ორივენი მკვდარი ხართო, უთხრა მან ეკლესიიდან ჯვრისწერის მერე დაბრუნებულ ქალ-ვაჟს და სახლში არც ერთი არ შეუშვა. მაშინ ახლად ჯვარდაწერილებმა სასაფლაოს პირდაპირ იყიდეს სახლი, წაიღეს ჰამაკი — ერთადერთი ავლადიდება — და დაფუძნდნენ იქ. ქორწილის ღამეს პატარძალს ფეხსაცმელში შემალულმა მორიელმა უკბინა. დაგესლილ ქალს ენა წაერთვა, მაგრამ ამ უბედურებას სულაც არ შეუშლია ხელი, ახლად ჯვარდაწერილებს სიამით გაეტარებინათ თაფლობის თვე. ღამეში რვაჯერ, ნასადილევს კი, სიესტის დროს ერთი სამჯერ მაინც მოისმოდა ყვირილი მათი სახლიდან და ამ ყვირილზე გამოღვიძებული, ფეხზე დამდგარი მთელი უბანი შეშინებული ეხვეწებოდა ღმერთს, ამ გაუმაძღარმა და დაუოკებელმა ვნებამ მიცვალებულები არ შეგვიშფოთოსო.

მხოლოდ აურელიანომ გაუმართა ხელი ახლად ჯვარდაწერილებს, ერთიორი თავი რაღაც უყიდა ოთახში დასადგმელი და ფულითაც მანამდე ეხმარებოდა, ვიდრე ხოსე არკადიო ბოლოს და ბოლოს არ გამოერკვა და სახლის გარშემო მიწის ნაკვეთის დამუშავებას არ მიჰყო ხელი. რაც შეეხება ამარანტას, თუმცა ოცნება აუხდა და ბედის ჩარხიც მისკენ შემოტრიალდა, მაინც ბოროტებით შეპყრობილი ფიქრობდა რებეკაზე.

ურსულა ცდილობდა როგორმე მიეჩქმალა შერცხვენა თავისი ოჯახისა და მისი ნება-სურვილით პიეტრო კრესპიც ყოველ სამშაბათს მათთან სადილობდა. იტალიელი ოსტატი უსიტყვოდ და ღირსეულად იტანჯებოდა. ბუენდიების ოჯახის პატივისცემის ნიშნად ქუდიდან არ იშორებდა შავ სამგლოვიარო ბაფთას და გულს იმით იოხებდა, რომ ურსულას მეტისმეტად მიეჩვია. დღე ერთი იყო დანაირ-ნაირი ძღვენი მიჰქონდა მისთვის: პორტუგალიური სარდინები, თურქული ვარდის მურაბა, ერთხელ ულამაზესი მანილური მოსასხამიც კი უბოძა.

ამარანტა ალერსიანად და გულისხმიერად ექცეოდა ყმაწვილკაცს, პერანგის სამაჯურებზე გამოძენძილ ძაფს აჭრიდა, ხოლო დაბადების დღეს თორმეტი ცხვირსახოცი აჩუქა ზედ ამოქარგული ინიციალებით. სამშაბათობით, ნასადილევს შუშაბანდში სხდებოდნენ ორივენი და მხიარულობდნენ. ეს ქალიშვილი, აქამდე ბავშვად რომ მიაჩნდა, პიეტრო კრესპიმ თითქოს პირველად იხილა. თუმცა ამარანტას ლაზათი აკლდა, სამაგიეროდ გამგები იყო და დაფარული სინაზეც ჰქონდა. უკვე აღარავის ეპარებოდა ეჭვი, რომ პიეტრო კრესპი ამარანტას ცოლობას სთხოვდა, და მართლაც ერთ სამშაბათ დღეს შესთავაზა კიდეც, გამაბედნიერეთო. ამარანტას კვლავ საქარგავზე დაეხარა თავი და აღელვებულს ცეცხლი მოსდებოდა ყურებზე, მერე როგორც იქნა, დაცხრა, დამშვიდდა და მოზრდილი ადამიანივით მშვიდად და დინჯად უპასუხა:

— რა თქმა უნდა, გამოგყვებით, კრესპი, ოღონდ ჯერ უნდა კარგად გავიცნოთ ერთმანეთი. აჩქარება სიკეთეს არ მოგვიტანს.

ურსულა სულ დაიბნა, თუმცა დიდ პატივს სცემდა იტალიელს, მაინც ვერაფრით გაეგო, ზნეობრივად იყო თუ არა მოსაწონი მისი განზრახვა ახლა, რებეკასთან სამარცხვინოდ დამთავრებული ამდენი ხნის ნიშნობის მერე. ბოლოს და ბოლოს ოჯახში ურსულას არავინ აუბა მხარი და მანაც პიეტრო კრესპის მკრეხელობა ბედის გარდუვალობად მიიჩნია. მხოლოდ ოჯახის უფროსმა აურელიანომ შეუნთო ცეცხლი დედის ეჭვებს მისთვის ჩვეული იდუმალებითა და სიდინჯით:

— ახლა ქორწილებზე ფიქრის დრო არ არის.

ამ სიტყვების ჭეშმარიტ აზრს ურსულა რამდენიმე თვის მერე ჩასწვდა. ამ სიტყვებში აურელიანო მაშინ არა მარტო ქორწილს გულისხმობდა, არამედ ყველაფერს, რაც შეიძლება მერე მომხდარიყო, ომის გარდა. დახვრეტის მოლოდინში კედელთან მდგომი აურელიანო ვერაფრით ვერ გაიხსენებს, როდის ან როგორ შეიკრა იმ მოვლენათა ჯაჭვი, რამაც აქამდე მოიყვანა ასე შეუმჩნევლად და უნებურად. რემედიოსის სიკვდილს აურელიანო ისე არ შეუშფოთებია, როგორც ელოდა. რემედიოსმა მას დაუტოვა ჩაგუბებული რისხვა, რაიც თანდათანობით გაცრუებული იმედების ნაღველმა შთანთქა, სწორედ ისეთმა ნაღველმა, ადრე ქალებზე უარი რომ ათქმევინა. აურელიანო კვლავ თავის საქმეებში ჩაიფლო, მხოლოდ ეს იყო, ჩვეულებად ექცა სიმამრთან დომინოს თამაში. სიძე-სიმამრი საღამოობით ხვდებოდნენ ერთმანეთს სამგლოვიარო მდუმარებაში ჩაძირულ სახლში და უფრო და უფრო მტკიცდებოდა მათი მეგობრობა. „ოჯახს მოეკიდე, აურელიანო, — ეუბნებოდა დონ აპოლინარ მოსკოტე, — ექვსი ქალიშვილი მყავს, არც ერთი არ გეტყვის უარს". ერთხელ, არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, მაკონდოს კორეხიდორი მეტისმეტად გულდამძიმებული დაბრუნდა ქალაქიდან: ლიბერალებს ომის გაჩაღება სურდათ თურმე. იმ დროისათვის აურელიანო ვერ ერკვეოდა პოლიტიკაში, ერთმანეთისგან ვერ ანსხვავებდა ლიბერალებს და კონსერვატორებს. სიმამრმა ითავა მისი გათვითცნობიერება და რამდენიმე სიტყვით აუხსნა განსხვავება ამ პარტიებს შორის. ლიბერალები მასონები არიან, — უთხრა სიძეს, — ცუდი ხალხია, მათ სურთ მღვდლები სახრჩობელებზე ჩამოკიდონ, სამოქალაქო ქორწინება და გაყრა დააკანონონ, თანაბარი უფლებები მიანიჭონ კანონიერ და უკანონო შვილებს, უმაღლესი მთავრობა დაამხონ, ქვეყანა დააქუცმაცონ და ფედერაციად გამოაცხადონ, ხოლო კონსერვატორები, პირიქით, კარგი ხალხია, ქვეყნის მმართვე-

ლობის საჭე მათ ღმერთმა უბოძა. ისინი მხარს უჭერენ საზოგადოებრივ წესრიგს და ოჯახურ სიწმინდეს, სწამთ ქრისტე და არა სურთ ქვეყნის დაქუცმაცებაო. უბრალო ადამიანურობის გამო აურელიანომ ლიბერალების საქმიანობა მოიწონა ყველა საკითხში, განსაკუთრებით ბავშვების საკითხში, მაგრამ გაგებით კი ვერ გაეგო, რა საჭირო იყო ომის გაჩაღება ისეთი რამის გულისთვის, რასაც ხელს ვერ შეახებს კაცი. ცოტა მეტისმეტი მოეჩვენა სიმამრის საქციელიც. ნეტავ რა საჭირო იყო არჩევნების დღეებში თავისთავად ყოველგვარ პოლიტიკურ ემოციებს მოკლებულ ქალაქში ექვსი შეიარაღებული ჯარისკაცისა და მათი მეთაურის — სერჟანტის ჩამოყვანა! ჯარისკაცებმა მარტო ჩამოსვლა როდი აკმარეს მაკონდოელებს, თითქოს ყველა სახლი დაიარეს, აღწერეს სანადირო თოფები, დანები, სამზარეულოს დიდი დანებიც კი, და მერე ოცდაერთ წელს გადაცილებულ მამაკაცებს ორფერი საარჩევნო ბიულეტენები დაურიგეს: ცისფერზე კონსერვატორთა კანდიდატების გვარები იყო ჩამოწერილი, ვარდისფერზე ლიბერალთა კანდიდატების გვარები. შაბათს, არჩევნების წინა დღეს დონ აპოლინარ მოსკოტემ ბრძანება გამოსცა. ამ ბრძანების გამოცხადებისთანავე ორმოცდარვა საათის განმავლობაში იკრძალებოდა ღვინო-არაყის გაყიდვა და ჯგუფური თავყრილობები ქუჩაში, თუ, რა თქმა უნდა, ერთი ოჯახის წევრები არ იყვნენ. არჩევნებმა მშვიდად ჩაიარა. კვირას, დილის რვა საათზე, მოედანზე დადგეს ხის ყუთი, რომელსაც ექვსი ჯარისკაცი ყარაულობდა. არჩევნები რომ თავისუფალი იყო, აურელიანო საკუთარი თვალით დარწმუნდა. იგი თითქმის მთელი დღე არ მოშორებია სიმამრს და თვალს ადევნებდა, ამომრჩევლებს ერთხელ მეტად არ მიეცათ ხმა. დილის ოთხ საათზე დოლების ბრახაბრუხმა ხალხს აუწყა, არჩევნები დამთავრდაო და ყუთი დალუქეს. საღამოს აურელიანოსთან დომინოს თამაშის დროს დონ აპოლინარ მოსკოტემ სერჟანტს უბრძანა, ყუთი გახსენით და ხმები დაითვალეთო. დათვლის შედეგად აღმოჩნდა, რომ ვარდისფერი ქაღალდი იმდენივე იყო, რამდენიც ცისფერი, მაგრამ სერჟანტმა ვარდისფერი ქაღალდი მხოლოდ ათი ცალი დატოვა, ცისფრებს კი საკუთარი ხელით შევსებული მიუმატა. ყუთი კვლავ დალუქეს, რათა მეორე დღეს, დილაუთენია წაეღოთ პროვინციის დედაქალაქში. „ლიბერალები ომს დაიწყებენ", — თქვა აურელიანომ. დონ აპოლინარ მოსკოტეს თავი არც აუწევია, თამაშში გართული. „თუ გგონია ამ ქაღალდების შეცვლის გამო დაიწყებენ, ამაოდ ირჯები. რამდენიმე ცალი ვარდისფერი ქაღალდი ხომ დარჩა ყუთში? ვერ იჩივლებენ". აურელიანომ წამში გაისიგრძეგანა ოპოზიციის სავალალო მდგომარეობა. „მე რომ ლიბერალი ვიყო, — შენიშნა მან, — სულაც ამ ქაღალდების გამო დავიწყებდი ომს". სიმამრმა ზემოდან დახედა:

— აჰ, აურელიტო, — თქვა მან, — შენ რომ ლიბერალი იყო, ასჯერ სიძეობაც არ გიშველიდა. ვერასოდეს ნახავდი, როგორ ცვლიან საარჩევნო ბიულეტენებს.

მალე ქალაქში შფოთი გაჩნდა. მაკონდოელები აღაშფოთა არა არჩევნების შედეგმა, არამედ ჯარისკაცების საქციელმა: მათ უარი თქვეს აღწერილი თოფებისა და დანების დაბრუნებაზე. ქალებმა აურელიანოს სთხოვეს, შენს სიმამრთან გვიშუამდგომლე, სამზარეულოს დანები მაინც დაგვიბრუნოსო. დონ აპოლინარ მოსკოტემ ისიც საიდუმლოდ გაანდო, ჯარისკაცებმა ეს იარაღი წაიღეს, როგორც ლიბერალების მხრიდან ომის წამოწყების ნივთიერი საბუთიო. ამ ცი-

ნიკურ სიტყვებზე აურელიანოს უსიამოდ გააკვირვა. სიმამრისთვის არაფერი უთქვამს, მაგრამ ერთ საღამოს, როცა მისი მეგობრები ხერინელდო მარკესი და მაგნიფიკო ვისბალი სამზარეულოს დანებზე ქირქილებდნენ და აურელიანოს ჰკითხეს, შენ რომელი ხარ, ლიბერალი თუ კონსერვატორიო, აურელიანო ერთი წამითაც არ შეყოყმანებულა:

— თუ აუცილებელია, რომელიმე ვიყო, ისევ ლიბერალობას ვარჩევდი, რადგან კონსერვატორები თაღლითები არიან.

მეორე დღეს მეგობრების დაჟინებით აურელიანომ მოინახულა ექიმი ალირიო ნოგერა ვითომდა ღვიძლის სამკურნალოდ. მან ჯერ კიდევ არ იცოდა, რისთვის სჭირდებოდა ეს ტყუილი. ექიმი ალირიო ნოგერა სულ რამდენიმე წლის წინ ჩამოვიდა მაკონდოში, თან ჩამოიტანა უგემური აბები და ყველასთვის გაუგებარი სამკურნალო დევიზი: „რამაც მოგკლა, იმან მოგარჩინოს“. სინამდვილეში იგი ექიმი არ იყო: უწყინარი, ხელმოცარული ექიმის მიღმა ტერორისტი იმალებოდა. მაღალყელიანი გამაშები უფარავდა ნაიარევს, რომელიც ხუთი წლის კატორღაში ყოფნისას ბორკილებმა გაუჩინეს ფეხზე. ფედერალისტების პირველი ამბოხებისთანავე შეიპყრეს, მაგრამ გაქცევა მოახერხა და კიურასაოს შეაფარა თავი. იქ იგი იძულებული იყო ჩაეცვა ყველაზე საძულველი სამოსი — ანაფორა. კიურასაოზე კარგა ხანს მოუწია ყოფნამ, ვიდრე კარიბის ზღვის კუნძულებიდან ჩამოსულმა პოლიტიკურმა ემიგრანტებმა სასიხარულო ამბები არ ჩამოიტანეს. იმაც მაშინვე დაჯდა კონტრაბანდისტების ორანდიან ნავში და რიოაჩისკენ გაეშურა. თან წაიღო შაქარზე დამზადებული აბები და საკუთარი ხელით გაყალბებული ლაიფციგის უნივერსიტეტის დიპლომი. რიოაჩაში ლამის არ ატირდა იმედგაცრუებული. წინასაარჩევნო იმედებმა არ გაუმართლეს ფედერალისტებს, ემიგრანტები კი ირწმუნებოდნენ, ფედერალისტები სადაცაა იდევნებიანო. სხვა გზა აღარ ჰქონდა, იმედგაცრუებულსა და ხელმოცარულს, საიმედო ადგილისთვის უნდა შეეფარებინა თავი, რათა სიბერე მაინც ჰქონოდა მშვიდი და უხიფათო. ერთი სიტყვით, ცრუ ჰომეოპატმა მაკონდო ამოირჩია თავშესაფარად. უკვე რამდენიმე წელიწადი იყო, ქალაქის მოედანთან ერთ სახლში, ცარიელი შუშებით პირთამდე სავსე პატარა და ვიწრო ოთახში ცხოვრობდა იმ ავადმყოფების ხარჯზე, სხვა ექიმებთან ხანგრძლივი უშედეგო მკურნალობის მერე ახლა მისი შაქრიანი აბების იმედიღა რომ ჰქონდათ. ვიდრე დონ აპოლინარ მოსკოტე ვითომდა ხელისუფლობდა ქალაქში, ექიმმა ნოგერამ თავისი აგიტატორობის ნიჭი და უნარი ვერა და ვერ გამოიყენა. მხოლოდ მოგონებებსა და ასთმასთან ბრძოლაში ჰკლავდა დროს. მოახლოებული არჩევნები კი ექიმს იმ ძაფის წვერს ჩაუგდებდა ხელში, რომელსაც გამოქაჩავდა და ხელისუფლების გორგალსაც დაშლიდა, დაბურდავდა. ნოგერამ გარს შემოიკრიბა პოლიტიკურად სუსტი ახალგაზრდები და გააჩაღა წამქეზებლური საიდუმლო მუშაობა. ის ამბავი, რომ საარჩევნო ყუთში უამრავი ვარდისფერი ქაღალდი აღმოჩნდა, — რომელიც დონ აპოლინარ მოსკოტემ იქაურ ახალგაზრდობას ქერქეტობად მიუთვალა, — ექიმის ჩანაფიქრის მხოლოდ ნაწილი იყო. მისი წაქეზებით გაკეთდა, დაე დარწმუნდნენ ყველანი, არჩევნები რომ ფარსია და სხვა არაფერი! „მთავარია მხოლოდ ძალადობა!“ — უჩიჩინებდა იგი თავის მოწაფეებს. აურელიანოს მეგობრები, კონსერვატორთა პარტიის დამხობის მომხრეები, ყოყმანობდნენ, კორეხიდორის სიძისთვის გაენდოთ თავიანთი გეგმები. არა იმიტომ, რომ ქალაქისთავთან მისი ნათესაობისა ეშინოდათ. —

უბრალოდ. თავად გულჩახვეული და მორცხვი ბუნების აურელიანოს იდეები არ ჰქონდათ. თან ისიც იცოდნენ, რომ აურელიანომ სიმამრის მითითებით ცისფერი ბიულეტენი ჩააგდო ყუთში. მხოლოდ უბრალო შემთხვევის გამო გამომჟღავნდა მისი პოლიტიკური სიმპათიები. მხოლოდ და მხოლოდ ცნობისწადილმა გადაადგმევინა მას ეს უგუნური ნაბიჯი — სალაალამათი, კაცი, სამკურნალოდ მისულიყო ექიმ ნოგერასთან. საღორესავით ბინძური ოთახი ობობებისა და ქაფურის სუნად ჰყარდა. ოთახში აურელიანომ თვალი ჰკიდა ხვლიკივით გამხმარ კუდლუღა, ვისი ფილტვებიდანაც სტვენა-სტვენით ამოდიოდა ჰაერი. ექიმმა უსიტყვოდ მიიყვანა ავადმყოფი ღია ფანჯარასთან და თვალის გუგა ჩაუთვალიერა, ჩაუწია. „მანდ არ მტკივა, — უთხრა აურელიანომ, როგორც დაარიგეს ამხანაგებმა. — აი აქ მტკივა, არ მაძინებს", — ღვიძლის მხარეს დაიდო ხელი აურელიანომ. მაშინ ექიმმა უცებ მოხურა ფანჯარა, მზემ დააჭირაო, და მოსულს უბრალოდ აუხსნა, ნამდვილმა პატრიოტმა რატომ უნდა გამოაცალმოს წუთისოფელს კონსერვატორი. რამდენიმე დღე აურელიანოს ჯიბით დაჰქონდა აბებიანი შუშა. დღეში ორჯერ გადმოიპირქვავებდა ხელისგულზე, ერთბაშად სამ აბს ჩაიყრიდა პირში და ნელ-ნელა ადნობდა ენის ქვეშ. დონ აპოლინარ მოსკოტე საყვედურობდა სიძეს, ჰომეოპატიის როგორ გწამს რამეო. მაგრამ სამაგიეროდ შეთქმულების მონაწილეებმა მიიჩნიეს აურელიანო თავისიანად. შეთქმულებაში კი უკვე ჩათრეული იყო თითქმის ყველა უხუცესი მაკონდოელის შვილი, თუმცა რომელიმესთვის რომ გეკითხათ, ალბათ ვერცერთი ვერ გიპასუხებდათ, რისი გაკეთება ევალებოდათ. აურელიანო კი მაშინვე მიხვდა, რაც სურდა ექიმს და შეთქმულებიდან გამოვიდა. მართალია, იგი კონსერვატორთა რეჟიმის დამხობის მომხრე იყო, მაგრამ ექიმის მზაკვრულმა ჩანაფიქრმა მაინც შეზარა: ალირიო ნოგერა ტერორის მომხრე იყო. მისი გეგმით უნდა დაესხმოდნენ თავს ცალკეულ პიროვნებებს, ამოეწყვიტათ ჩინოვნიკთა ოჯახები და განსაკუთრებით შვილებზე უნდა ეყარათ ჯავრი, რათა ძირშივე აღმოეფხვრათ კონსერვატორთა ყოველგვარი ახალი წამოწყება. დონ აპოლინარ მოსკოტე, მისი ცოლი და ექვსივე ქალიშვილი, რა თქმა უნდა, შავ სიაში იყვნენ.

— თქვენ ლიბერალი კი არა, ყასაბი ხართ, — უთხრა აურელიანომ ექიმს აუღელვებლად.

— მაშინ აბები დამიბრუნე, შენ აღარ გვჭირდება, — ასევე აუღელვებლად უპასუხა ექიმმაც.

მხოლოდ ექვსი თვის მერე მიუტანეს აურელიანოს ექიმის ნათქვამი, ეგ კაცი ბრძოლაში არ გამოგვადგება, ხანტი და მეტისმეტად გულჩვილი პიროვნებაა „მარტოობისაკენ ნათლად გამოხატული მიდრეკილებითო". ამხანაგებმა აურელიანოს შეშინება სცადეს, არ გაგვცესო, მაგრამ იგი შეჰპირდა, კრინტსაც არავისთან დავძრავ, ოღონდ იცოდეთ, როგორც კი მოსკოტების სახლს მოადგებით, კართან მე დაგხვდებითო. ეს ისე შეუვალად და მტკიცედ თქვა აურელიანომ, რომ მისმა ამხანაგებმა გადაწყვიტეს, თავიანთი ჩანაფიქრის აღსრულება გაურკვეველი დროით გადაედოთ. სწორედ ამ დროს შევიდა ურსულა შვილთან პიეტრო კრესპისა და ამარანტას მომავალ ქორწილზე მოსალაპარაკებლად და სწორედ მაშინ უპასუხა აურელიანომ დედას, ახლა ქორწილებზე ფიქრის დრო არ არისო. აურელიანოს მთელი კვირა დაჰქონდა ჯიბით ძველისძველი პისტოლეტი, თავის ამხანაგებს უთვალთვალებდა, ნასადილევს ყავის დასალევად ხოსე არკადიოსა და რებეკასთან შეივლიდა. ცოლ-ქმარი მზრუნვე-

ლობას არ აკლებდნენ. ნელ-ნელა აწესრიგებდნენ თავიანთ კარ-მიდამოს. საღამოს ექვსი საათის მერე სიმამრთან მიდიოდა დომინოს სათამაშოდ. დილით საუზმობისას ჭაბუკ არკადიოს ებაასებოდა ხოლმე და თანდათან რწმუნდებოდა, რომ იგი სულისწრაფვით ელოდა ომის დაწყებას. თავის სკოლაში, სადაც თითქმის ახლად ენაადგმული ბავშვების გვერდით მასწავლებლებზე უფროსი მოწაფეებიც ისხდნენ, არკადიო ლიბერალიზმმა გაიტაცა. მღვდელი [illegible] მოვკლათ, ეკლესია სკოლად გადავაკეთოთ, სიყვარულის თავისუფლება გამოვაცხადოთო, ქადაგებდა არკადიო. აურელიანო ბევრს ეცადა, ჭკუაზე მოეყვანა არკადიო, მაგრამ მას გაგონებაც არ სურდა აურელიანოს დინჯი და გონივრული რჩევისა. პირიქით, საქვეყნოდ ლაპარაკობდა, აურელიანო კაცი კი არა, მჩვარიაო. აურელიანო მოსახდენს ელოდა. ერთ დღესაც, დეკემბრის პირველ რიცხვებში, შეშინებული ურსულა სახელოსნოში შევარდა შვილთან:

— ომი დაიწყო!

სინამდვილეში, ომი სამი თვე გაგრძელდა: მთელს მხარეში სამხედრო წესები გამოაცხადეს. მაკონდოში მხოლოდ ერთმა კაცმა — დონ აპოლინარ მოსკოტემ გაიგო ეს ამბავი დროულად, მაგრამ ენას კბილი დააჭირა და ვიდრე სამხედრო რაზმი ბრძანებისამებრ მოულოდნელად არ შევიდა ქალაქში, ცოლსაც კი არ გაანდო საიდუმლო. ჯარისკაცები უხმაუროდ, ალიონის დადგომამდე შევიდნენ მაკონდოში, თან მოათრიეს ჯორებშებმული ორი ტყვიამფრქვევი და სკოლის შენობაში დაბანაკდნენ. ყაზარმად აქციეს. საღამოს ექვსი საათი კომენდანტის საათად გამოაცხადეს. ყველა ოჯახში საგულდაგულოდ ჩაატარეს რეკვიზიცია და აკრძალულ ბარ-ნიჩაბიც კი არ დაუტოვეს ქალებს. ექიმი ნოგერა თავისი ოთახიდან გამოათრიეს, ქალაქის მოედანზე ბოძზე მიაკრეს და ყოველგვარი გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე დახვრიტეს საჯაროდ. მღვდელმა ნიკანორმა, იქნებ [illegible] ცოტა დავამშვიდოო, თავისი ჯადოქრული ამაღლების ჩვენება გადაწყვიტა, მაგრამ ერთმა სამხედრომ თოფის კონდახი ჩასცხო თავში საბრალო მოხუცს. აღარსად ჰქროდა ლიბერალური სული. ირგვლივ მდუმარე საშინელება დამკვიდრდა. ფერწასული აურელიანო უფრო გულჩახვეული გახდა, სიმამრს მდუმარედ ეთამაშებოდა დომინოს. მიხვდა, — თუმცა დონ აპოლინარ მოსკოტეს ქალაქის სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლის წოდება შერჩენოდა, — იგი კვლავ პირჩვენებით მთავრობას წარმოადგენდა. ყველა საკითხს გარნიზონის მეთაური, კაპიტანი სწყვეტდა. ყოველ დილას ის კრებდა მოსახლეობაში საზოგადოებრივი წესრიგის დამცველთა დასახმარებლად გამიზნულ დამატებით გადასახადს. მისმა ოთხმა ჯარისკაცმა ცოფიანი ძაღლის დაკბენილი ქალი ოჯახს გამოგლიჯა ხელიდან და ზედ შუა ქუჩაში კონდახების ცემით ამოხადეს სული. ერთ კვირა დღეს, ქალაქის ოკუპაციიდან ორი კვირის თავზე, აურელიანო ხერინელდო მარკესს ესტუმრა სახლში. ცოტა ხნის მერე ჩვეული სიფრთხილით მოითხოვა უშაქრო ყავა და როდესაც სამზარეულოში ორნი დარჩნენ, აურელიანომ ახლა კი უჩვეულო მბრძანებლურ კილოზე თქვა: „ბიჭები მოამზადე, ომში მივდივართ!“ ხერინელდომ ყურს არ დაუჯერა:

— კი მაგრამ, რომელი იარაღით აპირებ ბრძოლას?

— მათივე იარაღით, — უპასუხა აურელიანომ.

სამშაბათს ღამით გაბედული ოპერაცია ჩაატარეს: სამზარეულოს დანებითა და წვერწამახული რკინის სარებით შეიარაღებული ოცდაათ წლამდე ასაკის ოცდაერთი კაცი აურელიანოს მეთაურობით გარნიზონს დაესხა თავს. ხელში

ჩაიგდეს იარაღი და მოედანზე დახვრიტეს კაპიტანი და ის ოთხი ჯარისკაციც, ქალი რომ მოკლეს ქუჩაში.

იმავე ღამეს, როცა მოედნიდან ჯერ კიდევ მოისმოდა სროლა, ციხე-სიმაგრე მაკონდოს სამოქალაქო და სამხედრო მმართველად არკადიო დანიშნეს. მეამბოხენი ჩქარობდნენ, ვიდრე ბედისანაბარა მიატოვებდნენ თავ-თავიანთ ცოლებს, ერთი გულიანად მაინც გამოთხოვებოდნენ. აურელიანოს რაზმს ტერორის შიშისგან ბორკილახსნილი ხალხი მიაცილებდა გზად. ეს რაზმი მაკონდოდან გავიდა, რათა მერე შეერთებოდა რევოლუციონერი გენერლის ვიქტორიო მედინას მანაურესკენ დაძრულ ლაშქარს. ქალაქიდან გასვლამდე აურელიანომ დონ აპოლინარ მოსკოტე კარადიდან გამოათრია: „ნუ გეშინიათ, სიმამრო. ახალი მთავრობა სიტყვას გაძლევთ, არ ხელჰყოს თქვენი პიროვნება და თქვენი ოჯახი". დონ აპოლინარ მოსკოტე თვალს არ უჯერებდა, ნუთუ ჩექმებში გამოწყობილი, მხარზე შაშხანაგადაკიდებული ეს მეამბოხე კაცი ჩემი სიძეა, დაღამებამდე დომინოს რომ მეთამაშებოდაო?

— აურელიტო, ეს ხომ სიგიჟეა! — შესძახა მან.

— ეს სიგიჟე კი არა, ომია, — უპასუხა აურელიანომ. — ძალიან გთხოვთ, აურელიტოს ნუღარ დამიძახებთ. დღეიდან მე პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია ვარ.

პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ ოცდათორმეტჯერ წამოიწყო შეიარაღებული აჯანყება და ოცდათორმეტჯერვე დამარცხდა. ჩვიდმეტი ქალისაგან ჩვიდმეტი ვაჟიშვილი შეეძინა და ჩვიდმეტივე ერთ ღამეს მოუკლეს, უფროსი ოცდათხუთმეტი წლისა მოკვდა. თვითონ აურელიანოს თოთხმეტჯერ დაესხნენ თავს მოსაკლავად და გადარჩა, სამოცდაცამეტჯერ ჩაუსაფრდნენ და კიდევ გადარჩა. დახვრეტაც აიცდინა და ერთხელაც იმდენი ქინაქინა ჩაუყარეს ყავაში, ცხენს რომ გააფრთხობინებდა სულს, მაგრამ აურელიანო გადარჩა. მან უარი თქვა რესპუბლიკის პრეზიდენტის ნაბოძებ ორდენზე. იგი გახდა რევოლუციური ჯარების უმაღლესი მთავარსარდალი და სამხედრო მსაჯული. ქვეყანაზე არ მოიძებნებოდა კაცი, ვისიც ასე შინებოდა მთავრობას. ასეთი საქვეყნოდ ცნობილი კაცი იყო აურელიანო, მაგრამ სურათი არასოდეს გადაუღია. უფლებას არვის აძლევდა, მისთვის სურათი გადაეღო. მან უარი თქვა სამუდამო პენსიაზე, ომის შემდეგ რომ დაუნიშნეს, ღრმა მოხუცებულობამდე ოქროს თევზებში აღებული ფულით ცხოვრობდა. თუმცა აურელიანო ბრძოლის ველზე პირველი გაიჭრებოდა ხოლმე, დაჭრით მხოლოდ ერთხელ დაიჭრა და ისიც საკუთარი ხელით კინაღამ არ მოისწრაფა სიცოცხლე. ეს ამბავი მოხდა ნეერლანდიის კაპიტულაციის ხელმოწერის შემდეგ, რამაც ბოლო მოუღო თითქმის ოც წელიწადს გაგრძელებულ სამოქალაქო ომებს. აურელიანომ მკერდში დაიხალა რევოლვერი, მაგრამ ტყვიამ ზურგი გაუხვრიტა, გარეთ გავარდა და აურელიანოც იოლად გადარჩა. თავს გადახდენილი მთელი ამ ამბების სანაცვლოდ, სამახსოვროდ და თაობებისთვის გადასაცემად მაკონდოში მხოლოდ ერთ ქუჩას დაარქვეს მისი სახელი. ეს იყო და ეს. მაგრამ, როგორც თვითონ თქვა სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, იმ დილით, როცა ოცდაერთკაციან რაზმთან ერთად მაკონდოს ტოვებდა, რათა შეერთებოდა გენერალ ვიქტორიო მედინას ლაშქარს, სულ არ მოელოდა, ბედისწერა ამოდენა სახელსა და დიდებას თუ უმზადებდა.

— ქალაქს შენს იმედზე ვტოვებთ, — უთხრა გზად დამდგარმა აურელიანომ არკადიოს. — ყველაფერი წესრიგშია და აბა, შენ იცი, რომ დავბრუნდებით, უკეთესად დაგვახვედრე.

არკადიომ თავისებურად გაიგო მისი სიტყვები: მელკიადესის ფერადი ნახატებით სავსე წიგნიდან თავისთვის მარშლის ეპოლეტებიანი მუნდირი გადმოიღო, ქამარზე მოკლული კაპიტნის ოქროსფუნჯიანი ხმალი ჩამოიკიდა, ქალაქის შესასვლელში ორივე ტყვიამფრქვევი ჩადგა, მისი მოწოდებებით გულანთებულ ყოფილ მოწაფეებს სამხედრო ტანსაცმელი და იარაღი დაურიგა და ქუჩებში დაქსაქსა, აქაოდა, უცხო კაცს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნას, ქალაქი კარგად არის გამაგრებული და მისი აღება არც ისე ადვილიაო. მართლაც, არკადიოს გონივრულმა ეშმაკობამ მთავრობა შეაფიქრიანა, მთელი წლის მანძილზე ერთხელაც ვერ გაბედეს თავს დასხმოდნენ ასე რიგად გამაგრებულ მაკონდოს, მაგრამ სამაგიეროდ როცა გაბედეს, ისე დიდი ჯარით დაატყდნენ თავს, რომ ქალაქი სულ რაღაც ნახევარ საათში ჩაიგდეს ხელში. თავისი მმართველობის პირველსავე დღეებში გამოავლინა არკადიომ დეკრეტების დიდი სიყვარული, დღე ერთი იყო და ზოგჯერ ოთხ-ხუთ დეკრეტს გამოაქვეყნებდა ხოლმე. ბრძანებდა იმას, რაც უცაბედად მოუვიდოდა თავში. სავალდებულო სამხედრო სამსახურში თვრამეტი წლის ჭაბუკები მიჰყავდა. მისი ბრძანებით, საღამოს ექვსი საათის მერე ქუჩაში თუ პირუტყვი გამოჩნდებოდა, იგი უკვე პატრონისა აღარ იყო. ხანში შესულ კაცებს დაავალა, წითელი სამკლავურები გაიკეთეთ და ისე გამოდით ქუჩაშიო, მღვდელი ნიკანორი სახლში გამოკეტა, თუ გამოხვალ, დაგხვრეტო, წირვისა და ზარების რეკვის ნებაც მხოლოდ ლიბერალთა მორიგი გამარჯვების დროს დართო. ყველასთვის რომ დაემტკიცებინა, არ ვხუმრობო, ჯარისკაცებს ნება მისცა ზედ მოედანზე დადგმულ ფიტულებზე ევარჯიშათ სროლაში. პირველ ხანებში მაკონდოელები მართლაც ასე ფიქრობდნენ, ახალგაზრდები არიან და თავში უქიქინებთ, ბოლოს და ბოლოს ვინ არიან არკადიო და მისი ჯარისკაცები? გუშინდელი ლაწირაკები, მოწაფეები, რომლებიც დღეს დიდობანას თამაშობენო, მაგრამ ერთ ღამეს, როდესაც არკადიო „კატარინოს დუქანს“ ესტუმრა და ორკესტრის მესაყვირემ ამხანაგებს მიმართა, ახლად გამომცხვარ ხელისუფალს დაფდაფების ბრახუნით შევხვდეთო და ხალხიც გააცინა, — არკადიომ ბრძანა თავხედი მესაყვირე დაეხვრიტათ მთავრობის წარმომადგენლის უპატივცემულობისათვის. ვინც შესიტყვება გაბედა, ხელზე ხუნდებდადებული ჩაკეტა სკოლის ერთ ოთახში და ბრძანა, წყლისა და პურის გარდა არაფერი მისცეთო. „მკვლელი ხარ! — უყვიროდა ურსულა, — აურელიანო რომ გაიგებს, მოგკლავს, შე საწყალო, და ძალიანაც კარგი იქნება!“ მაგრამ ამაო გამოდგა ყველაფერი. მაკონდოს არ მოსწრებია მასზე უბოროტესი და კაცთმოძულე ქალაქის თავი. „ახლა ხომ მიხვდნენ, ვინ რას წარმოადგენს, — თქვა ერთხელ დონ აპოლინარ მოსკოტემ. — ესეც მაგათი ლიბერალური სამოთხე!..“ არკადიოს მაშინვე მიურბენინეს მოსკოტეს სიტყვები. მანაც არც აცია, არც აცხელა, ჯარისკაცებს ჩაუდგა სათავეში და ბრძოლით ჩაიგდო ხელში დონ აპოლინარ მოსკოტეს სახლი. ავეჯი ხომ მიამსხვრია-მოამსხვრია, ქალიშვილებიც გაშოლტა, ხოლო თვით ყოფილი კორეხიდორი ქუჩაში გამოათრია და ყაზარმისაკენ გაუყენა. ეს რომ ურსულამ გაიგო, სახლიდან გამოვარდა და ლამის მთელი ქალაქი გაირბინა სირცხვილითა და რისხვით ანთებულმა, როდესაც აყვირებული და ხელში შოლტმომ [illegible]

რდა ყაზარმის ეზოში, იქ უკვე ჯარისკაცები ჩაემწკრივებინათ დონ აპოლინარ მოსკოტეს დასახვრეტად; ის იყო თვით არკადიოს უნდა ებრძანებინა „ესროლეთო“, რომ ურსულა წამში მის გვერდით გაჩნდა:

— აბა, ერთი გაბედე, შე ნაბიჭვარო!

ვიდრე არკადიო გამოერკვეოდა, ურსულამ შოლტი გადაუჭირა და [illegible]-ქირა, „აბა, ერთი გაბედე, მკვლელო! მაშინ მეც მომკალი, შე [illegible], რომ შერცხვენა და ცრემლია ღვრა ამცდეს: სად გავამხილო, მე გამოვზარდე ასეთი არამზადა-მეთქი!“ ურსულა უმოწყალოდ სცემდა არკადიოს და ვიდრე ეზოს ერთ კუნჭულში არ მიაგდო, არც მოშორებია. დონ აპოლინარ მოსკოტე იმ სვეტზე მიებათ, რაზეც აქამდე ტყვიებით დაცხრილული ფიტული ეკიდა. საწყალ კორეხიდორს გონი დაეკარგვოდა. ჯარისკაცები შეშინებულები მიმოიფანტნენ, კაითუ განრისხებულმა ურსულამ ჩვენზეც იყაროს ჯავრიო. მაგრამ ურსულას მათთვის ზედაც არ შეუხედავს. ტკივილისა და სიბრაზისაგან აღმუვლებული არკადიო მიატოვა, კორეხიდორი სვეტიდან ჩამოხსნა და შინ წაიყვანა, ვიდრე ყაზარმის ეზოს ჰიშკარს გადააბიჯებდა, ყველა პატიმარი გაანთავისუფლა.

იმ დღიდან ქალაქის მმართველი ურსულა გახდა. მან აღადგინა წირვა კვირაობით, აკრძალა წითელი სამკლავურები და გააუქმა არკადიოს მკაცრი ბრძანებები. თუმცა ქალმა ასეთი სიმამაცე და ძალა გამოიჩინა, ყველას უჩუმრად მაინც დასტიროდა საკუთარ ბედსა და იღბალს. ისე მარტოსული ეჩვენებოდა თავი, რომ წაბლის ძირში მიტოვებულ ქმართან ეძებდა ხსნასა და შვებას. „ხედავ, რას მოვესწარით, — ეუბნებოდა ქმარს იმ ღამეს, როცა ივნისის წვიმა პალმის ტოტებს საპურავს მუქარით ურაკუნებდა.—სახლი დაცარიელდა. შვილები თავ-თავიანთი გზით წავიდნენ. მე და შენ კვლავ მარტო დავრჩით“. სიგიჟის მორევში ჩაძირულ ხოსე არკადიო ბუენდიას არ ესმოდა ცოლის ჩივილი. მხოლოდ მაშინ გაუნათდებოდა გონება, როდესაც ამარანტა საჭმელს მიუტანდა, ურსულას ჩივილზე კი მაშინვე გამოეთიშებოდა სინამდვილეს. ურსულა ქმარს ზინდა და თან ოჯახზე უამბობდა. „აურელიანო ომშია, აგერ უკვე ოთხი თვეა, მისი არაფერი ვიცით, — გასაპნულ ღრუბელს ზურგზე უსვამდა და თან ენას არ აჩერებდა. — ხოსე არკადიო დაბრუნდა, შენზე მაღალია, მთელი ტანი ჯვრებით აქვს მოხატული, მაგრამ რად გინდა, ოჯახი შეგვირცხვინა“. ხანდახან ქალს ეგონა, ქმარს ცუდი ამბები გულზე ხვდება და უმძიმსო. და მაშინვე დაიმშვიდებდა ხოლმე: „ჩემს როშვას ყურს ნუ დაუგდებ. — ქალი ნაცარს აყრიდა განავალს და მერე ნიჩბით ერთ ადგილას უყრიდა თავს. — ღვთის წყალობითა და ნებასურვილით ამარანტა და პიეტრო კრესპი დაქორწინდნენ, ბედნიერები არიან“. ურსულა იმდენს იტყუებოდა, რომ ბოლოს და ბოლოს თვითონ გრძნობდა შვებას, მკერდიდან მძიმე ლოდი ეხსნებოდა. „არკადიოს ვერ იცნობ, დინჯი და გულადი გახდა. უნდა ნახო როგორ უხდება მუნდირი და ხმალი“. ურსულას გინდა ქმართან ელაპარაკოს და გინდა მიცვალებულთან: ხოსე არკადიო ბუენდიას არც არაფერი სწყინდა და არც არაფერი უხაროდა. მაგრამ ქალი კვლავ უყვებოდა და უყვებოდა ოჯახის ამბებს. ბოლოს გადაწყვიტა, ბერიკაცი ისეთი მორჩილი და გულგრილია ყველაფრისადმი, არაფერი დაშავდება, რომ ავხსნაო. თოკები შემოხსნა, მაგრამ მოხუცი თავის სკამიდან არც წამომდგარა, იჯდა წვიმასა და მზეში ისე, თითქოს თოკს კი არა, ბორკილზე უფრო გამძლე და უხილავ რაღაცას მიეკრა ხეზე. აგვისტოში, როდესაც ყვე-

ლას გადაწურული ჰქონდა იმედი, ზამთარი აღარ გათავდებაო, ურსულამ, როგორც იქნა, ქმარს აუწყა ის ამბავი, რასაც მისი აზრით, წყალი აღარ გაუვიდოდა: — ბედი გვწყალობს, ამარანტა და პიანოლის ამწყობი იტალიელი ჯვარს იწერენ.

მართლაც, ურსულას კეთილგანწყობით გათამამებულები ამარანტა და პიეტრო კრესპი ძალიან დამეგობრდნენ. ურსულამ ამჯერად საჭიროდ აღარ მიიჩნია ქალ-ვაჟისათვის ეთვალთვალა. პიეტრო კრესპი საღამოობით მოდიოდა ხოლმე ღილკილოში ყვავილდაბნეული და ამარანტას პეტრარკას სონეტებს უთარგმნიდა. ისინი მანამდე ისხდნენ ხოლმე ყვავილების სურნელებით ჩახუთულ შუშაბანდში, ვიდრე კოღოები არ შეაწუხებდათ და სასტუმრო ოთახში არ შეაფარებდნენ თავს. კაცი კვლავ კითხულობდა, ქალი კვლავ ქარგავდა და ორივენი მოწყვეტილი იყვნენ გარე სამყაროს, ომის საშინელება სულაც არ აკრთობდათ. ამარანტას ღრმა, მაგრამ ფარული სინაზე აბლაბუდასავით ეხვეოდა საქმროს და მუდამ, როცა კი რვა საათზე წასასვლელად ემზადებოდა, სამოსს ისე ჩამოიბერტყავდა ხოლმე, თითქოს ამ უხილავი ძაფებისაგან ცდილობდა თავის დახსნას. მათ ერთად შეადგინეს ლამაზი საფოსტო ბარათების ალბომი. პიეტრო კრესპის თავისიანები უგზავნიდნენ ამ ბარათებს. თითქმის ყველა სურათზე გამოსახულნი იყვნენ ბაღის კუთხეში მიყუჟული შეყვარებული ქალი და ვაჟი; კიდევ — ისრით განგმირული გული ან პირიქით, ოქროსფერი ბაფთით გაკრული გული. ბაფთის ბოლოები მტრედებს ეპყრათ ნისკარტში. „ეს ბაღი ფლორენციაშია, — უხსნიდა პიეტრო კრესპი ამარანტას, — საკმარისია ხელის გულზე პურის ნამცეცები დაიყარო და გაიწვდინო, რომ ჩიტები მაშინვე მოფრინდებიან". ვენეციის სურათებს რომ წააწყდებოდა, პიეტრო კრესპის სამშობლოზე ნაღველი ისე შემოაწვებოდა, რომ ჯერ კიდევ მეხსიერებაში შემორჩენილი დამპალი ზღვის ნიჟარებისა და შლამის სუნი ახლა ყვავილთა სურნელებად ეჩვენებოდა. ამარანტა ოხრავდა. იცინოდა და ოცნებობდა იმ ქვეყანაზე, სადაც ლამაზი კაცები და ქალები ბავშვების ენაზე ლაპარაკობდნენ, ოცნებობდა იმ ქალაქებზე, რომელთა ძველი დიდებიდან მხოლოდ ნაგავში მობრიალე კატებიღა დარჩენილიყვნენ. ბოლოს და ბოლოს პიეტრო კრესპიმ, როგორც იქნა, იპოვა სიყვარული, იპოვა მას შემდეგ, რაც მის ძებნაში ოკეანე გადაკვეთა, მას შემდეგ, როცა უკვე შეეძლო ერთმანეთისგან განესხვავებინა სიყვარული და ვნება — აცუნდრუკებული რებეკას მხურვალე კოცნა. იტალიელი ოსტატის ბედნიერებას ისიც დაერთო, რომ შემოსავალი დღითი დღე ემატებოდა. მისი მაღაზია თითქმის მთელს უბანში იყო გაჭიმული და ნამდვილ ზღაპრულ სამყაროს წარმოადგენდა: რას არ ნახავდა კაცი აქ — კურანტიანი ფლორენციული კოშკის ზუსტსა და მცირე ასლს, სორენტულ მუსიკალურ ზარდახშებს თუ ჩინურ საპუდრეებს, რომელთაც თავს რომ ახდიდი, ხუთნოტიან ლამაზ სიმღერას უკრავდნენ. აქ ნახავდით თითქმის ყველა საკრავს, რაც კი არსებობს ქვეყანაზე და ყოველნაირ მოსამართ სათამაშოს, რასაც კი ადამიანის გონება მისწვდება. მაღაზიას პატრონობდა პიეტრო კრესპის უმცროსი ძმა ბრუნო კრესპი. ამ კაცს მუსიკისა არაფერი გაეგებოდა, მაგრამ სამაგიეროდ მისი წყალობით თურქების ქუჩა ნამდვილად ზღაპრული ადგილი გახდა თავისი ნაირ-ნაირი და თვალისმომჭრელი ვიტრინებით. აქ ადამიანებს ავიწყდებოდათ არკადიოს თვითნებობაც და გაჭიანურებული ომიც. როდესაც ურსულას ნებართვით აღადგინეს საკვირაო წირვა, პიეტრო კრესპიმ ეკლესიას საჩუქრად უბოძა გერმა-

ნული ფისჰარმონია, ჩამოაყალიბა ბავშვთა გუნდი და გრიგორიანული გალობანი შეასწავლა მათ. ამან, რა თქმა უნდა, ცოტა მაინც შეალამაზა მღვდელ ნიკანორის უფერული ღვთისმსახურება. ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ამარანტა სადაცაა იტალიელის ცოლი გახდებოდა. ქალ-ვაჟი გრძნობებს არ აჩქარებდნენ, მშვიდად და დინჯად მიადგნენ იმ ზღვარს, როცა უკვე უნდა დაენიშნათ ქორწილის დღე. მოშურნე არავინ ჰყავდათ. ურსულა სულის სიღრმეში თავს საყვედურობდა, გაუთავებელი „გადადებებით" რებეკას ცხოვრება გავუფუჭე და ახლა ყველაფერი ისე უნდა გავაკეთო, სინდისმა აღარ შემაწუხოსო. ვიღას ახსოვდა რემედიოსის გლოვა! აურელიანოს არყოფნამ, არკადიოს სიმხეცემ, ხოსე არკადიოსა და რებეკას განდევნამ ჩრდილში გადაუნაცვლა ადგილი გლოვასა და მწუხარებას. პიეტრო კრესპი დარწმუნებული იყო, ჯვარს დაიწერდნენ და ამარანტას სიტყვაც გადაუკრა, აურელიანო ხოსე უფროსი შვილივით მივუაროთო. თქმა არ უნდა, ამარანტამ მიაღწია საწადელს, მყუდრო, უღრუბლო ბედნიერებას. მაგრამ რებეკასავით როდი აფორიაქდა იგი. ისევე მშვიდად, რა მშვიდადაც კერავდა და ქარგავდა უმშვენიერეს ფარდაგს, ამარანტა ელოდა იმ წუთს, როცა პიეტრო კრესპი ველარ გაუძლებდა მოზღვავებულ გრძნობებს. ეს დროც დადგა. ოქტომბერი იყო, გადაუღებელი წვიმების თვე. პიეტრო კრესპიმ ამარანტას მუხლებიდან აიღო საქარგავი და მისი ხელები ხელში მოიქცია. „მეტი ლოდინი აღარ შემიძლია, — უთხრა აღელვებულმა, — ამ თვეში დავიწეროთ ჯვარი". კაცის გაყინული თითების შეხებაზე ამარანტას წარბიც არ შეუხრია, ასე, დაუმორჩილებელი ნადირივით გაინთავისუფლა ხელი ტყვეობიდან და კვლავ საქარგავს მისწვდა:

— თავს ნუ იტყუებ, კრესპი, — უთხრა ამარანტამ ღიმილით, — რომც მოვკვდე, ცოლად მაინც არ გამოგყვები.

პიეტრო კრესპი გაშრა, მერე თავი ვერ მოთოკა და უსირცხვილოდ აზლუქუნდა. სასოწარკვეთილმა ლამის თითები დაიმტვრია, მაგრამ ამარანტას სიჯიუტე ვერა და ვერ გატეხა. „დროს ამაოდ ნუ კარგავ, — უთხრა ამარანტამ. — თუ მართლა გიყვარვარ, ამ სახლში მეორედ შემოსვლა აღარ გაბედო". ურსულას მიწა რომ გასკდომოდა და შიგ ჩავარდნილიყო, ისე შერცხვა. პიეტრო კრესპიმ რა არ იღონა, როგორ არ სთხოვდა, მოწყალე თვალით გადმომხედეო, მაგრამ ამაოდ. მეტისმეტად დაიმცირა თავი იტალიელმა. მთელი საღამო ტიროდა ურსულას კალთაში თავჩარგული, ურსულაც ყველანაირად ცდილობდა მის დამშვიდებას; წვიმიან ღამეში ხედავდნენ, აბრეშუმის ქოლგის ქვეშ შეფარებული პიეტრო კრესპი როგორ უტრიალებდა ბუენდიების სახლს, იქნებ ამარანტას ოთახში შუქი დავინახოო. არასოდეს არ სცმია მას ასე ლაზათიანად. ტანჯული იმპერატორივით სახეზე რაღაც არაამქვეყნიური დიდებული სხივი უკრთოდა. ამარანტას მეგობარ ქალიშვილებს გული გაუწყალა, იქნებ მომეხმაროთ და ჩვენ შევწევნით პირით. საქმეზე გული აიცრუა: მთელი დღეები იჯდა მაღაზიის უკანა ოთახში და ჩხაპნიდა სულელურ წერილებს. შიგ ყვავილის ფურცლებსა და გამხმარ პეპლებს დებდა და ისე უგზავნიდა ამარანტას. ეს წერილები გაუხსნელი და წაუკითხავი უბრუნდებოდა უკანვე. ოთახში გამოკეტილი პიეტრო კრესპი მთელი დღე ციტრაზე უკრავდა. ერთ ღამეს კი იმღერა და... გამოღვიძებული და უსაზღვროდ გაკვირვებული ქალაქი ციტრის ზეციურ ხმასა და სიყვარულით ანთებულ სიმღერას მოენუსხა. პიეტრო კრესპიმ თითქმის ყველა ფანჯარაში დაინახა შუქი, მხოლოდ ამარანტას ოთახში ჩაბნელებულიყო

სიბნელე. ორ ნოემბერს, სულის ხსენების დღეს, პიეტრო კრესპის ძმამ მაღაზიის კარი გაალო და თვალსა და ყურს არ დაუჯერა: ყველა ლამპა ენთო, ყველა საათი შეუსვენებლივ რეკდა, უკანა ოთახში კი ვენებგადაჭრილი პიეტრო კრესპი ტახტზე იწვა და ორივე ხელი პირსაბან თასში ჩაეკიდა.

ურსულამ ბრძანა, მიცვალებული ჩემს სახლში გადმოასვენეთო. მღვდელმა ნიკანორმა უარი თქვა, წესს არ ავუგებ, არც წმინდა მიწაში დავამარხვინებთ თავისმკვლელ კაცსაო. ურსულამ არ დაუთმო. „ეს კაცი წმინდანია. რატომ და რისთვის, ამას ჩვენ ვერასოდეს მივხვდებით, თანაც ვიცი, ძალიანაც არ გინდათ, მაგრამ მელკიადესის გვერდით დავასაფლავებ". ასეც მოიქცა, ურსულას მთელმა ქალაქმა აუბა მხარი და უცხოელი დიდებულად მიაბარეს მიწას. ეს დღეები ამარანტა თავის ოთახიდან არ გამოსულა. ბალიშში თავჩარგულს ესმოდა ურსულას მოთქმა, მიცვალებულთან გამოსათხოვებლად მოსულთა ფეხისხმა და ჩურჩული, მერე კი გულს უმძიმებდა ყვავილების სუნით ავსილი დუმილი. კიდევ კარგა ხანს ელანდებოდა ამარანტას ლავანდის სურნელება, პიეტრო კრესპის რომ ასდიოდა ხოლმე, მაგრამ როგორღაც ძალა მოიკრიბა, არ გავგიჟდეო. ურსულამ მთლად მიატოვა. ის კი არადა, გამეხებულს თავიც არ აუწევია, როცა ამარანტა სამზარეულოში შევიდა, ხელი შეყო ანთებულ ღუმელში და იქამდე ეჭირა ცეცხლზე, ვიდრე ტკივილმა კი არა, საკუთარი დამწვარი ხორცის სუნმა არ შეაწუხა. ასე სურდა საკუთარ სინდისის ქენჯნას გაქცეოდა! მერე რამდენიმე დღე ათქვეფილ კვერცხისგულიან თასში ჰქონდა ხელი ჩაყოფილი. ნელ-ნელა მოუშუშდა იარა ხელზეც და გულშიც. ერთადერთი ხილული კვალი თავს გადახდენილი უბედურებისა იყო შავი ფალასი, რომელსაც ამარანტა სიკვდილამდე არ მოიცილებს დამწვარი ხელიდან.

მოულოდნელად არკადიომ გულმოწყალება გამოიჩინა: პიეტრო კრესპის გარდაცვალების გამო საყოველთაო მგლოვიარობის ბრძანება გამოსცა. ურსულას იმედი მოეცა, გზაარეული ცხვარი ფარაში დაბრუნებას აპირებსო, მაგრამ შეცდა. მაინც როდის დაკარგა ურსულამ არკადიო? არკადიო მისი არც არასოდეს ყოფილა. არადა, ქალს ეგონა, რებეკასაც და მასაც შვილივით ვზრდიო. არკადიო გულჩახვეული და მხდალი ბიჭი იზრდებოდა. მისმა ბავშვობამ ხომ იმ ხანებში განვლო, როცა ქალაქს უძილობის ეპიდემია მოედო, როცა ურსულა სახლის მშენებლობამ ლამის გადაიყოლა, ხოსე არკადიო ბუენდია ჭკუაზე შეიშალა, აურელიანო ჩაიკეტა, ამარანტა და რებეკა სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდნენ ერთმანეთს. თუმცა აურელიანომ წერა-კითხვა შეასწავლა არკადიოს, მაგრამ გაკვეთილებზე უცხოსავით ზერელედ ექცეოდა და სხვა რაღაცაზე ფიქრობდა. თავის გამონაცვალ ტანსაცმელსაც აძლევდა, მაგრამ ისეთი ძველი და გამოუსადეგარი იყო, რომ ვისიტასიონი ძლივს არგებდა ტანზე გადაკეთების მერე. არკადიოს ყელში ჰქონდა ამოსული დიდი, ფლატუნა ფეხსაცმელები, დაკემსილ-დაკერებული შარვლები და თავისი ქალური თეძოები. მხოლოდ ვისიტასიონსა და კატაურეს ელაპარაკებოდა და ისიც მათ ენაზე. ერთადერთი კაცი, ვინც არკადიოს გულისხმიერად მოეპყრო, მელკიადესი გახლდათ. იგი ბიჭს უკითხავდა თავის უცნაურ ნაწერებს, ასწავლიდა დაგეროტიპის გადაღებას. არავინ არ იცოდა, თუ რა მწარედ გამოიტირა არკადიომ მოხუცი, ყველას უმალავდა თავის ნაღველს. სასოწარკვეთილი იჩხრიკებოდა ბოშასავე ნაწერებში, იქნებ ისეთი რამ ამოვიკითხო, მელკიადესს რომ გააცოცხლებსო. მერე და მერე სკოლაში დაიწყო მუშაობა. იქ პატივს სცემდნენ და სჯეროდათ

მისი, მერე კიდევ მკაცრმა ბრძანებებმა და საუცხოო მუნდირმა ნელ-ნელა გადაუყარა ნაღველი გულიდან. ერთხელ საღამოს, „კატარინოს დუქანში" ვიღაცამ შეჰბედა: ღირსი არა ხარ შენი გვარისაო; ყველასდა გასაოცრად, არკადიოს არ მიუხვრეტია თავხედი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საბედნიეროდ, თქვა მან, — მე ბუენდია არ ვარ.

ვისაც მისი წარმომავლობისთვის მოეკრა ყური, იფიქრეს, არკადიომ ყველაფერი იცისო, მაგრამ სინამდვილეში მან არაფერი იცოდა და ვერც ვერასოდეს გაიგებს თავისი მშობლების ვინაობას. პილარ ტერნერასაკენ — თავისი დედისაკენ — იმდაგვარივე გრძნობებით ილტვოდა, როგორითაც ხოსე არკადიო და აურელიანო. როდესაც ჩაბნელებულ ოთახში დაგეროტიპის დამუშავებაში გართულ არკადიოს ეს ქალი წამოადგებოდა თავს, ვაჟს სისხლი აუჩქროლდებოდა ხოლმე ძარღვებში. თუმცა პილარ ტერნერას მომხიბვლელობა და მშვენიერი სიცილი წლებს გაჰყოლოდა, არკადიო მას მაინც ყველგან ეძებდა და პოულობდა კიდეც კვამლის სუნზე, ქალს რომ ასდიოდა. ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, ერთ დღეს ქალმა თავის პატარა ბიჭს მიაკითხა სკოლაში. არკადიო თავის ოთახში იყო. ამ ოთახში იგი ისვენებდა ხოლმე, მერე კი საპატიმროდ გადააქცია. ვიდრე ბავშვი ეზოში თამაშობდა, არკადიო ჰამაკში იწვა და მოუთმენელი კანკალით ელოდა პილარ ტერნერას გამოჩენას. იცოდა, ამ დროს უსათუოდ მოვიდოდა და მის ოთახში გაივლიდა. მართლაც მოვიდა ქალი. არკადიომ ხელი სტაცა და ჰამაკისაკენ მიიზიდა. „არა, არა, — შეძრწუნდა ქალი, — ძალიან მინდა გასიამოვნო, მაგრამ ღმერთია მოწმე, არ შემიძლია". არკადიო ჯანითა და ღონით ბუენდიებს ჰგავდა, ძლიერად მიიზიდა ქალი და წელში მარწუხებივით რომ ჩაავლო ხელი, იგრძნო, სადაცაა გონს დაკარგავდა: „კარგი ხვითო ხარ, — უთხრა ქალს, — ქვეყანამ იცის, რომ კახპობ". პილარ ტერნერას უცებ შეზიზღდა საკუთარი ბედუკუღმართი ცხოვრება, მაგრამ უმალვე ჩაიხშო ზიზღი:

— ბავშვები დაგვინახავენ, — ჩასჩურჩულა ვაჟს, — ამაღამ კარს ნუ ჩაკეტავ.

დაღამდა, არკადიო ჰამაკში იწვა და ელოდებოდა, ციებაშეყრილივით ძაგძაგებდა; თვალი არ მოუხუჭავს და ირგვლივ გამეფებული დუმილისთვის მიეპყრო ყური. მხოლოდ ჭრიჭინები ჭრიჭინებდნენ და თითქოს დაკანონებულ წესს იცავსო, ერთსა და იმავე დროს ყვიროდა რომელიღაც ჩიტი. არკადიოს გაცოფებას არაფერი უკლდა, რომ უცებ კარი გაიღო... გაივლის რამდენიმე თვე და კედელთან დახვრეტის მოლოდინში მდგომი არკადიო კვლავ გაიხსენებს იმ ღამეს: გვერდით საკლასო ოთახში ვიღაცა მოფათურობდა ბნელში, სკამს ფეხი გამოკრა და ბრახუნმაც გაკვეთა მდუმარება, მერე ლანდი ჩამუქდა და ადამიანის სხეული გამოიკვეთა. გულისცემამ ჰაერი შეარხია, მაგრამ ეს არ იყო არკადიოს მკერდში მოფართხალე გული. ხელი გაიშვირა და ვიღაცის ხელს წაეპოტინა. მაგრამ იგრძნო ეს ბეჭდებიანი თითები სხვა ქალისა იყო. დროზე შეაშველა ხელი, თორემ უკუნეთი ჩაყლაპავდა მოსულს. ვაჟმა თითებქვეშ ქალის ძარღვებიც იგრძნო და მისი მაჯისცემაც. ნოტიო ხელის გულზე თითქოს დაინახა, სიცოცხლის ხაზს როგორ კვეთდა ცერათითიდან წამოსული სიკვდილის ხაზი. მიხვდა, ეს ის ქალი არ იყო, ვისაც ელოდა. ამ ქალს კვამლის სუნი არ ასდიოდა, ყვავილოვანი საცხის სურნელება დაჰკრავდა მის კანს, მკვრივი მკერდი და მამაკაცივით პატარა ძუძუსთავები ჰქონდა, მინაზებულს

გამოუცდელობა ეტყობოდა. იგი ქალიშვილი იყო და საოცარი სახელი ერქვა — სანტა სოფია დე ლა პიედადი. პილარ ტერნერას ამ ქალიშვილისთვის ორმოცდაათი პესო — თითქმის მთელი თავისი დანაზოგის ნახევარი — უჩუქებია და იმის გაკეთება დაუვალებია, რასაც ახლა აკეთებდა იგი. არკადიოს ეს ქალიშვილი არაერთხელ უნახავს, თავის მშობლებს რომ ეხმარებოდა პაწია დუქანში, მაგრამ არასოდეს არ მიუქცევია მისთვის ყურადღება, რადგან თავად ქალიშვილს ჰქონდა იშვიათი ღირსება, ვიდრე არ მოიძიებდნენ, თვითონ ჩრდილიდან არ გამოსულიყო. მაგრამ იმ ღამეს კატასავით განაბა სული ვაჟის თბილ ხელებში მიმწყვდეულმა. ამ დღიდან გოგო სიესტის დროს მიდიოდა ხოლმე სკოლაში მშობლების ნებართვით, რომლებსაც პილარ ტერნერამ თავისი დანაზოგი ფულის მეორე ნახევარი მისცა. ცოტა მოგვიანებით მთავრობის ჯარებმა სკოლიდან გაასახლეს ქალ-ვაჟი და ისინიც თავიანთ სასიყვარულო საქმეებს დუქნის უკან, კარაქის ყუთებსა და სიმინდით სავსე ტომრებზე განაგრძობდნენ. როცა არკადიო ქალაქის სამხედრო და სამოქალაქო მმართველად დანიშნეს, ქალიშვილიც შეეძინა.

ერთადერთი ნათესავები, ვინც ეს ამბავი გაიგო, იყვნენ ხოსე არკადიო და რებეკა. არკადიო იმ ხანებში მათთან ხშირად დაიარებოდა. მაგრამ ნათესაობაზე უფრო მეტად თანამოაზრეობა აახლოვებდა მათ. ხოსე არკადიომ ქმრის უღელი დაიდგა ქედზე. რებეკა მაგარი ქალი გამოდგა, მისმა ამოუყორავმა სტომაქმა, ჯიუტმა პატივმოყვარეობამ მოთოკა ერთ დროს დაუმორჩილებელი კაცი. ზარმაცი და ქალების მოყვარული ხოსე არკადიო გადაიქცა ერთ დიდ და გამძლე მუშა პირუტყვად. მათ სახლში სისუფთავე და წესრიგი სუფევდა. დილ-დილაობით რებეკა ფანჯრებს აღებდა, სასაფლაოდან წამოსული ქარი ფანჯრებიდან შემოიჭრებოდა ეზოში და კარიდან გადიოდა, ოთახებში კი — კედლებსა და ავეჯზე — მიცვალებულთა მტვერს ტოვებდა. მიწის ჭამის სურვილი, მშობლების მორაყუნე ძვლები, საკუთარი გახურებული სისხლის ხმაური და პიეტრო კრესპის მოუქნელობა — რებეკამ სადღაც, მოგონებათა სხვენზე შეყარა. მთელი დღე ფანჯარასთან იჯდა და ქსოვდა. მხოლოდ მაშინ წამოდგებოდა, თიხის ქოთნები რომ აცეკვდებოდნენ თაროზე: ტყიდან ბრუნდებოდნენ ტალახში ერთიანად ამოთხვრილი ძაღლები და მათ უკან დეზებიან ჩექმებში გამოწყობილი გოლიათი კაცი, რომელსაც ხელთ ორლულიანი თოფი ეპყრა და ქამარზე ნანადირევი ეკიდა. გოლიათს ერთი-ორჯერ ირემიც მოუკლავს, მაგრამ უფრო ხშირად კურდღლები და გარეული იხვები მოჰქონდა. ერთ საღამოს, ქალაქის მმართველად ახლად დანიშნულმა არკადიომ მოულოდნელად მოისურვა რებეკასა და მისი ქმრის მონახულება. რაც სახლი მიატოვეს, მას მერე არ ენახა ცოლ-ქმარი. არკადიოს ისე შინაურულად და უშუალოდ ეჭირა თავი, რომ მასპინძელმა მწვადზე შეიპატიჟა სტუმარი.

არკადიომ მხოლოდ ყავის სმის დროს გაუმხილა მათ თავისი სტუმრობის მიზეზი. გიჩივიან, — უთხრა ხოსე არკადიოს, — თავისი ნაკვეთი რომ გადახნა, მერე მეზობლებისას მიადგა, ჯორებით მიანგრ-მოანგრია ღობეები და სახლები და მთელი ახლომახლო მიწები მიითვისაო. ის გლეხები კი, ვისი მიწებიც აღარ ჰირდება, დაბეგრა და ყოველ შაბათს ძაღლებითა და ორლულიანი თოფით მხარზე გადაკიდებული მიადგება ხოლმე ბეგარის ასაღებადო. ხოსე არკადიოს თავი არ უმართლებია. ეს მიწებიო, თქვა მან, ხოსე არკადიო ბუენდიამ დაჰყო და დაანაწილა ჯერ კიდევ მაკონდოს დაარსებისას, მე კი ხალხს მინდა დავუმტ-

კიცო, რომ მამაჩემი მაშინაც აფრენდა, აბა, ისე სხვანაირად როგორ დაურიგებდა ვილაც-ვილაცებს ბუენდიების კუთვნილ მიწასო. ეს ახსნა-განმარტება სულაც არ ჭირდებოდა არკადიოს, აქ იგი სიმართლის დასადგენად როდი მოვიდა. მასპინძელს შეუთავაზა, სარეგისტრაციო კანტორა შევქმნათო. მიტაცებულ მიწებს იმ პირობით დაგიმტკიცებთ, თუ ნებას მოგვცემ, ჩუქურთმიანმა მთავრობამ აკრიფოსო. გაივლის რამდენიმე წელიწადი და როცა პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია გადახედავს მიწების გაყოფა-განაწილების საქმეებს, აღმოაჩენს, რომ მისი ძმის სახელზე იყო მიწერილი თითქმის ყველა ნაკვეთი, სასაფლაოც და თვით აურელიანო ბუენდიას კარ-მიდამოც, ერთი სიტყვით, მთელი ის გადასახედი, რასაც კი თვალი მიწვდებოდა გორაკიდან. პოლკოვნიკმა აღმოაჩინა აგრეთვე, რომ თავისი მმართველობის თერთმეტი თვის მანძილზე არკადიოს ჯიბე გაესქელებინა არა მარტო გადასახადზე აკრეფილი ფულით, არამედ იმ ფულითაც, რასაც ხოსე არკადიო იღებდა მის ნაკვეთზე მიცვალებულის დასაფლავების ნებართვაში.

ურსულამ კარგა ხანს არ იცოდა არკადიოს ამბავი, უმალავდნენ, ისედაც ბევრი სადარდებელი აქვსო, თვითონ იეჭვა რაღაც. „არკადიო სახლს იშენებს, — მოგონილი სიამაყით ახარა ქმარს, როცა გოგრის წვენს კოვზით ასხამდა პირში, მაგრამ უნებურად ოხვრაც ამოაყოლა ამ სიტყვებს: — რატომღაც არ მომწონს ეს ამბავი". მერე, როდესაც გაიგო, არკადიომ სახლი რა არის, ავეჯიც გამოიწერაო, საეჭვო აღარაფერი დარჩა ქალს, არკადიო ხალხის ფულს იჯიბავსო. ერთ კვირა დღეს, წირვიდან დაბრუნებულმა ურსულამ დაინახა არკადიო თავის ოფიცრებთან კარტს თამაშობდა და უყვირა: „შენ ჩვენი ოჯახის შემარცხვენელი ხარ!" არკადიომ არად ჩააგდო მისი სიტყვები. მხოლოდ მაშინ გაიგო ურსულამ, რომ არკადიოს ექვსი თვის გოგო ჰყავდა, სანტა სოფია დე ლა პიედადთან ჯვარდაუწერელად ცხოვრობდა და რომ ქალი კიდევ ორსულად იყო თურმე. ურსულამ გადაწყვიტა, ყველაფერი დაწვრილებით მიეწერა პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიასთვის — სადაც არ უნდა ყოფილიყო იგი — მაგრამ მალე ისეთი ამბები დატრიალდა, რომ წერილის გაგზავნა კი არა, ლამის სანანებელი გაუხდა ქალს, ასეთი განზრახვა გულში როგორ ჩაეიდეო. აქამდე მაკონდოელებისათვის ომი მხოლოდ სიტყვა იყო, მარცვლებისაგან შემდგარი სიტყვა და ბოლომდე ვერც ჩასწვდენოდნენ მის არსს, ახლა კი იგი დრამატულ რეალობად იქცა მათთვის. თებერვალი იწურებოდა, როდესაც ქალაქის ქუჩებში გამოჩნდა ცოცხებით დახვავებულ ვირზე შემჯდარი მტვრისგან მთლად განაცრისფერებული დედაბერი. ისეთი საცოდავი შესახედავი იყო, რომ ქალაქის მეციხოვნეებს არც გაუჩერებიათ. შორეთელი ცოცხებით მოვაჭრე ჰგონებიათ. დედაბერმა პირდაპირ ყაზარმისაკენ გასწია. არკადიომ იგი მიიღო ყოფილ საკლასო ოთახში, რომელიც ახლა ზურგში დაბანაკებულთა ადგილსამყოფელს წარმოადგენდა: ჰამაკები ზოგი დაბეგული ეყარა, ზოგიც გაეკიდათ. თითქმის ყველა კუთხე-კუნჭულში დაეხვავებინათ ჰილოფები. იატაკზე მიმოფანტული იყო შაშხანები, კარაბინები და სანადირო თოფებიც კი. დედაბერი დამხვდურს მხედრულად გაეჭიმა:

— პოლკოვნიკი გრეგორიო სტივენსონი გახლავართ.

ცუდი ამბები ჩამოიტანა პოლკოვნიკმა: ლიბერალთა აჯანყებები ყველგან ჩაახშეს. პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ რიოაჩიდან უკან დაიხია და თქვენთან გამომაგზავნა, რათა გადმოგცეთ შემდეგი: მაკონდო უომრად უნდა

დანებდეს მოწინააღმდეგეს იმ პირობით, თუ ლიბერალთა სიცოცხლესა და ქონებას არ ხელჰყოფენო. არკადიომ ზიზღნარევი სიბრალულით შეათვალიერა უცნაური მაცნე, რომელიც მართლა საწყალ დედაბერს დამსგავსებოდა.

— თქვენ ალბათ წერილობითი ბრძანებაც გაქვთ თან, — უთხრა მან.

— რა თქმა უნდა... — უპასუხა შიკრიკმა. — არა მაქვს, ხომ იცით, ასეთ დროს არ შეიძლება თან იქონიო ის, რაც გაგცემს.

ბიბლიოთეკა

მერე კორსაჟიდან გამოაძვრინა ოქროს თევზი და მაგიდაზე დადო. „მე მგონი, ეს საბუთი იკმარებს", — თქვა მან. „მართალია, ეს თევზი აურელიანო ბუენდიას ნახელავია, მაგრამ იქნებ ომამდე იყიდა ვინმემ, ამიტომ საბუთად არ გამოგადგებათ", — უპასუხა არკადიომ. შიკრიკი იძულებული გახდა სამხედრო საიდუმლოც გაეცა. „პოლკოვნიკი კიურასაოსკენ მიიწევს ფრიად დიდი მიზნისთვის — სურს კარიბის ზღვის კუნძულებიდან განდევნილები დაიქირაოს, იარაღი იშოვოს და წლის დამლევისთვის ჯარი გადმოსხას ნაპირზე. ივი დარწმუნებულია, ეს გეგმა წარმატებით დაგვირგვინდება და ამიტომაც სურს თავიდან აიცილოს უმიზნო ხოცვა-ჟლეტა". მაგრამ არკადიო მაინც არ გატყდა, ბრძანა, ვიდრე შიკრიკის ვინაობას არ დავაზუსტებთ, დაამწყვდიეთო, და გადაწყვიტა მაკონდო უკანასკნელ ამოსუნთქვამდე დაეცვა.

ლოდინი დიდხანს არ დასჭირვებია. ლიბერალთა დამარცხების ამბავი თანდათან მოედო ხეობას. მარტის ერთ დღეს, როცა ნაადრევი წვიმა უშხაპუნებდა მაკონდოს ქუჩებს, ბუკის განწირულმა ხმამ გაჰკვეთა ქალაქში ჩამოწოლილი დაძაბული მდუმარება, ბუკს ქვემეხის გრიალი და ეკლესიის გუმბათის ჩამოქცევა მოჰყვა. წინააღმდეგობის გაწევა მართლაც რომ უაზრობა იყო. არკადიოს მხოლოდ ორმოცდაათი კაცი ჰყავდა და ისიც თვითეულს ოცზე მეტი ტყვია არცა ჰქონდა. მაგრამ სამაგიეროდ თავიანთი ყოფილი მასწავლებლის ლამაზლამაზი მოწოდებებით ისე ანთებოდათ გული, რომ სიცოცხლესაც არ დაიშურებდნენ. ზარბაზნების ქუხილმა ჭიწა შეაზანზარა, ისმოდა უწესრიგო სროლა, ჩექმების ბრაგუნი, ურთიერთსაწინააღმდეგო ბრძანებები და ბუკის უადგილო ხმა. სწორედ ამ არეულობაში როგორღაც მოახერხა არკადიოსთან შეხვედრა იმ კაცმა, ვინც პოლკოვნიკ სტივენსონად გაეცნო მაკონდოს მმართველს: „ამაზორეთ ულირსი სიკვდილი. არ მინდა ხელზე ბორკილდადებული და დედაკაცის ძონძებში გახვეული მოვკვდე. თუ სიკვდილი მიწერია, დაე ბრძოლის ველზე მოვკვდე". ახლა კი გატყდა არკადიო და ბრძანა, თოფი და ოცი ტყვია მიეცითო, მერე ხუთ კაცთან ერთად დატოვა ყაზარმის გასამაგრებლად, თვითონ კი შტაბს გაჰყვა, რათა საალყო ბრძოლებისთვის ეხელმძღვანელა. არკადიომ ქალაქიდან ვეღარ გააღწია, ზედ კარიბჭესთან ბარიკადები დაენგრიათ. მაკონდოელები უკვე ქუჩებში იბრძოდნენ, ახლოდან სახლში გადადიოდნენ, ვიდრე ვაზნები ეყოთ. შაშხანებს ისროდნენ, მერე პისტოლეტები მოიშველიეს, ბოლოს კი ხელჩართულ ბრძოლაში ჩაებნენ. ქალები მიხვდნენ, დამარცხება კარზეა მომდგარიო, და სამზარეულოს დანებით შეიარაღებულნი გავარდნენ ქუჩაში. ამ ორომტრიალში არკადიომ თვალი მოჰკრა, ამარანტას ღამის პერანგი ეცვა, ხელში ხოსე არკადიო ბუენდიას ძველი პისტოლეტი ჩაებღუჯა და შეშლილივით დაეძებდა მას. არკადიომ თავისი შაშხანა გადააცა ბრძოლაში უიარაღოდ დარჩენილ ერთ ოფიცერს. თვითონ ამარანტას მივარდა და ქუჩის შესახვევისკენ გაიყოლია, რათა შინ მიეყვანა. ურსულა კარებში იდგა და ელოდა, არად აგდებდა ტყვიების ზუზუნს და მეზობლის სახლის დახვრეტილ

კედლებს. წვიმამ გადაიღო. ქუჩები საპნის ქაფივით სველი და რბილი იყო, ღამის ბინდბუნდში ალალბედზე მიაბიჯებდნენ. არკადიომ ამარანტა ურსულას მიჰგვარა, თვითონ მაშინვე მობრუნდა და მის მოსაკლავად მახლობელ ქუჩებში ჩასაფრებულ ორ ჯარისკაცს ესროლა. განჯინაში კარგა ხანს უქმად ნაგდები პისტოლეტი არ გავარდა. ურსულა არკადიოს აეფარა და ახლოს [illegible]
— წავიდეთ, თუ ღმერთი გწამს, — უყვიროდა იგი. — [illegible] სულელეს!

ჯარისკაცებმა ორივე ამოიღეს მიზანში.

— სენიორა, მოშორდით მაგ კაცს, — უყვირა ერთმა. — თორემ იცოდეთ, პასუხს არაფერზე ვაგებთ!

არკადიომ ჩამოიშორა ურსულა და დანებდა. არ გასულა ცოტა ხანი და სროლაც შეწყდა, სამაგიეროდ ზარები აგუგუნდნენ. წინააღმდეგობა ნახევარ საათში ჩააქრეს. არკადიოს მომხრეებიდან ცოცხალი არავინ დარჩენილა, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოდნენ ამასი ჯარისკაცის წინააღმდეგ. ჯერ ყაზარმაზე რომ მიდგა და მთავრობის ჯარები გადამწყვეტი იერიშისთვის მოემზადნენ, იმ კაცმა, ვინც თავის თავს პოლკოვნიკი გრეგორიო სტივენსონი უწოდა, გაათავისუფლა ტუსაღები და თავის ჯარისკაცებს უბრძანა, ყაზარმა დატოვეთ და ქუჩაში მიეშველეთ ჩვენებსო. იგი ყაზარმაში მარტო დარჩა და ისე მკვირცხლად და ზუსტად ისროდა შაშხანას ხან ერთი და ხან მეორე ფანჯრიდან, რომ მოწინააღმდეგემ იფიქრა, ყაზარმას მთელი რაზმი იცავსო. და შენობას ქვემეხი დაუშინა... მთავრობის ჯარების კაპიტანი გაოცდა, როცა ნანგრევებში მხოლოდ ერთი ნიფხვისამარა კაცი ნახა, მისთვის ყუმბარას მარჯვენა ხელი მოეგლიჯა, რომელსაც ჯერ ისევ მაგრად ჩაებღუჯა შაშხანა. კაცს გრძელი თმა კეფაზე დაემაგრებინა ქალივით, ყელზე ოქროს თევზი ეკიდა ავგაროზად. „ეშმაკმა დალახვროს — შეჰყვირა კაპიტანმა და მოახლოებულ ოფიცრებს მიმართა: — ხედავთ, სად გამოგვიტყუა ეს კაცი. ეს ხომ გრეგორიო სტივენსონია!“

განთიადისას სამხედრო-საველე სასამართლოს განკარგულებით არკადიო სასაფლაოს გალავანთან დახვრიტეს. სიცოცხლის ბოლო ორ საათში არკადიომ ვერაფრით ვერ გაიგო, სად გაუქრა ის შიში, ბავშვობიდანვე რომ სტანჯავდა. სრულიად მშვიდად ისმენდა იგი უამრავ ბრალდებას, მაგრამ ეს სიმშვიდე როდი ნიშნავდა, ვითომდა ვინმეს აკვირვებდა თავის ეს-ეს არის ახლად აღმოჩენილი ვაჟკაცობით. არკადიო ფიქრებმა გაიტაცა: ურსულა ახლა ალბათ წაბლის ძირში ზის და ხოსე არკადიო ბუენდიასთან ერთად ყავას შეექცევა; თავისი რვა თვის გოგონასთვის ჯერაც არ დაერქმია სახელი; ნეტავ მეორე ბავშვს, აგვისტოში რომ დაიბადება, რალას დაარქმევენ? არკადიოს სანტა სოფია დე ლა პიედადი დაუდგა თვალწინ: გუშინ საღამოს, საომრად რომ მიდიოდა, ქალმა დაიბარა, შაბათს იქნება იოემზე ინადიროო. არკადიოს მოენატრა ტალღებივით მხრებზე დაფენილი მისი შავი თმა და გრძელი, ხშირი წამწამები. ნამდვილს რომ არც ჰგავდნენ. არ იფიქროთ, გრძნობებს აჰყვა და იმიტომ მოიგონა ახლობლები, — არკადიო მთელი სიჯიუტით აჯამებდა თავის ცხოვრებას და თანდათანობით ხვდებოდა, სინამდვილეში თურმე რა ძლიერ ჰყვარებია ის ხალხი. სამხედრო-საველე სასამართლოს თავმჯდომარემ თავისი საბოლოო სიტყვა რომ წამოიწყო, არკადიომ ვერც შეამჩნია, ისე გასულიყო ორი საათი. „იმ შემთხვევაშიც კი, აქ ჩამოთვლილი დანაშაულებანი რომ არ დაემოწმებინათ უა-

წრავე სამხილით, — თქვა თავმჯდომარემ, — და მხოლოდ ეს ერთი დანაშაული ჩაუდინა ბრალდებულს, — კერძოდ, თავისი ხალხი რომ გაიმეტა უაზრო და უმიზნო ხოცვა-ჟლეტისთვის, — ვიმეორებ, ეს ერთი დანაშაულიც საკმარისია რათა მას სასიკვდილო განაჩენი გამოვუტანოთ". ამ დანგრეულ სკოლის შენობაში — იქ, სადაც არკადიომ პირველად იწმუნა საკუთარი ძლიერება, რაც ხელისუფლების სათავეში დგომამ მოუტანა, და სადაც ერთ დროს შეიცნო სიყვარულით ნაშობი უძლურება, — სწორედ აქ მოეჩვენა უაზრო და უადგილო სასიკვდილო განაჩენი, გამოტანა. სიმართლე რომ ითქვას, სიკვდილი მისთვის არაფერი იყო, მისთვის მთავარი იყო სიცოცხლე და ამიტომაც განაჩენის გამოტანისას, შიში კი არა, რაღაცნაირი ნაღველი დაეუფლა მხოლოდ. სიტყვაც არ დაუძრავს, ვიდრე არ ჰკითხეს, სიკვდილის წინ რას ისურვებო.

უთხარით ჩემს ცოლს, ქალიშვილს ურსულა დაარქვას, — ცოტაოდენი დუმილის მერე დაუმატა: — ბებიის სახელი. უთხარით კიდევ, რომ მეორეს, თუ ბიჭი დაიბადა, ხოსე არკადიო დაარქვას, ოღონდ ბიძის კი არა, პაპის საპატივცემულოდ.

ვიდრე კედელთან მიიყვანდნენ, მღვდელმა ნიკანორმა აღსარება სთხოვა. „არაფერს ვინანობ", — უთხრა არკადიომ, ფინჯანი შავი ყავა დალია და ჯარისკაცებს მიანდო თავი. სასიკვდილო განაჩენის აღსრულება იმ კაპიტანს მიანდეს, ვისაც სამართლიანად ეძახდნენ როკე-ყასაბს, იგი ხომ დახელოვნებული იყო ამ საქმეში. ჯიუტად წვიმდა, როცა არკადიო სასაფლაოსკენ მიაბიჯებდა: ჰორიზონტზე ოთხშაბათი დილის ნისლოვანი დილა ჩაიბარებოდა. არკადიომ იმდენი ისწრაფა გაჰყოლა თავისი ნაღველი, მაგრამ სამაგიეროდ უსაზღვრო ცნობისწადილმა შეიპყრო მთელი მისი არსება. როცა უბრძანეს, კედელთან დადექიო, უცბად რებეკა დაინახა. ქალს თმა სველი ჰქონდა, ვარდისფერი ყვავილებით დახატული კაბა ეცვა და ფანჯრებს აღებდა. არკადიო მთელი ტანით დაიძაბა, ეგებ რებეკამ დამინახოსო, მართლაც დაინახა რებეკამ. სასაფლაოს გალავანს თვალი აწრაფად შეავლო, ზარდაცემული გახევდა, მერე ძალა მოიკრიბა, და გამოსამშვიდობებლად ხელი დაუქნია. არკადიომაც აუწია ხელი. ამასობაში შაშხანები დაუმიზნეს და არკადიოს უცბად მოესმა, მელქიადესის ენციკლიკებს მღეროდნენ უშეცდომოდ; მოესმა, როგორ მოფაცურობდა ჩაბნელებულ საკლასო ოთახში სანტა სოფია დე ლა პიედადი, და მოაგონდა: მკვდარი რემედიოსის სახეს რომ დასცქეროდა, უკვირდა, ცხვირი ასე რამ გაუშავარაო. ახლა კი თვითონ იგრძნო, ყინულივით ცივი და მაგარი ხდებოდა ცხვირი. „ღმერთმა დასწყევლოს, — მოასწრო გაფიქრება, — როგორ დამავიწყდა მეთქვა: თუ გოგო დაიბადება, რემედიოსი დაარქვან-მეთქი". უცებ ბრჭყალივით დაატყდა თავს ის შიში, რაც მთელი ცხოვრება სტანჯავდა. კაპიტანმა სროლის ბრძანება გასცა. არკადიომ ძლივს მოასწრო თავაწეულს მკერდი წინ გამოეშვირა, რომ ვერ გაიგო, საიდან მოდიოდა ეს ცხელი სითხე, ლავიწებს რომ უწვავდა.

— არამზადებო! — შეჰყვირა მან. — გაუმარჯოს ლიბერალების პარტიას!

მაისში ომი დამთავრდა. ორი კვირით ადრე, ვიდრე მთავრობა ბრძანებას გამოაქვეყნებდა: — ამბოხებულთა მოთავეებს მკაცრად დავსჯითო, — ინდიელი ექიმბაშის სამოსში გადაცმული პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია ზედ დასავლეთის საზღვართან შეიპყრეს. პირველ დღეს, ბრძოლის გზას რომ

დაადგა, მას ოცდაერთი კაცი ახლდა თან, თოთხმეტი ბრძოლის ველზე დაეცა, ექვსი დაიჭრა და ახლა ამ საბედისწერო წუთს მხოლოდ ერთიღა შერჩენოდა: პოლკოვნიკი ხერინელდო მარკესი. პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას დატყვევების ამბავი მაშინვე ოფიციალურად აცნობეს მაკონდოში. „ცოცხალი ყოფილა, — ახარა ურსულამ ქმარს. — ვილოცოთ, იქნებ მტერმა [illegible]“. სამი დღე იტირა შვილი, მეოთხე დღეს კი, სამზარეულოში ქლიავის ნამცხვარს რომ დასტრიალებდა თავს, ცხადად მოესმა ვაჟიშვილის ხმა. „აურელიანო იყო, ნამდვილად ის იყო, — ყვირილით გაიქცა ქალი წაბლის ხისაკენ. — არ ვიცი, რა სასწაულით, მაგრამ მჯერა, ნამდვილად ცოცხალია და მალე ვნახავთ!“ ურსულას სჯეროდა, ასეც იქნებოდა. მაშინვე ბრძანა, იატაკი მოერეცხათ და სახლი მიელაგ-მოელაგებინათ. კვირის თავზე წინათგრძნობა აუხდა. მაგრამ ვაი ამ ახდენას! ღმერთმა უწყის საიდან და როგორ გავრცელდა ხმა, პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას სიკვდილი მიესაჯა, მაკონდოში მოჰყავთ და აქაურების ჭკუის სასწავლებლად მათ თვალწინვე უნდა მოიყვანონ განაჩენი სისრულეშიო. ორშაბათ დილას, დაახლოებით თერთმეტის ნახევარზე, ამარანტა აურელიანო ხოსეს აცმევდა ტანთ, რომ უცებ ხმაური და ბუკის ხმა მოესმა შორიდან. წუთის მერე კი ურაულა შევარდა ოთახში ყვირილით: „მოჰყავთ!“ ჯარისკაცები კონდახებით იკვლევდნენ გზას ბრბოში. ურსულამ და ამარანტამ ხალხის ჯგლეთაში ძლივს გააღწიეს მახლობელ ქუჩაზე და სწორედ იქ დაინახეს აურელიანო. თმაწვერაბურძგნილს და ფეხშიშველს ძონძები ძლივს უფარავდა ტანს. მიდიოდა და ვერ გრძნობდა, ფეხს როგორ სწვავდა გახურებული მტვერი. ხელები ზურგზე ჰქონდა გაკრული და თოკის ერთი ბოლო ცხენზე ამხედრებულ ოფიცერს ჩაებღუჯა ხელში. მის გვერდით მიდიოდა პოლკოვნიკი ხერინელდო მარკესი, ისიც ჭუჭყიანი და ჩამოძონძილი. არც ერთს არ ეხატა სახეზე ნაღველი, პირიქით, ისე მიაბიჯებდნენ, თითქოს უხაროდათ, გარს მოჯარული ხალხი ჯარისკაცებს რომ ლანძღავდა.

— შვილო! — ყურისწამღებ გნიასში გაისმა ურსულას კივილი. ერთი ჯარისკაცი გადაეღობა, მაგრამ ქალმა იმარჯვა და ხელი ჰკრა. ოფიცრის ცხენი ყალყზე შედგა. პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდიაც შედგა. დედის ხელებიდან თავი გაითავისუფლა და თვალებში ჯიქურ ჩახედა:

— შინ წადით, დედა. მთავრობას ნებართვა სთხოვეთ და ციხეში მინახულეთ.

მერე ურსულას ზურგს ამოფარებულ ამარანტას გადახედა. გაუღიმა და ჰკითხა, ხელზე რა დაგემართაო. ამარანტამ შავი ფალასით შეხვეული ხელი აღმართა, დავიწვიო, უთხრა და დედა განზე გაიყვანა. ცხენებს მოაშორა. ჯარისკაცებმა თოფი ისროლეს ჰაერში, ცხენოსნები ტყვეებს გარს შემოერტყნენ და ჩორთით გასწიეს ყაზარმისაკენ.

საღამოს ურსულამ ციხეში მოინახულა პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია. ჯერ დონ აპოლინარ მოსკოტეს სთხოვა, შვილის ნახვის ნებართვის აღებაში დამეხმარეო, მაგრამ ახლა მთელი ძალაუფლება სამხედროებს ეპყრათ ხელთ და მოსკოტეს თხოვნას ვინ დაუგდებდა ყურს. მღვდელ ნიკანორს ღვიძლი სტკიოდა და იწვა. ხერინელდო მარკესს სიკვდილი არ ჰქონდა მისჯილი, მისი მშობლებიც რამდენჯერმე მიადგნენ ყაზარმის კარს, იქნებ შვილი გვანახონო, მაგრამ ჯარისკაცებმა კონდახის ცემით გააბრუნეს უკან. ურსულამ შეამჩნია რომ ვერ იშოვა. სხვა გზა აღარ ჰქონდა. — სულერთია, ჩემს შვილს განთიადზე დახვრეტენო,

ციხეში წასაღები ბოხჩა გამოკრა და ყაზარმისაკენ მარტოკამ გასწია.

— მე პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას დედა ვარ, — განაცხადა მან.

გუშაგებმა გზა გადაუღობეს. „მაინც შევალ და, თუ სროლა გაქვთ ნაბრძანები, მიდით და მესროლეთ ბარემამ", — ურსულამ ერთ გუშაგს ხელი ჰკრა. გზიდან ჩამოიშორა და სწრაფად შევიდა ყოფილ საკლასო ოთახში, სადაც ნახევრად შიშველი ჯარისკაცები თოფ-იარაღის წმენდაში იყვნენ გართულნი. თავაზიანმა, ლოყებღაჟღაჟა, სალამქროდ ჩაცმულმა ოფიცერმა, რომელსაც სქელშუშიანი სათვალე ეკეთა, ქალს უკან დადევნებულ გუშაგებს თვალით ანიშნა და ისინიც მაშინვე გავიდნენ ოთახიდან.

— მე პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას დედა ვარ, — გაიმეორა ურსულამ.

— თქვენ გინდათ თქვათ, სენიორა... — შეუსწორა ოფიცერმა თავაზიანი ღიმილით. — რომ დედა ბრძანდებით სენიორ აურელიანო ბუენდიასი, ასეა ხომ?

ურსულამ მაშინვე შეამჩნია, ოფიცერი ზეგანელების — კაჩაკოებისთვის დამახასიათებელ ოდნავ წაგრძელებულ კილოზე ლაპარაკობდა.

— თქვენი ნებაა, იყოს „სენიორი", — დაეთანხმა ქალი, — ოღონდ მანახეთ და მეტი არაფერი მინდა.

სიკვდილმისჯილთა ნახვას კანონი სასტიკად კრძალავდა, მაგრამ ოფიცერმა თავი გამოიდო და ურსულას ნება დართო თხუთმეტი წუთით შეხვედროდა შვილს. საკანში შესვლამდე ურსულამ ბოხჩა გახსნა და ოფიცერს აჩვენა სუფთა საცვალი, ლაქის ფეხსაცმელი — აურელიანოს ქორწილის დღეს რომ ეცვა, და ტკბილეულობა, რომელსაც იმ დღიდან ინახავდა, რა დღესაც გულმა უგრძნო, შვილს კვლავ ვნახავო. პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას იღლიებში ჩირქიანი წყლულები გაჩენოდა და ახლა მკლავებგადაშლილი იწვა საწამებელ ოთახში ტუსაღს ნება დართეს წვერი გაეპარსა. გაპარსვის მერე ყვრიმალები ვამოეკვეთა, ხშირი ულვაში ბოლოებში ჩახვეოდა. ურსულას უწინდებურზე ფერგამკრთალი, მაღალი და უფრო მარტოსული მოეჩვენა შვილი. აურელიანომ ყველაფერი იცოდა თავის ოჯახისა: იცოდა, პიეტრო კრესპიმ რომ თავი მოიკლა, იცოდა არკადიოს თვითნებობისა და დახვრეტის ამბავი, ხოსე არკადიო ბუენდიას უცნაურობანი. იცოდა, ამარანტამ — ქალწულად დარჩენილმა ქვრივმა — აურელიანო ხოსეს აღზრდა რომ ითავა და რომ ბავშვი განსაცვიფრებელი გონებისა იზრდებოდა, წერა-კითხვა ენის ადგმისთანავე ისწავლა. ოთახში შესვლისას ურსულა უხერხულად შეიშმუშნა, რაღაცნაირად დაიბნა შვილის დანახვაზე. შეაცბუნა მისმა სიმტკიცემ და ძალამ, რასაც მთელი მისი ახოვანი სხეული აფრქვევდა თითქოს. ურსულას გაუკვირდა, საიდან იცი ასე წვრილად ოჯახის ამბებიო. „ნუთუ დაგავიწყდათ, დედა, თქვენი შვილი რომ ნათელმხილველია, — გაიხუმრა მან და მაშინვე საქმიანად დასძინა: — დილით, აქეთ რომ მოვყავდი ბადრაგს, თითქოს ეს ყველაფერი განვიცადე". და მართლაც, როდესაც ირგვლივ ბრბო ფუთფუთებდა, აურელიანო თავის ფიქრებში ჩაძირულიყო და უკვირდა, ასე უცებ, ერთ წელიწადში რამ დააბერა ეს ქალაქიო. ნუშს ფოთლები გასცლოდა: ცისფრად, ხანაც ვარდისფრად და მერე ისევ ცისფრად გადაღებილ სახლებს ახლა გაურკვეველი ფერი დასდებოდათ.

— აბა რა გეგონა, დრო გარბის, — ამოიოხრა ურსულამ.

— მართალია, მაგრამ მაინც ძალზე შეცვლილა, — თქვა აურელიანომ.

ამ შეხვედრას ორივენი დიდხანს ელოდნენ და ახლა, როცა შეხვდნენ, უბრალო, ჩვეულებრივ და ყოველდღიურ ამბებზე მოჰყვნენ ლაპარაკს. როდესაც ზედამხედველმა გამოაცხადა, თხუთმეტი წუთი უკვე გავიდოდა, [illegible]ნომ ჰილოფის ქვეშიდან დახვეული, ოფლით გაპოხილი ქაღალდების [illegible]ა. ეს მისი ლექსები იყო: ზოგი რემედიოსისადმი მიძღვნილი ლექსები იყო და თან წამოეღო შინიდან, ზოგიც მერე დაეწერა ბრძოლების დროს. „სიტყვა მომეცით, რომ ამ ლექსებს არავინ წაიკითხავს, — უთხრა დედას. — დღესვე საღამოს ბუხარში შეყრით და ცეცხლს მისცემთ". ურსულა შეჰპირდა, ასეც მოვიქცევიო, და წამოდგა.

— რევოლვერი მოგიტანე, — ჩასჩურჩულა გამომშვიდობებისას.

პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ ზედამხედველს გახედა, ხომ არ შეუმჩნევია რამეო, და დედას ასევე ჩურჩულით უთხრა: „რაში მჭირდება. თუმცა მომეცით. ვაითუ გასვლისას გიპოვონ". ურსულამ რევოლვერი კორსაჟიდან გამოაძვრინა და პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამაც სასწრაფოდ ჰილოფის ქვეშ ამოდო. „ახლა კი ნულარ დამემშვიდობებით, — მშვიდად უთხრა დედას. — ნურავის ნურაფერს სთხოვთ, თავს ნუ დაიმცირებთ ნურავის წინაშე. აქედანვე ჩაინერგეთ გონებაში, ვითომ დიდი ხანია დამხვრიტეს". ურსულამ ტუჩი მოიკვნიტა, რომ არ აქვითინებულიყო.

— გახურებული ქვები დაიდე იარებზე, — დაარიგა შვილი და ოთახიდან გავიდა. ვიდრე კარი არ მიიხურა, პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას ფეხი არ მოუცვლია. მერე კვლავ დაწვა და მკლავები გადაშალა. მას შემდეგ, რაც სიყმაწვილეში შედგა ფეხი და მიხვდა, ნათელმხილველის ნიჭი დამყვაო, მუდამ სწამდა — სიკვდილი თავად მამცნობს უშეცდომოდ და მხოლოდ ჩემთვის გასაგები ნიშნით, როდის მეახლებაო, და აი ახლა, დახვრეტამდე ერთი-ორი საათიღა რჩებოდა, მაგრამ ეს ნიშანი არსად ჩანდა. ერთხელ ტუკურინკაში იყო დაბანაკებული, რომ ვიღაც ლამაზი ყმაწვილი ქალი მოვიდა და გუშაგებს სთხოვა, პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიასთან შემიშვითო. შეუშვეს. იმ ხანებში ყველამ იცოდა, ზოგიერთი ფანატიკოსი დედა თავის ქალიშვილს საგანგებოდ აგზავნიდა საქვეყნოდ ცნობილ სამხედრო მეთაურებთან დასაწოლად, რათა მერე, როგორც თვითონ ირწმუნებოდნენ, ჯიშიანი შთამომავლობა წამოზრდილიყო. იმ საღამოს პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია ის იყო ლექსს ამთავრებდა წვიმაში გზააბნეულ ერთ კაცზე, რომ მასთან ქალიშვილი შევიდა. პოლკოვნიკი სწრაფად შეტრიალდა, რათა დაბლოკილი ქაღალდი უჯრაში ჩაედო, — სადაც საერთოდ ინახავდა თავის ლექსებს, — და უცბად თითქოს ტანმა უთხრა რაღაც... უჯრაში შენახულ პისტოლეტს დასწვდა და უკან მოუბრუნებლად წყნარად თქვა:

— თუ შეიძლება, არ ისროლოთ.

მერე ქალიშვილმა მიაკვნ შებრუნებული და პისტოლეტმომარჯვებული კაცი რომ დაინახა, მკლავები მოწყვეტით ჩამოყარა და დამფრთხალმა აღარ იცოდა რა ექნა. ერთი სიტყვით, პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას თერთმეტჯერ დაესხნენ თავს და აქედან ოთხჯერ რაღაცის თუ ვიღაცის იდუმალმა კარნახმა გადაარჩინა, მაგრამ ასეთი შემთხვევაც მოხდა: ერთხელ ვიღაც უცნობი კაცი მანაურეში დაბანაკებულ მეამბოხეთა კარავში შეიპარა და ხანჯლით განგმირა პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას ერთგულესი მეგობარი პოლკოვნიკი მაგნიფიკო ვისბალი. იგი ავად იყო ციებით და აურელიანომ თავისი სა-

წოლი დაუთმო, თვითონ იქვე, გვერდით, ჰამაკში იწვა და მკვდარივით ეძინა. პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას ვერაფერი გაეგო თავის წინათგრძნობებისა: ზოგჯერ ცის ნათებასავით წამიერად გაუელვებდა ხოლმე ცხადზე ცხადესი, მაგრამ მოუხელთებელი; ზოგჯერ ისე ჩვეულებრივად და ბუნებრივად აუხდებოდა, რომ ერთი-ორჯერ კიდეც დაეჯვდა, წინასწარ ხომ ვერ შეცვლიდი რამეო; ზოგჯერ ისიც ჰგონებია, უსათუოდ ამიხდებაო, მაგრამ ამაოდ დაჰკარგვია დრო ლოდინში. ხშირად გაუვლია გუნებაში, აკვიატებულ ჩვეულებად ხომ არ გადამექცა წინათგრძნობაზე ფიქრიო, მაგრამ ასე იყო თუ ისე, როცა სასიკვდილო განაჩენის გამოტანისას ჰკითხეს: უკანასკნელად რას ისურვებთო, იგი მაშინვე მიხვდა, რომ სწორედ წინათგრძნობამ ათქმევინა ეს პასუხი:

— გთხოვთ, მაკონდოში აღასრულოთ განაჩენი.

სასამართლოს თავმჯდომარე გაცხარდა:

— ამაოდ ფიქრობთ, გაგვაცუროთ, ბუენდია. გინდათ, დრო მოიგოთ და იმიტომ გამოიგონეთ ეგ სამხედრო ეშმაკობა.

— როგორც გნებოთ, — უპასუხა პოლკოვნიკმა. — ჩემი უკანასკნელი სურვილი კი ეს არის.

მას მერე წინათგრძნობას აღარ მოუკითხავს მისთვის. იმ დღეს, დედამ რომ ინახულა ციხეში, აურელიანო დიდი ფიქრის მერე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ამჯერად სიკვდილი ვერ ამცნობდა მას თავის მოსვლას, რადგან ახლა ჯალათების ნება-სურვილს ემორჩილებოდა და არა შემთხვევითობას. იარებმა მთელი ღამე არ დააძინეს პოლკოვნიკი. დილაბნელზე დერეფნიდან ნაბიჯები მოესმა. „მოდიან", — თქვა მან და რატომღაც გაახსენდა ხოსე არკადიო ბუენდია, რომელიც ამ წუთებში სწორედ მასზე ფიქრობდა განთიადის ბინდბუნდში ჩაძირული და წაბლის ხეზე მიბმული. პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას არ შეშინებია და არც ნაღველი შემოსწოლია გულს, მხოლოდ ყრუ სიბრაზემ მოიცვა მთელი მისი არსება: სადაცაა მომკლავენ და ვერასოდეს გავიგებ, რით დამთავრდება ის საქმე, რისი დამთავრებაც მე ვერ მოვასწარიო. კარი გაიღო და გუშაგმა ფინჯანი ყავა შემოუტანა. მეორე დღეს, ისევ დილაუთენია, როცა იღლიებქვეშ ტკივილისაგან ლამის გონი დაჰკარგვოდა, იგივე განმეორდა. ხუთშაბათ დღეს მან ჯარისკაცებს დაურიგა ურსულას მოტანილი ტკბილეული, გამოიცვალა საცვალი, — კარგა მაგრად რომ დაჰპატარავებოდა, — და ლაქის ფეხსაცმელი ჩაიცვა. დადგა პარასკევი დღე, ის კი არა და არ გაჰყავდათ დასახვრეტად.

სამხედრო ხელისუფლება მართლაც ვერ ბედავდა ამ ნაბიჯის გადადგმას, რადგან მთელი ქალაქი შფოთს მოეცვა. პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას სიკვდილით დასჯას ალბათ მძიმე პოლიტიკური შედეგი მოჰყვება მარტო მაკონდოში კი არა, მთელ ოლქშიო, — ასე ფიქრობდნენ ისინი და დედაქალაქში მთავრობას შეუთვალეს, რამე გვირჩიეთო. შაბათ საღამოს, პასუხი ჯერაც არ მიეღოთ, რომ როკე-ყასაბი ერთ-ორ ოფიცერთან ერთად ეწვია „კატარინოს დუქანს". როკე-ყასაბმა ძლივს დაიყოლია ერთი ქალი და ისიც იმიტომ, რომ მუქარამ შეაშინა. „ქალებს არა სურთ იმ კაცთან გაატარონ დრო ლოგინში, რომელსაც სადაცაა სიკვდილი მოაკითხავს, — უთხრა ქალმა. — არავინ იცის, საიდან გავრცელდა ეს ხმა, მაგრამ ამბობენ, იმ ოფიცერსა და ჯარისკაცსაც, რომლებიც პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას დახვრეტენ, ქვესკნელშიაც იპო-

ვიან და სათითაოდ გამოასალმებენ წუთისოფელსო". კაპიტანი როკე-ყასაბი ოფიცრებს მოეთათბირა, ოფიცრებმა კი თავიანთ უფროსებს მოახსენეს ყოველივე. კვირას, თუმცა არავის არაფერი უთქვამს ამის თაობაზე და სამხედრო პირთაც არაფრით დაურღვევიათ მაკონდოში გამეფებული დაძაბული სიმშვიდე, მაინც მთელმა ქალაქმა იცოდა უკვე, რომ ოფიცრები უარს ამბობდნენ პოლკოვნიკის დასჯაში მონაწილეობაზე. ორშაბათს ფოსტამ ბრძანება მოიტანა: განაჩენი აღასრულეთ ოცდაოთხ საათშიო. სხვა გზა აღარ ჰქონდათ, [illegible] ოფიცრებმა ქუდში ჩაყარეს ქაღალდის პატარა ნაგლეჯები, რაზედაც თავ-თავიანთი გვარები დააწერეს, და წილი ჰყარეს. „ბედნიერი ბილეთი" როკე-ყასაბს ერგო. „რას იზამ, ბედისწერას ვერსად გაექცევი, — სიმწრით ჩაილაპარაკა მან. — კახპის შვილი კახპის შვილადვე მოვკვდები". დილის ხუთ საათზე ჯარისკაცებმაც ჰყარეს კენჭი და ის რაზმი, რომელსაც წილად ხვდა პოლკოვნიკის დახვრეტა, როკე-ყასაბმა ყაზარმის ეზოში ჩაამწკრივა და მერე სიკვდილმისჯილი გააღვიძა გაზეპირებული სიტყვებით:

— წავიდეთ, ბუენდია, შენთვის დამთავრდა ყველაფერი.

— აი თურმე რატომ მესიზმრა, წყლულები დამსკდომოდა ვითომ.

რებეკა ბუენდიამ რომ გაიგო, აურელიანო უნდა დახვრიტონო, იმ დღიდან მოყოლებული ყოველ დილას სამ საათზე იღვიძებდა. საწოლში წამომჯდარი ქალი ხოსე არკადიოს ხვრინვაზე ცახცახებდა და გამოღებული ფანჯრიდან სასაფლაოს გალავანს გასცქეროდა. თითქმის მთელი კვირა ელოდა, ასეთივე სიჯიუტით ელოდა იგი ოდესღაც პიეტრო კრესპის წერილებსაც. „აქ ვერ დახვრეტენ, — ეუბნებოდა ცოლს ხოსე არკადიო. — ყაზარმაში დახვრეტენ და თანაც შუაღამისას, ვინმემ რომ არ დაინახოს. მერე იქვე ჩამარხავენ მიწაში". რებეკა კვლავ ელოდა. „ეგენი ისეთი არამზადები არიან, სწორედ აქ დახვრეტენ", — ჯიუტობდა ქალი და წინასწარ ემზადებოდა, ამ კარს გავოვაღებ და გამომშვიდობების ნიშნად ხელს აქედან დავუქნევო. „დამიჯერე, ვერ გაბედავენ, აურელიანო ქუჩაში გამოატარონ ექვსი დამფრთხალი ჯარისკაცის თანხლებით. მათ იციან, ხალხი ყველაფერს გააკეთებს მის დასახსნელად". რებეკა ქმრის ლაპარაკს ყურს არ უგდებდა, კვლავ ფანჯარასთან იჯდა და ელოდა.

— ნახავ, რა არამზადებიც არიან! — ჯიუტად იმეორებდა იგი. სამშაბათს დილის ხუთ საათზე, ის იყო ხოსე არკადიომ ყავა დალია და ძაღლები აუშვა, რომ რებეკამ უცებ მოხურა ფანჯარა და მუხლებში ძალაგამოცლილი საწოლის თავს ჩაავლო ხელი, „მოჰყავთ, — ძლივს ამოღერღა მან. — ღმერთო, რა ლამაზია!" ხოსე არკადიომაც გაიხედა ფანჯარაში და უეცარი ცახცახით ატანილმა რიჟრაჟის მკრთალ შუქში თვალი მოჰკრა ძმას, რომელსაც მისი შარვალი ეცვა. აურელიანო სასაფლაოს კედელთან იდგა დოინჯშემოყრილი: იღლიებქვეშ წყლულები საშველს არ აძლევდნენ, ხელები ჩამოეშვა. „ამდენი იმიტომ ვიწვალე და ვიდაგე, — ჩურჩულებდა სიბრაზემორეული პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია, — რომ ბოლოს ამ ექვს საჭურისს ასე სამარცხვინოდ მოვეკალი?" ამ სიტყვებს აურელიანო აკვიატებულივით ისე უსასრულოდ იმეორებდა, რომ როკე-ყასაბმა იფიქრა, ინანიებს და ლოცულობსო, და გული მოულბა. — როცა ჯარისკაცებმა შაშხანები შემართეს, აურელიანოს სიბრაზე მისი ცნობიერებისგან დამოუკიდებელ რაღაცნაირ წებოვან და მწარე სუბსტანციად იქცა, ენა წაერთვა და თვალები დახუჭა. რიჟრაჟის ფოლადისფერი ბრწყინვა სადღაც გაქრა და პოლკოვნიკს უცებ თვალწინ დაუდგა მოკლეშარვლიანი პა-

ტარა ბიჭი, ერთ საღამოს მამამ რომ წაიყვანა ბოშათა ბანაკში ყინულის სანახავად. თვალდახუჭულს ყვირილი რომ მოესმა, იფიქრა, კაპიტანმა საბოლოო ბრძანება გასცაო, და ცნობისწადილით შეპყრობილმა — თოფის ლულიდან გამოვარდნილ ტყვიას მზერას შევაგებებო — თვალები გახილა. მაგრამ ტყვიის მაგივრად დაინახა მარტო დარჩენილი ხელაწეული როკე-ყასაბი და ხოსე არკადიო, რომელიც გაცოფებული მორბოდა ქუჩაში თავისი საზარელი თოფით ხელში.

— არ ისროლოთ, — შესძახა კაპიტანმა ხოსე არკადიოს, — თქვენი თავი თვით ზენაარმა გამომიგზავნა.

ასე დაიწყო კიდევ ერთი ომი. კაპიტანი როკე-ყასაბი თავისი ექვსი ჯარისკაცით პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას რიოაჩაში გაჰყვა სიკვდილმისჯილი რევოლუციონერი გენერლის ვიქტორიო მედინას გასათავისუფლებლად. დროის მოსაგებად გადაწყვიტეს, ის ქედი გადაელახათ, ოდესღაც მაკონდოს დაარსებამდე რომ დალაშქრა ხოსე არკადიო ბუენდიამ. მაგრამ ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ მიხვდნენ, ქედს ვერ გადალახავდნენ. ისინი სახიფათო, დახრამულ გზებსა და ბილიკებს დაადგნენ. ჯარისკაცებს მხოლოდ ის ტყვია-წამალი ჰქონდათ, აურელიანოს დასახვრეტად რომ დაურიგეს. გზად შემხვედრი ქალაქების მახლობლად შლიდნენ კარვებს, მერე ერთ ვინმეს გადაცმულს გაგზავნიდნენ ქალაქში და ისიც დღისით, მზისით, ქუჩა-ქუჩა დადიოდა ოქროს თევზით ხელში და მიმალულ ლიბერალებს თავს უყრიდა. ისინიც დილით სანადიროდ მიდიოდნენ, რათა უკან აღარ დაბრუნებულიყვნენ. ბოლოს, როგორც იქნა, რიოაჩას მიადგნენ, მაგრამ გენერალი ვიქტორიო მედინა უკვე დაეხვრიტათ. მაშინ პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია მისმა მომხრეებმა კარიბის ზღვისპირეთის რევოლუციური ჯარების მთავარსარდლად აირჩიეს და გენერლის ჩინი მიანიჭეს. აურელიანო მთავარსარდლობაზე დაეთანხმა, გენერლობაზე კი უარი თქვა: ვიდრე კონსერვატორთა პარტიას არ დავამხობ, ეგ არ მიხსენოთო. სამ თვეში ათასზე მეტ მეომარს მოუყარა თავი, მაგრამ ზოგი ბრძოლის ველზე დაეცა, ზოგიც. ვინც გადარჩა, აღმოსავლეთის საზღვარზე გადავიდა, მოგვიანებით ანტილის კუნძულებიდან კვლავ სამშობლოში დაბრუნდნენ და კაბო დე ლა ველაში გადმოსხდნენ. არ გასულა ცოტა ხანი და მთავრობამ ტელეგრაფით სასიხარულო ცნობა გადასცა ქვეყნის ყველა კუთხეში: პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია მოკლდაო. ორი დღის მერე მეორე დეპეშამ, რომელიც თითქოს კუდში მისდევდაო პირველს, ქვეყანას ამცნო, სამხრეთის დაბლობებში ახალმა აჯანყებამ იფეთქაო. ასე შეიქმნა ლეგენდა მოუხელთებელ პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიაზე. ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა ცნობები მოდიოდა. პოლკოვნიკმა გაიმარჯვა ვილიანუევაში; დამარცხდა გუაკამაიალში; შემოეჭამათ მოტილონეს თემის ინდიელებს; დაიღუპა ერთ-ერთ სოფელში; ამბოხებას ჩაუდგა სათავეში ურუმიტაში. ლიბერალთა თავკაცებმა, რომლებიც ამ ხანებში მთავრობასთან ბჭობდნენ, პარლამენტში შეგვიყვანეთო, პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია ავანტიურისტად და უპარტიოდ გამოაცხადეს. მთავრობამ იგი ყაჩაღად მონათლა და ხუთი ათას პესოდ შეაფასა მისი თავი. თექვსმეტჯერ დამარცხების შემდეგ პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ დატოვა გუახირა და ორი ათასი კბილებამდე შეიარაღებული ინდიელით თავს დაესხა რიოაჩას. ამ უეცარი თავდასხმით დაზნეული გარნიზონი ქალაქიდან გაიქცა, პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ რიოაჩაში დაიდო შტაბ-ბინა და კონსერვატორებს საყოველთაო

სახალხო ომი გამოუცხადა. მთავრობამ თავის მხრივ პირველი ოფიციალური დეპეშით აცნობა: თუ ორმოცდარვა საათში თქვენი ჯარიანად აღმოსავლეთის საზღვრებისკენ არ დაიხევთ, პოლკოვნიკ ხერინელდო მარკესს სიკვდილით დავსჯითო. პოლკოვნიკმა როკე-ყასაბმა — იგი ახლა უკვე შტაბის უფროსი იყო — უხალისოდ გადასცა დეპეშა თავის სარდალს, მაგრამ მისდა მოულოდნელად აურელიანომ დეპეშის წაკითხვისას სიხარული ვერ დამალა.

— რა კარგია! — შესძახა მან. — მაკონდოში ტელეგრაფი გვქონია!

პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას პასუხი შეუვალი იყო: სამი თვის მერე შტაბ-ბინას მაკონდოში დავიდებ. თუ პოლკოვნიკ ხერინელდო მარკესს ცოცხალს ვერ მოვუსწრებ, მაშინ იცოდეთ, ყოველგვარი გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე სასიკვდილო განაჩენს გამოვუტან პირველ რიგში გენერლებს, მერე ოფიცრებს, რომლებიც ამასობაში დატყვევებული იქნებიან, და ვუბრძანებ ხელქვეითებს, ასე მოიქცნენ ომის დამთავრებამდეო. სამი თვის მერე, როცა პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას გამარჯვებული ჯარი მაკონდოში შევიდა, პირველი, ვინც მას შეეგება და მხურვალედ გადაეხვია, პოლკოვნიკი ხერინელდო მარკესი იყო.

ბუენდიების სახლი ბავშვებს აევსოთ. ურსულას ოჯახში მოეყვანა სანტა სოფია დე ლა პიედადი და მისი სამი შვილი: ერთი გოგო და ტყუპი ვაჟები არკადიოს დახვრეტის მერე დაიბადნენ. სიკვდილმისჯილის სურვილის მიუხედავად, ურსულამ გოგონას რემედიოსი დაარქვა. ნამდვილად ვიცი, არკადიოს ამის დაბარება უნდოდა, — თავი იმართლა ქალმა. — ურსულას არ დავარქმევ, დარდისა და ნაღველის მეტს არაფერს მოუტანს ეს სახელიო. ტყუპ ძმებს დაარქვა ხოსე არკადიო მეორე და აურელიანო მეორე. ამარანტამ ითავა ბავშვების აღზრდა. სასტუმრო ოთახში ხის სკამები დადგა, მეზობლის ბავშვებსაც მოუყარა თავი და მცირეწლოვანთა ბაღი გახსნა. მთელი ქალაქი ფერად-ფერადი შუშხუნებითა და ზარების რეკვით შეეგება პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას, მშობლიური სახლის კართან კი ბავშვთა გუნდი შეხვდა სიმღერით. აურელიანო ხოსე ბაბუას დამსგავსებოდა სიმაღლეში, რევოლუციის არმიის ოფიცრის ფორმაში გამოწყობილი მხედრულად მიესალმა საპატიო სტუმარს.

მაგრამ შინ დაბრუნებულ პოლკოვნიკს უაიამო ამბებიც დახვდა. ერთი წლის მერე, რაც პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია დახვრეტას გადაურჩა, ხოსე არკადიო და რებეკა არკადიოს ახალ სახლში გადასულან საცხოვრებლად. არავინ იცოდა, რომ სწორედ ხოსე არკადიომ გადაარჩინა პოლკოვნიკი დახვრეტას. ახალი სახლი ქალაქის მოედანზე ნუშის ხეების ჩრდილში იდგა. ხეთა ტოტებში ჩიტებს სამი ბუდე გაეკეთებინათ. სახლს დიდი სადარბაზო შესასვლელი და ოთხი ფანჯარა ჰქონდა. ცოლ-ქმარმა სტუმართმოყვრულად გააღო თავისი სახლის კარი და რებეკას მეგობარმა ქალიშვილებმაც — მათ შორის მოსკოტეს ჯერ კიდევ გაუთხოვარმა ოთხმა ქალიშვილმაც, — თავ-თავიანთი საქარგავები მოიტანეს და რამდენიმე წლის წინ ბეგონიებით სავსე შუშაბანდში შეწყვეტილი ხელსაქმე ახლა ხალისით განაგრძეს. კონსერვატორთა მთავრობამ მიტაცებული მიწები დაუმტკიცა ხოსე არკადიოს და ისიც ჯიბეს ისქელებდა ამ მიწების შემოსავლით. საღამოობით ბრუნდებოდა იგი შინ ცხენზე ამხედრებული და მხარზე ორლულიანი სანადირო თოფგადაკიდებული, უნაგირზე კურდღლები კონწიალებდნენ, უკან კი დაგეშილი ძაღლები მისდევდნენ. სექტემ-

ბრის ერთ საღამოს ცა საავდროდ მოქუფრულა და ხოსე არკადიოც ჩვეულებრივზე ადრე დაბრუნებულა შინ. სასადილო ოთახში რებეკას გამოლაპარაკებია, ეზოში ძაღლები დაუბამს და საწოლ ოთახში შესულა ტანსაცმლის გამოსაცვლელად. შემდეგში რებეკა ირწმუნებოდა, ჩემი ქმარი საწოლ ოთახში რომ შევიდა, მე მაშინ ტანს ვიბანდი და არაფერი ვიციო. ცოტა საეჭვო იყო მისი სიტყვები, მაგრამ სხვას, უფრო ნამდვილს და დასაჯერებელს ვერავინ იგონებდა, ანდა რატომ უნდა მოეკლა რებეკას ის კაცი, ვინც მას ბედნიერება და დალხინებული ცხოვრება მოუტანა! ეს იყო ალბათ მაკონდოში ერთადერთი იდუმალებით მოცული ამბავი, რომელიც ბოლომდე ამოუხსნელი დარჩა. როგორც კი ხოსე არკადიომ საწოლი ოთახის კარი მიიხურა, სახლში თოფი გავარდა. კარის ღრიჭოდან სისხლი წამოვიდა რუსავით, სასტუმრო ოთახი გადაჭრა, ქუჩაში გავიდა და ოღროჩოღრო ქვაფენილს გაჰყვა, კიბეზე ჩავიდა, აღმართსაც აუყვა, თურქების ქუჩაზე გაიწელა, მარჯვნივ და მერე მარცხნივ შეუხვია და პირდაპირ ბუენდიების სახლისკენ გაემართა. იქ ჩაკეტილ კარში შეძვრა, და ხალიჩები რომ არ დაეთხვარა, სასტუმრო ოთახს კედელ-კედელ გაუყვა, მეორე სასტუმრო ოთახშიც შევიდა, მერე სასადილო ოთახში მაგიდას გარს შემოუარა, შუშაბანდში ბეგონიებს შორის მიიკლაკნ-მოიკლაკნა და სწრაფად, უხმაუროდ შესრიალდა ამარანტას სკამქვეშ. — ამარანტა ამ დროს აურელიანო ხოსეს ამეცადინებდა, — ბოლოს საკუჭნაოდან სამზარეულოსკენ აიღო გეზი, სადაც ურსულა ცომის მოსაზელად ემზადებოდა და ოცდამეთექვსმეტე კვერცხს უმატებდა თასში...

— წმინდაო მარიამ! — შეჰყვირა ქალმა და მაშინვე მიჰყვა სისხლის კვალს. საკუჭნაოში შევიდა, იქიდან შუშაბანდში, — სადაც აურელიანო ხოსე ირწმუნებოდა, სამს მივუმატოთ სამი, ექვსია, ექვსს მივუმატოთ სამი, ცხრაა, — მერე სისხლის კვალს სასადილო ოთახში შეჰყვა, სასტუმრო ოთახებიც მოიარა, ქუჩაში გავიდა, — თავგზააბნეული ქალი ვერც ამჩნევდა, წინსაფარაფარებულმა და ფლოსტებით რომ გადაჭრა თითქმის მთელი ქალაქი, მოედანს მიადგა და იმ სახლში შევიდა, სადაც არასოდეს ყოფილა. შეაღო საძინებელი ოთახის კარი და დამწვარი დენთის სუნმა ლამის დაახრჩო. მერე იატაკზე პირქვე დამხობილი შვილი დაინახა, ჩექმების გაძრობა მოესწრო და ზედ სახით დაჰკვდომოდა. სისხლის ნაკადი, მარჯვენა ყურიდან რომ გამოსდიოდა, უკვე შეჩერებულიყო. ხოსე არკადიოს ჭრილობა ვერ უპოვეს სხეულზე, ვერც ის დაადგინეს, რომელი იარაღით მოკლეს და, რაც მთავარია, ვერაფრით ვერ მოაშორეს გვამს დენთის სუნი, თუმცა საპნით სამჯერ განბანეს, მერე მარილიან წყალში და ლიმონის კანის ნახარშშიც ამოავლეს და ექვსი საათი ჟაველის წყალშიც ჩატოვეს. ბოლოს გვამმა დაშლა დაიწყო და იძულებული გახდნენ სასწრაფოდ დაემარხათ. იგი საგანგებო კუბოში ჩაასვენეს — სიგრძე ორი მეტრი და ოცდაათი სანტიმეტრი ჰქონდა, სიგანე — ერთი მეტრი და ათი სანტიმეტრი, შიგნიდან თუთიის ფურცელი ამოაფინეს, სახურავი ჭანჭიკებით დაამაგრეს. მაგრამ დენთის სუნი მთელ ქალაქს მაინც მოედო. მღვდელი ნიკანორი ავად იყო, დოლივით გამაგრებოდა ღვიძლი, და საწოლიდან აკურთხა მიცვალებული. სამარე აგურით, ნაცრით, ნახერხითა და გამომწვარი ნაკელით ამოავსეს. მაგრამ რამდენიმე წელს სასაფლაოდან კვლავ ჰქროდა დენთის სუნი, ვიდრე ბანანის კომპანიის ინჟინრები არ მოვიდნენ და სამარე რკინა-ბეტონით არ გადახურეს. როგორც კი კუბო გაიტანეს სახლიდან, რებეკამ ჩაიკეტა კარი და გადაწყვიტა

ცოცხლად დაემარხა თავი, მთელ ქვეყნიერებაზე შემომწყრალმა სიძულვილის ჯავშანი ჩაიცვა და ამ ჯავშანში შეღწევა ვერ შეძლო ვერც ერთმა მიწიერმა ხიბლმა. რებეკა ქუჩაში მხოლოდ ერთხელ გამოვიდა და ისიც მთლად მოხუცებული. ძველებური ვერცხლისფერი ფეხსაცმელი ეცვა და წვრილ-წვრილი ყვავილებით მორთული ქუდი ეხურა. ეს მაშინ მოხდა, როდესაც მაკონდოს [illegible]სფერი მოევლინა და ქალაქს ისეთი პაპანაქება დაუნთო, რომ [illegible] ოთახებში შეჭრას ლამობდნენ; ცხაურიან ფანჯრებს აუკდებოდნენ და უსულოდ ეცემოდნენ მიწაზე. უკანასკნელად რებეკა იმ ღამით ნახეს, როცა მან ზუსტი გასროლით მოკლა ქურდი, მის სახლში შეპარვას რომ ცდილობდა. მას მერე, მისი მოახლისა და თანატოლის — არხენიდას გარდა იგი აღარავის უნახავს. ერთხანს ამბობდნენ, რებეკა წერილებს აწერს ეპისკოპოსს, ბიძაშვილად რომ ერგებაო, მაგრამ საპასუხო წერილებს იღებდა თუ არა, ამის თაობაზე არავინ არაფერს ამბობდა. მერე და მერე ქალაქსაც გადაავიწყდა იგი.

თუმცა პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია ზარ-ზეიმით დაბრუნდა მაკონდოში, სასიხარულო მაინც არაფერი ჰქონდა. მთავრობის ჯარები უბრძოლველად ტოვებდნენ ციხე-სიმაგრეებს და ეს ამბავი მოლიბერალო მოსახლეობისთვის გამარჯვების ტოლი იყო. მოდი და წაართვი მას ეს იმედი! არადა, რევოლუციონერებზე უკეთ ვინ იცოდა სინამდვილე და მით უმეტეს, პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიაზე უკეთ. მას ხუთი ათასზე მეტი ჯარისკაცი ჰყავდა და ხელთ ეპყრა ორი სანაპირო შტატი, მაგრამ ზღვასთან ისე იყო მიმწყვდეული, რომ დანარჩენ ოლქებს ვერაფრით უკავშირდებოდა, თანაც საკუთარ პოლიტიკურ შეხედულებებშიც ვეღარ გარკვეულიყო. აკი სწორად შენიშნა მწოლიარე ავადმყოფმა მღვდელმა ნიკანორმა, როდესაც მთავრობის ჯარების ქვემეხებმა ეკლესიის გუმბათი ჩამოანგრიეს და პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ კი მისი შეკეთების ბრძანა: „დაუჯერებელია პირდაპირ — ქრისტიანობის დამცველნი ეკლესიას ანგრევენ, მასონები კი მის შეკეთებაზე ზრუნავენ". საშველი არსად იყო. პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია საათობით იჯდა ტელეგრაფში და შორიდან ეთათბირებოდა მეამბოხეთა მეთაურებს და ყოველთვის გულდამძიმებული ტოვებდა აქაურობას. ცხადზე უცხადესი იყო — ომი ჩიხში მოექცა. ლიბერალთა ერთი-ორ გამარჯვებაზე ხალხს სიხარულით ატყობინებდნენ ხოლმე გამოქვეყნებულ ბრძანებებში, მაგრამ პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია თავის რუკაზე ინიშნავდა ამ ვითომდა გამარჯვებათა ნამდვილ ასავალ-დასავალს და თანდათან რწმუნდებოდა, რომ მისი ყოჩაღი ჯარი კოღოებსა და ციებას გაურბოდა და ღრმად იჭრებოდა სელვაში, ის ადგილები კი, სადაც უნდა ებრძოლათ, განზე რჩებოდათ. „დროს ვკარგავთ, — შესჩიოდა პოლკოვნიკი თავის ოფიცრებს. — და ასეც იქნება მანამ, ვიდრე ეს ჩვენი კრეტინები არ მოეშვებიან კონგრესში ადგილისთვის მათხოვრობას". რამდენი უძილო ღამე გაუტარებია ჰამაკში გულაღმა მწოლიარე პოლკოვნიკს თავის ოთახში, სადაც არც ისე დიდი ხნის წინ დახვრეტას ელოდა; რამდენჯერ დასდგომია თვალწინ ეს შავებში მოსილი „კანონის კაცები", აგერ სუსხიან დილას პრეზიდენტის სასახლიდან გამოდიან, ყურებამდე საყელოაწეულნი იმშუშნებიან, ხელებს იფშვნეტენ, რაღაცას ეჩურჩულებიან ერთმანეთს, ქირქილებენ და მერე ღამის კაფეებში იძირებიან, რათა იქ გაარკვიონ, რისი თქმა სურდა პრეზიდენტს თავისი „ჰო"-თი და „არა"-თი, ან რატომ არ თქვა პრეზიდენტმა ის, რასაც ფიქრობდა. პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია კი სულს ძლივს ითქვამდა აქ, ოცდათხუთმეტ გრადუსიან სიცხეში,

კოლოებს იგერიებდა და გრძნობდა, რა ულმობლად ახლოვდებოდა ის საშინელი დილა, თავის ჯარისკაცებისათვის რომ უნდა ებრძანებინა, ზღვაში გადაცვივდითო.

ერთ ასეთ უძილო და ეჭვებით სავსე ღამეს პილარ ტერნერას ხმა შემოესმა. ჯარისკაცებს უმღეროდა. პოლკოვნიკმა ქალს სთხოვა, მიმკითხავეო. პილარ ტერნერამ სამჯერ გაუშალა და სამჯერ აკრიფა კარტი და სამჯერვე ერთი და იგივე ამოიკითხა: „გაუფრთხილდი პირს: რას ნიშნავს, ვერ გეტყვი, მაგრამ რა ვქნა, ეს გაფრთხილება ამოგდის კარტში". ორი დღის მერე ვიღაცამ ფინჯანი უშაქრო ყავა გადასცა ერთ თანაშემწეს, იმან მეორე თანაშემწეს მიუტანა, მეორემ მესამეს და ასე ხელიდან ხელში გადასვლის მერე პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიამდე მიაღწია. პოლკოვნიკს ყავა არ უთხოვია, მაგრამ რადგან მოართვეს, დალია. ყავაში იმდენი შხამი იყო, ცხენს წააქცევდა. ურსულამ სიკვდილს გამოსტაცა ერთიანად გაქვავებული და ენაგადმოგდებული შვილი. კუჭი გამოურეცხა, გახურებულ საბნებში გაახვია, ორი დღე მხოლოდ კვერცხის გულს აჭმევდა და, როგორც იქნა, განაწამებ სხეულში სიცოცხლემ იწყო ფეთქვა. მეოთხე დღეს პოლკოვნიკმა მოიხედა. ურსულასა და თავისი ოფიცრების დაჟინებული თხოვნით მთელ კვირას დაჰყო საწოლში. სწორედ მაშინ გაიგო პოლკოვნიკმა, მისი ლექსები რომ არ დაუწვავთ. „არ ავჩქარდი, — უთხრა ურსულამ. — იმ საღამოს ცეცხლი რომ დავანთე, გუნებაში გავიფიქრე, სჯობს, მოვიცადო, ვიდრე მკვდარი არ მოუყვანიათ, რატომ უნდა დავწვა-მეთქი". ჯერ კიდევ მისუსტებულმა და რემედიოსის დამტვერილი თოჯინებით გარემოსილმა პოლკოვნიკმა საკუთარი ხელნაწერები გადაიკითხა და თვალწინ დაუდგა თითქმის მთელი თავისი ცხოვრება. მერე კვლავ ლექსების წერას მიჰყო ხელი. მან ნაწილებად დაშალა და გარითმა ის, რაც სიკვდილთან არაერთხელ პირისპირ შეხვედრისას განუცდია. და მაშინ პოლკოვნიკის გონებას ისეთი შუქი მოეფინა, რომ შეეძლო ლექსები წაეკითხა მარცხნიდან მარჯვნივ და პირიქითაც. ერთ საღამოს პოლკოვნიკ ხერინელდო მარკესს ჰკითხა:

— მეგობარო, იქნებ მითხრა, რისთვის იბრძვი?

— რისთვისაც მოვალე ვარ ვიბრძოდე, მეგობარო, — უპასუხა პოლკოვნიკმა ხერინელდო მარკესმა: — ლიბერალთა დიადი პარტიისათვის.

— ბედნიერი ხარ. იცი, რისთვისაც იბრძვი, — უთხრა პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ. — მე კი მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ სიამაყის გამო ვიბრძვი.

— ეგ ცუდია, — შენიშნა პოლკოვნიკმა ხერინელდო მარკესმა.

მეგობარს შეშფოთება რომ შეამჩნია, პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას გაეღიმა:

— რა თქმა უნდა, ცუდია, — უთხრა მან. — მაგრამ იმას მაინც სჯობს, როცა სულ არ იცი, რისთვის იბრძვი, — მერე მეგობარს თვალებში ჩახედა და კვლავ ღიმილით დაუმატა: — ან როცა ისეთი რაღაცისთვის იბრძვი, — აი, მაგალითად, შენსავით, — რაც არავის არაფრად სჭირდება.

წინათ სიამაყე ნებას არ აძლევდა ქვეყნის შიდა ოლქების შეიამბოხეთა რაზმებს მანამდე შეკავშირებოდა, ვიდრე ლიბერალთა პარტიის თავკაცები საჯაროდ არ უარყოფდნენ თავიანთ ნათქვამს: პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია ყაჩაღიაო. არადა, მან იცის: საკმარისია შეელიოს თავმოყვარეობას, რომ ის საბედისწერო წრე, რის გარშემოც ომი ტრიალებს, მაშინვე დაიშლება. ავადმ-

ყოფნა რომ არა, პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია ალბათ არც არასოდეს ჩაუფიქრდებოდა ამ ამბავს. ურსულას სთხოვა, რაც ფული და ოქრო შემოგრჩა პაპისეული ზანდუკიდან, მომეციო. მერე პოლკოვნიკი ხერინელდო მარკესი მაკონდოს სამოქალაქო და სამხედრო მმართველად დანიშნა და თვითონ კი გაემგზავრა, რათა ქვეყნის შიდა ოლქების მეამბოხეებს დაკავშირებოდა.

პოლკოვნიკი ხერინელდო მარკესი მარტო ნდობით აღჭურვილი ბერი როდი გახლდათ პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიასი, იგი მისი ოჯახის წევრადაც მიაჩნდათ. დამყოლი, მორიდებული და ძალზე თავაზიანი პოლკოვნიკი ხერინელდო მარკესი ბრძოლის ველზე უფრო თამამად გრძნობდა თავს, ვიდრე მთავრობის მეთაურის სკამზე. თანაშემწეებს სულაც არ უძნელდებოდათ მისთვის გზა-კვალი აერიათ პოლიტიკურ თუ თეორიულ საკითხებში. სამაგიეროდ პოლკოვნიკმა ხერინელდო მარკესმა მაკონდოში ისეთი სოფლური სიწყნარე და სიმშვიდე დაამყარა, პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას ოცნებად რომ ჰქონდა გადაქცეული — ასეთ გარემოში ეკეთებინა თავისი ოქროს თევზები და სიბერემდე ეცოცხლა. პოლკოვნიკი ხერინელდო მარკესი მშობლებთან ერთად ცხოვრობდა, მაგრამ კვირაში ორ-სამჯერ ურსულასთან სადილობდა ხოლმე. აურელიანო ხოსეს მიზანში სროლა ასწავლა და ურსულას ნებართვით ყმაწვილი ყაზარმაში გადაიყვანა, სამხედრო საქმეს კარგად დაეუფლება და ნამდვილი მამაკაცი დადგებაო. რამდენიმე წლის წინ, ჯერ კიდევ ბავშვი იყო ხერინელდო მარკესი, ამარანტას სიყვარულში რომ გამოუტყდა, მაგრამ ამარანტას ისე ძლიერ შეჰყროდა პიეტრო კრესპის უილბლო სიყვარულის სნება, რომ სასაცილოდ აიგდო ბიჭი. ხერინელდო მარკესმა გადაწყვიტა, ბედს დალოდებოდა. როგორღაც ერთხელ, ჯერ კიდევ ციხეში ყოფნისას, ამარანტას პატარა ბარათი გაუგზავნა, სთხოვდა, ბატისტის ცხვირსახოცზე მამაჩემის ინიციალები ამომიქარგეო. ბარათთან ერთად ფულიც გაუგზავნა. კვირის თავზე თვითონ ამარანტამ მიუტანა ციხეში ცხვირსახოცებიც და ფულიც. მერე დიდხანს ისხდნენ და წარსულს იგონებდნენ. „აქედან რომ გამოვალ, ცოლად გითხოვ", — უთხრა ხერინელდო მარკესმა დამშვიდობებისას. ამარანტას გაეცინა, მაგრამ იმ დღიდან მოყოლებული, მაშინაც კი, ბავშვებს წერა-კითხვას რომ ასწავლიდა, უკვე ხერინელდოზე ფიქრობდა. რაღაცნაირად მოესურვილა ქალს, მკერდში კვლავ ისე ყმაწვილურად აფართხალებოდა გული, პიეტრო კრესპის დანახვაზე რომ მოსდიოდა. შაბათობით, პატიმართა ნახვის დღეს, ამარანტა შეივლიდა ხოლმე ხერინელდო მარკესის მშობლებთან და მერე ერთად მიდიოდნენ ციხეში. ერთ შაბათ დღეს ურსულამ ნახა, ქალიშვილი სამზარეულოში იჯდა და მოთმინებით ელოდა ნამცხვრის გამოცხობას, რათა მერე საგანგებოდ მოქარგულ ცხვირსახოცში გაეხვია და ციხეში წაეღო.

— ცოლად გაჰყევი, — უთხრა ურსულამ ქალიშვილს. — ასეთი კაცი აღარ შეგხვდება.

ამარანტას ზიზღით დაემანჭა სახე:

— ეგლა მაკლია, კაცებს ვემსახურო. ხერინელდოს იმიტომ ვაკითხავ ციხეში, რომ მეცოდება: მაგას ხომ ადრე თუ გვიან დახვრეტენ.

ამარანტამ ეს სიტყვები დაუფიქრებლად წარმოთქვა, მაგრამ სწორედ ამ ხანებში მთავრობამ გამოაქვეყნა ცნობა, — თუ აჯანყებულები რიოაჩას არ დაანებებენ თავს, პოლკოვნიკ ხერინელდო მარკესს სიკვდილით დავსჯითო. პატიმრების ნახვაც აუკრძალეს. ამარანტა ჩაიკეტა თავის საძინებელ ოთახში და

გულამოსკვნილ მოთქმასა და ტირილს მოჰყვა. იგი ისევე იტანჯებოდა როგორც უნებლიედ წამოსროლილი სიტყვის გამო, როგორც ოდესღაც, რემედიოსის სიკვდილისას. მის უაზროდ ნასროლ სიტყვებს მეორედაც სიკვდილი მოჰყვებოდა ალბათ. დედამ დაამშვიდა, პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია რაღაცას მოიფიქრებს და სიკვდილს გადაარჩენსო, მერე კი, გაძლევ სიტყვას, მე თვითონ შემოვიყვან ხერინელდოს სახლშიო. მართლაც, როდესაც ხერინელდო მარკესი კვლავ ესტუმრა ბუენდიებს, — ახლა უკვე ქალაქის თავი, — ურსულამ შვილივით მიიღო, ფეხქვეშ გაეგო და ზეცას შესთხოვა, ამარანტას ცოლად თხოვნა არ გადაიფიქროსო. ურსულას თხოვნა-ვედრება, ეტყობა, მამაზეციერმა ისმინა. ბუენდიებთან სადილის მერე ხერინელდო მარკესი შუშაბანდში ამარანტას შაშს ეთამაშებოდა. ურსულა ყავას და ნამცხვრებს მიართმევდა ხოლმე, თან ბავშვებს ადევნებდა თვალს, ქალ-ვაჟს ხელი არ შეუშალონო. ამარანტა ცდილობდა დავიწყების ფერფლწაყრილი ის ნაკვერცხლები გაეღვივებინა მკერდში, ოდესღაც, ყმაწვილქალობაში ვნების ცეცხლს რომ უკიდებდა. დღითი დღე მომეტებული შფოთით ელოდა პოლკოვნიკ ხერინელდო მარკესის სტუმრობას და მასთან შაშის თამაშს. ამ მორიდებული და ნაღვლიანი მეომრის გვერდით, ვისაც პოეტური სახელი[1] ერქვა და ვისი თითებიც ოდნავ თრთოდნენ შაშის თამაშისას, დრო სწრაფად მიჰქროდა. მაგრამ იმ დღეს, როდესაც პოლკოვნიკმა ხერინელდო მარკესმა თხოვა, ცოლად გამომყევიო, ამარანტამ კვლავ უარი უთხრა:

— არ ვთხოვდები. შენ, მით უმეტეს, სულ არ გამოგყვები ცოლად. ძალიან გიყვარს აურელიანო და მე იმიტომ მთხოულობ ცოლად, რომ იმის თხოვა არ შეგიძლია.

პოლკოვნიკი ხერინელდო მარკესი მომთმენი კაცი იყო. „მოვიცდი, ადრე თუ გვიან დაგითანხმებ“, — უთხრა ქალს. იგი კვლავ დადიოდა ბუენდიებთან სადილზე. ამარანტა თავის ოთახში ჩაიკეტებოდა, ოხვრას გულშივე იხშობდა და ყურებს თითებით იცობდა, რომ არ გაეგონა იმ კაცის ხმა, ვისაც მისი ქმრობა განეზრახა და ვინც ახლა ურსულას უამბობდა ომის ამბებს. ამარანტა ლამის კვდებოდა, ისე უნდოდა ერთხელ მაინც შეევლო თვალი ხერინელდოსთვის, მაგრამ არაადამიანურ ძალას უხმობდა, სტუმართან არ გასულიყო.

პირველ ხანებში პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას ჯერ კიდევ საკმაო დრო ჰქონდა, ორ კვირაში ერთხელ მაინც გაეგზავნა მაკონდოში თავისი ამბები, მაგრამ ურსულას მხოლოდ ერთხელ მისწერა წერილი და ისიც წასვლიდან რვა თვის მერე. შიკრიკმა დიდი დალუქული კონვერტი მოუტანა ურსულას, კონვერტში კი პატარა ბარათი იდო: „თვალი ადევნეთ მამას — მალე მოკვდება“. ურსულა შეშფოთდა: „რადგან აურელიანო ამბობს, მაშასადამე, ასეც მოხდება“. მაშინვე სთხოვა ოჯახის წევრებს, მოხუცი საძინებელ ოთახში გადმომაყვანინეთო. ისედაც ტანმძიმე ხოსე არკადიო ბუენდიამ წაბლის ძირში ხანგრძლივი წლების მანძილზე ჯდომისაგან უფრო მოიმატა წონაში. ექვსმა კაცმა ვერ წამოაყენა სკამიდან და იძულებული გახდნენ საწოლამდე მიეთრიათ. როგორც კი ეს უზარმაზარი, მზით გარუჯული და წვიმებით გაყლენთილი ბერიკაცი ოთახში შეიყვანეს, მაშინვე მოედო ირგვლივ ყოველივეს აყვავებული წაბლის, სოკოსა და ნესტის მძაფრი სუნი. მეორე დილით მისი საწოლი ცარიე-

[1] ხერინელდო — ესპანური ხალხური რომანსის გმირი, პაჟი, რომელსაც მეფის ასული შეუყვარდა.

ლი დახვდათ. ურსულამ მთელი სახლი შემოირბინა და ბოლოს ქმარი წაბლის ძირში იპოვა. მაშინ ისევ წაათრიეს და საწოლზე მიაბეს. თუმცა ხოსე არკადიო ბუენდიას უწინდებურად ერჩოდა ძალა, წინააღმდეგობა მაინც არ გაუწევია. მისთვის ახლა ყველაფერი სულერთი იყო. წაბლის ძირში იმიტომ კი არ დაბრუნდა, რომ შეგნებულად სურდა იქ ყოფილიყო. სულაც არა, — მისი სხეული მიეჩვია იმ ადგილს, მიეჩვია იმ ყოფას — ურსულა რომ მიაკითხავდა ქმარს, მიჰქონდა საჭმელი, უყვებოდა აურელიანოს ამბებს. მაგრამ სიმართლე თუ გინდათ გაიგოთ, ხოსე არკადიო ბუენდია უკვე კარგა ხანი იყო, მხოლოდ ერთ კაცს მინდობოდა მთელი გულით, მხოლოდ მას ელაპარაკებოდა და ეს კაცი გახლდათ პრუდენსიო აგილიარი. სიკვდილის მსახვრალი ხელით თითქმის მთლად დაშლილი პრუდენსიო აგილიარი დღეში ორჯერ მაინც ესტუმრებოდა ხოლმე წაბლის ძირში მიბმულ ბერიკაცს. ისინი დიდხანს ლაპარაკობდნენ მოჩხუბარ მამლებზე: სანაშენე ერთად მოვაწყოთ, საუკეთესო ჯიშის მამლები გამოვზარდოთო, ამბობდნენ. ეს მამლები მოხუცებს ორთაბრძოლაში გამარჯვებისთვის როდი უნდოდათ — გამარჯვება აღარ სჭირდებოდათ — უბრალოდ სურდათ, რაიმე საქმით გაერთოთ თავი სიკვდილის გაჭიანურებულ და მოსაწყენ კვირა დღეს. ურსულა კი არა, პრუდენსიო აგილიარი ბანდა ხოსე არკადიო ბუენდიას, იმას მოჰქონდა საჭმელი, ის უყვებოდა ამბებს ვიღაც უცნობ კაცზე, ვისაც აურელიანო ერქვა და ვინც სადღაც ომში პოლკოვნიკი იყო. მარტოდ დარჩენილი ხოსე არკადიო ბუენდია ძილში პოულობდა შვებას. თითქმის ყოველ ღამე ესიზმრებოდა ოთახები, ბევრზე ბევრი ოთახი. ვითომ საწოლიდან დგებოდა, ერთი ოთახიდან მეორეში შედიოდა, მეორედან მესამეში და ასე დაუსრულებლად. თითქმის ყველა ოთახი ერთმანეთს ჰგავდა, ყველგან რკინის საწოლი და მოწნული სავარძელი იდგა. კედელზე კი ღვთისმშობლის ხატი ეკიდა. მოსწონდა ბერიკაცს ოთახებში სიარული, თითქოს ერთ გრძელ დერეფანს მიუყვებოდა ორთავე მხარეს ჩამწკრივებულ სარკეებს შორის... მერე პრუდენსიო აგილიარი შეეხებოდა მხარზე. ისიც ნელ-ნელა იღვიძებდა, უკან ბრუნდებოდა და კარგა მანძილზე ჩამწკრივებულ ოთახებში მანამდე ივლიდა, ვიდრე არ აღმოჩნდებოდა ნამდვილ ოთახში, სადაც პრუდენსიო აგილიარი ელოდებოდა. მაგრამ ერთ ღამეს, ორი კვირის თავზე მას შემდეგ, რაც ხოსე არკადიო ბუენდია საწოლს მიაკრეს, შუა ოთახამდე არც იყო მისული, რომ მხარზე პრუდენსიო აგილიარი შეეხო. ხოსე არკადიო ბუენდია უკან აღარ დაბრუნებულა, იფიქრა, ეს არის ნამდვილი ოთახიო. მეორე დილით, ქმართან საუზმე რომ მიჰქონდა, ურსულამ დაინახა, დერეფანში მის შესახვედრად ვიღაც უცხო კაცი მოდიოდა. ეს იყო პატარა და ჩაფსკვნილი კაცი. შავი მაუდის სამოსი ეცვა და უზარმაზარი ფარფლებიანი შავი ქუდი ჩამოეფარებინა ნაღვლიან თვალებზე. „ღმერთო ჩემო, — გაიფიქრა ურსულამ, — დავიფიცებ, ნამდვილად მელკიადესია". მაგრამ ეს კაცი კატაური გახლდათ, ვისიტასიონის ძმა, უძილობის ეპიდემიას რომ გაექცა და უგზოუკვლოდ გადაიკარგა. ვისიტასიონმა ჰკითხა, რატომ დაბრუნდიო, იმანაც თავისი ტომის ინდიელთა მსგავსად საზეიმოდ უპასუხა:

— მეფის დაკრძალვას უნდა დავესწრო.

მაშინ შევიდნენ ხოსე არკადიო ბუენდიას ოთახში და ბერიკაცი შეანჯღრიეს, ყურშიც ჩასძახეს, სარკეც მიუტანეს ცხვირთან, მაგრამ ამაოდ. ცოტა ხნის შემდეგ, როცა დურგალი ზომას იღებდა კუბოსათვის, ფანჯრიდან დაინა-

ხეს: პაწაწინა ყვითელი ყვავილების წვიმა წამოსულიყო. მერეც, მთელი ღამე ეფინებოდა იგი ქუჩებს უხმაურო კოკისპირულ წვიმასავით. ყვავილებმა დაფარეს სახურავები, ჩახერგეს კარები და მოგუდეს ღია ცის ქვეშ დარჩენილი საქონელი. იმდენი ყვავილი მოვიდა, რომ დილით მთელი მაკონდო თვალწარმტაც ხალიჩასავით იყო გადაფენილი. ხალხმა ნიჩბები და ფიწლები მოიშველია, სამგლოვიარო პროცესიისათვის გზა რომ გაეწმინდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამარანტა მოწნულ სარწეველა სავარძელში იჯდა, მუხლებზე საქარგავი დაედო და აურელიანო ხოსეს შესცქეროდა. ყმაწვილმა საპნის ქაფი წაისვა სახეზე, სამართებელი ქამარს გაუსვ-გამოუსვა და პირველად თავის სიცოცხლეში შეუდგა წვერის პარსვას. სამართებელი უხერხულად ეჭირა და ცდილობდა ქერა ღინღლი ულვაშივით დაეყენებინა. ამ გაწამაწიაში პატარა მუწუკი გაიჭრა, ზედა ტუჩიც გაისერა და ყმაწვილიც ისეთივე დარჩა, როგორიც იყო. მაგრამ ამ რთული საქმიანობის შემყურე ამარანტასთვის აურელიანო ხოსემ სწორედ ამ დღიდან დაიწყო დაბერება.

— აურელიანოს ჰგავხარ, ზუსტად ასეთივე იყო აურელიანო შენი ხნისა, — უთხრა მან. — ნამდვილი კაცი ხარ უკვე.

აურელიანო ხოსე კარგა ხანია მამაკაცი გახდა. ამარანტას იგი კვლავ ბავშვად მიაჩნდა და ერთ დღეს ჩვეულებრისამებრ მის თვალწინ გაშიშვლდა და მოჰყვა ბანაობას. მას შემდეგ, რაც პილარ ტერნერამ ბავშვი ჩააბარა აღსაზრდელად, ამარანტა და აურელიანო ხოსე ერთად ბანაობდნენ ხოლმე. ბიჭი პირველად ცნობისწადილმა შეიპყრო, რატომ აქვს ამარანტას ძუძუებს შორის ჩაღრმავებული ადგილი და ისეთი მიამიტი იყო, ჰკითხა კიდეც. ქალმა უპასუხა: „თხარეს, თხარეს და გამოთხარეს", — თან ხელით აჩვენა, როგორ თხარესო. კარგა ხნის მერე, როცა ამარანტამ პიეტრო კრესპის სიკვდილი თითქოს მოინელა, კვლავ დაიწყო ბანაობა აურელიანო ხოსესთან ერთად. ბიჭს ჩაღრმავებულ ადგილზე აღარაფერი უკითხავს, მაგრამ ყავისფერკერტებიანი სავსე ძუძუების დანახვაზე კი რაღაცნაირად აცახცახდა. პატარაობიდანვე მიჩვეული იყო აურელიანო ხოსე; სიბნელისა ეშინოდა და შუაღამისას თავისი ჰამაკიდან ამარანტას საწოლში გადადიოდა ხოლმე. მაგრამ იმ დღის მერე, რაც ქალის შიშველმა სხეულმა გულისხმაში ჩააგდო, სიბნელის შიში სადღაც გაუქრა და ახლა კოღოების საწინააღმდეგო ბადეჩამოფარებულ საწოლში გადასვლისას მხოლოდ ერთი მწველი სურვილით იყო შეპყრობილი — შეეგრძნო ქალის თბილი სუნთქვა. ერთ დილას, მას მერე, რაც ამარანტამ პოლკოვნიკ ხერინელდო მარკესს უარი უთხრა ცოლობაზე, აურელიანო ხოსეს როგორღაც აფორიაქებულს გამოეღვიძა, თითქოს ჰაერი არ ყოფნისო, სუნთქვა უჭირდა. უცებ იგრძნო, ამარანტას თითები მხურვალე და მოფუთფუთე ჭიაღუებივით დაცოცავდნენ მის მუცელზე. დაბნეულმა მაშინვე თავი მოიმძინარა და მხარი იცვალა, მაგრამ ახლა ქალის შიშველი, შავი ფალასით შეუკრავი ხელი ბრმა მოლუსკივით დასრიალებდა ბიჭის აფორიაქებული სულის ფსკერზე. თუმცა ორივეს თავი ისე ეჭირა, არაფერიც მომხდარაო, ცოდნით ორივემ ერთად და ცალ-ცალკეც ყველაფერი კარგად იცოდა და იმ დღიდან მათ შორის შეთქმულების ძაფი გაიბა. აურელიანო ხოსე სულისწრაფვით ელოდა, როდის ჩამოკრავდა სასტუმრო ოთახში საათი შუაღამის ვალსს, რომ მერე მთვარეულივით ხლებოდა ქალს ბადეჩამოფარებულ საწოლში და თავისი მარტოობა მისთვისაც გაეზიარებინა. ღამით

შიშველები იწვნენ და არაქათგამოცლილ ალერსს მისცემოდნენ. დღისით, როდროც არ უნდა ყოფილიყო, სადმე კუთხეში მიიმალებოდნენ ან საწოლ ოთახში ჩაიკეტებოდნენ და გახელებულნი და ვნებამორეულნი კოცნიდნენ ერთმანეთს. ერთხელ ხვევნა-კოცნაში გართულებს ურსულა წაადგათ: „აკი [illegible] ძალიან გიყვარს მაზიდაშენი?“ — გულუბრყვილოდ ჰკითხა აურელიანოს. — [illegible], უპასუხა მან. „ეგრეც უნდა“, — მოუწონა ურსულამ, პურის ფქვილი აწონა და სამზარეულოში გაბრუნდა. ამ თითქოს უმნიშვნელო შემთხვევამ ცივი წყალი გადაასხა ამარანტას. მიხვდა, შორს შეტოპა და რომ ეს უკვე ხვევნა-კოცნით თამაში კი არა, იმ დაგვიანებული და საშიში ვნების ციცაბო ბილიკზე სიარული იყო, მომავალი რომ არ ჰქონდა, — ქალმა მაშინვე გადაწყვიტა, ბოლო მოეღო ყველაფრისთვის. აურელიანო ხოსეს ჯერ კიდევ არ დაემთავრებინა სამხედრო მომზადება. იგი ბედს შეურიგდა და ყაზარმაში დაიწყო ღამღამობით დარჩენა, შაბათობით კი ჯარისკაცებთან ერთად აკითხავდა „კატარინოს დუქანს“. მშფოთვარე მარტოობითა და ნაადრევი დაკაცებით მხრებდამძიმებული ჭაბუკი დროს იმ ქალებთან ჰკლავდა, მიმჭკნარი ყვავილების სუნი რომ ასდიოდათ და ბურანში მყოფს ამარანტად რომ ესახებოდა.

მალე მაკონდოში ომის თაობაზე ათასნაირი ხმა დაირხა: მთავრობა ოფიციალურად აცხადებდა, აჯანყებულები იმარჯვებენო, ოფიცრებს კი საიდუმლოდ აწდობდნენ, კაპიტულაცია მოსალოდნელიო. აპრილის პირველ რიცხვებში პოლკოვნიკ ხერინელდო მარკესს შიკრიკმა დაუდასტურა: ლიბერალთა თავკაცები შიდა ოლქების აშბოხებულთა მეთაურებთან მოითათბირებენ და მალე ზავს მოაწერენ ხელსო. ლიბერალები მიიღებენ სამ სამინისტრო ადგილს, პარლამენტში შეიყვანენ თავიანთ უმცირესობას და გამოცხადდება ამინისტია იმ მეამბოხეთა მიმართ, რომლებიც დაყრიან იარაღსო. შიკრიკმა პოლკოვნიკ ხერინელდო მარკესს გადასცა აგრეთვე პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას ფრიად საიდუმლო ბრძანება, ზავის პირობებს არ ვეთანხმები, შეარჩიეთ ხუთი სანდო კაცი და მათთან ერთად დატოვეთ მაკონდოო. ბრძანება შეასრულეს საიდუმლოდ. ერთი კვირით ადრე, ვიდრე დაზავებას ოფიციალურად გამოაცხადებდნენ და მაკონდოს ნიაღვარივით ასკდებოდა ათასნაირი ჭორი თუ მართალი, პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია და მისი ათი ერთგული ოფიცერი, მათ შორის როკე-ყასაბიც, ღამით ჩუმად შეიპარნენ ქალაქში, გარნიზონი დაშალეს, ჯარისკაცები სახლებში გაუშვეს, იარაღი მიწაში ჩაფლეს და არქივი გაანადგურეს. განთიადზე კი პოლკოვნიკ ხერინელდო მარკესთან და მის ხუთ თანამებრძოლთან ერთად დატოვეს ქალაქი. ოპერაცია ისე სწრაფად და უხმაუროდ ჩატარდა, რომ ურსულამ მხოლოდ ბოლო წუთებში გაიგო და ისიც, ვიღაცამ დაუკაკუნა საძინებელი ოთახის ფანჯარაზე: „პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას ნახვა თუ გინდათ, საჩქაროდ გამოდით“. ურსულა ლოგინიდან წამოხტა და პერანგის ამარა გავარდა ქუჩაში, მაგრამ იქ აღარავინ დაუხვდა, მხოლოდ ფლოქვების თქარათქური მოესმა სიბნელეში. ურსულამ მეორე დღეს გაიგო ისიც, რომ აურელიანო ხოსე მამამისს გაჰყოლოდა.

ათი დღის მერე, რაც მთავრობამ და ოპოზიციამ გამოაქვეყნეს ერთობლივი კომუნიკე ომის დამთავრების თაობაზე, მოვიდა ცნობა, დასავლეთის საზღვარზე პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ კვლავ აჯანყება წამოიწყოო. მაგრამ მისი მცირერიცხოვანი და ცუდად შეიარაღებული რაზმი მალე, სულ რაღაც ერთ კვირაში გაფანტეს. და მაინც მთელი წლის მანძილზე, ვიდრე ლიბერალებიც

და კონსერვატორებიც ყოველნაირად ცდილობდნენ. ხალხი დაერწმუნებინათ, შევრიგდითო, პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ კიდევ შეიდი შეიარაღებული აჯანყება წამოიწყო. ერთხელ ღამით გემიდან ქვემეხი დაუშინეს რიოაჩას, ამის საპასუხოდ გარნიზონელებმა ქალაქის ყველაზე ცნობილი თოთხმეტი ლიბერალი საწოლებიდან წამოყარეს და დახვრიტეს. პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ ხელთ იგდო სასაზღვრო საბაჟო საგუშაგო და [illegible] არ დაუთმია, იქიდან მოუწოდა თავის ერს, დაეწყოთ საყოველთაო ომი. მეორედ სამი თვე იხეტიალა დაბურულ ტროპიკულ ტყეებში: წარმოუდგენელი რამ განეზრახა — ათას ხუთასი კილომეტრი უნდა გაევლოთ უსიერ, ჯერაც ფეხდაუდგამ ტყეში, რათა იერიში მიეტანათ თვით დედაქალაქზე. ერთხელაც მაკონდოდან დაახლოებით ოც კილომეტრზე მთავრობის ჯარებმა მაგრად მისცხეს და ისიც იძულებული გახდა მიმალულიყო მთებში „მოჯადოებული ველის" მახლობლად, სადაც ოდესღაც, დიდი ხნის წინათ, მამამისმა ესპანელი მეომრის ჩონჩხი ამოთხარა მიწიდან.

სწორედ ამ ხანებში მოკვდა ვისიტასიონი, მოკვდა ბუნებრივი სიკვდილით, როგორაც თვითონ ნატრობდა. საჰეფო ტახტზეც ხომ იმიტომ თქვა უარი და უძილობის ეპიდემიასაც ხომ იმიტომ გამოექცა, რომ ნაადრევი სიკვდილისა ეშინოდა! მისი ბოლო სურვილი იყო, ოცი წლის ნამსახური ფული გამოეღოთ ლეიბიდან და გაეგზავნათ პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიასთვის ომის გასაგრძელებლად, მაგრამ ურსულას ფულის ამოღება არ დასჭირვებია, რადგან ხმა გავარდა, პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია პროვინციის დედაქალაქის მისადგომებთან დაიღუპაო. ეს უკვე მეოთხე ოფიციალური ცნობა იყო მისი დაღუპვისა ამ ბოლო ორ წელიწადში და ექვსი თვე მართლაც აღარავის უხსენებია პოლკოვნიკი. ის იყო ურსულამ და ამარანტამ კვლავ მგლოვიარობა გამოაცხადეს — თუმცა წინა მგლოვიარობის ვადა ჯერაც არ გასულიყო — რომ მაკონდოში დაუჯერებელი ამბავი მოვიდა, პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია ცოცხალია, მაგრამ, ეტყობა, თავისი ქვეყნის მთავრობასთან ბრძოლაზე ხელი აიღო, რადგან ახლა ფედერალისტების მხარეზეა და კარიბის ზღვის სხვა რესპუბლიკებში გამარჯვებაა გამარჯვებაზე ზეიმობენო. პოლკოვნიკი სხვისი სახელითა და გვარით იბრძოდა და მისი ამბებიც სულ უფრო და უფრო შორიდან მოდიოდა მაკონდოში. მოგვიანებით გაირკვა, რომ იმ ხანებში მას ახალი იდეა ჩასახვოდა — სურდა ცენტრალური ამერიკის ყველა ფედერალისტური დაჯგუფება გაეერთიანებინა და მთელ კონტინენტზე, ალიასკიდან პატაგონიამდე, აღეგავა პირისაგან მიწისა კონსერვატორები. შვილის პირველი წერილი ურსულამ მიიღო რამდენიმე წლის მერე, რაც მან დატოვა მაკონდო. ეს იყო გაცრეცილი, ალაგ-ალაგ გადაშლილი და ფერგასული წერილი, რომელმაც, ეტყობა, სანტიაგო დე კუბადან მოყოლებული ბევრი ხელი გამოიარა და ახლა, როგორც იქნა, აქამდე მოაღწია.

— აურელიანო სამუდამოდ დავკარგეთ! — შესძახა ურსულამ წერილის წაკითხვისთანავე, — თუ ასე გაგრძელდა, შობის დღესასწაულს სადღაც დასაკარგავში შეხვდება.

კაცი, ვისაც ეს სიტყვები უთხრა ურსულამ და ვისაც ყველაზე ადრე აჩვენა აურელიანოს წერილი, იყო კონსერვატორი გენერალი ხოსე რაკელ მონკადა, მაკონდოს ალკალდი ომის დამთავრების მერე. „საწყენია, რომ ეს თქვენი აურელიანო კონსერვატორი არ არის". — შენიშნა გენერალმა მონკადამ. მას

მართლა მოსწონდა პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია. ბევრი სხვა კონსერვატორი სამოქალაქო პირივით გენერალი მონკადაც იცავდა თავისი პარტიის ინტერესებს, მონაწილეობდა ომში და გენერლის ჩინსაც იქ მიაღწია, თუმცა, უნდა ითქვას, რომ სამხედრო საქმეში დიდი ნიჭი არ გამოუჩენია. ის კი არადა, სასტიკი მოწინააღმდეგე იყო ომისა, სამხედრო პირნი მიაჩნდა [illegible] ინტრიგან და კარიერისტ ადამიანებად, რომელთაც [illegible] წყალში თევზის დაჭერა უყვარდათ. ინტელიგენტი, საოცრად [illegible] ხალისიანი, მადიანად მჭამელი და მოჩხუბარი მამლებით ფანატიკურად გატაცებული გენერალი რაკელ მონკადა პირველ ხანებში ერთ-ერთი ყველაზე საშიში მტერი გახლდათ პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიასი. მან მოახერხა კარგა მოზრდილ სანაპირო ოლქში ახალგამომცხვარ სამხედრო პირთა ნდობა დაემსახურებინა. ერთხელ, სტრატეგიული მოსაზრებით, იძულებული გახდა პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიასთვის დაეტოვებინა რომელიღაც სიმაგრე. წასვლისას გენერალმა ორი წერილი დატოვა. ერთ, უფრო ვრცელ წერილში, გენერალი მონკადა პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას სთავაზობდა: შევეცადოთ და ერთობლივად ვალით ომი კაცთმოყვარული გზით წარვმართოთო. მეორე წერილი დაწერილი იყო გენერლის მეუღლის სახელზე, რომელიც აჯანყებულთა მიერ ოკუპირებულ ქალაქში ცხოვრობდა. თან დართულ ბარათში გენერალი სთხოვდა, ეს წერილი ამ მისამართით გააგზავნეთო. ამის შემდეგ, ომის ყველაზე ქარცეცხლიან დღეებშიც კი, ორივე სარდალი დროებით ეზავდებოდა ერთმანეთს ტყვეების გაცვლა-გამოცვლის გამო. გენერალმა მონკადამ როგორღაც მოახერხა და ამ საზეიმო სულით აღსავსე შეხვედრების დროს პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას ჭადრაკის თამაში ასწავლა. მალე ისინი დამეგობრდნენ და იმაზე მოჰყვნენ ფიქრს, როგორ შეეთანხმებინათ ხალხი ორივე პარტიასთან. ამ გზით მათ სურდათ ძირშივე აღმოეფხვრათ სამხედრო ხროვისა და პროფესიონალი პოლიტიკოსების გავლენა და დაემყარებინათ ჰუმანური წყობა, სადაც გამოიყენებდნენ ყველაფერ საუკეთესოს, რაც კი ორივე პარტიის დოქტრინაში იქნებოდა აღნიშნული. ომის დამთავრების მერე პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია კარგა ხანს აღარ ჩანდა, გენერალი მონკადა კი ამასობაში მაკონდოს კორეხიდორი გახდა. იგი სამოქალაქო ტანსაცმელში გამოეწყო, ყოფილი ჯარისკაცები შეუიარაღებელ პოლიციელებად აქცია და დაავალა, ამინისტიის თაობაზე მიღებული წესები გულმოდგინედ დაიცავითო. გენერალმა მონკადამ დახმარების ხელი გაუწოდა ბრძოლაში დაღუპულ არაერთ ლიბერალის ოჯახს. მან ისიც მოახერხა, მაკონდო სამუნიციპალიტეტო ოლქის ცენტრად გამოეცხადებინა, თვითონ კი კორეხიდორობიდან ალკალდის ადგილზე გადაინაცვლა. ქალაქში იმდენი სიმშვიდე დამყარდა, რომ ომს უკვე ყველანი იგონებდნენ, როგორც შორეულ და უმიზნო საშინელებას. მღვდელი ნიკანორი გაუთავებელი ავადმყოფობის გამო გადააყენეს და მის ნაცვლად დანიშნეს მღვდელი კორონელი, პირველი ფედერალური ომის მონაწილე. მაკონდოში მას ზედმეტსახელად ხეპრე შეარქვეს. ბრუნო კრესპი ამპარო მოსკოტეზე დაქორწინდა. მის სათამაშოების მაღაზიას ბადალი არ ჰყავდა მთელს ოლქში. ბრუნო კრესპიმ თეატრიც ააგო და ესპანეთის თეატრალურმა დასებმაც ჩართეს მაკონდო თავიანთ საგასტროლო გეგმაში. კარგა მოზრდილ გადაუხურავ თეატრის შენობაში ხის სკამები ჩადგეს, სცენაზე ხავერდის მძიმე ფარდები გაკიდეს და ფარდებზე ბერძნული ნიღბები დახატეს. ბილეთების გა-

საყიდი სალაროები ლომების სიზარლად დაღებულ ხახებში მოათავსეს. სკოლის შენობაც მოაწესრიგეს. სკოლას სათავეში ჩაუდგა მახლობელი ქალაქიდან გამოგზავნილი მოხუცი მასწავლებელი დონ მელჩორ ესკალონა. ზარმაც მოსწავლეებს იგი აიძულებდა, ჩოქვით ევლოთ რიყის კენჭებით მოხვინჭულ ეზოში, ენაჭარტალებს ცხარე ინდური წიწაკით უმასპინძლდებოდა, და ამას ყველაფერს აკეთებდა მშობლების მხარდაჭერით. სანტა სოფია დე ლა პიედადის უცნაური ტყუპი ვაჟები აურელიანო მეორე და ხოსე არკადიო მეორე პირველნი დასხდნენ საკლასო მერხზე დაფებით, ცარცებითა და ალუმინის ტოლჩებით შეიარაღებულნი. ტოლჩებზე მათი სახელები იყო ამოკაწრული. რემედიოსი დედის სილამაზე გამოჰყოლოდა და უკვე ყველანი მშვენიერ რემედიოსს ეძახდნენ. ურსულამ თუმცა მთელი ცხოვრება მუხლჩაუხრელ შრომასა და გოდებაში გაატარა, მაინც მხნედ იყო და წელთა სიმრავლეს არ ეპუებოდა. სანტა სოფია დე ლა პიედადი მხარში ამოიყენა და საკონდიტრო ნაწარმის ცხობა ერთი-ორად გაზარდა. ის ფული ხომ აინაზღაურა, რაც შვილმა ომის დროს გამოაჭამა, გადაიქარბა კიდეც და არა ერთი გამხმარი კვახი აავსო ოქროთი და საძინებელ ოთახში გადამალა. „ვიდრე ცოცხალი ვარ, — ხშირად უთქვამს ურსულას, — ამ შეშლილ ოჯახს ფული არ მოაკლდება“. ასე მიდიოდა საქმეები, რომ ერთ მშვენიერ დღეს ცხენივით დიდი და ჯანმაგარი, ინდიელივით გარუჯული და ბანჯგვლიანი აურელიანო ხოსე გამოეცხადათ ბუენდიებს სამზარეულოში. იგი ნიკარაგუადან გამოქცეულიყო, მიეტოვებინა ფედერალისტთა ჯარი და გერმანელთა ხომალდზე დაეწყო მუშაობა მეზღვაურად. ახლა კი ჩამოვიდა, რათა აისრულოს გულში საიდუმლოდ ჩამარხული დიდი ხნის სურვილი — ცოლად ითხოვოს ამარანტა.

თუმცა აურელიანო ხოსეს სიტყვაც არ დაუძრავს, რისთვის იყო ჩამოსული, ამარანტა მაინც მიხვდა ყველაფერს. სუფრასთან თვალებში ვერ უყურებდნენ ერთმანეთს, მაგრამ ორიოდე კვირის მერე აურელიანო ხოსემ ურსულას თანდასწრებით ამარანტას ჯიქურ უთხრა: „სულ შენზე ვფიქრობდი“. ამარანტა გაურბოდა, ცდილობდა არსად გადაჰყროდა ვაჟს და მშვენიერ რემედიოსს გვერდიდან არ იშორებდა. სიწითლემ გადაჰკრა სახეზე, როცა ერთ დღეს ძმისშვილმა დრო იხელთა და ჰკითხა, როდემდე გინდა ატარო ეგ შავი სახვევი ხელზეო. ამარანტამ მაშინვე გაივლო გუნებაში, აურელიანო ხოსემ ალბათ გადმომკრა, როდემდე გინდა ქალწულმა იაროო, ღამღამობით საწოლი ოთახის კარს კეტავდა. მაგრამ ვაჟის უშფოთველი ხვრინვა რომ ესმოდა, ასეთი სიფრთხილე ზედმეტად მიიჩნია. ერთხელ, აურელიანო ხოსეს დაბრუნებიდან თითქმის ორი თვის მერე, ამარანტამ იგრძნო, ვაჟი მის ოთახში შევიდა; იმის ნაცვლად რომ გაქცეულიყო ან ეყვირა, ქალმა სული განაბა და თითქოს მოისვენა, ტკბილი განცდა დაეუფლა. აურელიანო ხოსე ისე ფეხაკრეფით შევიდა ბადეში, როგორც ბავშვობაში ჩვეოდა, როგორც საერთოდ ჩვეოდა. ამარანტას ცივმა ოფლმა დაასხა, როცა მიხვდა, ვაჟი მთლად დედიშობილაა. „წადი, — დაიჩურჩულა გაკვირვებულმა. — წადი, თორემ ვიყვირებ“. მაგრამ აურელიანო ხოსემ უკვე იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო, ახლა ის ბავშვი აღარ იყო, ერთ დროს სიბნელისა რომ ეშინოდა, ახლა ის ნადირი იყო, გარეული ნადირი. ამ ღამიდან განახლდა მათი უსიტყვო და მომქანცველი უშედეგო ორთაბრძოლა, რომელიც თითქმის დილამდე გრძელდებოდა. „მამიდა ვარ შენი, — ჩურჩულებდა ძალაგამოცლილი ამარანტა. — დედად გერგები საკითაც და

ყველანაირად. არ მიშობიხარ, თორემ სხვაფრივ დედა ვარ შენი“. აურელიანო ხოსე განთიადისას მიდიოდა, რათა ღამით კვლავ დაბრუნებულიყო. ღიად დატოვებული კარის დანახვაზე მომეტებული ვნება შემოენთებოდა ხოლმე. თითქმის მუდამ სდევდა თან ამარანტას მწველი სურვილი. იგი სახლიდან იმიტომაც გაიქცა, იქნებ სიშორემ განმკურნოსო; მუდამ იქ გაჩნდებოდა ხოლმე, სადაც ყველაზე დიდი ბრძოლის ცეცხლი ენთო, ამიტომაც ეძახდნენ თანამებრძოლნი „უშიშარს“. მაგრამ რაც უფრო მეტად ურევდა ქალის ხუჭუჭა თმის სიბინძურეში, მით უფრო აგონებდა ომი ამარანტას. ასე იტანჯებოდა დევნილი და უარყოფილი აურელიანო ხოსე და გახელებული დაეძებდა სიკვდილს, ვიდრე ერთი ანეკდოტი არ მოისმინა: თურმე ერთი კაცი დაქორწინებულა საკუთარ მამიდაზე, რომელიც ბიძაშვილადაც ერგებოდა და ამ კაცის შვილი ბოლოს და ბოლოს საკუთარი თავის ბაბუაც გახდა.

— განა შეიძლება საკუთარი მამიდა ითხოვო ცოლად? — იკითხა გაკვირვებულმა აურელიანო ხოსემ.

— მარტო მამიდა კი არა, — უპასუხა ერთმა ჯარისკაცმა. — განა ტყუილად ვებრძვით მღვდლებს? ვისაც ვინ მოესურვება, ის უნდა ითხოვოს, თუნდაც საკუთარი დედა.

სწორედ ამ ლაპარაკიდან ორი კვირის მერე გამოიქცა აურელიანო ხოსე ჯარიდან და დეზერტირი გახდა. შინ დაბრუნებულს ამარანტა მოშვებული, დამორცხვებული და სევდიანი ეჩვენა. „მხეცი ხარ, — ეუბნებოდა კაცის დევნით შეწუხებული ამარანტა. — ნუთუ არ იცი, მამიდა რომ ცოლად ითხოვო, რომის პაპის დასტურია საჭირო“. აურელიანო ხოსე შეჰპირდა, ფეხით გავემგზავრები რომს, ჩოქით გადავივლი ევროპას, რათა მის უწმინდესობას ფეხსაცმლის ჭვინტზე ვემთხვიო, ოღონდ შენ დაუშვი ხიდიო.

— მარტო მისი დასტური როდია მთავარი, — თავს იცავდა ამარანტა. — მთავარი ის არის, რომ ღორისკუდიანი შვილები გვეყოლება.

არც აურელიანო ხოსე ყრიდა ფარ-ხმალს:

— გინდაც ნიანგები დაიბადონ.

ერთ დილას დაუკმაყოფილებელი სურვილით განაწამები აურელიანო ხოსე „კატარინოს დუქანს“ ესტუმრა და ერთ იაფფასიან, ალერსიან და მკერდმომჭკნარ ქალთან დროებით ჩაიცხრო ვნების ქარიშხალი. მერე გადაწყვიტა, ამარანტას მოვაჩვენებ, კითომ აღარ მიყვარს, იქნებ ამ ხერხმა გასჭრას და დავიპყრო მისი გული. მართლაც, დერეფანში ისე ჩაუარა საკერავ მანქანასთან მიმჯდარ და მოხდენილად და მარდად მომუშავე ქალს, რომ სიტყვაც არ უთქვამს. ამარანტას ტვირთი მოეხსნა მხრებიდან და ფიქრებში კვლავ წამოუტივტივდა ხერინელდო მარკესი. მოაგონდა მასთან შაშის თამაშში გატარებული საღამოები და ინატრა, ნეტავ ერთ მშვენიერ დღეს ჩემს ოთახში შემოვიდესო. აურელიანო ხოსემ არც კი იცოდა, როგორ წააგო თავისი მცდარი ტაქტიკის გამო. ერთ ღამეს, ვეღარ გაუძლო გულგრილობის თამაშს და კვლავ მიადგა ამარანტას ოთახს, მაგრამ ქალმა მტკიცე უარი უთხრა და სამუდამოდ მოუკეტა კარი.

აურელიანო ხოსეს მაკონდოში დაბრუნებიდან რამდენიმე თვის მერე ბუენდიებს გამოეცხადათ ფაშფაშა, ჟასმინის სუნამოდაპკურებული ქალი და ხუთი წლის ბავშვი. ეს ბავშვი პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიასია, მინდა ურსულამ მონათლოსო, განაცხადა ქალმა. ჯერ კიდევ სახელდაურქმეველი ბავშვის წარ-

მოშობაზე არავინ დაეჭვებულა; ბიჭი ძალიან ჰგავდა პოლკოვნიკს პატარაობაში, სწორედ იმ ხნისას, პირველად რომ წაიყვანეს ყინულის სანახავად. ქალმა თქვა. ბიჭი თვალგახელილი დაიბადა და ირგვლივ ყველაფერს გონიერი და ჭკვიანი კაციეით ათვალიერებდა, მეშინია, ვაითუ დასჩემდეს ეს თვალდაუხამხამებელი ცქერაო. „ზედგამოჭრილი მამამისია, — თქვა ურსულამ. — ოღონდ ერთი რამ აკლია! მის შეხედვაზე სკამები არ მოძრაობენ“. ბავშვს აურელიანო დაარქვეს, გვარი კი დედისა მისცეს, რადგან, კანონით, ვიდრე თვითონ მამა არ აღიარებდა მის შვილობას, მამის გვარს ვერ მიიღებდა. ნათლიად გენერალი მონკადა მოიწვიეს — ამარანტამ სთხოვა, ბავშვი დამიტოვეთო, მაგრამ დედამ უარი უთხრა.

ურსულას წინათ არც გაეგონა არასოდეს, დედებს თავიანთი ქალიშვილები მეომრებთან დასაწოლად გაეგზავნოთ, როგორც დედლები ჯიშიან მამლებთან. მაგრამ ახლა სულ რაღაც ერთ წელიწადში დარწმუნდა, რომ თურმე ასეთი ჩვეულება არსებობდა. პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას კიდევ ცხრა ვაჟიშვილი მიიყვანეს ბუენდიების ოჯახში მოსანათლავად. მათ შორის უფროსი ბიჭი ათი წლისა იყო, შავგვრემანი და მწვანეთვალებიანი უცნაური ბიჭი არაფრით არ ჰგავდა მამის ნათესავებს. მოჰყავდათ სხვადასხვა ასაკისა და ჯურის ბავშვები, მაგრამ ყველა ბიჭი იყო და ყველას მარტოობის იგეთი დაღი ესვა სახეზე, რომ ძათი მნახველი მაშინვე დარწმუნდებოდა, ყველანი ბუენდიების სისხლი და ხორცი იყვნენ. მხოლოდ ორი ბიჭი დაიმახსოვრა ურსულამ, ერთმა, თავის ასაკთან შედარებით კარგად მოსულმა ბავშვმა, ნამსხვრევებად აქცია ლარნაკები და ერთი-ორი თეფშიც მიაყოლა ზედ. ამ ბავშვისათვის ხელები თითქოს მხოლოდ იმიტომ მიეცა უფალს, რასაც კი შეეხებოდა, ყველაფერი დაემსხვრია. მეორე ქერა ბიჭი იყო, დედის მონაცრისფერო-ლურჯი თვალები გამოჰყოლოდა, თმა გოგოსავით გრძელი და დაკულულებული ჰქონდა. ისე შევიდა სახლში, თითქოს აქ მოეჭრას ჭიპი: პირდაპირ გაემართა ურსულას საწინებელი ოთახისაკენ, სკივრს მიადგა და თქვა: „მოაამართი მოცეკვავე ქალი მინდა“. ურსულას შეეშინდა კიდეც, თავი ახადა სკივრს, ძველი, მელკიადესისდროინდელი დამტვერილი ნივთები ამოყარა და ხელი წაატანა ძველ წინდაში გახვეულ პიეტრო კრესპის მოტანილ სათამაშოს, რომელიც კარგა ხანია დავიწყებული ჰქონდა ყველას. სულ რაღაც თორმეტ წელიწადში ყველა ვაჟიშვილს, — რომელიც პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ მოავლინა ამქვეყნად ომის წლებში სხვადასხვა მხარეში ბრძოლისას — მამის სახელი დაანათლეს, გვარი კი ყველას დედისა დარჩათ. ვაჟიშვილი კი პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას უკვე ჩვიდმეტი ჰყავდა. პირველ ხანებში ურსულა ბიჭებს ჯიბეებს უვსებდა ფულით და ამარანტაც თავს იკლავდა, ყველას მე გავზრდიო, მაგრამ ნელ-ნელა მოუკლეს გადამეტებულ ზრუნვას და ნათლულებს რომ შეეფერებათ ნათლიებისგან, მხოლოდ ისეთი საჩუქრებით ისტუმრებდნენ. „ჩვენი მოვალეობაა, მხოლოდ მოვნათლოთ ბავშვები, — ამბობდა ურსულა და წიგნაკში იწერდა დედების გვარსა და მისამართს, ბავშვების დაბადების თარიღსა და ადგილს. — აურელიანოს წესრიგში უნდა დახვდეს ყველაფერი. განა ის არ უნდა დაეხმაროს ბიჭებს, როცა დაბრუნდება?“ ერთხელ სადილზე გენერალ მონკადას შესჩივლა პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას მოძალებულ ნაყოფიერებაზე და ინატრა, ნეტავი დაბრუნდებოდეს და თავის შვილებს მოუყრიდეს თავსო.

— ნუ წუხართ, ნათლიდედ, — თითქოს რაღაც იცოდა გენერალმა მონკადამ. — თქვენ რომ გგონიათ, იმაზე ადრე დაბრუნდება.

გენერალმა საიდუმლოდ იცოდა, რომ პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია უკვე გზაში იყო. იგი სამშობლოში ბრუნდებოდა, რათა წამოეწყო ყველაზე ხანგრძლივი, გადამწყვეტი და სისხლიანი აჯანყება.

მდგომარეობა კვლავ ისე დაიძაბა, როგორც გასული [illegible] ქალების ჩხუბი, რის სულისჩამდგმელიც და მოთავე თვითონ [illegible], გადაიდო. გარნიზონის უფროსმა კაპიტანმა აკილეს რიკარდომ სინამდვილეში სამოქალაქო საქმეებიც ითავა. ლიბერალებმა იგი პროვოკატორად მონათლეს. „აწინდელი ამბავი დატრიალდება, — ეუბნებოდა ურსულა აურელიანო ხოსეს, — საღამოს ექვსი საათის მერე ქუჩაში არ გნახო გასული“. მაგრამ აურელიანო ხოსე, როგორც ერთ დროს არკადიო, ახლა უკვე აღარ ეკუთვნოდა ურსულას. თავისი ბიძის ხოსე არკადიოსაგან განსხვავებით აურელიანო ხოსე შინ დაბრუნებამ და უშრომ-უზრუნველად ცხოვრებამ გააზარმაცა და მხოლოდ წუთიერ ტკბობაზე ფიქრობდა. ამარანტას სურვილი ისე გაუქრა, გულში ერთი ბზარიც არ დარჩენია. ისე ცხოვრობდა, თითქოს ტალღებს მიჰყვებაო: თამაშობდა ბილიარდს, ერთობოდა უცხო ქალებთან, ცდილობდა მარტოობიდან დაეღწია თავი; ყველა კუთხე-კუნჭულში ეძებდა ურსულას გადამალულ ფულს. მერე და მერე, მხოლოდ ტანსაცმლის გამოსაცვლელად თუ შეივლიდა სახლში. „ყველა ერთნაირი როგორ არის, — ჩიოდა ურსულა, — ჯერ უწყინარნი და დამჯერები არიან, გეგონება, ბუზსაც არ ააფრენენო, მაგრამ საკმარისია სახე შეეღინღლოთ, რომ მაშინვე ცოდვებისკენ ისწრაფვიან“. თუ არკადიომ ვერასოდეს გაიგო, ვისი შვილი იყო, სამაგიეროდ აურელიანო ხოსემ იცოდა, რომ პილარ ტერნერა იყო მისი დედა, რომელმაც ჰამაკიც კი გაუბა თავის სახლში, რათა აურელიანო ხოსეს ნასადილევს იქ მოესვენა. ისინი მხოლოდ დედა-შვილი კი არა, მარტოობაში შეამხანაგებულნიც იყვნენ. პილარ ტერნერას იმედის ბოლო ნაპერწკალიც ჩაქრობოდა. სიცილი ხრინწიანი გაუხდა, ათასი კაცის ხელმონაკიდები და ნაჯიჯგნი მკერდი ჩამოუვარდა, მუცელი და ბარძაყები ნამდვილი ქუჩის ქალისა ჰქონდა, მაგრამ გული კი სიბერეშიც უდარდელი შერჩა. გაფამფუშებული, ენაჭარტალა, პატივმოყვარე და ემზგავსულ სასახლის სეფე ქალს დაემსგავსა. თავისთვის აღარ მკითხაობდა კარტზე. ამაო იმედებით აღარ იწუხებდა თავს. წყნარი კუთხე მოიწყო და სხვათა სიყვარულს დადგომოდა დარაჯად. ამ სახლში, სადაც აურელიანო ხოსე სიესტის დროს მიდიოდა ხოლმე, მეზობელი ქალიშვილები და მათი შემთხვევით გაცნობილი კაცები იკრიბებოდნენ ხოლმე. „შემოგვიშვი, პილარ“, — ეუბნებოდნენ თავხედურად ისედაც უკვე ოთახში შესულები. „მობრძანდით, მობრძანდით“, — ეპატიჟებოდა პილარი და შემთხვევით თუ კიდევ იყო იქ ვინმე, ეუბნებოდა:

— როდესაც ვხედავ, ადამიანები თავს კარგად გრძნობენ ლოგინში, მეც კარგადა ვარ მაშინ.

ფული არასოდეს აუღია ამ საქმეში, არც უარი უთქვამს ვინმესთვის. ასევე არ ეუბნებოდა უარს იგი საალერსოდ მასთან მისულ მამაკაცებს თითქმის ცხოვრების მიმწუხრამდე, თუმცა ამ ალერსს პილარ ტერნერასათვის არც ფული მოუტანია როდისმე და არც სიყვარული, ის კი არადა, სიამოვნებაც იშვიათად უგრძვნია. პილარ ტერნერას ხუთ ქალიშვილს დედის სისხლი უჩქეფდათ ძარღვებში და ჯერ კიდევ პატარები მიმოიფანტნენ ცხოვრების დაბინდულ გზებზე. ორი ვაჟიშვილიდან, მის სახლში რომ გაიზარდნენ, ერთი პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას რაზმში იბრძოდა და დაიღუპა, მეორე, თოთხმეტი წლი-

სა, რომელიღაც ქალაქში ქათმებს იპარავდა, რომ გაქცეულს ესროლეს და დაჭრილი შეიპყრეს. ალბათ აურელიანო ხოსე იყო ის ტანმაღალი, მზემოკიდებული ვაჟკაცი, მთელი ნახევარი საუკუნე კარტში რომ ამოადიოდა ქალს მეფის სახით. რას იზამს, ის მეფე მისი შვილი გამოდგა, მაგრამ კარტში ამოჭრილი და დაპირებული სხვა მამაკაცების სიყვარულიაა არ იყოს, პილარ ტერნერას სიყვარულიც ვერ მოასწრო: აურელიანო ხოსე სიკვდილს მიზანში ამოეღო უკვე. პილარ ტერნერაა კარტმა ამცნო ეს უბედურება.

— ამ საღამოს აქ დარჩი, — უთხრა პილარმა აურელიანო ხოსეს. — აქ დაიძინე. კარმელიტა მონტიელი რა ხანია მთხოვს, აურელიანო ხოსესთან შემიშვიო.

შვილმა დედას აღელვება ვერ შეამჩნია.

— უთხარი დამელოდოს. შუაღამისას მოვალ, — უთხრა დედას.

იგი გაეშურა თეატრში, სადაც ესპანური დასი უჩვენებდა პიესას — „სოროს სატევარი“, სინამდვილეში ეს იყო სორილიას[1] ნაწარმოები, რომლის სათაურიც შეცვალეს კაპიტან აკილეს რიკარდოს ბრძანებით, რადგან ლიბერალები „გუთებს“ ეძახდნენ კონსერვატორებს. შესასვლელში ბილეთის ჩვენებისას აურელიანო ხოსემ შეამჩნია, კაპიტანი აკილეს რიკარდო და მისი ორი ჯარისკაცი ყველას ჩხრეკდნენ. „აბა, ფრთხილად, კაპიტანო, — უთხრა აურელიანო ხოსემ. — ჯერ კაცი არ დაბადებულა, ჩემზე ხელი აღემართოს“. კაპიტანმა ყური არ ათხოვა მის სიტყვებს, გაჩხრიკეთო, უბრძანა ჯარისკაცებს. აურელიანო ხოსეს იარაღი თან არ ჰქონდა, მაგრამ მაინც დაუსხლტა მათ ხელიდან და გაიქცა. ჯარისკაცები კაპიტნის ბრძანებას არ დაემორჩილნენ, არ ესროლეს, ეს ხომ ბუენდიააო. მაშინ გაცოფებულმა კაპიტანმა ერთ-ერთს შაშხანა გამოსტაცა, ხალხის ტალღა გაარღვია, შუა ქუჩაში დადგა და დაუმიზნა.

— მხდალებო! — დაიღრიალა მან. — ნეტავი ახლა ეს გაქცეული თვითონ პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია იყოს!

კარმელიტა მონტიელმა, ოცი წლის ქალიშვილმა ის იყო ვარდის წყალში ტანი განიბანა და პილარ ტერნერას საწოლზე როზმარინის ფოთლები მიფანტმოფანტა, რომ გაისროლაც გაისმა. თუ კარტს რამე დაეჯერება, აურელიანო ხოსეს კარმელიტასთან იმ ბედნიერი წუთებით ტკბობა უნდა განეცადა, რაზეც ამარანტამ ვერ უთხრა. უნდა ჰყოლოდათ ექვსი შვილი და ქმარი ღრმად მოხუცებული უნდა მომკვდარიყო ცოლის მკლავებში, მაგრამ ტყვიას, რომელიც აურელიანო ხოსეს ზურგში მოხვდა და გულში გაუარა, ეტყობა, არაფერი ესმოდა მკითხაობისა. სამაგიეროდ იმ ღამით კაპიტან აკილეს რიკარდოს ელოდა სიკვდილი და მართლა მოკვდა აურელიანო ხოსეზე ორი საათით ადრე. როგორც კი კაპიტანმა გაისროლა, მაშინვე მასაც ესროლეს ორჯერ, ოღონდ ვინ ესროლა და საიდან, ვეღარავინ გაიგო. გასროლასთან ერთად ღამის ბინდი გააპკვეთა შეძახილმა:

— გაუმარჯოს ლიბერალების პარტიას! გაუმარჯოს პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას!

შუაღამისას, როცა აურელიანო ხოსეს ჭრილობა სისხლისაგან დაიწრიტა და კარმელიტა მონტიელის მომავალი ბედ-იღბალიც გაირკვა, თეატრის წინ

---

[1] ესპანელი პოეტისა და დრამატურგის ხოსე სორილიას (1817-1893) ტრაგედია „გუთების სატევარი“.

ოთხასზე მეტმა კაცმა გაიარა და ყველამ სათითაოდ დაახალა ტყვია აყილეს რიკარდოს გვამს. რამდენიმე კაცმა ძლივს დადო ფურგონზე ტყვიისაგან დამძიმებული გვამი, რომელიც დამბალი პურივით იშლებოდა.

მთავრობის ჯარების თავხედობით აღშფოთებულმა გენერალმა ხოსე რაკელ მონკადამ, პოლიტიკური ნაცნობების ხელშეწყობით კვლავ სამხედრო ფორმა ჩაიცვა და მაკონდოს სამხედრო და სამოქალაქო ხელმძღვანელი გახდა. მაგრამ გენერალმა ერთი რამ ვერ გაითვალისწინა: ის, რაც შემდეგში მოხდა, არ მოხდებოდა, მას რომ მხოლოდ მშვიდობიანი მოღვაწეობა გაეგრძელებინა და საომრად არ მომზადებულიყო. სექტემბერში სხვადასხვა ცნობა მოდიოდა. მთავრობა იუწყებოდა, მთელი მხარე ჩვენს ხელშიაო, ლიბერალებს კი საიდუმლო ცნობები მოსდიოდათ ქვეყნის შიდა ოლქებში შეიარაღებული აჯანყების თაობაზე. საომარი ვითარება ყველამ მაშინ იგრძნო, როცა გამოაქვეყნეს შემდეგი დეკრეტი: სამხედრო ტრიბუნალმა პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას დაუსწრებლად მიუსაჯა სიკვდილით დასჯა. რომელი გარნიზონიც დაატყვევებდა პოლკოვნიკს, იმ გარნიზონსვე უნდა მოეყვანა განაჩენი სისრულეში. „ეტყობა, აურელიანო დაბრუნდა", — მიახარა ურსულამ გენერალ მონკადას, მაგრამ მონკადამ ჯერ არაფერი იცოდა ამის თაობაზე.

სინამდვილეში პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია თვეზე მეტი იყო, რაც მშობლიურ ქვეყანაში დაბრუნდა. რას აღარ ამბობდნენ მასზე. ერთდროულად ვითომ აქაც იყო და იქაც, ახლოსაც და შორსაც. ამიტომაც არ იჯერებდა გენერალი მონკადა მისი დაბრუნების ამბავს, ვიდრე ოფიციალურად არ გამოაცხადეს. პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ ორი ზღვისპირა შტატი დაიპყრო. „გილოცავთ, ნათლიდედ, — უთხრა გენერალმა ურსულას, — თქვენს შვილს სულ მალე ნახავთ". აი, მაშინ იყო, ურსულას რომ შეეშინდა.

— თქვენ რაღას გააკეთებთ? — ჰკითხა ქალმა.

გენერალ მონკადას თავადაც არაერთხელ მიუცია ეს შეკითხვა საკუთარი თავისთვის.

— იმასვე, რასაც აურელიანო გააკეთებდა: აღვასრულებ ჩემს მოვალეობას.

*

პირველ ოქტომბერს პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ და მისმა კარგად შეიარაღებულმა ათასკაციანმა ჯარმა განთიადისას შეუტია მაკონდოს. გარნიზონმა ბრძანება მიიღო, ებრძოლა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. შუადღისას, როდესაც გენერალი მონკადა ურსულასთან სადილობდა, მეამბოხეთა ქვემეხებმა მტვრად აქციეს მუნიციპალიტეტის ხაზინის შენობა. „ჩვენზე უკეთ არიან შეიარაღებული, — ამოიოხრა გენერალმა მონკადამ, — თანაც მთელი მონდომებით იბრძვიან". დღის ორ საათზე, როდესაც ქვემეხთა ქუხილი მიწას აზანზარებდა, მონკადამ გამომშვიდობებისას ურსულას შესჩივლა, ბრძოლას ნამდვილად წავაგებო.

— ღმერთსა ვთხოვ, აურელიანო დღესვე არ მოვიდეს ამ სახლში, — თქვა გენერალმა. — მაგრამ თუ მაინც მოვა, ჩემ მაგიერ გადაეხვიეთ, რადგან ვიცი, ვეღარასოდეს ვნახავ.

იმავე ღამით გენერალი მონკადა შეიპყრეს სწორედ მაშინ, როცა მაკონდოდან გაპარვას აპირებდა. გაჩხრეკისას უპოვეს წერილი, სადაც პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას სწერდა, ნუ დაივიწყებთ ჩვენს საერთო მიზანს — ჰუმანური არმიის შექმნას და გაუურვებთ სულ მალე მოგვესყიდოთ ორივე პარ-

ტიის სამხედრო პირნი და პატივმოყვარე პოლიტიკოსებიცო. მეორე დღეს, ვიდრე სამხედრო-რევოლუციური ტრიბუნალი გამოუტანდა განაჩენს, დატუსაღებული გენერალი მონკადა ურსულას სახლში სადილობდა პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიასთან ერთად. ბუენდიების ჭერქვეშ სიმშვიდე და მეგობრიანობა სუფევდა. თუმცა კაცები ომზე სიტყვას არ ძრავდნენ და წარსულ ამბებს იგონებდნენ, ურსულას მაინც შავი ფიქრები შემოსჯარვოდა და გრძნობდა, მისი ვაჟიშვილი ქვეყანას დამპყრობად მოევლინა. ეს გრძნობა მაშინ ჩაესახა, როდესაც აურელიანო ოჯახში დიდი ბადრაგის თანხლებით მოვიდა. მისმა რაზმელებმა ყველა ოთახი და კუთხე-კუნჭული მოათვალიერეს და როცა დარწმუნდნენ, უცხო არავინ იყო, მხოლოდ მაშინ შემოუძღვნენ თავიანთ სარდალს სახლში. პოლკოვნიკმა არათუ ნება დართო ჩხრეკისა, თვითონ იძლეოდა განკარგულებას და ვიდრე სახლს ირგვლივ ყარაულები არ ჩააყენეს, მასთან სამ მეტრზე ახლოს მისვლის უფლებაც არავის მისცა, ურსულასაც კი. პოლკოვნიკს უხეში ქსოვილის სამხედრო უნიშნო ფორმა და დეზებიანი ჩექმები ეცვა. ჩექმებზე ტალახი და სისხლი მიხმობოდა. ქამარზე მრავალკალიბრიანი რევოლვერი ეკიდა და მის ტარზე ჩაჭიდებულ დაძაბულ თითებს იგივე სიფრთხილე და სიმტკიცე ეტყობოდა, რასაც პოლკოვნიკისვე თვალებშიც ამოიკითხავდით. თავი კარგა გვარიანად გამელოტებოდა და ნელ ცეცხლზე გამომწვარს მიუგავდა. კარიბის ზღვის მარილით დაცერილი სახე ფოლადისფერი გაბდომოდა. უცილობელი სიბერისაგან მას ცხოვრებისეული ძალა და შინაგანი სიცივე იფარავდა. პოლკოვნიკი უწინდელზე მაღალი და ფერმკრთალი ჩანდა და მხოლოდ ახლა დასტყობოდა, როგორ ცდილობდა დაეთრგუნა ოჯახისა და ახლობლების მონატრება და ნაღველი. „ღმერთო ჩემო, — შეშფოთდა ურსულა, — ისეთ კაცსა ჰგავს, არაფერზე რომ არ დაიხევს უკან". მართლაც ასე იყო. ამარანტას აცტეკური მოსასხამი ჩამოუტანა, სუფრასთან ათას რამეს იგონებდა. მხიარულ ანეკდოტებსაც ყვებოდა, მაგრამ ეს ყველაფერი შორეულად თუ გაგახსენებდათ წინანდელ აურელიანოს, როგორც ნაცარწაყრილი ნაკვერცხალი გაგახსენებთ, რომ აქ ოდესღაც ცეცხლი ენთო. ჯერ კიდევ საერთო საფლავში არ ჩაემარხათ დახოცილები, მან კი პოლკოვნიკ როკე-ყასაბს უბრძანა, რაღას უცდით, სამხედრო ტრიბუნალები დააჩქარეთო, თვითონ კი ხელი მოჰკიდა რადიკალური რეფორმების შემუშავებას, რის შემდეგაც ქვაც ქვაზე აღარ დაუტოვებდა კონსერვატორთა რეჟიმის მოყანყალებულ საძირკველს. „ჩვენ უნდა დავასწროთ ლიბერალური პარტიის პოლიტიკოსებს, — ეუბნებოდა პოლკოვნიკი თავის თანაშემწეებს, — ვიდრე ისინი გამოერკვევიან. ყველაფერი გაკეთებული უნდა გვქონდეს". სწორედ მაშინ შეამოწმა ბოლო ხუთ წელიწადში დამტკიცებული მიწის უფლებები და აღმოაჩინა, რომ მისი ძმა ხოსე არკადიო მიტაცებული მიწებით ისქელებდა ჯიბეს. ერთი კალმის მოსმით გააუქმა ჩანაწერები და ერთხელ კიდევ რომ მოეხადა თავაზიანობის ვალი, ყველა საქმე გადადო და რებეკასთან გაეშურა, რათა ეცნობებინა თავისი გადაწყვეტილება.

ნახევრად ჩაბნელებულ სახლში გამოკეტილიყო მარტოსული ქვრივი ქალი— პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას ძველი მესაიდუმლე; ქალი, ვისმა სიმტკიცემაც პოლკოვნიკს სიცოცხლე შეუნარჩუნა. წარსულიდან გადმოსულ მოჩვენებასავით იდგა პოლკოვნიკის წინ თავით ფეხამდე ძაძებში მოსილი. მისი გული კარგა ხანია ნაცრად ქცეულიყო. ალბათ არც იცოდა, რომ მისი სახლის კარსმიღმა ომი მძვინვარებდა. გეგონებოდათ, საკუთარი ძვლების ფოსფორი

შიგნიდან უხათებს სახლს და ცეცხლოვანი წერტილებით სავსე ჰაერში დაფრინავსო ქალი. ჭაობივით ჩამყაყებულ ჰაერში ჯერ კიდევ არ გამქრალიყო მთლიანად დენთის სუნი. პოლკოვნიკმა პირველ ყოვლისა რებეკას ურჩია, შავები გაიძრე, ფანჯრები დააღე და შეუნდე ადამიანებს ხოსე არკადიოს სიკვდილიო. მაგრამ რებეკაა აღარაფერი აჭირდებოდა ამქვეყნიური: იგი ოდესღაც ამაოდ დაეძებდა ამქვეყნიურ სიხარულს მიწის გემოში, პიეტრო კრესპის [illegible]-პარფიუმირებულ წერილებში, თავისი ვნებაგახელებული ქმრის გვერდით ლოგინში და ბოლოს და ბოლოს სიმშვიდე ჰპოვა ამ სახლში, სადაც აწ გადასული სახეები ცოცხლდებოდნენ და სულიერი არსებებივით დაბორიალობდნენ ოთახებში. მოწნულ სავარძელში გადაწოლილი ქალი ისე შესცქეროდა პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას, თითქოს ის ყოფილიყოს წარსულიდან გადმოსული მოჩვენება. სულაც არ აღელვებულა, როდესაც პოლკოვნიკმა აუწყა, მიტაცებული მიწები მათ კანონიერ მფლობელებს უნდა დაუბრუნდეთო.

— როგორც გინდა ისე მოიქეცი, აურელიანო, — ამოიოხრა ქალმა. — ვიცოდი, შენიანები არასოდეს გყვარებია, ახლა ვხედავ არ შევცდარვარ.

მიწის დაყოფა-განაწილებისა და სამხედრო-საველე სასამართლო საქმეები ერთად მოითავეს. სასამართლომ პოლკოვნიკ ხერინელდო მარკესის თავმჯდომარეობით სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა მეამბოხეთა მიერ დატყვევებულ თითქმის ყველა ოფიცერს. ყველაზე ბოლოს გენერალი ხოსე რაკელ მონკადა გაასამართლეს. ურსულამ სცადა შვილის გული მოელბო. „მაკონდოს არ ღირსებია ასეთი ალკალდი. თანაც კარგად იცი, რა სიყვარულითა და პატივით ეპყრობოდა იგი ჩვენს ოჯახს". პოლკოვნიკმა დედას უნდობლად შეხედა.

— ჩემი საქმე არ არის სამართლის ქმნა, — თქვა მან. — თუ რამე გაქვთ სათქმელი, სამხედრო სასამართლოს მოახსენეთ.

ურსულა ასეც მოიქცა. მან არა მარტო მოახსენა სასამართლოს, არამედ თან წაიყოლია მაკონდოელ მეამბოხეთა დედები — ერთი ორი დედაბერი ძველად ქალაქის გადასახლებაშიც მონაწილეობდა. ისინი რიგრიგობით გამოდიოდნენ და აღნიშნავდნენ გენერალ მონკადას დამსახურებას. მის კეთილშობილურ თვისებებს სულ ბოლოს ურსულა გამოვიდა. მისმა ნაღვლიანმა, წარმოსადეგმა გარეგნობამ, სახელგანთქმულმა ოჯახიშვილობამ და მხურვალე სიტყვამ ცოტა არ იყოს შეარყია მართლმსაჯულების სასწორი. „თქვენ მეტისმეტი გულმოდგინებით ხართ ამ საშინელ თამაშში და სწორადაც მოიქეცით: თქვენს მოვალეობას ასრულებთ, — მიმართა მან ტრიბუნალის წევრებს, — მაგრამ არ დაგავიწყდეთ, ვიდრე სული გვიდგას, თქვენი დედები ვართ და ასჯერ რევოლუციონერებიც რომ იყვეთ, უფლება გვაქვს შარვალი ჩაგხადოთ და ქამრით აგიჭრელოთ ხორცი ჩვენი უპატივცემულობისათვის". როდესაც სასამართლო განაჩენის გამოსატანად გავიდა, ჰაერში ჯერ კიდევ ჟღერდა ურსულას სიტყვები. შუაღამისას გენერალ ხოსე რაკელ მონკადას სიკვდილი მიუსაჯეს. ურსულა ბევრს ეხვეწა და ემუდარა შვილს. მაგრამ პოლკოვნიკი თავის სიტყვაზე მტკიცედ იდგა. განთიადისას პოლკოვნიკი სიკვდილმისჯილთან შევიდა:

— გახსოვდეს, ნათლია, — უთხრა მონკადას, — მე კი არა, რევოლუციამ მოგისაჯა სიკვდილი.

გენერალი მონკადა არც წამომდგარა ნარიდან.

— წადი შენი...

დღიდან დაბრუნებისა თითქმის ამ წუთამდე პოლკოვნიკი აურელიანო ბუე-

ნდია არასოდეს მოქცევია მოწყალედ გენერალ მონკადას. მაგრამ ახლა ისეთი დაბერებული, ხელებაკანკალებული და მორჩილი მოეჩვენა, რომ პოლკოვნიკს საკუთარი თავი შეზიზღდა და ეს ზიზღი რომ მიეჩქმალა, უცბად გადაჭარბებული შებრალების გრძნობა მოიშველია:

— ჩემზე უკეთ იცი, — თქვა მან, — რომ ყოველგვარი სამხედრო სასამართლო ფარსია. სინამდვილეში, შენ სხვათა დანაშაულის გამო გვაგებინებენ პასუხს. ამჯერად, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, გადაწყვეტილი გვაქვს, რომ მოვიგოთ... განა ჩემს ადგილზე შენც ასე არ მოიქცეოდი?

გენერალი მონკადა წამოდგა, პერანგის კალთით გაწმინდა სქელშუშიანი სათვალე. „ალბათ მეც ასე მოვიქცეოდი, — შენიშნა მან. — მაგრამ გული მტკივა და განა იმიტომ, რომ უნდა დამხვრიტონ... ბოლოს და ბოლოს ჩვენისთანა ხალხისთვის ასეთი სიკვდილი ბუნებრივიც არის, — მან სათვალე მაგიდაზე დადო, მერე ძეწკვს საათი მოხსნა. — გული იმიტომ მტკივა, — დასძინა მან, — რომ შენ ერთ დროს გძულდა სამხედროები, ებრძოდი მათ და ბოლოს თვითონ გახდი ისეთი, ვერცერთი იდეა ვერ უშველის, ვერ გაამართლებს ამ სიმდაბლეს. — გენერალმა თითიდან საქორწილო ბეჭედი წაიძრო, ყელიდან ღვთისმშობლის ხატი მოიხსნა და სათვალესა და საათს მიუწყო გვერდით. — მომავალშიც თუ ასე გააგრძელე, — თქვა მან, — შენ არა მარტო ყველაზე სასტიკი და სისხლისმსმელი დიქტატორი გახდები ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, არამედ შესძლებ მიახვრიტო ჩემი ნათლიდედა ურსულაც, რათა სინდისი დაიმშვიდო.

პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას წარბიც არ შეუხრია. გენერალმა მონკადამ თავის ნივთები გადასცა და ახლა სხვა კილოზე უთხრა:

— მარტო სალანძღავად არ დამიბარებიხარ. მინდა გთხოვო ეს ნივთები ჩემს ცოლს გაუგზავნო.

პოლკოვნიკმა ნივთები ჯიბეში ჩაიწყო:

— შენი ცოლი კიდევ მანაურეშია?

— კი, იქ არის. ეკლესიის უკან რომ სახლი დგას, იქ ცხოვრობს. ხომ გახსოვს, წერილის გაგზავნა რომ გთხოვე მაშინ, ისევ იქ არის.

— დიდი სიამოვნებით შევასრულებ თხოვნას, ხოსე რაკელ, — უთხრა პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ.

როდესაც გარეთ, მოცისფრო ნისლში გავიდა, სახე ისევ დაუსველდა, როგორც მაშინ, იმ განთიადზე და მხოლოდ ახლა მიხვდა, რატომ ბრძანა განაჩენი ყაზარმის ეზოში აღესრულებინათ და არა სასაფლაოს გალავანთან. კართან ჩამწკრივებული ბადრაგი პოლკოვნიკს ისე გაეჭიმა, როგორც სახელმწიფოს მეთაურს შეეფერება.

— შეგიძლიათ გამოიყვანოთ! — ბრძანა მან.

პოლკოვნიკმა ხერინელდო მარკესმა პირველმა იგრძნო ომის უაზრობა. მაკონდოს სამოქალაქო და სამხედრო მმართველი კვირაში ორჯერ უკავშირდებოდა ტელეგრაფით პოლკოვნიკ ბუენდიას. პირველ ხანებში ისინი რომელიღაც ომზე ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. შეეძლოთ დაედგინათ, რომელ წერტილში მიმდინარეობდა ახლა ან წინასწარ განეჭვრიტათ, რა მიმართულებით განვითარდებოდა მომავალში. თუმცა პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია თავის უახლოეს მეგობრებთანაც კი არ იყო გულახდილი, იმ ხანებში ჯერ კიდევ შერჩენოდა ის

უბრალო და უშუალო კილო, რითაც მაშინვე იცნობდით სატელეგრაფო ხაზის მეორე ბოლოშიც. ხშირად იგი განგებ აჭიანურებდა საუბარს, რათა მეგობრებს შესძლებოდათ ზოგჯერ ოჯახურ ამბებზეც ელაპარაკათ. მაგრამ ომი თანდათან ფართოვდებოდა, ულმობელი ხდებოდა და პოლკოვნიკი ნელ-ნელა იძირებოდა ბინდში, უკან იხევდა არარეალურ სამყაროში. წერტილები და ტირეები თანდათან შორეული და მოყოყმანე ხდებოდნენ, მათგან შეკოწიწებულ სიტყვებს თანდათან აკლდებოდა აზრი და გონიერება. მაშინ პოლკოვნიკ ხერინელდო მარკესს ისღა დარჩენოდა გულდამძიმებულს ესმინა ამ გაუცხოებული კაცისათვის.

— გასაგებია, აურელიანო, — აკაკუნებდა სატელეგრაფო ნიშნებს პოლკოვნიკი ხერინელდო მარკესი. — გაუმარჯოს ლიბერალთა პარტიას!

ბოლოს და ბოლოს, პოლკოვნიკი ხერინელდო მარკესი მთლიანად ჩამოშორდა ომს. წინათ ომი მისთვის საქმე და ახალგაზრდული გატაცება იყო მხოლოდ, ახლა კი შორიდან სიცარიელეში მილებულ ცნობებად გადაიქცა. მისი ერთადერთი თავშესაფარი ამარანტას სამუშაო ოთახი გახდა. ყოველ საღამოს მიდიოდა იგი ბუენდიების ოჯახში, უყვარდა ამარანტას ხელების ცქერა, როცა ჰოლანდიურ ქათქათა ტილოს გულმოდგინედ აგვირისტებდა, მშვენიერი რემედიოსი კი საკერავი მანქანის სახელურს უტრიალებდა. დიასახლისსაც და მის სტუმარსაც სიამოვნებას ჰგვრიდა ერთმანეთის სიახლოვეს ყოფნა. ამარანტას სულის სიღრმეში უხაროდა, ერთგულების ცეცხლი რომ არ ქრებოდა ამ კაცის გულში. მაგრამ სამაგიეროდ პოლკოვნიკმა ხერინელდო მარკესმა ვერ შესძლო ამოეცნო ქალის იდუმალი სურვილი და კვლავ მისადმი გულგრილი ეჩვენებოდა ამარანტა. როდესაც ხმა დაირხა, პოლკოვნიკი ხერინელდო მარკესი მაკონდოში დაბრუნდაო, ამარანტას ლამის გული გაუსკდა მღელვარებისაგან. ხოლო ხელშეხვეული პოლკოვნიკი რომ ესტუმრათ ბუენდიებს და ამარანტამაც დაინახა ულმობელი ცხოვრებით დაღდასმული, დაქანცული, დაბერებული, ჭუჭყიანი და გაოფლილი კაცი, ლამის არ წაიქცა: „ღმერთო ჩემო, — გაიფიქრა მან. — ნუთუ ეს ის კაცია, ვისაც მე ველოდი", მაგრამ მეორე დღეს პოლკოვნიკი ხერინელდო მარკესი გაპარსული და კოხტად ჩაცმულ-დავარცხნილი გამოეცხადა მათ. სისხლშემხმარი ბანდიც მოეშორებინა ხელიდან და ულვაშზეც ვარდის წყალი ეპკურებინა. ამარანტას სადაფით მოჭედილი ლოცვანი მიართვა საჩუქრად.

— უცნაური ხალხი ხართ კაცები, — სხვა ვერაფერი მოიგონა ქალმა. — მთელი ცხოვრება მღვდლებს ებრძვით, საჩუქრად კი ლოცვანს არიგებთ.

იმ ხნიდან, ომის ყველაზე გადამწყვეტ დღეებშიც კი, პოლკოვნიკი ხერინელდო მარკესი ყოველ საღამოს ამარანტასთან იჯდა. თუ მშვენიერი რემედიოსი იქ არ იყო, საკერავი მანქანის სახელურს ის ატრიალებდა. ამარანტას გულს უჩუყებდა პოლკოვნიკის ჯიუტი ერთგულება. თან ისიც ემაყებოდა, რომ მის წინ ჭედს იხრიდა მთავრობის კაცი, ქალაქში ყველაზე პატივცემული პიროვნება. ამარანტას ოთახში შესვლამდე თავის ხმალსა და რევოლვერს პოლკოვნიკი სასტუმრო ოთახში ტოვებდა. და მაინც მთელი ოთხი წლის მანძილზე რამდენჯერაც არ შეახსენა ხერინელდო მარკესმა თავის გულისნადები, ამარანტა კვლავ და კვლავ უარს ეუბნებოდა, თანაც ისე ეუბნებოდა, რომ ცდილობდა მთლად არ მოეკლა გული კაცისთვის და ეგრძნობინებინა, მართალია, სიყვარულამდე ჯერ შორსა ვარ, მაგრამ შეჩვევით კი ძალიან შეგეჩვიეთო. ხერინელდო მარკესის გაუგონარი ერთგულებით გულაჩუყებული მშვენიერი რემედიოსი, რომე-

ლიც თითქოს ვერავის და ვერაფერს ამჩნევდა ირგვლივ და ზოგს ჭკუასუსტიც ეგონა. — უეცრად პოლკოვნიკს გამოექომაგა. გაოცებულმა ამარანტამ მხოლოდ ამ წუთში აღმოაჩინა, რომ მის გაზრდილ გოგოს უკვე სიყმაწვილეში შეედგა ფეხი და ისეთი მზეთუნახავი დამდგარიყო, ავ თვალს არ დაენახვებოდა. ამარანტამ იგრძნო, როგორ წამოუარა იმ ბოღმამ, ერთ დროს რებეკას გამო რომ ახრჩობდა. კარგა ხანს ევედრებოდა ღმერთს, ამ ბოღმას ნუ გამიღრმავებ, მშვენიერი რემედიოსის სიკვდილს ნუ მანატრებინებო. მერე გოგოს აუკრძალა, ჩემს სამუშაო ოთახში არ გნახო შემოსულიო. სწორედ იმ ხანებში აიცრუა გული ხერინელდო მარკესმა ომზე. იგი მზად იყო ამარანტასთვის შეეწირა თავისი სახელი და დიდება, რომელთა მოპოვებასაც თითქმის მთელი სიცოცხლე შეალია, კიდევ ერთხელ გადაეშალა გული ულამაზესი და უნაზესი სიტყვებით, მაგრამ ამაო იყო მისი გარჯა, ამარანტას სიჯიუტე ვერაფერმა ვერ გატეხა. აგვისტოს ერთ საღამოს საკუთარი სიჯიუტით გულდამძიმებული ამარანტა ოთახში ჩაიკეტა, რათა გამოეტირა თავისი სამუდამო მარტოობა, რამეთუ უკვე გადაწყვეტილი უარი უთხრა პოლკოვნიკს:

— სამუდამოდ დავივიწყოთ ერთმანეთი, საამისოდ უკვე დავბერდით.

იმავე საღამოს პოლკოვნიკი ხერინელდო მარკესი სატელეგრაფო აპარატთან გამოიძახა პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ. ახალი არაფერი არ უთქვამთ, ომი ერთ წერტილზე იყო გაყინული. თითქოს სალაპარაკო აღარაფერი ჰქონდათ, რომ პოლკოვნიკმა ხერინელდო მარკესმა თვალი მოავლო უკაცრიელ ქუჩებს, ნუშის ხეებზე მოციმციმე წვიმის წვეთებს და მიხვდა, მარტოობაში იძირებოდა.

— აურელიანო, — დანაღვლიანებულმა გამოიყვანა კაკუნით ნიშნები, — მაკონდოში წვიმს.

ხაზზე კარგა ხანს ჩამოვარდა დუმილი. მერე აპარატი აახმაკუნა პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას გაბრაზებულმა წერტილ-ტირეებმა:

— ნუ სულელობ, ხერინელდო. აგვისტოა და აბა არ უნდა წვიმდეს?!

პოლკოვნიკი ხერინელდო მარკესი შეაშფოთა ამ ცოტა არ იყოს უჩვეულოდ უხეშმა პასუხმა, მაგრამ ორი თვის მერე, როდესაც პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია დაბრუნდა მაკონდოში, ეს შეშფოთება შიშნარევი გაკვირვებით შეეცვალა. ურსულაც კი გაოცდა, ისე შეცვლილიყო მისი ვაჟი. იგი მშვიდად და უმხლებლებოდ დაბრუნდა შინ. თუმცა ცხელოდა, მოსასხამში იყო გახვეული. სამი ქალი ახლდა, საყვარლები. საშივენი დააბინავა ერთ შენობაში, სადაც თითქმის მთელი დღე თვითონაც ჰამაკში იწვა, ხანდახან თუ მოინდომებდა ტელეგრაფით მიღებული დეპეშის წაკითხვას ომის მსვლელობის თაობაზე. ერთხელ ხერინელდო მარკესმა სთხოვა: ერთი სასაზღვრო ქალაქის გახიზვნა მინდა. მეამბოხეთა ჯარების ამ ქალაქში მოსვლა დიდ არეულობას გამოიწვევს ყველგან და როგორ მოვიქცეო.

— ყოველ წვრილმანზე მე ნუ მაწუხებ! — შეუყვირა პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ. — წადი და მამაზეციერს ჰკითხე!

ამჯერად ომი ყველაზე გადამწყვეტ საფეხურზე იყო. მოლიბერალო მიწათმფლობელები პირველ ხანებში თუ რევოლუციის მხარეზე იდგნენ, ახლა საიდუმლოდ შეუკავშირდნენ კონსერვატორ მიწათმფლობელებს, რათა ერთობლივად შეეშალათ ხელი მიწების ხელახალ დაყოფა-განაწილებისათვის. ლიბერალმა პოლიტიკოსებმა ომის დროს კარგად მოითბეს ხელი და ახლა ყოველ-

ნაირად ცდილობდნენ, საჯაროდ დაეგმოთ პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას გადამეტებული სიმკაცრე, მაგრამ პოლკოვნიკი ვერც ამათმა გამოხტომებმა გამოაფხიზლეს. იგი აღარ კითხულობდა თავის ლექსებს, რომლებიც მთელ ტომად შეკრული სადღაც, სკივრში ეგდო მივიწყებული. ღამით ან სიესტის დროს ჰამაკში იხმობდა ერთ-ერთ საყვარელს, წამიერად დაიკმაყოფილებდა [illegible] და მერე მკვდარივით ეძინა. მხოლოდ მან ერთმა იცოდა, რომ მისი [illegible]ხავი გული განწირული იყო ურწმუნოების მარადიული ტანჯვისათვის. სამშობლოში ზარ-ზეიმით დაბრუნებული და არგაგონილი გამარჯვებებით მთვრალი პოლკოვნიკი განდიდების უფსკრულის პირას ქანაობდა. მას ძალზე მოსწონდა ჰერცოგ მალბოროს[1] მარჯვნივ რომ იდგა ხოლმე, იმ ჰერცოგისა, ვინც სამხედრო საქმეში თავის დიდ მასწავლებლად მიაჩნდა და ვისი ვეფხის ტყავის სამოსიც დიდებს აღტაცებას გვრიდა და პატარებს — გაოცებისაგან თვალებს აჭყეტინებდა. პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიამ სწორედ მაშინ გადაწყვიტა, თავისთან სამ მეტრზე ახლოს არ მიეშვა არავინ, ურსულაც კი. სადაც არ უნდა ყოფილიყო, მისი ადიუტანტები ცარცით წრეს შემოხაზავდნენ ხოლმე იატაკზე ან მიწაზე და ამ წრეში მხოლოდ პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია უნდა მდგარიყო. მოკლე და შეუვალი ბრძანებებით წყვეტდა ქვეყნის ბედ-იღბალს. გენერალ მონკადას დახვრეტისთანავე გაეშურა მანაურეში თავისი მსხვერპლის თხოვნის შესასრულებლად. გენერლის ქვრივმა გამოართვა ქმრის სათვალე, ბეჭედი და ხატი. სტუმარს კი ფეხი არ გადააბიჯებინა ზღურბლზე:

— არ შემოხვიდეთ, პოლკოვნიკო. თქვენს ომში თქვენა ხართ მბრძანებელი, ჩემს სახლში კი — მე.

პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ გაბრაზება არ შეიმჩნია, დამშვიდებით კი მხოლოდ მაშინ დამშვიდდა, როცა მისმა რაზმელებმა ნაცარ-ტუტად აქციეს ქვრივის სახლი. „გული გაუფრთხილდი, აურელიანო, — უთხრა მაშინ პოლკოვნიკმა ხერინელდო მარკესმა. — ცოცხლად ლპები". ამ ხანებში პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ მეამბოხეთა ჯარების მეთაურთა მეორე თათბირი მოიწვია. ვის არ ნახავდით ამ თათბირზე: იდეალისტებს, პატივმოყვარე ავანტიურისტებს, საზოგადოებიდან მოკვეთილ ადამიანებსა და სამიშ დამნაშავეებსაც კი. მათში ერთი კონსერვატორი ჩინოვნიკიც ერია. მან სახელმწიფო ფული გაფლანგა და მოსალოდნელი სასჯელით შეშინებული რევოლუციას შეეტმასნა. ბევრმა არც კი იცოდა, რისთვის იბრძოდა. ამ აჭრელებულსა და სხვადასხვა რწმენის ხალხში სადაცაა უთანხმოება იფეთქებდა და ციხე შიგნიდან გატყდებოდა. მეამბოხეთა შორის გამოირჩეოდა ერთი მედიდური და პირქუში კაცი — გენერალი ტეოფილო ვარგასი, გაუთლელი და უწიგნური ინდიელი. თავისი ფარული ვერაგობითა და წინასწარმეტყველური უნარით შეეძლო ადამიანები ფანატიკოსებად ექცია. პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია იმედოვნებდა, ამ თათბირზე შეძლებდა მეამბოხეთა მთავარი ძალების დარაზმვას [illegible] პოლიტიკოსების წინააღმდეგ. მაგრამ გენერალმა ტეოფილო ვარგასმა ჩაფუშა მისი გეგმა — მან ყველაზე გამოცდილ მეთაურთა კოალიციაში არეულობა შეიტანა და ერთ-ორ საათში მთავარსარდლობაც იგდო ხელთ. „ეს კაცი მხეცია და ვუფრთხილდეთ, — უთხრა პოლკოვნიკმა აურელია-

[1] ჰერცოგი ჯონ მალბორო (1650-1722) — ინგლისელი მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე.

ნო ბუენდიამ თავის ოფიცრებს. — ეგ გენერალი სამხედრო მინისტრზეც საშიშია ჩვენთვის“. მაშინ ერთმა ახალგაზრდა კაპიტანმა, რომლითაც მოკრძალებულობით რომ გამოირჩეოდა ყოველთვის, გაუბედავად აღმართა ხელი:

— ეს ძალზე ადვილი საქმეა, პოლკოვნიკო, — თქვა მან, — უნდა მოვკლათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია აღაშფოთა არა ამ უსულგულო სიტყვებმა, — რაღაც წამებით რომ დაასწრო საკუთრივ მის აზრს, — არამედ კაპიტნის კილომ და ქცევამ.

— ტყუილად გგონიათ, ასეთ ბრძანებას გავცემ, — უპასუხა მან.

მართლაც არ უბრძანებია გენერლის მოკვლა, მაგრამ თხუთმეტიოდე დღის მერე ჩაუსაფრდნენ და დანებით აკუწეს, რის შემდეგაც პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ მთავარსარდლობა დაიბრუნა. იმავე ღამეს, მას მერე, რაც მეამბოხეთა ჯარის მეთაურებმა ერთხმად აღიარეს იგი მთავარსარდლად, პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას უეცარი შიშით შეპყრობილს გაეღვიძა და მოჰყვა ყვირილს, საბანი მომიტანეთო. შინაგანი სიცივე, ძვლებს რომ უყინავდა და პაპანაქება სიცხეშიც სტანჯავდა, რამდენიმე თვე ძილს არ აცლიდა, მერე და მერე კი ჩვევად გადაექცა. განდიდებით თრობა და საკუთარი თავით უკმაყოფილება უკვე ერთმანეთს შეეჯახნენ მის არსებაში. იქნებ სიცივის ტანჯვას გადავურჩეო, ბრძანა: ის ახალგაზრდა ოფიცერი დაეხვრიტათ, გენერალ ტეოფილო ვარგასის მოკვლა რომ ურჩნახა. მის ბრძანებებს ელვისუსწრაფესად ასრულებდნენ, სულაც უფრო ადრე ასრულებდნენ, ვიდრე თვითონ მოასწრებდა ბრძანებას, მოასწრებდა კი არა, ვიდრე გაიფიქრებდა და ყოველთვის ისე აჭარბებდნენ შესრულებაში, თვითონ ამ ბრძანების შუა გზამდე მიყვანასაც რომ ვერ გაბედავდა. პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდიას თავისსავე უსაზღვრო ძალაუფლების და მარტოობის უდაბნოში აერია გზა-კვალი და გრძნობდა, მიწა ეცლებოდა ფეხქვეშ. ახლა უკვე აღიზიანებდა, დაპყრობილ ქალაქებში მხიარული შეძახილებით რომ ხვდებოდნენ. ეჩვენებოდა, ეს ხალხი ასევე მხიარულად შეხვდება ალბათ მტერსაცო. სადაც არ უნდა წასულიყო, ყველგან ხვდებოდნენ ჭაბუკები, მასავით თვალები და მასავით ხმა რომ ჰქონდათ, ისინი ისევე უნდობლად ესალმებოდნენ, როგორც თვითონ ესალმებოდა მათ. ჭაბუკებს მის შვილებად მოჰქონდათ თავი. უცნაური გრძნობაეუფლებოდა ამის დამნახავ პოლკოვნიკს, ასე ეგონა, გამამრავლეს, გამიმეორეს რამდენჯერმეო, მაგრამ მარტოობა მაინც სტანჯავდა. სხვა სიკეთესთან ერთად იგი დარწმუნდა, საკუთარი ოფიცრებიც ატყუებდნენ. ჰერცოგ მალბოროს გახსენებაც აღარ უნდოდა. „ნამდვილი მეგობარი ის იყო, ვინც აულ ახლახან მოკვდა“, — უყვარდა ხოლმე ამის თქმა პოლკოვნიკს იმ ხანებში. იგი დაღალა გაუთავებელმა უნდობლობამ, გაუთავებელმა ომმა, რის იოგვლივაც თავად ტრიალებდა, მაგრამ სინამდვილეში ერთ ადგილას იდგა. ამაოობაში ბერდებოდა, უძლურდებოდა და ძირითადობამდე კვლავაც სწვდებოდა ყოველივეს არსს: რატომ? როგორ? სადამდე? იმ ცარცით შემოხაზულ წრის მიღმა ყოველთვის ვიღაც იდგა. იმ ვიღაცას ან ფული აკლდა, ან შვილი ჰყავდა ქუნთრუშით ავად, ან სურდა სამარადისო ძილით დაეძინა, რომ ამ ომსა და უბედურებას მოშორებოდა, მაგრამ ის ვიღაცა მის დანახვაზე მაინც ძალას იკრებდა და მხედრულად გაჭიმული მოახსენებდა: „სრული სიმშვიდეა, პოლკოვნიკო“. სწორედ ეს სიმშვიდე იყო ყველაზე საშიში ამ დაუძთავრებელ ომში: მაშასადამე, არც არაფერი ხდება. მარტოო-

ბიათვის განწირული, წინათგრძნობებისგან დაცლილი პოლკოვნიკი ცდილობდა საკუთარ სიცივეს დამალვოდა და მაკონდოში ეპოვა საბოლოო ნავსაყუდელი, აქ გამთბარიყო მოგონებათა კოცონთან მითვილცხებული. ამ ჭირვა ისე ძლიერ შეეპყრო, რომ როდესაც შეატყობინეს, ლიბერალთა პარტიის დელეგაცია მოვიდა ძირითადი პოლიტიკური საკითხების გადასაწყვეტადო, ჰამაკში მხარი იცვალა და თვალის გახელა არც უცდია:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კახპებთან წაიყვანეთ, — თქვა მან.

დელეგაციის წევრებმა — სერთუკებსა და ცილინდრებში გამოწყობილმა ექვსმა ვექილმა — უდიდესი სიმტკიცით გაუძლეს ნოემბრის მწველ მზეს. დღისით საძინებელ ოთახში გამოკეტილნი რაღაცაზე საიდუმლოდ თათბირობდნენ, საღამოს კი ბაღრაგი და აკორდეონისტთა ანსამბლი მოითხოვეს და „კატარინოს დუქანს“ მიაკითხეს. „ხელს ნუ შეუშლით, — ბრძანა პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ, — მშვენივრად ვიცი, მაგათ რაც უნდათ“. დეკემბრის დასაწყისში, როგორც იქნა, დაიწყო დიდი ხნის ნანატრი მოლაპარაკება, რომელიც ერთ საათსაც არ გაგრძელებულა, თუმცა ბევრი ფიქრობდა, დიდხანს გასტანსო.

აძჯერად პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია არ დამდგარა ცარცის წრეში, რომელიც მისმა ადიუტანტებმა შემოხაზეს დახუთულ დარბაზში მოჩვენებასავით მდგარ თეთრტილოგადაფარებულ პიანოლას მახლობლად. იგი თავის პოლიტიკურ მრჩევლებს მიუჯდა გვერდით და მოსასხამში გახვეული მდუმარედ ისმენდა დელეგატთა მოკლე სიტყვებს. პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას რამდენიმე მოთხოვნა წაუყენეს: უარი თქვას მიწის უფლებათა გადახედვა-შემოწმებაზე, — რათა პარტიას კვლავ დაუბრუნდნენ ლიბერალი მიწათმფლობელები; უარი თქვას კლერიკალების წყალობით მოპოვებულ კათოლიკეთა მხარდაჭერაზე და ბოლოს უარი თქვას კანონიერ და უკანონო შვილების თანასწორუფლებიანობაზე, რათა შეინარჩუნონ ოჯახური სიმტკიცე და სიწმინდე.

— მაშასადამე, — გაეღიმა პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას, — გამოდის, მხოლოდ ძალაუფლებისთვის უნდა ვიბრძოლოთ?

— ეს რეფორმები ნაკარნახევია ტაქტიკური მოსაზრებით, — თქვა ერთმა დელეგატმა. — ამჟამად მთავარია, ხალხმა მხარი დაგვიჭიროს, დანარჩენი კი მერე გამოჩნდება.

საუბარში ჩაერია პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას ერთი მრჩეველი:

— შეუსაბამოს არაფერს ამბობთ, — თქვა მან. — თუ თქვენი რეფორმები კარგია, მაშინ გამოდის, კონსერვატორთა რეჟიმიც კარგია. თუ თქვენი რეფორმების ხელშეწყობით ხალხი დაგვიჭერს მხარს, როგორც თქვენ ამბობთ, მაშასადამე, კონსერვატორთა რეჟიმს უჭერს ხალხი მხარს. საბოლოოდ კი რა გამოდის, თურმე მთელი ოცი წელიწადი ერის ინტერესების წინააღმდეგ გვიბრძოლია...

კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ შეაჩერა: „ამაოდ ნუ დაკარგავთ დროს, დოქტორო. ყველაზე მთავარია ის, რომ ამიერიდან მხოლოდ ძალაუფლებისათვის ვიბრძვით“. პოლკოვნიკი მოემზადა ხელი მოეწერა ქაღალდებზე, დელეგაციის წევრებმა რომ გადაასცეს.

— თუ ასეა, — თქვა მან ბოლოს, — საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს.

მისმა ოფიცრებმა გაკვირვებულებმა გადახედეს ერთმანეთს.

— მაპატიეთ, პოლკოვნიკო, — გადაუჩურჩულა პოლკოვნიკმა ხერინელდო მარკესმა. — მაგრამ ეს ღალატია.

პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ კალამი ჰაერში შეაჩერა და თავხედს მთელი რისხვით დაატყდა თავს:

— ჩამაბარეთ იარაღი!

პოლკოვნიკი ხერინელდო მარკესი წამოდგა და იარაღი მაგიდაზე დააწყო.

— ყაზარმაში გამოცხადდებით,— კვლავ უბრძანა აურელიანო ბუენდიამ.— თქვენი საქმე რევოლუციურ ტრიბუნალს გადაეცემა. — შემდეგ ხელი მოაწერა დეკლარაციებს და დელეგატებს გადასცა: — ბატონებო, აი, თქვენი ქაღალდები. აბა, თქვენ იცით!

ორი დღის მერე პოლკოვნიკ ხერინელდო მარკესს სამშობლოს ღალატისთვის სიკვდილი მიესაჯა. პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია კვლავ ჩაეფლო ჰამაკში და პატიმრის შეწყალებაზე მთხოვნელნი ახლოსაც არ გაიკარა. დასჯის წინა დღეს ურსულამ არად ჩააგდო შვილის ბრძანება, არავინ არ შეაწუხოსო, და მის ოთახში შევიდა. დიდებული შესახედავი იყო შაოსანი, წარმოსადეგი ურსულა. იგი არაფრით არ დაჯდა, მთელი სამი წუთი შვილთან ლაპარაკისას ფეხზე იდგა. „ვიცი, დახვრეტ ხერინელდოს, — უთხრა მშვიდად, — უძლური ვარ, ხელი შეგიშალო. მაგრამ ერთს კი გეტყვი: როგორც კი მის გვამს დავინახავ, ვფიცავ ჩემი მშობლების ძვლებს, ვფიცავ ხოსე არკადიო ბუენდიას ხსოვნას, ვფიცავ ღმერთს, სადაც არ უნდა იყო, გამოგათრევ და საკუთარი ხელით მოგკლავ. — ვიდრე ოთახიდან გავიდოდა, პასუხს არც დაელოდა, დაუმატა: — შენ იმას აკეთებ, რასაც გააკეთებდი მაშინ, ღორისკუდიანი რომ დაბადებულიყავი“.

მთელი ის უსასრულო ღამე, ვიდრე ხერინელდო მარკესი ამარანტას სამუშაო ოთახში გატარებულ საღამოებს იგონებდა, პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია მისდგომოდა თავის მარტოობის ნაჭუჭს და მის გამოტეხვას ლამობდა. ერთადერთი ბედნიერი წუთები, რაც მან თავის ცხოვრებაში ყინულის ნახვის გარდა განიცადა, იყო მისსავე სახელოსნოში გატარებული წუთები, სადაც ოქროს თევზებს აკეთებდა. ნუთუ ეს უბრალო და ჩვეულებრივი ყოფა რომ სანატრელი გახდომოდა, ამისათვის წამოიწყო ომი ოცდათორმეტჯერ, ამისათვის შეჰყურებდა სიკვდილს პირისპირ და ამისათვის ამოიგანგლა ღორივით დიდების სიბინძურეში?

განთიადისას, დასჯამდე ერთი საათით ადრე, უძილობით დაღლილი პოლკოვნიკი აურელიანო საკანში შევიდა. „ფარსი დამთავრებულია, მეგობარო, — უთხრა ხერინელდო მარკესს. — წავიდეთ აქედან, ვიდრე ჩვენმა ლოთებმა არ დაგვხვრიტეს“. პოლკოვნიკმა ხერინელდო მარკესმა ზიზღი ვერ დამალა: — არა, აურელიანო, სჯობს მოვკვდე, ვიდრე ცოცხალმა გნახო, როგორ გადაიქეცი [illegible] მოღალატედ.

— ვერა, ვერც ნახავ, — უთხრა პოლკოვნიკმა აურელიანომ. — ადექი, ჩაიცვი ჩექმები და წამო. მომეხმარე იქნებ როგორმე ბოლო მოვუღოთ ამ ოხერ ომს.

მან ჯერ კიდევ არ იცოდა, ომის დაწყებაზე ძნელი დამთავრება რომ იყო. თითქმის [illegible] წელიწადი დასჭირდა. გაუგონარი სიმკაცრით აეძულებინა მთავრობა, მეამბოხეთა სასარგებლოდ წარედგინა ზავის პირობები, კიდევ ერთი წელიწადი დასჭირდა, მისი მომხრეები რომ დაეთანხმებინა ამ პირობებზე. მან

სისხლში ჩაახშო თავისივე ოფიცრების აჯანყება, რომელთაც არ სურდათ გამარჯვების სახელით ევაჭრათ და საბოლოოდ რომ გაეტეხა მათი წინააღმდეგობა, მტრის ჯარებიც კი მოიშველია.

არასოდეს ყოფილა ასე გატაცებით. ახლა იგი იბრძოდა საკუთარი თავის გადასარჩენად და არა რაღაც აბსტრაქტული იდეებისა და ლოზუნგებისათვის, პოლიტიკოსები დროის შესაფერისად რომ წამოისვრიან ხოლმე. პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას ძალას მატებდა ბრძოლაში. პოლკოვნიკი გერინელდო მარკესი იმავე რწმენითა და ერთგულებით იბრძოდა დამარცხებისათვის, როგორც წინათ — გამარჯვებისათვის. ხანდახან შეახსენებდა ხოლმე მეგობარს ზედმეტს ნუ იზამ, თავს გაუფრთხილდიო. „ნუ წუხარ, — ეღიმებოდა პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია. — სიკვდილი არც ისე ადვილია, როგორც ფიქრობენ". ახლა ის ნამდვილს ამბობდა. მას სწამდა, მისი სიკვდილის დღე დათქმული იყო და ეს რწმენა იდუმალი ჯავშანივით ეფარებოდა, უვნებლობას ჰპირდებოდა იმ დათქმულ დღემდე. ომში თავგანწირვით იბრძოდა და ბოლოს, როგორც იქნა, დაამარცხა. დამარცხება გამარჯვებაზე ძნელი აღმოჩნდა. მეტი სისხლი და მსხვერპლი მოითხოვა.

მთელი ამ ოცი წლის მანძილზე, პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ ომში რომ გაატარა, არც ისე იშვიათად შეივლიდა ხოლმე საკუთარ სახლში, მაგრამ როცა კი შეივლიდა, სულ მუდამ ჩქარობდა, სულ მუდამ ეტლით ახლდნენ, თანაც მის სახელს ისეთი შარავანდედი ემოსა, — რის წინაშე ურსულაც კი იხრიდა ქედს, — რომ ახლობლებისთვის იგი უცხო გახდა. გავარდნილი მაკონდოში ბოლო ჩამოსვლისას თავის სამ საყვარელთან ერთად ცალკე დაქირავებულ სახლში ცხოვრობდა და სულ ორჯერ თუ სამჯერ ვიღაც მოწყალებით, საკუთარ ოჯახში სადილზე მიიწვიეს. მშვენიერ რემედიოსსა და ომის ქარცეცხლიან დღეებში დაბადებულ ტყუპ ძმებს იგი ძლივსღა ცნობდა. ამარანტა ვერაფრით ვერ შეუთავსებინა ერთმანეთისთვის იმ ძმის სახე, სიყმაწვილე ოქროს თევზების კეთებაში რომ გაატარა და იმ ძმისა, ლეგენდარული მეომრის სახელი რომ ჰქონდა მოხვეჭილი და კაცობრიობისაგან სამი მეტრით რომ იყო დაშორებული. მაგრამ როგორც კი ხმა გავარდა, სადაცაა ომი დამთავრდება, პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია ალბათ მალე დაბრუნდება შინ და კვლავ ჩვეულებრივი ახლობლების მოყვარული კაცი გახდებაო, მშობლიურმა გრძნობებმა, ამდენ ხანს რომ ეძინათ სამარის ძილით, ახლა ფერფლი გადაიყარეს და ახალი ძალით გაღვივდნენ.

— როგორც იქნა, ვეღირსეთ, — თქვა ურსულამ. — კაცი გვეყოლება კვლავ ოჯახში.

ამარანტამ პირველმა თქვა: სამუდამოდ დავკარგეთ ძმაო. ზავამდე ერთი კვირით ადრე მოვიდა პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია სახლში, უამალოდ. მხოლოდ ორი ფეხშიშველი ბიჭი ახლდა თან. ბიჭებმა ჯორის მოსართავები და ლექსებით სავსე სკივრი მიყარეს დერეფანში — ერთადერთი ავლადიდება, რაც პოლკოვნიკს დარჩა საიმპერატორო აღკაზმულობიდან. ამარანტამ იქვე სამუშაო ოთახთან ჩავლილ ძმას დაუძახა. პოლკოვნიკი ისე შეჩერდა, თითქოს ვერ გაიხსენა, ვინ იდგა მის წინ.

— ამარანტა ვარ, — ძმის დაბრუნებით გახარებულ ამარანტას ალერსით უთრთოდა ხმა. შავი სახვევიანი ხელი უჩვენა, — აი, ნახე.

პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ ისევე გაუღიმა, როგორც იმ შორეულ

დილაა. მაკონდოს ქუჩებში რომ მიჰყავდათ სიკვდილმისჯილი და როცა პირველად დაინახა ეს შავი სახვევი.

— რა საშინელებაა, — თქვა მან. — რა სწრაფად გადის დრო.

მთავრობის ჯარები იძულებული გახდნენ სახლთან ყარაული ჩაეყენებინათ. პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია ბრუნდებოდა დამცირებული და შეგინებული. მას ბრალად სდებდნენ ომის შეგნებულად გაჭიანურებას, რათა მერე უფრო ძვირად გაეყიდა თავი. ცხვრის თვით ადრე, როგორც კი ხმა დაირხა, ჩავა იქნებაო, ურსულამ გაალო შვილის ოთახი, ჰაერი გაანიავა, კარგად წიალაგ-მოალაგა და კუთხეში მური ააბოლა. ფიქრობდა მოვა აურელიანო და რემედიოსის ძველი თოჯინებით გარემოსილი მშვიდად შეხვდება აქ თავის სიბერესო. მაგრამ სინამდვილეში პოლკოვნიკს ამ ორ წელიწადში თავისი ანგარიშები ჰქონდა ცხოვრებასთან გასასწორებელი და სიბერეც კი ჩამოიტოვა უკან. საგულდაგულოდ დალაგებულ სახელოსნოს რომ ჩაუარა, კარისაკენ არც კი მიუხედავს, რომლის ბოქლომშიც გასაღები ჩაეტოვებინათ. არც ის შეუმჩნევია, დროთა განმავლობაში სახლი რომ დაზიანებულიყო. ამის დამნახავი სხვა კაცს, ვისაც მოგონებისა რამე შერჩენოდა საერთოდ, ალბათ გული მოუკლავდა ეს სურათი. პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას გულს კი სულ არ გაკარებია არც ჩამოფხავებული კედლები, არც აბლაბუდიანი ჭერი, არც მიმჭკნარი ყვავილები, არც დაავოებული დირეები და არც დახავსებული კარები. იგი არ გაება იმ მახეში, ნაღველს რომ დაეგო მისთვის ეშმაკურად. დაჯდა შუშაბანდში და [illegible] თავი გაეხვია: თითქოს გამოდარებას ელოდა, რომ მერე ისევ ამდგარიყო და წასულიყო. ურსულა მაშინვე მიხვდა, აურელიანო ბუენდია აქ დიდხანს ვერ გაჩერდებოდა. „იქნებ ომი სურს ისევ? — გაიფიქრა ქალმა. — ან იქნებ სიკვდილი?" — ეს აზრი ისე გამოკვეთილი და დამაჯერებელი ეჩვენა, რომ გუნებაში გაიელო, ნამდვილად ასე იქნებაო.

ვახშამზე აურელიანო მეორემ მარჯვენა ხელში პური აიღო, მარცხენაში — კოვზი. მისმა ტყუპის ცალმა ხოსე არკადიო მეორემ მარჯვენაში კოვზი და მარცხენაში — პური. ისინი ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ და ისე შეთანხმებულად ამოძრავებდნენ ხელებს, გეგონებოდათ, სარკის წინ ზის ერთი და სადილობსო. ეს სპექტაკლი თვითონ იმებმა მოიგონეს მაშინ, როდესაც პირველად აღმოაჩინეს, ერთმანეთს ძალიან ვგავართო. ახლა კი სტუმრის საპატივცემულოდ ჩაატარეს. — მაგრამ პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას არაფერი დაუნახავს. იგი ისე შორს იყო აქაურობიდან, რომ ყურადღება არც მიუქცევია მშვენიერი რემედიოსისთვის, რომელიც თავის საძინებელ ოთახში მიდიოდა და სასადილო ოთახს მთლად დედიშობილამ ჩაუარა. მხოლოდ ურსულამ გაბედა და გამოარკვია შვილი ღრმა ფიქრებიდან.

— თუ წასვლა გაქვს გადაწყვეტილი, შემოგვხედე და დაიმახსოვრე მაინც, როგორები ვიყავით ამ საღამოს.

მაშინ პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია მიხვდა, რომ ურსულა იყო ერთადერთი ადამიანი, ვისაც შეეძლო ამოეცნო მისი სულის სიღარიბე. არ გაკვირვებია, მაგრამ პირველად, მრავალი წლის მანძილზე მხოლოდ ახლა გაბედა შეეხედა დედისთვის სახეში. ურსულას სახე დაღაროდა, კბილები გალეოდა, თმა გამოშმრალი და უფერული გახდომოდა, გამოხედვა კი კვლავაც საკვირველი ჰქონდა. აურელიანო ბუენდიას თვალწინ დაუდგა ძალზე შორეული სახე დედისა, პატარამ რომ უთხრა, ახლა ქოთანი გადმოვარდება მაგიდიდანო. ქო-

თანი მართლა გადმოვარდა და დაიმსხვრა. შვილმა ერთ წამში შეავლო თვალი დედის დასერილ-დაკოჟრილ ხელებს, ორმოცდაათი წლის მუხლჩაუხრელი შრომის ნაკვალევს და უცბად შეამჩნია, რომ ამის დამნახავს სიბრალულის გრძნობა არ გასჩენია. მაშინ თავს ძალა დაატანა და საკუთარ გულში ხანგრძლივად ის კუნჭული ეპოვა, სადაც ჩაალპე თუკი რამ სიკეთის მთესველი გამახრდა, მაგრამ ამაოდ, ვერსად იპოვა. წინათ ცოტა რცხვენოდა მაინც, როდესაც საკუთარი ახეულის სუნი ურსულას აგონებდა, ფიქრებშიც ხშირად ელაპარაკებოდა დედას, მაგრამ მერე და მერე ომმა ყოველივე გაანადგურა. საკუთარი ცოლი, რემედიოსიც კი, შვილად რომ ერგებოდა, ბუნდოვნად ახსოვდა უცხო ქალივით. სიყვარულის უდაბნოში არაერთი ქალი შეხვედრია, მაგრამ გულში არც ერთი არ დარჩენია. ეს ქალები მუალამის ბნელში მოდიოდნენ მასთან, გათენებამდე მიდიოდნენ და არაფერს უტოვებდნენ გარდა იმისა, რომ მეორე დღეს სხეული ოდნავ მაძღარი ჰქონდა. ერთადერთი, რაც ომსა და წლებს არ წაეშალა, ეს იყო პატარაობიდან გამოყოლილი გრძნობა თავისი ძმის ხოსე არკადიოს მიმართ, ოღონდ ეს გრძნობა სიყვარულზე კი არა, უფრო თანამზრახველობაზე იყო დაფუძნებული.

— მაპატიეთ, — მოიბოდიშა ურსულას შენიშვნის მერე, — ომმა ყველაფერს მოუთავა ხელი.

მომდევნო დღეებში განიზრახა თავის ამქვეყნად მოსვლის ყოველგვარი კვალი გაექრო. იარაღი მიწაში ჩაფლა. ერთ დროს მამამისმაც ხომ ასე ჩამარხა ის შუბი, პრუდენსიო აგილარს კისერში რომ მოუსწრაფა. მხოლოდ რევოლვერი დაიტოვა და ისიც ერთი ტყვიით. ურსულა არ ერეოდა მის საქმეში. მხოლოდ ერთხელ გამოედავა, როცა პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ განიზრახა ჩაუქრობელი ლამპიონით განათებული რემედიოსის დაგეროტიპის ჩამოხსნა კედლიდან. „ეს სურათი დიდი ხანია შენ არ გეკუთვნის, — უთხრა ურსულამ. — ეს ოჯახის სალოცავია". ზავის ხელმოწერის წინა დღეს, როდესაც სახლში თითქმის აღარაფერი დარჩა, რასაც პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას სახელი ერქვა, თავისი ლექსების სკივრი შეიტანა სამზარეულოში, სადაც სანტა სოფია დე ლა პიედადი ის იყო ღუმელს ანთებდა.

— აი, ეს შეუნთე, — უთხრა და გაყვითლებული ფურცლების მთელი დასტა გაუწოდა. — ასეთ ხარახურას კარგად მოეკიდება.

ჩუმი და დამყოლი სანტა სოფია დე ლა პიედადი, საკუთარ შვილებთანაც რომ არ დასცდენია ხმამაღალი სიტყვა, მიხვდა რაღაც აკრძალულის გაკეთებას სთხოვდნენ.

— ეს საჭირო ქაღალდებია, — თქვა მან.

— სულაც არა, — უპასუხა პოლკოვნიკმა, — ასეთ რამეებს საკუთარი თავისთვის წერენ მხოლოდ.

— მაშინ... — შეათავაზა ქალმა. — თვითონ დაწვით, პოლკოვნიკო.

პოლკოვნიკი ასეც მოიქცა. მარტო ლექსები კი არა, ნაჯახით დაამტვრია სკივრიც და ცეცხლს შეუკეთა. რამდენიმე საათით ადრე პილარ ტერნერა ეწვია. რა ხანია ეს ქალი არ უნახავს. როგორ დაბერებულა და გაასიებულა. სადღაა ის კისკასი სიცილი? მაგრამ სამაგიეროდ უფრო მეტად დახელოვნებულიყო მკითხაობაში. „პირს გაუფრთხილდი", — უთხრა პილარ ტერნერამ და პოლკოვნიკმა მაშინვე გაიფიქრა: „განა მაშინაც ამ სიტყვებით არ მამცნო დიდების მწვერვალზე მყოფს ის საბედისწერო შემთხვევა?" პილარ ტერნერასთან მი-

ვედრის მერე, ვითომც არაფერიო, სთხოვა თავის პირად ექიმს, — რომელმაც ის იყო წყლულიდან ჩირქი გამოურწყა, — თუ შეიძლება მაჩვენოთ, გული სად მაქვსო. ექიმმა იოდში ამოავლო ბამბა და მკერდზე წრე შემოუხაზა.

სამშაბათი, ზავის ხელმოწერის დღე ცივი და წვიმიანი გათენდა. პოლკოვნიკი სამზარეულოში ყოველ დილით ხუთ საათზე შედიოდა ფინჯანი უშაქრო ყავის დასალევად, დღეს კი უფრო ადრე შეაღო მისი კარი. „სწორედ ასეთი დღე იდგა, შენ რომ დაიბადე, — უთხრა ურსულამ. — მახსოვს, თვალღია ჩვილმა ყველა შეაშინე". პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას არც გაუგონია დედის ნათქვამი, მთელი გულისყური ქუჩისკენ ჰქონდა მიპყრობილი. ჯარისკაცების მწყობრი ნაბიჯების ხმა, საყვირების გადაძახილი და მოკლე-მოკლე ბრძანებები დილის სიჩუმეს კვეთდნენ. თუმცა პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიასთვის უცხო ხილი არ იყო ეს ხმები, მაინც [illegible] სისუსტემ და ჟრუანტელმა დაუარა მთელს სხეულში, როგორც საყმაწვილეში მოუვიდა შიშველი ქალის დანახვაზე. ახლა უკვე ნაღვლიან მახეში გაბმულს სადღაც გულის კუნჭულში გაჰკრა, ის ქალი რომ ცოლად მეთხოვა, ახლა არც ომი მეცოდინებოდა რა არის, არც სახელი და დიდება და ვიქნებოდი ერთი უბრალო ხელოსანი — ბედნიერი ცხოველიო. ამ დაგვიანებულმა და უცაბედად მოვარდნილმა სისუსტემ საუზმე ჩაუშხამა. დილის ექვს საათზე პოლკოვნიკმა ხერინელდო მარკესმა მოაკითხა შეამბოხე ოფიცრების თანხლებით. მასპინძელი ასეთი სიტყვაძუნწი, ჩაფიქრებული და მარტოსული არასოდეს ენახათ. ურსულამ ახალი ლაბადა მოასხა მხრებზე. „რას იფიქრებს მთავრობის ხალხი, — ეუბნებოდა შვილს, — ალბათ ლაბადის ფულიც არა აქვს და იმიტომ დანებდაო". გარეთ კოკისპირულად წვიმდა და პოლკოვნიკმაც მხოლოდ მაშინ დაიხურა ხოსე არკადიო ბუენდიას ძველი ფარფლებიანი ქუდი.

— აურელიანო, — სთხოვა ურსულამ. — პირობა მომეცი, რომ გაჭირვების ჟამს გაიხსენებ დედაშენს.

პოლკოვნიკმა ოდნავ გაუღიმა დედას, ხელი აუწია, უსიტყვოდ გადაადგა ფეხი ზღურბლს და შეაბიჯა მუქარის, საყვედურისა და წყევლა-კრულვის მორევში, რომელიც კვალში მიჰყვებოდა ქალაქის ქუჩებში. ურსულამ კარი ურდულით ჩაკეტა, რათა სიკვდილამდე აღარ გაეღო. „ჩავლპებით აქ, ქალთა მონასტერში გამოკეტილები, — გაიფიქრა მან. — მოვკვდებით, მაგრამ ამ უღირს ბრბოს ჩვენი ცრემლის დანახვით არ გავახარებთ". ყველა კუთხე-კუნჭული მოარა, შვილის სამახსოვროდ იქნებ ერთი რაიმე პატარა ნივთი მაინც ვიპოვოო, მაგრამ ვერაფერი იპოვა.

ცერემონია შედგა მაკონდოდან ოც კილომეტრზე უზარმაზარი სეიბას ძირში, რის ირგვლივაც შემდეგში დაარსდა ქალაქი ნეერლანდია. მთავრობისა და პარტიის წარმომადგენლებს, აგრეთვე მეამბოხეთა დელეგაციას, რომელსაც იარაღი უნდა დაეყარა, ემსახურებოდნენ მორჩილები, თეთრ სამოსში გამოწყობილი მოქოთქოთე ქალები, რომლებიც წვიმაში დაფანტულ მტრედებს ჰგავდნენ. პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია თავის გაქუცულ ჯორზე ამხედრებული მივიდა. თითონ მთლად ტალახიანი და გაუპარსავი იყო. წყლულები უფრო სტანჯავდა, ვიდრე იმის შეგნება, რომ მთელი მისი ოცნებები დაიმსხვრა, იმედები ჩაეფუშა, დიდება და დიდების დარდ-ნაღველიც უკან მოიტოვა. მისი თხოვნა გაითვალისწინეს და არც მუსიკა უკრავდა, არც დაფდაფები ხმაურობდნენ და არც ვაშას გაიძახოდა ვინმე. ოდნავი სიხარულიც კი

არავის გამოუმჟღავნებია, რასაც შეეძლო ზავის დადების სამგლოვიარო განწყობილება დაერღვია. ვიღაც მოხეტიალე ფოტოგრაფმა პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას სურათი გადაუღო და ალბათ მომავალ თაობებს სამახსოვროდაც დარჩებოდათ, მაგრამ სასწრაფოდ გაანადგურებინეს ნეგატივი.

ზავის გაფორმებას იმდენივე დრო დასჭირდა, რამდენიც ხელმოწერის. საცირკო წარმოდგენებისთვის განკუთვნილ მოჩარდახულში, [illegible] უბრალო ხის მაგიდასთან დელეგატები მიმსხდარიყვნენ. გარშემო [illegible]კოვნიკის ერთგული ოფიცრები. ვიდრე ხელს აწერდნენ, რესპუბლიკის პრეზიდენტის წარმოგზავნილმა კაპიტულაციის აქტის საჯაროდ წაკითხვა მოინდომა, მაგრამ პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია უარზე დადგა. „საამისოდ დროს ნუ დავკარგავთ“, — თქვა მან და ხელის მოსაწერად მოემზადა. უცებ ერთმა მისმა ოფიცერმა დაარღვია ძილისმომგვრელი დუმილი.

— პოლკოვნიკო, — თქვა მან, — პატივი გვეცით და პირველი ნუ მოაწერთ ხელს.

პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას უარი არ უთქვამს. ქაღალდმა ისეთ დუმილში შემოიარა მაგიდა, რომ კალმის წვეპინზე გამოიცნობდით, ვინ რა ასოს წერდა. აქტის ბოლოს რიგით პირველი ხელმოსაწერი ადგილი ცარიელი იყო. პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას ეკუთვნოდა ის ადგილი.

— პოლკოვნიკო, — მიმართეს ახლა სხვა ოფიცრებმა, — კიდევ გაქვთ დრო, შერცხვენას გადაურჩით.

პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას სახეზე კუნთიც არ შეირხევია, ისე მოაწერა ხელი აქტის პირველ ცალს. ის იყო ბოლო ცალზეც უნდა მოეწერა ხელი, რომ კარებში გამოჩნდა მეამბოხეთა ჯარის ოფიცერი, რომელსაც ორი სკივრით დაზურგულ გამძვალტყავებულ ჯორს მოუძღოდა. თუმცა ოფიცერი ძალზე ახალგაზრდა ჩანდა, ეტყობოდა, თავშეკავებული და მშრალი კაცი იყო. ეს ოფიცერი მაკონდოელ რევოლუციონერებს ხაზინადრად აერჩიათ. ექვსი დღის მგზავრობის შემდეგ, როგორც იქნა, მოაღწია აქამდე. ნახევარი გზა შიმშილისგან არაქათგამოცლილ ჯორს მოათრევდა თურმე.

ჯორს ფრთხილად ჩამოხსნა სკივრები, გახსნა და მაგიდაზე გადმოალაგა სამოცდათორმეტი ოქროს აგური. ამ არნახული განძის არსებობა ყველას დავიწყებოდა. ბოლო წლებში მთავარსარდლობა მოეშვა, რევოლუცია გადაიქცა მეთაურთა სისხლიან ქიშპად და ამ არეულობაში არავის არაფერი ეკითხებოდა. მეამბოხეთა ზოდებად ჩამოსხმული და ზემოდან თიხით გალესილი ოქროც უპატრონოდ დარჩა. პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ საკაპიტულაციო აქტში შეატანინა სამოცდათორმეტი ოქროს აგური და ხელიც ისე მოაწერა, სიტყვა არავის არ ათქმევინა. დაღლილ-დაქანცული ჭაბუკი ოფიცერი იდგა მის წინ და ჯიუტად შესცქეროდა თავისი ნათელი, შაქრის ფერივით მოოქროსფერო თვალებით.

— კიდევ რამე საჭიროა? — ჰკითხა მას პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ.

ახალგაზრდა ოფიცერმა კბილებში გამოცრა:

— ხელწერილი.

პოლკოვნიკმა საკუთარი ხელით შეადგინა ხელწერილი. მერე მორჩილების შეთავაზებული ლიმონათი და ნამცხვარი მიირთვა და მისთვის საგანგებოდ გაშლილ სალაშქრო კარავისაკენ გასწია. კარავში გაიხადა პერანგი, ნარზე ჩა-

მოჯდა და ოთხის თხუთმეტ წუთზე პისტოლეტი დაიხალა იმ წრეში, პირადმა ექიმმა იოდიანი ბამბით რომ შემოუხაზა მკერდზე. მაკონდოში კი ამ დროს ურსულას ქურაზე რძით სავსე ქოთანი შემოედგა. ქალს გაუკვირდა. ამდენხანს რატომ არ ადუღდაო, მივიდა, ჩახედა ქვაბს და რძეში მოფუთფუთე მატლები დაინახა.

— აურელიანო მოკლეს! — შეჰყვირა მან და როგორც მარტოობაში მყოფთ სჩვევიათ, ანგარიშმიუცემლად გაიხედა ეზოში, სადაც [illegible] მოჩქეფე წვიმაში გალუმპულსა და დაბერებულ ხოსე არკადიო ბუენდიას. „ღალატით მოკლეს, არც არავის უცდია თვალი დაეხუჭა მისთვის". ღამით ნარინჯისფრად მოელვარე წრეებმა მოწყვეტილი ვარსკვლავებივით ელვისუსწრაფესად გაჰკვეთეს ზეცა. ამის დამნახავმა ნამტირალევმა ურსულამ მაშინვე გაიფიქრა, სიკვდილის ნიშანიაო. იგი ჯერ ისევ წაბლის ძირში იჯდა, ქმარს მუხლებზე მოხვეოდა და გულსაკლავად მოთქვამდა, როდესაც სისხლიან ლაბადაში გახვეული პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია მოიყვანეს. პოლკოვნიკის ღია თვალებში რისხვა იკვესებოდა.

დაჭრილს საშიში არაფერი სჭირდა. ჭრილობა ისეთი გამჭოლი იყო, რომ ექიმმა იოდით გაჟღენთილი ზონარი სულ ადვილად შეუყარა მკერდში და ასევე ადვილად გამოუტარა ზურგში. „ჩემი მიგნებულია ეს ადგილი, — თქვა კმაყოფილმა. — ეს არის ერთადერთი ადგილი, სადაც ნასროლი ტყვია ადამიანს სრულიად არ ავნებს". დაჭრილს გარს შემოხვეოდნენ მორჩილები, თანაგრძნობით შესცქეროდნენ და სულის საცხონებელ ფსალმუნებს მღეროდნენ. ამის შემხედვარე პოლკოვნიკმა ინანა, რატომ პირში არ დავიმიზნე თოფიო. პირველად ასეც ჰქონდა განზრახული, პილარ ტერნერას მკითხაობას გავამასხარებო.

— თუ კიდევ მეღირსა და სულ პატარა ძალაუფლება ჩავიგდე ხელში, — უთხრა მან ექიმს. — იცოდეთ, პირველს თქვენ დაგხვრეტთ ყოველგვარი სასამართლოსა და გამოძიების გარეშე, იმიტომ კი არა, რომ სიკვდილს გადამარჩინეთ, იმიტომ რომ ქვეყნის სასაცილო გამხადეთ.

ამ აღუსრულებელმა სიკვდილმა სულ რაღაც რამდენიმე საათში დაუბრუნა პოლკოვნიკს ძველი სახელი. ისინი, ვინც სულ ახლახან ბრალს დებდნენ, ომი ოქროს აგურის კედლებიან ოთახზე გაცვალეო, ახლა უკვე სხვა აზრისანი გახლდნენ, თვითმკვლელობის მცდელობას კეთილშობილურ საქციელად მიიჩნევდნენ და პოლკოვნიკიც მაშინვე წამებულად შერაცხეს. მოგვიანებით, როდესაც მან რესპუბლიკის პრეზიდენტის ნაბოძებ „დამსახურების ორდენზეც" უარი თქვა, ყველაზე თავგადადებული მოწინააღმდეგენიც კი ეახლნენ და თხოვეს, ზავზე უარი თქვით და ახალი ომი წამოიწყეთო. ყველანი ცდილობდნენ ძველი ცოდვები გამოესყიდათ და ბუენდიების სახლს ძღვენითა და საჩუქრებით ავსებდნენ. თანამებრძოლთა ასეთი, თუმცა ცოტა დაგვიანებული, ყურადღებით გულაჩუყებული და აღელვებული პოლკოვნიკი მთლად უარს ვერ ამბობდა. ერთი პირობა, თითქოს ისევ აღინთო ახალი ომის წამოწყების სურვილით. მაშინ პოლკოვნიკმა ხერინელდო მარკესმა კიდეც გაიფიქრა, ნამდვილად მიზეზს ეძებს ომის წამოსაწყებადო. მართლაც მიზეზიც მალე ჩაუვარდათ ხელში: რესპუბლიკის პრეზიდენტმა უარი თქვა ომის ვეტერანებისთვის — სულ ერთია ვინც იქნებოდნენ ისინი, ლიბერალები თუ კონსერვატორები — პენსიის დანიშვნაზე მანამ, სანამ თითოეულის საქმე არ გაირჩეოდა საგანგებო კომისიაზე და კონგ-

რესი არ გამოჰყოფდა საჭირო თანხას. პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ ცოფები ჰყარა: „ეს ხომ თვითნებობაა. მაგ პენსიის დანიშვნამდე ყველანი დაბერდებიან და მოკვდებიან და მერე ვიღას ჭირდება პენსია!" პოლკოვნიკი იმ გასროლის მერე პირველად წამოდგა მისთვის საგანგებოდ ნაყიდი სარწეველა სავარძლიდან, ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა და თან რესპუბლიკის პრეზიდენტთან გასაგზავნ წერილს კარნახობდა. ამ ტელეგრამაში, რომელიც არც არასდროს გამოქვეყნებულა, პოლკოვნიკი პრეზიდენტს ბრალად სდებდა ნეერლანდიის ზავის პირობების უხეშ დარღვევას და ემუქრებოდა, თუ უახლოეს ორ კვირაში პენსიის დანიშვნის საქმეს არ გადაწყვეტთ, იცოდეთ, ახალ სიკვდილ-სასიცოცხლო ომს წამოვიწყებო. მისი მოთხოვნა ისე სამართლიანი იყო, რომ ალბათ კონსერვატორთა პარტიის წარმომადგენელი ომის ვეტერანებიც დაუჭერდნენ მხარს. მაგრამ პასუხის მაგიერ მთავრობამ კიდევ მეტად გააძლიერა ბადრაგი პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას სახლთან და აკრძალა ყოველგვარი მისვლა-მოსვლა მის ოჯახში, ვითომდა თავად პოლკოვნიკის უშიშროებისათვის. ასევე ზომებს მიმართა მთავრობამ სხვა, უფრო ამჩინო რევოლუციონერთა ვითომდა დასაცავად. მთავრობამ ეს ოპერაცია ისე დროულად, ენერგიულად და ქვეიანურად ჩაატარა, რომ ზავის დადებიდან ორი თვის მერე, როცა პოლკოვნიკი ბუენდია საბოლოოდ გამოჯანმრთელდა, მისი ერთგული თანაშემწეები და მებრძოლები ზოგი ცოცხლებში აღარ ერია, ზოგი განდევნეს, ზოგიც მთავრობის სამსახურში ჩამდგარიყო.

დეკემბრის თვე იდგა. პოლკოვნიკი აურელიანო თავისი საწოლი ოთახიდან, რომ გავიდა პირველად დაჭრის შემდეგ და მაშინვე მიხვდა, ომზე ფიქრი არაფერი საჭირო არ იყო. ურსულა ისეთი მონდომებითა და გატაცებით შეუდგა სახლის განახლებას, მისი ასაკის ადამიანს სულ რომ არ შეეფერებოდა. „მაგათ ვაჩვენებ, ვინც ვარ მე, — დაიქადნა ურსულამ, როდესაც გაიგო, აურელიანო იცოცხლებდა. — ამ შეშლილთა სახლივით მოწყობილი და სტუმართმოყვარე სახლი ერთი არ იქნება მაკონდოში". განკარგულება გასცა, ხელახლა შეეკეთებინათ და შეეღებათ კედლები, იყიდა ახალი ავეჯი, მოასუფთავა ბაღი, დარგო ყვავილები და გააღო ყველა კარ-ფანჯარა, რათა ზაფხულის თვალისმომჭრელ ბრწყინვას საწოლ ოთახებშიც შეეღწია. შემდეგ ყველას აცნობა: ჩვენს ოჯახში ბოლო მოეღო გაუთავებელ მგლოვიარობასო და პირველმა გაიხადა შავები, ყმაწვილქალივით მოირთო. სახლში კვლავ გაისმა პიანოლის ხმა. ამარანტას ამ ხმამ მოაგონა პიეტრო კრესპი, გარდენიები საღამოს მიმწუხრში, ლავანდის სურნელება და მიმჭკნარი გულის სიღრმეში კვლავ დაუტრიალდა ბოღმა — ოღონდ ეს ბოღმა ამჯერად წმინდა და უბოროტო გახლდათ. სასტუმრო ოთახის დალაგებისას ურსულამ მის სახლთან ჩაყენებულ ყარაულებს სთხოვა, საქმეში ხელი შემაშველეთო. ახალგაზრდა ოფიცერმა თავის ხელქვეითებს ნება დართო მიხმარებოდნენ ქალს. ურსულა ყოველდღე ამუშავებდა ჯარისკაცებს, მერე ასადილებდა, ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს ურიგებდა, წერა-კითხვას ასწავლიდა. მოგვიანებით მთავრობამ ყარაული რომ მოხსნა, ერთი ჯარისკაცი ბუენდიების სახლში დარჩა და ურსულას კარგა ხანს ემსახურებოდა. მშვენიერი რემედიოსის უყურადღებობით გაგიჟებული ახალგაზრდა ოფიცერი კი ახალი წლის პირველ დღეს გამთენიისას მკვდარი იპოვეს ქალიშვილის ფანჯრის ქვეშ.

გავა წლები და მომაკვდავი აურელიანო მეორე გაიხსენებს ივნისის იმ წვიმიან დღეს, საწოლ ოთახში რომ შევიდა თავისი ახალშობილი პირმშოს დასანახავად. თუმცა ჩვილი მილეული და მტირალა იყო და არც არაფრით არ ჩამოგავდა ბუენდიებს, მამას მაინც დიდხანს არ უფიქრია, რა დაერქმია მისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხოსე არკადიო იქნება მისი სახელი, — თქვა მან.

ფერნანდა დელ კარპიო ქმარს არ გამოსდგომია, იგი ლამაზი ქალი იყო, ერთი წლის ნათხოვი ჰყავდა ცოლად აურელიანო მეორეს. სამაგიეროდ ურსულას დაეუფლა რაღაცნაირი ჩუმი შიში. რაც მათი ოჯახი არსებობს, თითქმის იმ ხანიდან მოსდგამთ უშნო წესი, ერთი და იგივე სახელი გადასცენ თაობიდან თაობას, რაზეც ურსულას დროთა განმავლობაში არცთუ უსაფუძვლო აზრი ჩამოუყალიბდა: თუ ყველა აურელიანო პირქუში და გონიერი იყო, სამაგიეროდ ყველა ხოსე არკადიოს სიფიცხე და გამბედაობა დაჰყოლოდა და ყოველთვის ტრაგიკულად ამთავრებდნენ სიცოცხლეს. ამ კლასიფიკაციაში ჯერჯერობით არ შედიოდნენ ხოსე არკადიო მეორე და აურელიანო მეორე. ცელქი და მოუსვენარი ძმები ისე ჰგავდნენ ერთმანეთს, რომ სანტა სოფია დე ლა პიედადსაც უჭირდა მათი გარჩევა. ნათლობის დღეს ამარანტამ ორივეს ცალცალკე შეაბა სამაჯურები თავ-თავიანთი სახელით და ტანსაცმელიც სხვადასხვა ფერისა ჩააცვა. მკერდზეც თავ-თავიანთი ინიციალები ამოუქარგა. მაგრამ ტყუპებმა სკოლაში სიარული რომ დაიწყეს, ერთმანეთის ტანსაცმელს იცვამდნენ და სამაჯურსაც და სახელსაც ცვლიდნენ ხოლმე. მასწავლებელი მელჩორ ესკალონა ხოსე არკადიო მეორეს მწვანე ხალათით ცნობდა და რომ გაიგო, მწვანე ხალათიან ბიჭს სამაჯურზე აურელიანო მეორე ეწერა, ლამის არ გაგიჟდა. იქიდან მოყოლებული უკვე აღარავინ იცოდა, ვინ რომელი იყო. მაშინაც კი, როდესაც დაიზარდნენ და ცხოვრებამ ორივეს შეუცვალა ხასიათი, ურსულას ხშირად უფიქრია, იქნებ მაშინ ავურიეთ ძმები ერთმანეთში, ტანსაცმლით თავსატეხი თამაში რომ მოვიგონეთო. ვიდრე ტყუპები ყმაწვილკაცობაში შედგამდნენ ფეხს, ისინი თითქმის ყველაფერში ჰგავდნენ ერთმანეთს და ყველაფერს ერთნაირად, სინქრონულად აკეთებდნენ. ერთდროულად იღვიძებდნენ, ერთდროულად იბანდნენ ხელ-პირს, ავადაც ერთად ხდებოდნენ და სიზმრებსაც კი ერთნაირს ხედავდნენ. უფროსები ზოგჯერ ფიქრობდნენ, იქნებ ბავშვები ეშმაკობენ და წინასწარ უთანხმდებიან ერთმანეთს, ერთნაირად გააკეთონ ყველაფერიო, მაგრამ ერთ დღეს ყველა დარწმუნდა, ბავშვები არ ეშმაკობდნენ. სანტა სოფია დე ლა პიედადმა ორივეს ტკბილი წყალი მიუტანა დასალევად. ერთმა დალია, მეორემ მოსვა და თქვა, წყალი ტკბილი არ არისო. დედას მართლაც დავიწყნოდა ჭიქაში შაქრის ჩაგდება. სანტა სოფია დე ლა პიედადმა ეს ამბავი მაშინვე უთხრა ურსულას: „ყველა ასე როგორ ჰგავს ერთმანეთს, — ურსულას არც გაჰკვირვებია, — დაბადებიდან შეშლილები არიან“. რაც დრო გადიოდა, უფრო აირია ყველაფერი. ის, ვინც ტანსაცმლის გაცვლის მერე აურელიანო მეორედ დარჩა, უზარმაზარი გაიზარდა პაპასავით — ხოსე არკადიო ბუენდიასავით. ის კი, ვისაც ხოსე არკადიო მეორის სახელი შერჩა, სიგამხდრეში პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას დაემგვანა. მხოლოდ ერთი რამით ჰგავდნენ ტყუპები ერთმანეთს: ყველა ბუენდიასავით მათაც მარტოობის დაღი აღბეჭდვოდათ სახეზე. შესაძლოა, სწორედ მათი გარეგნობის, ხასია-

თისა და სახელების შეუთავსებლობის გამო დაეჭვდა ურსულა. ტყუპები ბავშვობაშიც კი ხომ არ ავურიეთ ერთმანეთშიო.

ტყუპები ხასიათით ძალიან რომ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, ეს ომის დროს გამოჩნდა. როდესაც ხოსე არკადიო მეორემ პოლკოვნიკ გერინელდო მარკესს თხოვა, დახვრეტა მაყურებინეო, ურსულა [illegible] მაგრამ ყმაწვილმა მაინც გაიტანა თავისი. ავრელიანო მეორე კი პირიქით, თვით იმის გაფიქრებაზეც კანკალებდა, ვაითუ მეც მითხრან, წამოდიო. ავრელიანო მეორეს შინ ჯდომა ერჩია. თორმეტი წლისა რომ გახდა, ურსულას ჰკითხა, იმ ჩაკეტილ ოთახში რა გაქვთო. „ქაღალდებია, — უპასუხა ურსულამ. — მელქიადესის წიგნები და მისი ბოლოდროინდელი ნაწერები". ავრელიანო მეორე უფრო მეტად აღინთო ცნობისმოყვარეობით. არ მოეშვა დიდ ბებიას, ოღონდ შემიშვი და არაფერს არ გავაფუჭებო. ურსულა გატეხა მისმა ხვეწნა-მუდარამ და გასაღები მისცა. რაც ამ ოთახიდან მკვდარი მელქიადესი გაიტანეს, მას მერე იქ არავინ შესულა, კარი ბოქლომით ჩაკეტეს. მაგრამ როდესაც ავრელიანო მეორემ ფანჯრები გამოაღო, შუქი ისე უბრალოდ შევიდა ოთახში, თითქოს ყოველდღე განათებინოს იქაურობა. არსად მტვერი და ობლობუდა არ ჩანდა. ყველაფერი სუფთა და მილაგებული იყო. ის კი არადა, დაკრძალვის დღეს არ ყოფილა ის ოთახი ასე მილაგებული და გაწკრიალებული. სამელნეში მელანი ესხა, სამელნის ლითონის მოართულობებს ჟანგი არც მოსდებოდა. ძველებურად კრიალებდა ქურაში, სადაც ხოსე არკადიო ბუენდია ვერცხლის წყალს წვავდა ხოლმე, კვლავ ენთო ცეცხლი. თაროებზე ადამიანის მზემოკიდებული კანივით მოყვითალო-ყავისფერი ქსოვილგადაკრული წიგნები ეწყო. იქვე მანუსკრიპტები ელაგა. ამ წლობით გამოკეტილ ოთახში უფრო სუფთა და ცინცხალი ჰაერი იდგა, ვიდრე სხვა ოთახებში. ეს წესრიგი და სისუფთავე მერეც რამდენიმე კვირა შერჩა ოთახს. ურსულა ცოცხითა და ალტაკით ჯაგრისით ხელში შევიდა ოთახში და ნახა, დასალაგებელი იქ არაფერი იყო. ავრელიანო მაგიდას მისჯდომოდა და რომელიღაც წიგნში ჩაერგო ცხვირი. ბიჭმა არ იცოდა წიგნის სახელი, რადგან უყდო იყო. მაგრამ უსათაურობა ხელსაც არ უშლიდა ხელს გულისყურით ამოეკითხა წიგნში აღწერილი ამბები: ვიღაც ქალი თურმე ბრინჯს ორი ოქროს ქინძისთავით ჭამდა მარცვალ-მარცვალ, ერთმა მეთევზემ მეზობელს თურმე ბადისათვის საძირავი ტყვია გამოართვა და [illegible], თევზაობიდან შინ დაბრუნებულმა თევზი მოუყვანა, რომლის მუცელშიც გვარიანად დიდი ბრილიანტი უნახავს მეზობელს; [illegible] ლამპარიც [illegible] თურმე, რასაც თხოვდი, ყველაფერს შეგისრულებდა; [illegible] გინდა იქ გაგაფრენდა. ავრელიანო მეორემ გაკვირვებულმა [illegible] ურსულას, ნეტავ აქ რაც წერია, ყველაფერი მართალია თუ არაო. [illegible] — უპასუხა ურსულამ. — დიდი, დიდი ხნის წინათ ბოშები მოვიდნენ მაკონდოში და მათ მოიტანეს ჯადოსნური ლამპრებიც და მფრინავი ხალიჩებიც. ახლა კი ქვეყანა ინგრევა და ამისათვის აღარავის სცალიათ.

თუმცა წიგნს ფურცლები აკლდა და ამის გამო ბევრი ამბავიც დაუმთავრებელი იყო, ავრელიანო მეორემ მაინც დიდი გატაცებით ჩაიკითხა ბოლომდე. მერე მელქიადესის მანუსკრიპტების ამოკითხვა განიზრახა, მაგრამ ვერ შეძლო. ასოები თოკზე გადაკიდებულ თეთრეულსა და უმეტესად სანოტო პარტიტურას ჰგავდა. ერთ პაპანაქება შუადღეს ავრელიანო მეორე გულმოდგინედ ჩააკვირკიტებდა მანუსკრიპტებს, რომ უცებ იგრძნო, ოთახში ვიღაც იყო. ოთხკუთხად

განათებულ ფანჯარასთან მუხლებზე ხელებდაწყობილი მელკიადესი იჯდა. ორმოცი წლისა იქნებოდა. იგივე ძველისძველი ჟილეტი ეცვა და ყვავის ფრთებივით ფარფლებგაშლილი ქუდი ეხურა. უფერულ საფეთქლებზე გამდნარი ქონივით მოწვეთავდა ოფლი. ზოშა ისეთივე იყო, აურელიანოსა და ხოსე არკადიოს რომ ენახათ ბავშვობაში. აურელიანო მეორემ მაშინვე იცნო. მელკიადესის ხსენება ხომ თაობიდან თაობაში გადადიოდა და ბიჭსაც პაპამ უამბო.

— გამარჯობათ, — თქვა აურელიანო მეორემ.

— გაგიმარჯოს, ყმაწვილო, — თქვა მელკიადესმა.

ამ დღიდან მოყოლებული არაერთი წელიწადი ისინი თითქმის ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს. მელკიადესი ბიჭს რაღას არ უყვებოდა. სურდა მთელი თავისი მოძველებული სიბრძნე მისთვის გადაეცა, მანუსკრიპტების ამოკითხვაზე კი უარი უთხრა. „ვიდრე ასი წელი არ შეუსრულდება ამ ხელნაწერს, მანამდე არავინ არ უნდა იცოდეს, აქ რა წერია", — თქვა მან. აურელიანო მეორე არავის არ უმხელდა, მელკიადესს რომ ხვდებოდა. მხოლოდ ერთხელ ცოტაც გაწყდა არ დაენგრა თავისი განმარტოებული სამყარო: ურსულა სწორედ იმ დროს შევიდა მასთან ოთახში, როცა მელკიადესი ჰყავდა სტუმრად.

— ვის ელაპარაკებოდი? — ჰკითხა ურსულამ.

— არავის, — უპასუხა აურელიანო მეორემ.

— ასეთი იყო შენი დიდი ბაბუაც, — უთხრა ურსულამ. — ისიც ასე ელაპარაკებოდა თავის თავს.

ამასობაში კი ხოსე არკადიო მეორემ წადილი აისრულა: საკუთარი თვალით იხილა სიკვდილით დასჯა. კუბოს კარამდე ემახსოვრება ერთდროულად ექვსი თოფის ლულიდან გამოვარდნილი მოლურჯო ნაპერწკლები, სიკვდილმისჯილის ნაღვლიანი ღიმილი და დაბნეული გამოხედვა. ხალათი სისხლით ევლინთებოდა, ის კი ჯერ ისევ იდგა და იღიმებოდა. ბოძიდან რომ ჩამოხსნეს და კირით სავსე ყუთში ჩადეს, მაშინაც იღიმებოდა. „ცოცხალია, — გაიფიქრა ხოსე არკადიო მეორემ, — ცოცხლად მარხავენ". ამ ამბავმა ისე შეზარა, რომ იმ დღიდან შეიძულა ყველაფერი, რაც ომს უკავშირდებოდა და თვითონ ომიც; შეიძულა არა იმიტომ, რომ სიკვდილით დასჯამ შეზარა, არამედ იმიტომ, რომ საშინელმა წესმა — სიკვდილმისჯილთა ცოცხლად დამარხვამ დასცა თავზარი. ვერავინ შეამჩნია, როდის დაიწყო ხოსე არკადიო მეორემ სამრეკლოზე ასვლა და ზარების რეკვა, როდის ამოუდგა მხარში მღვდელს ანტონიო ისაბელს, ვისი წინამორბედიც „ხეპრე" გახლდათ. ხოსე არკადიო მეორე მღვდელს წირვისას ეხმარებოდა და მოჩხუბარ მამლებსაც უვლიდა სამრეკლო სახლში. როგორც კი შეამჩნია მისი ფერისცვალება, პოლკოვნიკმა ხერინელდო მარკესმაც არ დააყოვნა, მოინახულა და გვარიანად გაკიცხა: ისეთ საქმეს მოჰკიდე ხელი, ყველა წესიერ ლიბერალს გულს აურევსო. „მე მგონი, ჩემგან კონსერვატორი უფრო დადგება", — უპასუხა პოლკოვნიკს ხოსე არკადიო მეორემ. ასეც სწამდა, ბედად ეს მიწერიაო. პოლკოვნიკმა ხერინელდო მარკესმა ურსულას გაუზიარა თავისი გულისწყრომა.

— ძალიან კარგი, თუ ასეა საქმე, — ურსულამ საქციელი მოუწონა ბადიშს. — ნეტავი ეგ მაინც გამოვიდეს მღვდელი, იქნებ მაშინ გადმომხედოს ღმერთმა წყალობის თვალით.

მალე ურსულას ყურს მისწვდა, მღვდელი ანტონიო ისაბელი თავის მოწა-

ფეს პირველი ზიარებისათვის ამზადებსო. მღვდელი მამლებს ყელს პარსავდა და თან ხოსე არკადიო მეორეს კატეხიზმოს ასწავლიდა, ხოლო საბუდრებში კვერცხებზე დამჯდარ კრუხებს რომ ჩამოუვლიდნენ ხოლმე, მაშინ სულ უბრალოდ უხსნიდა, რატომ განიზრახა ღმერთმა ქვეყნიერების შექმნის მეორე დღესვე წიწილები გამოეზარდა. მღვდელ ანტონიო ისაბელს უკვე მაშინვე ეტყობოდა ბებრული ჭკუასუსტობის ნიშნები, რამაც რამდენიმე წლის მერე [illegible]ათქმევინა ასეთი აზრი: დიდი ხნის წინათ ალბათ ეშმაკმა ღმერთ[illegible]ლაში, მერე ზეციურ ტახტზე ისე მოირთხა ფეხი, არავის გაუმხილა თავისი ვინაობა და ასე ცდილობდა თავის ბადეში გაეხვია მიმნდობნი და გულუბრყვილონიო. ერთი სიტყვით, ასეთი თამამი მასწავლებლისა წყალობით ხოსე არკადიო მეორემ ზეპირად იცოდა არა მარტო თეოლოგიური ეშმაკობა თვით ეშმაკის გზა-კვალის ასარევად, არამედ მამლების ჩხუბშიაც დიდად დახელოვნდა. ამარანტამ თეთრი პერანგი შეუკერა, ჰალსტუხი, თეთრი ფეხსაცმელი უყიდა და ოქრომკედით ამოუქარგა ცვილის ბაფთაზე სახელი. პირველ ზიარებამდე ორი ღამით ადრე მღვდელმა ანტონიო ისაბელმა ეკლესიის სალაროში მოუხმო ხოსე არკადიო მეორეს აღსარების სათქმელად. ისინი სალაროში ჩაიკეტნენ, მღვდელმა ცოდვების წიგნი მოიმარჯვა, შეკითხვებისათვის მოემზადა და ხოსე არკადიო მეორეც მოჰყვა გრძელ აღსარებას. მოხუცი მღვდელი შვიდ საათზე ძილს იყო მიჩვეული და გრძელ კითხვა-პასუხში ჩაეძინა კიდეც სავარძელში ჩაფლულს. ხოსე არკადიო მეორეს არც გაჰკვირვებია, მღვდელმა რომ ჰკითხა, ქალთან თუ გიკეთებია ცუდი საქმეო. დარცხვენილმა უთხრა, არაო. ცხოველებთანო? არც ცხოველებთანო. მაისის პირველ პარასკევს ეზიარა, მაგრამ იმ შეკითხვების გამო ცნობისმოყვარეობა ჰკლავდა. მოგვიანებით დასნეულებულ ხაზინადარს პეტრონიოს მიაკითხა სამრეკლოზე, სადაც ის ცხოვრობდა და როგორც ამბობდნენ, ღამურებს აპურებდა ხოლმე. ხოსე არკადიო მეორემ ჰკითხა, რაც აწუხებდა. პეტრონიომაც უპასუხა: „არიან მრუში ქრისტიანები, რომლებიც ასეთ რამეებს ვირებთან აკეთებენ“. ხოსე არკადიო მეორე ისე შეეპყრო ცნობისწადილს, ისე გულით თხოვდა, ამიხსენი ყველაფერიო, რომ პეტრონიომ ველარ მოითმინა:

— ამ სამშაბათს ღამით მე უნდა წავიდე იქ, თუ პირობას მომცემ, არავის არაფერს ეტყვი, მეორე სამშაბათს შენ წაგიყვან.

მართლაც მეორე სამშაბათს პეტრონიო ჩამოვიდა თავისი კოშკიდან. ხელში პატარა ჯორკო ეჭირა, არავინ იცოდა, რისთვის დაატარებდა ეს სნეული კაცი ამ ჯორკოს. პეტრონიომ თვალით ანიშნა ხოსე არკადიო მეორეს და ორივენი ბაღში გადაძვრნენ. ყმაწვილს ისე გაუტკბა ღამის ნადირობა, რომ კარგა დიდი დრო გავიდა, ვიდრე ის „კატარინოს დუქანს“ მიაკითხავდა. მალე მამლების მოშენებას მიჰყო ხელი. „მოაშორე ეგ მამლები აქაურობას, — შეუყვირა ურსულამ პირველად ხოსე არკადიო მეორეს, როდესაც მან თავის ჯიშიან აღზრდილებთან ერთად შემოაბიჯა ეზოში. — მამლებისაგან უკვე ვიწვნიეთ საკმარისი უბედურება!“ ხოსე არკადიო მეორეს სიტყვა არ დაუძრავს და თავისი მოჩხუბარი მამლები პილარ ტერნერას სახლში წაიყვანა. პილარ ტერნერას ოლონდ კი შვილიშვილი თავისთან ჰყოლოდა და ყველაფერში ეხმარებოდა. მალე მღვდელი ანტონიო ისაბელის ნასწავლი გაიძვერობით მამლების ჩხუბისას იმდენი ფული დააგროვეს, რომ ხოსე არკადიო მეორეს თავისუფლად ჰყოფნიდა თავისი საფრინველის გასადიდებლად და საკუთარი მამაკაცური სურვილების

დასაკმაყოფილებლადაც. ურსულა ტყუპ ძმებს ერთმანეთს ადარებდა და ვერაფრით გაეგო, პატარაობაში ასე ძალიან რომ ჰგავდნენ ერთმანეთს, როგორ მოხდა, რომ დიდობაში სულ სხვადასხვანი გახდნენ. დიდხანს არ უტანჯია ამ ფიქრებით შეპყრობილს, რადგან მალე აურელიანო მეორეც გამოიცვალა და გაირყვნა. ვიდრე მელკიადესის ოთახში იჯდა, სიყმაწვილეში პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიასავით გულჩახვეული და ფიქრებში ჩაძირული კაცი იყო, მაგრამ ნეერლანდიის ზავამდე ცოტახნით ადრე მოხდა ისეთი ამბავი, რამაც აურელიანო მეორე განმარტოებული საკნიდან გამოიყვანა და ცხოვრებას პირისპირ შეაჯახა. ერთი ახალგაზრდა ქალი ლატარიის ბილეთებს ყიდდა. ლატარიაში აკორდეონი თამაშდებოდა. ქალი კარგი ნაცნობივით მიესალმა აურელიანო მეორეს. ვაჟი არ გაჰკვირვებია, იგი ხომ ძალიან ჰგავდა თავის ტყუპ ძმას. ქალს სიმართლე არ გაუმჟღავნა არც მაშინ, როდესაც ის სლუკუნით ცდილობდა მისი გულის მონადირებას და არც მაშინ, თავის ოთახში რომ შეიყვანა. ამ პირველი შეხვედრის შემდეგ ქალი ისე მიეჩვია ვაჟს, რომ ბილეთებს ნიშანს ადებდა, იქნებ ლატარიაში შეხვდეს აკორდეონიო. ორი კვირის მერე აურელიანო მეორე მიხვდა, ეს ქალი ორივე ძმასთან ატარებდა დროს ლოგინში და არ იცოდა, რომ, ისინი სხვადასხვა იყვნენ. აურელიანო მეორეს არც ახლა დაუძრავს სიტყვა, პირიქით, ყოველნაირად ცდილობდა სიმართლე დაემალა. მელკიადესის ოთახში იგი აღარ დაბრუნებულა. საღამოობით ეზოში იჯდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა წვალავდა აკორდეონს, დაკვრას სწავლობდა. ურსულამ ბევრჯერ დაუშალა, ნუ უკრავ, გლოვა გვაქვს გამოცხადებულიო, თანაც აკორდეონი საძულდა, ფრანსისკო-ადამიანივით მოხეტიალეების საკრავიაო, ხშირად უთქვამს, მაგრამ აურელიანო მეორეს ვერაფერი შეასმინა. სამაგიეროდ ამ ხანებში აურელიანო მეორემ ისე გაიწაფა ხელი, რომ შესანიშნავი დამკვრელის სახელი დაიგდო და ეს სახელი ასევე შერჩა დაწვრილშვილებულსაც და მაშინაც, მაკონდოს ერთ-ერთი საპატივცემულო მოქალაქე რომ გახდა. თითქმის ორი თვე იყოფდა ძმასთან ერთად ერთ ქალს. კუდში დასდევდა ძმას, აყურადებდა, სად მიდის, რისი გაკეთება აქვს განზრახული და როცა რწმუნდებოდა, ჩვენს საერთო საყვარელთან არ მიდისო, თვითონ გასწევდა ხოლმე იქით. ერთ მშვენიერ დღეს კი მიხვდა, ავად იყო. ორი დღის მერე საბანაოში ძმას გადააწყდა, იგი კედელს მიყრდნობოდა და მთლად გაოფლილი ცხარე ცრემლს ღვრიდა. მაშინ აურელიანო მეორე ყველაფერს მიხვდა. ძმამაც გაანდო, ქალს ცუდი სნება — ასე ეძახდა თვითონ ქალი — შევყარეო. ისიც უამბო, პილარ ტერნერას განუზრახავს, მიმკურნალოსო. აურელიანო მეორე ჩუმად მკურნალობდა საკუთარ თავს. ცხელ-ცხელ მარგანეცის წყალში ბანაობდა, ათასნაირ შარდმდენ წამალს სვამდა, სამი თვის ფარული ტანჯვის მერე ორივენი გამოკეთდნენ. ხოსე არკადიო მეორეს ფეხი აღარ მიუდგამს იმ ქალთან. აურელიანო მეორემ კი პატიება სთხოვა და სიკვდილამდე მასთან დარჩა.

ამ ქალს პეტრა კოტესი ერქვა. მაკონდოში ომის დროს ჩამოვიდა თავის ქმართან ერთად და ლატარიის შემოსავლით გაჰქონდათ თავი. ქმარი რომ მოუკვდა, ქალმა განაგრძო მისი საქმე — ეს იყო მეტისმეტად სუფთა ახალგაზრდა მულატი ქალი. ყვითელი, ნუშისებრი თვალები ჰქონდა და სახეზე მკაცრი, ფოცხვერივით გამომეტყველება ეხატა. მაგრამ გული ნამდვილად კეთილი და სიყვარულისათვის გამზადებული ჰქონდა. ურსულამ რომ გაიგო, ხოსე არკადიო მეორემ მორჩხუბარი მამლების მოშენებას მოჰკიდა ხელი, ხოლო აურელიანო

მეორე აკორდეონზე უკრავს თავის საყვარლის სახლში გამართულ წვეულებებზეო, ცოტას გაწყდა, სირცხვილმა არ მოკლა: რაღა მაინცდამაინც სააუგო საქმე შეითვისეს თავისი გვარიდან ამ ტყუპებმა. აიკეთე ცოტა გა[illegible] ურსულამ გადაწყვიტა გვარში აღარავისთვის დაერქმია სახელად აურელიანო და ხოსე არკადიო, მაგრამ როცა აურელიანო მეორეს ვაჟიშვილი დაებადა, მაინც ვერ აღუდგა წინ მის სურვილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თანახმა ვარ, — თქვა ურსულამ, — ოღონდ ერთი პირობით, ბავშვს მე გავზრდი.

თუმცა ურსულა უკვე ასი წლისა გახლდათ და კატარაქტასაც მისთვის თვალისჩინი თითქმის წაერთმია, ძალა, ხასიათი და გონიერება იგივე შერჩენოდა. დარწმუნებული იყო, მასზე უკეთ ბავშვს ვერავინ გაზრდიდა. ქველი ადამიანი მინდა დადგეს, იგი აღადგენს ოჯახის ღირსებას, არაფერი ეცოდინება ომზე, მოჩხუბარ მამლებზე, ქუჩის ქალებზე და სულელურ ხუშტურებზეო, ხშირად უთქვამს ურსულას. სწორედ ამ აუგად სახსენებელმა სისაძაგლეებმა დააყენეს ოჯახი დაცემის გზაზეო, ესეც დაუმატებია. „ეს ბიჭი მღვდელი დადგება, — საზეიმოდ განაცხადა მან. — და თუ ღმერთი ცოტა ხანს კიდევ მაცოცხლებს, აგერ ნახავთ, რომის პაპი თუ არ გახდეს". ამ სიტყვებზე ყველას გაეცინა მარტო იმ ოთახში კი არა, სადაც ეს ითქვა, არამედ მთელს სახლში, რომელიც აურელიანო მეორის რახრახა ამაკაცებს აევსოთ. ომი კარგა ხანი იყო სხვა უამური ამბებთან ერთად მოგონებათა სხვენზე ეგდო, მაგრამ ამ დღეს მხოლოდ ერთი წამით გაახსენა ყველას თავი, როდესაც შამპანურის ბოთლებს საცობები დააძრეს.

— გაუმარჯოს პაპს! — შეჰქა ასწია აურელიანო მეორემ.

სტუმრებმა ერთხმად აიტაცეს სადღეგრძელო. მერე ოჯახის უფროსი აკორდეონს დიდხანს უკრავდა. ჰაერში შუშხუნებს ისროდნენ, დოლებს უბრახუნებდნენ. სტუმრებმა ექვსი ძროხა აქნეს და ხორცი ქუჩაში ჩამოურიგეს ბრბოს. ოჯახში ამ ამბავს არავინ აღელვებდა, რაც აურელიანომ ითავა ოჯახის უფროსობა, ქეიფი და ლოთობა ჩვეულებად იქცა იმ დღეებშიც კი, როდესაც ასეთი საპატიო მიზეზი — პაპის დაბადება არ ჰქონდათ! აურელიანო მეორე ყველაზე მდიდარი კაცი იყო მაკონდოში, ოღონდ ისე რომ თითი თითზე არ დაუკარებია, ალბათ ღმერთმა თუ გადმოხედა წყალობის თვალით და ჩემს საქონელსა და ფრინველს დაანათლა რაღაც არაჩვეულებრივი ნაყოფიერებაო უნარიო, თვითონვე უკვირდა აურელიანო მეორეს. ჩაკები სამ-სამ კვიცს იგებდნენ ერთბაშად, კრუხები დღეში ორჯერ დებდნენ კვერცხებს, ღორები სწრაფად სუქდებოდნენ. სიზმარში ეგონებოდა თავი. „გადაინახე ფული, — ჩასჩიჩინებდა თავის ქარაფშუტა შვილიშვილის შვილს ურსულა, — სულ ასე ხელხვავიანი არ იქნება". მაგრამ აურელიანო მეორე აინუნშიაც არ აგდებდა მის სიტყვებს და რაც უფრო მეტ შამპანურის ბოთლს ცლიდა სტუმრებისათვის, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ ეს არაჩვეულებრივი სიმდიდრე პეტრა კოტესის, მისი საყვარლის წყალობა იყო. ამ ქალის სიყვარულს შეეძლო ცოცხალი ბუნებაც აღეგზნო ყოველ წუთს. აურელიანო მეორეს ღრმად სწამდა, სწორედ ეს იყო მისი სიმდიდრის თავი და თავი და ცდილობდა პეტრა კოტესი საქონელთან ახლო ჰყოლოდა. იგი დაოჯახდა, შვილებიც დაეხვია, მაგრამ ცოლის — ფერნანდას თანხმობით ავლევ ჰვლებოდა თავის ხასას. აურელიანო მეორე თავისი პაპებივით გოლიათური აღნაგობისა იყო, მაგრამ მათგან განსხვავებით მეტი მიმზიდველობა

ჰქონდა. იგი საქონლისთვის ვერ იცლიდა, ამ საქმეში პეტრა კოტესი მისი შე-რჩევნა ხელი იყო. მიიყვანდა ქალს საშენში, ან გაატარებდა საძოვრებზე და მისი საქონელიც მაშინვე განაყოფიერების უძლეველი ეპიდემიით ავადდე-ბოდა.

ბევრი სიკეთე დააბერტყა ღმერთმა ავრელიანო მეორეს და პეტრა კო-ტესს მთელი თავიანთი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე, მაგრამ [illegible]-რი სიმდიდრე არ მოსწრებიათ არასოდეს, ვიდრე ომი ომს მისდევდა. პეტრა კოტესი თავისი ლატარიის შემოსავლით ცხოვრობდა, ავრელიანო მეორე კი დროდადრო ურსულას პარავდა გადანახულ ფულს. საყვარლები ორივენი ქა-რაფშუტები იყვნენ და მხოლოდ ერთი საქმე ეხერხებოდათ — ლოგინში გო-რაობა და დილამდე ბუქნაობა საეკლესიო კანონებით აკრძალულ დღეებშიც კი. „ეს ქალი დაგღუპავს, — უყვიროდა ურსულა ავრელიანო მეორეს, რომელიც დილით მთვარეულივით ბრუნდებოდა ხოლმე შინ. — ისე გამოგაყეყეჩა ამ ქალმა, რომ მალე ჭვლები დაგეტაკება და უკანალზე ცივი გომბეშოს დადება მოგიწევს“. ხოსე არკადიო მეორემ გვიან გაიგო, მისივე ძმა რომ გამხდარიყო მისი შემცვლელი, ვერაფრით ვერ მიმხვდარიყო, რა იზიდავდა ავრელიანო მე-ორეს ამ ქალისაკენ. ხოსე არკადიო მეორეს პეტრა კოტესი დაამახსოვრდა რო-გორც ერთი ჩვეულებრივი ქალი, თანაც საწოლში არცთუ მთლად მონდომე-ბული და სიყვარულისათვის საჭირო თვისებებით შემკული. მაგრამ ავრელიანო მეორე ყურს არავის უგდებდა, არც ურსულას ყვირილსა და არც ძმის და-ცინვას. მას განზრახული ჰქონდა პეტრა კოტესისთვის სადმე სახლი დაექირა-ვებინა და ამ სახლში დაელია სული მის მკლავებში მომწყვდეულს, როდესაც პოლკოვნიკმა ავრელიანო ბუენდიამ როგორც იქნა გაალო თავისი საოქრომ-ჭედლო სახელოსნო, რათა მშვიდ სიბერეს მისცემოდა. ავრელიანო მეორემ გადაწყვიტა, ურიგო არ იქნება ოქროს თევზების კეთება რომ ვისწავლო, კი-დევ მეტად გამამდიდრებსო და პოლკოვნიკს მხარში ამოუდგა. არა ერთი და ორი საათი გაატარა მან ამ დახუთულ სახელოსნოში, არა ერთი და ორი საათი შესცქეროდა, რა ჯიუტად, ქვეყნიერებაზე გულაყრილი და გულგატეხილი კა-ცის მონდომებით ამუშავებდა პოლკოვნიკი ფოლადის ფირფიტებს, რა გასაო-ცარი მოთმინებით ელოდა მათ გარდაქმნას ოქროს ქერცლებად. ავრელიანო მე-ორეს ოქრო კი უყვარდა, მაგრამ შრომა მეტისმეტად მძიმე ეჩვენა, თან პეტრა კოტესის მოგონება აწიწკნიდა ჯიუტად და მტკივნეულად. ისიც ადგა და სამი კვირის თავზე სულ გაქრა სახელოსნოდან. სწორედ ამ ხანებში მოუყვა-ნა თავის ხასას ბაჭიები ლატარიაში გასათამაშებლად. ბაჭიები ისე სწრაფად გამრავლდნენ, რომ პეტრა კოტესი ძლივს ასწრებდა ბილეთების გაყიდვას. პი-რველ ხანებში ავრელიანო მეორე ვერ ამჩნევდა, ზღაპრული განაყოფიერება სახიფათო გზისკენ რომ მიიწევდა. ქალაქში ყველას ამოუვიდა ყელში კურდ-ღლების ლატარია. ერთ ღამეს ავრელიანო მეორე გამოაღვიძა კედელს მიღმა ატეხილმა ხმაურმა. „ნუ გეშინია, — უთხრა პეტრა კოტესმა. — კურდღლებია“. მაგრამ ვეღარც ერთმა ვეღარ მოხუჭა თვალი, ისეთი გნიასი იდგა კედელს იქით. ავრელიანო მეორემ ვერ მოითმინა, დილაუთენია წამოხტა, კარი გაალო და სახტად დარჩა: მთელი ეზო კურდღლებს ავესო, ალიონის შუქზე მონაცრისფე-რო-ცისფრად ებზინავდათ ბეწვი. პეტრა კოტესი გიჟივით ახარხარდა და კაცს კბილიც გაჰკრა:

— ეს კურდღლები წუხელ დაიბადნენ.

— რა საშინელებაა! — თქვა აურელიანო ბუენდიამ. — მოდი, აბა ძროხებზე სცადე შენი ნიჭი და უნარი.

რამდენიმე დღის მერე კურდღლები ძროხაზე გაცვალა. ძროხამ ორ თვეში სამი ხბო მოიგო და სწორედ აქედან დაიწყო ყველაფერი. აურელიანო მეორე თვალის დახამხამებაში გახდა უდიდესი საძოვრებისა და ჯოგების მფლობელი, ძლივს ასწრებდა თავლებისა და საღორეების აშენებას. ყველაფერი სიზმარს ჰგავდა, სიმდიდრეს გართობა მოჰქონდა. აურელიანო მეორესაც მეტი რა საქმე ჰქონდა, ათასნაირ გასართობ ოინს იგონებდა „აბა, მიდით, იმებო, ეს ცხოვრება ხანმოკლეა!..“ — გაჰყვიროდა იგი. ურსულას ეშინოდა, ვაითუ ქურდობს, ძროხებს იპარავსო და ყოველთვის, როცა დაინახავდა, აურელიანო მეორე შამპანურის ბოთლს მხოლოდ იმიტომ ხსნიდა, რომ თავზე გადაესხა, უყვიროდა, ლანძღავდა, ქარაფშუტას ეძახდა. ურსულას ლანძღვა-გინებამ აურელიანო მეორე იქამდე გაახელა, რომ ერთხელ, განთიადისას, კარგ გუნებაზე რომ დაბრუნდა შინ, აილო ფულით სავსე ტომარა, წებო და ფუნჯი მოიმარჯვა და ფრანსისკო-ადამიანის ხმამაღალი სიმღერებით მთელ სახლს შიგნიდანაც და გარედანაც აკრა ფული. ძველ სახლს თითქმის პიანოლის მოტანის დღიდან ყოველთვის თეთრად ღებავდნენ, ახლა კი რაღაც საეჭვოდ დამსგავსებოდა აღმოსავლურ მეჩეთს. ურსულასა და ოჯახის სხვა წევრების ყვირილზე მთელი ქუჩა აავსო ხალხმა, არავინ არ მოსწრებია ასეთ უმაგალითო უყაირათობასა და სიმჩატეს. აურელიანო მეორემ სახლის წინა მხარე სამზარეულომდე სულ შეავსო ფულით, აბაზანაც არ დაივიწყა, დანარჩენი კი ეზოში მიფანტ-მოფანტა.

— ახლა, — თქვა მან ბოლოს, — მე მგონი, ამ სახლში ვეღარავინ გაბედავს ფულზე რამე მითხრას.

მართლაც, სიტყვა აღარავის დაუძრავს მეტად. ურსულას განკარგულებით ფული ბათქაშთან ერთად ააგლიჯეს კედლებს და კვლავ თეთრად შეღებეს. „ღმერთო ძლიერო, — ლოცულობდა ურსულა, — დაგვიბრუნე ის დრო, ქალაქის დაარსებამდე ღარიბები რომ ვიყავით და არაფერი გაგვაჩნდა, რათა იმქვეყნად პასუხი არ გვაგებინონ მფლანგველობისათვის, ქარაფშუტობისათვის“. ღმერთმა პირიქით ისმინა მისი ლოცვა. კედლებიდან ქაღალდის ფულს რომ გლეჯდნენ, ერთი მუშა წმინდა იოსების თაბაშირის დიდ ქანდაკებას დაეჯახა, გადმოაგდო და დაამსხვრია. ყველასდა გასაოცრად ქანდაკება ოქროს მონეტებით ამოვსებული აღმოჩნდა. „ვიღაც სამმა კაცმა მოათრია, — გაიხსენა ამარანტამ. — წვიმის გადაღებამდე აქ დაგვადგმევინეთო, მე ვუთხარი, კუთხეში დადგით, ვინმე არ დაეჯახოს და არ წამოაქციოს-მეთქი. იმათაც აიღეს და დადგეს აქ. მას შემდეგ დგას და დგას ამ კუთხეში, აღარ მოუკითხავთ“. ბოლო დროს ურსულა ამ ქანდაკების წინ სანთელს ანთებდა და მუხლმოყრილი ლოცულობდა. რა იცოდა, რომ მის წინ ორასი კილო ოქროთი პირთამდე სავსე წმინდანი იდგა და თავისდა უნებურად წარმართობას უხდიდა ხარკს! გაბრაზებულმა აკრიფა ოქრო, სამი მოზრდილი ტომარა აავსო და საგულდაგულოდ გადამალა, ერთიც ვნახოთ და ის კაცები მოგვადგნენ, ხომ უნდა დავუბრუნოთო. მრავალი წლის მერე, როდესაც ურსულას სიძაბუნე მოეძალა, წესად დაიჩემდა, მათ ოჯახში მოსულ ყველა უცნობისთვის ეკითხა, წმინდა იოსების თაბაშირის ქანდაკება ხომ არ დაგიტოვებიათ აქ წვიმის გადაღებამდეო.

ხვავი და ბარაქა, ურსულას შფოთს რომ იწვევდა, იმ ხანებში ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ. მაკონდო ზღაპრულად იფურჩქნებოდა. ძველი თიხა-

სა და ლერწმის სახლები აგურის შენობებმა შეცვალა. სახლებს ხის დარაბები და ცემენტის იატაკი გაუკეთეს, რის გამოც პაპანაქება სიცხეშიც კი გრილოდა ოთახებში. ხოსე არკადიო ბუენდიას დაარსებული სოფლიდან მხოლოდ დამტვერილი ნუშის ხეები შემორჩა — წელთა სიმრავლესა და ცხოვრების ყველაზე მკაცრ გამოცდას რომ გაუძლეს. კიდევ მდინარე შემორჩა [illegible] ლოდები, პრეისტორიულ კვერცხებს რომ ჰგავდნენ. ხოსე არკადიო მეორემ კალაპოტის გაწმენდა და მდინარეზე ნაოსნობის გახსნა განიზრახა და ჭკუამოკლე ქვის მთლელებმაც ეს ლოდები დაამსხვრიეს. ეს იყო გიჟური ჩანაფიქრი, რასაც ხოსე არკადიო ბუენდიას საარაკო ამბები თუ შეედრებოდა მხოლოდ: უამრავი ქვა და ჭორომი ნაოსნობას ხელს შეუშლიდა მაკონდოდან ზღვამდე. მაგრამ ხოსე არკადიო მეორეს თვითონვე უკვირდა, ისეთი გულდაჯერებული ილევდა თავის გეგმებს. აქამდე ფიქრით არც არასოდეს შეუწუხებია თავი, არც ქალებთან ერთობოდა. პეტრა კოტესის გარდა ქალი არ იცოდა, ისიც ცოტა ხანს ხვდებოდა. ურსულას აზრით, იგი ყველაზე საწყალი და უგერგილო იყო მთელს გვარში. ეგ რა კაციაო, მამლების ჩხუბის დროს მაიზე საცოდავი არავინ არისო, ამბობდა. ერთხელ როგორღაც პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ ხოსე არკადიო მეორეს უამბო იმ ესპანურ ხომალდზე, რომლის გაშავებულგარუჯული ჩონჩხიც საკუთარი თვალით ენახა ომის წლებში ზღვიდან თორმეტ კილომეტრზე. ეს ამბავი ყველას მოგონილი ეგონა, მაგრამ ხოსე არკადიო მეორესთვის ნამდვილი აღმოჩენა იყო. მაშინ გაყიდა თავისი მამლები კარგ ფასად, დაიქირავა ხალხი , იყიდა სამუშაო იარაღი და გაუგონარ საქმეს მოჰკიდა ხელი: დაიწყო ქვების თლა, არხის გაჭრა, წყალქვეშა მეჩეჩის გაწმენდა და ჭორომების გასწორება. „მე უკვე ზეპირად ვიცი ეგენი! — ყვიროდა ურსულა. — ეტყობა, დრო ბრუნავს და ჩვენ კვლავ იმას მივადექით, რითაც დავიწყეთ“. როდესაც ხოსე არკადიო მეორის აზრით მდინარეზე ნაოსნობა უკვე შეიძლებოდა, ძმას დაწვრილებით გააცნო თავისი გეგმები, იმანაც აილო და მოგზაურობისთვის საჭირო ფული მისცა. ამის მერე ხოსე არკადიო მეორე კარგა ხანს არ გამოჩენილა. მაკონდოში ხმა დავარდა, ტყუილად მოიგონა, გემის საყიდლად მივდივარო, ძმისთვის ფულის დაცინცვლა უნდოდაო, მაგრამ მალე სხვა ხმებიც მოვიდა, რაღაც უცნაური გემი უახლოვდება ქალაქსო. მაკონდოელებს კარგა ხანია დავიწყნოდათ შერეკილი ხოსე არკადიო ბუენდიას ოინები და ყველანი მდინარეს მიაწყდნენ. თვალს არ უჯერებდნენ: ნაპირს უახლოვდებოდა უცნაური ხომალდი — პირველი და უკანასკნელი ხომალდი, რომელიც კი საერთოდ მდგარა მაკონდოსთან. ეს იყო ტივი, რომლის მსხვილ თოკებს ოცი კაცი ჩაჭიდებოდა ნაპირზე და ასე ჩაჭიდებულნი მოათრევდნენ. ტივის კიჩოზე ხოსე არკადიო მეორე იდგა და ბედნიერებით გასხივოსნებოდა სახე. იგი ხალისიანად შეუძახებდა ხოლმე თოკს ჩაჭიდებულ ხალხს და ტივიდან თავობდა ამ მეტად რთულ საქმეს. ხოსე არკადიო მეორემ მაკონდოში ჩამოიყვანა დიდებული ქალბატონები, რომლებიც ჭრელ-ჭრელი ქოლგებით იჩრდილავდნენ მცხუნვარე მზეს. ლამაზ მხრებზე აბრეშუმის შარფები მოესხათ, სახე თეთრად და წითლად შეეფერადებინათ, თმაში ცოცხალი ყვავილები გაებნიათ, ხელზე ოქროს სამაჯურები უბრწყინავდათ, პირში კი — ბრილიანტის კბილები. ეს ტივი იყო ერთადერთი მოცურავე საგანი, რითაც ხოსე არკადიო მეორემ შეძლო მაკონდომდე მდინარის აღმა ეცურა და ისიც მხოლოდ ერთხელ, გაგებით კი ვერასოდეს გაიგო, რომ დამარცხდა, პირიქით, თავი მო-

ჰქონდა. ბუნებას ვძლიეთ. უკანასკნელ პესომდე გადაუხადა ომის ვალი და მალე კვლავ მამლების მოშენებას მიჰყო ხელი. ერთადერთი რამ, რაც მის ხელმოცარულ მოგზაურობიდან დარჩა, იყო ახალი ცხოვრების სით. ფრანგმა მანდილოსნებმა რომ ჩამოიტანეს მაკონდოში, თავიანთი შესანიშნავი ხელოვნებით აქ ქალებმა სიყვარულის ტრადიციული მეთოდები შეცვალეს, ხოლო ხალხის სასიკეთოდ დაუცხრომელმა ზრუნვამ ჩააგონათ მიწასთან გაესწორებინათ კატარინოს მოძველებული დუქანი და მიყრუებული ქუჩა გარდაექმნათ, [illegible] ქუჩა ჩინური ფარნებით მორთეს და მალე ეს ადგილი მოღუღუნე ბაზრისა და ორგანის ნაღვლიანი მუსიკით აივსო. სწორედ ფრანგი მანდილოსნების თაოსნობით მოეწყო სისხლიანი კარნავალი, რომელმაც თითქმის სამ დღე [illegible] მაკონდო უგუნურებაში, ხოლო აურელიანო მეორეს გააცნო ფერნანდა დელ კარპიო.

კარნავალის დედოფლად მშვენიერი რემედიოსი აირჩიეს. ამ გოგოს სილამაზე ურსულას შიშს ჰგვრიდა. მაგრამ მის დედოფლობაზე უარი მაინც ვერ თქვა. აქამდე დიდი ბებია თავის შვილიშვილის შვილს ამარანტასთან ერთად უშვებდა ქუჩაში და ისიც წირვაზე და ისიც იმ პირობით, თუ სახეზე შავ მანტილიას ჩამოიფარებდა. კაცები სულ არ იკლავდნენ თავს ღვთის მსახურებით, ის კი არადა. მღვდლის ანაფორაში მოსილთაც შეეძლოთ ბილწობის წირვა ჩაეტარებინათ „კატარინოს დუქანში", მაგრამ ეკლესიაში მაინც დადიოდნენ და დადიოდნენ იმ იმედითაც, იქნებ მშვენიერი რემედიოსის სახეს მოვკრათ თვალიო. მის ზღაპრულ სილამაზეზე აღტაცებითა და რაღაც უწმინდესი შიშით ლაპარაკობდა მთელი მხარე. ცნობისწადილით შეპყრობილ კაცებს დიდხანს არ მოუწიათ თვალი მოეკრათ რემედიოსის მშვენიერებისათვის და საერთოდ სჯობდა სულაც არ მოეკრათ, რადგან ძილსა და მოსვენებას სამუდამოდ დაემშვიდობნენ. იმ ყმაწვილმა კაბალიეროსაც, ვისი წყალობითაც აღსრულდა კაცებმა ნატვრა, სამუდამოდ დაკარგა მოსვენება. ჩვეულ სიღარიბესა და აპირძურის ჭაობში და ერთ-ერთ წელიწადში კიდეც მოკვდა: მთვრალს რკინიგზის ლიანდაგზე ჩაეძინა და მატარებელმა გადაუარა. პირველი წუთიდანვე, როდესაც ეს კაბალიერო ეკლესიაში გამოჩნდა მშვენიერ მწვანე ხავერდის კოსტუმსა და დაქარგულ ჟილეტში გამოწყობილი, ყველანი მიხვდნენ, შორეთელი იყო. ალბათ იქაც მიეღწია მშვენიერი რემედიოსის სილამაზის ამბავს. თვითონაც ისეთი ლამაზი და წარმოსადეგი ყმაწვილი იყო, ისე ღირსეულად იქცეოდა, რომ მის გვერდით პიეტრო კრესპიც კი დაიჩრდილებოდა. ქალები შურით სკდებოდნენ და ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ: თუ დაფარვაა, ამ ჭაბუკმა უნდა დაიფაროს სახე. კაბალიერო მაკონდოში არავის არ იცნობდა. კვირაობით დილაუთენია უფლისწულივით გამოჩნდებოდა ხოლმე ვერცხლის მოსართავებითა და ხავერდის ყაჯარით მორთულ-მოკაზმულ ცხენზე ამხედრებული და წირვის დამთავრებისთანავე მიდიოდა ქალაქიდან. ეკლესიაში პირველსავე მოსვლაზე მიიპყრო ყველას ყურადღება და მაშინვე დაასკვნეს, ამ წარმოსადეგ ყმაწვილსა და მშვენიერ რემედიოსს შორის უსიტყვო და დაძაბული ორთაბრძოლა გაიმართა, რითიც ხელი მოაწერა საიდუმლო ხელშეკრულებას და მათი საბედისწერო მეტოქეობა სადაცაა უნდა დაგვირგვინდეს მარტო სიყვარულით კი არა, სიკვდილითაც. მეექვსე კვირას კაბალიერო ეკლესიაში გამოჩნდა ყვითელი ვარდით ხელში, როგორც ყოველთვის, ახლაც მუხლმოუხრელად მოისმინა წირვა, ხოლო წირვის დამთავრებისთანავე წინ გადაუდგა მშვენიერ რემედიოსს

და ყვავილი მიაწოდა, თითქოს ელოდაო ამ ძღვენს, ქალიშვილმა უბრალოდ, გაუპრანჭავად გამოართვა, წამით გადაიწია მანტილია და გაუღიმა უცნობ ქაბუკს. აი, ის ყველაფერი, რაც მან გააკეთა. მაგრამ კაბალიეროსთვის და თავისდა საუბედუროდ, იქვე მდგომ მამაკაცებისათვისაც ეს წამიერი გაელვება მარად დაუვიწყარი გახდა.

მას შემდეგ კაბალიერო ხშირად მიდიოდა მშვენიერი [illegible]-რასთან მუსიკოსებთან ერთად და თითქმის დილამდე იქ რჩებოდა. აურელიანო მეორე ერთადერთი კაცი იყო, ვინც შეიცოდა თავგზააბნეული ჭაბუკი: „დროს ამაოდ ნუ კარგავ, — უთხრა, — ამ სახლში ქალები ვირებივით ჯიუტები არიან". რაღა არ უთხრა: მეგობრები ვიყოთ, დრო ვატაროთ, შამპანური ვის-ხათ თავზე. ბუენდიების გვარის ქალებს მკერდში გულის ნაცვლად ლოდი უდე-ვთო, მაგრამ ამაოდ. ვერაფერი შეასმინა. ღამის კონცერტებით გულგაწყალე-ბული პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია დაემუქრა კაბალიეროს, თუ აქედან არ წასულხარ, მაგ შენს დარდსა და ნაღველთან ტყვიით დაგაშორებო, მაგრამ შეყვარებულ ვაჟს არაფრის გაგონება არ აურდა, არ შორდებოდა იქაურობას. ამ სიჯიუტეში დრო გადიოდა და ერთ დროს ლამაზი და მოხდენილი ყმაწვილი კაცი ახლა ქუჩის გლახაკს დაემგვანა. ამბობდნენ, აურაცხელი ქონება და დი-დებული ოჯახი მიატოვა თავის ქვეყანაშიო, თუმცა კაცმა არ იცოდა საიდაური იყო ეს კაბალიერო. გაჭირვეულდა, აულ ჩხუბზე ეჭირა თვალი, „კატორინ-ის დუქანსაც" ხშირად აკითხავდა. ყმაწვილკაცს ყველაზე დიდ უბედურებად მია-ჩნდა, მშვენიერ რემედიოსს უფლისწულივით მორთულ-მოკაზმულმაც რომ ვერ მოაწონა თავი ეკლესიაში. ქალიშვილმა ყვითელი ვარდი ყოველგვარი კეკლუ-ცობის გარეშე გასართობად გამოართვა, მანტილიაც იმიტომ გადაიწია, სურდა კარგად დაენახა ვაჟის სახე და არა იმიტომ — თავისი ეჩვენებინა.

მთავარი მაინც ის არის, რომ მშვენიერი რემედიოსი ამ ქვეყნისა არ გახლ-და. კარგა მოზრდილი გოგო იყო, მაგრამ სანტა სოფია დე ლა პიედადი ბანდა და ჰკმევდა, თან მთელი დღე თვალყურს ადევნებდა, საკუთარ განავალში ამო-სვრილი ჯოხით პატარ-პატარა ცხოველები არ ეხატა კედელზე. ოც წლამდე ისე იცხოვრა, წერა-კითხვა არ უსწავლია, არც დანა-ჩანგალი ემარჯვებოდა ხელში. მისი ბუნება პირობითობას ვერ ეგუებოდა და სახლში დედიშობილა დადიოდა. ბუენდიების სახლში ჩაყენებული გვარდიის უფროსს მშვენიერმა რემედიოსმა ცოლობაზე მხოლოდ იმიტომ უთხრა უარი, რომ უბრალოდ გაა-ოცა მისმა ქარაფშუტობამ. „ნამდვილი ჩერჩეტია, — უთხრა ამარანტას, — მეუბნება, შენ მომკლავო. მე როგორ მოვკლავ, ნაწლავების გადახლართვა ვარ თუ რა?.." ოფიცერი მკვდარი რომ იპოვეს მის ფანჯრის ქვეშ, მშვენიერმა რემედიოსმა ამარანტას უთხრა:

— აკი გითხარით, ნამდვილი ჩერჩეტია-მეთქი.

მშვენიერ რემედიოსს თითქოს რაღაც ზებუნებრივი ძალები ეხმარებოდ-ნენ ღრმად ჩასწვდომოდა საგანთა არსს და უარი ეთქვა ყოველგვარ ზედაპი-რულობასა და გარეგნულობაზე, ასე ფიქრობდა პოლკოვნიკი აურელიანო ბუენ-დია. პოლკოვნიკი არ ეთანხმებოდა იმათ, ვისაც ქალიშვილი ჭკუასუსტი ეგონა. პირიქით, ასე ამბობდა: „უყურეთ ამ გოგოს, და ასე გგონია, სულაც არ ყოფილა ომი ოც წელსო". ურსულაც ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ ბუენდიების ოჯახს, როგორც იქნა, ეღირსა და მოევლინა ასეთი უწმინდესი არსება, მაგრამ მისი სილამაზისა კი ეშინოდა. ბუნების საჩუქარი კი არა, ეშმაკის ნახელავია

მისი მშვენება და უმანკოება, ფიქრობდა დედაბერი. ამიტომაც ცდილობდა ხალხისაგან, მიწიერ ცდუნებისაგან შორს და განმარტოებული ჰყოლოდა ქალიშვილი. მან არ იცოდა, რომ მშვენიერ რემედიოსს დედის მუცლიდანვე დაჰყოლოდა უმანკოება, სულის სიწმინდე და ვერავითარი ცდუნება ვერ წაართმევდა მას ამ თვისებებს. ურსულას არაფრით არ სურდა, რემედიოსი [illegible] ეშმაკისეულ თავყრილობის დედოფლად გაეშვა, კარნავალს რომ [illegible] მაგრამ აურელიანო მეორეს ისეთი მწველი სურვილი ჰკლავდა, ვეფხია ტყავში გამოწყობილიყო, რომ მღვდელ ანტონიო ისაბელს სთხოვა, ურსულასთან მიმეგზავნე, იქნებ დაიყაბულოო. მღვდელი იმდენს ელაპარაკა ქალს, კარნავალი წარმართთა დღესასწაული კი არა, კათოლიკური ეკლესიის ნათლით ცხებული სახალხო დღესასწაულიაო, — რომ ბოლოს ურსულა დაითანხმა, თუმცა გული მაინც ეთანაღრებოდა.

მშვენიერი რემედიოსი იქნება კარნავალის დედოფალიო! — ეს ხმა ერთ-ორ საათში მოედო მთელ მხარეს და ყველაზე მივარდნილ კუთხე-კუნჭულსაც კი მიაღწია. იქ ჯერ კიდევ არაფერი სმენოდათ რემედიოსის ზეციურ მშვენებაზე და ზოგ-ზოგნი შეშფოთდნენ კიდეც, რადგან სიტყვა „მშვენიერი" და საძულველი გვარი ბუენდია რაღაც საზიფათო აზრს იძენდა მათთვის. მაგრამ საშიში არაფერი იყო, თუკი იმ ხანებში ვინმეზე ითქმოდა უწყინარი და მშვიდი კაციაო, — ეს კაცი სწორედ დაბერებული და გულგატეხილი პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია გახლდათ. იგი თანდათანობით იკეტებოდა თავის ნაჭუჭში და შორდებოდა ადამიანებს. იჯდა თავის სახელოსნოში და ერთადერთი გზა, რითაც ხალხთან ურთიერთობდა, ოქროს თევზებით ვაჭრობა იყო. ერთი ჯარისკაცი, ბუენდიების სახლში რომ იდგა ყარაულად დიდი ხნის წინათ, სოფელ-ქალაქებს მოივლიდა ხოლმე, ოქროს თევზებს ყიდდა და იქიდან ოქროს მონეტებითა და ახალი ამბებით დატვირთული ბრუნდებოდა. რას არ უამბობდა ხოლმე პოლკოვნიკს: კონსერვატორთა მთავრობამ ლიბერალების მხარდაჭერით განუზრახავთ შექმნან ახალი კალენდარი ისე, რომ ყოველი პრეზიდენტი ას წელს იდგეს სახელმწიფოს სათავეშიო; როგორც იქნა, ხელი მოაწერეს კონკორდატს და რომიდან კარდინალი ჩამოვიდა. გვირგვინი მთლად ბრილიანტისა ედგა თავზე, ტახტრევანი კი სუფთა ოქროსი იყო; ლიბერალი მინისტრები მის ბეჭედზე სამთხვევად მუხლებზე დაეცნენ და ასე გადაიღეს სურათი; ესპანური დასის პრიმადონა ვიღაც ნიღაბაფარებულ ხალხს მოუტაცნია პირდაპირ თავის საპირფარეშოდან და ამბობენ, მეორე დღეს მთლად დედიშობილა ცეკვავდა პრეზიდენტის სასახლეშიო. „პოლიტიკაზე ნუ მელაპარაკები, — უთხრა პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ, — ჩვენი საქმე თევზების გაყიდვაა". ურსულას რომ უთხრეს, პოლკოვნიკს არ სურს საქვეყნო საქმეებზე ლაპარაკი, ზის თავის სახელოსნოში და მდიდრდებაო, გაეცინა, რა აზრი აქვს მის ვაჭრობას, ოქროს თევზებში ოქროს მონეტებს იღებს, მერე ამ მონეტებს ისევ თევზებად აქცევს და ასე გრძელდება დაუსრულებლად. მეტს გაყიდის, მეტი უნდა იმუშაოს, რათა არსად არ გაუწყდეს ეს ეშმაკისეული წრეო. სიმართლე თუ გინდათ, პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას ფულზე მეტად საქმე იტაცებდა. მთელი არსებით მიეცემოდა ხოლმე სამუშაოს: თევზის ტანი უნდა მოერთო ქერცლით, ფარფლებით, კუდით. თვალების ადგილას ნამცეცა ლალის ქვები უნდა ჩაესვა. საქმეში გართულს აღარც ომი ახსოვდა და აღარც ის გულგატეხილობა, ომის მერე რომ დაეუფლა. საიუველირო საქმე ისეთ სიზუსტეს

და სინატიფეს მოითხოვდა, რომ პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია ახლა უფრო მოტყდა, ვიდრე ომის წლებში. დიდხანს ჯდომისგან ხერხემალი გაუმრუდდა. ფაქიზმა საამუშაომ მხედველობა გაუფუჭა, სამაგიეროდ სული დაუმშვიდდა და დაუამდა. ბოლო დროს ომს მხოლოდ ერთი მოუგვარებელი საკითხი აგონებდა პოლკოვნიკს: ვეტერანებმა — კონსერვატორებმაც და ლიბერალებმაც — სთხოვეს, მთავრობასთან გვიშუამდგომლეთ, შეპირებული პენსია იქნებ დაგვინიშნონო. „მოეშვით პენსიაზე ფიქრს, — უპასუხა პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ, — ხომ ხედავთ, მე უარი ვთქვი. არ მინდა სიკვდილამდე ვიტანჯო მის მოლოდინში!" პირველ ხანებში საღამოობით ხშირად მოდიოდა ხოლმე მასთან პოლკოვნიკი ხერინელდო მარკესი. ორივენი სახლის წინ ქუჩაში დასხდებოდნენ და წარსულს იხსენებდნენ, ამარანტას აღარ შეეძლო ამ სახედაღლილი და გამელოტებული კაცის დანახვაზე წამოტივტივებული მოგონებების მოთმენა. მოძალებული სიმელოტე კაცს ნაადრევი სიბერის უფსკრულისკენ მიაქანებდა და უსამართლო უარითაც იმდენჯერ ატკინეს გული, რომ ბუენდიებთან სიარულს ნელ-ნელა უკლო. მერე კი სულ გაქრა — დამბლა დაეცა. ჩუმი და გულჩახვეული პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია ხედავდა, ახალი, მისთვის უცხო ცხოვრებით ივსებოდა სახლი და თანდათან ხვდებოდა მშვიდი სიბერის საიდუმლოებასაც — თუ სიბერეში სიმშვიდე გსურს მოიპოვო, ერთგულად უნდა დაუმეგობრდე მარტოობას. დილის ხუთ საათზე დგებოდა, თითქოს ძილი გადაავიწყდაო, ღრმად არასოდეს სძინებია. სვამდა თავის საყვარელ ფინჯან უშაქრო ყავას და მერე მთელი დილა გამოიკეტებოდა სახელოსნოში. დღის ოთხ საათზე შუშაბანდში გაივლიდა სკამით ხელში. ზედ არ უყურებდა არც ცეცხლისფრად აბრიალებულ ვარდის ბუჩქებს, არც ჩამავალ მზის შუქს და არც გამომწვევად მზირალ ამარანტას, ვისი განუშორებელი ნაღველიც ქოთნის თუხთუხივით ესმოდა საღამოს დუმილში. და იჯდა პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია სახლის წინ ქუჩაში, ვიდრე კოღოები მოსვენებას არ დაუკარგავდნენ. ერთხელ ერთმა გამვლელმა გაბედა და დაურღვია მარტოობა:

— როგორა ხართ, პოლკოვნიკო?

— რას ვიზამ, ვზივარ, — უპასუხა მან. — ვუცდი, როდის ჩამატარებენ კუბოთი.

ასე რომ, შეშფოთება, რაც აქ ზოგიერთებში გამოიწვია მშვენიერი რემედიოსის დედოფლად არჩევასთან დაკავშირებით პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიის სახელის ამოტივტივებამ, სრულიად უსაფუძვლო იყო. და მაინც ბევრი სხვა აზრისა გახლდათ. მაკონდოელები ჯერ ბაიბურშიც არ იყვნენ, რა ტრაგედიაც უნდა დატრიალებულიყო იქ და მხიარული ღრიანცელით აავსეს მოედანი. აურელიანო მეორემ, როგორც იქნა, აისრულა წადილი. ვეფხის ტყავში გამოხვეული დააბიჯებდა ბრბოში და ყვირილისაგან ხმა ჩახლეჩოდა. უცებ გზაზე ნიღბოსნების კარგა დიდი ჯგუფი გამოჩნდა, მოოქრული ტახტრევნით მოჰყავდათ ქალი, რომლის სადარიც ჯერ არავის ენახა დედამიწის ზურგზე. მაკონდოელებმა ნიღბები მოიხსნეს, რათა უკეთ დაენახათ მშვენიერი არსება, რომელსაც თავს ზურმუხტის გვირგვინი ედგა, ხოლო ტანს ყარყუმის მოსასხამი უმშვენებდა. გეგონებოდა, ყალბი ოქრომკერდით ამოსირმული, უბრალო შუშის ბრჭყვიალებით მორთული ქაღალდის სამოსი კი არა, ნამდვილი სადედოფლო სამოსი მოსავსო. ბრბოში ბევრი საზრიანი კაცი ერია და მაშინვე უამრავი რაღაც იგუმანეს; მაგრამ აურელიანო მეორემ ყველაფერი მოაწესრიგა: ახლად მოსულ-

ნი საპატიო სტუმრებად გამოაცხადა და ნამდვილი სოლომონ ბრძენის სიდინჯით დასვა ერთ კვარცხლბეკზე მშვენიერი რემედიოსიცა და თვითმარქვია დედოფალიც. მოსულები ბედუინებივით შემოსილიყვნენ, შუაღამემდე მხიარულობდნენ და საკუთარი წვლილიც კი შეიტანეს ზეიმში: უჩვენეს დიდებული პიროტექნიკა და ვირტუოზული აკრობატიკა, ბოშების ძველ ხელოვნებას რომ აგონებდა დამსწრეთ. მაგრამ მალე სწორედ შუაგულ მხიარულებაში, ვიღაცამ დაარღვია ზომიერი ვითარება:

— გაუმარჯოს ლიბერალების პარტიას! გაუმარჯოს პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას!

თოფის ლულებიდან გამოცვენილმა ნაპერწკლებმა ფერი გაუკრთეს ფეერიულ ცეცხლს, ყურისწამღებმა გნიასმა დაფარა მუსიკა, ზეიმი აირ-დაირია. მრავალი წლის მერეც ამბობდნენ ხალხში, თვითმარქვია დედოფლის ამალა სინამდვილეში რეგულარული ჯარის ესკადრონი იყო და ბედუინების ნაოჭიან სამოსქვეშ თოფები ჰქონდათ დამალულიო. მთავრობამ სასწრაფოდ უარყო ეს ბრალდება და ხალხს შეჰპირდა, ძირისძირობამდე გამოვიძიებთ ამ სისხლიანი ზეიმის მიზეზსო. მაგრამ ვერა და ვერ დადგინდა ჭეშმარიტება. ამრიგად, დარჩა ერთი ვარიანტი, ნამდვილად დედოფლის ამალამ დახვრიტა ხალხი უმიზეზოდ თავისი ოფიცრის ნიშანზეო. როდესაც სიჩუმე ჩამოვარდა, ერთი ბედუინის ჭაჭანებაც კი აღარ იყო ქალაქში. მოედანზე მოკლულები და დაჭრილები ეყარნენ: ხუთი ჯამბაზი, ოთხი კოლომბინა, თექვსმეტი ბანქოს პაპა, ერთი ეშმაკი, სამი მუსიკოსი, ორი ფრანგი პერი და სამიც იაპონელი დედოფალი. ამ აურზაურსა და არეულობაში ხოსე არკადიო მეორემ ხელი დაავლო მშვენიერ რემედიოსს და უშიშარ ადგილას მიაფარა, აურელიანო მეორემ კი ხელატატებული მიიყვანა სახლში თვითმარქვია დედოფალი, რომელსაც კაბა დახეოდა და ყარყუმის მოსასხამიც სისხლით მოთხვროდა. ამ ქალს ფერნანდა დელ კარპიო ერქვა. იგი ხუთი ათას ლამაზ ქალში ამოარჩიეს და მაკონდოში მიიყვანეს იმ პირობით, მერე მადაგასკარის დედოფლად დაგსვამთო. ურსულა ისე დასდევდა, როგორც საკუთარ შვილს. იმის ნაცვლად რომ ქალიშვილი დაესაჯათ, მაკონდოელები თანაგრძნობით მოეპყრნენ, გულუბრყვილობაში მიუთვალეს დანაშაული. სისხლიანი კარნავალიდან ექვსი თვის მერე, დაჭრილები რომ გამოკეთდნენ და საძმო საფლავზეც მიჭკნა ყვავილები, აურელიანო მეორე შორ გზას დაადგა უცხო ქვეყნიდან ფერნანდა დელ კარპიოს ჩამოსაყვანად, სადაც ქალი მამასთან ერთად ცხოვრობდა, ჩამოიყვანა კიდეც მაკონდოში და ოცდღიანი დიდი ქორწილიც გადაიხადა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

# გაბრიელ გარსია მარკესი

## მარტოობის ასი წელიწადი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომანი

ესპანურიდან თარგმნა ელზა ახვლედიანმა

112 74

ქორწინებიდან ორი თვის თავზე აურელიანო მეორე და ფერნანდა დელ კარპიო კინაღამ არ გაეყარნენ ერთმანეთს. აურელიანო მეორეს თავი დამნაშავედ მიაჩნდა პეტრა კოტესის წინაშე და რაღაცით რომ გამოესყიდა ეს დანაშაული, განიზრახა თავისი ხასა მადაგასკარის დედოფლის სამოსში გამოეწყო და ისე გადაეღო მისთვის სურათი. ეს რომ ფერნანდამ გაიგო, ზანდუკებში ჩაალაგა თავისი მზითევი და არც არავის დამშვიდობებია, ისე წავიდა მაკონდოდან. აურელიანო მეორე გზაში დაეწია, და ბევრი ხვეწნა-მუდარის მერე, როგორც იქნა, დააბრუნა ცოლი, საყვარელი კი კვლავ მიატოვა.

პეტრა კოტესი დარწმუნებული იყო თავის ძლიერებაში და არც შეშფოთებულა. მე რომ არა, განა აურელიანო მეორე კაცი გახდებოდა? ჯერ კიდევ ბავშვი იყო, ამ ქვეყნისა არაფერი გაეგებოდა და თავიც ათასნაირი სისულელით ჰქონდა გამოტენილი, მელკიადესის ოთახიდან რომ გამოვათრიე და თავისი ადგილი მივუჩინე სოფელ-ქვეყანაშიო, — ამბობდა ქალი. აურელიანო მეორე გულჩახვეული, მიუკარებელი და ფიქრიანი ყმაწვილი იყო, პეტრა კოტესმა სულ სხვა კაცად აქცია იგი, გამოაფხიზლა და ხალხში გამოიყვანა. მან ჩაუნერგა ცხოვრების ხალისი, შეაყვარა ქეიფი და დროსტარება და რაც მთავარია, ისეთ ვაჟკაცად აქცია გარეგნულადაც და შინაგანადაც, ყმაწვილკაცობაში რომ ოცნებობდა. მერე ამ კაცმა ცოლი მოიყვანა — რას იზამ, ყველა კაცი ერთნაირია. აურელიანო მეორე დიდხანს ვერ უმხელდა, ცოლს ვირთავო და ბავშვივით ჭირვეულობდა: ხან მწარე-მწარეებს ეტყოდა ხოლმე, ხანაც უსამართლოდ საყვედურობდა, ათასნაირ მიზეზებს ეძებდა, იქნებ პეტრა კოტესმა თვითონ მიმატოვოსო. ერთხელ აურელიანო მეორემ თავის საყვარელს რაღაც დააბრალა, ქალმა თავი აარიდა ჩხუბს და პირდაპირ უთხრა:

— გეყოფა, ვიცი, დედოფლის მოყვანა გინდა ცოლად.

---

დასასრული. დასაწყისი იხ. „საუნჯე" № 2

# გაბრიელ გარსია მარკესი

## მარტოობის ასი წელიწადი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**რომანი**

**ესპანურიდან თარგმნა ელზა ახვლედიანმა**

172 74

ქორწინებიდან ორი თვის თავზე აურელიანო მეორე და ფერნანდა დელ კარპიო კინაღამ არ გაეყარნენ ერთმანეთს. აურელიანო მეორეს თავი დამნაშავედ მიაჩნდა პეტრა კოტესის წინაშე და რაღაცით რომ გამოესყიდა ეს დანაშაული, განიზრახა თავისი ხასა მადაგასკარის დედოფლის სამოსში გამოეწყო და ისე გადაეღო მისთვის სურათი. ეს რომ ფერნანდამ გაიგო, ზანდუკებში ჩაალაგა თავისი მზითევი და არც არავის დამშვიდობებია, ისე წავიდა მაკონდოდან. აურელიანო მეორე გზაში დაეწია, და ბევრი ხვეწნა-მუდარის მერე, როგორც იქნა, დააბრუნა ცოლი, საყვარელი კი კვლავ მიატოვა.

პეტრა კოტესი დარწმუნებული იყო თავის ძლიერებაში და არც შეშფოთებულა. მე რომ არა, განა აურელიანო მეორე კაცი გახდებოდა? ჯერ კიდევ ბავშვი იყო, ამ ქვეყნის არაფერი გაეგებოდა და თავიც ათასნაირი სისულელით ჰქონდა გამოტენილი. მელკიადესის ოთახიდან რომ გამოვათრიე და თავისი ადგილი მივუჩინე სოფელ-ქვეყანაშიო, — ამბობდა ქალი. აურელიანო მეორე გულჩახვეული, მიუკარებელი და ფიქრიანი ყმაწვილი იყო, პეტრა კოტესმა სულ სხვა კაცად აქცია იგი, გამოაფხიზლა და ხალხში გამოიყვანა. მან ჩაუნერგა ცხოვრების ხალისი, შეაყვარა ქეიფი და დროსტარება და რაც მთავარია, ისეთ ვაჟკაცად აქცია გარეგნულადაც და შინაგანადაც, ყმაწვილქალობაში რომ ოცნებობდა. მერე ამ კაცმა ცოლი მოიყვანა — რას იზამ, ყველა კაცი ერთნაირია. აურელიანო მეორე დიდხანს ვერ უმხელდა, ცოლს ვირთავო და ბავშვივით ჭირვეულობდა: ხან მწარე-მწარეებს ეტყოდა ხოლმე, ხანაც უსამართლოდ საყვედურობდა, ათასნაირ მიზეზებს ეძებდა, იქნებ პეტრა კოტესმა თვითონ მიმატოვოსო. ერთხელ აურელიანო მეორემ თავის საყვარელს რაღაც დააბრალა, ქალმა თავი აარიდა ჩხუბს და პირდაპირ უთხრა:

— გეყოფა, ვიცი, დედოფლის მოყვანა გინდა ცოლად.

---

დასასრული. დასაწყისი იხ. „საუნჯე" № 2



[stamp]

აურელიანო მეორეს შერცხვა, მაგრამ სიმართლეს სად წაუვიდოდა. ვითომ გაუბრაზდა დაუმსახურებელი საყვედურისთვის და ფეხი მოიკვეთა მისი სახლიდან. პეტრა კოტესს მახეში გაბმული მხეცივით წამითაც არ დაუკარგავს სულის მხნეობა. შორიდან ისე მშვიდად ისმენდა მუსიკას, დაფდაფების ხმას და საქორწილო ღრიანცელს, თითქოს აურელიანო მეორეს უბრალო ნადიმი ჰქონდა და მეტი არაფერი. ვინც თანაგრძნობით გამოელაპარაკებოდა, პირიქით ამშვიდებდა ღიმილით: „ნუ ღელავთ, დედოფლები ჩემთან რას მოვლენ!“ ერთმა ქალმა ურჩია, სანთლებს შეულოცე და შენი საყვარლის სურათთან დაანთეო, მაგრამ პეტრა კოტესმა დაბეჯითებით და იდუმალით აღსავსე ხმით უპასუხა:

— ერთადერთი სანთელი, რისთვისაც ის ადრე თუ გვიან დაბრუნდება, ჩაუქრობლად ანთია.

მართლაც, როგორც კი განვლო თაფლობის თვემ, აურელიანო მეორე საყვარელთან მივიდა. მას თან ახლდნენ ძმაკაცები და ერთიც მოხეტიალე ფოტოგრაფი. აურელიანო მეორემ პეტრა კოტესი ძალით მორთო ფერნანდას საკარნავალო სამოსში, მხრებზე სისხლით მოთხვრილი ყარყუმის მოსასხამი მოასხა და მადაგასკარის სრულუფლებიან დედოფლად გამოაცხადა, თან ბრძანა, მისთვის სურათი გადაეღოთ, რათა მერე მეგობრებში დაერიგებინა. პეტრა კოტესმა თავის საყვარელს მხარი აუბა თამაშში, მიხვდა, კაცს გაუჭირდა და შერიგების ასეთი გზა იმიტომ მოიგონა. საღამოს შვიდ საათზე დედოფლის სამოსელში გამოწყობილი დახვდა აურელიანო მეორეს ლოგინში. ორი თვის შერთული არ ჰყავდა ცოლი, მაგრამ პეტრა კოტესმა კაცს წამსვე შეამჩნია, მათი ცოლქმრობის საქმე სარეცელზე არც ისე კარგად მიდიოდა და საამო ჟრუანტელმა დაუარა მთელს სხეულში აღსრულებული შურისძიების გამო, მაგრამ ორი დღის მერე აურელიანო მეორემ თვითონ ვერ გაბედა მისვლა და შუამავალი გაუგზავნა საყვარელს. შუამავალს ქალისათვის უნდა მოეხსენებინა ის მიზეზები, რის გამოც ისინი ერთმანეთს უნდა დაშორებოდნენ. პეტრა კოტესი ახლა კი მიხვდა, კიდევ დიდხანს მოუწევდა მოთმინება, მისი საყვარელი, ეტყობა, საზოგადოებაში წესიერი კაცის სახელს ეწირებოდა მსხვერპლად. არც ახლა შეშფოთებულა პეტრა კოტესი, ყოველგვარი აყალმაყალისა და ალიაქოთის გარეშე შეხვდა თავის საყვარლის ხუშტურებს და სწორედ ამის გამო დაიგდო ხალხში ერთი საწყალი, უღონო ქალის სახელი. საყვარლის სამახსოვროდ მხოლოდ ერთი წყვილი ლაქის ფეხსაცმელი დარჩა; ჩემი საკუბოვე ფეხსაცმელიაო, ხშირად უთქვამს აურელიანო მეორეს. პეტრა კოტესმა ფეხსაცმელი საგულდაგულოდ გაახვია ნაჭერში, ზანდუკში ჩადო და მოთმინებით დაიწყო ლოდინი.

— ადრე იქნება თუ გვიან, მოვა, — თქვა მან. — ამ ფეხსაცმლისთვის მაინც მოვა.

მაგრამ ისე მალე თუ მოვიდოდა არ ეგონა. რაც მართალი მართალია, აურელიანო მეორე ქორწინების პირველსავე ღამეს მიხვდა, პეტრა კოტესს უფრო ადრე დაუბრუნდებოდა, ვიდრე ლაქის ფეხსაცმელი დასჭირდებოდა. საქმე ის არის, რომ ფერნანდა ამ ქვეყნისა არ აღმოჩნდა. იგი დაიბადა და გაიზარდა ზღვიდან ათას კილომეტრზე მდებარე პირქუშ ქალაქში, რომლის ქუჩაბანდებშიც ღამ-ღამობით მოჩვენება-ეტლები ბორბლების ხრიგინით დაატარებდნენ ყოფილ ხელმწიფეთა აჩრდილებს. საღამოს ექვს საათზე, ყოველდღე, ქალაქის

სამრეკლოში ოცდათორმეტჯერ ჩამოჰკრავდნენ ხოლმე სამგლოვიარო ზარს. კოლონიური სტილის და საფლავის ქვებით მოპირკეთებულ ძველ სახლში მზის სხივი არასოდეს არ ატანდა. კიპარისებიან და ნესტიანი ტუბეროზებიან ბაღში მკვდრული სიჩუმე სუფევდა. გარე სამყაროდან ფერნანდას თითქმის ყმაწვილ ქალობამდე არ მისწვდენია ხმა, გარდა იმ მელანქოლიური [illegible] მეზობელ სახლში ვიღაცა რომ ვარჯიშობდა პიანინოზე. ის ვიღაც [illegible] დღიდან დღემდე იკლებდა ძილს სიესტის დროს. ფერნანდა იჯდა ავადმყოფი დედის საწოლთან, შესცქეროდა დამტვერილ ვიტრაჟების ფერზე მომწვანო-მოყვითალოდ აჭრელებულ მის სახეს, ყურს უგდებდა ჯიუტსა და ნაღვლიან გამებს და ფიქრობდა, ეს მუსიკა სადღაც იქ შორეულ სამყაროში მანამდე იჟღერებს, ვიდრე მე აქ საფლავის გვირგვინების დაწვნას არ მოვეშვებიო. დედა თითქმის ყოველი ციებ-ცხელების მოვლის მერე მთლად გაოფლილი უყვებოდა მათი ოჯახის ბრწყინვალე წარსულზე. ჯერ კიდევ პატარაობაში ფერნანდამ ერთ მთვარიან ღამეს ბაღში სამლოცველოსკენ მიმავალი მშვენიერი, თეთრებში მოსილი ქალი დაინახა, მაგრამ ყველაზე მეტად იმან აალელვა, რომ წამით მოეჩვენა, თითქოს ეს ქალი თვითონ იყო, ოღონდ ოცი წლის მერე. „ეგ შენი ბებიაა, დედოფალი. — უთხრა დედამ ხველებ-ხველებით. — მოკვდა. ბაღში ტუბეროზებს ჭრიდა და მათმა სუნმა მოწამლა". ფერნანდა გაიზარდა, მაგრამ ის გრძნობა, დიდებისას რომ ჰქონდა, არ მოშორებია, დაეჭვებით კი დაეჭვდა. ბავშვობაში ნეტავ მართლა გამომეცხადა ის ქალიო? დედამ დატუქსა ურწმუნოებისათვის.

— უსაზღვროდ მდიდრები და შეძლებულები ვართ. მოვა დრო და დედოფალი გახდები.

ფერნანდამ დაიჯერა, თუმცა დასაჯერებელი არაფერი ჰქონდა. თეთრსუფრაგადაფარებულ და ვერცხლის დანა-ჩანგლით გაწყობილ მაგიდასთან მჯდარს ჩვეულებრივ ერთ ფინჯან წყალ-წყალა შოკოლადსა და ერთ პატარა ნამცხვარს მიუტანდნენ ხოლმე. იგი ქორწინების დღემდეც კი დედოფლობაზე ოცნებობდა, თუმცა ქალიშვილისთვის მზითევი რომ გაემზადებინა, მამამისმა სახლი დააგირავა. ფერნანდას ოცნებები არც გულუბრყვილობის ნაყოფი იყო და არც განდიდების სურვილი. უბრალოდ, პატარაობიდანვე ამ რწმენით გაზარდეს, რაც თავი ახსოვს, მუდამ საგვარეულო ღერბით დამშვენებულ ოქროს ღამის ქოთანზე ჯდებოდა. თორმეტი წლისა რომ შესრულდა, სამონასტრო სკოლაში მიაბარეს. მაშინ პირველად დატოვა სახლი, ჩასვეს ეტლში და სკოლისკენ გააქანეს, არადა, სკოლა სულ ორ ნაბიჯზე იყო სახლიდან. სკოლის ამხანაგებს უკვირდათ, ახლად მოსული ცალკე რომ იჯდა, მაღალზურგიან სკამზე, შესვენების დროსაც არავის ეკარებოდა. „ეს გოგონა თქვენნაირი არ არის, — აუხსნეს მონაზვნებმა ბავშვებს. — ეგ დედოფალი იქნება". გოგონებმა მაშინვე დაიჯერეს, რადგან ფერნანდა ჯერ კიდევ მაშინ გამოირჩეოდა ყველასაგან არაჩვეულებრივი სილამაზით, კეთილშობილებითა და მოკრძალებით. გავიდა რვა წელიწადი, ფერნანდა უკვე ლექსებს წერდა ლათინურად. ისწავლა კლავიკორდზე დაკვრა, შეეძლო ვაჟებთან შევარდნებსა და ნადირობაზე ლაპარაკი, არქიეპისკოპოსებთან აპოლოგეტიკაზე მსჯელობა, უცხოელ მთავრობათა მეთაურებთან — სახელმწიფოს ბედ-იღბალზე კამათი და პაპთან — საღვთო საქმეებზე საუბარი. ყოველივე ამის მერე იგი დაუბრუნდა მშობლიურ სახლს, რათა კვლავ საფლავის გვირგვინები ეკეთებინა. სახლი თითქმის დაცარიელებული

დაუხვდა. ერთი-ორი სკამი, მაგიდა, ვერცხლის ჭურჭელი. შანდლები და კიდევ რაღაცები დაეტოვებინათ, დანარჩენი კი წელ-წელა გაეყიდათ — მის სწავლა-განათლებას ხომ ფული სჭირდებოდა! დედა მომკვდარიყო. დონ ფერნანდო მთლად შავებში მოსილი დადიოდა. ყელზე მეტისმეტად გახამებული საყელო ეკეთა, მკერდზე ოქროს ძეწკვიანი საათი ეკიდა. ორშაბათობით ქალიშვილს ვერცხლის ფულს აძლევდა სახარჯოდ, სამაგიეროდ მთელი წლის მანძილზე დაწნული გვირგვინები მიჰქონდა გასაყიდად. მამა თითქმის მთელი დღე ჩაკეტილი იჯდა თავის ოთახში, ხოლო როცა იშვიათად გადიოდა ქალაქში, ყოველთვის ექვს საათამდე ბრუნდებოდა შინ, რათა ქალიშვილთან ერთად ელოცა. ფერნანდას არასოდეს ჰყოლია მეგობარი, არც ის გაეგია, ომმა სისხლისაგან როგორ დაწრიტა ქვეყანა. მხოლოდ ის ესმოდა, პიანინოზე რომ ვარჯიშობდა ვიღაც ყოველდღე სამ საათზე. დედოფლობის იმედი უკვე დაკარგული ჰქონდა, რომ ერთ დღეს სადარბაზო კარის ჩაქუჩი მოუთმენლად დააბრახუნეს. ფერნანდამ კარი გაუღო წარმოსადეგსა და მეტისმეტად თავაზიან სამხედრო კაცს, რომელსაც ლოყაზე ნაჭრილობევი აჩნდა, მკერდზე კი ოქროს მედალი უბრწყინავდა. ეს კაცი და ფერნანდას მამა კაბინეტში ჩაიკეტნენ. ორი საათის მერე დონ ფერნანდომ ქალიშვილს სამუშაო ოთახში მიაკითხა და უთხრა: „მოემზადე, გრძელი გზა გელის". აი, ასე მიიყვანეს ფერნანდა მაკონდოში, სადაც ცხოვრებამ ერთი დარტყმით შეუბრალებლად დაატეხა თავს ის სინამდვილე, რასაც მშობლები ასე გულდაგულ უმალავდნენ წლების მანძილზე. შინ რომ დაბრუნდა, თავის ოთახში ჩაიკეტა და დიდხანს ტიროდა. დონ ფერნანდო ყოველნაირად ცდილობდა ქალიშვილისთვის ჭრილობა გაემთელებინა, თხოვდა, ემუდარებოდა, მაპატიე, ასე გულქვად რომ მოგექეციო. ფერნანდამ დაიფიცა, ჩემი ოთახიდან სიკვდილამდე არ გამოვალო, მაგრამ ერთ დღეს აურელიანო მეორემ მოაკითხა, ეს კი უკვე ქალიშვილისთვის წარმოუდგენელი გამარჯვება იყო. მაშინ, მაკონდოში, სისხლიანი კარნავალის მერე, აღშფოთებულმა და შერცხვენილმა ფერნანდამ თავისი ვინაობა არ გაუმხილა აურელიანო მეორეს იმანაც, ფერნანდას საძებნელად რომ დაადგა გზას, მხოლოდ ორი რამ იცოდა ქალიშვილზე — მთიელთა კილოზე რომ ლაპარაკობდა და საფლავის გვირგვინებს წნავდა. აურელიანო მეორე ისეთივე სიშმაგითა და გახელებით ეძებდა საბედოს, რა სიშმაგითა და გახელებითაც გადალახა ქედი ხოსე არკადიო ბუენდიამ, რათა დაეარსებინა მაკონდო; ისეთივე ბრმა სიამაყით ავალი დაადგა გზას, რა სიამაყითაც პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია ხელს თავს ატეხდა უაზრო ომებს; ისეთივე უგნური სიჯიუტით დაეძებდა ფერნანდას ყველგან, რა სიჯიუტითაც იღვწოდა ურსულა თავისი გვარის სიცოცხლისათვის. აურელიანო მეორე სულით არ ეცემოდა. ყველას ეკითხებოდა, საფლავის გვირგვინები სად იყიდებაო. სახლიდან სახლში დადიოდა ვითომ უკეთესი გვირგვინის ამოსარჩევად; ყველას ეკითხებოდა, ამქვეყნად ყველაზე ლამაზი ქალი სად ცხოვრობსო და დედებიც თავიანთ ქალიშვილებს უჩვენებდნენ. დაძრწოდა აურელიანო მეორე ალაღბედზე, გაურკვევლობის ბურუსში, მეხსიერებიდან ამოშლილ ნაკვალევებსა და გულგატეხილობის ლაბირინთებში. გადაიარა ყვითელი უდაბნო, სადაც ექო მის აზრებს იმეორებდა, ნაღველი კი მოჩვენებები ეტრიალებოდა თვალწინ. კარგახნის უნაყოფო ძებნის მერე იგი მივიდა უცხო ქალაქში, სადაც თითქმის მთელი დღე სამგლოვიაროდ რეკდნენ ზარები. თუმცა თვალით არასოდეს ენახა და არც ყურით გაეგონა, მაინც იცნო

ჩრდილოეთის ქარებისგან შეჭმული კედლები, ჩაშავებული ხის ავეჯები და ჭიშკარზე მიკრული მუყაო, რომელზეც ძლივს ამოიკითხავდით წვიმებისგან გადამლილ ამქვეყნად ყველაზე ნაღვლიან სიტყვებს: „იყიდება სამგლოვიარო გვირგვინები“. ამ წუთიდან იმ ყინვიან დილამდე, როდესაც ფერნანდას ერთი ილუმენი ქალის თანხლებით სამუდამოდ უნდა დაეტოვებინა თავისი სახლი, ისე ცოტა დრო გავიდა, რომ მონაზვნებმა ძლივს მოასწრეს მზითევის შეკერვა და ზანდუკში შანდლების, ვერცხლის, ჭურჭლეულის, ოქროს ღამის ქოთნის და ორი საუკუნის მანძილზე საგვარეულო დაშლისა და დაცემის ნარჩენების, უამრავი არაფრისმაქნისი ნივთის ჩალაგება. დონ ფერნანდომ უარი თქვა ქალიშვილს თან წაჰყოლოდა და შეჰპირდა, ჩემს საქმეებს მოვილევ და მაშინ უსათუოდ გესტუმრები მაკონდოშიო. გზა დაულოცა ქალიშვილს და მაშინვე ჩაიკეტა კაბინეტში, საიდანაც შემდეგში სამგლოვიარო ვინიეტითა და ღერბით მორთულ წერილებს უგზავნიდა. ამ წერილებმა, პირველად მამა-შვილის ცხოვრებაში, რაღაცნაირად, სულიერად დაუკავშირა ისინი ერთმანეთს. ფერნანდასთვის სახლიდან წასვლის დღე მისი ხელმეორედ დაბადების დღე იყო, ხოლო აურელიანო მეორესთვის ერთდროულად — დასაწყისიც და დასასრულიც ბედნიერებისა.

ფერნანდამ მაკონდოში ჩამოიტანა მოოქროული ყვავილებით მორთული მშვენიერი კალენდარი, სადაც მისმა სულიერმა მამამ იისფერი მელნით აღუნიშნა ცოლქმრული მოვალეობისგან თავშეკავების დღეები. რომ გამოაკლო ენების კვირა, ჩვეულებრივი კვირა დღეები, ყოველი თვის პირველი პარასკევი, წირვაზე მისასვლელი დღეები, მარხვისა და აღთქმის დღეები, აგრეთვე ის დღეებიც, როდესაც ქალებს ციკლური შეუძლობა აწუხებთ ხოლმე, ბოლოს და ბოლოს შერჩა მხოლოდ ორმოცდაორი დღე, რომლებიც აქა-იქ საცოდავად მიმოფანტულიყვნენ იისფერი მელნით აღნიშნულ ჯვრების უსიერ ტყეში. აურელიანო მეორეს იმედი ჰქონდა, დრო დაანგრევდა ამ ეკლიან მავთულხლართს და ქორწილი გააჭიანურა. შამპანურისა და ბრენდის უამრავ დაცარიელებულ ბოთლს სახლი რომ არ გადაევსო, ურსულა მენაგვეებს ატანდა. მუშაობით დაღლილ-გასავათებულ ქალს ცნობისწადილი ჰკლავდა, ახლად ჯვარდაწერილები სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ოთახში რატომ წვებიანო. მუსიკა უკრავდა, ხარ-ძროხა გაუთავებლად იკვლებოდა და ქორწილს ბოლო არ უჩანდა. ურსულამ საკუთარი გამოცდილება გაიხსენა და ფერნანდას ჰკითხა, შემთხვევით უმანკოების ქამარი ხომ არ გაქვს შემოკრული წელზეო, ადრე თუ გვიან ქალაქში დასაცინი გახდებით ორივენი და ვინ იცის, იქნებ უბედურებაც დატრიალდესო. ფერნანდამ გულახდილად უთხრა, ქმართან დაწოლის ნება ქორწილიდან მხოლოდ ორი კვირის მერე შემიძლია მივცე თავსო. როდესაც დათქმული ვადა გავიდა, მართლაც გააღო თავისი საწოლი ოთახის კარი, რათა მსხვერპლად გაეღო თავი და ცოდვები მოენანიებია. აურელიანო მეორემ დაინახა ამქვეყნად ყველაზე ლამაზი ქალი, რომელსაც ბალიშზე გადაფენოდა სპილენძისფერი თმა და შეშინებული ირმის თვალებით შესცქეროდა ოთახში შესულ კაცს. ამ სანახაობით მონუსხულმა აურელიანო მეორემ უცბად ვერც კი შეამჩნია, რომ ფერნანდას ეცვა თეთრი კოჭებამდე გრძელი პერანგი, რომელიც მუცელთან მრგვალად იყო ამოჭრილი და ოსტატურად ამოხვეული. კაცმა გულიანად გადაიხარხარა:

— ასეთი რამ არ მინახავს ჩემს ცხოვრებაში, — მისი ხარხარი მთელ სახლს ესმოდა. — მონაზონი მითხოვია ცოლად.

ერთი თვის მერე, ვერაფრით რომ ვერ გაახდევინა ცოლს ის თეთრი პერანგი, იგი გაემართა პეტრა კოტესთან, რათა მისთვის სურათი გადაეღო დედოფლის სამოსში. უფრო მოგვიანებით, როცა მოახერხა და ფერნანდა დაიბრუნა, შერიგების აღსანიშნავად ცოლი დანებდა, მაგრამ [illegible] აგრძნობინა, რაზეც კაცი ოცნებობდა, როცა ოცდათორმეტი ზარის ქალაქში ეძებდა მას. ფერნანდამ ქმარს მხოლოდ ღრმა საარწარკვეთის გრძნობა მოუტანა. პირველი ვაჟიშვილის დაბადებიდან ცოტა გვიან ფერნანდა მიხვდა, მასთან ყოფნის მერე ქმარი პეტრა კოტესთან გარბოდა ჩუმად.

— მართალი ხარ, — აღიარა ქმარმა: — რა ვქნა, ასე რომ არ მოვიქცე, საქონელი აღარ გამრავლდება.

კარგა ხანს არ სჯეროდა ფერნანდას ეს ამბავი, მაგრამ როგორც იქნა, ქმარმა დააჯერა თვალსაჩინო ნაღდი მაგალითით, და ფერნანდამაც ქმარს თავის მხრივ ერთი რამ სთხოვა — სიტყვა მომეცი, რომ საყვარლის ლოგინში არ მოკვდებიო. ასე ცხოვრობდნენ სამნი, ერთმანეთს ხელს არ უშლიდნენ, აურელიანო მეორე ორივესთვის საჭირო იყო და ორივეს ალერსით ეპყრობოდა, პეტრა კოტესი გამარჯვებას ზეიმობდა, ფერნანდას კი თავი ისე ეჭირა, ვითომც არაფერი იცოდა.

მართალია, ფერნანდამ ქმარს ხასიათი გაუგო, მაგრამ სხვა დანარჩენ ბუენდიებთან საერთო ვერ გამონახა. ურსულა ეხვეწებოდა, ეგ შავი შალის ხალათი გადააგდეო, მაგრამ ამაოდ. შავ ხალათს ფერნანდა იმ დილით იცვამდა, როცა წინა ღამეს ცოლქმრული მოვალეობა აღსრულება უწევდა. ამ ხალათის დანახვაზე მეზობლები უკვე ჩურჩულს იწყებდნენ. ასევე ვერ დაიყოლია ურსულამ ფერნანდა, საბანაოში და საპირფარეშოში ევლო, ურჩია, ეგ ოქროს ღამის ქოთანი პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას მიჰყიდე, თევზებისთვის გადაადნობსო. ამარანტას ძალიან უშლიდა ფერნანდას არასწორი გამოთქმები და თვითონაც მუდამ გაუგებარ ენაზე მიმართავდა ხოლმე:

— ცფეკა ქაფალიფი იფიმაფათ ეფეკუფუფუთვნიფის, ვიფინც ცხვიფირს იფიბზუფუეფება საფაკუფუფუთაფარ გაფანაფავაფალზეფეც, — იტყოდა ხოლმე ამარანტა.

ერთხელ აშკარა დაცინვით გაღიზიანებულმა ფერნანდამ ჰკითხა, რას ლაპარაკობთ მაგ ქაჯურ ენაზე, ვერაფერი გავიგეო, ამარანტამ კი ახლა ყოველგვარი „ფაიფუის“ გარეშე უპასუხა:

— თქვენზე ვთქვი, ეს ქალი თავის უკანალს და დიდმარხვას ერთმანეთში ურევს-მეთქი.

ამ დღიდან მათ ერთმანეთისთვის სიტყვაც აღარ უთქვამთ. თუ აუცილებელი იყო, წერილებს ან შუამავლებს უგზავნიდნენ ერთმანეთს. თუმცა ქმრიანები ფერნანდას ავი თვალით უყურებდნენ, მან მაინც მიზნად დაისახა ბუენდიები ეზიარებინა თავისი გვარის კეთილშობილური ტრადიციებისთვის. აქამდე ვისაც როდის მოშივდებოდა, მაშინ შედიოდა სამზარეულოში და ჭამდა. ახლა კი ფერნანდამ ყველა აიძულა სასადილო ოთახში დიდ მაგიდასთან მოეყარათ თავი. მაგიდაზე უსათუოდ თეთრი სუფრა უნდა ყოფილიყო გადაფარებული და ვერცხლის ჭურჭლითა და შანდლებით გაწყობილი. საერთოდ ურსულას ჭამა მიაჩნდა ერთ-ერთ სულელურ საქმედ და მისი ზარზეიმურად

გარდაქმნა-გადაკეთება სულ არ მოუვიდა თვალში. სახლში ისეთი გაუსაძლისი და გაპრანჭული გარემო შეიქმნა, რომ მუდამ წყნარი ხოსე არკადიო მეორეც კი აღშფოთდა. და მაინც ახალმა წესმა გაიმარჯვა, ისევე გაიმარჯვა სხვა სიახლემაც — ჭამის წინ უსათუოდ ლოცვა უნდა ეთქვათ. მალე მეზობლებში ხმა დაირხა, ბუენდიები სუფრასთან უბრალო მოკვდავებივით როდი [illegible], პირიქით, ტრაპეზი ღვთისმსახურებად გადააქციესო. თვით [illegible] მორწმუნეობაც უფრო წამიერი გახლდათ, ვიდრე ტრადიციული. წინ აღუდგა ფერნანდას ერთხელ და სამუდამოდ დაკანონებულ და ცალკეულ შემთხვევებში მკაცრად დაცულ წესებს, რომელიც მშობლებისაგან მიეღო მემკვიდრეობად. ვიდრე ურსულა განაგებდა თავის ხუთივე გრძნობას, ძველი ადათ-წესებიდან ჯერ კიდევ რაღაც მაინც იყო შემორჩენილი ოჯახში და ჯერ კიდევ ფასობდა მისი სიტყვა, მაგრამ როგორც კი თვალში სინათლე დააკლდა და წელთა სიმრავლემაც საქმეს ჩამოაშორა, სიმკაცრის კედელი, ფერნანდამ მისი შენება პირველი დღიდანვე რომ დაიწყო სახლის გარშემო, შეიკრა და ახლა უკვე იმის გარდა აღარავის ეკითხებოდა ოჯახის ბედ-იღბალზე ზრუნვა. საკონდიტრო ნაწარმითა და შაქარყინულით ვაჭრობა ფერნანდამ უღირს საქმიანობად მიიჩნია და მალევე მოუღო ბოლო. აქამდე თუ სახლის კარი ყურთამდე ღია იყო დილიდან გვიან ღამემდე, ჯერ სიესტის დროს ჩაკეტა, — მზე მეტისმეტად აცხუნებს საწოლ ოთახებსო, — მერე კი საერთოდ ჩაკეტა. ღვთის რტო და პური, მაკონდოს დაარსებიდან რომ ეკიდა კარის ზედა წირთხლზე, შეცვალა იესოს გულით. პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ შეამჩნია ეს სიახლე და მიხვდა, რაც სურდა ფერნანდას. „არისტოკრატები უნდა გავხდეთ. ალბათ კვლავ წამოვიწყებთ ომს კონსერვატორებთან, ოღონდ ახლა იმ მიზნით, ისინი გავამეფოთ“. ფერნანდა ერიდებოდა მასთან ურთიერთობას. გულის სიღრმეში, რა თქმა უნდა, არ სიამოვნებდა მისი დამოუკიდებლობა და ისიც, რომ ოჯახში შემოღებულ ახალ წესებს უგულვებელყოფდა. ფერნანდას აღიზიანებდა, პოლკოვნიკი ყოველ დილას ხუთ საათზე ფინჯან ყავას რომ მიირთმევდა, აღიზიანებდა მისი არეულ-დარეული სახელოსნო, დახვრეტილ-დაცვეთილი ლაბადა და მისი ჩვევაც — სახლის წინ ქუჩაში მჯდარიყო მუდამდღე. მაგრამ იგი იძულებული გახდა შერიგებოდა ოჯახური მექანიზმის ამ მორყეულ-მოძველებულ დეტალს, იცოდა, წლებითა და გულგრილობით დამთიმებულ პოლკოვნიკს სიბერეშიც შეეძლო ისე ამხედრებულიყო, რომ ძირიანად ამოეთხარა ის საძირკველი, რაზეც სახლი იდგა. როდესაც ქმარმა სურვილი გამოთქვა, პირველი ვაჟიშვილისთვის დიდი პაპის სახელი დაერქმიათ, ფერნანდა ჯერ კიდევ ერთი წლის მოყვანილი იყო ამ ოჯახში და უარის თქმა ვერ გაბედა, მაგრამ ქალიშვილი რომ შეეძინათ, პირდაპირ განაცხადა, დედაჩემის სახელი — რენატა უნდა დავარქვათ. ურსულას რემედიოსი უნდოდა. დიდი ხნის ბრძოლისა და ბჭობის შემდეგ, რაშიც აურელიანო მეორე გასართობად ასრულებდა ვითომდა შუამავლის როლს, გოგონას რენატა დაარქვეს, მაგრამ მთელი ოჯახი და ქალაქიც ჯიუტად ეძახდა მემეს — რემედიოსის მოფერებითი სახელს.

პირველ ხანებში ფერნანდა არაფერს ამბობდა თავის მშობლებზე, მაგრამ მერე და მერე მამამისი იდეალურ პიროვნებად დაუხატა ყველას. სუფრასთან ხშირად ახსენებდა ამ არაჩვეულებრივ, ამქვეყნიურ შფოთსა და აურზაურს მოწყვეტილ და წმინდანად ქცეულ კაცს. აურელიანო მეორე ცოლის თანდას-

წლობით ვერ ბედავდა ეთქვა, ასეთი განსადიდებელი როდის გახდა მამაშენიო, მაგრამ ცოლის ზურგსუკან კი ათასნაირ საქილიკო ამბავს ჰყვებოდა სიმამრზე. ოჯახის სხვა წევრებმაც მხარი აუბეს აურელიანო მეორეს, რომელიც აქამდე ავადმყოფური სიჯიუტით რომ იცავდა ოჯახურ სიმშვიდეს და ყოველი უთანხმოება გულთან მიჰქონდა, ახლა სხვა ხმაზე ამღერდა: „ჩემი პატარა ბიჭს უსათუოდ პაპის სავარძელი ელის, რადგან იგი „წმინდანის" შვილიშვილია, ხოლო დედოფლისა და მესაქონლის — შვილიო". მიუხედავად შეთქმულთა გესლიანი სიტყვებისა, აურელიანო მეორის შვილები თავიანთ პაპას იცნობდნენ, როგორც ლეგენდარულ ადამიანს. პაპა მათ ჭკუის დასარიგებელ ლექსებს სწერდა. საშობაო საჩუქრად გამოგზავნილ საგვარეულო ქონების უკანასკნელი ნაშთებით სავსე დიდი ყუთი კი ძლივს შემოჰქონდათ ხოლმე სახლში. ბავშვების ოთახში საკურთხეველი მოაწყვეს. წმინდანთა კაცისოდენა ქანდაკებები დადგეს; შუშის თვალებიდან ისე იმზირებოდნენ, კაცს შეაშინებდა. სამაგიეროდ ისეთი ლამაზი სამოსი ეცვათ, მაკონდოში რომ ჯერ არავის ენახა. ბუენდიების ნათელ სახლში თანდათანობით დამკვიდრდა ძველი და პირქუში ბატონკაცური სიმშვიდის სამარისებური დიდებულება. „მთელი საგვარეულო სასაფლაო ჩვენ გადმოგვილოცეს, — შენიშნა ერთხელ აურელიანო მეორემ. — მოტირლები და საფლავის ქვები გვაკლია მხოლოდ". თუმცა პაპის გამოგზავნილ ყუთებში სათამაშოები არასოდეს ყოფილა, ბავშვები მაინც მოუთმენლად ელოდნენ დეკემბრის დადგომას: სხვა რომ არაფერი, ფველისძველსა და უცნაურ ნივთებს მრავალფეროვნება შეჰქონდა მათ ცხოვრებაში. რიგით მეათე შობაზე, როდესაც პატარა ხოსე არკადიოს სემინარიისთვის ამზადებდნენ, ჩვეულებრივზე ცოტა ადრე მიიღეს საგულდაგულოდ დაჭედილი და დაგმანული უზარმაზარი ყუთი, ზედ გოტიკური ასოებით ეწერა — „დიდად პატივცემულ სენიორა დონია ფერნანდა დელ კარპიო დე ბუენდიას". ვიდრე ფერნანდა წერილს კითხულობდა, ბავშვები ყუთს ეცნენ. როგორც ყოველთვის, აურელიანო მეორე ახლაც ეხმარებოდა მათ ყუთის გახსნაში. მოატეხეს ლუქი, ამოაძრეს ლურსმნები, ახადეს თავი, მოაშორეს ნახერხის ფენა და ყუთში აღმოაჩინეს ჰანჭიკებჩახრახნილი ტყვიის დიდი ზანდუკი. ახლა ის ჰანჭიკები ამოხრახნეს და უცებ აურელიანო მეორემ იყვირა, ძლივს მოასწრო ბავშვები განზე გაეყარა. ზანდუკის სახურავქვეშ იწვა შავებში მოსილი და მკერდზე ჯვარცმადადებული დონ ფერნანდო.

რენატა ახალდაბადებული იყო, რომ მთავრობა უცბად დაფაცურდა — ნეერლანდიის ზავის მორიგ წლისთავთან დაკავშირებით მოეწყოთ პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას იუბილე. ეს გადაწყვეტილება ისე ეწინააღმდეგებოდა მთელს ოფიციალურ პოლიტიკას, რომ პოლკოვნიკმა უყოყმანოდ განაცხადა უარი ზეიმზე. „პირველად მესმის სიტყვა „იუბილე", — თქვა მან. — მაგრამ რასაც არ უნდა ნიშნავდეს, მე მაინც მგონია, რომ ეს აშკარა დაცინვაა". ოქრომჭედლის პატარა სახელოსნო შუამავლებით აივსო. კვლავ გამოჩნდნენ ამჯერად უფრო მოტეხილნი, მაგრამ უფრო გაპრანჭულნი, შავ კოსტიუმებში გამოწყობილი ის ვექილები, წინათ ყვავებივით რომ დაჩხაოდნენ პოლკოვნიკს თავზე. ომი კიდემე ჩიხში მოამწყვდიეთ. პოლკოვნიკი ვერ მოითმენდა ახლა მათ ცინიკურ პანეგირიკს და უბრძანა, თავი დამანებეთო. მე ერთი თავისუფლებისთვის მებრძოლი კი არა ვარ, როგორც თქვენ ამბობთ, ერთი უწარსულო ხელოსანი ვარ და ჩემი ნატვრაა, ჩემს ოქროს თევზებში მოვკვდე დაღლილი. მი-

ვიწყებული და არაფრისმქონენი. პოლკოვნიკი ყველაზე მეტად იმან აღაშფოთა, რომ თურმე რესპუბლიკის პრეზიდენტი თვითონ აპირებდა ზეიმზე დასწრებას, რათა პირადად გადაეცა მისთვის „დამსახურების" ორდენი. პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ ბრძანა სიტყვა-სიტყვით გადაეცათ პრეზიდენტისთვის მისი ნათქვამი: მოუთმენლად ველი ამ დაგვიანებულ, მაგრამ დამსახურებულ პატივს, რათა შუბლში მოგაჭედოთ ტყვია არა იმისათვის, რომ უკანონო და არაფრისმაქნისი მთავრობა ხართ, არამედ იმისათვის, რომ თავის ნაჭუჭში ჩაკეტილ, ყველასათვის უვნებელ მოხუცს უდიერად და უპატივცემულოდ მოექეცით. ეს მუქარა ისეთი გზნებით იყო ნათქვამი, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბოლო წუთს გადაიფიქრა წასვლა და პოლკოვნიკს პირადი წარმომადგენლის ხელით გაუგზავნა ორდენი. შუამავლებმა ახლა საწოლად ჩავარდნილ პოლკოვნიკ ხერინელდო მარკესს მიმართეს დახმარებისთვის, ძველი თანამებრძოლი იქნებ როგორმე დაითანხმოთ იუბილეზეო. იმდენი ეხვეწეს და ემუდარეს, რომ ბოლოს ისიც დაიყაბულდა. როდესაც პოლკოვნიკმა თავისი მეგობარი ბალიშებში ჩაფლული დაინახა საქანელაზე, ოთხ კაცს რომ მოჰქონდა, წამითაც არ დაეჭვებულა: ყმაწვილკაცობაში ერთნაირად ვიყოფდით ჭირსა და ლხინს, გამარჯვებას და დამარცხებას და ალბათ ახლაც მხარში უნდა ამომიდგესო. მაგრამ მისი სტუმრობის ნამდვილი მიზეზი რომ გაიგო, მაშინვე ბრძანა, სახელოსნოდან გაიყვანეთ თავის ბალიშებიანადო.

— ახლა რაღა დროს ამაზე ლაპარაკია, — უთხრა მან. — მაგრამ შევცდი, მაშინ რომ არ დაგხვრიტე.

ამგვარად, იუბილემ ისე ჩაიარა, ბუენდიების ოჯახიდან არავინ დასწრებია. იუბილე კვირა დღეს ჩაატარეს, რა დღესაც კარნავალი, და ვერავინ ვერ დააჯერა პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია, რომ ეს განზრახ არ მოუწყო მთავრობამ ხელმეორედ გალანძღვისათვის. თავის სახელოსნოში განმარტოებულ პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას ესმოდა სამხედრო მუსიკა, ქვემეხთა ქუხილი, ზარების გუგუნი და მისი სახლის წინ ზარ-ზეიმით წარმოთქმული სიტყვა, განზრახულია ქუჩას თქვენი სახელი დაერქვასო. პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას თვალები აუცრემლდა აღშფოთებისა და უძლურებისგან. დამარცხების დღიდან მხოლოდ ახლა ინატრა პირველად, რატომ აღარ მაქვს ახალგაზრდული ძალა და ღონე, რომ სისხლიანი ომი წამოვიწყო და კონსერვატორთა სინსილა გავწყვიტოო. ჯერ კიდევ არ დამცხრალიყო საზეიმო ხმაური, რომ სახელოსნოს კარს ურსულა მიადგა.

— ნუ მაწუხებთ, არ მცალია, — თქვა პოლკოვნიკმა.

— გააღე, — უთხრა ურსულამ წყნარად, — ზეიმის თაობაზე არ მოვსულვარ. პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ გააღო კარი და დერეფანში დაინახა ჩვიდმეტი ყმაწვილი კაცი. არც ერთი არ ჰგავდა ერთმანეთს არც სახით, არც ფერით, მაგრამ ერთი რაღაც მაინც ჰქონდათ საერთო, და ამ რაღაცით წამშივე შეიცნობდით დედამიწის ყველა კუთხეში: ჩვიდმეტივეს მარტოობის დაღი ესვა სახეზე. ჩვიდმეტივე პოლკოვნიკის ვაჟიშვილი იყო. ისინი ერთმანეთს არც ცნობდნენ, არც შეთანხმებულან. უბრალოდ იუბილეს ამბავს მოჰკრეს ყური და თავისით ჩამოვიდნენ ზღვისპირეთის სხვადასხვა კუთხიდან. ყველას მოჰქონდა თავი, რომ სახელად აურელიანო ერქვა, გვარი კი დედისა ჰქონდა. ურსულას გასახარად და ფერნანდას საბუზღუნოდ სამ დღეში ისე თავდაყირა დააყენეს სახლი, კაცი იფიქრებდა, ხელჩართული ბრძოლა იყო.

ამარანტამ ძველ ქაღალდებში მოძებნა პატარა წიგნაკი, სადაც ურსულა თავის დროზე იწერდა პოლკოვნიკის შვილების დაბადებისა და ნათლობის თარიღს და მისამართს. ამ წიგნაკის მიხედვით შეიძლებოდა აღედგინათ მეხსიერებაში ომის ოცივე წლიწადი, პოლკოვნიკის ღამის ლაშქრობები იმ დღიდან მოყოლებული, — როცა ოცდაერთ კაცს ჩაუდგა სათავეში [illegible] ქიმერის კვალში ჩამდგარმა მიატოვა მაკონდო, — დამთავრებული იმ დღით, როდესაც უკანასკნელად დაბრუნდა შინ ლაბადაგასისხლიანებული. აურელიანო მეორემ ბიძაშვილების საპატივცემულოდ დიდი ქეიფი გამართა, უამრავი შამპანური დაილია. აკორდეონი გაუთავებლად უკრავდა. სტუმრები ხარს გამოედევნენ, ფარდაგით ჰაერში ვახტუნაოთ. ხარის დევნაში ლარნაკები და ვარდის ბუჩქები დაამსხვრიეს და დატეხეს. მერე რევოლვერებით დახოცეს ქათმები, ამარანტას პიეტრო კრესპის ნაღვლიანი ვალსი აცეკვეს. მშვენიერ რემედიოსსაც კი მისწვდნენ, შარვალი ჩააცვეს და აიძულეს ძელზე[1] ამძვრალიყო; ღორს ქონი წაუსვეს და სასადილო ოთახში შეაგდეს. ღორი ფეხებში შეუვარდა ფერნანდას და წააქცია. ოჯახში არავინ არ ბრაზობდა; ეს მიწისძვრა, რამაც შეარყია მთელი სახლი, სასარგებლოც აღმოჩნდა. პოლკოვნიკი აურელიანო თავის შვილებს ჯერ უნდობლად შეხვდა და საეჭვოდაც მოეჩვენა ზოგიერთის ბუენდიობა, მაგრამ მათი შემხედვარე თვითონაც გაერთო და წასვლის დღეს ვაჟიშვილებს ყველას სათითაოდ დაურიგა ოქროს თევზები. პირქუშმა და უკარება ხოსე არკადიო მეორემ კი მამლების ჩხუბის საყურებლად მიიწვია ბიძაშვილები და კინაღამ უბედურება არ დატრიალდა, რადგან ბევრი აურელიანო დიდად განსწავლული ყოფილა მამლების ჩხუბის საქმეში და მაშინვე შეამჩნიეს მღვდელი ანტონიო ისაბელის ნასწავლი თაღლითობა. აურელიანო მეორემ განიზრახა ჩვიდმეტივე ბიძაშვილი თავისთან დაეტოვებინა სამუშაოდ, თან ქეიფისა და დროსტარების საბაბიც ექნებოდა ამოდენა ნათესაობის შემყურეს. მის შეთავაზებულ წინადადებას მხოლოდ ერთი დაეთანხმა — ნაღვლიანი აურელიანო. ეს იყო გოლიათი მულატი, პაპასავით ძლიერი და პაპასავითვე გამომგონებლის ნიჭით გამორჩეული. მას უკვე ნახევარი დედამიწა მოეარა ბედის ძებნაში და მისთვის სულ ერთი იყო სად იცხოვრებდა. სხვებს, მართალია, ფუძე-კერა ჯერ არ ეპოვათ, მაგრამ სამაგიეროდ თავიანთი გზა უკვე ამორჩეული ჰქონდათ: ხელოსნობა ემარჯვებოდა ამ უწყინარ ხალხს. ოთხშაბათს, დიდმარხვის დღეს, ვიდრე პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას შვილები თავ-თავიანთ გზას დაადგებოდნენ, ამარანტამ ყველანი კოხტად გამოაწყო და ეკლესიაში წაიყვანა. ისინი ცნობისწადილით შეპყრობილნი მიჰყვნენ ამარანტას საალსარებოში, სადაც მღვდელმა ანტონიო ისაბელმა ყველას ცალ-ცალკე ფერფლის ჯვარი დაუსვა შუბლზე. შინ რომ დაბრუნდნენ, ყველაზე უმცროსმა პირი მოიბანა, მაგრამ ჯვარი ვერაფრით ვერ მოიცილა. სხვა ძმებმაც დაიბანეს პირი, მაგრამ არც იმათ მოშორდათ ჯვარი. რა სილა და ლრუბელი, რა საპონი და წყალი არ მოიშველიეს, მაგრამ ამაოდ. სამაგიეროდ ამარანტასა და დანარჩენებს, ვინც ეკლესიაში ახლდნენ, ყველას ადვილად მოშორდა. „ასე სჯობს, — თქვა ურსულამ შვილიშვილებთან დამშვიდობებისას, — ახლა აღარავის შეეშლებით". ისინი ყველანი ერთად გაემგზავრნენ. საზეიმო გაცილება

[1] გაქონილ ძელის თავზე დებენ რაიმე საგანს, ვინც ყველაზე მარდად აცოცდება ძელზე და ჩამოიღებს იმ საგანს, გამარჯვებულიც ის არის.

მოუწყვეს. ორკესტრი უკრავდა და მუშხუნები ისროდნენ. ამ ხმაურსა და ორომტრიალზე მთელი ქალაქი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ბუენდიების ფესვი ბარე ორ საუკუნეს კიდევ იხარებდა. ნაღვლიანმა აურელიანომ ქალაქის განაპირას — ყინულის ფაბრიკა ააგო, რაზეც ხოსე არკადიო ბუენდია ასე გატაცებით ფიქრობდა ოდესღაც.

მაკონდოში მოსვლიდან ერთი თვის თავზე ნაღვლიანი აურელიანო უკვე ყველამ გაიცნო და შეიყვარა. მან განიზრახა დედისა და გაუთხოვარი დისთვის (ეს ქალი პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას შვილი არ იყო) ბინა ეშოვა. ქალაქში სიარულის დროს მოედნის კუთხეში თვალი დაადგა დიდსა და მორყეულ შენობას. სახლი ეტყობა უკაცრიელი იყო. იკითხა, ვინ არის სახლის პატრონიო. უთხრეს, ახლა არავინ არის პატრონი, წინათ კი ერთი ქვრივი ქალი ცხოვრობდა, მიწასა და კირს ჭამდა, ვიდრე მოკვდებოდა. სულ ორჯერ ნახეს ქუჩაში. პატარ-პატარა ხელოვნური ყვავილებით მორთული ქუდი ეხურა და ვერცხლისფერი ფეხსაცმელი ეცვა. მოედანი გადაჭრა და საფოსტო კანტორაში შევიდა, რათა იქიდან წერილი გაეგზავნა ეპისკოპოსისთვისო. მერე ისიც უთხრეს, ამ ქვრივ ქალს ერთადერთი ხმის გამცემი ჰყავდა, მასავით უგულო მოახლე. ძაღლი ან კატა ამ სახლში შეძვრომას თუ მოახერხებდა, ხოცავდა და პირდაპირ შუა ქუჩაში ყრიდა, მთელი ქალაქის ასამყრალებლად. მას შემდეგ, რაც ბოლოს გადმოგდებული კატა მზემ მუმიად არ აქცია, ისე ბევრი ხანი გავიდა, რომ ქვრივი ქალი და მისი მოახლე ნამდვილად ომამდე დაიხოცნენ, ხოლო სახლი იმიტომ გადარჩა, რომ კარგა ხანია წვიმიანი ზამთარი და გრიგალი არ ყოფილა აქეთო. ანჯამებდაჟანგული კარი თითქოს გარსშემოხვეულ აბლაბუდაზე ეკიდა. ფანჯრის ჩარჩოები ნესტს დაეშალა, შუშაბანდში ცემენტის იატაკი დამსკდარიყო და ბალახსა და მინდვრის ყვავილებს ამოეყოთ თავი. ნაპრალებშივე ჩაბუდებულიყო ხვლიკები და ათასი ჯურის სისაძაგლე. კაცი იფიქრებდა, ამ სახლში ალბათ სულ ცოტა ორმოცდაათი წელიწადია არავის უცხოვრიაო. სულსწრაფ ნაღვლიან აურელიანოს მეტიც არ უნდოდა, სახლში შესვლა გადაწყვიტა. სადარბაზოს კარი მხრით შეანგრია და დამპალ-დაჩეჩქვილი ხეც ზედ ცხვირწინ ჩამოექცა უხმაუროდ. ხეს თან ჩამოჰყვა მტვერი და მიწა, ჭიანჭველებს თავიანთი ბუდეებისთვის რომ აეზიდათ მაღლა. მტვრის ბუღი რომ გაიფანტა, ნაღვლიანმა აურელიანომ უცებ დაინახა შუა ოთახში გამხმარ-გამოფიტული ქალი. მას გაული საუკუნის მოდაზე ეცვა, გამელოტებულ თავზე რამდენიმე მოყვითალო ბალახი უკონწიალებდა, დიდსა და ჯერ კიდევ მშვენიერ თვალებში იმედის ბოლო ნაპერწკალიც ჩაქრობოდა, სახე მთლად დანაოჭებოდა და მარტოობისგან გამოშრობოდა.

ნაღვლიანი აურელიანო ისე შეძრა საიქიოდან გამოცხადებულმა მოჩვენებამ, რომ ვერც კი შეამჩნია, ქალი ძველ სამხედრო პისტოლეტს რომ უმიზნებდა.

— ბოდიშს ვიხდი, — წაილუღლუღა ნაღვლიანმა აურელიანომ.

ქალი ჯერ ისევ გაშეშებული იდგა ძველმანებით ამოვსებულ შუა ოთახში. ყურადღებით ათვალიერებდა ოთხკუთხამხრებიან გოლიათს, შუბლზე ფერფლის ჯვარი რომ ეხატა. და უცებ ქალმა მტვრის ლრუბელში დაინახა წარსულის ბურუსში გახვეული მხარზე თოფგადაკიდებული კაცი, ქამარზე ნანადირევი კურდღლები რომ ჩამოეკიდა.

— არა! თუ ღმერთი გწამთ, — წამოიძახა მან დაბალ ხმაზე, — უსამართლობაა ამის გახსენება ჩემთვის.

— მინდოდა სახლი დამექირავებინა, — უთხრა ნაღვლიანმა აურელიანომ.

ქალმა პისტოლეტი კვლავ შემართა, პირდაპირ ჯვარდასმულ შუბლში დაუმიზნა.

— წადით ახლავე! — უბრძანა მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახშმობისას ნაღვლიანმა აურელიანომ ყველაფერი უამბო ოჯახს. ურსულას ამ ამბავმა მთლად მოუღო ბოლო: „ღმერთო ძლიერო, — თავზე ხელი წაივლო მან. — ცოცხალი ყოფილა!" წლების, ომების, უბედურებათა ორომტრიალში რებეკა აღარავის გახსენებია. ერთადერთი ადამიანი, ვისაც ერთი წუთითაც არ სჯეროდა რებეკას სიკვდილი, იყო გულქვა, უმოწყალო და დაბერებული ამარანტა. დილით გულგაყინული რომ გაიღვიძებდა თავის საწოლში, რებეკაზე ფიქრობდა ხოლმე, რებეკაზე ფიქრობდა მაშინაც, ქვედა კაბასა და ბებრუხანების თეთრი ტილოს კორსაჟს რომ იცვამდა და ხელს ცოდვის გამოსასყიდ შავი ნაჭრით რომ იხვევდა, ეძინა თუ ეღვიძა, უხაროდა თუ სწყინდა, ყოველთვის, ყოველ წუთს რებეკაზე ფიქრობდა. მარტოობამ დაუშოშმინა მოგონებები — ცეცხლს მისცა ნაღვლისმომგვრელი ნაგავი, ცხოვრებამ რომ დაუგროვა მკერდში, სამაგიეროდ განწმინდა, აღამაღლა და უკვდავების ნათელი მოჰფინა სხვა, მწარე მოგონებებს. მშვენიერმა რემედიოსმა ამარანტასაგან გაიგო რებეკას ამბავი. ყოველთვის, როცა კი დაფახფახებულ შენობას ჩაუვლიდნენ, ამარანტა ქალიშვილს უყვებოდა რომელიმე უკეთურ ამბავს თავის მეტოქეზე, მის სამარცხვინო ქცევაზე. ამარანტა ცდილობდა მშვენიერ რემედიოსს მასთან ერთად გაეყო მტანჯველი ბოღმა, რათა ამ ბოღმას მისი სიკვდილის მერეც ეცოცხლა. მაგრამ ამარანტას მცდელობა ამაო გამოდგა: მშვენიერი რემედიოსისათვის უცხო ხილი გახლდათ ყოველგვარი ღელვა და მით უმეტეს, სხვათა გულში ჩასახული. ამარანტას საწინააღმდეგოდ, ურსულა სრულებით სხვა გრძნობით განეწყო რებეკას მიმართ. რებეკა მას მოეგონა, როგორც მოგონება, ოღონდ მოგონება მხოლოდ კარგისა: თვალწინ დაუდგა პატარა გოგო, ერთ დროს რომ მოუყვანეს თავისი მშობლების მორაქუნე ძვლებით სავსე ტომარასთან ერთად და ამ გოგონას სახემ დაჩრდილა ის სამარცხვინო ლაქა, რამაც რებეკა ბუენდიების გვარის ღირსი ვეღარ გახადა. აურელიანო მეორემ რებეკას წამოყვანა და მოვლა-პატრონობა განიზრახა. მაგრამ მის განზრახვას აღსრულება არ ეწერა თვით რებეკას გაუტეხელი სიჯიუტის გამო: დიდი ხანი ვიტანჯე და ვიდაგე, რათა მარტოობა დამეთრგუნა და ახლა არ მსურს ეს მონაპოვარი გავცვალო სხვისი და თანაც ყალბი მზრუნველობის ქვეშ შეფარებულ მშფოთვარე სიბერეზე.

თებერვლის თვეში მაკონდოს კვლავ ესტუმრა პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას თექვსმეტი ვაჟიშვილი. ფერფლის ჯვრები კვლავ აჩნდათ შუბლზე. ნაღვლიანმა აურელიანომ ძმებს რებეკას ამბავი მოუყვა. ისინიც ხელდახელ შეუდგნენ საქმეს: აღადგინეს და შეღებეს რებეკას სახლის გარეთა მხარე, შეცვალეს კარ-ფანჯრები, გაამაგრეს კედლები, ხელმეორედ მოასხეს ცემენტი შუშაბანდში. მაგრამ ოთახებში შესვლისა და რაიმეს ხელის ხლების უფლება კი ვერ მიიღეს. რებეკა კართანაც კი არ მისულა, მოთმინებით დაელოდა როდის დაამთავრებდნენ ძმები წამოწყებულ საქმეს, გონებაში გამოიანგარიშა მათი შრომის ფასი და ჯერ კიდევ ცოცხალი მოხუცი მოახლის არხენიდას ხე-

ლით გაუგზავნა ფული. ამ ფულს ძალა აღარ ჰქონდა, ჯერ კიდევ ომის დამთავრებისას შეიცვალა, მაგრამ რებეკამ არაფერი იცოდა ამის თაობაზე. მაშინ კი მიხვდნენ, რა ღრმა უფსკრულიც გაჩენილიყო ამ ქალსა და მთელ ქვეყნიერებას შორის და ვიდრე ძარღვებში თუნდაც ერთი წვეთი სისხლი ედგა, ვერასოდეს გამოიყვანდნენ თავის ჯიუტად გამოკეტილ სამყაროდან.

პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას ვაჟიშვილების [illegible] ერთ-ერთი მათგანი — ჭვავის აურელიანო მაკონდოში დარჩა და ნაღვლიან აურელიანოსთან ერთად დაიწყო მუშაობა. ჭვავის აურელიანო ურსულასაც და ამარანტასაც კარგად ახსოვდათ, რადგან დედამისმა რომ მიჰგვარა ბუენდიებს მოსანათლავად, ბიჭი თითქმის ყველაფერს ამსხვრევდა, რაც კი ხელში მოხვდებოდა. პირველ ხანებში ისე მალე აიყარა ტანი, ყველას ეგონა მაღალი გაიზრდებაო, მაგრამ დროთა განმავლობაში საშუალო ტანის ჩოფურა კაცი დადგა. მსხვრევის ნიჭი და უნარი ძველებური შერჩენოდა. იმდენი თეფში გატეხა, რასაც ხელი ახლო და არ ახლო, რომ შეშინებულმა ურსულამ, ემანდ ძვირფასი ჭურჭელიც არ დამიმსხვრიოსო, სასწრაფოდ უყიდა კალის ჭურჭელი, მაგრამ მალე მათაც გაუჩნდა ჩაჟეჟილ-ჩატეხილი ადგილები. ჭვავის აურელიანო თვითონაც სწუხდა, ეს რა უკურნებელი სენი მჭირსო, და ყოველნაირად ცდილობდა დანაშაული გამოესყიდა. კარგი კაცი იყო, გულითადი და შრომისმოყვარე, პირველ შეხედვაზევე მიენდობოდი. სულ მოკლე დროში ისე წინ წასწია ყინულის წარმოების საქმე, რომ აქაურ ბაზრებს ხომ ყელამდე ჰყოფნიდათ მისი ყინული, ზედმეტიც რჩებოდა. ნაღვლიანმა აურელიანომ განიზრახა თავისი საქონელი სხვა ქალაქებშიც გაეკაღებინა, მაგრამ როგორ და რა გზით, ჯერ არ იცოდა და უცებ ისეთი აზრი დაებადა, რომ თუკი ხორცს შეასხამდა, მაშინ არა მარტო ფაბრიკა ამუშავდებოდა ახალ ყაიდაზე, მაკონდოც აღარ იქნებოდა ქვეყანას მოწყვეტილი ახლანდელივით.

— რკინიგზა უნდა გავიყვანოთ, — თქვა ნაღვლიანმა აურელიანომ.

ეს სიტყვა მაშინ გაიგონეს პირველად მაკონდოში. ურსულამ ნაღვლიანი აურელიანოს დახაზული გეგმა რომ ნახა და ხოსე არკადიო ბუენდიას მზის ომის ძველ სქემას შეადარა, საბოლოოდ განუმტკიცდა ეჭვი, დრო წრიულად ბრუნავსო. ნაღვლიანი აურელიანო თავისი პაპის საწინააღმდეგოდ, არც ძილს იკლებდა და არც საჭმელს, არც არავის აწუხებდა თავისი შავი ფიქრებით. პირიქით, — ამ დაუჯერებელსა და ჯერ არგაგონილ პროექტებს რომ ადგენდა, მტკიცედ სწამდა, მოკლე ხანში ხორცსაც შეასხამდა, გონივრულად ანგარიშობდა ღირებულებასა და ვადებს, არც ეჭვი ღრღნიდა და არც უიმედობა ჰკლავდა.

ის, რითაც აურელიანო მეორე თავის დიდ პაპას ჰგავდა და არ ჰგავდა პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას — უპირველესად იყო წარსულის მწარე გაკვეთილების სრული უგულვებელყოფა — რკინიგზის გასაყვანად ისევე ხელგაშლილმა გაიღო ფული, როგორც ერთ დროს თავის ძმას მისცა უაზრო ზღვაოსნობისთვის. ნაღვლიანმა აურელიანომ კალენდარში ჩაიხედა და ოთხშაბათ დღეს გზას დაადგა, თან დაიბარა, წვიმების სეზონის მერე დავბრუნდებიო. წავიდა და წავიდა. ჭვავის აურელიანო ზედმეტმა ყინულმა ლამის დაახრჩო და ცდებს მიჰყო ხელი: წვენებში წყლის მაგიერ ყინული გამოეყენებინა. ერთი სიტყვით, თვითონაც რომ არ ელოდა, ისე ჩაუყარა საფუძველი ნაყინის წარმოებას. ფაბრიკა უკვე თავისად მიაჩნდა, რადგან ძმისა არაფერი ის-

მოდა, წვიმების სეზონიც დამთავრდა, ზაფხულიც მიჰყვა. ნაღვლიანი, აურელიანო კი არა და არ ჩანდა, მაგრამ ზამთრის დამდეგს ყველაზე თბილ შუადღისას ვიღაც ქალი მდინარეში თეთრეულს ავლებდა, უცბად წამოხტა და ქალაქის მთავარ ქუჩაზე გავარდა შეშინებული:

— იქ რაღაც... შემზარავი მოდის... — როგორც იქნა, ამოთქვა ქალმა. — ბორბლებზე შემდგარ სამზარეულოს ჰგავს და მთელ ქალაქს მოათრევს.

იმავე წამს მაკონდო შეძრა საზარელმა სტვენა-კივილმა და უცნაურმა ქლოშინა ხმამ. რამდენიმე კვირით ადრე ბევრმა ნახა, მუშათა არტელები მიწაზე აწყობდნენ რკინის ძელებსა და ხის მორებს, მაგრამ იფიქრეს, ბოშები დაბრუნდნენ თავიანთ ასწლეულის სიძველიდან და იმათი ოინბაზობა იქნება რამეო. ის დრო წავიდა, დაფდაფებისა და საატვენების ხმაზე ხალხს რომ უხმობდნენ და იერუსალიმელ გენიოსთა მიერ ღმერთმა უწყის რისგან დამზადებულ მიქსტურას რომ აქებ-ადიდებდნენ! მაგრამ როგორც კი სტვენა-ქშუილით გამოწვეული შიში და დაბნეულობა გაიფანტა, მაკონდოელები ქუჩებში გამოეფინენ და დაინახეს ნაღვლიანი აურელიანო, რომელიც ორთქლმავლიდან ხელისქნევით ესალმებოდა ყველას, დაინახეს ყვავილებით მორთული ვაგონებიც, მაკონდოში რვა თვის დაგვიანებით რომ ჩამოვიდა და ყოვლად უცოდველი ყვითელი მატარებელი, რომელსაც ბედად ეწერა მაკონდოში მოეტანა ამდენი ეჭვი და უეჭველობა, ამდენი ცუდი და კარგი, დარდი და უბედურება.

ამდენი ზღაპრული საოცრებით დაბრმავებული მაკონდოელები გაკვირვებას ველარ ასწრებდნენ. ღამღამობით აღარ ეძინათ, თვალდაჭყეტილი შეჰყურებდნენ მბჟუტავ ელექტრონათურას, რომელსაც დენს აწვდიდა ნაღვლიანი აურელიანოს მეორე მგზავრობის, — ოღონდ ახლა მატარებლით მგზავრობის მერე ჩამოტანილი რაღაც მანქანა, რომლის გაუთავებელი „დუგდუგიც" პირველ ხანებში გულს უწყალებდათ. მაკონდოელები დიდად აღაშფოთა მოძრავმა სურათებმა, კომერსანტ ბრუნო კრესპის თეატრში რომ უჩვენებდნენ. თეატრში შესასვლელ ბილეთებს ლომების საზარლად დაღებულ ხახებში ჩადგმულ სარკმლებში ყიდულობდნენ. აბა, როგორ არ აღშფოთებულიყვნენ, როცა ერთ ფილმში ერთი გმირის სიკვდილი ყველამ მწარედ გამოიტირა, იგივე გმირი მეორე ფილმში საღ-სალამათი უჩვენეს და თანაც არაბი იყო უკვე! ხალხი აქ იმიტომ მოდიოდა და იმიტომ იხდიდა ორ სენტავოს, რომ გმირების ბედ-იღბალი გაეზიარებინა, თავისად გაეხადა, ახლა კი რა გამოვიდა! — ველარ მოითმინეს ასეთი გაუგონარი დაცინვა და სკამები სულ მილეწ-მოლეწეს. დონ ბრუნო კრესპის დაჟინებული თხოვნით ალკალდმა საგანგებოდ გამოაცხადა, კინემატოგრაფი მხოლოდ აპარატია, ილუზიებს ქმნის და ხალხის მხრიდან ასეთ უდიერ მოპყრობას არ იმსახურებსო. ამ გამაოგნებელი ახსნა-განმარტების შემდეგ ზოგ-ზოგებმა იფიქრეს, ალბათ ბოშების ხელი ურევია ამ საქმეში და ვიდრე არ შევუწირივართ, სჯობს კინოში აღარ ვიაროთ, ჩვენი უბედურება გვეყოფა და გამოგონილი ადამიანების გამოგონილ უბედურებაზე რაღად ვიმტვრიოთ თავიო. ასევე მოექცნენ მხიარული ფრანგი მანდილოსნების ჩამოტანილ გრამაფონსაც, რომელმაც დიდად დააზარალა აქაურთა ორკესტრები. პირველ ხანებში საყოველთაო ცნობისმოყვარეობამ კლიენტი მოუმრავლა სალანძღავ ქუჩას. იმასაც კი ამბობდნენ, მამაკაცურად გადაცმული არაერთი ღირსეული ქალბატონი მოსულა აქ ამ საოცრების ახლოდან და-

სანახავადო. ისე დიდხანს და ისე დაკვირვებით ათვალიერებდნენ აპარატს, რომ ბოლოს და ბოლოს დაასკვნეს: ჯადოსნური წისქვილი კი არა, როგორც ბევრი ფიქრობდა და ფრანგი ქალბატონებიც არწმუნებდნენ, ერთი უბრალო მოსამართი სათამაშოა და მისი მუსიკა ვერაფრით ვერ შეედრება ამაღელვებელ, ადამიანურსა და ცხოვრებისეული სიმართლით აღსავსე ორკესტრის დაკრულ მუსიკასო. გული აიცრუეს გრამაფონზეც და, თუმცა თითქმის ყველა ოჯახში ედგათ, მაინც დიდების გასართობად კი არ ჰქონდათ შეძენილი, — უფრო ბავშვებისთვის... დასაშლელად და გამოსაშიგნავად. მაგრამ ყველაზე მკაცრი ურწმუნონიც კი შედრკნენ, როცა ვიღაცას ვიღაცისთვის უთქვამს: საკუთარი თვალით ვნახე რკინიგზის სადგურში დადგმული ტელეფონი, რომელსაც გრძელი დასატრიალებელი სახელური აქვსო. სწორედ ამ სახელურის გამო მიიჩნიეს ტელეფონი გრამაფონის მაგვარ მანქანად. თითქოს მამაზეციერს სურდა გაეგო, სადამდე შესწევდათ მაკონდოელებს გაკვირვების უნარი. — კარგა ხანს აღტაცებასა და გულგატეხილობას უგზავნიდა მათ, ხანაც ეჭვსა და აღსრულებას, ვიდრე ბოლოს და ბოლოს არ მიაღწია იმას, რომ თითქმის აღარავინ იცოდა დარწმუნებით, სად იწყებოდა მართალი და სად ტყუილი. ისე აირია ერთმანეთში სინამდვილე და ილუზია, რომ ხოსე არკადიო ბუენდიას აღშფოთებული აჩრდილიც კი აბოდიალდა ოთახებში დღისით-მზისით. რკინიგზის სადგურის ოფიციალური გახსნის შემდეგ, როდესაც აშენდა სადგურის შენობა — პატარა ხის ფარდული, სადაც მაგიდა და ტელეფონი იდგა და სარკმელიც ჰქონდა ბილეთების გასაყიდად, მატარებლებმა ყოველ ოთხშაბათს თერთმეტ საათზე იწყეს მოსვლა და მალე მაკონდოს ქუჩებში გამოჩნდნენ ისეთი ქალები და კაცები, ჩვეულებრივ ადამიანებად რომ მოჰქონდათ თავი, განსაკუთრებულსაც არაფერს აკეთებდნენ, მაგრამ ძალზე კი ჰგავდნენ ცირკის მსახიობებს. მაკონდოელები არაერთხელ გაუცურებიათ ბოშებს თავიანთი ოინბაზობით და თითქოს ამ მოხეტიალე ვაჭრებსაც, — ლამაზი სიტყვებით რომ სთავაზობდნენ გამვლელებს სასტვენიან ქვაბსა და მარხვის მეშვიდე დღეს სულის საცხონებელ თავშეკავების წესებს, — არ უნდა ჰქონოდათ დიდი წარმატების იმედი, მაგრამ მაინც გვარიანად ახერხებდნენ მოეთბოთ ხელი: ზოგს ისე ამოიჩემებდნენ და ჩააცივდებოდნენ, გინდა თუ არა იყიდეთ რამეო, რომ ისიც იძულებული იყო ეყიდა, ოღონდ კი თავიდან მოეშორებინა აბეზარი ვაჭარი; ზოგსაც სულ უბრალოდ გამოიჭერდნენ ხოლმე. ამ ქვეყანაზე ცოტა დოყლაპიაა? ერთ ოთხშაბათ დღეს ბუენდიების სადილზე ეწვიათ კუპატა და მომღიმარი მისტერ ჰერბერტი. მას ცხენოსნის შარვალი და გეტრები ეცვა, თავზე სომბრერო ეხურა და ცხვირზე დაეკოსებინა ლითონის ჩარჩოიანი სათვალე, რის მიღმაც ტოპაზისნაირი მოყვითალო თვალები უჩანდა.

სუფრაზე სტუმრისთვის ყურადღება არავის მიუქცევია, მაგრამ მთელ მტევან ბანანს რომ მოუთავა ხელი, მაშინ ყველამ მას დაუწყო ცქერა. აურელიანო მეორე მისტერ ჰერბერტს შემთხვევით შეხვდა „ხაკობის სასტუმროში". სტუმარი დამტვრეულ ესპანურ ენაზე გამოთქვამდა გულის წყრომას, თავისუფალი ნომრები არ არისო. აურელიანო მეორემ, როგორც ყოველთვის, ახლაც შინ წაიყვანა ჩამოსული სტუმარი. მისტერ ჰერბერტი ერთმანეთზე გადაბმული აეროსტატების პატრონი იყო. ამ აეროსტატებით მან თითქმის ნახევარი მსოფლიო მოიარა და დიდძალი ფულიც დააგროვა, მაკონდოში კი ერთი კაციც ვერ დაიყაბულა ცაში ასაფრენად, რადგან აქაურთათვის მისი აერონ-

ტატი უკან გადადგმული ნაბიჯი იყო ბოშების მფრინავი ჭილოფის მერე. ხელმოცარული მისტერ ჰერბერტი ერთ კვირაში გაჰყვა მატარებელს უკან.

სუფრაზე ჩვეულებრივ ვეფხის ტყავივით ზოლიანი ბანანი შემოიტანეს ჩარიზად. სტუმარმა ჯერ ერთი ბანანი მოწყვიტა მტევანს [illegible]. მერე მეორე მიაყოლა, მეორეს მესამე... თან გაუთავებლად ლაპარაკობდა და თან, ბანანს გულმოდგინედ ღეჭავდა, პირს აწკლაპუნებდა. გემოს უსინჯავდა, მაგრამ გურმანის ცოდნით კი არა, უფრო მეცნიერის დაკვირვებით. ერთ მტევანს რომ მოუთავა ხელი, ახლა მეორეს მისწვდა, მერე თავისი განუშორებელი ხელსაწყოების ყუთიდან პატარა კოლოფი ამოიღო. თითქოს ბრილიანტს ყიდულობსო, ლანცეტით გულდაგულ გადაჩხრიკა ბანანი, აწონა სააფთიაქო სასწორზე და გაზომა კიდეც. ახლა ყუთიდან სხვა ხელსაწყოები ამოალაგა, გაზომა და გამოარკვია ჰაერის ტემპერატურა, ტენიანობა, დღის სინათლის ხანგრძლივობა. ამ საქმიანობამ ისე გაიტაცა, რომ ირგვლივ მსხდომთაც ჭამის მადა დაეკარგვოდათ და გაფაციცებით ელოდნენ, როდის გამოიტანდა სტუმარი განაჩენს, როდის მოეფინებოდა ყველაფერს ნათელი, მაგრამ მისტერ ჰერბერტს არაფერი უთქვამს და ასევე ამოუცნობი დარჩა მისი აზრები. ერთი-ორი დღის მერე იგი ქალაქის გარეუბანში ნახეს, კალათით ხელში პეპლებს დასდევდა. მეორე ოთხშაბათს კი მაკონდოში ინჟინრები, აგრონომები, ჰიდროლოგები, ტოპოგრაფები და მიწისმზომლები ჩამოვიდნენ. ისინი რამდენიმე კვირას იკვლევდნენ იმ ადგილს, სადაც მისტერ ჰერბერტი პეპლებს დასდევდა: მოგვიანებით ბატონი ჯეკ ბრაუნი ჩამობრძანდა ყვითელ მატარებელზე მიბმულ ვერცხლით მოჭედილი და ცისფერი მინით გადახურული საგანგებო ვაგონით, რომელიც შიგნით ჭეშმარიტად საეპისკოპოსო ხავერდით გადაკრული სავარძლებით იყო მორთული. მეორე ვაგონიდან გადმოვიდნენ და ბატონ ბრაუნის ირგვლივ დაბზრიალდნენ შავებში მოსილი ის ლირკეული კანონმდებლები, პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას საშველს რომ არ აძლევდნენ წინათ. ამის შემხედვარე ხალხს ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ამ აგრონომებს, ჰიდროლოგებს, ტოფოგრაფებსა და მიწისმზომლებს, აგრეთვე მისტერ ჰერბერტს თავის გაღაბმული აეროსტატებითა და ნაირ-ნაირი პეპლებით და ბატონ ბრაუნსაც თავისი ბორბლებზე შემდგარი მავზოლეუმითა და გერმანული ავი ნაგაზებით, რაღაც კავშირი ჰქონდათ ომთან. ერთი სიტყვით, ფიქრის დრო აღარ რჩებოდა და იქვებით სავსე მაკონდოელები ვიდრე შეკითხვისთვის მოემზადებოდნენ, ბოლოს და ბოლოს გაგვაგებინეთო რა ჯანდაბა ხდებაო, ქალაქი თუნუქის სახურავით გადახურული ხის სახლებით აივსო და უცხოელთა ბანაკს დაემსგავსა. საიდან აღარ ჩამოდიოდნენ მაკონდოში, თითქმის ქვეყნის ყველა კუთხიდან მოდიოდნენ და მოდიოდნენ მატარებლით, მანქანებით, ვაგონების სახურავებზეც სავსე იყო ხალხი. ცოტა ხნის მერე გრინგოებმა აბრეშუმის კაბებსა და გამჭვირვალე დიდ შლაპებში ჩაცმულ-დახურული მიბნედილი ქალებიც მოიყვანეს თან და რკინიგზის გადაღმა კიდევ ერთი ქალაქი გააშენეს: ქუჩებში პალმები ჩაარიგეს, ფანჯრებზე გისოსები ააკრეს, ვერანდაზე თეთრი მაგიდები გამოდგეს, ჭერზე დიდი ვენტილატორი დაკიდეს, სახლების წინ მწვანეში კი ფარშევანგები და მწყერები გაუშვეს. მთელი ეს კვარტალი მაღალი რკინის მოაჯირით შემოიღობე და იქაურობა უზარმაზარ ელექტროფიცირებულ საქათმეს დაემსგავსა. ზაფხულობით მოაჯირის თავი მერცხლებით იყო ხოლმე გა-

დაშავებული. ჯერ კიდევ არავინ იცოდა, რას ეძებდნენ უცხოელები მაკონდოში და მართლა ფილანტროპები იყვნენ თუ არა. ახლად მოსულებმა ყველაფერი ისე თავდაყირა დააყენეს — ბოშები მოხაგნი იყო მათთან შედარებით. ისინი ცოტა ხნით მაინც ჩამოდიოდნენ და ხალხმა იცოდა მაინც, რისთვის ჩამოდიოდნენ, ამათ კი ვერაფერი გაუგეს, ის კი არადა, წინათ მხოლოდ ღვთის განგებით რომ იცვლებოდა ამინდი, ახლა უცხოელებმა გამოცვალეს და წვიმას განრიგიც კი შეუცვალეს, მოსავლის მწიფობის დრო შეუმოკლეს, ყინულივით მდინარე თავის თეთრი ქვებიანად ქალაქის მეორე მხარეს, სასაფლაოსკენ გადაისროლეს. სწორედ მაშინ შემოაკრეს და გადახურეს რკინა-ბეტონით ხოსე არკადიოს საფლავიც, რათა წყალს არ მოსცემოდა საფლავიდან ამოსული დენთის გემო. უქალებოდ ჩამოსულმა უცხოელებმა ფრანგი ქალბატონების ქუჩა მალე ერთ დიდ ქალაქად გარდაქმნეს: უფრო დიდ ქალაქად, ვიდრე რკინისლობიანი „საქათმე" იყო სადგურის გაღმა და ერთ მშვენიერ დღესაც მაკონდოში მატარებლით ჩამოვიდნენ წარმოუდგენელი გარეგნობის კახპები და ბაბილონელი ძუკნები — უხსოვარი დროიდან გაწაფულნი და განსწავლულნი ყოველნაირ შეცდენასა და მიტყუებაში: შეეძლოთ დაჩაჩანაკებულის აღგზნება, გაუბედავებისა და მორცხვების გათამამება და ცეცხლის შენთება, გაუმაძღრების გაძღომა, გულდაგრილებისა და მარტოსულების მიზიდვა და გახელება. თურქების ქუჩაზე სადღა ნახავდით ჭყეტელა ფარდულებს. მთელი ქუჩა კოლონიური საქონლით სავსე მაღაზიების შუქს გაენათებინა და შაბათ ღამეობით თავგადაკეცილი მაძიებლებით ფუთფუთებდა. ზოგი სათამაშო მაგიდას მისჯდომოდა, ზოგიც ტირში ცდიდა ბედს, ზოგნიც ქუჩის მოსახვევში სამკითხაოდ და სიზმრის ახსნელად მისხდომოდნენ მაგიდას, რაზეც ფრიტანგა[1] და სასმელები ელაგა: კვირა დილაობით ეს მაგიდები პატარ-პატარა კუნძულებივით ამოზიდებოდნენ ხოლმე ზედ ქვაფენილზე მიყრილ-მოყრილ ადამიანებს შორის: ზოგს მეტისმეტი მოსვლოდა დალევა და გამობრუჟული ეგდო მიწაზე, უმეტესად კი ღამით, მუშტი-კრივის დროს ტყვიით განგმირულნი, ნაცემ-ნაბეგვნი და დანით თუ ბოთლით დაჭრილ-დაკაწრულნი ეყარნენ ძირს. მაკონდოში იმდენი ხალხი მოზღვავდა ერთბაშად, რომ პირველ ხანებში კაცი ვერ გაივლიდა ქუჩაში: ყოველ ნაბიჯზე წამოედებოდა სკამ-მაგიდას, ზანდუკებს, აგურს თუ ფიცრებს, ვისაც სად უნდოდა, იქ იშენებდა სახლს. ხანდახან უხერხულ ვითარებაც წაწყდომიან: ქალი და კაცი დღისით-მზისით ყველას თვალწინ სასიყვარულო საქმით ერთობოდნენ ნუშის ხეებს შორის გაბმულ ჰამაკში. ერთადერთი წყნარი ადგილი ანტილელი ზანგებისა იყო. მათ ქალაქის გარეუბანში ქუჩის გასწვრივ ხიმინჯებზე შემდგარი ხის სახლები ჩადგეს, საღამოობით გამოდიოდნენ ბაღჩებში და თავიანთ გაუგებარ ყარგონზე ნაღვლიან ფსალმუნებს მღეროდნენ. მოკლე ხანში ისე შეიცვალა იქაურობა, რომ მისტერ ჰერბერტის ჩამოსვლიდან სულ რაღაც რვა თვის თავზე ძველი მაკონდოელები უკვე ველარ სცნობდნენ თავიანთ ქალაქს.

— კარგ დღეში კი ჩავვარდით, — ამბობდა პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია, — და მერე რისთვის? იმისათვის, რომ ვიღაც გრინგოს ბანანი ვაჭამეთ!

აურელიანო მეორე, პირიქით, თავზე ემაყოფილი ხვდებოდა უცხოელების მოზღვავებას. მალე სახლი ვიღაც უცნობებმა აავსეს. მართლაც თითქმის

[1] ფრიტანგა — შემწვარი ხორცისა და ბოსტნეულის კერძი.

ყველა კუთხიდან მოიყარეს თავი პურმარილის მოყვარულებმა. ბუენდიების სახლს ახალი საძინებლები მიუმატეს, სასადილო ოთახი და მაგიდაც გაადიდეს, ახალი ჭურჭელი იყიდეს, რამდენიმე ცვლად სადილობდნენ ხოლმე. ფერნანდას თავი დარჩენოდა, ზიზღი ჩაეხშო და მეფურად დახვედროდა იმ ხალხს, ვინც ყოვლად უგვანოდ იქცეოდა: შუშაბანდი ჭუჭყით აავსეს, [illegible] ბაღში შარდავდნენ, სიესტის დროს სადაც მოესურვებოდათ, იქ [illegible] თავიანთ ჭილოფებს და გაუთავებლად ლაყბობდნენ, რაც ენაზე მოადგებოდათ, არად აგდებდნენ ქალებს, მათ სიტყვებზე სირცხვილით რომ წითლდებოდნენ და არც მამაკაცების ცალყბა სიცილს. ამარანტა ისე იყო გაოგნებული ამ ურდოს თავედასხმით, რომ წინანდებურად სამზარეულოში შეიკუჭა და იქ სადილობდა. პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია დარწმუნდა, სახელოსნოში მასთან სალმისათვის შესულ ხალხს მისი პატივისცემა კი არ ჰკლავდა, უბრალოდ, ყველას სურდა ერთხელ მაინც შეევლო თვალი ამ ცოცხალი ისტორიული რელიქვიისა და სამუზეუმო ექსპონატისთვის, ამიტომ მაშინვე ჩარაზა კარი და მას მერე სახლის წინ ქუჩაშიც იშვიათად გამოდიოდა. მხოლოდ ურსულას უხაროდა მატარებლის მოსვლა. მაშინაც კი, ფეხებს ძლივს რომ დაათრევდა, ხელისცეცებით იგნებდა გზას და კედელ-კედელ დადიოდა, ბავშვივით შეჰხაროდა მატარებლის ყოველ მოსვლას. „ხორცსა და თევზეულს ნუ დაინანებთ, — დაჰქოთქოთებდა ოთხ მოახლეს, რომლებიც ღმერთს ევედრებოდნენ, სანტა სოფია დე ლა პიედადის დროინდელი სიმშვიდე დაგვიბრუნეო. — ყველაფერი მზად გქონდეთ. ვინ იცის, უცხოელები რას მოისურვებენ". მატარებელი მაშინ ჩამოდგებოდა ხოლმე, როდესაც მზე ყველაზე მწვავედ აჭერდა. სადილობისას მთელი სახლი ბაზარივით ზუზუნებდა. ჩამოსულები თავიანთ გულუხვ მასპინძლებს არც კი ნახულობდნენ, გაოფლილები ჯგროდ შევარდებოდნენ ხოლმე სასტუმრო ან სასადილო ოთახში, რათა უკეთესი ადგილი დაეჭირათ მაგიდასთან, ამ დროს კი მსახურები უზარმაზარ ქვაბებიდან არიგებდნენ ხორცს კვახის ჩირთან და ბოსტნეულთან ერთად, ბრინჯიან კერძებს, დიდი ჩამჩებით ასხამდნენ ჭიქებში ლიმონათს. იდგა ერთი რიარია და გნიასი. ფერნანდამ აღარ იცოდა, რა ექნა, ზოგი ორჯერაც კი ჭამდა სადილს. ზოგს სასადილოში ეგონა თავი და დანახარჯის დაზუსტებას მოითხოვდა, ერთი სიტყვით, ფერნანდას ისე წარუქცევთა სასო, რომ მზად იყო ბაზრის დედაკაცივით აყვირებულიყო. მისტერ ჰერბერტის სტუმრობიდან წელიწადზე მეტი გავიდა, მაგრამ მაკონდოელებმა მხოლოდ ერთი რამ გამოირკვიეს: გრინგოება სურთ ბანანის ბაღები გააშენონ იმ მოჯადოებულ მიწებზე, სადაც ოდესღაც ხოსე არკადიო ბუენდიასა და მის ხალხს გაუვლია უდიდეს აღმოჩენათა ძებნაში. პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას შუბლზე ფერფლის ჯვარდასმული ორი ვაჟიშვილიც წამოჰყოლია ვულკანის ლავასავით გადმომსკდარ ხალხის ნიაღვარს და თავიც გასამართლებლად ისეთი რამ თქვეს, რამაც შესაძლოა დანარჩენ ჩამოსულებსაც უბიძგა ხელი მაკონდოს გზას დასდგომოდნენ.

— ყველა მოდიოდა და ჩვენც წამოვედით, — თქვეს მათ.

მშვენიერი რემედიოსი ერთადერთი ადამიანი იყო, ვისაც ბანანის ავადმყოფობა არ შეჰყრია. იგი თითქოს სიყმაწვილის საუცხოო ხანაში შეჩერდა, დღითი დღე შორდებოდა ყოველგვარ პირობითობას, საეჭვოსა და საეშმაკოს. ჩაკეტილიყო თავის უბრალო რეალურ სამყაროში და თავს ბედნიერად გრძნობდა. ვერაფრით გაეგო, ქალები რად იტანჯავდნენ თავს კორსაჟებითა და კა-

ბებით. უხეში ნაჭრისგან ტომარისმაგვარი რაღაც შეიკერა და ასე უბრალოდ, მავთულების გარეშე გადაჭრა ჩაცმის საკითხი: შემოსილიც ერქვა და საკუთარ სიშიშვლესაც გრძნობდა. მისი აზრით, დედიშობილა სიარული სახლში ყველაზე უპრიანი იყო. ოჯახში ისე ჩააცივებოდნენ, ეგ კოჭებამდე თმა ცოტათი მაინც შეიმოკლე და ნაწნავები სავარცხლითა და ფერადი ბაფთებით დაიმაგრეო, რომ გაუთავებელი ჩიჩინით გაბეზრებულმა ქალიშვილმა მთლიანად გადაიპარსა თმა, პარიკები გააკეთა და წმინდანთა ქანდაკებები შეამკო. გული სისადავისკენ მიუწევდა და ამ სწრაფვაში საკვირველი სწორედ ის იყო, რომ რაც უფრო არად აგდებდა მოდას, რაც უფრო შორდებოდა პირობითობას, მით უფრო საჩინო ხდებოდა მისი არამიწიერი სილამაზე, მით უფრო თავისუფალი და უბრალო იყო მისი ქცევა მამაკაცების წინაშე. პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას ჩვიდმეტი ვაჟიშვილი პირველად, რომ ესტუმრა მაკონდოს, ურსულას გაახსენდა, ამ ვაჟების ძარღვებშიც რემედიოსის სისხლი ჩქეფსო, და ძველმა მივიწყებულმა იდუმალმა შიშმა შეაკრთო. „ფრთხილად იყავი, — დაარიგა ბადიშის შვილი, — ამათთან თუ შეცდი, იცოდე, ღორისკუდიანი ბავშვი დაგებადება". მშვენიერმა რემედიოსმა არად ჩააგდო დიდი ბებიის ნათქვამი, ვაჟურად შეიმოსა და სილაში ამოითხვარა, რათა ბიძაშვილებისთვის ტოლი არ დაედო ძელზე აძვრომაში, მაგრამ ვაჟები ისე აალელვა ამ სანახაობამ, ჩხუბი მოუვიდათ და ლამის არ დახოცეს ერთმანეთი. ურსულა სწორედ ამიტომ ფრთხილობდა და არც ერთს არ ათევინებდა ღამეს სახლში. ის ოთხი ვაჟი კი, მაკონდოში რომ დასახლდნენ, ურსულას განკარგულებითვე მოშორებით ცხოვრობდნენ. ეს ამბავი რომ მშვენიერ რემედიოსს გაეგო, ალბათ სიცილით მოკვდებოდა ბებიის სიფრთხილის გამო. მშვენიერმა რემედიოსმა ისე მიაღწია თავისი სიცოცხლის ბოლო გაელვებას, რომ ვერც გაიგო, მამაკაცთა გულის შეშფოთება რომ ეწერა ბედად. მუდამ როცა კი იგი ურსულას უნებართვოდ სასადილო ოთახში გამოჩნდებოდა, უცხოელებს მაშინვე ელეთ-მელეთი მოადიოდათ: გოგოს ცხადად ემჩნეოდა, კაბა-ტომარა შიშველ სხეულზე ეცვა. ვერავინ ხვდებოდა, რომ ქალიშვილი თავისი საოცრად ლამაზი გადაპარსული თავით სულაც არ ცდილობდა ვინმეს მონუსხვასა და მოხიბვლას, არც მაშინ ჰქონდა განზრახული ვინმეს ცდუნება, როცა უაირცხვილოდ გადაშლიდა ხოლმე დასიცხულ ლაჯებს, ნიავმა გამიაროსო, არც მაშინ — როცა ჭამის დროს განცხრომით ილოკავდა თითებს. ოჯახში არავის შეუმჩნევია ის ამბავი, რაც უცხოელებს ჩამოსვლისთანავე არ გამოეპარებოდათ ხოლმე: მშვენიერ რემედიოსს თან დაადევდა მოუსვენარი, მომთენთავი ქროლვა და ეს ქროლვა ქალიშვილის ჩავლიდან რამდენიმე საათის შემდეგაც იგრძნობოდა ჰაერში. სასიყვარულო ამბებში გამოცდილი მამაკაცები, დედამიწის ყველა კუთხეში რომ ეგემნათ სიყვარულის სიტკბოება, იფიცებოდნენ, არასოდეს ისე არაფერს აუღელვებივართ, როგორც მშვენიერი რემედიოსის თანდაყოლილ სუნსო. ბეგონიებით სავსე შუშაბანდში, სასტუმრო ოთახსა თუ სახლის რომელ კუნჭულშიც გნებავთ, ისინი უშეცდომოდ იტყოდნენ, სად და როდის გაევლო მშვენიერ რემედიოსს. ქალიშვილი მკვეთრსა და გამორჩეულ სუნს ტოვებდა ჰაერში. შინაურები ვერ ამჩნევდნენ, რადგან კარგა ხანია შეჩვეული იყვნენ ამ სუნს, მაგრამ უცხოელები კი მაშინვე სცნობდნენ და ამიტომაც აღარ უკვირდათ იმ ახალგაზრდა ოფიცრის სიკვდილი და შორი მხრიდან მოსული კაბალიეროს დაგლახაკებაც. ქალიშვილი კი ბაიბურშიც არ იყო, რომ მის ირგვ-

ლივ უბედურება ტრიალებდა, რომ მის დანახვაზე კაცებს რაღაცნაირი შიში, ულონობა და უიმედობა ეუფლებოდათ: თვითონ უეშმაკო და უშუალო გულწრფელი თავაზიანობით ექცეოდა მათ და ამით უფრო ხიბლავდა, რადგანაც მისი ხიბლით ყელამდე ავსებულ კაცებს. როდესაც ურსულამ გადაწყვიტა ბადიშიშვილი უცხოელთა თვალისთვის მოეშორებინა და სამზარეულოში [illegible] გვერდით მიუჩინა ადგილი, აქ ისადილეო, მშვენიერ რემედიოსსაც გაეხარდა კიდეც, ბებიის თვალთვალს მოვცილდიო. ისე, მისთვის სულერთი იყო, სად და როდის ისადილებდა — დაწესებულ დროს თუ თვითონ როცა მოშივდებოდა. რამდენჯერ შუადღემდისაა წამომდგარა საჭმელად, მერე კი საღამომდე სძინებია. ასე უწესრიგოდ შეეძლო ეცხოვრა თვეობით, ვიდრე რაიმე შემთხვევა არ უბიძგებდა, ოჯახში დაწესებულ განრიგს მიჰყოლოდა კვალში. მაშინაც დილის თერთმეტ საათზე იღვიძებდა, დედიშობილა ჩაიკეტებოდა საბანაოში და მორიელების ხოცვა-ხოცვაში ნელ-ნელა ფხიზლდებოდა, ღრმა და ხანგრძლივი ძილის ბურანიდან გამოდიოდა. მერე აუზიდან ხაპით იღებდა წყალს და ტანზე ისხამდა. ისე დიდხანს და გულმოდგინედ ისხამდა ხოლმე წყალს ტანზე, რომ ვინმე იფიქრებდა, — და სამართლიანიც იქნებოდა მისი ფიქრი, — ქალიშვილი საკუთარი სხეულის ცქერით ტკბებაო. სინამდვილეში მშვენიერი რემედიოსისათვის ეს [illegible] ჩვევა მხოლოდ დროის მოკვლის ერთ-ერთი საშუალება იყო. ბანაობდა მანამ, ვიდრე შიმშილი არ შეაწუხებდა. ერთხელ ის იყო ბანაობა ახალი დაწყებული ჰქონდა, რომ ვიღაც უცხოელი სახურავზე ავიდა კრამიტის დასაწყობად. უცხოელმა ერთი კრამიტი გადასწია და უცებ სუნთქვა შეეკრა მშვენიერი შიშველი ქალის დანახვაზე. ქალიშვილმა დაინახა კრამიტებიდან მზირალი ვაჟის თვალები, მაგრამ არ შერცხვენია სიშიშვლისა, შეშფოთდა მხოლოდ:

— ფრთხილად იყავით, ჩამოვარდებით! — შესძახა მან.

— გიყურებთ მხოლოდ. სხვა არაფერი მინდა, — ძლივს ამოღერღა უცხოელმა.

— მიყურეთ რა, — უთხრა ქალიშვილმა, — ოღონდ ფრთხილად იყავით, სახურავი დამპალია.

უცხოელს ტანჯვა და გაკვირვება აღბეჭდოდა სახეზე, უხმოდ ებრძოდა ვნებიან სურვილს, საოცარი მირაჟი არ გამქრალიყო. ქალიშვილს კი ეგონა, სახურავის ჩავარდნის შიშით იტანჯებაო და ბანვას მოუჩქარა. ჩემი მიზეზით უბედურება არ დატრიალდესო. წყალს ხაპით ისხამდა ტანზე და თან უცხოელს შესჩიოდა, ხომ ხედავთ, რა დღეშია სახურავი, წვიმამ და ნეშომ სულ დაალპო, ალბათ ამიტომაც მომრავლდნენ საბანაოში მორიელებიო. უცხოელმა იფიქრა, ამდენს იმიტომ მელაპარაკება, ალბათ წყალობის თვალით გადმომხედაო და როცა ქალიშვილი საპონს დასწვდა, ვაჟმა გადაწყვიტა ბედი ეცადა:

— ნება მომეცით, საპონი წაგისვათ, — წაილუღლუღა მან.

— დიდად მადლობელი ვარ, მაგრამ მეც კარგად წავისვამ.

— ზურგზე მაინც წამასმევინეთ, — შეევედრა უცხოელი.

— ზურგზე საპნის წასმა სად გაგონილა? — გაუკვირდა მშვენიერ რემედიოსს.

მერე ქალიშვილი ტანს იმშრალებდა, თვალცრემლიანი უცხოელი ვედრებით შესთხოვდა, ცოლად გამომყევიო. მშვენიერმა რემედიოსმა გულწრფელად

უპასუხა, არასოდეს არ გავყვები ისეთ ბედოვლათ კაცს, ვისაც შეუძლია საათობით უქმად იყოს და სადილ-ვახშამიც დაავიწყდეს, ოღონდ შიშველ ქალს უყუროსო. ბოლოს, როგორც იქნა, ქალიშვილმა თავისი ტომარა ჩამოიცვა და უცხოელმაც ირწმუნა ხალხის ნათქვამი, მშვენიერი რემედიოსი კაბას ზედ შიშველ ტანზე იცვამსო, საკუთარი თვალით იხილა და იგრძნო [illegible] რომ დადაღა ამ გამჟღავნებულმა საიდუმლომ. მეტის მოთმ[illegible], ორი-სამი კრამიტი კიდევ ამოიღო, რათა აბანოში ჩამძვრალიყო.

— ჭერი მალალია, — შეეშინდა ქალიშვილს, — ჩამოვარდებით.

ამის თქმა იყო და დამპალი სახურავი საშინელი ზათქითა და გრიალით ჩამოიქცა; კაცმა ძლივს მოასწრო დაყვირება, ცემენტის იატაკს დაასკდა, თავი შუაზე გადაეხლიჩა და იქვე განუტევა სული. სასადილო ოთახიდან უცხოელები შემოცვივდნენ და მაშინვე იყნოსეს, მკვდარს მშვენიერი რემედიოსის თავბრუდამხვევი სუნი ასდიოდა, თანაც ისე ღრმად შეეწოვებინა, რომ გახეთქილი თავიდანაც კი სისხლის მაგიერ იგივე იდუმალი სურნელება მოჟონავდა. თქმა აღარ უნდოდა, მშვენიერი რემედიოსის სუნი საიქიოშიც მანამდე არ მოასვენებდათ კაცებს, ვიდრე საფლავის მტვრად არ იქცეოდნენ. მაგრამ არავის მოსვლია აზრად, ეს საშინელი შემთხვევა იმ ორი ყმაწვილკაცის სიკვდილთან დაეკავშირებინა, მშვენიერი რემედიოსის სიყვარულმა რომ მოუღო ბოლო. კიდევ ერთი მსხვერპლი იყო საჭირო, რათა უცხოელებიც და მაკონდოელებიც ბოლოს და ბოლოს დარწმუნებულიყვნენ, რემედიოს ბუენდიას სიყვარულის სუნთქვა კი არა, სიკვდილის დამღუპველი ქროლვა მოჰქონდა თან. მართლაც, ერთ დღეს მშვენიერი რემედიოსი თავის მეგობარ გოგონებთან ერთად ბანანის პლანტაციების სანახავად წავიდა. ნესტიანი, უსასრულო ხეივანი მაკონდოელთა მოდური გასართობი და თავშესაქცევი ადგილი იყო. აქ ისეთი სიჩუმე იდგა, თითქოს სხვა ადგილიდან გადმოეტანათ ჯერაც უხმარი, ცინცხალი და ხელუხლებელი და ამიტომაც არ ეხერხებოდა ხმის გადაცემა. ნახევარი მეტრი რო არის ,ამ პატარა მანძილზეც კი ვერ გაიგონებდით მოსაუბრის ხმას, მაშინ როცა ხეივნის შორი ბოლოდანაც კი გარკვევით ისმოდა ყველაფერი. მაკონდოელმა ქალიშვილებმა ეს უცნაური ხეივანი მხიარულებისა და ძრწოლის, შიშისა და სიცილის სათამაშო ადგილად გაიხადეს, საღამოობით კი ხეივანში გასეირნებას უამურ სიზმარივით იგონებდნენ. ბანანის ხეივნის მდუმარების ამბავი ისე ეკერა ყველას პირზე, რომ ურსულამ უარი ვერ უთხრა ბადიშიშვილს ამ უწყინარ გართობაზე და ნება დართო პლანტაციაში წასულიყო: ოღონდ ქუდი დაიხურე და რიგიანად ჩაიცვიო, უთხრა. როგორც კი ქალიშვილები პლანტაციებს შეესიენ, ჰაერი სიკვდილის სუნთქვით გაიჟღინთა: კაცები არხს თხრიდნენ და უცებ გუმანით იგრძნეს, რაღაც ჯადოსნური ბადე იხლართებოდა მათ გარშემო, უხილავი განსაცდელი დადგომოდათ თავს. ერთი-ორმა უეცრად მოვარდნილი ქვითინიც კი ვერ შეიკავა... შიშით გულგახეთქილმა მშვენიერმა რემედიოსმა და მისმა მეგობრებმა გონებაარეული ხვადების დანახვაზე ძლივს შეაფარეს თავი მახლობელ სახლს. მხოლოდ კარგა ხნის მერე მიეშველა შეშინებულ გოგოებს ოთხი აურელიანო, რომელთა შუბლზე აღბეჭდილი ფერფლის ჯვრები მოწამებრივ შიშსა და რიდს ჰგვრიდა ყველას, რამეთუ უმაღლესი კასტის აღმნიშვნელი გახლდათ იგი და ხელშეუვალობის ბეჭედივით ესვათ ზედ. მშვენიერმა რემედიოსმა არავის გაანდო ერთი ამბავი: ამ არეულობაში ერთმა კაცმა როგორღაც მოახერხა და ქალიშ-

ვილს აძაგძაგებული ხელებით ისე ჩააფრინდა მუცელზე, როგორც არწივი ეჭიდება ქარაფის კიდეს. თითქოს ელვამ წამით დააბრმავა ქალიშვილი, მობრუნდა და უსაზღვრო ტანჯვა ამოიკითხა კაცის თვალებში. განიცადა მისი გული და სიბრალულის სითბო ჩაეღვარა. საღამოს კი თურქების ქუჩაზე ეს კაცი თავის გამბედაობასა და ქედმედნიერებას იკვეხნიდა: თითქოს [illegible] იყო გასული, რომ ცხენმა წიხლით შეუნგრია გულის ფიცარი! [illegible] გარშემო თავმოყრილი უცხოელები ხედავდნენ, მიწაზე როგორ იგრიხებოდა და ყელში მომდგარი საკუთარი სისხლი როგორ ახრჩობდა საბრალო კაცს.

ის ეჭვი, რომ მშვენიერი რემედიოსი მხოლოდ სიკვდილს სთესავს, უკვე ოთხმა უბედურმა შემთხვევამ დაამოწმა. თუმცა ბევრ ენაქავია კაცს უთქვამს, ჯანდაბას სიცოცხლე, ოღონდ ამისთანა ქალთან თუნდაც ერთი ღამე დამაწვინაო, გაბედვით ვერც ერთი ბედავდა ნატრულის აღსრულებას. არადა მშვენიერი რემედიოსის გულის დასაპყრობად და სიკვდილის დასამარცხებლად სულ პატარა რამ იყო საჭირო: პირველყოფილი და უბრალო გრძნობა — სიყვარული. ურსულამ საბოლოოდ ჩაიქნია ხელი ბადიშიშვილზე — წინათ კიდევ ჰქონდა რაღაცის იმედი, იქნებ როგორმე საამქვეყნოდ მოვარჯულოო, საოჯახო საქმეებში იშველიებდა ხოლმე: „შენ რაზეც ფიქრობ, მარტო ის არ ეყოფა კაცს, — ეუბნებოდა საიდუმლოდ, — ოჯახში ათასი საქმეა, დღედაღამ ციბრუტივით უნდა იტრიალო, ყოველ წვრილმანზე იფიქრო". სულის სიღრმეში ურსულამ იცოდა, თავს იტყუებდა, როდესაც ბადიშიშვილის ოჯახურ სიმყუდროვეზე ფიქრობდა. კარგად იცოდა ვნებიანი სურვილის დაცხრომის შემდეგ არც ერთი მამაკაცი არ გაჩერდებოდა მასთან, ერთ დღესაც ვერ გაუძლებდნენ მშვენიერი რემედიოსის გაუგონარ უთავობასა და უყაირათობას. ნაბოლარა ხოსე არკადიოს აღზრდამ და დიდმა სურვილმა — რომის პაპის სავარძელში ეხილა ბადიშიშვილი — მთლად გადაიყოლა ურსულა. მშვენიერი რემედიოსი ბედის ანაბარა მიაგდო, იქნებ ადრე თუ გვიან სასწაული მოხდეს და ისეთი კაცი გამოჩნდეს — მშვიდი და გულგრილი — ვინც იტვირთებს მშვენიერი რემედიოსის ქმრობასო. ამარანტას ურსულაზე ადრე გადაუწყდა მისი მორჯულების იმედი. ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ, საღამოობით რომ მოისვამდა ხოლმე გვერდით და საკერავი მანქანის სახელურს ატრიალებინებდა, ამარანტა მიხვდა, მისი ძმისშვილისშვილი ერთი ჭკუასუსტი გოგო იყო. თანაც მის უგულო და უხალისო ლაპარაკს რომ ისმენდა მამაკაცებზე, ცოტა არ იყოს შეფიქრიანდებოდა კიდეც და ეუბნებოდა, ლატარიაში უნდა გაგათამაშო, შენ ისე არ დაგადგება საშველიო. ცოტა მოგვიანებით ურსულამ მშვენიერ რემედიოსს ეკლესიაში წასვლის ნება რომ დართო, ოღონდ სახეზე მანტილია ჩამოიფარეო, ამარანტამ სიხარულით გაიფიქრა, იქნებ გვეშველოს, გამოჩნდეს კაცი, სახედამალული ქალის დანახვაზე ცნობისწადილი გაუღვივდეს და მოთმინებით დაელოდოს თავის ადგილს ქალის გულშიო, მაგრამ როცა ქალიშვილმა უარი მიახალა ერთ მეფისწულივით გამორჩეულ სასიძო კაცს, ამარანტას ყველა იმედი გადაეწურა. რაც შეეხება ფერნანდას, ის არც ცდილა, ერთხელ მაინც ჩაეხედა მშვენიერი რემედიოსის სულში. ჯერ კიდევ მაშინ, სისხლიანი კარნავალის დროს დედოფლის სამოსში გამოწყობილი რომ იხილა, ფერნანდამ გაიფიქრა, ეს გოგო ამქვეყნიური არსება არ არისო, მაგრამ სამაგიეროდ მერე რომ ნახა, ქალიშვილი ხელით ჭამდა და ერთი ჭკვიანური სიტყვაც არ დასცდენია არასდროს, შეშურდა, ნახე-

ვრად შეშლილი ბუენდიები ასე დიდხანს რად ცხოვრობენო. და თუმცა პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას მტკიცედ სწამდა და ბევრჯერაც უთქვამს კიდეც, მშვენიერი რემედიოსი ყველაზე სრულყოფილი არსება იყო მათ შორის, ვისაც კი მე ვიცნობ და ყველას გჯობთო, ახლობლებმა მაინც ბედის ანაბარა მიაგდეს ქალიშვილი. ასე აღმოჩნდა მშვენიერი რემედიოსი მარტოობის უდაბნოში. თვითონ სულაც არ აწუხებდა ეს ამბავი. დრო გადიოდა მშვიდ სიზმრებში, უსასრულო ბანაობაში, უწესრიგო ჭამაში და ხანგრძლივსა და ღრმა დუმილში, რის მიღმაც ერთი მოგონებაც არ იმალებოდა. ასე მიდიოდა მისი ცხოვრება მარტის იმ დღემდე... ფერნანდამ ქალებს დაუძახა, ბაღში სარეცხის ჩამოღებაში მომეხმარეთო. საქმისთვის ჯერ არც კი მოეკიდა ხელი, რომ ამარანტამ შეამჩნია, მშვენიერ რემედიოსს სახეზე საოცარი მკრთალი ფერი დაედო, თითქმის გამჭვირვალე გაუხდა კანი.

— ცუდად ხომ არ ხარ? — ჰკითხა ქალიშვილს.

მშვენიერ რემედიოსს ზეწრის ერთი ბოლოსთვის ჩაევლო ხელი. შესაბრალისად გაიღიმა:

— პირიქით, არასოდეს ვყოფილვარ ასე კარგად.

ეს თქვა მშვენიერმა რემედიოსმა და ფერნანდამ უცებ იგრძნო, ალერსიანმა და ახივიანმა იდუმალმა ქარმა ზეწარი გამოსტაცა ხელიდან. მერე დაინახა, როგორ გადაიშალა ოთხივე კუთხით. ამარანტაც კაბის მაქმანსაც უცნაური თრთოლვა შეუდგა და იმ წუთას, როცა მშვენიერმა რემედიოსმა ყველას თვალწინ ზეცად იწყო ამაღლება, ზეწრის ბოლოს ჩაეჭიდა, არ წავიქცეო. მხოლოდ ურსულა, თითქმის სრულად თვალდაშრეტილი მოხუცი მიხვდა ყველაფერს, ეცნო დაუმორჩილებელი ქარის ქროლვა და ზეწარი მის ახივიან ნაკადს მიანდო; ურსულა ხედავდა, როგორ ემშვიდობებოდა თვითრად მთრთოლვარე ზეწარსმინდობილი მშვენიერი რემედიოსი თავის დიდ ბებიას — ქალიშვილმა და ზეწარმა განკვეთეს ბუზანკლებით და გეორგინის სურნელით სავსე ჰაერი და მიიკარგნენ იქით, სადაც დღის ოთხი საათი აღარ იყო და სადაც მოგონებათა ფრთამალი ჩიტებიც ვერ დაეწეოდნენ შორეულ სივრცეში სამუდამოდ განბნეულთ.

უცხოელები, რა თქმა უნდა, მიხვდნენ, რომ მშვენიერი რემედიოსი ბოლოს და ბოლოს ვერ გაექცა ფუტკრების დედოფლის წილხვედრს, ბუენდიებმა კი, ოჯახს რომ სახელი არ შელახოდა, ზეცად ამაღლების ზღაპარი შეთხზეს. შურით გამსკდარმა ფერნანდამ იწამა საოცრება და დიდხანს ეხვეწებოდა ღმერთს, დამიბრუნე ჩემი ზეწრებიო. ბევრმა მაკონდოელმა დაიჯერა მშვენიერი რემედიოსის ზეცად ამაღლების ამბავი, სანთლები დაანთეს და სულიწმინდის ლოცვაც თქვეს. ეს სასწაული ხალხს ალბათ დიდხანს ექნებოდა სალაპარაკოდ, ერთი შემზარავი ამბავი რომ არ მომხდარიყო: მხეცურად ამოხოცეს ყველა აურელიანო. პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია თითქოს ხვდებოდა, რომ მის ვაჟიშვილებს ტრაგიკული ბედი ელოდათ, მაგრამ წინათგრძნობა არ დაურქმევია ამ ვარაუდისთვის. როდესაც მხერხავი აურელიანო და აურელიანო არკაია უცხოელების ტალღას ჩამოჰყვნენ მაკონდოში და აქ დარჩენაც ისურვეს, მამა შეეცადა გადაეთქმევინებინა, რა დაგრჩენიათ, რა უნდა აკეთოთ ამ ქალაქში, სადაც დაბნელდება თუ არა, ვინ იცის რა საშინელება არ ხდებაო, მაგრამ ჭვავის აურელიანოს და ხალვლიან აურელიანოს აურელიანო მეორემაც აუბა მხარი, დატოვეს ძმები და სამუშაოც მიაცეა. პოლკო-

ვნიკი აურელიანო ბუენდია თვითონაც ვერ გარკვეულიყო, რატომ არ სურდა მათი იქ დარჩენა. როგორც კი ბატონი ბრაუნი დაინახა ნარინჯისფერ მანქანაში, რომელიც პირველი მანქანა იყო მაკონდოში და რომელსაც მოძრავი სახურავი და ისეთი უსიამო საყვირი ჰქონდა, რომ ქუჩის ძაღლებს შიშსა გვრიდა, — ძველი ჯარისკაცი ლამის ბოლმამ დაახრჩო, ამ გრინგოს ფეხქვეშ რად ვეგებიანო. და მიხვდა, მას შემდეგ, რაც თვითონ და მისი თანამებრძოლები მხარზე თოფგადებული ტოვებდნენ ოჯახებს და მიდიოდნენ ომში, კარგა ხანი გავიდა და კაცებსაც აზრები შეცვლოდათ. ნეერლანდიის ზავის მერე მაკონდოს განაგებდნენ უგერგილო ალკალდები და მიწყნარებული, არაქათგამოცლილი კონსერვატორი კაი-მოსამართლეები. „ეს არის ამ აწყლების რეჟიმი, — ამბობდა პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია ფეხშიშველი და კეტმომარჯვებული პოლიციელების დანახვაზე, — ნუთუ მხოლოდ იმიტომ ვიომეთ იმდენ ხანს, რომ სახლები ცისფრად არ შეგვეღებაო!“ როგორც კი მაკონდოში ბანანის კომპანიამ მოიკიდა ფეხი, აქაური ჩინოვნიკები იმ მკაცრმა და უხეშმა უცხოელებმა შეცვალეს. ბატონმა ბრაუნმა რომ დაასახლა ელექტროფიცირებულ საქათმეში, სადაც ამ წარჩინებულთ არც სიცხე აწუხებდათ, არც კოღოები და არც არავითარი გაჭირვება, რომელიც სამაგიეროდ წილად ერგოთ იმათ, ვისაც ქალაქში მოუწია ცხოვრებამ. პოლიციელების ნაცვლად მკვლელები დაიქირავეს და ხელში მაჩეტე მისცეს. თავის სახელოსნოში ჩამოკეტილმა და ფიქრებში ჩაძირულმა პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ მთელი თავისი მარტოობის მანძილზე მხოლოდ ახლა ინანა მწარედ, ომი ბოლომდე რომ არ მიიყვანა. ერთ დღეს ყველასაგან დავიწყებულ პოლკოვნიკ მაგნიფიკო ვისბალის ძმამ თავისი შვიდი წლის შვილიშვილი მოედანზე ფარდულთან მიიყვანა ლიმონათის დასალევად. ბავშვმა უნებლიეთ მიასხა ლიმონათი იქვე მდგომ პოლიციელს მუნდირზე. იმ ველურმაც არც აცია, არც აცხელა, თავისი მაჩეტეთი აკუწა ბავშვი, ხოლო შვილიშვილის საშველად მივარდნილ მოხუცს თავი გააგდებინა. მთელი ქალაქი შესცქეროდა მოხუცის უთავო სხეულს, თავს, — ვიღაც ქალი თმაში რომ ჩაფრენოდა, — და ბავშვის ნაკუწებით აავსე გასისხლიანებულ ტომარას, ვისბალების სახლში რომ მიჰქონდათ.

ეს კი უკვე მეტისმეტი იყო. ცოდვების მონანიებას წერტილი დაესვა: პოლკოვნიკი აურელიანო ისევე აღშფოთდა ამ ამბავმა, როგორც ერთ დროს სიყმაწვილეში მოუვიდა ქალის გვამის დანახვაზე, რომელიც მხოლოდ იმიტომ მოკლეს კონდახის ცემით, რომ ცოფიანმა ძაღლმა უკბინა. პოლკოვნიკმა თვალი გადაავლო ქუჩაში შეკრებილ სასეირნოდ მოსულ ხალხს და ძველებურად ომახიან ხმაზე, საკუთარი თავისადმი ახლად გაღვიძებულმა უზომო სიძულვილმა რომ ამოაღებინა, — ერთი მაგრად დაუჭექა და მკერდში ვერდატეული მთელი ზიზღი გადმოანთხია:

— ცოტაც მოიცადეთ! — შეაძახა მან. — ჩემს ბიჭებს იარაღს ავასხამ, რომ ამ ოხერ გრინგოებს ბოლო მოუღონ!

უცნობი ავაზაკები მთელი კვირა როგორც კორდილერებზე, ისე ნადირობდნენ მთელს სანაპიროზე პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას ჩვიდმეტ ვაჟიშვილზე. პირდაპირ შუბლზე გამოსახულ ჯვარში უმიზნებდნენ. ნაღვლიანი აურელიანო დედასთან ერთად სახლიდან გამოდიოდა, რომ უცებ სიბნელეში გავარდა თოფი და ტყვიამ შუბლი გაუგლიჯა. ჭვავია აურელიანო თავის ბა-

მაკში იპოვეს ქარხანაში, სადაც იბინებდა ხოლმე: წარბებს შუა ყინულის ნატეხი სოლი ჰქონდა ჩაჭედილი. მხერხავი აურელიანო კინოდან შინ აცილებდა თავის საცოლეს, თურქების ქუჩა კარგად იყო განათებული, შეშლილ ხალხში შეერია, იქიდან ესროლეს და მხერხავი აურელიანო პირქვე მდუღარე ცხიმის ქვაბში ჩავარდა. ხუთი წუთის მერე ვიღაცამ დააკაკუნა ოთახის კარზე, სადაც აურელიანო არკადიო ერთ ქალთან იყო: „ჩქარა გამოდი, შენს ძმებს კლავენ!“ — მოესმა მას. მერე ქალი ყვებოდა, აურელიანო არკადიო წამოხტა, კარი გააღო და მაშინვე მაუზერიდან ესროლეს და თავის ქალა ახდესო. სიკვდილის ამ ღამეს, ვიდრე სახლში ოთხი მიცვალებულის სულის საცხონებელ ლოცვისთვის ემზადებოდნენ, ფერნანდა გიჟივით დარბოდა ქალაქში და ქმარს დაეძებდა. ამ დროს კი პეტრა კოტესა ყური მოეკრა, ვისაც პოლკოვნიკის სახელი ჰქვია, ყველას ხოცავენო, და თავისი საყვარელი ტანსაცმლის კარადაში დამალა. მხოლოდ მეოთხე დღეს გამოუშვა კარადიდან: ქალაქში მოსული დეპეშებიდან ცნობილი გახდა, უხილავი მტერი მხოლოდ შუბლზე ფერფლის ჯვარგამოსახულ ძმებს კლავსო. ამარანტამ წიგნაკი მოიძია, სადაც ძმისშვილების მისამართი და დაბადების თარიღები ჰქონდათ ჩაწერილი. მერე იმის მიხედვით, საიდან მოდიოდა დეპეშა, ფანქრით გადაშლიდა ხოლმე სახელს. ბოლოს მხოლოდ ერთის სახელიღა დარჩა — ყველაზე უფროსისა. ეს აურელიანო ყველას კარგად ახსოვდა სახლში, მზემოკიდებული კანი და ღია მწვანე თვალები ჰქონდა. მას შეყვარებული აურელიანო ერქვა, ხურო იყო და მთიანი ქედის ყველაზე შორეულ კალთაზე ცხოვრობდა. აურელიანო მეორე ორი კვირა ელოდა მისი მოკვლის ცნობასაც, მერე კაცი გააგზავნა, ჩვენი, არაფერი იცის და ფრთხილად იყოსო. შიკრიკი დაბრუნდა და მოახსენა, შეყვარებული აურელიანო საიმედო ადგილას არის შეფარებული, იმ ხოცვის ღამეს მასთანაც მიიყვანეს ვიღაც ორნი და რევოლვერი დაუცლიათ, მაგრამ ფერფლის ჯვარში ვერ მოუხვედრებიათ. შეყვარებულ აურელიანოს როგორღაც მოუხერხებია მთებში მიმალვა, ინდიელებთან მეგობრობს და იქ ყოველი კუთხე-ბილიკი ზეპირად იცოდნიათ; ამის მეტი შეყვარებულ აურელიანოზე არაფერი სმენიათ.

პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას შავი დღეები დაუდგა. რესპუბლიკის პრეზიდენტმა დეპეშით მოუსამძიმრა, ჰპირდებოდა, საგულდაგულოდ გამოიძიებ ყველაფერსო და ქება-დიდებით იხსენიებდა მოკლულთ. პრეზიდენტისავე განკარგულებით დაკრძალვაზე თვითონ ალკალდი მობრძანდა, ოთხი გვირგვინი მოიტანა და კუბოებზე უნდა დაეწყო, რომ პოლკოვნიკმა ბრძანა, გაიყვანეთ აქედანო. დაკრძალვამ რომ ჩაიარა, პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ რესპუბლიკის პრეზიდენტის სახელზე დეპეშა შეადგინა და თვითონ წაიღო ფოსტაში, მაგრამ ტელეგრაფისტმა უარი უთხრა დეპეშის მიღებაზე. მაშინ პოლკოვნიკმა დეპეშას კიდევ დაუმატა მუქარისა და გალანძღვის სიტყვები, კონვერტში ჩადო და საფოსტო ყუთში ჩააგდო. დარდის მაგვარ ახლაც ისეთივე უსაგნო რისხვა და უძლურება დაუფლებოდა, როგორც ცოლის სიკვდილის მერე დაეუფლა, როგორც ომში ეუფლებოდა, ერთი მეორის მიყოლებით რომ ეხოცებოდნენ მეგობრები ბრძოლის ველზე. პოლკოვნიკმა ისიც განაცხადა, მღვდელი ისაბელი მკვლელობის თანამონაწილეა, განგებ წაუცხო ჩემს შვილებს ფერფლის ჯვრები, რათა მტრებს ეცნოთ. დაუძლურებული და ჭკუაზე შექანებული ღვთისმსახური, ამბიონიდან რომ აშინებდა

მლოცველებს თავისი აბდაუბდა ლაპარაკით, პირადად ეახლა შინ პოლკოვნიკს ფერფლიანი ჯამით ხელში, მუდამ მზად რომ ჰქონდა მარხვის პირველი დღისთვის და თავის გასამართლებლად ყველას სთხოვა, წამასმევინეთ შუბლზე და ნახეთ, რა ადვილად განიბანებაო. მაგრამ უბედურების შიში ისე ჰქონდათ ბუენდიებს სულში გამჯდარი, რომ ფერნანდაც კი უარზე დადგა და ამის მერე არც არავის უნახავს მარხვის ოთხშაბათ დღეს [illegible]ორებში მუხლმოყრილი ერთი ბუენდიაც კი.

პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია დიდხანს ვერ დამშვიდდა. თევზების კეთებას მოეშვა, ჭამითაც ძალით ჭამდა და მთვარეულივით დაბორიალობდა ოთახებში, ლაბადის კალთებს მიათრევდა იატაკზე და სალეჭივით ღეჭავდა თავის ყრუ რისხვას. სამ თვეში გაჭაღარავდა, ოდესღაც ლამაზად აწკეპილი ულვაში ახლა უფერულ ტუჩ-პირზე ჩამოეკიდა, თვალები კი, დაბადებისას რომ შეაშინა ყველა და ერთ შეხედვაზე სკამებსაც ამოძრავებდა, კვლავ ძველებურად ცეცხლიანი შერჩა. რისხვითა და ტანჯვით შეპყრობილი პოლკოვნიკი ამაოდ უხმობდა იმ წინათგრძნობას, ძველად, ახალგაზრდობაში სახიფათო ბილიკებით რომ დააქანებდა დიდების უდაბნოში. გზაარეულივით დაბორიალობდა ამ უცხო სახლში, არაფერზე არ მიუდიოდა გული. ერთხელ მელკიადესის ოთახში შევიდა, იქნებ ომამდელი, ძველი დროის ნაკვალევი აღმოვაჩინოო, მაგრამ მრავალი წლის დაგროვილი მტვრისა და ნაგვის მეტი ვერაფერი ნახა. წიგნები კარგა ხანია არავის წაუკითხავს და ნესტისგან დაცრეცილი ყდები და პერგამენტებიც უფერულ ბალახს დაეფარა, ჰაერში კი, — ოდესღაც მთელს სახლში რომ გამოირჩეოდა თავისი სიწმინდითა და სიკამკამით, — ახლა დამპალი მოგონებების გაუსაძლისი სუნი იდგა. ერთხელაც, დილით, წაბლის ძირში პოლკოვნიკმა ურსულა დაინახა, ქალს თავი მიეყრდნო ქმრის მუხლებზე და ტიროდა. პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია ამ სახლში ერთადერთი კაცი იყო, ვისაც ბედად არ ეწერა ენახა ნახევარსაუკუნოვანი უამინდობითა და ქარიშხლებით წელში მოხრილი გოლიათი მოხუცი. „მიესალმე მამას", — უთხრა ურსულამ. პოლკოვნიკი წუთით შეჩერდა ხესთან და კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ არც ეს ადგილი ეკარებოდა მის გულს.

— რაო, რა მინდაო? — ჰკითხა დედას.

— წუხს, — უპასუხა ურსულამ. — ასე ჰგონია, მალე მოკვდები.

— უთხარი, — გაეღიმა პოლკოვნიკს, — კაცი მაშინ კი არ კვდება, როცა უნდა მოკვდეს, არამედ მაშინ, როცა შეუძლია მოკვდეს.

გარდაცვლილი მამის წინასწარმეტყველებამ პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას გულში მინავლებული სიამაყის ნაღვერდალი გადაქექა მხოლოდ და ეს წამიერი აალება მან ძველებურ აიმხნევედ მიიჩნია. საჩქაროდ გამოჰკითხა დედას, თაბაშირის წმინდანში ნაპოვნი ოქრო სად გადამალეო. „არ გეტყვი, — მტკიცედ უთხრა წარსულის გაკვეთილებით ჭკუანასწავლმა ურსულამ. — მოვა მისი პატრონი და თვითონ მოძებნის". ყველას უკვირდა პოლკოვნიკის ფერიცვალება: კაცი, რომელსაც არასოდეს ჰყვარებია ფული, ახლა ისე გახელებული ფიქრობდა დიდძალ თანხაზე, რომ თვით აურელიანო მეორეც კი გაკვირვებული იყო. ყოფილ თანამებრძოლებს ჩამოუარა ფულის სათხოვნელად. თავგაბეზრებული ამხანაგები ემალებოდნენ. სწორედ იმ ხანებში თქვა პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ: ლიბერალები და კონსერვატორე-

ბი ახლა მხოლოდ იმით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ ლიბერალები დილით დადიან წირვაზე, კონსერვატორები კი — საღამოს. პოლკოვნიკმა საკუთარი ღირსებაც არად ჩააგდო და თხოვნა-მუდარით, მონდომებითა და სიჯიუტით თავისი გაიტანა: რვა თვეში უფრო მეტი ფული დახარჯა, ვიდრე ურსულას ჰქონდა გადანახული. ამის მერე ლოგინად ჩავარდნილ პოლკოვნიკ ხერინელდო მარკესს მიაკითხა, ახალ უმკაცრეს ომს ვიწყებ და შენი მხარდაჭერა მჭირდებაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლკოვნიკი ხერინელდო მარკესი თუმცა დამბლას სავარძელზე მიეჯაჭვა, მაინც ერთი ხანობა ერთადერთი კაცი იყო, ვინც შეძლო აჯანყების ქანგმოდებული ბერკეტის ამუშავება. ნეერლანდიის ზავის მერე ვიდრე პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია თავის ოქროს თევზების კეთებაში ეძიებდა დავიწყებას, პოლკოვნიკი ხერინელდო მარკესი კვლავ მეგობრობდა მეამბოხე ოფიცრებთან, რომლებიც სიკვდილამდე მისი ერთგულნი დარჩნენ. მათთან ერთად გადაიტანა მან ომი ყოველდღიური დამცირებისა, თხოვნისა, ახსნა-განმარტებითი ბარათების წერისა და უსასრულო დაპირებებისა: „ხვალ გამოიარეთ“, „სულ მალე გაირკვევა ყველაფერი“, „საგულდაგულოდ ვსწავლობთ თქვენს საქმეს“. ეს იყო ომი განწირული, ომი „თქვენი დიდად პატივისმცემლებისა“, „თქვენი მონა-მორჩილთა“ წინააღმდეგ, რომლებიც დაპირებით ბევრს ჰპირდებოდნენ, მაგრამ საქმით კი არასოდეს ასრულებდნენ დანაპირებს: ვეტერანებს არ ეღირსეს პენსიები. ნამდვილად, სისხლით გაჟღენთილ ოცწლიან ომს ისე არ დაუძაბუნებია ვეტერანები, როგორც ამ გაუთავებელმა დაპირებებმა გამოაცალათ ძალა. თვითონ პოლკოვნიკი ხერინელდო მარკესი სამჯერ გადაურჩა თავდასხმას, ხუთჯერ დაიჭრა, რამდენჯერმე უვნებელი გამოვიდა სასტიკი ბრძოლის ველიდან, მაგრამ მთელი ცხოვრება მოლოდინში გაატარა და ამან უფრო დააძაბუნა და საბოლოო, გადამწყვეტი დამარცხებაც — სიბერე არგუნა ბედმა. იგი იჯდა თავის სარწეველა სავარძელში, იატაკზე მზის მოხატულ კვადრატებს დასცქეროდა და ამარანტაზე ფიქრობდა. თავისი თანამებრძოლები მეტად აღარ უნახავს; მხოლოდ ერთხელ ნახა და ისიც გაზეთში: რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტის გვერდით რამდენიმე ვეტერანი იდგა. ამ პრეზიდენტის გვარი და სახელი პოლკოვნიკმა ხერინელდო მარკესმა არ იცოდა. ძველ მეომრებს სახეზე გაბრაზება ეხატათ: პრეზიდენტმა სულ ახლახან დაურიგა მათ მუნდირზე დასაბნევი სამკერდე ნიშნები, რაზეც მისივე სახე იყო გამოსახული და დაუბრუნა დამტვერილი, სისხლიანი დროშა კუბოზე გადასაფარებლად. დანარჩენებმა, უფრო ღირსეულ ვეტერანებმა, ჯერაც არ დაეკარგათ იმედი და პენსიის დანიშვნას ელოდნენ საქველმოქმედო თავშესაფრების ბნელ-ბნელ კუთხეებში. ზოგი შიმშილით კვდებოდა, ზოგსაც საკუთარ არსებაში დანთებული რისხვა აცოცხლებდა და სიბერისაგან ნელ-ნელა ლპებოდა სახელისა და დიდების ნეხვში. ამიტომ როდესაც პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ ამცნო ძველ მეგობარს თავისი განზრახვა — დაენთოთ ახალი უმკაცრესი ომის ხანძარი, რომელიც პირისაგან მიწისა აღგვიდა ამ სამარცხვინო დამპალ რეჟიმსა და მის მომხრე უცხოელ დამპყრობლებს, პოლკოვნიკმა ხერინელდო მარკესმა სიბრალულითა და ოხვრით თქვა:

— ეჰ, აურელიანო, ვიცოდი, დაბერდი, მაგრამ უფრო ბებერი ყოფილხარ, ვიდრე ჩანხარ.

ბოლო წლებში ისე აირ-დაირია საქმეები, რომ ურსულამ ერთი რიგიანად ვერ მოიცალა. ხოსე არკადიო რომის პაპობისთვის მოემზადებინა. ამასობაში სემინარიაში მისი გაგზავნის დროც დადგა. ხოსე არკადიოს და მემეც, საზიაროდ რომ ზრდიდნენ მკაცრი ფერნანდა და შემჭმუნვარე ამარანტა, თითქმის იმავე ხანებში გახდა სამონასტრო კოლეჯის ასაკისა, სადაც კლავიკორდზე დაკვრა უნდა შეესწავლა. ეჭვებით დატანჯულ ურსულას ეჩვენებოდა, რომ მარტო მისი მეთოდი ვერ გამოუწრთობდა სულს მომავალ უგერგილო პაპს. კიდევ სხვა რაღაც იყო საჭირო და ამ უკმარისობას იგი თავის სიბერეს და თვალებზე აფარებულ შავ ღრუბელს კი არ აბრალებდა — ამ ღრუბლის მიღმა გაჭირვებით ხედავდა მხოლოდ ჩრდილებს — მთელი ბოროტების სათავეს სხვა რაღაცაში ხედავდა, ოღონდ ზუსტად ვერ დაერქმია სახელი, მაგრამ ბუნდოვნად კი წარმოედგინა და ამ წარმოდგენაში დროის გაცვეთას, დღითი დღე გაუარესებას გულისხმობდა. „წლები ახლა სხვანაირად გადის", — ჩიოდა იგი და გრძნობდა, ყოველდღიური რეალობა ხელიდან უსხლტებოდა. წინათ ბავშვები ძალიან ნელა იზრდებოდნენ, — ფიქრობდა ურსულა, განა ცოტა დრო გავიდა მანამდე, ვიდრე მისი უფროსი ვაჟი ხოსე არკადიო ბოშებს გაეკიდებოდა? განა ცოტა რამ მოხდა ოჯახში, ვიდრე ის შინ დაბრუნდებოდა გველივით მოხატული და ასტროლოგივით უცნაურად მოლაპარაკე, ან მანამდე, ვიდრე ამარანტა და არკადიო ინდიელთა ენას დაივიწყებდნენ და ესპანურად ალაპარაკდებოდნენ? განა ცოტა ხანს იჯდა ხოსე არკადიო ბუენდია წაბლის ხის ძირში? მერე რა დიდხანს გლოვობდნენ მის სიკვდილს — თითქმის პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას შინ მოყვანამდე, ის კი მაშინ ორმოცდაათი წლისაც არ იყო და ამდენი ომი და გაჭირვება გადატანილი ჰქონდა. უკვე წინათ მოცლა არა ჰქონდა ქალს. შაქარყინულებსაც დასტრიალებდა თავს და ბავშვებსაც უვლიდა. თვალებზე ატყობდა, როდის უნდა დაელევინებინა მათთვის საფაღარათო წამალი. ახლა კი მოცლილია, მარტო ხოსე არკადიოს თუ უვლის, თორემ დრო ისე გაფუჭდა, ვერც ერთ საქმეს ვეღარ ამთავრებს ბოლომდე. ურსულას კარგა ხანია თავისი ხნოვანების სათვალავი ერია, მაგრამ სიბერეს მაინც არ ეპუებოდა, ყველას ფეხებში ებლანდებოდა, ხელს უშლიდა, უცნობლებს გულს უწყალებდა უსასრულო შეკითხვებით — თაბაშირის წმინდანები ისევე ჩვენთან ხომ არ დაგიტოვებიათ წვიმის გადაღებამდეო. არავინ იცოდა, როდის დააკლდა თვალისჩინი. უკანასკნელ წლებშიც კი, საწოლზე მიჯაჭვულსაც ვერავინ შეატყო, მთლად ბრმა რომ იყო. თვითონ ურსულამ სიბრმავის მოახლოება ხოსე არკადიოს დაბადებამდე იგრძნო. პირველ ხანებში იფიქრა, გამიელიაო, მალულად სვამდა ძვლების ნახარშს, თაფლს იწვეთებდა თვალებში, მაგრამ მალე დარწმუნდა, აღარაფერი უშველიდა, წყვდიადში იძირებოდა ნელ-ნელა. ელნათურის ფასი მთლიანად ვერც აღიქვა, რადგან მაკონდოში პირველად რომ დადგეს ელექტრონათურები, ურსულა მაშინ უკვე ბუნდოვან შუქს ხედავდა მხოლოდ. სიტყვა არავისთან დაუძრავს სიბრმავეზე, გაუძნელდა საჯაროდ ეღიარებინა, უსარგებლო ვარ ამიერიდან ოჯახისთვისო. ყველას უჩუმრად სწავლობდა, სად რა იდო, ადამიანთა ხმებს უგდებდა ყურს, რათა მერე მთლად დაბრმავებულს გაადვილებოდა სიარული და ხმების გარჩევა მოგვიანებით ყნოსვაც განუვითარდა, თვალდახუჭულს ჩრდილებზე მე-

ტად ყნოსვა უფრო გაუმახვილდებოდა სიარულს და გადაურჩებოდა სირცხვილს: ჯიუტად არ სურდა ურსულას სიბრმავის გამხელა. ბოლოს ისე გაიწაფა, რომ ნემსში ძაფსაც უყრიდა, ღილკილოების ამოხვევაც შეეძლო და ცეცხლზე შედგმულ რძიან ქვაბსაც დარაჯობდა. ისე კარგად ახსოვდა, სად რა იდო, რომ ზოგჯერ თვითონაც არა სჯეროდა, რომ ბრმა იყო. ერთხელ ფერნანდამ მთელი სახლი შესძრა ყვირილით, ნიშნობის ბეჭედი დავკარგეო, ურსულამ კი ბავშვების ოთახში თაროზე იპოვა ეს ბეჭედი და თანაც ასე უშრომლად. ვიდრე ყველანი ჩვეულებრივ მიდი-მოდიოდნენ ოთახებში, ურსულა დარჩენილი ოთხი გრძნობის დახმარებით უჩუმრად აკვირდებოდა. მათ მოძრაობას და დროთა განმავლობაში აღმოაჩინა, რომ ოჯახის თვითეული წევრი თავიადა შეუმჩნევლად ყოველდღე დადის ერთსა და იმავე ადგილას, ერთნაირად მოძრაობს და ერთსა და იმავე დროს წარმოთქვამს ერთსა და იმავე სიტყვებს. მხოლოდ, ბუნდოვნებს ის შემთხვევაში დაეკარგებოდათ რამე, როცა ამ ჩვეულებრივ განრიგს დაარღვევენ. ურსულას უცებ გაახსენდა, რომ იმ დღეს ფერნანდამ მართლა გადაუხვია ჩვეულებრივ განრიგს. წინა ღამეს მეჩეჩ ბალდინჯო იპოვა ლოგინში და ფერნანდამაც ბავშვების ლეიბ-საბანი გაამზეურა. გამზეურებისას ბავშვებიც იქ იყვნენ და ურსულამაც სწრაფად მოისაზრა: ფერნანდა ბეჭედს თაროზე დადებდა, პატარები რომ ვერ მისწვდენოდნენ. აყვირებული ფერნანდა კი, პირიქით, ბეჭედს იქ ეძებდა, სადაც ჩვეულებრივ უწევდა ხოლმე გავლა-გამოვლა და იმას კი ვერ ხვდებოდა, რომ ამ დადგენილი, უცვლელი ყოველდღიური ცხოვრების წესის გამო უძნელდებოდა ხოლმე დაკარგული ნივთების პოვნა.

ხოსე არკადიოს აღზრდა ურსულას ეხმარებოდა თავისთვის აღენუსხა სახლში მომხდარი ყველაზე უმნიშვნელო ცვლილებაც კი. საკმარისი იყო ყური მოეკრა, მაგალითად, რომ ამარანტა აწოლ ოთახში წმინდანთა ქანდაკებებს აცმევსო, ვითომ ბავშვს ფერის გამოცნობას ვასწავლიოთ, ეკითხებოდა:

— აბა მითხარი, რა ფერის სამოსი აცვია მთავარანგელოზ რაფაელს?

ამრიგად, ბავშვი თავის დიდ ბებიას აწვდიდა იმ ცნობებს, რასაც ის ვერ ხედავდა, და ვიდრე ხოსე არკადიოს სემინარიაში გაგზავნიდნენ, ურსულა უკვე ხელით სცნობდა წმინდანთა სამოსის ფერსაც. ზოგჯერ გაუთვალისწინებელი რამაც ხდებოდა. ერთ დღეს ურსულა ბეგონიების შუშაბანდში ქარგვაში გართულ ამარანტას გადააწყდა.

— ღმერთო ჩემო, — გაცხარდა ამარანტა. — წესიერად ვერ გაივლი?

— შენ ზიხარ უადგილო ადგილას, — უპასუხა ურსულამ.

იგი დარწმუნებული იყო თავის სიმართლეში და რომ დაფიქრდა, მართლაც ისეთი უცნაური რამ აღმოაჩინა, აქამდე აზრადაც რომ არავის მოსვლია. წელიწადის დროთა ცვლასთან ერთად მზეც თანდათან და შეუმჩნევლად იცვლიდა თავის ადგილს ცაზე და შუშაბანდში მსხდომნიც ასევე ნელ-ნელა, თავისდა უნებურად ადგილს ინაცვლებდნენ ხოლმე. ერთი სიტყვით, საკმარისი იყო ურსულას გაეგო, რა რიცხვი იყო დღეს, რომ უშეცდომოდ განესაზღვრავდა, სად იჯდა ამარანტა. თუმცა დღითი დღე ემატებოდა ხელის კანკალი და ფეხებიც ტყვიასავით დამძიმებოდა, მაინც მისი პატარა და გალეული ტანი ხან აქ გამოჩნდებოდა და ხან იქ. სისხარტე ფეხებში რჩებოდა, ემპერიული, იმდროინდელი შერჩენოდა. მთელი ოჯახი რომ აწვა კისერზე, მაგრამ სამაგიეროდ ღრმა მოხუცებულობისა და უსინათლო მარტოობაში ისეთი გასაოცარი უნარი შე-

ირნა, რის მიხედვითაც ადვილად შეეძლო გარკვეულიყო ოჯახურ წვრილმანებში და თავის ცხოვრებაში პირველად იხილა მთელი სიცხადით ის სიმართლე, რის დანახვაც ვერ მოახერხა წინათ მოუცლელობის გამო. ხოსე არკადიოს სემინარიისათვის რომ ამზადებდნენ, ურსულამ სულ წვრილ-წვრილად გაიხსენა ბუენდიების მთელი ცხოვრება მაკონდოს დაარსების დღიდან და შთამომავლობასაც გადაავლო თავისი მახვილი თვალი. [illegible] პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია ოჯახს იმიტომ კი არ გამოეთიშა, რომ ომმა გაამკაცრა, როგორც ადრე ფიქრობდა ურსულა, არამედ იმიტომ, რომ მას არასოდეს ყვარებია ვინმე — არც თავისი ცოლი რემედიოსი, არც ღამეული საყვარლები და არც ვაჟიშვილები. ურსულა მიხვდა, რომ მისი ვაჟი იდეებისთვის კი არ იბრძოდა მთელი ოცი წელიწადი და უცილობელ გამარჯვებასაც დაღლილობის გამო კი არ შეაქცია ზურგი, როგორც ყველას ეგონა, არამედ გამარჯვებასაც და დამარცხებასაც მისთვის ერთი საყრდენი ჰქონდა — ცოდვილი პატივმოყვარეობა. ურსულა იმასაც მიხვდა, რომ მისი ვაჟი, ვისთვისაც თვითონ უყოყმანოდ გასწირავდა თავს, ბუნებას არ დაეჯილდოვებინა სიყვარულის ნიჭით. ერთხელ ღამით, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც აურელიანო დედის მუცელში იჯდა, ურსულას შემოესმა მისი ტირილი. ისე საწყალობლად და გარკვევით ტიროდა, რომ ცოლის გვერდით მწოლიარე ხოსე არკადიო ბუენდიასაც კი გაეღვიძა და გაეხარდა, ბავშვი მუცელმოგვი დაიბადებაო, ახვები კი არწმუნებდნენ, ნათელმხილველი იქნებაო, თვითონ ურსულას ეს მუცლიამიღმა გოდება საშინელი ღორის კუდის მაუწყებელი ეგონა და ღმერთს ეხვეწებოდა, საშოშივე ჩამიხრჩე ბავშვიო. მაგრამ ახლა სიბერეში დარწმუნდა და ამას მანამდეც არაერთხელ უთქვამს, ბავშვის ტირილი დედის მუცელში არც მუცელმოგვობასა და არც ნათელმხილველობას არ ნიშნავს, ეს ბავშვი ისე გაიზრდება, სიყვარული რა არის, არ ეცოდინებაო. მიხვდა ამას ურსულა და, როგორც არასდროს, ისე შეეცოდა შვილი. რაც შეეხება ამარანტას, წინათ თუ ურსულას შიშსა ჰგვრიდა მისი გულქვაობა და თვითონაც იტანჯებოდა მისი ჩუმი ტანჯვით, ახლა დედის თავისი ქალიშვილი ქალური სინაზისა და სათნოების განსახიერებად წარმოუდგა და თანაგრძნობით გამსჭვალული ურსულაც მიხვდა: დაუმსახურებელი ტანჯვა, ამარანტამ პიეტრო კრესპის რომ არგუნა წილად, შურისძიების წყურვილით კი არ იყო გამოწვეული, როგორც ყველას ეგონა, ან ის ნელი წამება, პოლკოვნიკ ხერინელდო მარკესის ცხოვრება რომ აურია, ბოროტებით კი არ მოსვლია, როგორც ყველა ფიქრობდა, არამედ ერთიცა და მეორეც გამოწვეული იყო უსაზღვრო სიყვარულსა და გადაულახავ შიშს შორის გაჩაღებულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლით, და ბოლოს და ბოლოს ამ ორთაბრძოლაში გაიმარჯვა უგნურმა შიშმა, ამარანტას გულში რომ ჩაბუდებულიყო ამოუძირკვავად. სწორედ ამ ხანებში ნოუხშირა ურსულამ რებეკას სახელის ხსენებას ძველებური სიყვარულით, დაგვიანებული სინანულითა და უცბად ამოხეთქილი აღტაცებით იგონებდა მის სახელს. რებეკას მისი ძუძუ არ უწოვია, რებეკა მიწას მიწასა და კედლებიდან კირს ჭამდა, რებეკას ძარღვებში ბუენდიების სისხლი კი არა, ამ ვილაც უცნობთა უცნობი ასახლი ჩქეფდა. ვისი ძვლები საფლავშიც განაგრძობდნენ ჩხრიალს. მხოლოდ ახლა მიხვდა ურსულა, რომ რებეკა სულსწრაფი, რებეკა სტომაქამოუყორავი ერთადერთი ადამიანი იყო, თამამი და გაბედული, რასაც ასე ნატრობდა ურსულა თავისი შთამომავლობისთვის.

— ოჩჩეკა, — ბუტბუტებდა ურსულა და კედლებზე ხელს აფათურებდა. — რა უსამართლოდ მოგექეცით!

ოჯახში ყველას ეგონა, ურსულა ბოდავსო, განსაკუთრებით მაშინ განუმტკიცდათ ვარაუდი, მთავარანგელოზ გაბრიელივით ხელგაწვდილი რომ დაინახეს მოსიარულე. მაგრამ ფერნანდამ მაინც შეამჩნია, რომ ურსულას ბოდვაში მზესავით გამოაშუქებდა ხოლმე ნათელი აზრი — შეეძლო უშეცდომოდ შეეძლო ეთქვა, რამდენი ფული დაიხარჯა ოჯახში შარშან. იმავე შეამჩნია ამარანტამაც: ერთხელ სამზარეულოში ურსულა წვნიან ქვაბს ადგა თავზე, არ იცოდა ვინმე თუ იყო იქ და უცებ თქვა: ბოშებისაგან ნაყიდი სიმინდისსაფქვავი, რომელიც ჯერ კიდევ მანამდე დაიკარგა, ვიდრე ხოსე არკადიო ბუენდია დედამიწას სამოცდათხუთმეტჯერ შემოუვლიდა, ახლაც პილარ ტერნერასთან დგასო. ას წელს მიტანებულ, მეტისმეტად გაფუებულ, მაგრამ ჯერ კიდევ ჯანმაგარ და მკვირცხლ პილარ ტერნერას, ვის დანახვაზეც ბავშვები იმავე ფრთხებოდნენ, როგორც ერთ დროს ჩიტები ფრთხებოდნენ ხოლმე მის წკრიალა სიცილზე, სულაც არ გაჰკვირვებია ურსულას ნათქვამი: იგი კარგა ხანია მიხვდა, ცხოვრებაზე დაკვირვებულ მოხუცებს მეტი დაეჯერებოდათ, ვიდრე მის კარტს.

როდესაც ურსულა მიხვდა, ვერ მოესწრებოდა ხოსე არკადიოს მოწოდებისამებრ გამწესებას, მაშინ კი წონასწორობა დაკარგა. უკვე ეშლებოდა რაღაც რაღაცები, თვალებს აბამდა. იქნებ ეს საგნები დავინახო, რაკი გუშინით უკეთ ვარჩევო. ერთხელ ბავშვს თავზე მელანი გადაასხა ნაკურთხი წყლის ნაცვლად. ყველგან და ყველაფერში ჯიუტად ჰყოფდა ცხვირს და შეცდომა შეცდომაზე მოსდიოდა. თან ჩქარობდა. ნაღველი თანდათან უმძიმებდა გულს და ამაოდ ცდილობდა გაქცეოდა გარე მოხუცის შეცდომებს. მაშინ უცებ მოიფიქრა: კიბერუზ და წყვდიადსაც კი არ დაემორჩილება, თვითონ დრო დაჩქარდა და გაფუჭდა საცოდავი. წინათ, ვიდრე ღმერთი კომბოსტოში არ ურევდა თვეებსა და წლებს და არც რაც ეშლებოდა რამე, როგორც თურქს ეშლება ხოლმე ფარდულებში გადახურვისას, ყველაფერი სხვანაირად იყო. ახლა ბავშვები მალეც იზრდებიან და ხალხიც გრძნობითაც სხვანაირად გრძნობს ყველაფერს. მშვენიერმა რემედიოსმა როგორაც ვერც კი მოასწრო სულითა და ხორცით ზეცად ამაღლება, რომ ფერნანდა უკმაყოფილოდ ბუზღუნებდა, ზეწრები წაიღოთვესო. ჯერ კიდევ საფლავში არ გაციებულიყო თექვსმეტი აურელიანო, რომ აურელიანო სეგუნდომ კვლავ ხელი მიჰყო ქეიფსა და დროსტარებას, აკორდეონზე დაკვრასა და შამპანურის თავზე გადავლებას. თითქოს ქრისტიანები კი არა, ძაღლები მომკვდარიყვნენ! ეს შეშლილთა სახლი, ურსულას ჯაფი და შეკაზმული რომ შეეწირა, თითქოს მხოლოდ იმისთვის აშენდა, რომ ცოდვების ბუდედ ქცეულიყო. ვიდრე ხოსე არკადიოს ზანდუკს ალაგებდნენ სამგზავროდ, მწარე მოგონებებით გართული ურსულა თავს ებრძოდა. იქნებ აჯობს ერთხელ და სამუდამოდ მოვისვენო და დავიმარხოო; ღმერთსაც აწუხებდა შეკითხვებით, ნუთუ მართლა გგონია, ადამიანები რკინისანი ვართ და ამდენი ტანჯვა-ვაება შეგვიძლია გადავიტანოთო. მაგრამ ამ კითხვა-კითხვაში უფრო აებნა გზა-კვალი და უცაბედად შეიპყრო დაუძლეველმა სურვილმა, უცხოელებივით რაც მოადგებოდა ენაზე, ყველაფერი ეთქვა; ბოლოს და ბოლოს ხომ შეიძლება წამით აჯანყდეს ადამიანი, რამდენი ხანია ამბოხი სწადია და სულ სახვალიოდ დებს, რამეთუ საკუთარი

არსებობის საძირკვლად თავგანწირვა მიაჩნდა ყოველთვის; როგორ უნდოდა ერთხელ მაინც მიეფურთხებინა ყველაფრისათვის და გულიდან გადმოეგდო აუგი სიტყვების ლოდი, რომელიც მორჩილებით აღსავსე თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე ედო მკერდში.

— უწმინდური! — შესძახა მან.

ამარანტა ზანდუკში ტანსაცმელს ალაგებდა და ეგონა, ქოჩორაში მორიელმა უკბინაო.

ბიბლიოთეკა

— სად არის? — იკითხა შეშინებულმა.

— ვინ?

— მორიელი, — აუხსნა ამარანტამ.

— აქ არის, — ურსულამ თითი მკერდზე მიიდო.

ერთ ხუთშაბათ დღესაც, ორ საათზე ხოსე არკადიო სემინარიის გზას დაადგა. ურსულას მუდამ ისეთი ემახსოვრება ბადიშისშვილი, როგორც წარმოდგენილი ჰყავდა გამგზავრების დღეს — მოთენთილი, დაბრძენებული და უცრემლო, როგორც თვითონ ასწავლა და დაარიგა; ემახსოვრება პაპანაქება სიცხეში მწვანე ხავერდის ლითონისღილებიან კოსტიუმში გამოკრული და ყელზე ბაფთაწაჭერილი. ხოსე არკადიოს წასვლის მერე სასადილო ოთახში მცენარეული წყლის მკვეთრი სუნი დარჩა. ამ წყლით ურსულა თავს ბანდა ხოლმე ბიჭს, რომ მერე სუნით ადვილად ეპოვა ოთახებში. გამოსათხოვარ სუფრაზე ღელვების დასაფარავად ყველანი გაუთავებლად ლაპარაკობდნენ და მეტისმეტი მონდომებით ჰყვებოდნენ მღვდელ ანტონიო ისაბელის ამბებს. მაგრამ ხავერდის შალითაგადაკრული და კუთხეებში მოვერცხლილი ზანდუკი რომ წაიღეს, ყველას მოეჩვენა, სახლიდან კუბო გაიტანესო. პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ უარი თქვა გაცილებაზე.

— პაპის გვაკლდა! — ჩაიბუზღუნა მან.

სამი თვის მერე აურელიანო მეორემ და ფერნანდამ მემეც წაიყვანეს კოლეჯში და შინ დაბრუნებისას თან ჩამოიტანეს კლავიკორდი, რომელმაც პიანოლის ადგილი დაიკავა. სწორედ იმ ხანებში ამარანტა შეუდგა საკუთარი სუდარის ქსოვას. ბანანის ციებ-ცხელება ნელ-ნელა ჩაცხრა. მაკონდოს მკვიდრნი მიხვდნენ, უცხოელები მათ არაფრად აგდებდნენ, მაგრამ თუმცა თავი ძლივს გაჰქონდათ მცირეოდენი შემოსავლით, მაინც ისე უხაროდათ, თითქოს ბედმა გაუღიმათ და გემის ჩაძირვისას ცოცხალი გადარჩნენ. ბუენდიების ოჯახში კვლავ დიდი სტუმრიანობა იყო, მხოლოდ რამდენიმე წლის მერე, როდესაც ბანანის კომპანიამ შეწყვიტა არსებობა, კვლავ დამკვიდრდა მაკონდოში მშვიდი და წყნარი ცხოვრება. მაგრამ ტრადიციული სტუმართმასპინძლობის წესები ოჯახში მაინც შეიცვალა, რადგან ძალაუფლება კვლავ ფერნანდამ მოიგდო ხელში. ურსულა წყვდიადის სამეფოში განმარტოებულიყო, ამარანტა თავით ფეხამდე ჩაფლულიყო სუდარის ქსოვაში, ყოფილმა სადედოფლო ქალმა კი ამასობაში ხელთ იგდო თავისუფლების სადავე, საკუთარი გემოვნებით ირჩევდა სტუმრებსაც და ოჯახშიც თავის დროზე მშობლების ჩაგონებული მკაცრი წესები შემოიღო. ფერნანდას სიმკაცრის წყალობით ბუენდიების ოჯახი გახდა ძველი წეს-ჩვევების კერა იმ ქალაქში, სადაც უცხოელებმა იოლად მოპოვებული ქონების წყალობით ყველაფერი შებილწეს და გააბინძურეს. ფერნანდას წესიერ და ღირსეულ ხალხად მხოლოდ ისინი მიაჩნდა, ვისაც არაფერი ჰქონდა საერთო ბანანის კომპანიასთან. ხოსე არკა-

დით მეორეც კი ემსხვერპლა თავის რძლის დისკრიმინაციულ სწრაფვას, რადგან ბანანის კომპანიის შემოტევის პირველსავე დღეებში გაყიდა თავისი დიდებული მამლები და პლანტაციაში დადგა ზედამხედველად.

— მისი ფეხი არ ენახო აქ, ვიდრე უცხოელების ჭირისაგან არ განიბანება, — დაიმუქრა ფერნანდა.

ოჯახში ისეთმა სიმკაცრემ დაისადგურა, რომ აურელიანო მეორეს ნამდვილად ერჩია პეტრა კოტესთან ყოფნა. პირველ ხანებში, ვითომდა ცოლისთვის ტვირთის შემსუბუქება სურდა, საყვარელთან მართავდა წვეულებებს. მერე ვითომდა საქონელი ძველებურად ვეღარ იმატებსო, იქით გადაიტანა თავლები და სადგომები. ბოლოს, იქ უფრო გრილაო, თავისი პატარა კანტორაც იქით გადადგა. ფერნანდამ რომ შეამჩნია, ქმრიანი ქვრივი ვარო, უკვე გვიან იყო. აურელიანო მეორე თითქმის აღარც სადილობდა შინ, მხოლოდ ღამის სათევად მიდიოდა. ეს იყო ქმრის ერთადერთი საჩუქარი, საზოგადოების თვალის ასახვევად რომ უბოძა ცოლს, თუმცა ფერნანდას არავინ მოუტყუებია. ერთხელ როგორღაც აურელიანო მეორე ისე გაერთო პეტრა კოტესთან, რომ დილამდე იქ დარჩა. შინ დაბრუნებულს ცოლმა ერთი საყვედურიც არ უთხრა, მაგრამ მისი ტანსაცმლით სავსე ორი ზანდუკი კი იმავე დღეს გაუგზავნა ქმრის საყვარელს სახლში, თანაც გაგზავნა დღისით-მზისით მთელი ქალაქის დასანახად, ეგონა, საქვეყნოდ თავის მოჭრას იუკადრისებდა მისი ქმარი და გზაარეული ცხვარივით ფარას დაუბრუნდებოდა, მაგრამ ამ გაბედულმა ნაბიჯმა ფერნანდა კიდევ ერთხელ დაარწმუნა, რომ კარგად ვერ იცნობდა თავის ქმარსა და მაკონდოელებსაც, რომლებსაც არაფრად მიაჩნდათ მისი მშობლების შეგონებანი. და ზანდუკების დანახვაზევე თქვეს, როგორც იქნა, მოხდა ის, რასაც დიდი ხანია ველოდითო: მოხდა ის, რომლის ყველა წვრილმანი იცოდა ხალხმა, აურელიანო მეორემ კი სამი დღე იქეიფა ნაბოთიები თავისუფლებით გახარებულმა. ყველა უბედურებასთან ერთად ფერნანდა ჩაიე თალხსა და გრძელ კაბებს იცვამდა, ისე ძველმოდური მედალიონები ჩამოეკიდა ყელზე და ისე უადგილოდ ამაყობდა, რომ ნაადრევად დაბერებული ჩანდა, სამაგიეროდ პეტრა კოტესი იცვამდა ფერად-ფერად აბრეშუმის კაბებს და თვალები გამარჯვების სიხარულით უელავდა. აურელიანო მეორე თითქოს ხელახლა დაიბადაო, კვლავ პეტრა კოტესის მკლავებს მიენდო იმ ყმაწვილური გზნებით, რა გზნებითაც ოდესღაც ტყუპის ცალი ძმის მაგივრად უწვებოდა ქალს, რომელიც ღმერთს მადლობას სწირავდა ნანატრი ბედნიერებისათვის — კაცისათვის, ვისაც ორი კაცის სამყოფი აყვარებული შეეძლო. კვლავ დანთებულ ვნებას დაცხრომა არ ეწერა. საყვარლები რამდენჯერ მისხდომიან სუფრას საჭმელად, მაგრამ ერთმანეთისათვის თვალებში შეუხედავთ თუ არა, მაშინვე უსიტყვოდ წამომდგარან, კერძისთვის თავი დაუნებებიათ და საძინებელ ოთახში გაქცეულან, რათა იქ მომკვდარიყვნენ შიმშილითა და სიყვარულით. აურელიანო მეორემ თავის საყვარელს იქეთივე არქიეპისკოპოსის საფერი საწოლი-ბალდახინი უყიდა, ოდესღაც ფრანგ ქალბატონებთან საიდუმლო დროსტარებისას რომ უნახავს. ფანჯრებზე ხავერდის ფარდები დაკიდა, ჭერი და კედლები ბროლის სარკეებით დაფარა. ერთი სიტყვით, უფრო გამხიარულდა და გადაირია. ყოველდღე, დილის თერთმეტ საათზე მატარებელს მისთვის მოჰქონდა შამპანური და ბრენდი. სავსე ყუთები სადგურიდან დაბრუნებისას გზადაგზა თითქოს საცეკვაოდ იწვევსო.

განურჩევლად ყველას იკრებდა თავის გარშემო: აქაურსა თუ ჩამოსულს, ნაცნობს თუ უცნობს. ის კი არადა, ბატონ ბრაუნსაც კი უხმო ხელებითა და გაუგებარი სიტყვებით და ისიც არაერთხელ გამომთვრალა უგონოდ პეტრა კოტესის სახლში, ერთხელ კი თავის ავსა და განუყრელ გერმანელ ნაგაზებს უბრძანა ცეკვით აჰყოლოდნენ ტეხასურ სიმღერებს, თვითონ დიდი გაჭირვებით რომ გამოჰყავდა აკორდეონზე.

— მოიგეთ, ძროხებო! — ყვიროდა მთვრალი აურელიანო მეორე. — მოიგეთ, გამრავლდით, ეს ცხოვრება ხანმოკლეა!

არასოდეს ყოფილა ასე კარგად აურელიანო მეორე, არასოდეს აღარ ჰყვარებიათ იგი ამაზე მეტად, არც საქონელი ჰყოლია ასე მრავლად. გაუთავებელი ქეიფებისათვის იმდენი ხბო, ღორი და ქათამი იკვლებოდა, რომ სისხლმა ეზოში მიწა ჩაამუქა, დაალბო და წებოვანი გახადა. ძვლებს, შიგნეულსა და ნასუფრალს თითქმის შეუსვენებლივ წვავდნენ, რათა წყლის ბუდებს სტუმრებისათვის თვალები არ ამოეკორტნათ. აურელიანო მეორე იმდენს ჭამდა, რომ გასივდა, სახე აუჭარხლდა, გაუდღლაბნა და კუს დაემსგავსა. ჭამაში კიდეც გადააჭარბა ხოსე არკადიოს, რომლის მადასაც ჯერ კიდევ მაშინ გააკვირვა ყველა, ხანგრძლივი ხეტიალის მერე რომ დაბრუნდა შინ. აურელიანო მეორის გაუმაძღრობის, მისი გაუგონარი მფლანგველობისა და უსაზღვრო სტუმართმოყვარეობის ამბავმა ყველაზე ცნობილ მუცლის მონების ყურამდეც მიაღწია. ყოველი კუთხიდან მოდიოდნენ ლეგენდარული ღორმუცელები, რათა მონაწილეობა მიეღოთ ძღომის შეჯიბრებებში, პეტრა კოტესის სახლში რომ იმართებოდა. აურელიანო მეორე ყოველთვის იმარჯვებდა იმ საბედისწერო დღემდე, ვიდრე არ შეაჯიბრეს კამილა საგასტუმე, ქალი, რომელიც გარეგნულად ძალზე წააგავდა ტოტემურ კერპს და რომელსაც ზედმიწევნით შესაფერისი სახელი — „სპილო" ერქვა. შეჯიბრი სამშაბათ დილამდე გაგრძელდა. პირველ დღეს ხბოს მოუთავეს ხელი მანიოკსა და შემწვარი ბანანთან ერთად და დალიეს ორი ყუთი შამპანური. აურელიანო მეორე დარწმუნებული იყო გამარჯვებაში, რადგან უფრო მხნედ და ცოცხლად გრძნობდა თავს, ვიდრე მისი მოშვებული და მშვიდი მეტოქე ქალი. აურელიანო მეორე უფრო დახელოვნებული იყო ჭამაში, მაგრამ სწორედ ამიტომ ნაკლებ მოსწონდათ სახლში თავმოყრილ აუარება ხალხს. მაშინ როდესაც გამარჯვების წყურვილით ანთებული აურელიანო მეორე უსირცხვილოდ მოჰყვა ჭამას და ხორცს კბილებით გლეჯდა, „სპილო" დასტაქარივით დინჯად ჭრიდა და ასევე დინჯად და აუჩქარებლად ჭამდა, გემოს ატანდა. თუმცა იგი ტანად უზარმაზარი იყო, საოცრად ნაზი და ქალური შეხედულება ჰქონია მაინც. ისეთი ლამაზი იყო, ისეთი ჩამოქნილი და ნაპატიები ხელები ჰქონდა, ისეთ ხიბლს აფრქვევდა ირგვლივ, რომ მისალმებისას აურელიანო მეორემ ხმადაბლა ჩაულაპარაკა, სუფრასთან შეჯიბრი იქნებ საწოლში შეჯიბრით შეგვეცვალაო. მაგრამ როდესაც საკუთარი თვალით იხილა, „სპილომ" რა დახვეწილად და ფაქიზად შეჭამა ერთი ხბო, აურელიანო მეორემ ყოველგვარი ხუმრობის გარეშე აღნიშნა, ეს თავაზიანი და მომხიბვლელი არსება იდეალური ქალიაო. არც შემცდარა. მაკონდოში ჩამოსვლამდე რაღა არ აბობდნენ მასზე: გაუმაძღარი ბატკანიჭამია ორბიაო. სულაც არ იყო ასე. ეს ქალი არც ხარების საკეპი მანქანა აღმოჩნდა და არც ბერძნული ცირკის წვეროსანი ქალი, კამილა საგასტუმე გახლდათ სიმღერის სკოლის დირექტორი. ჭამას მიეჩვია მხო-

ლოდ მაშინ, როდესაც ოჯახის ღირსეული დედა გახდა და სურდა შვილებს უკეთ ეჭამათ, მაგრამ კი არ აძალებდა, პირიქით, წყნარად და აუღელვებლად აჩვევდა მათ ჭამის ხელოვნებას. მან არაერთხელ დაამოწმა ქმრის თავისივე წამოჭრილი თეორია: ადამიანს, ვისაც სინდისი სუფთა აქვს, შეუძლია ჭამოს იქამდე, ვიდრე არ დაიღლება. ამგვარად, მან მოატყუა ყველა და ოჯახი არა სპორტული პატივმოყვარეობის, არამედ მორალური მიზნით ჭამის ბრძოლაში შეჭიდებოდა ადამიანს, ვინაც მთელს ქვეყანაზე გაითქვა სახელი როგორც უწესო და უპრინციპო მჭამელმა. როგორც კი „აპილომ" თვალი შეავლო აურელიანო მეორეს, მაშინვე მიხვდა, კაცი წააგებდა კუჭის გამო კი არა, საკუთარი ბუნების გამო. და მართლაც, შეჯიბრის მეორე დღეს „სპილო" მხნედ გამოიყურებოდა, აურელიანო მეორე კი დაღლილი ჩანდა. რადგან ბევრს ლაყბობდა და იცინოდა. ოთხი საათი ეძინათ. მერე თითოეულმა დალია ორმოცდაათი ცალი ლიმონის წვენი, რვა ლიტრი ყავა და გადაყლაპა ოცდაათი უმი კვერცხი. მეორე დილით, მოგვიანებით, ორი ღორი, უამრავი ბანანი და ოთხი ყუთი შამპანური რომ მოათავეს, „აპილო" მიხვდა, აურელიანომ თავისდა უნებურად აღმოაჩინა ქალის მეთოდი, მაგრამ მისგან განსხვავებით აღმოაჩინა შემთხვევით, ასე და ამგვარად, მეტოქე საშიში გამოდგა, ვიდრე ქალი ელოდა. როდესაც პეტრა კოტესმა სუფრაზე ორი შემწვარი ინდაური შემოდგა, აურელიანო მეორეს ლამის სისხლი ჩაექცა ტვინში.

— თუ არ შეგიძლიათ, ნუღარ შეჭამთ, — შესთავაზა „აპილომ". — ქვითში ვიყოთ.

ეს სიტყვები გულით თქვა ქალმა — თვითონ როგორ ჩაიდებდა პირში თუნდაც ერთ ლუკმასაც, როცა უკვე იცოდა, რომ მის მეტოქეს ეს ერთი ლუკმაც და ერთი ყლუპიც ბოლოს მოუღებდა, მაგრამ აურელიანო მეორემ მისი სიტყვები გამოწვევად მიიღო და ინდაურს ეძგერა. იმდენი ჭამა, მუცელში აღარ დაეტია და გონიც დაჰკარგა. პირქვე დაემხო თავისსავე გამოხრულ ძვლებზე, პირიდან ქაფი გადმოდიოდა ცოფიანი ძაღლივით და სასიკვდილოდ ახროტინდა. გარს შემოჯარულ წყვდიადში აურელიანო მეორეს მოეჩვენა, რომელიღაც კოშკიდან პირდაპირ უძირო უფსკრულში გადამჩეხესო და გონების ხანმოკლე გამონათებისას მიხვდა, პირდაღებულ უფსკრულში ფრენის შემდეგ სიკვდილი ელოდა.

— ფერნანდასთან წამიყვანეთ, — ძლივს მოასწრო თქმა.

მეგობრებმა იფიქრის, ცოლისათვის მიცემულ პირობას ასრულებს — საყვარლის ლოგინში არ მოვკვდებიო, და სახლში ციმციმ წაიყვანეს. პეტრა კოტესმა ლაქის ფეხსაცმელი გააპრიალა მიცვალებულისთვის ჩასაცმელად და უკვე ეძებდა ვისი ხელით გაეგზავნა, რომ შეატყობინეს, აურელიანო მეორე გადარჩაო. მართლაც, აურელიანო მეორე ერთი კვირის მერე გამოკეთდა, ორი კვირის მერე კი თავისი გაცოცხლების აღსანიშნავად არნახული ქეიფი გამართა. იგი კვლავ პეტრა კოტესთან ცხოვრობდა, მაგრამ ყოველდღე დადიოდა ფერნანდასთან და სადილადაც ხშირად რჩებოდა შინ. თითქოს განგებამ ადგილები შეუცვალა ყველაფერს, აურელიანო მეორე ცოლის საყვარელი გახდა, ხოლო საყვარლისა — ქმარი.

ფერნანდამ ცოტა ამოისუნთქა. მიტოვებული ცოლის მარტოობასა და მოწყენილობას ხანდახან, სიესტის დროს კლავიკორდზე დაკვრა და ბავშვების წერილები უხალისებდა. თვეში ორჯერ თვითონ უგზავნიდა ხოლე არკა-

დოისა და მემეს დიდ წერილებს, სადაც არც ერთი სიტყვა არ იყო მართალი. ფერნანდა შვილებს უმალავდა თავის უბედურებას, უმალავდა ამ სახლის ნაღველს. თუმცა აქ მზე დაჭნობოდა ბეგონიებს, თუმცა აუტანელი მხუთავი სიცხე იდგა და ქუჩიდანაც ხანდახან მხიარული ხმები შემოდიოდა, ეს სახლი დღითი დღე ემსგავსებოდა მამისეულ პირქუშ სახლს. ფერნანდა მარტოსულივით დაბორიალობდა სამი ცოცხალისა და ერთი მიცვალებულის აჩრდილის შორის — ხოსე არკადიო ბუენდიას აჩრდილი ჩვეულებრივ სასტუმრო ოთახის ბნელ კუთხეში ჯდებოდა და დაძაბული უგდებდა ყურს მის დაკვრას კლავიკორდზე. პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიასაგან მხოლოდ ლანდიღა დარჩა. იმ დღიდან, პოლკოვნიკ ხერინელდო მარკესს რომ მიაკითხა, ახალი ულმობელი ომი წამოვიწყოთო, პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია სახლიდან გასული აღარავის უნახავს. თავის სახელოსნოდანაც იშვიათად გამოდიოდა და ისიც იმიტომ, წაბლის ძირში მოესაქმებინა. მხოლოდ ამ კვირაში ერთხელ მისულ პარიკმახერს უღებდა კარს. ჭამითაც იმას ჭამდა, რასაც ურსულა მიუტანდა დღეში ერთხელ და თუმცა კვლავ ძველებური ოსტატობით აკეთებდა თავის ოქროს თევზებს, გაყიდვით აღარ ჰყიდდა, რადგან მიხვდა, მყიდველებს ნახელავზე მეტად მისი ისტორიული მნიშვნელობა უფრო იზიდავდათ. ერთ დღესაც პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ თავი მოუყარა რემედიოსის თოჯინებს, ქორწინების დღიდან რომ ამშვენებდა მის საძინებელ ოთახს, და ცეცხლი წაუკიდა. ალღოიანი ურსულა მიხვდა, რაც მოიმოქმედა მისმა ვაჟმა, მაგრამ ვერ მოუსწრო.

— ქვის გული გაქვს, — უთხრა შვილს.

— რა შუაშია გული. როცა ოთახი ჩრჩილით გაივსო, — უთხრა შვილმა.

ამარანტა კვლავ თავის სუდარას ქსოვდა. ფერნანდამ ვერაფრით ვერ გაუგო, რატომ უგზავნიდა ამარანტა წერილებსა და ამანათებს მხოლოდ მემეს, ხოსე არკადიოსი კი გახსენებაც არ უნდოდა. ფერნანდამ ურსულას სთხოვა, მიზეზი გამიგეთო. „მოვკვდები და მიზეზს არ ვიტყვი", — უპასუხა ამარანტამ შუამავლად მისულ დედას. ამარანტას იდუმალებით მოცული პასუხი ფერნანდამ გულში ჩაიმარხა გამოცანასავით. მაგრამ ისე მოკვდა, ამოუხსნელი დარჩა ეს გამოცანა. მაღალი, წარმოსადეგი და ამაყი ამარანტა ყოველთვის თოვლივით ქათქათა ქვედა კაბებს იცვამდა, წლებს და მძიმე მოგონებებს თავისი დაღი დაესვათ სახეზე და ეს უფრო მატებდა დიდებულებას — თითქოს შუბლით დაჰქონდა საკუთარი ფერფლის ჯვარი — ჯვარი ქალწულობისა. მას მართლაც დაჰქონდა თავისი ქალწულობის ჯვარი, მაგრამ ხელზე აღბეჭდოდა იგი შავი სახვევის ქვეშ, რომელსაც ღამითაც არ იხსნიდა, თვითონ რეცხდა და აუთოებდა. ამარანტას ცხოვრება სუდარის ქსოვაში მიიზლაზნებოდა. თითქოს დღისით მოქსოვილს ღამით არღვევდა და ამით მარტოობისთვის კი არ სურდა დაეღწია თავი, პირიქით, მარტოობაში ჩაძირულიყო.

ფერნანდას ყველაზე მეტად ის აწუხებდა, არდადეგებზე ჩამოსულ მემესთვის მამამისი არ დახვედროდა შინ, მაგრამ იმ საბედისწერო ღორმუცელობის მერე წერტილი დაესვა ქალის შიშს. მემეს ჩამოსვლამდე მშობლებმა მოილაპარაკეს, ისე მოქცეულიყვნენ რომ გოგონას არათუ დაეჯერებინა მამამისის მორჩილება, არამედ არ შეემჩნია ნაღველი, რითაც სავსე იყო სახლი. ვიდრე მემე კოლეჯს დაამთავრებდა, ყოველ წელიწადს ორ-ორი თვე აურელიანო მეორე სამაგალითო მეუღლის როლის თამაში უწევდა. შლიდა სადღესასწაულ-

ლო სუფრებს და სტუმრებს ნაყინითა და ტკბილეულით უმასპინძლდებოდა, ხოლო მონაზვნების აღზრდილი მხიარული და დაუდეგარი მემე აქ თავყრილობის მშვენება გახლდათ, კლავიკორდზე შესანიშნავი დაკვრით ართობდა სტუმრებს. გოგონას მაშინვე ეტყობოდა, დედას არ ჰგავდა. თოთხმეტი-თოთხმეტი წლის ამარანტას განსახიერება იყო, იმდროინდელი ამარანტასიც, ვიდრე პიეტრო კრესპის სასიკვდილო სიყვარული არ გადაახვევინებდა სწორი გზიდან. მაგრამ ამარანტასა და ოჯახის სხვა წევრებისაგან განსხვავებით, განგებას რომ მარტოობის გრძნობით უხვად დაესაჩუქრებინა ყველა, მემეს არაფერი ეტყობოდა ამდაგვარი, იგი კმაყოფილი და მხიარული ჩანდა მაშინაც, როდესაც დღის ორ საათზე, სასტუმრო ოთახში კლავიკორდზე უნდა ევარჯიშა ფერნანდას რკინის რეჟიმის თანახმად. ცხადად ეტყობოდა, რომ მოსწონდა აქაური ხმაური და მხიარულება, რაზეც მთელი წელიწადი ოცნებობდა ხოლმე სკოლაში, მამასავით უყვარდა გართობა და უზომო სტუმრიანობა. ამ ავბედითი მემკვიდრეობის პირველი ნიშნები მემეს რიგით მესამე არდადეგების დროს გამოაჩნდა, როცა თავისიანებს ოთხი მონაზვნისა და სამოცდარვა ამხანაგის თანხლებით ისე ესტუმრა მთელი კვირით, რომ არც არავისთვის უკითხავს რამე და არც არავინ გაუფრთხილებია ოჯახში.

— რა უბედურებაა, — ოხრავდა ფერნანდა, — ეს გოგო მამასავით ქარაფშუტაა.

მეზობლებში ჰამაკები და საწოლები ჩამოითხოვეს, კვება ცხრაჯერ დააწესეს, ბანაობის განრიგი შეადგინეს, მეზობლებისგან ინათხოვრეს ორმოცი სკამიც, რათა ლურჯ ფორმებსა და ბიჭურ ფეხსაცმელებში გამოწყობილ გოგონებს მთელი დღე არ ებორიალათ ოთახებში წინ და უკან. სახლში აღარ დაიდგომებოდა. ალიანცელებული ბრბო ის იყო საუზმეს ამთავრებდა, რომ უკვე პირველ ჯგუფს სადილობა უწევდა, მერე ვახშამი, და ასე დაუსრულებლად. გოგონებმა მთელი კვირის მანძილზე მხოლოდ პლანტაციაში მოახერხეს წასვლა. ღამით მონაზვნები დასდევდნენ აურიამულებულ ბავშვებს, რათა საწოლ ოთახებში შეერეკათ, მაგრამ ამაოდ ირჯებოდნენ, ეზოში მაინც საკმაოდ იყრიდნენ თავს და სევდიან სასკოლო ჰიმნებს მღეროდნენ. ერთხელ გოგონებმა ლამის არ წააქციეს ურსულა, რომელიც მუდამ იქ გამოჩნდებოდა ხოლმე, სადაც არავის არ სჭირდებოდა მისი სამსახური. ერთხელ კიდევ პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია გოგონებს არ მოერიდა და ზედ წაბლის ხეს მიაშარდა, ამის დანახვაზე მონაზვნებმა საშინელი ყვირილი ატეხეს. ამარანტას გამოც დიდი არეულ-დარეულობა მოხდა: ამარანტა წვნიანში მარილს ყრიდა, რომ ამ დროს სამზარეულოში ერთი მონაზონი შევიდა და უეცრად ჰკითხა, ეგ თეთრი ფხვნილი, ქვაბში რომ ყრით, რა არისო.

— დარიშხანია, — უპასუხა ამარანტამ.

ჩამოსვლის პირველ დღეებში გოგონები დაიტანჯნენ, ძილის წინ ყველას უნდოდა საპირფარეშოში მოსაქმება, მაგრამ იქ ისეთი რიგი იდგა, რომ ბოლოში მდგომს შუაღამისას უწევდა იქ შესვლა. ფერნანდა ადგა და სამოცდათორმეტი ღამის ქოთანი იყიდა, მაგრამ გოგონებს ღამის ნაცვლად ახლა მთელი დღე უწევდათ რიგში დგომა, რათა თავ-თავისი ღამის ქოთანი გადაექციათ. თუმცა ერთ-ორ გოგოს სურდო შეეყარა, ერთ-ორსაც კოღოს ნაკბენები დაასხდა ტანზე, — უმრავლესობა მაინც ყოჩაღად იყო და პაპანაქება სიცხეშიც კი ბაღში გარბოდნენ. როდესაც მემე და მისი სტუმრები წავიდ-

ნენ, ოჯახში აღარაფერი იყო მთელი. ბაღი გადათელილი დატოვეს, ავეჯი დამტვრეული და კედლებიც დაბღაჯნილი, მაგრამ ფერნანდას ისე გაეხარდა მათი წასვლა, ზარალზე კრინტიც არ დაუძრავს. მეზობლებს საწოლები და სკამები დაუბრუნა. სამოცდათორმეტი ღამის ქოთანი კი ერთი-მეორეზე შეაკოწიწა მელკიადესის ოთახში. ამ მიგდებულ მიტოვებულ ოთახს, რის გარშემოც ერთ დროს მთელი ოჯახის სულიერი ცხოვრება ტრიალებდა, ამ დღიდან „ღამის ქოთნების ოთახი" დაერქვა. პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას აზრით, ეს სახელი ზედმიწევნით შესაფერისი იყო, რადგან ნაგვისა და სიბინძურის მეტს ამ ოთახში ვერაფერს ხედავდა, ამ დროს კი მთელ ოჯახს მელკიადესის ოთახი სუფთა და მილაგებული ეჩვენებოდა. ასეა თუ ისე, პოლკოვნიკი დიდად არ წუხდა ვის მხარეზე იყო სიმართლე, ამ ოთახის წილხვედრზე ვერც ვერაფერს გაიგებდა, ფერნანდა რომ არ დაენახა მთელი დღე ღამის ქოთნებით ხელში აქეთ-იქით მორბენალი და ხელი არ შეშლოდა მუშაობაში.

იმ ხანებში სახლში კვლავ დაიწყო მოსვლა ხოსე არკადიო მეორემ, არც არავის ესალმებოდა, ისე გაივლიდა მთელ დერეფანს და სახელოსნოში ჩაიკეტებოდა. რაღაცაზე ელაპარაკებოდა პოლკოვნიკს. ურსულა, რა თქმა უნდა, ხოსე არკადიო მეორეს ვეღარ ხედავდა, მაგრამ მისი მძიმე ჩექმების — ზედამხედველის ჩექმების ბრახუნს კი კარგად არჩევდა და უკვირდა, ნეტავ ასე რამ დააშორა ხოსე არკადიო მეორე თავის ოჯახს ან თავის ტყუპისცალ ძმას მაინც, ვისთან ერთადაც ბავშვობაში ათას სიეშმაკეს სჩადიოდა, თუნდაც ტანისაცმელს რომ უცვლიდნენ ერთმანეთს; ახლა ასე რამ გააგარეულა და გააუცხოვა. ხოსე არკადიო მეორე მაღალი და გამხდარი კაცი იყო, თავი დამცინავად ეჭირა და შავგვრემან, ჩაფიქრებულსა და ნაღვლიან სახეზე პირქუში იერი ედო სარკინოზივით. იგი დედას — სანტა სოფია დე ლა პიედადს უფრო ჰგავდა, ვიდრე ბუენდიებს და ურსულასაც ოჯახის წევრებზე ლაპარაკისას ბევრჯერ დავიწყნია მისი სახელი, თუმცა საკუთარი თავიც ბევრჯერ გაუკიცხავს ამისათვის. როდესაც დააზუსტა, ხოსე არკადიო მეორე კვლავ მოდის სახლში და პოლკოვნიკთან სახელოსნოში ზის, უსინათლო ქალმა წარსულს გადაავლო თვალი და დარწმუნდა: ხოსე არკადიო მეორემ ბავშვობაში ადგილი შეუცვალა თავის ტყუპისცალ ძმას და სწორედ მას და არა იმ ძმას უნდა ერქვას აურელიანო. ხოსე არკადიო მეორის ცხოვრებისა არავინ არაფერი იცოდა. ერთხანობას ყური მოჰკრეს, სად დაეღამდება, იქ უთენდებაო, იმასაც ამბობდნენ, პილარ ტერნერას სახლში მამლები ჰყავს მოშინაურებული და ღამის სათევად ზოგჯერ იქაც რჩება და ფრანგ ქალბატონებთანაცო. ეს კაცი ურსულას პლანეტარულ სისტემაში მოხეტიალე ვარსკვლავი იყო, დინებას მიჰყვებოდა, არც პატივმოყვარეობა სტანჯავდა და არც არაფრისკენ ისწრაფოდა.

სინამდვილეში ხოსე არკადიო მეორე აღარც იყო თავისი ოჯახის წევრი, ვერც სხვა ოჯახს ეგუებოდა იგი იმ დღის მერე, პოლკოვნიკმა ხერინელდო მარკესმა რომ წაიყვანა ყაზარმაში არა იმიტომ, სიკვდილით დასჯა ენახა პატარას, არამედ იმიტომ, სიკვდილმისჯილის ოდნავ ნაღვლიანი და დამცინავი ღიმილი დამახსოვრებოდა მთელი ცხოვრება. ბავშვობიდან მხოლოდ ეს მოგონება შემორჩა — შორეულიც და ერთადერთიც. ჰო, კიდევ ძველისძველ ჟილეტში გამოწყობილი და ყორნის ფრთებივით ფარფლებგაშლილ ქუდიანი მოხუცი ახსოვდა, ათასნაირ უცნაურ ამბებს რომ უყვებოდა მზით განათე-

ბულ ფანჯარასთან. მაგრამ ხოსე არკადიო მეორე ზუსტად ვერ იტყოდა, მაინც როდის, რა დროს იყო ეს ამბავი, რომელიც ბურუსს მოეცვა და არც მწარე კვალი დაეტოვებინა მისთვის და არც [illegible] [illegible] რამე. სამაგიეროდ ის პირველი დაამახსოვრდა მთელი ცხოვრება, და რაც უფრო ბერდებოდა, მით უფრო ცხადად ედგა თვალწინ, თითქოს დროის [illegible] მისკენ მოაქანებდა იმ სურათს. ურსულამ განიზრახა, ხოსე არკადიო მეორის დახმარებით პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდია გამოეტყუებინა სახელოსნოდან. „ძიაო, უთხარი, კინოში წავიდეთ-თქო, — ეუბნებოდა ურსულა, — თუ კინო არ მოეწონება, ჰაერზე მაინც გავა ცოტა ხანს. მაგრამ ურსულა მალე მიხვდა, ხოსე არკადიო მეორე პოლკოვნიკივით აინუნშიც არ აგდებდა მის თხოვნა-მუდარას, ორივენი ერთნაირი ჯავშნით იყვნენ დაფარული და იმ ჯავშანში ვერავითარი ერთგულება და მზრუნველობა ვერ გაატანდა. თუმცა არავინ იცოდა, ამდენხანს ჩაკეტილში რაზე ლაპარაკობდნენ ისინი, ურსულა გუმანით მაინც ხვდებოდა: ამ ოჯახში მხოლოდ ეს ორი კაცი ჰგავდა ერთმანეთს სულიერად.

რაც მართალი მართალია, ხოსე არკადიო მეორეს ძალიანაც რომ მოენდომებინა, ვერც შეუსრულებდა ურსულას თხოვნას: პოლკოვნიკს გოგონების სტუმრობამ მთლად მოუთავა ხელი. თუმცა რემედიოსის ფუნჩულა თოჯინები დიდი ხანია ცეცხლს მისცა, მაინც დაიჯინა, ოთახში ჩრჩილები კვლავ მომრავლდნენო, სახელოსნოში გაჰქონდა ჰამაკი და ეზოში მხოლოდ მოსასაქმებლად გადიოდა. ურსულამ ლაპარაკითაც ვერ გამოიტყუა შვილი თავისი სახელოსნოდან. ისიც იცოდა, საჭმელს რომ მიუტანდა, პოლკოვნიკი ზედაც არ შეხედავდა თეფშს, მაგიდის კიდეში ხელით გასწევდა და ოქროს თევზის კეთებას არ მოეშვებოდა, არც იმას დაგიდევდათ არაფრად, წვნიანს ქონის ბადე რომ მოედებოდა და გაცივდებოდა. პოლკოვნიკ ხერინელდო მარკესის უარის მერე ომის წამოწყების თაობაზე, ხომ სულ განკაცრდა და ჩაიკეტა. თე-თანაც ისე ჩაიკეტა, რომ ოჯახში უკვე მიცვალებულივით იხსენიებდნენ. რომელიმე ოქტომბრამდე არავინ არ იცოდა ცოცხალი იყო თუ მკვდარი თავის სახელოსნოში. იმ დღეს კი გარეთ გამოვიდა, რათა სახლის წინ ჩავლილი ცირკისათვის შეევლო თვალი. ეს დღე პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიასთვის არაფრით განსხვავდებოდა სხვა დღეებისგან: დილის ხუთ საათზე ბაყაყების ყიყინმა და კრიჭინების ხმამ გამოაღვიძა. შაბათს მერე გაუთავებლად წვიმდა, რომც არ გაეგონა ბაღში, ხეთა ფოთლებზე წვიმის ტკაპუნი, ძვლებში გავლილი [illegible] მაინც შეატყობინებდა, გარეთ წვიმაო. პოლკოვნიკს, როგორც ყოველთვის, თავისი შალის ლაბადა და გრძელი ხიფხავი ეცვა, ახლა უფრო თავისუფლად გრძნობდა თავს, თუმცა ძველმოდურობის გამო „გოტიკურ [illegible]" ეძახდა თვითონ. ვიწრო შარვალი ჩაიცვა, მაგრამ არ შეიკრა, არც პერანგის საყელოზე დაიმაგრა თავისი განუყრელი ოქროს ქინძისთავი, რადგან ბანაობა ჰქონდა განზრახული. მერე ლაბადა თავზე გადაიხურა, ულვაშზე ხელი გადაისვა და ეზოში გავიდა მოსასაქმებლად. გათენებამდე შორს იყო და ხოსე არკადიო ბუენდიაც ჯერ ისევ ეძინა წვიმებისაგან ჩამპალ პალმის ფოთლების სახურავქვეშ. პოლკოვნიკმა, როგორც ყოველთვის, ახლაც ვერ დაინახა მამამისი, აჩრდილი მხოლოდ მაშინ გამოეღვიძა, ფეხი ცხელმა შარდმა რომ დაუსველა. შვილის დანახვაზე რაღაცა წაიბუტბუტა.

მაგრამ პოლკოვნიკს არც მისი ხმა გაუგონია. გადაწყვიტა აღარ ებანავა, აი-ცივებია და ნესტის გამო არ გადაუთქვამს ბანაობა; უბრალოდ, ოქტომბრის ბურუსიანი დღე უმძიმებდა სულს. საოქრომჭედლოში რომ შებრუნდებოდა, ჰაერში დატრიალებულ სუნზე მიხვდა, სანტა სოფია დე ლა პიედადმა ღუმელში ცეცხლი შეანთო. სამზარეულოში შევიდა და ყავადანის [illegible] დაელოდა, რათა თავისი ფინჯანი უშაქრო ყავა თან წაეღო. სანტა სოფია დე ლა პიედადმა, როგორც ყოველდღე სჩვეოდა, ახლაც ჰკითხა, რა დღეაო. სამშაბათია, თერთმეტი ოქტომბერიო, უპასუხა პოლკოვნიკმა. ცეცხლის ალზე ქალის ოქროსფრად ულიცლიცებდა სახე. ამ ქალის არსებობა თუნდაც ამ წუთში და საერთოდ აქამდეც, ბოლომდე არ სჯეროდა პოლკოვნიკს. გაახსენდა: ერთხელ, გაცხარებული ომის დროს, სწორედ თერთმეტ ოქტომბერს, ძილში იგრძნო, მის გვერდით მწოლიარე ქალი აღარ სუნთქავდა. და შეშინებულს გამოეღვიძა. მართლაც ასე იყო. პოლკოვნიკმა ეს თარიღი იმიტომ დაიმახსოვრა, რომ სიკვდილამდე ერთი საათით ადრე ქალმა ჰკითხა, რა დღეა დღესო. ამ ამბის გახსენება პოლკოვნიკს შესაძლოა ავბედითი მოჩვენებოდა, წინასწარგანჭვრეტის უნარი რომ შერჩენოდა ძველებური. ვიდრე ყავა ადუღდებოდა, პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია მხოლოდ ცნობისწადილით შეპყრობილი მოეცვა დარდს, კვლავ იმ ქალზე ფიქრობდა, არც სახელი იცოდა მისი და არც სახე ახსოვდა: ქალი სიბნელეში ხელისცეცებით აგნებდა პოლკოვნიკის ჰამაკს და სიბნელეშივე მიიპარებოდა. ამ გზით შემოვიდა პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას ცხოვრებაში უამრავი ქალი და ამიტომაც ვერ გაიხსენა ის ქალი, ვინც ვაჟის პირველსავე მოხვევნაზე ლამის საკუთარ ცრემლებში ჩაიხრჩო უგონოდ, ვნებაწაკიდებული, და სიკვდილამდე ერთი საათით ადრე შეჰფიცა, კუბოს კარამდე ჰყვარებოდა აურელიანო ბუენდია. სახელოსნოში რომ დაბრუნდა, პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია იმ ქალზე აღარ ფიქრობდა, არცერთზე აღარ ფიქრობდა საერთოდ. შუქი აანთო, თუნუქის კოლოფიდან ოქროს თევზები გადმოჰყარა და დაითვალა. ჩვიდმეტი თევზი იყო. მას შემდეგ, რაც გადაწყვიტა ოქროს თევზები აღარ გაეყიდა, დღეში ორ-ორს აკეთებდა და ოცდახუთამდე რომ დააგროვებდა, მერე გადაადნობდა და ყველაფერს თავიდან იწყებდა. მთელი დილა თავჩარგული მუშაობდა, არაფერზე არ ფიქრობდა, ვერც შეამჩნია, რომ ათ საათზე წვიმამ იმატა. ვიღაცამ გაირბინა მის სახელოსნოსთან ყვირილით, კარები ჩაკეტეთ, თორემ წყალი ოთახებში შემოვარდებაო. პოლკოვნიკს საკუთარი თავიც კი დაავიწყდა, ვიდრე ურსულამ საჭმელი არ შემოუტანა და შუქი არ ჩაუქრო.

— რა წვიმაა! — თქვა ურსულამ.

ოქტომბერია, — თქვა პოლკოვნიკმა.

ეს სიტყვა ისე თქვა, თვალი არ მოუშორებია ოქროს თევზისთვის, რომელსაც ლალის თვალი უდგამდა. მუშაობა რომ დაამთავრა და თევზი ქილაში ჩადო, მხოლოდ მაშინ მიუჯდა წვნიანს. მერე ნელ-ნელა შეჭამა მოთუშული ხორცი, ბრინჯი და შემწვარი ბანანი. ჭამის მერე ყოველთვის ივნებოდა. კუჭს რომ საჭმელი კარგად გადაემუშავებინა, პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია ჭამის მერე არც მუშაობდა, არც კითხულობდა, არც იბანდა და არც სასიყვარულო საქმეებს აკეთებდა, ასე სწამდა რატომღაც. ეს წესები ისე ჰქონდა თავიდანვე გამჯდარი, რომ რამდენჯერმე ბრძოლებიც კი წააგო, ჯარისკაცებმა საჭმელი კარგად მოინელონო. პოლკოვნიკი ჰამაკში ჩაწვა, პატარა დანით

ყურები გამოიფხიკა და ჩაიძინა. დაესიზმრა: ვითომ ერთ თეთრკედლებიან სახლში შევიდა, გულდამძიმებული გრძნობდა, იგი პირველი ადამიანი იყო, ვინც აქ ზღურბლს გადააბიჯა. სიზმარშივე გაიხსენა, წინა ღამითაც და ამ ბოლო ხანებშიც სულ ამ სიზმარს ვხედავო და მიხვდა: საკმარისია გაიღვიძოს, რომ ყველაფერი უკვალოდ წაიშლება მეხსიერებიდან, რადგან მის გაოცებულ ძილს ერთი თვისება გააჩნდა — სიზმარშივე გაეხსენებია. [illegible] მართლაც, წუთის მერე, დალაქმა რომ დაუკაკუნა კარზე, პოლკოვნიკმა თვალები ისე გაახილა, თითქოს ორიოდე წამით არც ჩაეთვლიმოს და სიზმარიც არ ენახოს.

— დღეს არ მინდა, — უთხრა დალაქს. — პარასკევს მოდი.

სამი დღის გაუპარსავს ჭაღარა წვერი საკმაოდ ამოსვლოდა, მაგრამ იფიქრა, პარასკევს სულერთია თმა უნდა შევიკრიჭო და ბარემ პირსაც მაშინ გავიპარსავო. დღისით, უჟმური ძილის მერე, წებოვანი ოფლი დაასხდა ტანზე, იღლიებქვეშ ძველმა იარებმაც ტეხვა დაუწყო. წვიმამ გადაიღო, მაგრამ მზე კიდევ არ ჩანდა ცაზე. პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ ხმამაღლა დააბოყინა და პირში წვნიანი კერძის მომჟავო გემო იგრძნო. თითქოს რაღაცამ უკარნახაო, მაშინვე ლაბადა მოისხა და საპირფარეშოსაკენ გასწია. იქ ჩვეულებრივზე დიდხანს დარჩა, მერე ისევ რაღაცის კარნახით მიხვდა, მუშაობას უნდა შედგომოდა. საპირფარეშოში გაახსენდა, იმ დღეს სამშაბათი იყო და ხოსე არკადიო მეორეს არ მოუკითხავს მისთვის სახელოსნოში: ბანანის კომპანია თავის მუშებს ხომ სამშაბათობით ურიგებდა ჯამაგირს. ამ ბოლო დროს დასჩემდა, რაც არ უნდა მოეგონებინა, ბოლოს მაინც ომზე მოჰყვებოდა ფიქრს თავისდა შეუმჩნევლად. გაახსენდა, პოლკოვნიკი ხერინელდო მარკესი ერთხელ შეჰპირდა, შუბლზე თეთრვარსკვლავიან ცხენს მოგიყვანო, მაგრამ მერე კრინტიც აღარ დაუძრავს ამის თაობაზე. გაიხსენა ცალკეული ბრძოლები, მაგრამ ამ გახსენებას მისთვის არც სიხარული მოუგვრია და არც ნაღველი. რაკილა სხვა საფიქრალი ბოლოს და ბოლოს მაინც აღარაფერი ჰქონდა, რაღაცნაირად მიეჩვია მშვიდად და აუღელვებლად ეფიქრა ომზე. სახელოსნოში დაბრუნებისას იგრძნო, ჰაერს ხვატი შემოჰბეროდა და კვლავ განიზრახა, ებანავა, მაგრამ ამარანტამ დაასწრო აბაზანაში შესვლა. პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ მეორე თევზის კეთება წამოიწყო. ის იყო თევზს კუდს უმაგრებდა, რომ ჰორიზონტზე ისეთი ბრწყინვალე მზე ამოგორდა, ირგვლივ ყველაფერი აჭრაჭუნდა ძველი ნავივით. სამი დღის წვიმით გაკამკამებული ჰაერი მფრინავმა ჭიანჭველებმა აავსეს. პოლკოვნიკს კარგა ხანია მოშარდვა უნდოდა, მაგრამ ბარემ თევზს ავაწყობო, ფიქრობდა და ეზოში არ გადიოდა. ახლა კი მეტის მოთმენა აღარ შეეძლო, ოთხის ათი წუთი იყო, ეზოში რომ გავიდა. უცებ მის ყურს მისწვდა საყვირების ხმა, ლითონის ბრახუნი, ბავშვების კივილი და პირველად სიყმაწვილის მერე შეგნებულად გაყო თავი დარდის მახეში და კვლავ განიცადა ის მშვენიერი წუთები, პატარაობაში ბოშების ჩამოსვლისას მამამისმა რომ წაიყვანა ყინულის სანახავად. სანტა სოფია დე ლა პიედადმა საქმეს თავი მიანება და ქუჩაში გაიქცა.

— ცირკია! — შესძახა ქალმა.

პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია იმის მაგიერად, რომ წაბლის ხისაკენ წასულიყო, ეზოდან გავიდა და დიდი და ჭრელი პროცესიის საცქერლად ქუჩაში გამოსულ ხალხის ტალღას შეუერთდა. იგი შესცქეროდა სპილოს ზურ-

რგზე შემომჯდარ ბრჭყვიალა ტანსაცმელში გამოწყობილ ქალს, ნაღვლიან ერთკუზიან აქლემს და ბანჯგვლიან დათვს, ქვაბზე კოვზს რომ ურახუნებდა და ცეკვავდა. პროცესიის ბოლოში კი ჯამბაზები დახტოდნენ გაჭიმულ თოკზე. ცირკმა რომ ჩაიარა და ქუჩაშიც აღარაფერი დარჩა მზით განათებული ადგილის, მფრინავი ჭიანჭველებისა და გაურკვევლობის ჩრდილში მოფეთფეთე ერთ-ორ ცნობისმოყვარის გარდა, — პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია მარტოობასთან დარჩა პირისპირ. მაშინვე ცირკი გაიხსენა და ცირკზე ფიქრებშივე გარეთულმა მოისაქმა წაბლის ძირში. მაგრამ უცებ ულონობა იგრძნო, თავი მხრებში ჩარგო, შუბლით ხეს მიეყრდნო და გაირინდა. მხოლოდ მეორე დღეს გაიგო ოჯახმა მისი ამბავი. დილის თერთმეტ საათზე სანტა სოფია დე ლა პიედადი ნაგვის გადასაყრელად გავიდა უკანა ეზოში და დაინახა, წაბლის ხისკენ ორბები მიფრინავდნენ.

მემეს ბოლო არდადეგები პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას სიკვდილს დაემთხვა. ფანჯრებდაგმანულ სახლში დღესასწაულებისთვის არავის სცხელოდა. ერთმანეთს ჩურჩულით ელაპარაკებოდნენ, ჩუმად სადილობდნენ, დღეში სამჯერ ლოცულობდნენ, სიესტის დროს ვარჯიშისას კლავიკორდის ხმაც სამგლოვიარო მუსიკად ჟღერდა. თუმცა ფერნანდას ფარულად აძულდა პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია, მაინც სწორედ მან გამოაცხადა ოჯახში ისეთი მკაცრი და ზარ-ზეიმური გლოვა, როგორითაც მთავრობამ აცია პატივი მიცვალებული მტრის ხსოვნას. აურელიანო მეორე ქალიშვილის არდადეგებზე ჩამოსვლისას მოლაპარაკებისამებრ შინ ათენებდა ხოლმე და ეტყობა, ფერნანდამ ცოლქმრული მოვალეობის თავისეულ წესებში რაღაც შეცვალა, რადგან ერთი წლის მერე არდადეგებზე ჩამოსულ მემეს ნამცეცა ახალშობილი დახვდა. ბავშვისთვის დედის სურვილის საწინააღმდეგოდ ამარანტა ურსულა დაერქმიათ.

მემემ სკოლა დაამთავრა და კლავიკორდზე დამკვრელის დიპლომიც ერთსულოვნად გადასცეს მას შემდეგ, სკოლის გამოსაშვებ ზეიმზე ბრწყინვალედ რომ დაუკრა მეჩვიდმეტე საუკუნის ხალხური მელოდიები. ამ ზეიმმა ოჯახში გამეფებულ მგლოვიარობას წერტილი დაუსვა. მემეს ხელოვნებაზე მეტად სტუმრები აღაფრთოვანა მისმა გარდასახვის უნარმა. ამ ქარაფშუტა და ბავშვივით ანცი გოგონასაგან არავინ მოელოდა ამ უჩვეულო ორსახეობას: როგორც კი კლავიკორდს მიუჯდებოდა, მთლიანად გარდაიქმნებოდა და მოზრდილი, მოწიფული ადამიანის სიდარბაისლით ეძლეოდა მუსიკას. ასე უკრავდა მუდამ. სიმართლე რომ ითქვას, მუსიკის განსაკუთრებული ნიჭი მას არა ჰქონია, მაგრამ დედის ურჩობას ვერ ბედავდა და იმდენს ვარჯიშობდა, რომ ბოლოს კლავიკორდზე დაკვრის უმაღლეს დონეს მიაღწია. ალბათ ასევე ბრწყინვალედ შეისწავლიდა იგი იძულებით ყველა საქმეს. მემეს პატარაობაშივე აღიზიანებდა ფერნანდას სიმკაცრე, მისი აბეზარი ჩვევა — სხვის მაგიერ გადაეჭრა ესა თუ ის საკითხი, და ოღონდ დედის სიმკაცრესა და სიმტკიცეს არ წასწყდომოდა, მზად იყო კიდევ უფრო დიდი მსხვერპლი გაეღო, ვიდრე კლავიკორდზე ვარჯიშია. გამოსაშვებ საღამოზე ქალიშვილს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ეს გოტიკური შრიფტითა და დიდი ასოებით ნაწერი პერგამენტი იმ მოვალეობისაგან ათავისუფლებდა, რომელიც იტვირთა არა იმისთვის, რომ დამჯერე ბავშვი იყო, არამედ საკუთარი სიმშვიდე რომ მოეპო-

ვებინა და იმედოვნებდა, ამიერიდან ფერნანდაც კი აღარ გაიხედავს საკრავისკენო, აქ თავად მონაზვნები ეძახდნენ ამ საკრავს „სამუზეუმოს“. პირველ ხანებში მემეს ვარაუდი არ გამართლდა: თუმცა ნახევარმა ქალაქმა უკვე მოასწრო მის კონცერტებზე გამოძინება ოჯახურ წვეულებებსა თუ საქველმოქმედო შეკრებებზე, სასკოლო საღამოებსა თუ პატრიოტულ ზეიმებზე, ფერნანდა მაინც პატიჟებდა შინ ყველას, ვისაც მისი აზრით, [illegible] გაეგებოდა. მხოლოდ ამარანტას სიკვდილის მერე მოახერხა მემემ კლავიკორდის ჩაკეტვა და გასაღების გადამალვა კარადაში. ოჯახი კვლავ მგლოვიარობას მიეცა და ფერნანდა ვეღარ იკითხავდა, როდის და ვინ დაკარგა გასაღებიო. მანამდე კი ქალიშვილს თავისი ნიჭი საჯაროდ გამოჰქონდა იმ სიჯიუტით, რა სიჯიუტითაც ვარჯიშობდა თავის დროზე დაკვრაში. ასე იხდიდა სამაგიეროს თავისუფლებისათვის, ფერნანდა ისე იყო გახარებული თავისი ასულის მორჩილებით, ისე ამაყობდა მისი ხელოვნების საყოველთაო აღიარებით, რომ უსიტყვოდ რთავდა ნებას ამხანაგები მოეყვანა, პლანტაციებში და კინოში ევლო მამასთან ან ფრიად საიმედო ქალბატონებთან ერთად, თუ, რა თქმა უნდა, მღვდელი ანტონიო ისაბელი მხარს უჭერდა ფილმს. იმ ხანებში წარმოჩინდა ნათლად მემეს გემოვნება და მისწრაფება. რაც მას მოსწონდა, იმას არაფერი საერთო არ ჰქონდა წესრიგთან, უყვარდა ხმაურიანი გართობები, საათობით იჯდა ხოლმე სადმე მოფარებულში ამხანაგებთან ერთად, პაპიროსს ეწეოდნენ და კაცებზე ჭორაობდნენ. ერთხელ სამი ბოთლი ლერწმის რომი გამოცალეს, მერე გაშიშვლდნენ და მოჰყვნენ სხეულის ყოველი ნაწილის ზომვასა და ერთმანეთის შედარებას. მემეს არასოდეს დაავიწყდება ის საღამო: ძირტკბილას ლეჩქით შევიდა სასადილო ოთახში, სადაც უბრად საუზმობდნენ ფერნანდა და ამარანტა და ისიც სუფრას მიუჯდა. ვერც ერთმა ვერ შეამჩნია, რომ გოგო ვერ იყო რიგიანად. მანამდე მემემ ორი საათი შესანიშნავად გაატარა თავისი მეგობარი გოგოს საწოლ ოთახში, ჯერ უმიზეზოდ იცინა ბევრი, მერე შიშით შეპყრობილი ატირდა, მაგრამ რომ გამოერკვა, შიში სადღაც გამქრალიყო უკვე. აი, ასეთი უშიშარი და გაბედული რომ ყოფილიყო წინათ, სკოლიდანაც გაიქცეოდა და დედამისსაც კარგა-კარგად ეტყოდა, ეგ შენი კლავიკორდი ოყნის მაგიერ იხმარე-თქო. სუფრის თავში მჯდომ მემეს ქათმის ბულიონი კუჭში საამოდ ესხმებოდა, წვნიანს ეწრუპებოდა და თან ფერნანდასა და ამარანტას შესცქეროდა. უცებ ორივე დაინახა ისეთი, როგორიც იყვნენ სინამდვილეში. ლამის არ მიახალა, ფარისევლები და ჭკუათხელები ხართო. ჯერ კიდევ მეორედ ჩამოსვლის დროს გაიგო მემემ, რომ მამამისი საკუთარ სახლში სხვის დასანახად მოდიოდა და ცხოვრობდა. მემე ფერნანდას საკუთარი ხუთი თითივით იცნობდა და როცა დეტალებით წარმოიდგინა პეტრა კოტესი, მამამისის მხარეზე დადგა. ერჩივნა, ის ქალი ყოფილიყო მისი დედა. მთვრალი მემე ტკბებოდა იმაზე ფიქრით, ახლა რომ ჩემი აზრები გამოვთქვა, წარმომიდგენია, რა ამბავი დატრიალდებაო. ისეთი კმაყოფილი სახე ჰქონდა, რომ ფერნანდამ შეამჩნია კიდეც.

— რა მოგივიდა? — ჰკითხა მან.

— არაფერი, — უპასუხა მემემ. — მხოლოდ ახლა მივხვდი, როგორ მიყვარხართ ორივე.

ამარანტა შეაშინა ამ სიტყვებში ჩაქსოვილმა ზიზღმა. სამაგიეროდ ფერნანდას ძალზე ეამა და შუაღამისას მემე რომ თავის ტკივილმა და პირღები-

ნებამ გამოიღვიძა, ლამის გადაირია საბრალო ქალი. მაშინვე დაალევინა აბუსალათინის ზეთი, წყლული თბილად შეუხვია, თავზე ყინული დადო და ხუთი დღე არსად გაუშვა სახლიდან. უცნაურმა ფრანგმა ექიმმა [illegible] ორი საათი მაინც მოანდომა ავადმყოფის გასინჯვას, ორი საათის მერე კი მისი დიაგნოზისა კუროვან ვერაფერი გაიგო. ჩვეულებრივი ქალური უძლურება [illegible]. მემე კვლავ შედრკა: გამბედაობა სადღაც გაუქრა, სულით [illegible]და. თავს მთლად დაბრმავებული, მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხალი და გონიერი ურსულა ერთადერთი ადამიანი იყო, ვინც ზუსტად გამოიცნო მემეს ავადმყოფობა: „ჩემი აზრით, — თქვა თავისთვის, — ლოთებს მკურნალობენ ასე", მაგრამ მაშინვე უარყო ეს აზრი და გაკიცხა კიდეც თავი, ეს როგორ კადნიერება. როდესაც აურელიანო მეორემ შეამჩნია მემეს უხასიათობა, სინდისის ქენჯნა იგრძნო და პირობა დადო, ამიერიდან მეტი მზრუნველობა და ყურადღება გამოეჩინა ქალიშვილისადმი. ასე დაამხანაგდნენ მამა და შვილი და ასე დაუსხლტა აურელიანო მეორე მარტოობას და მემე — ფერნანდას მომაბეზრებელ თვალთვალს, რომელიც ალბათ გარდაუვალი მიზეზი გახდებოდა დედასა და ქალიშვილს შორის შეტაკებისა. იმ დღეებში აურელიანო მეორეს სხვა საფიქრელი და საზრუნავი აღარ გააჩნდა: მემესთან ერთად ატარებდა მთელ საღამოს, მემესთან ერთად დადიოდა კინოში, ცირკში, მთელ თავისუფალ დროს მას სწირავდა. ბოლო წლებში აურელიანო მეორეს რატომღაც გუნება [illegible], სიმსუქნე სტანჯავდა, ფეხსაცმლის ზონარსაც ვერ იკრავდა და [illegible] ატარებდა დროს. მაგრამ ქალიშვილთან დაახლოებამ ძველებური ხალისი დაუბრუნა. შვილთან ყოფნა ყველაფერს ერჩივნა და ასე ხელ-ხელს გადაეჩვია იგი მოხეტიალე ცხოვრებას. მემე გაზაფხულზე ტანაყრილ [illegible] გაიფურჩქნა. ლამაზი არ ეთქმოდა ამარანტასავით, მაგრამ ისეთი მიმზიდველობა და უბრალოება ჰქონდა, რომ პირველსავე შეხვედრაზე მოეწონებოდა კაცს. ფერნანდას ძველმოდურ ჩვევებსა და [illegible] [illegible] მემეს თანამედროვე შეხედულებები. სამაგიეროდ აურელიანო მეორეს მოსწონდა და ყოველნაირად უწყობდა ხელს ქალიშვილს. აურელიანო მეორემ გამოიყვანა მემე იმ ძველი ბავშვობის დროინდელი საძინებელი ოთახიდან, სადაც წმინდანთა [illegible] მზერა შიშს [illegible]. ქალიშვილს ახალი ოთახი მთლად [illegible] მოაწყო. [illegible] ბალდახინი და საპირფარეშო [illegible], ფანჯრებზე [illegible] ჩამოკიდა და ისე მორთო ოთახი, რომ პეტრა კოტესის [illegible] [illegible] შეუმჩნეველად ფული არ იშურებოდა. [illegible] [illegible] მემე მისი ხიბილან, [illegible] არ ყიდულობდა ქალიშვილისათვის [illegible] მაღაზიაში. მემეს ოთახი [illegible] ფლაკონებით, [illegible] [illegible] ბალიშებით, თმის სამაგრებით, [illegible] ელექტრობით, [illegible], — თვალში რომ ჩაიწვეთებენ და [illegible] [illegible], — ერთი სიტყვით, ქალის სილამაზისათვის საჭირო [illegible] [illegible]. როცა კი ფერნანდა ქალიშვილის ოთახში შედიოდა, ფიქრობდა, [illegible] ქალბატონებსაც ალბათ ასეთი საპირფარეშო მაგიდები აქვთო. ამ ხანებში ფერნანდას არ [illegible]. ამარანტა [illegible] სულ [illegible] და [illegible] იყო. იმას უვლიდა და თან ეხილვა [illegible] უნდოდა [illegible] [illegible]. მამასა და ქალიშვილს შორის მეგობრობა რომ განმტკიცდა, ფერნანდამ ქმარს ძალით ათქმევინა პირობა, მემე პეტრა კოტესთან არასოდეს არ წაი-

ყვასოთ. ფერნანდა ამიტომ ირჯებოდა, პეტრე კოტესი თავად იყო შემომწყრალი მემეზე, არც სურდა მისი ნახვა, რადგან საყვარელი ჩამოაშორა. პეტრა კოტესს გულს ულრღნიდა აქამდე უცნობი შიში, თითქოს გუმანით გრძნობდა: საქმარიანა მეძეც მოინდომებს და მიაღწევს იმას, რასაც ფერნანდამ ვერ მიაღწია: პეტრა კოტესს წაართმევს თითქმის ხელში მოგდებულ საყვარელს. [illegible] მაშინ დაინახა პირველად აურელიანო მეორემ საყვარლის ბო[illegible] თვალები და მოისმინა მისგან შხამიანი სიტყვები. კაცს შეეშინდა, ვაითუ ჩემს მოხეტიალე ზანდუკებს კვლავ ცოლის სახლში დაბრუნებამ მოუწიოთო, მაგრამ საქმე აქამდე არ მისულა. პეტრა კოტესი თავის საყვარელს კარგად იცნობდა და ისიც იცოდა, ზანდუკები იქ დარჩებოდა, სადაც ახლა ეწყოთ, რადგან ისე არაფერი უზიზღდებოდა აურელიანო მეორეს, როგორც ცხოვრების გართულება ჭკუის დარიგებებითა და გაუთავებელი რჩევებით. მართლაც, ზანდუკები დარჩა იქ, სადაც იყო, ხოლო პეტრა კოტესმა გადაწყვიტა, საყვარელი დაეჭირა ერთადერთი იარაღით, რაშიც მისი ქალიშვილი ვერ შეეტოქებოდა. პეტრა კოტესი ამიტომ იკლავდა თავს — მემე არც ცდილობდა მამის საქმეებში ჩარეულიყო და თუ ჩაერეოდა, ისიც პეტრა კოტესს დაუჭერდა მხარს. მემეს დრო არ ჰქონდა, ვინმესთვის ბოროტება გაეკეთებინა. მონაზვნებმა როგორც ასწავლეს, თავის ოთახს ალაგებდა, დილაობით შუშაბანდში თავის ტანსაცმელს დასტრიალებდა თავს, ან ქარგავდა, ან იკერავდა რაღაცას. ხოლო სადილევს, სხვები რომ იძინებდნენ, კლავიკორდზე ვარჯიშობდა ორ-ორ საათს. იცოდა, მის მიერ გაღებული ეს ყოველდღიური მსხვერპლი ფერნანდას სიმშვიდეს მოუტანდა. ასევე ფერნანდას გულისთვის მონაწილეობდა იგი საეკლესიო ბაზრობისა გამართულ კონცერტებზე და სასკოლო ზეიმებზე, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ უკვე ისე ხშირად აღარ იწვევდნენ დასაკრავად. საღამოობით ყველაზე უბრალო კაბას და თასმებზე შესაკრავ მაღალყელიან ფეხსაცმელს იცვამდა და თუ მამასთან ერთად არსად არ მიდიოდა, ვახშმობამდე ამხანაგებთან რჩებოდა. აურელიანო მეორე თითქმის ყოველთვის აკითხავდა და კინოში მიჰყავდა.

მემესთან სამი ამერიკელი ქალიშვილი ამხანაგობდა. როგორც იქნა, გამოვიდნენ „ელექტროფიცირებულ ქათმებთან“ და მაკონდოელ ქალიშვილებს დაუამხანაგდნენ. ერთ-ერთი ამერიკელი ქალიშვილი გახლდათ პატრიცია ბრაუნი. აურელიანო მეორის სტუმართმოყვარეობით აღფრთოვანებულმა ბატონმა ბრაუნმა მადლიერების ნიშნად მემეს გაუღო თავისი სახლის კარი და მიიწვია შაბათობით გამართულ ცეკვებზე, მხოლოდ ამ დღეს ერეოდნენ გრინგოები აქაურებთან. ამ შეხვედრების ამბავი ფერნანდამ რომ გაიგო, წუთით მიივიწყა ამარანტა ურსულა, უხილავი მკურნალები და სულისშემძვრელი მელოდრამა გაითამაშა: „რას იფიქრებს პოლკოვნიკი იქ, თავის საფლავში“, — უთხრა მემეს. ფერნანდას ურსულას იმედი ჰქონდა, მაგრამ უსინათლო დედაბერმა ყველასათვის მოულოდნელად თქვა: რა მოხდა მერე. წავიდეს საცეკვაოდ და დაუმეგობრდეს კიდეც ამერიკელ თანატოლებს. ოღონდ მთავარია, შეინარჩუნოს სიმტკიცე და პროტესტანტულ რწმენას არ გაჰყვესო. მემე კარგად მიხვდა, რისი თქმაც სურდა დიდ ბებიას, და ცეკვების მერე დილაობით ჩვეულებრივზე ადრე იღვიძებდა და წირვაზე მიდიოდა. ფერნანდა ოპოზიციაში იდგა, ვიდრე მემემ არ გამოუცხადა, ამერიკელებს სურთ კლავიკორდზე ჩემი დაკვრა მოისმინონ, იმდენ ერთხელ გამოთქვეს

საკრავი ახლიდან და ბ-ნ ზრაკანსთან წაიღეს, სადაც მუსიკოსი ქალიშვილი მქუხარე ტაშით დააჯილდოვეს, მილოცვებსაც ბოლო არ უჩანდა. ამის მერე მემეს ცეკვების გარდა კვირაობით აუზში საცურაოდაც იწვევდნენ და კვირაში ერთხელ სადილზეც პატიჟებდნენ. მემემ შესანიშნავად ისწავლა ცურვა, ჩოგბურთი და ვირჯინიული ლორის ჭამა ანანასის ნაჭერთან ერთად. ცეკვაში, ცურვაში და ჩოგბურთის თამაშში ნელ-ნელა ინგლისური ენასაც დაეუფლა. აურელიანო მეორეს ისე უხაროდა ქალიშვილის წარმატება, რომ ინგლისური ენციკლოპედიის ექვსტომეულიც კი უყიდა მოხეტიალე ვაჭრისაგან და მემეც თავისუფალ დროს კითხულობდა. კითხვა-კითხვაში იგი ნელ-ნელა ჩამოშორდა ამხანაგებს, მათთან ერთად აღარ იჯდა საათობით და აღარ ჭორაობდა კაცებზე, მაგრამ მაინცდამაინც წიგნების სიყვარულით არ იკლავდა თავს, უბრალოდ, მემეს აღარ სურდა საიდუმლოდ ეჭორავა ისეთ ამბებზე, მთელმა ქალაქმა რომ იცოდა უკვე. თავის მაშინდელ სიმთვრალეს მემე ბავშვურ ცელქობას მიაწერდა და ახლა ისე სასაცილო ეჩვენებოდა, მამამისსაც კი უამბო. იმანაც ბევრი იცინა: „ერთიც ვნახოთ და დედაშენმა გაიგოს..." — სიცილით იგუდებოდა აურელიანო მეორე და ქოქილობდა, როცა კი ქალიშვილი რაიმე საიდუმლოს გაანდობდა, ამ სიტყვებს შეაშველებდა ხოლმე. აურელიანო მეორემ შვილს პირობა დაადებინა, თუ ვინმე შეუყვარდება, გულახდილად მითხარიო. მართლაც, მალე მემემ გაუმხილა მამას, ერთი წითური ამერიკელი ყმაწვილი მომწონსო, არდადეგებზე მშობლებს ეწვია მაკონდოშიო. „ერთიც ვნახოთ და დედაშენმა გაიგოს", — გაეცინა აურელიანო მეორეს. მერე მემემ ამბავი მოუტანა მამას, ის ყმაწვილი თავის ქვეყანაში წავიდა და არაფერი იცისო. მოწიფულმა ქალიშვილმა ოჯახი ასე თუ ისე ჩააყენა სიმყუდროვის კალაპოტში. აურელიანო მეორე კვლავ დადიოდა პეტრა კოტესთან. თუმცა ქეიფი და დროსტარება ყელში ამოსდიოდა და აღარც სმა უხაროდა და აღარც ხორცი, მაინც, თუკი მოიცლიდა, შალითიდან ამოაძვრენდა ხოლმე აკორდეონს, რომლის რამდენიმე კლავიში ფეხსაცმლის ზონრით იყო დამაგრებული. ამარანტა კვლავ სუდარას იქსოვდა, ურსულა მინებდებოდა სიბერეს და წყვდიადში ჩაძირული მხოლოდ ხოსე არკადიო ბუენდიას აჩრდილს ხედავდა წაბლის ძირში. ფერნანდა ოჯახის ბატონ-პატრონი გახდა. ვაჟიშვილი ხშირად უგზავნიდა წერილებს და ახლა ყველაფერში მართალს სწერდა. მხოლოდ იმას უმალავდა, უხილავ მკურნალებთან რომ ჰქონდა მიმოწერა, რომლებმაც მსხვილი ნაწლავის კეთილთვისებიანი სიმსივნე დაუდგინეს დიაგნოზად და ტელეპათიური ოპერაციისთვის ამზადებდნენ.

ის იყო ბუენდიების ოჯახმა ამდენი უბედურებისა და დავიდარაბის შემდეგ ამოისუნთქა, დაიჯერა, რომ ამარანტას სიკვდილით კვლავ აირ-დაირია ყველაფერი. ბებერსა და გახმარტოებულ ამარანტას თავი ამაყად ეჭირა და ჯანმრთელად გამოიყურებოდა — იმ დღეს, პოლკოვნიკ ხერინელდო მარკესს საბოლოოდ რომ უარი უთხრა, თავის ოთახში ჩაიკეტა და ცხარე ცრემლით ატირდა. არავინ იცოდა, რაზე ფიქრობდა ამარანტა. ოთახიდან გამოსვლისას ცრემლისგან დაცლილი იყო უკვე. მას არც მშვენიერი რემედიოსის ფრენა, არც ურიცხვი აურელიანოსა და არც პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას, თუმცა ყველაზე მეტად იგი უყვარდა ამქვეყნად და ესეც მაშინ გაიგო, პოლკოვნიკი წაბლის ძირში რომ იპოვეს მკვდარი. ამარანტა მიეხმარა მიცვალებულის წოლებაში. ამარანტამ გაბანა, სამხედრო ფორმაში გამოაწყო, დავარცხნა, გაპარსა, ულვაშში უკეთ

აუწკიპა, ვიდრე თვითონ პოლკოვნიკს ჰქონდა დიდების ზენიტში მყოფს. და არავის უთქვამს, ამარანტა სიყვარულით აკეთებს ამასო. ყველანი მიეჩვიენ იმ ამბავს, რომ ამარანტა მიცვალებულის გაპატიოსნების საქმეში გაწაფული იყო. ფერნანდა გაცხარებული ამბობდა, ამარანტა კათოლიციზმს ცხოვრებაში კი არ უკავშირებს, მხოლოდ სიკვდილის დროს ახსოვს, გეგონება, რელიგია კი არა, მიცვალებულთა დაკრძალვის სარიტუალო წესების კრებული [illegible] მაგრამ მოგონებათა უკიერ ტყეში ჩაფლულ ამარანტას არ ესმოდა კათოლიკობის ყალბი დამცველის პატყვები. ისე დაბერდა, ყველა ნაღველი ცოცხლად ჰქონდა შემონახული. პიეტრო კრესპის ვალსის გაგონებაზე ახლაც, როგორც სიყმაწვილეში, ტირილი ერეოდა. თითქოს დროსა და გადატანილ სიმწარეს ამაოდ ჩაევლოს. თუმცა დიდიხანია საკრავის მილები საკუთარი ხელით გადაუყარა სანაგვე ყუთში, აქაოდა, მუყაო ნესტმა დაალპოო, მის გონებაში ეს მილები კვლავ ბრუხავდნენ და პატარა ჩაქუჩებს ამოძრავებდნენ. ამარანტას იმის გახსენებაც სტანჯავდა, ბევრი ცადა მაწევს კასერიზეო და გახრწნილებულა რამდენჯერ უჩხვლეტია ნემსი თითში, მაგრამ ყველაზე მეტად სტანჯავდა, ახელებდა და ანაღვლიანებდა სურნელოვანი და ჭიებით დახრული სიყვარულის ყვავილეთი, რომელსაც მხოლოდ მასთან ერთად ეწერა სიკვდილი და გადაშენება. როგორც პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას არ შეეძლო ომზე არ ეფიქრა, ისე ამარანტას არ ძალუძდა რებეკას არგახსენება. მაგრამ პოლკოვნიკმა შეძალო თავისი მოგონებები მიეჩქმალა, დავიწყების ფერფლი მიეყარა, ამარანტამ კი პირიქით, მთელი სიცხადით ატარა მთელი ცხოვრება. წლების მანძილზე ღმერთს მხოლოდ ერთ რამეს შესთხოვდა, რებეკაზე ადრე ნუ მომკლავო, ყოველთვის, როცა კი თავისი ყოფილი მეტოქის სახლის წინ გაივლიდა და ხედავდა დღითი დღე როგორ ინგრეოდა შენობა, ამარანტას უხაროდა, ღმერთი ჩემს თხოვნას ისმენსო. ერთხელ შუშაბანდში კეროვდა როგორღაც იგრძნო, რებეკას სიკვდილის ამბავს რომ შემატყობინებენ, ზუსტად აქ, ამავე ადგილას ვიჯდები მზეზეო. ამ დღიდან ამარანტა იჯდა და ელოდა, როგორც წერილებს ელიან ხოლმე და მართლაც ასე იყო. უქმად ყოფნას მოლოდინი რომ არ გაეჭიანურებინა და დაეღალა, სუდარას ღილებს აგლეჯდა და ხელახლა აკერებდა. სახლში ეჭვადაც არავის გაუვლია, რომ ამარანტა ამ სუდარას რებეკასთვის ქსოვდა. როდესაც ნაღვლიანმა აურელიანომ ყველას უამბო, რებეკა ვნახე საიქიოს აჩრდილივით სახედამჭკნილი და თავის ქალაზე ყვითელბალახმოსხმულიო, ამარანტას არც გაჰკვირვებია. ზუსტად ისეთი ჰყავდა წარმოდგენილი ახლანდელი რებეკა. ამარანტამ თავისთვის გადაწყვიტა, რებეკა რომ მოკვდება, მე გავაპატიოსნებ, სანთლით ამოვუქსოვ ნაოჭებს. წმინდანის პარიკს დავხურავ თავზე, გავალამაზებ სუდარაში გავახვევ, ხავერდგადაკრულ კუბოში ჩავაწვენ. შიგნიდან მეწამულ-ალისფერ ქსოვილს ამოვაფენ, ლამაზ ხალხს მივაცილებინებ სამარემდე და იქ კი ჭიაღუებს ჩავაბარებ მის თავს. სიძულვილით ანთებული ამარანტა ასე ფიქრობდა, როცა უცებ გაუელვა თავში, რებეკა რომ მყვარებოდა, მაშინაც ასე გავაპატიოსნებდიო. ამის გაფიქრებაზე ამარანტა უცებ შეკრთა, მაგრამ სულით არ დაცემულა: დღითი დღე ისე გულმოდგინედ ხვეწდა და ალამაზებდა თავისი ჩანაფიქრის ყოველ წვრილმანს, რომ მალე ნამდვილი ხელოვანი გახდა მიცვალებულის გაპატიოსნების საქმეში; მაგრამ ერთი რამ კი გამორჩა ამარანტას, ერთიც ვნახოთ და ღმერთმა არ ისმინა მისი ვედრება და რებეკაზე ადრე მოკვდეს, მაშინ? ასეც მოხდა. მაგრამ უკანასკ-

ნელ წამს ამარანტამ იგრძნო, იმედები კი არ გაუცრუვდა, პირიქით, ყოველგვარი დარდისაგან გათავისუფლდა, ღმერთმა მაინც მოიღო მოწყალება და რამდენიმე წლით ადრე აგრძნობინა სიკვდილის მოახლოვება. ამარანტა თავის სიკვდილს ერთ პაპანაქება შუადღეს შეხვდა პირისპირ, მემეს [illegible] გაგზავნის ცოტა ხნის მერე: სიკვდილი იჯდა შუშაბანდში ამარანტას გვერდით და ქარგავდა. ამარანტამ მაშინვე იცნო. სულაც არ შეშინებია. [illegible] ცისფერ კაბაში გამოწყობილი თმაგრძელი ქალი რაღაცით ჰგავდა იმდროინდელ პილარ ტერნერას, ურსულას რომ ეხმარებოდა საოჯახო საქმეებში. შუშაბანდში ფერნანდაც იჯდა ხოლმე, მაგრამ ის ვერ ხედავდა სიკვდილს, თუმცა იგი ისე რეალური იყო, ისე ჰგავდა ადამიანს, რომ ერთხელ თხოვა კიდეც ამარანტას, ნემსში ძაფი გამიყარეთო. სიკვდილს არ უთქვამს ამარანტასთვის, რომელ წელს, თვესა და დღეს მოკვდებოდა, ანდა რებეკაზე ადრე თუ მოკვდებოდა. ბრძანებით კი უბრძანა, კარზე მომდგარი აპრილის მეექვსე დღიდან სუდარის ქსოვა დაიწყე შენთვისო, ნება დართო, შენი სურვილისამებრ მოალამაზე და მოაქარგ-მოაქარგეო, ოღონდ, გააფრთხილა, ისევე კეთილსინდისიერად იშრომე, როგორც რებეკას სუდარას ქსოვდიო, და თან დაამშვიდა, უტანჯველად და უდრტვინველად მოკვდები იმ ღამით, როდესაც სამუშაოს დაამთავრებო. ამარანტა ცდილობდა, მეტი დრო მოენდომებინა ქსოვისათვის, საუკეთესო სელის ძაფი იშოვა და შეუდგა საქმეს. ისე გულმოდგინედ მუშაობდა, რომ ოთხი წელიწადი მოუნდა ქსოვას. მერე ქარგვა დაიწყო, რაც უფრო ნაკლები დრო რჩებოდა გარდაუვალ დასასრულამდე, მით უფრო ეჭვობდა ამარანტა, რებეკას სიკვდილამდე ვერ მოვასწრებო სუდარის დამთავრებასა, მაგრამ თავით ფეხამდე საქმეში გართულმა ისწავლა სიმშვიდე და შეურიგდა იმ აზრს, რომ იმედები დაუმსხვრია. სწორედ მაშინ მიხვდა პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას ოქროს თევზების ეშმაკისეულ ბრუნვას. გარე სამყარო მისთვის ახლა მხოლოდ მისივე ახლოს იყო, ხოლო სულს ამ სამყაროსაც აღარაფერი [illegible]. ამარანტა ნანობდა, რატომ რამდენიმე წლის წინ არ მომივიდა აზრად ეს ამბავიო. მაშინ ჯერ კიდევ შეიძლებოდა მოგონებების განწმენდა და სამყარო ახალ ყაიდაზე გადამეკეთებინაო; საღამოობით პიეტრო კრესპის ლავანდის სუნის გახსენებაზე აღარ შევკრთებოდი, რებეკას სიღარიბიდან დავიხსნიდი არა სიყვარულით ან სიძულვილით ნაკარნახევი, არამედ მისი მარტოობით გულშეძრულიო. ერთ საღამოს [illegible] სიტყვებში ამოკითხულმა სიძულვილმა ამარანტა იმიტომ კი არ შეაშფოთა, [illegible] თუ არა, რატომ [illegible] მემეთა, არამედ იმიტომ, რომ ამარანტამ [illegible] თავი დაინახა სხვის სიყმაწვილეში, რომელიც სუფთა და [illegible] ახლა კი რა გამოვიდა. [illegible] და [illegible] მაგრამ ახლა [illegible] გამოცდილება [illegible] და ამარანტაც [illegible] შეურიგდა ბედს. [illegible] გაბედა. [illegible] რომ [illegible] ერთი კვირის საშუშაო [illegible] სიკვდილი ოთხი თებერვლის საღამოს [illegible] ამარანტამ [illegible] არ [illegible] ხუთი თებერვლისთვის [illegible] შენ [illegible] მაგრამ მემემ ყურიც არ ათხოვა [illegible] მაშინ ამარანტამ [illegible] იქნებ რამე მოიგონოთ და [illegible] სიკვდილის [illegible] სიკვდილმა უპასუხა, [illegible] ქალი დასაფლავება [illegible] მაგრამ მეორე დილით [illegible] საათზე

ამარანტამ მაინც გაავლო ბოლო ძაფი იშვიათი სილამაზის სუდარაზე და მშვიდად განაცხადა, ამ საღამოს მოვკვდებიო. თავისი სიკვდილი მარტო ოჯახს კი არა, მთელ ქალაქს ამცნო და განიზრახა, ერთხელ მაინც თავის სიცოცხლეში, თუნდაც სიცოცხლის დასასრულს, ხალხისთვის გაეკეთებინა კეთილი საქმე: მიცვალებულებისთვის წაეღო თავ-თავიანთი პირისუფლებისგან წერილები.

ამარანტა ბუენდია ამ საღამოს ღუზას აუშვებს საიქიოში გასამგზავრებლად და წერილებსაც წაიღებსო, — ეს ამბავი მთელ მაკონდოს მოედო ელვის სისწრაფით ჯერ კიდევ დილით, სამ საათზე კი სასტუმრო ოთახში წერილებით პირთამდე სავსე ყუთი იდგა უკვე. ზოგი სიტყვიერადაც აბარებდა ამარანტას ახალ ამბავს, ისიც პატარა წიგნაკში იწერდა გვარსა და გარდაცვალების თარიღს. „ნუ ღელავთ, — ამშვიდებდა პირისუფლებს, — ჩავალ თუ არა, მაშინვე ყველას მოვიძიებ და გადავცემ თქვენს წერილებს". ყველაფერი ფარსს ჰგავდა. ამარანტას სულ არ ეტყობოდა შიში და ნაღველი, ის კი არადა, დაკისრებული მოვალეობის მომავალი შესრულების გამო გაახალგაზრდავებულიც ჩანდა. მაღალი და ტანადი უფრო ახალგაზრდაც გამოჩნდებოდა, ლოყები რომ არ ჰქონოდა ჩავარდნილი და წინა კბილები ჩაცვენილი. თვითონვე ბრძანა წერილები გასანთლულ ყუთში ჩაყარეთო, ისიც აუხსნა, სამარეში როგორ ჩაედგათ, ნესტისგან რომ არ დამპალიყო. დილით დურგალი იხმო და ვიდრე კუბოსთვის ზომას აიღებდა, ისე მშვიდად იდგა, თითქოს კაბას იკერავსო. ბოლო საათებში ისეთი ნებისყოფა და სიმტკიცე გამოიჩინა, ფერნანდაც კიდეც დაეჭვდა, ხომ არ იხუმრაო. ურსულამ კარგა ხანია იცოდა, ბუენდიები სალ-სალამათი კვდებოდნენ მუდამ, ისიც სჯეროდა, ამარანტამ იცის, როდის მოკვდება. მაგრამ ეშინოდა, ამ წერილების გამო ცოცხლად არ დაემარხათ მისი ქალიშვილი, აქაოდა, წერილები ადრე მიუტანოს ჩვენს მიცვალებულებსო. ამიტომ ურსულამ ერთი კარგად დაუცაცხანა თავმოყრილ ხალხს და ყველანი გაყარა. ამასობაში ამარანტამაც დაურიგა ღარიბებს თავისი ნივთები, უბრალო ფიცრის კუბოში მხოლოდ ერთი ხელი საცვალი და ქუსლამოღებული ხავერდის ფეხსაცმელი ჩადო, მკვდრისთვის რომ ჩაეცვათ. თავიდანვე დაიჭირა ფეხსაცმლის თადარიგი. პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია რომ მოკვდა, ახალი ფეხსაცმლის ყიდვამ მოუწიათ, რადგან ფლოსტების მეტი არაფერი ჰქონდა ფეხზე ჩასაცმელი. ხუთი საათი არ იქნებოდა ჯერ, აურელიანო მეორე რომ მოვიდა მემეს კონცერტზე წასაყვანად და გაუკვირდა, ეს რა საპანაშვიდოდ მოგირთავთ სახლიო. თუკი ვინმეს ეტყობოდა სახეზე სიცოცხლის რაიმე ნიშან-წყალი, ეს გახლდათ ამარანტა, იგი მშვიდად იჯდა და კოჟრებს იჭრიდა ფეხზე. აურელიანო მეორე და მემე სიცილ-სიცილით დაემშვიდობნენ ამარანტას, ერთი კვირის თავზე შენს აღდგომას კარგი პურმარილით აღვნიშნავთო. ხუთ საათზე მღვდელი ანტონიო ისაბელი ეახლა ბუენდიებს. მის ყურამდეც მიაღწია ხმამ, ამარანტა ბუენდიას წერილები მიაქვს საიქიოშიო და აზიარებლად წამოსულა. მთელი ოცი წუთი ელოდა მღვდელი, ვიდრე მომაკვდავი საბანაო ოთახიდან გამოვიდოდა. როდესაც მიტკლის პერანგში ჩაცმული და თმაგაშლილი ამარანტა წარსდგა, გადაპენტერებულმა მღვდელმა იფიქრა, ნამდვილად გაუმასხრავთო და წმინდა ზიარებისთვის გაუშვა ბიჭი უკან. წასვლით თვითონ არ წასულა. ოცი წელიწადია აღსარება ვერ კათქმევინე, იქნებ ახლა გაბედოსო. ამარანტამ ახლაც უარი თქვა აღსარებაზე, სულიერი დახმარება არ მჭირდება, სინდისი სუფთა მაქვსო. ამ ამბავმა ფერნანდა ძალზე გაარისხა. არავის დაერიდა, ხმამაღ-

ლა ეკითხა, რა ისეთი საშინელი ცოდვა აწევს ამარანტას, რომ სიკვდილის შებილწვას აპირებს მოუნანიებლადო. მაშინ ამარანტა ტახტზე დაწვა და ურსულა აიძულა საჯაროდ დაემტკიცებინა მისი სიქალწულე.

— ყველამ იცოდეს, — შესძახა მან ფერნანდას გასაგონად, — რომ ამარანტა ბუენდია ამ ქვეყნიდან ისეთი მიდის, როგორიც მოვიდა!

მერე აღარ ამდგარა, ავადმყოფივით გადაწვა ბალიშზე, [illegible]-თმა შეიკრა და ყურებქვეშ ამოიდო, სიკვდილმა დაარიგა, კუბოში ასე უნდა ჩაწვეო. მერე ამარანტამ ურსულას სარკე მოატანინა და პირველად თითქმის ორმოცი წლის მანძილზე დაინახა თავისი სახე — წლებით დაღდაჩნეული და ნატანჯი და გაუკვირდა, როგორიც წარმომედგინა, ისეთი ვყოფილვარო. საწოლ ოთახში სიჩუმე ჩამოდგა და ურსულა მიხვდა, ღამდებოდა.

— ფერნანდას გამოემშვიდობე, — შეეხვეწა ურსულა. — შენდობისა და მიტევების წუთი სიამტკბილობაში განვლილ მთელ ცხოვრებაზე ძვირფასია.

— ახლა უკვე გვიანაა, — უპასუხა ამარანტამ.

მემე კვლავ ამარანტაზე ფიქრობდა, რომ სახელდახელო სცენა განათდა და მეორე განყოფილებაც დაიწყო. ის იყო პიესის შუა ნაწილს ამთავრებდა, რომ ვიღაცამ ჩურჩულა, ამარანტა მოკვდაო. კონცერტი შეწყდა. აურელიანო მეორემ ძლივს გაარღვია ხალხის ტალღა, რათა დაენახა გადაბერებული ქალწული — ძვირფას სუდარაში გახვეული ულამაზო, ფერწასული მიცვალებული, რომელსაც ხელი შავი ფალასით ჰქონდა შეხვეული. კუბო წერილებით სავსე ყუთის გვერდით იდგა.

ცხრა დღე იგლოვეს ამარანტა. ურსულა დაწვა და აღარც ამდგარა მერე. მისი მოვლა-პატრონობა სანტა სოფია დე ლა პიედადმა ითავა. საჭმელი მოჰქონდა, ბანდა, მაკონდოს ამბებს უყვებოდა. აურელიანო მეორე ხშირად ნახულობდა ურსულას, ათასნაირი ტანსაცმელი მოჰქონდა მისთვის. ისიც საწოლის გვერდით ინახავდა სხვა ყოველდღიურად საჭირო ნივთებთან ერთად, და მალე ხელის გაწვდენაზე მთელი სამყარო შეიქმნა. პატარა ამარანტა ურსულა ძალიან ჰგავდა თავის პაპის ბებიას და უყვარდა კიდეც. ურსულამ პატარას წერა-კითხვა ასწავლა. ახლაც კი ვერავინ ხვდებოდა, რომ იგი სრულიად ბრმა იყო, თუმცა იცოდნენ, ცუდად ხედავსო. ისეთი ნათელი გონება შერჩენოდა, ისე აკეთებდა საქმეს სხვის დაუხმარებლად, რომ ყველანი ფიქრობდნენ, ურსულა მხოლოდ ასი წლის სიმძიმემ მოხარა წელშიო. იმ ხანებში ურსულას თავისუფალი დრო თავზესაყრელად ჰქონდა და სიმშვიდეც არანაკლებ, ამიტომ ოჯახურ ამბებს ჩუმად უთვალთვალებდა და სწორედ მან პირველმა იგრძნო მემეს უსიტყვო ტანჯვა.

— მოდი აქ, — უთხრა მან შვილიშვილის შვილიშვილს, — ახლა მარტონი ვართ და მიამბე საბრალო დედაბერს, რა მოგდის.

დაბნეულ მემეს გაეღიმა და უარი თქვა საუბარზე. ურსულა არ ჩაჟინებია, მაგრამ მას მერე, რაც მემე აღარ ნახულობდა, ეჭვი უფრო გაუღრმავდა. ურსულამ ზეპირად იცოდა მემეს თითქმის ყოველი ნაბიჯი: მემე წინანდელზე ადრე დგებოდა, სახლიდან გასვლამდე საქმიანობდა, ღამით საწოლში ვერ ისვენებდა — ოთახში შემოფრენილი პეპლები არ აძინებდა. ერთხელ ურსულამ ყური მოჰკრა, მემემ დედამისს უთხრა, მამასთან მივდივარო, დედაბერს გაუკვირდა ფერნანდას მიუხვედრელობა, როცა შინ მოსულმა აურელიანო მეორემ ჰკითხა ცოლს, მემე სად არისო. მემეს რაღაც საიდუმლო და გადაუდებელი სა-

ეჭვები გაუჩნდა უკვე კარგა ხნით ადრე იმ საღამომდე, როდესაც ფერნანდამ კინოში წაასწრო ვიღაც კაცთან ჩახვეულსა და კოცნაში გართულს და მთელი სახლი ფეხზე დააყენა.

აფორიაქებულმა მემემ იფიქრა, ალბათ ურსულამ დამინახაო, სინამდვილეში კი თვითონ გასცა თავი. მისი ქცევა ბრმასაც კი დააეჭვებდა, მაგრამ ფერნანდა ვერაფერს მიხვდა. ეს უპირველეს ყოვლისა იმის ბრალი იყო, რომ არა სცალოდა, უხილავ მკურნალებთან ჰქონდა მიმოწერა გამართული. ერთი სიტყვით, ბოლოს და ბოლოს ფერნანდამაც შეამჩნია, რომ ქალიშვილს ხასიათი შეეცვალა: ხან გაირინდებოდა, ხან უეცრად შეკრთებოდა, ჯიუტიც გახდა. ფერნანდამ განიზრახა ჩუმად ეთვალთვალა შვილისთვის. ამხანაგებთან სიარულის ნებას რთავდა და შაბათობით გამართულ საღამოებზეც წასვლისას თვითონ ეხმარებოდა ჩაცმაში. ერთხელაც არ უკითხავს ისეთი რამ, რასაც შეეძლო ქალიშვილი დაეფრთხო და მიეხვედრებინა, მითვალთვალებენო. დედამ უკვე იცოდა, შვილი იმას არ აკეთებდა, რასაც ეუბნებოდა, მაგრამ საეჭვო მაინც ვერაფერი შეამჩნია იმ საღამომდე... ერთხელ მემემ უთხრა, მამასთან ერთად კინოში მივდივართო. მემეს წასვლიდან ცოტა ხნის მერე ფერნანდას მუშხუნების ტკაცუნი და აკორდეონის ნაცნობი ხმა მოესმა პეტრა კოტესის სახლიდან. მაშინ ქალმა ჩაიცვა, წავიდა კინოში და ნახევრად ჩაბნელებული დარბაზის პირველ რიგებში დაინახა ვიღაც ვაჟთან ჩახვეული და კოცნაში გართული თავისი ქალიშვილი. თავზარდაცემულმა იმით, რომ ეჭვები გაუმართლდა, ფერნანდამ ვერ მოასწრო ვაჟის სახე დაენახა, მხოლოდ მისი აღელვებული ხმა შემოესმა ყურისწამღებ სტვენასა და ხარხარში: „მაპატიე, საყვარელო". ქალმა შვილს სტაცა ხელი, დარბაზიდან გამოიყვანა და ხალხმრავალ თურქების ქუჩაზე სულ ჩხუბითა და ყვირილით წაათრია შინ და ოთახში ჩაკეტა.

მეორე დღეს საღამოს ექვს საათზე, ფერნანდას ესტუმრა კაცი, ვისი ხმაც მაშინვე იცნო. მოსულს შავი და საოცრად ნაღვლიანი თვალები ჰქონდა. ფერნანდას ბოშები არ ენახა და იმიტომ გააოცა ამ ყმაწვილი კაცის ნაღვლიანმა თვალებმა. სხვა ქალს მის ადგილას გულს მოულბობდა ალბათ ამ კაცის მეოცნებე სახე. სტუმარს ძველი ტილოს კოსტიუმი ეცვა, კირით ათასგზის თეთრად შეღებილი ფეხსაცმელი დაცვდომოდა და გაცვეთოდა, ხელში წინა შაბათს ნაყიდ ქუდს ჰმუჭნიდა. ვაჟი ძალიან იყო შეშინებული: ასე არასოდეს შეშინებია თავის სიცოცხლეში და არც არასოდეს შეეშინდება, მაგრამ თავი ღირსეულად ეჭირა და სწორედ ამ ყმაწვილი კაცის დანახვაზევე იგრძნობდით მის რაღაცნაირ შინაგან კეთილშობილებას, მხოლოდ ხელები ჰქონდა მძიმე შრომისგან დაკოჟრილი და ფრჩხილებში ჭუჭყჩამჯდარი. ფერნანდა მაშინვე მიხვდა, მოსული ხელოსანი იყო, ისიც შეამჩნია, რომ ერთადერთი საგარეო კოსტიუმი და პერანგი ეცვა, ისიც ეტყობოდა, ბანანის კომპანიის შავი ჭირით რომ ჰქონდა სული გაჟღენთილი. სიტყვის თქმა არ აცალა, ზღურბლზეც არ გადმოადგმევინა ფეხი. ის კი არადა, წუთის მერე იძულებული გახდა კარი მიეკეტა სტუმრის ცხვირწინ, რადგან მთელი სახლი აავსო ღია კარიდან შემოჭრილმა ყვითელმა პეპლებმა..

— მოშორდით აქაურობას, — უთხრა ვაჟს, — თქვენისთანა ხალხს ჩვენთან არაფერი ესაქმება!

ამ ვაჟის სახელი და გვარი მაურისიო ბაბილონია იყო. იგი დაიბადა და გაიზარდა მაკონდოში, ბანანის კომპანიის სახელოსნოში მექანიკოსის შეგირ-

და შუშაობდა. მემემ შემთხვევით გაიცნო: ერთ დღეს მემე და პატრიცია ბრაუნი ავტომობილს ელოდნენ პლანტაციაში წასასვლელად; მძღოლი ავად გამხდარიყო და მის მაგივრად მაურისიო ბაბილონია გაგზავნეს. სწორედ ამ შემთხვევის წყალობით მემემ, როგორც იქნა, აისრულა ძველი ნატვრა — მძღოლის გვერდით დამჯდარიყო და თვალი ედევნებინა მანქანის მართვისათვის, რასაც შტატიან მძღოლს ვერ გამოჰპარავდი. მაურისიო ბაბილონიამ აუხსნა ყველაფერი თვალსაჩინოდ. იმ ხანებში მემე ახლად მიღებული სტუმარი გახლდათ ბატონ ბრაუნის ოჯახში და მანქანის მართვა ქალიშვილისათვის შეუფერებელ საქმედ მიაჩნდა, ამიტომ მხოლოდ თეორიული ახსნა-განმარტება იკმარა და რამდენიმე თვე არც შეხვედრია მაურისიო ბაბილონიას. ძალიან გვიან გაახსენდა, რომ პლანტაციაში სეირნობისას მძღოლის მამაკაცურმა სილამაზემ მიიქცია მისი ყურადღება, მხოლოდ უხეში ხელები არ მოეწონა და მერე პატრიცია ბრაუნს ისიც გაუზიარა, ქედმაღლურად ამაყი და თავდაჯერებული კაცი ჩანსო. ერთ შაბათ დღეს მემე და მამამისი კინოში წავიდნენ და მემემ დაინახა თეთრ კოსტიუმში გამოწყობილი მაურისიო ბაბილონია, რომელიც შორიახლო იჯდა. მემემ შეამჩნია, ვაჟი ხანდახან მისკენ იცქირებოდა, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, იმიტომ კი არ იცქირებოდა, რომ მისი დანახვა უნდოდა, არამედ იმიტომ რომ მემე მიეხვედრებინა, ვუყურებიო. ქალიშვილს არ ესიამოვნა ეს ამბავი. ფილმის დამთავრების მერე მაურისიო ბაბილონია აურელიანო მეორეს მიესალმა და მემეც მიხვდა, ისინი იცნობდნენ ერთმანეთს. მაურისიო ბაბილონიას თურმე ადრევე ნაღვლიანი აურელიანოს პატარა ელექტროსადგურში უმუშავნია ერთხანს და ახლა აურელიანო მეორეს ისეთი რიდით მიმართავდა, როგორც ხელქვეითისგან შეჰფერის უფროსს. ამის დანახვაზე მემეს გაუქრა ის უსიამო გრძნობა, ვაჟის ქედმაღლობა რომ იწვევდა მის არსებაში. თუმცა ქალ-ვაჟი არასოდეს შეხვედრია ერთმანეთს მარტო, სიტყვაც კი არ უთქვამთ ერთმანეთისთვის, მემეს ერთ ღამეს დაესიზმრა, ვითომ მაურისიო ბაბილონიამ გადაარჩინა ხომალდის ჩაძირვის დროს, მაგრამ მადლობის ნაცვლად მემე სიბრაზემ შეიპყრო: ისე გამოდიოდა, თითქოს თვითონ მისცა რაღაცის საბაბი, არადა, სულ სხვა რამ სწყუროდა ქალიშვილს მარტო მაურისიო ბაბილონიასაგან კი არა, სულ ერთია ვინც იქნებოდა, ვისაც მემე მოეწონებოდა. გამოღვიძებული უფრო იმან გააბრაზა, იმის მაგივრად რომ შეზიზღებოდა მაურისიო ბაბილონია, პირიქით, სულისწრაფვით მოუნდა მასთან შეხვედრა. მემე მოუსვენრობამ შეიპყრო. უხალისოდ გადიოდა დღეები, ხოლო კინოში რომ მიესალმა მაურისიო ბაბილონია, ლამის გული ამოუვარდა საგულედან. მაგრამ ვაჟს რომ არაფერი შეემჩნია, თავს ძალა დაატანა და ბედნიერებითა და რისხვით დაბრმავებულმა პირველმა გაუწოდა ხელი. მაურისიო ბაბილონიამაც პირველად ჩამოართვა ქალიშვილს ხელი. რაღაც წამში მემემ ინანა, რატომ აჩქარდიო, მაგრამ როდესაც იგრძნო, ვაჟსაც ხელი დაცვაროდა ცივი ოფლით, გულქვა კმაყოფილება დაეუფლა მთელ მის არსებას. ღამით მემესათვის ცხადი გახდა, რომ ერთი წუთითაც ვერ მოისვენებს, ვიდრე მაურისიო ბაბილონიას იმედის კოშკებს არ დაუნგრევს. მთელი კვირა ბორგავდა, ათასნაირ მიზეზს იგონებდა. პატრიცია ბრაუნი გარაჟში რომ გაჰყოლოდა. ბოლოს წითური ამერიკელი კაცის ჩამოსვლით ისარგებლა და ის წაიყვანა გარაჟში ვითომდა ახალი მოდელის მანქანის სანახავად. როგორც კი მაურისიო ბაბილონიას მოჰკრა თვალი, მემე მაშინვე მიხვდა, თავს იტყუებდა და უსაშველოდ უნდოდა მასთან მარტო

დარჩენა, მაგრამ სიბრაზემაც მოიცვა, რადგან მაურისიო ბაბილონია თავიდან-ვე ძალიან კარგად მიხვდა, რისთვისაც მივიდა მემე.

— ახალი მოდელის სანახავად მოვედი, — თქვა მემემ.

— ცუდი მიზეზი არ უნდა იყოს, — თქვა მან.

ვაჟის ქედმაღლობამ ცეცხლი წაუკიდა მემეს, გააფთრებული ფიქრობ-და თითონაც დაემცირებინა ეს საბრალო შეგირდი, მაგრამ მაურისიო ბაბი-ლონიამ არ აცალა. „დამშვიდდით, — უთხრა ჩუმად, — თქვენ პირველი ქალი არა ხართ, კაცისთვის რომ გიქდებათ". მემე გასაცოდავებული გავიდა გარაჟი-დან, ახალი მანქანებისათვის არც შეუხედავს, მთელი ღამე ბორგავდა და სიმწ-რისა და რისხვის ცრემლი სდიოდა. ის ამერიკელი ყმაწვილი, რომელსაც ის იყო მემე ჩავარდნოდა გულში, ახლა ახალშობილივით ეჩვენებოდა. სწორედ მაშინ შეამჩნია მემემ, რომ ყვითელი პეპლები მაურისიო ბაბილონიას გამო-ჩენას ამცნობდნენ ხოლმე. ეს ყვითელი პეპლები მემემ ადრეც ნახა გარაჟში და იფიქრა, საღებავის სუნი იზიდავთო მათ, მაგრამ ერთხელ ჩაბნელებულ კინოდარბაზში გაიგონა, თავზე როგორ დაფრენდნენ თვითონ მას, მხოლოდ მაშინ დაუკავშირა მემემ ყვითელი პეპლები და მაურისიო ბაბილონია ერთ-მანეთს, როდესაც ვაჟმა აჩრდილივით დაუწყო დევნა, იგი მხოლოდ მემესთ-ვის იყო ხილული ხალხის ტალღაში, კონცერტებზე, კინოში, წირვაზე მაური-სიო ბაბილონია მუდამ ხალხში იდგა და მემე ადვილად პოულობდა ყვითელი პეპლების დახმარებით. აურელიანო მეორე დიდხანს ბუზღუნებდა, ამ პეპლე-ბმა გული გამიწვრილესო. მემემ ლამის არ გასცა მამას თავისი საიდუმლო, აკი დაჰპირდა, ყველაფერს გეტყვიო, მაგრამ ამჯერად გულმა უკარნახა, მამა-შენი ძველებურად აღარ გიპასუხებს სიცილით: ლედიშენს რომ გაეგო, რას იტყოდაო. ერთხელ დილით ფერნანდა და მემე ვარდებს კრეფდნენ, ფერნან-დამ უცებ დაიყვირა და ქალიშვილს ხელი უბიძგა იმ ადგილიდან, საიდანაც ოდესღაც მშვენიერი რემედიოსი ამაღლდა ზეცად. ფერნანდა უეცრად შეთრ-თოლებულმა ჰაერმა შეაშინა, წუთით მოეჩვენა, სადაცაა მისი ქალიშვილიც გაიზიარებს მშვენიერი რემედიოსის წილხვედრს, მაგრამ პეპლები დაინახა და დამშვიდდა. პეპლები ისე უცაბედად გამოჩნდნენ, თითქოს მზის სხივიდან იშვნენო და მემეს გული შეუქანდა. იმავე წუთში ბაღში მაურისიო ბაბილო-ნია შემოვიდა, პატრიცია ბრაუნის გამოგზავნილი რაღაც გახვეული ეჭირა ხე-ლში. მემემ ძალა მოიკრიბა, შეკრთომის საღებავი ჩამოიკილა სახიდან და სა-მაოდ უშუალო ღიმილით სთხოვა სტუმარს, შუშაბანდში ყვავილებთან დადეთ ეგ შეხვეული, მე ხელები მიწიანი მაქვსო. ფერნანდამ არც მიაქცია ყურადღება იმ კაცს, რამდენიმე თვის მერე რომ მოუწევს მისი გაგდება სახლიდან, და არც ის გახსენებია, ერთხელ რომ ენახა უკვე. მხოლოდ კაცმკვდრული ფერი შეამჩნია სტუმარს სახეზე.

— უცნაური ყმაწვილი ჩანს, — თქვა მან. — სახეზე ეტყობა, ამ ქვეყ-ნისა არ არის.

მემემ იფიქრა, დედაჩემი ალბათ პეპლებს გულისხმობსო. ვარდები დაკ-რიფა, ხელები დაიბანა, შეკვრა თავის ოთახში წაიღო და გახსნა. ქაღალდში ჩინური სათამაშოს მაგვარი რაღაც გაეხვიათ, ხუთი კოლოფი ერთიერთმანეთში ეწყო. სულ ბოლო, მომცრო კოლოფში ღია ბარათი იდო, ვიღაცას აცაბაცად და გულმოდგინედ გამოეყვანა: „შაბათს კინოში შევხვდებით". მაურისიო ბა-ბილონიას გამბედაობა და საზრიანობა მოეწონა მემეს, მაგრამ იმან კი გაოცი-

ზიანა, რატომ სჯერა, რომ უსათუოდ მივალო. ქალიშვილმა იცოდა, შაბათს მამამისსა არ ეცლებოდა, მაგრამ მთელი კვირა ისე დატანჯა მოლოდინმა, რომ სთხოვა. კინომდე მიმაცილე და ფილმის დამთავრების მერე დამხვდიო. ჯერ კიდევ არ ჩაექროთ შუქი დარბაზში, რომ მის თავზე პეპლები აფართფატდნენ. მერე ის ამბავიც მოხდა, შუქი ჩააქრეს და გვერდით მაურისიო ბაბილონიაც მიუჯდა. მემეს მოეჩვენა სადღაც უძირო ქვესკნელში [illegible] და ჩემი გადარჩენა, სიზმარიც არ იყოს, მხოლოდ ამ მანქანის ზეთის სუნით გაჟღენთილსა და ახლა ჩემ გვერდით მჯდომ, სიბნელეში ძლივს გასარჩევ კაცს შეუძლიაო.

— რომ არ მოსულიყავით, — უთხრა მან. — მეტს ვეღარასოდეს მნახავდით.

მემემ იგრძნო, კაცმა მუხლზე დაადო მძიმე ხელი და მიხვდა, ამიერიდან აღარაფრისა შეეშინდებოდა ორივეს.

— იცი, რა მაბრაზებს შენი? — უთხრა ღიმილით ქალიშვილმა, — სწორედ იმას რომ ამბობ, რის თქმაც არ არის საჭირო.

მემეს სიგიჟემდე შეუყვარდა ვაჟი. დაეკარგა ძილი და მოსვენება, აღარც ჭამა უნდოდა, აღარც სმა, ისე ჩაეფლო მარტოობაში, მამამისიც კი ხელს უშლიდა. ოღონდ კი მაურისიო ბაბილონიას შეხვედროდა და რაღას არ იგონებდა ფერნანდას გზა-კვალის ასარევად, ეს მოწვევა-მოპატიჟებაო, ეს საქმეებიო. პირველად არ მოსწონდა ვაჟის უხეშობა. გარაჟის უკან უკაცრიელ ადგილას რომ განმარტოვდნენ, უმოწყალოდ, ლამის ცხოველურად მოექცა, ძალაგამოცლილი ძლივს იდგა ფეხზე. მოგვიანებით მემე მიხვდა, ესეც ერთგვარი მოფერება იყო და მაშინ ხომ მთლად დაჰკარგა გონი, სულისწრაფვით ელოდა თავის უსაყვარლეს კაცთან შეხვედრას, ვნებაგახელებულს სურვილი წვავდა. მანქანის ზეთის ჭკუისშემშლელ სუნში ჩამხრჩვალიყო ყოველ წუთსა და ყოველ დღეს. ამარანტას სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მემეს თითქოს გონება გადაეწმინდაო, მომავლის შიშმა დაისადგურა მის გულში. მკითხავთან წასვლა განიზრახა, გაიგო, ერთი ქალი კარგად მკითხაობს კარტზეო და ჩუმად მიაკითხა. ეს ქალი პილარ ტერნერა გახლდათ. მემეს დანახვაზე მიუხვდა მოსვლის მიზეზს. „დაჯექი, — უთხრა პილარ ტერნერამ. — კარტი არ მჭირდება ბუენდიების ბედის ამოსაცნობად“. მემემ არ იცოდა და ვერც ვერასოდეს გაიგებს, რომ ეს ასი წლის მკითხავი მამამისის ბებიად ერგებოდა. არც დაიჯერებდა. მკითხავმა მიუკიბ-მოუკიბავად უთხრა, მტანჯველი სიყვარული მხოლოდ საწოლში შეგიძლია დაიშვიდოო. ასეთივე აზრისა იყო მაურისიო ბაბილონიაც. მაგრამ მემეს არ სურდა ამის დაჯერება. სულის სიღრმეში სწამდა, მისი შეყვარებული ასე იმიტომ ლაპარაკობდა, რომ ყველა ხელოსანივით ტლანქი იყო. მაშინ ასე ეგონა მემეს, სიყვარულის ერთი სახეობა სპობს მეორე სახეობას, რამეთუ ადამიანი, თავისი ბუნებით, შიმშილს რომ მოიკლავს, საჭმელს აღარ ეკარებაო. პილარ ტერნერამ არათუ გაუფანტა ქალიშვილს ეს მცდარი აზრი, თავისი ძველისძველი თოკის საწოლიც კი შესთავაზა. ამ საწოლში ჩაესახა მას არკადიო — მემეს პაპა და შემდეგ კი აურელიანო ხოსე. გარდა ამისა მუცლის მოშლაც ასწავლა ცხელ-ცხელი მდოგვის საფენებითა და სხვადასხვა წესით. უბედურება ნუ მოხდება. თორემ ყველაფერს ეშველება, „სინდისის ქენჯნასაც“ კი! პილარ ტერნერასთან შეხვედრის შემდეგ მემეს ისეთივე ძალა და გამბედაობა მოემატა, როგორც მაშინ, დათრობისას. მაგრამ ამარანტას სიკვ-

დილმა დროებით გადაადებინა ჩანაფიქრი. აურელიანო ვიდრე ამარანტას სულისშემხუთველი მგლოვიარობა გრძელდებოდა, მემე ერთი წამითაც არ მოშორებია მაურისიო ბაბილონიას, რომელიც პანაშვიდებზე მოსულ ხალხში ერეოდა. მერე ხანგრძლივმა მგლოვიარობამ შეყვარებულები დროებით დააშორა ერთმანეთს. ეს დღეები მათთვის აუტანელი მოლოდინებით, დაქანცულობით და სიყვარულით აღსავსე დღეები იყო და ამიტომაც [illegible] მის. როგორც კი მემემ სახლიდან გასვლა მოახერხა, მაშინვე პილარ ტერნერას მიაშურა. მემე დანებდა მაურისიო ბაბილონიას კრძალვისა და პრანჭვა-გრეხის გარეშე, თან ისეთი უბრალოება და გონიერება გამოიჩინა, რომ ეჭვიან კაცს კიდევ უფრო დააეჭვებდა. ნამდვილად გამოცდილია ამ საქმეშიო. სამი თვის მანძილზე კვირაში ორჯერ ხვდებოდნენ ერთმანეთს. არაფრისა არ ეშინოდათ. აურელიანო მეორის უნებური თანამზრახველობის იმედი ჰქონდათ. მამა ეუშმაკოდ ეთანხმებოდა ქალიშვილის მოგონილ ალიბს, ოღონდ კი როგორმე განთავისუფლებინა ფერნანდას მონობისაგან.

იმ ღამეს, ფერნანდა თავს რომ წაადგათ კინოში მემესა და მაურისიო ბაბილონიას, აურელიანო მეორემ სინდისის ქენჯნა იგრძნო და ოთახში ჩაკეტილ ქალიშვილთან შევიდა. ეგებ ყველაფერი მიამბოს და გულს მოეშვასო. მაგრამ შეცდა, მემემ არაფერი უთხრა. ისეთი [illegible] გამოიჩინა, ისე ეჭიდებოდა თავის მარტოობას, რომ აურელიანო მეორეს მოეჩვენა, მათ შორის ყველაფერი გათავდა, რომ არც არასოდეს მეგობრობდნენ მამა-შვილი და რომ ყველაფერი წარსულის ილუზია იყო მხოლოდ. მერე მაურისიო ბაბილონიას ნახვა განიზრახა, იქნებ როგორც ყოფილ უფროსს შელაპარაკება ვერ გამიბედოს და თავის განზრახვაზე ხელი აიღოსო. მაგრამ პეტრა კოტესმა ურჩია, ქალების საქმეში ნუ ერევიო.

მემე სულაც არ იტანჯებოდა. ურსულა კვლავ აღტაცებული დარაჯობდა მის მშვიდ ძილს, ასევე მშვიდად და აუღელვებლად საქმიანობდა დღისით. წესიერად ჭამდა და კუჭიც კარგად ინელებდა საჭმელს. მემე ორი თვე იყო შინაპატიმრობაში და ურსულას ერთი რამ მოუჩვენა საეჭვო და უცნაური. მემე აბაზანაში, როგორც შემოღებული ჰქონდათ, დილაობით კი არა, საღამოს შვიდ საათზე შედიოდა. ერთხელ განიზრახა კიდეც, გაეფრთხილებინა, მორიელებს მოერიდეო, მაგრამ გაბრაზებულმა მემემ არ ისურვა დიდ ბებიასთან საუბარი და პირისპირ შეხვედრა. დარწმუნებული იყო, [illegible] გაცივდა. ურსულამაც მოუშვა, აღარ შეუწუხებია ქალიშვილი თავისი ბებრული ჩიჩინით, როგორც კი მოსაღამოვდებოდა. სახლი ყვითელი პეპლებით ივსებოდა. ყოველ საღამოს აბაზანიდან გამოსული მემე ხედავდა, დედამისი როგორ ფანტავდა პეპლებს მისასხურებელი წამლით ხელში. „რა უბედურებაა, — ბუზღუნებდა ფერნანდა, — ამბობენ, ღამის პეპლებს უბედურება მოაქვთო". ერთხელ, მემე აბაზანაში იყო, რომ ფერნანდა მის ოთახში შევიდა და ლამის სული დაეხუთა პეპლების გამო. აიღო რაღაც ნაჭერი დასაფრთხობლად და უცებ შეძრწუნებული შედგა: საეჭვო აღარაფერი დარჩა — იატაკზე მიმოფანტული მდოგვის საფენები და მემეს აბანოში საღამოობით ერთმანეთთან იყო დაკავშირებული. ახლა კი ფერნანდა აღარ დაელოდა ხელსაყრელ წუთებს წინანდელივით, მაშინვე მოიწვია სადილად ახალი ალკალდი, მისი მიწა-წყლის კაცი და სთხოვა, უკანა ეზოში ყარაული ჩამიყენეთ, ქათმებს მპარავენო. რამდენიმე საათის მერე კი ყარაულმა თავში ესროლა მაურისიო ბაბილონიას სწორედ მაშინ, როცა იგი

სახურავზე კრამიტს იღებდა საბანაოში ჩასახტომად, სადაც მას შიშველი და სიყვარულით ათრთოლებული მემე ელოდა მორიელებსა და პეპლებთან ერთად. ასე ელოდა და ასე ხვდებოდნენ ისინი ერთმანეთს მთელი ეს ორი თვე, მაურისიო ბაბილონიას ტყვია ხერხემალში მოხვდა და მთელი ცხოვრება საწოლს მიაჯაჭვა. იგი მოკვდა მოხუცი, მარტოობაში, ერთი საყვედურიც არ დასცდენია, არ უჩივლია, არავინ გაუცია, მოკვდა მოგონებებით დატანჯული და ყვითელი პეპლებით გულგაწყალებული, მოკვდა როგორც ქათმის ქურდი — ასე იცოდა ყველამ.

ამბავი, რომელსაც სასიკვდილო ლახვარი უნდა ჩაეცა მაკონდოსათვის, სწორედ მაშინ იკვეთებოდა ჰორიზონტზე, როდესაც მემე ბუენდიას პატარა ვაჟი მოიყვანეს სახლში. ქალაქს თავისი დარდი ჰქონდა და სხვისი ოჯახური საქმეებისთვის არა სცხელოდა. ამით ისარგებლა ფერნანდამ და განიზრახა ისე დაემალა ახალშობილი, ვითომ არც დაბადებულიყოს, რომ არ შეეძლო. არაფრით არ შეიძლებოდა, უარი არ გაუვიდოდა. არადა, მთელი ცხოვრება უნდა ეთმინა ეს ბავშვი. თავის დროზე არ ეყო გამბედაობა გულის კუნჭულში მიმალული ავი განზრახვა აესრულებინა — საბანაოს აუზში ჩაეხრჩო ჩვილი. ადგა და პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას სახელოსნოში ჩაკეტა და თან სანტა სოფია დე ლა პიედადი დაარწმუნა, მდინარეს მოჰქონდა კალათში ჩაწოლილიო. ურსულა ისე მოკვდება, ბავშვის ნამდვილ ვინაობას ვერც გაიგებს. პატარა ამარანტა ურსულამ ერთხელ სახელოსნოში შეიხედა, სადაც ფერნანდა ბავშვს აჭმევდა და დაიჯერა მცურავი კალათის ამბავი. აურელიანო მეორე საბოლოოდ დაშორდა ცოლს, არ აპატია, თავისი უგუნური საქციელით ქალიშვილს ცხოვრება რომ დაუმახინჯა, შვილიშვილის არსებობა კი მხოლოდ სამი წლის შემდეგ გაიგო, როდესაც ბიჭმა დრო იხელთა ფერნანდას იქ არყოფნაში, ტყვეობას თავი დააღწია და შუშაბანდში წუთით გამოჩნდა ენციკლოპედიებში დახატულ კაციჭამიასავით შიშველი და თმააბურძგნული.

ფერნანდა არ ელოდა, ასე სულელურად თუ გამოსდებდა ცვანტს თავისი ისედაც დამწვარი ბედ-იღბალი — ბავშვმა ოჯახში მოიტანა სირცხვილი, რომელიც, მისი აზრით, კარგა ხანია საბოლოოდ განდევნა აქედან. ჯერ კიდევ არ ჩაეყვანათ დაჭრილი მაურისიო ბაბილონია, რომ მან უკვე წვრილად მოიფიქრა სირცხვილის კვალის მოსპობა. ქმართან არც მოლაპარაკებია, მეორე დღეს შეკრა თავისი ბარგი-ბარხანა, ერთ ჩემოდანში ჩაალაგა ქალიშვილის სამი ხელი საცვალი და მატარებლის გასვლამდე ნახევარი საათით ადრე შევიდა მასთან ოთახში:

— წავედით, რენატა, — უთხრა შვილს.

ფერნანდას ახსნა-განმარტება არ დაუწყია. მემეც არ ელოდა ამ ახსნა-განმარტებას და არც სურდა, მისთვის სულ ერთი იყო, სად წაიყვანდნენ, თუნდაც დასაკლავად. იმ წუთიდან, როცა გასროლა გაიგონა უკანა ეზოში და მაურისიო ბაბილონიას სიმწრის ყვირილიც მოესმა, მემეს ერთი სიტყვაც არ დასცდენია და არც დასცდება მეტად არასოდეს. დედამ უბრძანა, ოთახიდან გამოდიო და ისიც გამოვიდა. არც თმა დაუვარცხნია და არც ხელ-პირი დაუბანია. მატარებელში მთვარეულივით ჩაჯდა, ყურადღებას არ აქცევდა ყვითელ პეპლებსაც, თავს რომ დასტრიალებდნენ. ფერნანდას ვერაფრით გაეგო, არც სურდა ეკითხა, ქვასავით მდუმარება ქალიშვილმა ჩაითქვა თუ მართლა

დამუნჯდა თავს დამტყდარი უბედურების შემდეგ. მემეს არც შეუმჩნევია, როგორ ჩაიარეს ყოფილი მოჯადოებული ადგილები, არ დაუნახავს ბანანის დაჩრდილული ხეივნები რკინიგზის ლიანდაგის გასწვრივ, არ დაუნახავს გრინგოების თეთრი სახლები და ბაღნარ-ბაღები, მზითა და მტვრით გამომშრალი, მოკლე-შარვლიანი და თეთრ-ლურჯ კოფთებში გამოწყობილი ქალები, [illegible] რომ თამაშობდნენ ვერანდაზე. არც ჯორები შეუმჩნევია, მტვრიან [illegible] დატვირთულ ხურჯინებს რომ მიათრევდნენ და არც ქალიშვილები, გამჭვირვალე მდინარეში თევზებივით რომ სხარტალებდნენ და მატარებელში მსხდომთ გულს უკლავდნენ თავიანთი დიდებული ძუძუებით. არ დაუნახავს მუშათა ჭუჭყიანი და ღარიბული ქოხმახები, რომელთაც მაურისიო ბაბილონიას ყვითელი პეპლები დაფრენდნენ თავს. ქოხმახების წინ ღამის ქოთნებზე გამხდარი მწვანე ბავშვები ისხდნენ, იქვე აყუდებულიყვნენ ორსული ქალები და ათასნაირ უკადრის სიტყვებს აყოლებდნენ ჩავლილ მატარებელს. მატარებლის ფანჯრიდან წამით ჩაქროლილი ეს სურათები დიდხანს წინათ მემესთვის ლამის დღესასწაული იყო, სკოლიდან არდადეგებზე რომ ჩადიოდა შინ. ახლა კი გაყინულ გულში ფეხს ვერც იკიდებდნენ. ფანჯარაში არც მაშინ გაუხედავს, ნესტიანი პაპანაქებით გავარვარებული პლანტაციები რომ ჩამთავრდა და ყაყაჩოების მდელოზე გავიდნენ, სადაც ჯერ კიდევ ქანაობდა დანახშირებული ესპანური ხომალდის ჩონჩხი, მერე მატარებელი გავიდა იმავე გამჭვირვალე ჰაერში, ქაფმოდებულ და ჭუჭყიან ზღვის ნაპირისკენ, სადაც თითქმის ასი წლის წინათ, დაიმსხვრა ხოსე არკადიო ბუენდიას იმედები.

საღამოს ხუთ საათზე ბოლო სადგურს მიაღწიეს და ფერნანდამ მემე გამოიყვანა მატარებლიდან. ისინი მოკალათდნენ ცხენებშებმულ ეტლში, რომელიც ღამურას ჰგავდა, უზარმაზარ ღამურას. ცხენი ასთმით დაავადებული კაცივით ქშინავდა. ასე გაიარეს მთელი სევდიანი ქალაქი. მის უსასრულო ქუჩებს, ზღვის მარილისგან დამსკდარ მიწას იგივე გამები ეფინებოდა, სიყმაწვილეში სიესტის დროს დღენიადაგ რომ უსმენდა ფერნანდა. ძველ-მველი ხომალდნაირო გემზე ავიდნენ. ჟანგმოდებული გემი პაპანაქებას ღუმელივით გახურებინა, ხის ბორბალი სახანძრო საქანავივით ღგაფუნობდა. მემე კაიუტაში ჩაიკეტა. ფერნანდა დღეში ორჯერ აჭმევდა ფეხსაცმლის ძირთან და ორჯერვე ხელუხლებელი გაჰქონდა. მემე ზორს არ აპირებდა სიკვდილს, გახსოვდეთ, რომ შიმშილით სიკვდილი ჰქონდა განზრახული, უბრალოდ, საჭმლის სუნი ეზიზღებოდა და წყალიც კი გულს ურევდა. მემეს ეგონა არ გაეგებოდა რომ მდოგვის საფენები არ უშველიდა, ისევე არ დაიჯერებდა ფერნანდაც მისი ორსულობაზე, მაგრამ მოახლოვების ვერც ერთი ვერ გაექცა. ისევე დაბნეულ კაიუტაში მდინარის ფსკერიდან ბორბლების ამოყოლილი შლამის სიმყრალე აღწევდა. ამ სიმყრალითა და გაუსაძლისი რყევით გატანჯული მემეს დღეები თვალებში ერია. უკვე რა ხანია მის თვალწინ ბორბალში მოჭყლეტილი ყვითელი პეპელა და მერეც მიხვდა, მაურისიო ბაბილონია ცოცხლებში აღარ ერია. მაგრამ ქალიშვილს აყვავებულისთვის არ უგანია, ცეროდან ულამაზესზე ფიქრებით დამძიმებული მიიწევდა ჯორზე შემჯდარი ძირაღით ბაღის ღლაბროში, სადაც მამამისი ავრელიანო მეორე თავქუდმოგლეჯილი ეძებდა ტყიდან-ნიღ ზურგზე ყველაზე ლამაზ ქალს. მემე ცხენზე და ცალკე მაურისიო ბაბილონიაზე ფიქრობდა და ინდიელთა ვიწრო ბილიკებით მთას. ჩაუყვებოდნენ მაღლა. მერე დაეშვნენ ჰორჭუში ქალაქის მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში, რომელთაც ოლდა-

თორმეტი ზარის სამგლოვიარო გუგუნი ეფინებოდა. ძველ მიგდებულ სახლში გაათიეს ღამე, ოთახი ჩრჩილებით იყო სავსე. ფერნანდამ ფიცრები დააწყო იატაკზე დასაწოლად, ფანჯრებიდან დაძონძილი, მტვრად ქცეული ფარდები ჩამოგლიჯა. მემე მიხვდა სადაც მოვიდნენ, რადგან მთელი ღამის უძინარმა დაინახა როგორ ჩაუარა შავებში მოსილმა იმ კაცმა, დიდი ხნის წინათ თუთიის ზანდუკში ჩაჭედილი რომ მოიყვანეს მაკონდოში. მეორე დღეს, წირვის დამთავრებისთანავე, ფერნანდამ მემე მიიყვანა ძალზე პირქუშ შენობასთან, რომელიც ქალიშვილმა მაშინვე იცნო, რადგან დედისგან არაერთხელ მოუსმენია იმ მონასტერზე, სადაც სადედოფლოდ ამზადებდნენ და მემეც მიხვდა, მისი მოგზაურობა დასრულდა. ვიდრე ფერნანდა ვიღაცას ესაუბრებოდა ოთახში, მემე გარეთ მისაღებში ესპანელ ეპისკოპოსთა ზეთის საღებავებით დახატულ სურათებს შესცქეროდა და სიცივით კანკალებდა, რადგან თხელი დაჩითული კაბა და ძაფის ქვიშით ამოვსებული მაღალყელიანი ფეხსაცმელი ეცვა. მემე შუა ოთახში იდგა და მაურისიო ბაბილონიაზე ფიქრობდა. მერე ოთახიდან გამოვიდა ულამაზესი მორჩილი ქალი მისი ჩემოდნით ხელში. ქალიშვილს მიუახლოვდა, ხელი გაუწოდა და უთხრა:

— წავიდეთ რენატა.

მემემ ხელი ჩაჰკიდა და უსიტყვოდ მიჰყვა. ფერნანდამ უკანასკნელად შეავლო თვალი ქალიშვილს: იგი ფეხაწყობით მისდევდა მონაზონს სულ ახლახან მიხურულ რკინის კარს მიღმა. მემე მაურისიო ბაბილონიაზე, მანქანის ზეთის სუნზე და ყვითელ პეპლებზე ფიქრობდა. ეს ფიქრი იქნება მისი განუყრელი თანამგზავრი შემოდგომის იმ შორეულ დილამდე, როდესაც იგი სიბერისაგან მოკვდება კრაკოვის პირქუშ საავადმყოფოში, მოკვდება სხვისი სახელით და მოკვდება ისე, ერთ სიტყვასაც არ დაძრავს არასდროს.

ფერნანდა მაკონდოში დაბრუნდა მატარებლით, რომელსაც რატომღაც შეიარაღებული პოლიციელები იცავდნენ. იგი გაოცებული შესცქეროდა საგზაო მაშებულ მგზავრებს, ჯარჩაყენებულ სოფლებსა და ქალაქებს, ჰაერი რაღაცის მოლოდინით გაჟღენთილიყო. ფერნანდამ ვერაფერი გაიგო, ვიდრე მაკონდოში არ ჩამოვიდა და არ უამბეს: ხოსე არკადიო მეორე გაფიცვისაკენ მოუწოდებს ბანანის კომპანიის მუშებსო. „აკლდა გვაკლდა, — თქვა ფერნანდამ. — ანარქისტი გვყოლია ოჯახში"! გაფიცვა ორი კვირის თავზე დაიწყო და ის დრამატული შედეგიც მოჰყვა, რისაც ყველას ეშინოდა. მუშები უარს აცხადებდნენ კვირა დღეებში ბანანის კრეფასა და დატვირთვაზე. მათი მოთხოვნა საკვებით სამართლიანი იყო და თვით მღვდელმა ანტონიო ისაბელმაც დაამოწმა, ღვთის კანონებს არ ეწინააღმდეგებაო. სხვა თვეებში მოწყობილი გაფიცვების დარად ამ გაფიცვის გამარჯვებამაც ჩრდილიდან ამოატივტივა ხოსე არკადიო მეორის სახელი, ვისაც მაკონდოში აქამდე იცნობდნენ, როგორც ფრანგი როსკიპი ქალების ჩამოყვანის უბადლო ოსტატს. მან ისევე ნაჩქარევად თქვა უარი ბანანის კომპანიის ზედამხედველობაზე და მიემხრო მუშებს, რა აჩქარებითა და აულაწრაფობითაც ერთ დროს გაყიდა თავისი მოჩხუბარი მამლები და გემით უგუნური მგზავრობა აირჩია. მალე იგი მონათლეს, როგორც საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ მოწყობილი საერთაშორისო შეთქმულების აგენტი. მთელი კვირის ავისმომასწავებელი ხმებით დამძიმებულ ერთ ღამეს საიდუმლო კრებიდან დაბრუნებულს ვიღაც უცნობმა ესროლა კიდეც მოფა-

რებულიდან, მაგრამ ხოსე არკადიო მეორე ასწავლულით გადაურჩა ოთხ ტყვიას. ქალაქში ისეთი დაძაბულობა ჩამოდგა, რომ უსინათლო ურსულასაც კი იგრძნო და მოეჩვენა, ის შავბნელი დრო დაბრუნდა ისევე, მისი ვაჟი აურელიანო ჯიბეში რომ იტენიდა ამბოხების ჰომეოპატიურ აბებს. უნდოდა მოელაპარაკებოდა ხოსე არკადიო მეორეს, გაეზიარებინა წარსულის მწარე გამოცდილება, მაგრამ აურელიანო მეორემ აცნობა, თავდასხმის მერე აღარავინ იცის მისი ადგილსამყოფელი.

— სულ აურელიანოს ჰგავს, — შესძახა ურსულამ. — გეგონება, ქვეყანა წრეზე დატრიალდაო.

ფერნანდას გულს არ ეკარებოდა ამ დღეთა მღელვარება. ქმართან დიდი ჩხუბის მერე მალე სულ გამოეთიშა სამყაროს. აურელიანო მეორე აღშფოთებული იყო, უმისოდ რომ გადაწყვიტეს მემეს ბედ-იღბალი, აპირებდა, პოლიციას გამოვიყვანებ და შვილს მონასტრიდან დავიხსნიო, მაგრამ ფერნანდამ მემეს ხელწერილი უჩვენა. მონაზვნის ბედს საკუთარი ნებით ვირჩევო. სინამდვილეში მემემ ამ საბუთს იმავე გულგრილად მოაწერა ხელი უკვე ურიხის მოაჯირის მიღმა, რა გულგრილადაც დედამისს წამოჰყვა აქეთ. სულის სიღრმეში აურელიანო მეორემ ისევ არ დაიჯერა ამ ხელწერილის ნამდვილობისა, როგორც მაურისიო ბაბილონიას ქათმის ქურდობა არ დაუჯერებია. მაგრამ მაშინაც და ახლაც ჩხუბითა და აყალმაყალით დაიმშვიდა სინდისი. პეტრა კოტესს დაუბრუნდა და კვლავ ხელი მიჰყო დაუსრულებელ ქეიფსა და დროსტარებას. ფერნანდას არც აფორიაქებული ქალაქისა ესმოდა რამე და არც ურსულას აშინებული წინასწარმეტყველებისა და უკანასკნელი ქანქარა ჩაამაგრა თავისი ჩანაფიქრის მექანიზმს: თავის ვაჟს ხოსე არკადიოს, რომელსაც მალე საეკლესიო წოდება უნდა მიეღო, დიდი წერილი მისწერა: შენი და რენატა ყვითელი ჭირით დაავადდა და სული განუტევაო. მერე ამარანტა ურსულა სანტა სოფია დე ლა პიედადს ჩააბარა აღსაზრდელად და კვლავ განაახლა მემეს გამო შეწყვეტილი მიმოწერა უხილავ მკურნალებთან. პირველ ყოვლისა ტელეპატიური ოპერაციის საბოლოო დღე დანიშნა, მაგრამ მკურნალებმა აცნობეს, ვიდრე მაკონდოში არეულობაა, ოპერაციის ჩატარება სახიფათოაო. ლოდინით თავგაბეზრებულმა და გარე სამყაროს მოწყვეტილმა ფერნანდამ მეორე წერილი გაუგზავნა მათ და აცნობა: მაკონდოში არავითარი არეულობა არ არის. მხოლოდ ჩემმა მაზლმა გამოიჩინა თავი პროფკავშირული სისულელეებით და ახლაც ისეთივე გადარეულია, რა გადარეულიც წინათ იყო მამლების ჩხუბისა და გემით უგუნური მგზავრობის წამოწყებისასო. ერთ ცხელ ოთხშაბათ დღეს ფერნანდა ჯერ კიდევ არ იყო შეთანხმებული მკურნალებთან, რომ ბუენდიების სახლის კარს ბებერი მონაზონი მიადგა კალათით ხელში. სანტა სოფია დე ლა პიედადმა კარი რომ გააღო, იფიქრა, ალვები გამოგვიგზავნესო და ის იყო უნდა გამოერთმია ვერცხლის მაქმანით მორთული ზეწარი, რომ დედაბერმა ცივი უარი უთხრა: ნაბრძანები მაქვს კალათი პირადად და საიდუმლოდ გადავცე დონია ფერნანდა დელ კარპიო დე ბუენდიასო. კალათში იწვა ზეწარში გახვეული მემეს ვაჟი. ფერნანდას ყოფილი სულიერი მოძღვარი წერილში იწერებოდა: ბავშვი ორი თვის წინ დაიბადა და ვინაიდან დედამისს არავითარი სურვილი არ გამოთქვა, თავს ნება მივეცით და ბაბუის სახელი — აურელიანო დავარქვითო. ფერნანდა რისხვამ შეიპყრო, ბედისწერა მასხრად მიგდებსო, მაგრამ თავი შეიკავა და მონაზონს ღიმილით უთხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვიტყვით, რომ ბულვარში ვიპოვეთ კალათიანად-თქო.

— არავინ არ დაგვიჯერებს, — შენიშნა მონაზონმა.

— თუ სახარებაში აჯერათ, — თქვა ფერნანდამ, — მაშინ მე არ უნდა დამიჯერონ.

მატარებლის გასვლამდე მონაზონი მათთან დარჩა [illegible] ერთხელაც არ უხსენებია ბავშვი, რადგან ასე ჰქონდა ნაბრძანები, ფერნანდას კი ერთი სული ჰქონდა, როდის წავიდოდა მისი შეურაცხყოფის მოწმე და სამწუხაროდ ნანობდა, ცუდი ამბების მომტანი მაცნეების ჩამოხრჩობის შუასაუკუნეების წესი რომ გადავარდა. სწორედ მაშინ გადაწყვიტა ფერნანდამ სტუმრის წასვლისთანავე ჩაეხრჩო ბავშვი აუზში, მაგრამ ვერ გაბედა და ამჯობინა მოთმინებით დალოდებოდა განგებას, უფლის უშრეტი მოწყალება მოვლენოდა და ამ ტვირთისაგან გაეთავისუფლებინა.

ახალ აურელიანოს ის იყო ერთი წელი შეუსრულდა, რომ უასრულო მღელვარება ახლა ასე აფეთქებამ შეცვალა. ხოსე არკადიო მეორე და სხვა პროფკავშირული ლიდერები იატაკქვეშეთიდან საშაბათოდ გამოვიდნენ და ბანანის კომპანიის დაბებში დემონსტრაციები მოაწყვეს. პოლიცია ხელს არ ერეოდა, მხოლოდ თვალს ადევნებდა წესრიგს. მაგრამ ორშაბათს ღამით, თავშესაფარი რომ ეგულებოდათ, საწოლებიდან წამოყარეს პროფკავშირული ხელმძღვანელები, ფეხზე ხუთკილოიანი ბორკილები დაადეს და პროვინციის დედაქალაქის ციხეში უკრეს თავი. სხვებთან ერთად დააპატიმრეს ხოსე არკადიო მეორე და მაკონდოში გადმოსახლებული მექსიკური რევოლუციის მონაწილე პოლკოვნიკი ლორენსო გავილანი, რომელიც ირწმუნებოდა, ჩემი ნათლიის არტემიო კრუსის[1] გმირულ გამარჯვებათა მოწმე ვარო. მაგრამ სამი თვეც არ იყო გასული, რომ პატიმრები გაათავისუფლეს: მთავრობა და ბანანის კომპანიის მეთაურები ვერ შეთანხმდნენ, რომელს გადაეხადა ტუსაღთა კვების საფასური. ამჯერად გაფიცულები მოითხოვდნენ კვების გაუმჯობესებას და კეთილმოწყობილ ბინებს, შრომის შემსუბუქებას. ისიც მოითხოვეს, ხელფასი ნაღდი ფულით გადაეხადათ და არა ბონებით, კომპანიის მაღაზიებში ამ ბონებით ვირჯინიის ლორის ყიდვაღა თუ შეიძლებოდა. ხოსე არკადიო მეორე [illegible] გაასწორეს ანგარიში. ამ [illegible], ამბობდა ის, ბონების სისტემა კომპანიის საკუთარ ფლოტის შენახვას, რადგან უამისოდ მოხსენებულ ხილის გემებს მაღაზიებისთვის საქონელი რომ არა, მაშინ მოუწევდათ ცარიელი დაბრუნებულიყვნენ ახალი ორლეანიდან იმ ნავსადგურამდე, საიდაც ბანანებით იტვირთებოდნენ. მუშების მოთხოვნები აგრეთვე საყოველთაოდ ცნობილი პრობლემების და [illegible] გადაჭრას ითხოვდა. კომპანიის ექიმები ავადმყოფებს არ სინჯავდნენ, [illegible] რიგში დააყენებდნენ ამბულატორიის წინ და ექთანი [illegible] თითოეულს გაურჩევლად, ჰქონდა თუ არა [illegible] მალარია, ციებ-ცხელება თუ [illegible], რომ ბავშვები კი რიგში დგებოდნენ რამდენჯერმე, აბს [illegible] და შინ მიჰქონდათ ლოტოს სათამაშოდ. მუშები მიწურულ-მიწურულ ქოხებში ცხოვრობდნენ, იმის მაგივრად, რომ ინჟინრებს [illegible] აქცევდნენ,

[1] არტემიო კრუსი — მექსიკელი მწერლის კარლოს ფუენტესის რომანის „არტემიო კრუსის სიკვდილის" მთავარი გმირი.

შობის დღესასწაულზე ასაწყობი და გადასატანი საპირფარეშოები ჩაუტანეს — თითოეული ორმოცდაათი კაცისათვის — და საჯაროდ აუხსნეს მათი გამოყენების წესი. შავ სერთუკებში მოსილი ადვოკატები, ერთ დროს პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას რომ არ აძლევდნენ საშველს, ახლა ბანანის კომპანიას ემხრობოდნენ და მუშების ყველა საჩივარი ისე მოხერხებულად დაარღვიეს, ჯადოქრობა ეგონებოდა კაცს. მუშებმა ერთხმად მიიღეს პეტიცია, მაგრამ კარგა ხანი გავიდა, ვიდრე ბანანის კომპანიას წარუდგენდნენ. ბატონმა ბრაუნმა როგორც კი ყური მოჰკრა, პეტიცია მოაქვთო, მატარებელს მიაბა თავისი დიდებული მინის სახურავიანი ვაგონი და ფირმის სხვა მეთაურებთან ერთად გაქრა მაკონდოდან, მაგრამ მუშებმა მეორე შაბათსვე იპოვეს საროსკიპოში, სადაც ერთი მეძავი ქალი წინასწარ შეითანხმეს, მახეში მიეტყუებინა მდიდარი ამერიკელი. ბატონ ბრაუნს მეტი გზა აღარ დარჩენოდა და ხელი მოუწერა მუშებს პეტიციის ერთ პირზე, მაგრამ შარლატანმა კანონის დამცველებმა სასამართლოზე თქვეს, ამ კაცს არავითარი საერთო არ ჰქონია ბანანის კომპანიასთანო, და ეჭვი რომ არავის შეჰპაროდა მათ სიტყვებში, მთავრობამ ბატონი ბრაუნი ციხეში ჩასვა როგორც თვითმარქვია. მუშებმა ბატონი ბრაუნი მაშინ შეიპყრეს, როდესაც ინკოგნიტოდ მოგზაურობდა მესამე კლასის ვაგონში და ძალით მოაწერინეს ხელი პეტიციის მეორე პირზე. იმავე დღეებში იგი სასამართლოს წინაშე წარსდგა შავად თმაშეღებილი და სუფთა ესპანურ ენაზე მოლაპარაკე. ადვოკატებმა ყველანი დაარწმუნეს, ეს კაცი ბანანის კომპანიის დირექტორი, ალაბამას შტატის ქალაქ პრატვილის მკვიდრი ბატონი ჯეკ ბრაუნი კი არა, ერთი მაკონდოელი უწყინარი ვაჭარია, სამკურნალო ბალახს ჰყიდის და სახელად დაგობერტო ფონსეკა ჰქვიაო. მუშებმა ფარ-ხმალი არ დაჰყარეს, ყოველნაირად ცდილობდნენ ჯეკ ბრაუნისავე მიეღწიათ, მაგრამ არც კანონის დამცველები ისხდნენ გულზე ხელდაკრეფილი: ქუჩებსა და საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში გამოაკრეს განცხადებები — ჯეკ ბრაუნს ცხრა ივნისს სახანძრო მანქანა დაეჯახა ჩიკაგოში და გარდაიცვალაო. განცხადებას ხელს აწერდნენ საელჩოს კონსულები და მრჩევლები. ამ წარმოუდგენელი ნაბოდვარის შემდეგ მუშებს ადგილობრივი ხელისუფლების იმედი გადაუწყდათ და უმაღლეს სასამართლო ორგანოებს მიმართეს. მაგრამ იქაც ადვოკატ-ილუზიონისტებმა დაასაბუთეს: მუშათა მოთხოვნები უკანონოა იმ უბრალო მიზეზით, რომ ბანანის კომპანიას არ ჰყავს, არც ჰყოლია და არც მომავალში ეყოლება მუშა. კომპანიას მუშა სჭირდებოდა ხანდახან და ისიც დროებით სამუშაოზე. ასე ერთბაშად გადაესვა ხაზი ვირჯინიულ ლორს, სასწაულმოქმედ აბებსა და საშობაო ფეხსადგილებს, სასამართლომ დაადგინა და დიდი ამბით გამოაცხადა, მუშები საერთოდ არ არსებობენო.

დაიწყო დიდი გაფიცვა. პლანტაციებში მუშაობა შეწყდა, ხილი ლპებოდა, ასოცდაოცვაგონიანი მატარებლები უქმად იდგნენ რკინიგზის ჩიხში. ქალაქები და სოფლები უმუშევრებით აივსო. თურქების ქუჩაზე უსასრულო შაბათი დადგა, „ხაკობის სასტუმროს“ საბილიარდოში დღედაღამ ირეოდნენ მოთამაშეები და თავიანთ რიგს ელოდნენ. იმ დღეს, როდესაც გამოაცხადეს, ჯარს ნაბრძანები აქვს ქალაქში წესრიგის აღდგენაო, ხოსე არკადიო მეორე სწორედ საბილიარდოში იყო. თუმცა ნათელმხილველისა არაფერი ეცხო, ეს განცხადება მაინც სასიკვდილო განაჩენივით მოეჩვენა, ამ საბედისწერო წუთს იგი იმ დღიდან ელოდებოდა, პოლკოვნიკმა ხერინელდო მარკესმა რომ წაიყ-

ვაბა სიკვდილით დასჯის საყურებლად. ავმა წინათგრძნობამ მაინც ვერ დაუძლია ჩვეული სიმშვიდე. ბურთულას კიი დაარტყა და გამიზნული კარამბოლი გააკეთა. ქუჩაში ატეხილმა დოლების ბრახუნმა, საყვირების გამყივანმა ხმამ, ყვირილმა და აურზაურმა ხოსე არკადიო მეორეს აცნო, რომ მისთვის მარტო ბილიარდის პარტია კი არა, სხვა უსიტყვო და მარტოობის პარტიაც დამთავრდა, საკუთარ თავს რომ ეთამაშებოდა სიკვდილით დასჯის დილიდან. ქუჩაში გავიდა და ისინიც დაინახა: სამი პოლკის სამწყობრო ნაბიჯებსა და დოლის ბრაგუნზე მიწა ზანზარებდა. ცისნათელი შუადღე ამ მრავალთავა ურჩხულის მყრალი ამონასუნთქით იყო გაჟღენთილი. ტანდაბალ, ჩაჯირკვულ და ტლანქ ჯარისკაცებს ცხენის ოფლისა და მზეზე გამომშრალი მოუქნელი ტყავის სუნი ასდიოდათ, სახეზე ეხატათ მთიელთათვის დამახასიათებელი ჯიუტობა და მიუკარებლობა. თუმცა მთელი საათი გავიდა, ვიდრე ხოსე არკადიო მეორეს წინ ჩაივლიდნენ, მაგრამ ისე ჰგავდნენ ერთმანეთს ერთი დედის ნაშობი შვილებივით, ისე გამოთაყვანებული მიაბიჯებდნენ და მიათრევდნენ ჩანთებისა და მათარების სიმძიმეს, ხიშტიანი შაშხანების სირცხვილს, ყრუ მორჩილების სნებას და ღირსების გრძნობას, რომ გეგონებოდა, ერთი და იგივე ჯარისკაცები უვლიან წრეს დაუსრულებლადო. თავის ბნელით მოცულ საწოლში ურსულამ მწყობრი ნაბიჯების ხმა რომ გაიგონა, ხელები აღმართა და თითები გადააჯვარედინა. სანტა სოფია დე ლა პიედადმა წამით შეწყვიტა უთოობა, მოქარგულ სუფრას დააშტერდა და თავის ვაჟზე ხოსე არკადიო მეორეზე გაჰკრა ფიქრმა, ის კი ამ დროს „ჯაკობის სასტუმროს" წინ იდგა და აუღელვებლად შესცქეროდა ჩავლილ მხედრიონს.

სამხედრო ვითარებისას ჯარს მშვიდობიანი შუამავლის როლი ეკისრება, მაგრამ ვის ახსოვდა მშვიდობიანობა! მაკონდოს ქუჩებში ყინჩად გავლის შემდეგ ჯარისკაცებმა შაშხანები მიაყუდეს და ბანანებს შეუდგნენ საკრეფად, ჩიხიდან მატარებლებიც გამოიყვანეს და დატვირთეს კიდეც. მაშინ კი აღშფოთდნენ მუშები და საკადრისად უზღეს შტრაიკბრეხერებს, გადაწვეს კომპანიის მაღაზიები და კარმიდამოები, გადაჭრეს სატელეფონო და სატელეგრაფო ხაზები, აჰყარეს ლიანდაგი, რათა ხელი შეეშალათ ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული მატარებლების მიმოსვლისთვის. წყალი არხებში წითლად შეიღება. ცოცხალი და სალსალამათი ბატონი ბრაუნი თავის ოჯახთან და თანამემამულეებთან ერთად საიმედო ადგილას გაიხიზნენ. ნამდვილად სასტიკი და სისხლისმღვრელი ომი წამოიწყებოდა, ხელისუფლება მოწოდებით რომ არ მიემართა მუშებისთვის, მაკონდოში მოიყარეთ თავი, მომავალ პარასკევს სამოქალაქო და სამხედრო მეთაური პროვინციიდან ჩამოვა და ყველაფერს გაარკვევსო.

პარასკევ დღეს ხალხმა დილიდანვე დაიწყო დენა სადგურისაკენ. ხოსე არკადიო მეორეც იქ იყო, წინა დღით პროფკავშირული ხელმძღვანელების თათბირზე მას და პოლკოვნიკ გავილანს დაევალათ, ხალხს შერეოდნენ და ვითარების მიხედვით ემოქმედათ. ხოსე არკადიო მეორე ვერ იყო გუნებაზე: სადგურის მოედნის გარშემო ჯარისკაცებს ტყვიამფრქვევები ჩაედგათ, რკინის მესერშემოვლებულ ქალაქს კი ქვემეხები იცავდნენ. პირში მომწკლარტო გემოს გრძნობდა. დღის თორმეტი საათისათვის მოედანი უკვე ევსო სამი ათასზე მეტ კაცს. იქ იყვნენ მუშები, ქალები, ბავშვები, ახლომახლო ქუჩებშიც. ჯარისკაცებს ტყვიამფრქვევებით რომ გადაეკეტათ, ხალხის ბრბო ირეოდა. ერთ შეხედვაზე ვინმე იფიქრებდა, დღესასწაულზე მოუყრია ხალხს თავიო, თურ-

ქების ქუჩიდან მაგიდებიც კი მოათრიეს, ზედ ფრიტანგა და სასმელები შემოდგეს და მატარებლის მოლოდინით გაბეზრებულები მზეზე იხუხებოდნენ. სამი საათი არ შესრულებულიყო, რომ ხმა გავარდა: მთავრობის მატარებელი ხვალ ჩამოვაო — მთელ მოედანს დაღლილობისა და უიმედობის ოხვრა მოედო. ვიღაც ლეიტენანტი სადგურის შენობის სახურავზე აძვრა და ყველას სიჩუმისაკენ მოუწოდა. სახურავზე ხალხისკენ მომართული ოთხი ტყვიამფრქვევი იდგა. ხოსე არკადიო მეორის გვერდით ვიღაც მსუქან ქალს ორი ბავშვი ახლდა. ოთხი და შვიდი წლისა თუ იქნებოდნენ. ქალმა პატარა თვითონ აიყვანა ხელში, ხოლო უფროსის ატატება მისთვის უცნობ ხოსე არკადიო მეორეს სთხოვა, უკეთ გაიგონებსო ნათქვამს. ხოსე არკადიო მეორემ ბავშვი მხრებზე შეისვა. გავა რამდენიმე წელიწადი და ეს ბიჭი ყველას უამბობს, — საკუთარი ყურით მომისმენია, ლეიტენანტი რუპორში როგორ კითხულობდა პროვინციის სამოქალაქო და სამხედრო მმართველის ნომერ ოთხ ბრძანებასო, — მაგრამ არავინ დაუჯერებს. ბრძანებას ხელს აწერდნენ გენერალი კარლოს კორტეს ვარგასი და მისი მდივანი ენრიკე გარსია ისაზა. ოთხმოც სიტყვიან, სამ პარაგრაფად დაყოფილ ბრძანებაში გაფიცულები „დამნაშავეთა ბანდად“ იყო მოხსენიებული და ჯარს ნება ეძლეოდა მათთვის დაუზოგავად დაეშინა ტყვია.

ხალხს უკმაყოფილების ქუხილმა გადაუარა, მაგრამ ახლა ლეიტენანტი ვიღაც კაპიტანმა შეცვალა და რუპორის ქნევით ხალხს ანიშნა, ლაპარაკი მაცალეთო. მოედანი ჩაჩუმდა.

— ბატონებო და ქალბატონებო, — მიმართა კაპიტანმა წყნარად და დაღლილმა, — გაძლევთ ხუთი წუთის ვადას, დაიშალეთ.

სტვენამ და შეძახილებმა დაფარეს ხუთწუთიანი ვადის დაწყების აღმნიშვნელი საყვირის ხმა. ფეხი არავის მოუცვლია.

— ხუთი წუთი გავიდა, — თქვა კაპიტანმა იმავე კილოზე, — კიდევ ერთი წუთი და ცეცხლს დაგიშენთ.

ხოსე არკადიო მეორეს ყინულივით ცივმა ოფლმა დაასხა, ბავშვი მხრებიდან ჩამოისვა და დედამისს გადასცა. „ეს ოხრები ყველაფერს იკადრებენ, გვესვრიან“, — ჩაიჩურჩულა ქალმა. ხოსე არკადიო მეორეს ის იყო რაღაც უნდა ეპასუხნა ქალისათვის, რომ იმავე წუთში პოლკოვნიკ გავილანის ხრინწიანი ხმაც მოესმა: გამოძახილივით გაიმეორა ქალის სიტყვები. საოცრად ღრმა და დაძაბული დუმილით შეპყრობილი ხოსე არკადიო მეორე დარწმუნებული იყო, ვერავითარი ძალა ვერ შეძლებდა, სიკვდილის პირისპირ გარინდული ხალხი დაეძრა ადგილიდან, ფეხის წვერებზე აიწია და თავის ცხოვრებაში პირველად შესძახა ხმამაღლა:

— არამზადებო, გვიჩუქნია თქვენთვის ეგ ერთი წუთი!

ამ სიტყვებზე მოხდა ის, რამაც ხოსე არკადიო მეორეს შიში კი არ მოჰგვარა, მოეჩვენა, რაღაც დაუჯერებელი, არარეალური ხდებაო. კაპიტანმა ბრძანება გასცა, ცეცხლიო და იმავე წამს აალაპარაკდა თოთხმეტი ტყვიამფრქვევი და მაინც ყველაფერი ფარსს ჰგავდა: ტყვიამფრქვევებს თავისებური გამაყრუებელი კაკანი ახრჩობდათ, გაშმაგებული იფურთხებოდნენ ცეცხლს, მაგრამ გეგონებოდა, ცარიელ ვაზნებს ისვრიანო: მჭიდროდ შეკრულ ბრბოს ერთი ყვირილი, ერთი ამოოხვრაც კი არ დასცდენია, თითქოს გაქვავებულებს ტყვია ვერაფერს აკლებდათ. და უცებ მოჯადოებული დუმილი გაარღვია სადგურის მხრიდან წამოსულმა სასიკვდილოდ დაჭრილის ყვირილმა: აიი, დედაო! თითქოს ვულ-

კანმა იფეთქა, ლმუილით შეირხა შუაგული ბრბო და ერთ წამში მთელს მოედანს მოედო ნიაღვარივით. ხოსე არკადიო მეორემ ძლივს მოასწრო ბიჭისათვის ხელი ჩაევლო, რომ დედამისი მეორე ბავშვიანად დაფეთებული ხალხის ტალღამ გარიყა.

გუველოს ლილი ხახი და ბიჭი ყველაფერს მოჰყვება, მაგრამ მეზობლები „შერეკილ მოხუცს" არაფერს დაუჯერებენ. იგი მოჰყვება, როგორ აიტაცა ძალლა ხოსე არკადიო მეორემ პატარა ბიჭი, ჰაერში გამოკიდებულივით როგორ მიცურავდა დაფეთებულ ხალხის თავზე და როგორ მიჰყვა ხალხისავე ნიაღვარს [illegible] მომიჯნავე ერთ-ერთი ქუჩისაკენ. აზვირთებული ტალღის თავზე მოქანავე ბიჭმა დაინახა, ქუჩის კუთხეში მდგარი ტყვიამფრქვევიდან როგორ გამოვარდა ცეცხლი. ერთდროულად გაისმა რამდენიმე ხმა:

დაწექით! დაწექით.

ტყვიამფრქვევის ჯერით მოცელილი წინა რიგები მიწას დაასკდნენ. ვინც ცოცხალი გადარჩა, იმის ნაცვლად, რომ გაწოლილიყო, კვლავ მოედნისაკენ გაიქცა. შიშმა და არეულობამ კუდი მოიქნია ურჩხულივით და ხალხის ერთი ტალღა მიაგდო მოპირდაპირე ქუჩიდან ნიაღვარივით წამოსულ მეორე ტალღასთან, რომელსაც ურჩხულის კუდმა კიდევ ერთ მოქნევაზე გამოდევნა ტყვიამფრქვევების კაკანით. საჩიხში გამომწყვდეული პირიქტყვივით ბრუნავდა ხალხის უზარმაზარი მორევი. გაუმაძღარი ტყვიამფრქვევის ცეცხლის მაკრატელი მორევს ნელ-ნელა აკვეცდა კიდეებს, თითქოს ხახვს ფცქვნიანო, — და ბირთვად შეკრული ხალხის შუაგულისაკენ მიიწევდა. ბიჭმა დედა დაინახა, მოშიშვლებულ ადგილას დაჩოქილიყო გულზე ხელებგადაჯვარედინებული და რაღაც სასწაულით ტყვია არ ეკარებოდა. ხოსე არკადიო მეორემ სწორედ იქით მიაგდო ბავშვი და ვიდრე ადამიანთა უზარმაზარი ტალღა გადმოხეთქავდა და წალეკავდა იმ მოშიშვლებულ ადგილს, მუხლმოყრილ ქალს, მხურვალე მაღალ ცის ნათელსა და მთელს ამ საზიზღარ ამქვეყანას, სადაც ურსულა იგუარანს უამრავი შაქარყინულის ცხოველი ჰქონდა გაყიდული, გასისხლიანებული სახით დაეცა მიწას.

გონს რომ მოვიდა, სიბნელეში იწვა პირაღმა. მიხვდა, რომელიღაც უსასრულოდ გრძელსა და უხმაურო მატარებლით მიდიოდა სადღაც. თავზე გამხმარი სისხლის რკალი უჭერდა. ძვლები ტეხდა. ეძინებოდა. გულიანად გამოეძინა იქ, ყოველგვარ უბედურებასა და საშინელებას მოშორებულ ადგილას. ცალი მხარე ნაკლებ ტკიოდა, მოინაცვლა და მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ გვამებზე იწვა. მთელი ვაგონი გვამებით იყო სავსე. მხოლოდ შუა ადგილას დაეტოვებინათ გასასვლელი. ეტყობა, რამდენიმე საათი იყო გასული იმ საბედისწერო ჟლეტიდან, რადგან მიცვალებულები იგივე ტემპერატურისა იყვნენ, როგორიც თაბაშირი შემოდგომაზე და თაბაშირივით, ისინიც გაქვავებულ ქაფს ჰგავდნენ. გვამების მზიდველებსაც ხომ დრო სჭირდებოდათ, რათა მერე ბანანის მტევნებივით დაეწყოთ! ამ საშინელებისაგან რომ თავი დაეღწია, ხოსე არკადიო მეორემ ძალა მოიკრიბა და გახოხდა. ვაგონიდან ვაგონში მიიწევდა ხოხვით, ძილში ჩაძირულ ქალაქებთან გავლისას ვაგონის ჭუჭრუტანებში შემოჭრილ სინათლის მკრთალ შუქზე ხედავდა დახოცილ კაცებს, დახოცილ ქალებს, დახოცილ ბავშვებს, რომლებიც ზღვაში გადასაყრელად მიჰქონდათ დაწუნებული ბანანივით. მხოლოდ ორი გვამი შეიცნო: მოედანზე ლიმონათით მოვაჭრე ქალისა და პოლკოვნიკ გავილანისა. პოლკოვნიკს ხელში ჩაებღუჯა ვერცხ-

ლის მალთიანი მექანიკური ქამარი, რითაც დაფეთებულ ხალხში გზის გაკაფვას ლამობდა. როგორც იქნა, პირველ ვაგონს მიაღწია ხოხვით, ძალა მოიკრიბა და სიბნელეში გადახტა. მატარებლის ჩავლამდე იოხში იწვა. ეს იყო ყველაზე გრძელი მატარებელი, რაც კი ხოსე არკადიო მეორეს ენახა თავის ცხოვრებაში. ორასამდე ვაგონს სამი ორთქლმავალი ება თავში, შუაში და ბოლოში. მატარებელს არც ერთი შუქნიშანი არ ჰქონდა, არც წითელი, არც მწვანე, წითელ-ლი, უხმაუროდ და ელვისებურად მისრიალებდა ლიანდაგზე. სახურავებზე შავად ჩანდა ჯარისკაცების და ტყვიამფრქვევების ჩრდილები.

შუაღამისას კოკისპირულად გაწვიმდა. ხოსე არკადიო მეორე ამ მხარეში არასოდეს ყოფილა, მაგრამ ერთი რამ კი კარგად იცოდა, თუ მატარებლის საწინააღმდეგო გზას დაადგებოდა, კვლავ მაკონდოში ჩავიდოდა. სამი საათის სიარულის შემდეგ ერთიანად გალუმპულმა და თავის ტკივილით შეწუხებულმა კაცმა განთიადის მკრთალ ბინდბუნდში სახლები გაარჩია. ერთ-ერთი სახლიდან ყავის სურნელი გამოდიოდა, ხოსე არკადიო მეორემ სწორედ იქით გასწია და შევიდა კიდეც სამზარეულოში, სადაც ვიღაც ქალი ბავშვით ხელში ცეცხლისაკენ დახრილიყო.

— გამარჯობათ, — თქვა ძალაგამოცლილმა კაცმა. — მე ხოსე არკადიო მეორე ბუენდია ვარ.

მან იგი გარკვევით და დამარცვლით წარმოთქვა საკუთარი სახელი და გვარი, თითქოს თავად სურდა დარწმუნებულიყო, ცოცხალი ვარო. სწორედაც მოიქცა: რადგან გასისხლიანებული სიკვდილის ზღვით დაღდასმული, პირქუში და ალალმართალი კაცის დანახვაზე ქალი შიშმა შეიპყრო, ნამდვილად მოჩვენება გამომეცხადაო. მერე იცნო ხოსე არკადიო მეორე, სწრაფად გააძრობინა ტანსაცმელი, საბანი შემოახვია მხრებზე, წყალი გაუთბო და ჭრილობა მობანა — კანი ჰქონდა მხოლოდ გადაყვლეფილი — სუფთა ნაჭრით შეუხვია და, როგორც ამბობდა, ბუენდიებს უშაქრო ყავა უყვართო, ჭიქაც ასე დაალევინა.

ხოსე არკადიო მეორეს სიტყვა არ უთქვამს, ვიდრე ყავა არ დალია:

— იქ ალბათ სამი ათასი მაინც იქნებოდა, — ჩაიჩურჩულა მან.

— რაზე ამბობთ?

— მკვდრებზე, — აუხსნა ქალს. — ალბათ ყველანი იყვნენ, ვინც კი სადგურზე მოვიდა.

ქალმა სიბრალულით შეხედა. «აქ არავინ მომკვდარა», — თქვა მან. — შენი ბიძიკაცის, პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას მერე მაკონდოში არც არაფერი მომხდარა». ვიდრე ხოსე არკადიო ბუენდია თავის სახლს მიაღწევდა, [illegible] სამჯერ მოუწია სხვის სახლის კარზე დაეკაკუნებინა, და ყველგან ერთსა და იმავეს უპასუხებდნენ: აქ არავინ მომკვდარაო. სადგურის მოედანთან ჩაიარა, ერთი-ერთმანეთზე დაწყობილი მაგიდები კი დაინახა, მაგრამ ხოცვა-ჟლეტის კვალს ვერსად მოჰკრა თვალი. კვლავ კოკისპირულად წვიმდა. ქუჩებში კაცის ჭაჭანება არ იყო. კარებ დაგმანული სახლები უსიცოცხლო ჩანდა. ერთადერთი ნიშანწყალი იმისა, რომ ქალაქში ხალხი ცხოვრობდა, ზარების გუგუნი იყო, წირვაზე რომ მოუწოდებდა მაკონდოელებს. ხოსე არკადიო მეორემ პოლკოვნიკ გერინელდო მარკესის სახლის კარზე დააკაკუნა. ფეხმძიმე ქალმა ზედ ცხვირწინ მოუხურა კარი: „წავიდა, — სწრაფად უთხრა შეშინებულმა. — სამშობლოში დაბრუნდა“. „იაკობის“ მთავარ შესასვლელთან ორი აქაური პოლიციელი იდგა. საწვიმარი ლაბადები მოესხათ და მუზარადები ჩამოე-

ფხატით თავზე, წვიმაში მდგარ ქანდაკებებს ჰგავდნენ. განაპირა ქუჩაზე ანტილელი ზანგები ჰიმნებს მღეროდნენ. ხოსე არკადიო მეორე ღობეზე გადახტა და ბუენდიების სახლის სამზარეულოში შეძვრა. სანტა სოფია დე ლა პიედადმა ჩუმად უთხრა: „ფეხზე ნუ დგები, არ დაგინახონ“. თითქოს საიდუმლო დავალებას ასრულებსო, სანტა სოფია დე ლა პიედადმა ღამის ქოთნების ოთახში დამალა. მელკიადესის ოთახში საწოლი გაუწყო. ღამის ორ საათზე, როდესაც ოჯახიანად დასასვენებლად დაწვა, სამზარეულოდან საჭმელი მიაწოდა.

აურელიანო მეორე სახლში ათევდა ღამეს, რადგან წვიმამ მოუსწრო და გადაღებას ელოდებოდა. სანტა სოფია დე ლა პიედადმა საიდუმლოდ გაანდო ძმის მოსვლა და ისიც მაშინვე გაეშურა მელკიადესის ოთახისაკენ. ხოსე არკადიო მეორემ მასაც უამბო სადგურის მოედანზე დატრიალებული ამბავი, ხოცვა-ჟლეტასა და ზღვისკენ მიმავალ გვამებით სავსე მატარებელზე, მაგრამ აურელიანო მეორემ არც ერთი არ დაიჯერა. წინა საღამოს მაკონდოში გამოაქვეყნეს მთავრობის საგანგებო განცხადება, რომელიც იუწყებოდა: სადგურის მოედანზე თავმოყრილი მუშები დაემორჩილნენ ბრძანებას და მშვიდობიანად დაიშალნენო. განცხადებაში ნათქვამი იყო აგრეთვე, რომ პროფკავშირის მაღალი პატრიოტული სულისკვეთებით აღსავსე ხელმძღვანელობამ მხოლოდ ორი მოთხოვნა წამოაყენა: სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება და ქოხებისათვის ფეხსალაგების მიშენება. მოგვიანებით აურელიანო მეორემ ისიც მოჰკრა ყური, რომ სამხედრო ხელისუფლებამ მუშებთან საქმე რომ მოაგვარა, ბატონ ბრაუნს სასწრაფოდ აცნობა ეს ამბავი და ისიც არა მარტო დაეთანხმა, ახალ მოთხოვნებს უსათუოდ დავაკმაყოფილებთო, არამედ განიზრახა, შეთანხმების აღსანიშნავად კომპანიის ხარჯზე მოეწყო სამდღიანი სახალხო დღესასწაული. მაგრამ როდესაც სამხედრო ხელისუფლებამ ჰკითხა, მუშების მოთხოვნებს ხელს როდის მოაწერთო, მან ფანჯარაში გახედა ელვით განათებულ ცას და სრულიად გაურკვეველი და გაუგებარი რამ თქვა:

— გამოიდარებს და... ვიდრე წვიმა არ გადაიღებს, ვწყვეტთ ყოველგვარ საქმიანობას.

მთელი სამი თვე არ უწვიმია, მშრალი ამინდი იდგა. მაგრამ როგორც კი ბატონმა ბრაუნმა ეს თქვა, მაშინვე მთელ ზონას კოკისპირული წვიმა დაატყდა. სწორედ ამ წვიმამ მოუსწრო ხოსე არკადიო მეორეს მაკონდოში დაბრუნებისას. კიდევ ერთ კვირას გაგრძელდა წვიმა. მთავრობა გაზეთებში და ბრძანებებში ერთსა და იმავეს იმდენჯერ იმეორებდა და ტვინს უჭყლეტდა მოსახლეობას, რომ ბოლოს და ბოლოს ყველამ დაიჯერა: სადგურის მოედანზე არავინ მოუკლავთ, მუშები კმაყოფილნი დაუბრუნდნენ ოჯახებს. ბანანის კომპანიამ წვიმების გადაღებამდე შეაჩერა მუშაობა. სამხედრო წესები ქალაქში ყოველი შემთხვევისთვის დატოვეს, ვაითუ კოკისპირულმა წვიმამ რამე უბედურება დაატრიალოს და საგანგებო ზომების მიღება გახდეს საჭიროო. მაგრამ ჯარები ყაზარმებში დააბინავეს. დღისით მუხლებამდე შარვალაკეცილი ჯარისკაცები დატბორილ ქუჩებში დაიბორიალებდნენ და ბავშვებთან ერთად წყალში უშვებდნენ პატარა ხომალდებს. ღამით, კომენდანტის საათის შემდეგ, კონდახებით ამტვრევდნენ კარებს, ძალით აღვიძებდნენ ეჭვმიტანილებს და მიჰყავდათ იქით, საიდანაც აღარავინ ბრუნდება. გრძელდებოდა დევნა, ძებნა და ხოცვა დამნაშავეებისა, მკვლელებისა, მეამბოხეებისა და ნომერი ოთხი ბრძანების

დამრღვევებისა, მაგრამ სამხედროები კვლავ იკატუნებდნენ თავს დაზოცილთა ნათესავ-ახლობლების წინაშე, რომლებსაც აქეთ-იქით ეხეტებოდნენ ოფიცრების ოთახი. „ნამდვილად დაგესიზმრათ, — არწმუნებდა მათ ოფიცრები, — მაკონდოში ასეთი არაფერი მომხდარა, არც ხდება და არც მოხდება. ეს ბედნიერი ქალაქია". ასე ამოხოცეს პროფკავშირთა მოთავეები.

მხოლოდ ხოსე არკადიო მეორე გადარჩა. ერთხელ ღამით კარზე ბრახუნი ატყდა. სახლში ყველა მიხვდა ბრახუნზე, ვინც მოუთმენლად ელოდა. ამ დროს კარი აურელიანო მეორემ გააღო. იგი კვლავ წვიმის გადაღებას ელოდა და სახლიდან ვეღარ გასულიყო. კართან წვიმაში ერთიანად გალუმპული ექვსი ჯარისკაცი და ერთი ოფიცერი იდგა. მათ უსიტყვოდ გაჩხრიკეს სახლი, ოთახიდან ოთახში დადიოდნენ, კარადებში იხედებოდნენ, საკუჭნაოც არ გამოუტოვებიათ. ურსულას გაეღვიძა, როდესაც მის ოთახში შუქი აანთეს, და ვიდრე ჩხრეკდნენ, სუნთქვაშეკრული ჯვარს სახავდა თითებით და იქითკენ მიუშვერდა ხოლმე, საითაც ჯარისკაცები ეტყოდნენ. სანტა სოფია დე ლა პიედადმა როგორღაც მოახერხა ხოსე არკადიო მეორე გაეფრთხილებინა მელკიადესის ოთახში. იგი მაშინვე მიხვდა, გაქცევას ვერ მოასწრებდა. სანტა სოფია დე ლა პიედადმა კვლავ ჩაკეტა კარი, ხოსე არკადიო მეორემ კი პერანგი და ფეხსაცმელი ჩაიცვა და საწოლზე ჩამოჯდა მოლოდინად ქვეული. ისინი ამ დროს საოქრომჭედლოს ჩხრეკდნენ. ოფიცერმა ბრძანა, ეს კარიც გააღეთო. შერე ოთახში სწრაფად მოატარა ხელის ფარანი. დაინახა სამუშაო მაგიდა, თაროები, თავსახურიანი შუშები, ხელსაწყოები და მიხვდა, ამ ოთახში არავინ ცხოვრობდა. მაგრამ მაინც გამომცდელად ჰკითხა აურელიანო მეორეს, შენ ხომ არა ხარ ოქრომჭედელიო. აურელიანო მეორემ აუხსნა, ეს სახელოსნო პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიასი იყოო. „ძალიან კარგი", — თქვა ოფიცერმა, შუქი აანთო და ბრძანა კარგად გაეჩხრიკათ იქაურობა. ჩხრეკისას თუნუქის კოლოფში იპოვეს თვრამეტი ოქროს თევზი, რის გადადნობაც ვერ მოესწრო პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას. ოფიცერმა თევზები მაგიდაზე გადმოყარა, გულდაგულ დააცქერდა სათითაოდ, სიმკაცრე სადღაც გაუქრა და მის ნაცვლად ათობა და მომხიბვლელობა დაელვარა სახეზე. „თუ შეიძლება, ერთს ავიღებ, — თქვა მან. — თავის დროზე ეს თევზი მეამბოხეთა ნიშანი იყო, ახლა კი რელიკვიაა". ოფიცერი მთლად ახალგაზრდა, თითქმის ბავშვი იყო, მაგრამ მეტისმეტად ღირსეულად და დაჯერებულად ეჭირა თავი. აურელიანო მეორემ აჩუქა ოქროს თევზი და ოფიცერსაც ბავშვივით გაუბრწყინდა თვალები, ნაჩუქარი თევზი ჯიბეში ჩაიდო, დანარჩენი ისევ ქილაში ჩაყარა და თავის ადგილზე დადო.

— ეს თევზი ფვირფასზე ძვირფასი საჩუქარია, — თქვა მან. — პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია დიდი ადამიანი იყო.

მაგრამ ამ ადამიანურ გამონათებას სულაც არ შეუშლია მისთვის ხელი, სამსახურებრივი მოვალეობა აღესრულებინა. მელკიადესის ოთახის კართან სანტა სოფია დე ლა პიედადმა ბოლო ეშმაკობაც მოიშველია. „ამ ოთახში უკვე ასი წელიწადია, არავინ ცხოვრობს", — თქვა მან. ოფიცერმა მაინც გააღებინა კარი, ანთებული ფარანი მოატარა და აურელიანო მეორემ და სანტა სოფია დე ლა პიედადმა დაინახეს ხოსე არკადიოს არაბული თვალები სწორედ იმ წუთას, ფარნის შუქმა რომ გაიარა მის სახეზე. დედა-შვილი მიხვდა, ეს იყო დასასრული ერთი შიშისა და დასაწყისი მეორისა, რასაც აღარაფერი ეშველებოდა მორჩილების გარდა. მაგრამ ოფიცერი არ შეჩერებულა, კვლავ მოა-

ტარა ოთახში ფარანი და სამოცდათორმეტ ღამის ქოთანს რომ მოჰკრა თვალი, მხოლოდ მაშინ აანთებინა ოთახში შუქი. ხოსე არკადიო მეორეს არასოდეს ჰყოფილა ასეთი დიდებული შესახედავი. ჩაფიქრებული დიდის ამბით ჩამომჯდარიყო საწოლის კიდეზე და მზად იყო პირველსავე თქმაზე გაჰყოლოდა ჯარისკაცებს. მის უკან თაროებზე ყდაგაცვეთილი წიგნები და დაგრაგნილი პერგამენტები ეწყო. საგულდაგულოდ მილაგებულ სამუშაო მაგიდაზე ყველა სამელნე იდგა. ოთახში სუფთა და გამჭვირვალე ჰაერი იდგა. აქაურობას მტვერი და სიძველე არ ეკარებოდა, ისეთი ახსოვდა ეს ოთახი აურელიანო მეორეს ბავშვობიდან. მხოლოდ ერთს, პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას არ ჰქონდა ამის შემჩნევის უნარი. ოფიცერს ღამის ქოთნებისთვის ვერ მოეცილებინა თვალი.

— რამდენი სული ხართ ოჯახში? — იკითხა მან.

— ხუთი.

გაოგნებული ოფიცერი იმ ადგილს მიაჩერდა, სადაც აურელიანო მეორე და სანტა სოფია დე ლა პიედადი ხოსე არკადიო მეორეს შესცქეროდნენ. ახლა თვითონ ხოსე არკადიო მეორემაც შეამჩნია, ოფიცერი მისკენ იყურებოდა, მაგრამ ვერ ხედავდა. მერე ოფიცერმა შუქი ჩააქრო. კარი მიხურა და ჯარისკაცებს რომ გამოელაპარაკა, აურელიანო მეორე სწორედ მაშინ მიხვდა, ყმაწვილმა ოფიცერმა მელკიადესის ოთახს პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას თვალებით შეხედა.

— ამ ოთახში, ეტყობა, მართლაც არავინ შესულა ასი წელიწადია, — უთხრა ოფიცერმა თავის ჯარისკაცებს. — აქ ალბათ გველებიც ბუდობენ.

კარი რომ დაიკეტა, ხოსე არკადიომ უკვე იცოდა, მისი ომი დამთავრებული იყო. მრავალი წლის წინათ პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია უამბობდა ომის მომხიბვლავ ძალაზე და არაერთი საკუთარი მაგალითითაც ცდილობდა მის დარწმუნებას. ხოსე არკადიო მეორემ დაუჯერა. იმ ღამეს ოფიცერი რომ უყურებდა, მაგრამ ვერ ხედავდა, ხოსე არკადიო მეორეს თვალწინ გაიელვა ბოლო თვეების დაძაბულობამ, ციხეებმა, სადგურის მოედანზე მომხდარმა არეულობამ, გვამებით დატვირთულმა მატარებელმა და საბოლოოდ იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია ან თაღლითი იყო, ან შერეკილი. ხოსე არკადიო მეორეს ვერაფრით გაეგო, რა საჭირო იყო ამდენი ლაპარაკი ომში განცდილ საკუთარ გრძნობებზე, როცა ამის გადმოსაცემად ერთი სიტყვაც კმარა: შიში. მელკიადესის ოთახში მას იცავდა ჯადოქრული შუქი, წვიმის ხმაური და რწმენა საკუთარი უხილაობისა და ამით დაიმედებულმა მოიპოვა ის სიმშვიდე, სიცოცხლეში რომ არ ღირსებია არასოდეს, მხოლოდ იმის შიში გაჰკრავდა ხოლმე, ცოცხლად არ დამმარხონო. დედას — სანტა სოფია დე ლა პიედადს გაანდო თავისი შიში და ისიც შეჰპირდა, ვიდრე სული მიდგას, შენს თავს ცოცხლად არავის დავამარხვინებო. მაშინ შიშის ნატამალიც აღარ დარჩა ხოსე არკადიოს გულში და მელკიადესის პერგამენტებს ჩაუჯდა, რაც უფრო ვერ იგებდა ნაწერს, მით უფრო მეტის გულისხმიერებით ჩაჰკირკიტებდა მათ. ისე მიეჩვია წვიმის ხმაურს, რომ ორი თვის მერე თავისებურ სიჩუმედ იქცა მისთვის, მარტოობას მხოლოდ სანტა სოფია დე ლა პიედადი თუ დაურღვევდა ხოლმე საჭმლის მიტანისას. დედას სთხოვა, სარკმლის რაფაზე შემოდგი საჭმელი, კარზე კი ბოქლომი დაადეო. ოჯახის სხვა წევრებმა დაივიწყეს ხოსე არკადიო მეორე, ფერნანდამ კი, რომ გაიგო, ოფიცერ-

მა ოთახში წაასწრით, შესცქეროდა, მაგრამ ვერ ხედავდით, მაზლს ნება დართო, ამ სახლში ეცხოვრა. ექვსი თვის მალვის მერე, როდესაც ჯარებმა დატოვეს მაკონდო, ლაპარაკის საღერღელაშლილმა აურელიანო მეორემ, წვიმის გადაღებას რომ უცდიდა თავის სახლში, ბოქლომი გაალო და ოთახში შევიდა. ხეირიანად არც კი იყო შესული, რომ ცხვირში ეძგერა ღამის ქოთნების ამყრალე, თითქმის ყველა ქოთანი იატაკზე იდგა და თითქმის [illegible]ყენებინა ხოსე არკადიო მეორეს დანიშნულების მიხედვით. გა[illegible] ხოსე არკადიო მეორე თვითონ ვერ გრძნობდა ამ გულისამრევ, ჰაერის მომწამვლელ სუნს, გაუგებარ პერგამენტებს ჩაჰკირკიტებდა და რაღაცნაირი ციური შუქნათელი ადგა თავზე. კარის ჭრიალზე თვალი მოაშორა მაგიდას და წამშივე პერგამენტებს დაუბრუნდა, მაგრამ ოთახში შესული ამისთვის ეს წამიერი ამოხედვაც საკმარისი იყო, რათა მის თვალებში დიდი პაპის წილხვედრი ამოეკითხა.

— სამი ათასზე მეტი იქნებოდა, — აი ის, რაც თქვა ხოსე არკადიო მეორემ. — ახლა ნამდვილად მჯერა, რომ ვინც სადგურზე მოვიდა, მერე ყველანი იქ იყვნენ.

ოთხი წელიწადი, თერთმეტი თვე და ორი დღე წვიმდა. დროდადრო იკლებდა და მაშინ მაკონდოელები მალე გამოდარების იმედით საგარეოდ ეწყობოდნენ. სახეზე ახლად გამოკეთებული ადამიანის უშფოთველი ღიმილი ეხატათ ხოლმე, მაგრამ სულ მალე დარწმუნდნენ, ყოველი ასეთი წამიერი გამოდარება შემდეგ წვიმა ახალი ძალით უშხაპუნებდა მიწას. ცა გრგვინვამ გახლიჩა, მაკონდოს გრიგალი დაატყდა ჩრდილოეთიდან, სახლებს სახურავები წაართო და დაანგრია, ძირიანად ამოთხარა პლანტაციებში აქა-იქ შერჩენილი ბანანის ხეები. მაგრამ უძილობის ხანისა არ იყოს, — ურსულა ხშირად რომ იგონებდა იმ დღეებში, — ახლაც თვითონ უამინდობა კარნახობდა თავისსავე გაჩენილ მოწყენილობის წამალს. აურელიანო მეორე ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც მტკიცედ აღუდგა წინ უსაქმურობას. ბატონ ბრაუნის შეახებულმა წვიმამ მას საკუთარ სახლში მიუსწრო, წუთით შეირბინა რაღაც სულ პატარა საქმეზე და წვიმაც დაიწყო. ფერნანდამ კედლის კარადაში მიგდებული თავისი ძველი ქოლგა შესთავაზა ქმარს. „არ მინდა, — უთხრა აურელიანო მეორემ, — აქ დავრჩები წვიმის გადაღებამდე". რა თქმა უნდა, ეს სიტყვები ერთგულების ფიცს არ ნიშნავდა, მაგრამ აურელიანო მეორემ მტკიცედ გადაწყვიტა, ცოლისთვის ოდესღაც მიცემული სიტყვა პატიოსნად შეესრულებინა. საცვლები პეტრა კოტესთან დარჩა და ყოველ სამ დღეში ნიფხვის ამარას უწევდა ლოდინი, როდის გაურეცხავდნენ და გაუშრობდნენ. მოწყენილობა რომ გაეფანტა, განიზრახა რაღაც-რაღაცები ეკეთებინა სახლში: კარის ანჯამები შეუცვალა, საკლიტულები დაზეთა, მოშვებული ჭანჭიკები დაამაგრა და ურდულები გაასწორა. რამდენიმე თვე ასე ბოდიალობდა სახლში. ძალიან გამოადგა ხელსაწყოები, ბოშებმა ხოსე არკადიო ბუენდიას რომ დაუტოვეს ჯერ კიდევ უხსოვარ დროში. არავინ იცოდა, შრომის ბრალი იყო, საშინელი მოწყენილობისა თუ იძულებითი თავშეკავებისა, აურელიანო მეორეს ცარიელი ტიკივით მოქმჩვარა მუცელი, უზარმაზარ კუს სახეზე ახლა ჭარხლის ფერი ნელ-ნელა ეცლებოდა და ღაბაბიც სადღაც უქრებოდა. ბოლოს ისე დაყარა ხორცი, რომ თვითონ იკრავდა ფეხსაცმლის ზონარს. ფერნანდა ხედავდა, რა საგულდაგულოდ ამაგრებდა საკლიტულებსა და კედლის საათს აურელიანო

მეორე და ეჭვმა გაჰკრა გულში: ჩემი ქმარი ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდა და მგონი, იგივე დაემართა, რაც პოლკოვნიკ აურელიანოს სჭირდა, თავის ოქროს თევზებს რომ ადნობდა წარამარა, ამარანტაც ასე იყო, სუდარას რომ იქსოვდა, ღილებს აკერებდა და აგლეჯდა უსასრულოდ; ახლაც ასე არა სჭირს პერგამენტებში ჩაკირკიტებულ ხოსე არკადიოსა და თავის მოგონებებში ჩაძირულ ურსულასაც? მაგრამ ფერნანდა ცდებოდა, უბრალოდ, ყველაფერი წვიმის ბრალი იყო: საათის მექანიზმი ამ დღეში ერთხელ მაინც რომ არ დაეზეთათ, კბილანებს შორის ყვავილები ამოდიოდნენ, ფარჩაზე ამონაქარგს ჟანგი მოედო, ხოლო დაფორებულ თეთრეულში ზაფრანისფერმა წყალმცენარეებმა ამოჰყვეს თავი. ჰაერიც ისეთი ნოტიო იყო და წყლით გაჟღენთილი, რომ თევზებს შეეძლოთ ღია კარიდან ოთახებში შეეცურათ და ფანჯრებიდან გამოეცურათ. ერთ დღეს ურსულამ აღსასრულის მოახლოება იგრძნო და ითხოვა, მღვდელ ანტონიო ისაბელს მიმგვარეთ საკაცეთიო; სწორედ მაშინ ნახა სანტა სოფია დე ლა პიედადმა, დედაბერს მთელს ზურგზე წურბელები მისხდომოდნენ და დარჩენილ ორიოდ წვეთ სისხლს სწოვდნენ. გატენილი წურბელები ზედიზედ მოაცალეს ზურგიდან და ცეცხლში დაწვეს. სასწრაფოდ გაჭრეს არხები, რათა სახლიდან გარეთ მიეშვათ წყალი და ოთახებიდან გაეყარათ ბაყაყები და ლოკოკინები. მხოლოდ ამის მერე მორეცხეს იატაკი, საწოლის ფეხქვეშ შედგმული აგურები გამოიღეს და უკვე ფეხსაცმლით შეიძლებოდა გავლა. ოჯახში ათას წვრილმანს გადაყოლილი აურელიანო მეორე ვერ ამჩნევდა, რა ნელა ეპარებოდა სიბერე, მაგრამ ერთ დღეს სარწეველა სავარძელში დაღლილი რომ ჩაჯდა და სიღამოს მწუხრს მიჩერებული პეტრა კოტესზე ფიქრმა წაიღო, უცებ იგრძნო, რომ ბერდება. თითქოს აღარაფერი უშლიდა დაბრუნებოდა ფერნანდას, ვისი სილამაზეც ასაკის მიუხედავად უფრო და უფრო იფურჩქნებოდა, მაგრამ წვიმამ გადარეცხა ყველა სურვილი და ალავსო იგი გამაძღარი კაცის გულგრილი სიმშვიდით. ფიქრებში წასულ აურელიანო მეორეს უნებურად გაეღიმა, წინათ, თუნდაც მთელი წელიწადი გაგრძელებულიყო წვიმა, რას არ ვაკეთებდიო. ბანანის კომპანიის ხიჯნებს ჯერ სად იყო, მაკონდოში მან რომ ჩამოიტანა პირველად თუნუქის ფურცლები სახლის გადასახურავად! მაშინ მხოლოდ ერთი რამ აწადდა, თუნუქით გადაეხურა პეტრა კოტესის საწოლი ოთახი, რათა უფრო ღრმად დაუფლებოდა ის გრძნობა, წვიმის ხმაური რომ იწვევდა მის არსებაში. მაგრამ გარდასული სიგიჟეებისა და ყმაწვილური ოინების მოგონება აღარ აღელვებდა აურელიანო მეორეს, თითქოს ბოლო ქეიფში შემოეხარჯა შემორჩენილი გრძნობების მარაგი და სამაგიეროდ ჯილდოდ მიიღო საკვირველი თვისება — წარსული სიხარული და ბედნიერი წუთები დარდისა და სინანულის გარეშე გაეხსენებინა. ერთი შეხედვით, თითქოს წვიმამ ბოლოს და ბოლოს აიძულა მშვიდად მჯდარიყო და ეფიქრა, ხანდახან, თუმცა დაგვიანებით, მაგრამ მაინც კარგი საქმე ეკეთებინა თავის გაზ-ჩაქუჩის დახმარებით, და მაინც მთლად ასე არ იყო საქმე: მშობლიური კერის სიყვარულმა და ოჯახური მყუდროებისაკენ ლტოლვამ მართალია დაჯაბნა აურელიანო მეორე, მაგრამ ეს არც მოგონებებით იყო გამოწვეული და არც ცხოვრებისეული მწარე გამოცდილებით. ეს გრძნობები დაბადა და წარსულიდან, იმ შორეული ბავშვობიდან გამოიხმო წვიმამ. მელკიადესის ოთახში რომ კითხულობდა ჯადოსნურ ზღაპრებს მფრინავ ხალიჩებსა და ხომალდიყლაპია ვეშაპებზე. ერთ დღეს, პატარა აურელიანო ფერნანდას

როგორღაც დაუძვრა ხელიდან და შუშაბანდში შევიდა. აურელიანო მეორემ მაშინვე იცნო შვილიშვილი. თმა შეკრიჭა, ჩააცვა, ხალხისა ნუ გეშინიათ, უთხრა და მალე უკვე აღარავინ ეჭვობდა, რომ ეს პატარა ბიჭი ნამდვილი აურელიანო ბუენდია იყო: მასაც ყველა ბუენდიასავით მაგარი კუნთები, გაკვირვებული გამოხედვა და მარტოკაცის შესახედაობა ჰქონდა. იმ დღიდან ფერნანდა დამშვიდდა. დიდი ხნის სურდა თავისი სიამაყე როგორღაც მოედრიკა, მაგრამ არ იცოდა, როგორ და რა გზით, რადგან, რაც უფრო მეტს ფიქრობდა ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევის გზებზე, მით უფრო უგუნური ეჩვენებოდა ისინი. თავიდანვე რომ სცოდნოდა, აურელიანო მეორე, ნამდვილ პაპას რომ შეჰფეროდა, ისე თბილად და ალერსით მიიღებდა შვილიშვილს, მაშინ აღარ დასჭირდებოდა ამდენი მიკიბ-მოკიბვა და მალვა და ჯერ კიდევ შარშანაც აღარ იფიქრებდა თავისი სისხლისა და ხორცის მოკვლაზე. ამარანტა ურსულამ ის იყო სარძევე კბილები მოიცვალა, რომ დისშვილიც გაიცნო. პატარა აურელიანო მისთვის ცოცხალი სათამაშო იყო და კარგადაც ერთობოდა გამაბეზრებელ წვიმების დროს. აურელიანო მეორეს გაახსენდა, მემეს ოთახში ინგლისური ენციკლოპედია აგდია სადღაცო, წავიდა, მოძებნა და ბავშვების გართობა განიზრახა. ჯერ ცხოველთა სურათებს ათვალიერებდა, მერე გეოგრაფიულ რუკებს უჩვენებდა, შორეული ქვეყნების ბუნებასა და ცნობილ ადამიანებზე ელაპარაკებოდა, ინგლისური არ იცოდა, მხოლოდ მეტნაკლებად ნაცნობი ქალაქებისა და ისტორიულ მოღვაწეთა სახელების ამოკითხვას ახერხებდა, ზოგჯერ თვითონ უწევდა მოეგონებინა სახელები და ლეგენდები, ოღონდ კი პატარების ცნობისმოყვარეობა დაეკმაყოფილებინა.

ფერნანდა დარწმუნებული იყო, წვიმები გადაიღებდა თუ არა, მისი ქმარი საყვარელთან გაიქცეოდა. პირველ ხანებში ეშინოდა, ვაითუ აურელიანო მეორე ჩემს საწოლ ოთახში შემოვიდესო, რცხვენოდა, როგორ გავუმხილო ქმარს, ამარანტა ურსულაზე ორსულობის მერე ქალობა დავკარგეო. სწორედ ამ ამბით შეშინებული უგზავნიდა წერილს წერილზე უხილავ მკურნალებს, ხანდახან ფოსტა თუ შეუშლიდა ხელს. პირველ ხანებში, წვიმები რომ დაიწყო, ქარიშხლის გამო რამდენიმე სარკინიგზო კატასტროფა მოხდა და ფერნანდაც უხილავი მკურნალებისაგან მიღებული ერთი საპასუხო წერილით მიხვდა, მის გაგზავნილ ბარათებს დანიშნულ ადგილამდე ვერ მიეღწია. მოგვიანებით, როცა მიმოწერა საბოლოოდ შეწყდა, ფერნანდამ ბევრი ფიქრის მერე გადაწყვიტა, სახეზე ეფარებინა ვეფხვის ნიღაბი, მის ქმარს რომ ამშვენებდა სისხლიან კარნავალზე და ბანანის კომპანიის ექიმებისთვის ჩუმად, სხვისი სახელითა და გვარით მიეკითხა. ბუენდიებთან ხანდახან შეივლიდა ხოლმე ერთი ქალი და ათას უბედურებას ჰყვებოდა ნიაღვრებზე. სწორედ ამ ქალმა ამცნო ფერნანდას, კომპანიამ თავისი საექიმო პუნქტები იმ ქვეყნებში გადაიტანა, სადაც წვიმა არ იციაო. ფერნანდას ყველა იმედი გადაუწყდა, ბედს დაემორჩილა და გადაწყვიტა წვიმების გადაღებასა და ფოსტის ამუშავებას დალოდებოდა, მანამდე კი თვითონ იმკურნალებდა საიდუმლო სნეულებას შინაურული წამლებით, რადგან სიკვდილი ერჩივნა მაკონდოში ერთადერთი ექიმის, იმ უცნაური ფრანგი კაცის ხელში ჩავარდნას, ბალახს რომ ჭამდა საქონელივით. ფერნანდა ურსულას დაუახლოვდა, იქნებ რამე წამალი მითხრას ჩემთვის სასარგებლოო, მაგრამ ჩვეულებად ჰქონდა ბოლომდე არ ეთქვა სათქმელი და ახლაც ირჩია მიზეზების ნაცვლად შედეგები დაესახელებინა. შინაგანი ავადმყოფობა

გარეგანით შეეცვალა და სისხლისდენა უბრალო ტემპერატურად გამოეცხადებინა, ასე უფრო ნაკლებ სამარცხვინო ეჩვენებოდა თავისი ავადმყოფობა, ურსულამაც საფუძვლიანად დაუსაბუთა, მუცელი კი არა: კუჭი [illegible] და ურჩია კოლომბელის აბები ყლაპეო. ეს უქეიფობა რომ არა, რომელსაც სხვა უფრო თამამ ქალს არც მოეჩვენებოდა სამარცხვინოდ, და გა[illegible]ილებიც რომ არ დაკარგულიყო გზაში, ფერნანდა სულაც არ[illegible] წვიმებს. განა მთელი ცხოვრება ასე არ გაატარა! ფანჯრებს მიღმა თითქოს განუწყვეტლივ წვიმდა. ფერნანდაა არც ტრაპეზის საათი შეუცვლია და არც თავისი წესები. მაშინაც კი, როდესაც მაგიდის აგურებზე, ხოლო სკამებს ფიცრებზე დგამდნენ, რათა სუფრასთან მსხდომთ ფეხი არ დასველებოდათ, ფერნანდა მაგიდაზე მაინც ჰოლანდიურ სუფრას აფარებდა, ჩინურ ჭურჭელს აწყობდა და სანთლებს ანთებდა, რადგან მისი ღრმა რწმენით სტიქიურ უბედურებასაც არ შეეძლო დაერღვია ოჯახური ტრადიციები. სახლიდან გარეთ არავინ გადიოდა, ფერნანდა ვერ ბედავდა, თორემ საერთოდ უფრო ადრე, წვიმებამდე ჩაკეტავდა კარებს, რადგან მისი აზრით კარი მხოლოდ იმისათვის არსებობდა, რომ ჩაეკეტათ, ქუჩის ამბები კი მეძავების საქმეაო, ასე ამბობდა. და მაინც პირველი ეცა ფანჯრებს, როდესაც გაიგო, პოლკოვნიკ ხერინელდო მარკესს მიასვენებენო, მაგრამ ფანჯრიდან დანახულმა სურათმა ფერნანდა ისე შეძრა, რომ კარგა ხანს ინანიებდა თავის ამ წუთიერ სისუსტეს.

ამაზე უფრო შესაბრალის სამგლოვიარო პროცესიას ალბათ ვერც წარმოიდგენდა ვერავინ. კუბო ჯორებშებმულ უბრალო, ბანანის ფოთლებით გადახურულ დროგზე შეედგათ, გადაუღებლად წვიმდა, ბორბლები ტლაპოში ეფლობოდა და ჩარდახიც აქეთ-იქით ყანყალებდა. წვიმა ნაღვლიანი თქრიალით დასდიოდა კუბოზე გადაფარებულ ისედაც უკვე გასაწურ დროშას. ეს ის დროშა იყო, დენთის კვამლისა და სისხლის სუნი რომ ასდიოდა და ასე რომ აუულდა ყველა დამსახურებულ ვეტერანს. დროშაზე ზემოდან იდო აბრეშუმის ფუნჯიანი ხმალი, სწორედ ის ხმალი, პოლკოვნიკი ხერინელდო მარკესი სასტუმრო ოთახში რომ ტოვებდა, რათა უიარაღოდ შესულიყო კერვაში გართულ ამარანტასთან. კუბოს უკან ტალახს მიზელავდნენ ნეერლანდიის ზავის მერე აქა-იქ შემორჩენილი ვეტერანები, მიდიოდნენ მუხლებამდე შარვალაკეცილები, ზოგიც ფეხშიშველა, ცალ ხელში ლერწმის ჯოხი ეჭირათ, მეორეში — წვიმისაგან ფერგაცლილი ქაღალდის ყვავილები. მოჩვენებებივით მიაბიჯებდნენ პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას სახელობის ქუჩაზე, პოლკოვნიკის სახლს რომ გაუსწორდნენ, თითქოს ვიღაცამ უბრძანათ, ყველამ შეთანხმებულად მიაბრუნა თავი მისკენ, მერე მოედნისკენ გაუხვიეს და იქ კი ნამდვილად გაუჭირდათ: სახელდახელოდ შეკოწიწებული ბალდახინი ტალახში ჩაეფლოთ. ურსულამ სანტა სოფია დე ლა პიედადს სთხოვა, კართან მიმიყვანეო. ისეთი გულისყურით შესცქეროდა პროცესიას, ყველას ეგონა, ხედავსო. დროგი გაჭირვებით მიიწევდა ლაფში და ურსულაც მთავარანგელოზივით წინ გაწვდილ ხელს ბორბლების ბრუნვას აყოლებდა.

— მშვიდობით, ხერინელდო, შვილო ჩემო! — შესძახა მან. — მოკითხვა გადაეცი ჩემებს, უთხარი, როგორც კი გადაიკარებს, მოვა-თქო.

აურელიანო მეორე თავის დიდ ბებიას მიეშველა, ლოგინში ჩააწვინა და ჩვეული უბოდიშობით ჰკითხა, რისი თქმა გინდოდა მაგითო.

— სიმართლისა, — უპასუხა ურსულამ. — მეტს აღარ მოვიცდი. როგორც კი წვიმა გადაიღებს, წავალ.

ტალახით ამოვსებული ქუჩების დანახვაზე აურელიანო მეორე შეშფოთდა, გვიან გაახსენდა თავისი საქონელი, მხრებზე ლაბადა მოიხურა და პეტრა კოტესისაკენ გაეშურა. ქალი თავის ეზოში წელამდე წყალში [illegible] დამხრჩვალი ცხენის ამოთრევას ლამობდა. აურელიანო მეორემ სარ[illegible] ხელი და ქალს მიეშველა. უზარმაზარი გაბერილი მკვდარი პირუტყვი ზარივით დაიძრა და ტალახიან ნიაღვარს გაჰყვა. რაც წვიმები დაიწყო, პეტრა კოტესს სხვა არაფერი უკეთებია, ეზოს ასუფთავებდა მძორისაგან. პირველ ხანებში აურელიანო მეორეს წერილებს უგზავნიდა, სასწრაფოდ მომეშველეო, მაგრამ საპასუხო წერილებში კაცი ამშვიდებდა, ნუ ჩქარობ, საქმე არც ისე ცუდადაა და როგორც კი წვიმები გადაიღებს, რაღაცას მოვიფიქრებთო. პეტრა კოტესმა კიდევ შეუთვალა, საძოვრები წყალმა დაფარა, საქონელი უბალახო მთებში გარბის, იქ კი იაგუარები და ჭირი სპობსო. „დამშვიდდი, — სწერდა პასუხად აურელიანო მეორე, — საქონელს კიდევ მოვაშენებთ, ოღონდ ეს წვიმები ჩამთავრდესო“. პირუტყვი ერთი-ერთმანეთის მიყოლებით იხოცებოდა პეტრა კოტესის თვალწინ, იმათ დაკვლასაც ძლივს ასწრებდა, ტალახში რომ იხრჩობოდნენ უკვე. უსასოოდ შესცქეროდა ქალი, რა ულმობლად მიჰქონდა ნიაღვარს ოდესღაც მაკონდოში ყველაზე გამორჩეული მისი ქონება, ახლა კი ამ ქონებისაგან მხოლოდ სიმყრალე რჩებოდა. ბოლოს, როდესაც აურელიანო მეორემ ინება საყვარლის სახლში მისვლა და იქაურობისთვის თვალის შევლება, მხოლოდ ერთი ბეხრეკი ჯორი და ცხენის ლეში დახვდა დანგრეულ საჯინიბოში. პეტრა კოტესი საყვარლის დანახვაზე არც გაოცებულა, არც გახარებია და არც გაბრაზებულა, ირონიულად გაიღიმა მხოლოდ.

— გამარჯობა, — თქვა პეტრა კოტესმა.

ქალი დაბერებულიყო და ძალზე გამხდარიყო. გარეული ცხოველის ნუშისებრ თვალებში წვიმის დღენიადაგ ცქერისაგან დარდი და მედიდური მორჩილება ჩაჰბუდებოდა. აურელიანო მეორე პეტრა კოტესთან ამ თვეზე მეტხანს დარჩა, მაგრამ საკუთარი სიამოვნებისთვის როდი მოიქცა ასე, უბრალოდ, ამ თვეზე ადრე ვერ გაბედავდა კვლავ ლაბადის მოხსმას. „რა მეჩქარება, აქაც იმასვე ამბობდა, რასაც საკუთარ სახლში, — სადაცაა მოიწმინდება“. პირველ ხანებში თვალს აჩვევდა გარეგნულად გამოცვლილ ქალს, დროსა და წვიმას კარგა მაგრად გადაერეცხა მისი სილამაზე, მერე და მერე ძველებური თვალით დაუწყო ცქერა. ძველებური სიგიჟეები გაიხსენა, მათი მოუთოკავი სიყვარული და ამ სიყვარულით გამრავლებული საქონლით სავსე სადგომებიც დაუდგა თვალწინ და ერთხელ ღამით ცოტა სურვილისა და ცოტაც ანგარების კარნახით მიეალერსა ქალს. პეტრა კოტესი არც განძრეულა. „დაიძინე, — ჩაიბუტბუტა მან. — რაღა დროს ეგეთებია“. აურელიანო მეორემ ჭერზე გაკრულ სარკეებში საკუთარი ორეული დაინახა, დაინახა ქალის ძვალტყავა ზურგიც და მიხვდა, მისი საყვარელი მართალი იყო, დრო კი არ შეიცვალა, ისინი აღარ ვარგოდნენ „ეგეთებისათვის“.

აურელიანო მეორე თავის ზანდუკებიანად დაუბრუნდა ფერნანდას: დანამდვილებით იცოდა, მარტო ურსულა კი არა, ბევრი მაკონდოელი ელოდა წვიმების გადაღებას, რათა მერე სიკვდილის გზას დაადგომოდნენ. შინ მიმავალი აურელიანო მეორე გზადაგზა სახლებში ხედავდა თვალგამოცრებულ ადამია-

ნება, ისინი გულხელდაკრეფილნი მინდობოდნენ გზაკვალარეულ, დაუმორჩილებელ დროს, რომლის დანაწილებასაც თვეებად და წლებად, დღეებად და საათებად აზრი აღარ ჰქონდა, რადგან გამუდმებით წვიმდა და ისინიც მხოლოდ წვიმას შესცქეროდნენ და სხვა არაფერს. ბავშვები ყიჟინით შეხვდნენ აურელიანო მეორეს, კვლავ აღარუნდა ძველი აკორდეონი პატარების გასართობად, მაგრამ მუსიკაზე მეტად მათ ენციკლოპედიის სურათები უფრო იზიდავდათ და აურელიანო მეორეც ხან რას იგონებდა და ხან რას. თავისი ამოუწურავი წარმოსახვის წყალობით დირიჟაბლი მფრინავ სპილოდ გადააქცია და ცაში დაახეტიალებდა მოხერხებული ღამისათევი ადგილის ძებნაში. ერთ-ერთ გვერდზე ვიღაც მხედრის სურათს წააწყდა: მხედარს თუმცა უცნაურად ეცვა, მაგრამ აურელიანო მეორეს თითქოს ეცნო მისი სახე. კარგად რომ დააკვირდა ნახატს, დაასკვნა, ნამდვილად პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია არისო. მაშინვე ფერნანდას უჩვენა სურათი და იმანაც დაამოწმა, მხედარი მარტო პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას კი არა, ყველა ბუენდიას ჰგავსო. სინამდვილეში კი სურათზე გამოსახული იყო თათარი მეომარი. ასე და ამრიგად ჰკლავდა დროს აურელიანო მეორე როდოსის კოლოსსა და გველის შემლოცველებზე ლაპარაკში, ვიდრე ცოლმა არ გამოუცხადა, სახლში მხოლოდ ექვსი კილო დამარილებული ხორცი და ერთი ტომარა ბრინჯი დაგვრჩაო.

— მერე მე რა ვქნა? — ჰკითხა ცოლს.

— არ ვიცი, — უპასუხა ფერნანდამ. — კაცი შენა ხარ და შენ უნდა იცოდე რა ქნა!

— კარგი, — თქვა აურელიანო მეორემ. — წვიმა გადაიღებს და რამეს მოვიფიქრებ.

თუმცა აურელიანო მეორეს სადილად ხორცის პატარა ნაჭერსა და ერთ მუჭა ბრინჯს აძლევდნენ მხოლოდ, საოჯახო საქმეებს მაინც ენციკლოპედია არჩია. „ახლა რამეს გაკეთება შეუძლებელია, — ამბობდა ის, — სულ ხომ არ იწვიმებს!“ რაც უფრო სახვალიოდ დებდა ოჯახის მომარაგების საქმეს, მით უფრო ბრაზობდა ფერნანდა, ერთ დღესაც ვეღარ მოითმინა და აქამდე ხანდახან საყვედურს თუ აკმარებდა ხოლმე ქმარს, ახლა გაუთავებელი სიტყვების ნიაღვარი გადმოხეთქა, დილით რომ დაიწყო გიტარის ბანის სიმების ერთფეროვან ჟღერასავით, საღამოს უკვე მაღალ ნოტებს მიაღწია და ათასნაირი ელფერი შეიძინა მისმა ხმამ.

აურელიანო მეორემ ჯერ არ მიაქცია ყურადღება ამ ჩხავილს, მაგრამ მეორე დღის ნაშუადღევს გული გაუწვრილა წვიმის ხმაურზე მეტად მომაბეზრებელმა მოზუზუნე ხმამ — ფერნანდა დაბორიალობდა ოთახებში და ჩიოდა: სადედოფლოდ მზრდიდნენ და ამ შერეკილთა სახლში მოახლედ გადავიქეცი, უსაქმური, ულმერთო და ქალების მუსუსი ქმარი შემხვდა, გაიშხლართება ლოგინში, დააღებს პირს და ელოდება, როდის აღირსებს ღმერთი მოწყალებას, ამ დროს კი მე მაწევს კისერზე ამოდენა ოჯახი, დილაბნელიდან დაღამებამდე ვწმენდ, ვაუთოვებ და დასაძინებლად რომ ვწვები, თვალები ისე მეწვის, თითქოს სილა ჩამყროდეს: დილა მშვიდობისაო, არავინ მეუბნება გაღვიძებულს, კაციშვილი არ მეკითხება, ფერნანდა ხომ კარგად გეძინა, რატომ გაქვს თვალები ამოღამებული, ისე, ზრდილობის გულისათვის მაინც მკითხონ, მაგრამ ამას ვინ მკითხავს, როცა ოჯახში ისე მიყურებენ, როგორც ცხელი ქვაბის ასაღებ ჩვარსა და ქვაზე დახატულ ეშმაკს, ეს ოჯახი

ხომ მუდამ კრიჭაში მედგა, ფარისევლებს და თვალთმაქცია მეძახდნენ, ამარანტამაც ხომ, — ღმერთო, აცხონე მისი სული, — ყველას გასაგონად თქვა, ფერნანდა საკუთარ უკანალსა და ფერფლმარხვას ერთმანეთში ურევსო. — ღმერთო ჩემო, რა საძაგელი სიტყვებია, — მოდა, მეც ვითმენდი უფლის ნებას მინდობილი, ახლა კი მეყოფა, ვეღარ მოვითმენ, ან კიდევ როგორ მოვითმინე იმ არამზადა ხოსე არკადიო მეორის სიტყვები. ჩვენი ოჯახის საქმე იმიტომ წავიდა უკუღმა, რომ კაპიანი კაჩაკო შემოვუშვით სახლში, ძალაუფლების მოყვარული კაპიანი კაჩაკო, ისიც კიდევ... — ღმერთო შეპატიე — ძუკნა კაჩაკო, ხთავრობამ რომ გამოგვიგზავნა ჯარების დასახოცად: წარმოგიდგენიათ, ის არამზადა ხოსე არკადიო მეორე აქ ლაპარაკობდა ჩემზე — ჰერცოგ ალბას მონათესავეზე, ისეთი დიდებული ოჯახის შვილზე, პრეზიდენტთა ცოლებიც რომ შურით უყურებდნენ, მე ხომ ბრწყინვალე დიდებულის ქალი ვარ და თექვსმეტი ესპანური სახელი შემიძლია მოვაწერო, მე ხომ ერთადერთი მოკვდავი ვარ ამ ნაბიჭვრებით სავსე ქალაქში და თექვსმეტ კაცზე სუფრის გაწყობისა არ მეშინია, ეს ბინძური, მრუში და გაუთლელი კაცი, ჩემი ქმარი კი სიცილით კვდება, ამდენი დანა-ჩანგალი და კოვზი ქრისტიანებს რაში გვჭირდება, ცხოველები ხომ არა ვართო; არადა, მხოლოდ მე ვიცი, სუფრაზე როდის უნდა ჩაიდგას თეთრი ღვინო, რომელი ხელით და რომელ ჭიქაში უნდა ჩაისხას, ისა იმ სოფლელ ამარანტას კი არ ეგონა — ღმერთმა აცხონოს მისი სული! აქ ამბობდა, თეთრ ღვინოს დღისით სვამენ, წითელს — საღამოს; მთელს ზღვისპირა მხარეში მარტო მე შემიძლია დავიტრაბახო, ოქროს ღამის ქოთანზე ვჯდები-მეთქი, იმ სულბოროტმა ფრანკმასონმა პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამაც — ღმერთო, აცხონე მისი სულიც — უზრდელობით იკითხა, რად უნდა ოქროს ღამის ქოთანი, ქრიზანთემებს ხომ არ შეჭამთო, რენატამ, ჩემმა ქალიშვილმა, კი უსირცხვილოდ უამბო ყველას, საკუთარი თვალით მინახავს, დედაჩემი საწოლ ოთახში როგორ ზის ღამის ქოთანზე, რომელიც მართლა ოქროსია, გარედან ღერბი ახატია, მაგრამ შიგნით კი ჩვეულებრივი ქაქი, ჩვეულებრივზე უარესიც კი — კაჩაკოს ქაქიაო, არა, რაც მართალი მართალია. ამ ოჯახიდან არასოდეს ველოდი კარგს, მაგრამ ქმარს მაინც ხომ უნდა ეცა ცოტა პატივი ჩემთვის, რაც არ უნდა იყოს ქმარია ჩემი ღვთისა და ხალხის წინაშე, ჩემი პატრონი და მფარველია, განა მან არ იკისრა უდიდესი მოვალეობა ღვთის წინაშე და განა მან არ წამომიყვანა მშობლიური სახლიდან, სადაც უზრუნველად და ფუფუნებით ვცხოვრობდი, სადაც დროის მოსაკლავად იქით სამგლოვიარო გვირგვინებს ვწნავდი, რომ ჩემმა ნათლიამ წერილიც კი გამომიგზავნა საკუთარი ხელმოწერილი და ბეჭედდასმული, შენი ხელები მიწიერი შრომისთვის კი არა, კლავიკორდზე დაკვრისთვის არის შექმნილიო და მაინც ამ კუნძმა, ამ უგულო ჩემმა ქმარმა დამატოვებინა მშობლიური სახლი და ეთილი რჩევა-დარიგებებით გზადალოცვილი ჩამომიყვანა აქ, ამ ჯოჯოხეთში, სადაც რაც ცხელა, სუნთქვა ჭირს, სადაც ხეირიანად ვერც მოვასწარი მარხვის დღეებში დაწესებული აკრძალვის შესრულება, რომ ხელი დაავლო თავის მოარულ ზანდუკებსა და ბინძურ აკორდეონს და გაიქცა ხასასთან, იმ ქუჩის ქალთან, ვისაც საკმარისია შეხედო უკანალზე — რა ექნა, თავისთავად დამცდა ეს სიტყვა — როგორ მიიქნევს ჯანიანი ჭაკივით, რომ მაშინვე მიხვდები, რა ჩიტიც არის, ფერნანდა კი მუდამ ღირსეული ქალბატონი იქნება საღორეშიც, სუფ-

რაპთანაც და აწოლშიც, მე ხომ სისხლით ქალბატონი ვარ, ღვთის მოშიშე, კანონის პატივისმცემელი და ბედის მორჩილი, ბინძური საქმეები ჩვენგან შორს არის, აი ის კი, მეორე, ყველაფერს იკადრებს ფრანგი ქალივით, უფრო მეტიც, მათზე უარესიცაა ათასჯერ, ფრანგი ქალები [illegible] მალავენ მაინცა უპატიოსნებას და წითელ ფარნებს კიდებენ თავიანთ სახლის კართან! ეგღა მაკლია ახლა ჩემი ქმარი ლოთურად მომექცეს მე, [illegible] დონია რენატა არგოტესა და დონ ფერნანდო დელ კარპიოს ერთადერთსა და საყვარელ ქალიშვილს, განსაკუთრებით მამაჩემის, ჭეშმარიტი ქრისტიანის, წმინდა საფლავის ორდენის კავალერის ქალიშვილს; ჩვენი გვარისანი ხომ ღვთის გამორჩეული შეწევნით სამარეშიც არ ლპებიან, სიკვდილის მერეც კანი [illegible]-თა და გლუვი რჩებათ საპატარძლო ატლასის კაბასავით, თვალები კი ცოცხალი და გამჭვირვალე — ზურმუხტივით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაგას კი ტყუილს ამბობ, — შეაწყვეტინა აურელიანო მეორემ — მამაშენი აქ რომ მოასვენეს, გვარიანად ჰყაროდა.

აურელიანო მეორე მთელი დღე ითმენდა მის ლაპარაკს, ვიდრე ბოლოს და ბოლოს სიმართლე არ უთხრა ცოლს. ფერნანდამ არაფერი უპასუხა, მხოლოდ ხმას დაუდაბლა და სადამოს ვახშამზე წვიმის ხმაურში ისე აღარ ისმოდა მისი ჭალიდან შემშლელი ზუზუნი. აურელიანო მეორე სუფრასთან თავჩაქინდრული იჯდა, ცოტა შეჭამა და დასაძინებლად ძალე წავიდა თავის ოთახში. მეორე დღეს საუზმეზე ფერნანდა კანკალს იტანდა, ეტყობოდა, მთელი ღამე არ მოეხუჭა თვალი. წუხანდელი წყენა თითქოს აღარც ახსოვდა, მაგრამ როგორც კი აურელიანო მეორემ უთხრა, მოხარშულ კვერცხს ხომ არ მომცემო, ქალმა მარტო პასუხი როდი აკმარა, კვერცხი ჯერ კიდევ იმ კვირაში გაგვითავდაო, — მოჰყვა. მაგრამ რა მოჰყვა, მამაკაცების წინააღმდეგ შხამიანი [illegible] სიტყვა წარმოთქვა: მთელი დღე თავიანთ ბინძურ ჭიპს შესცქეროდნენ და მერე ურცხვად თხოულობენ, შემწვარ-მოხრაკული მოგვართვითო. აურელიანო მეორემ ჩვეულებისამებრ ბავშვებს დაუძახა და ენციკლოპედიის სურათებს ჩაუჯდა კვლავ, მაგრამ ფერნანდამ, ვითომ შუა ოთახს ვალაგებო, სინამდვილეში კი უნდოდა ქმარს კარგად გაეგონა მისი ბუზღუნი, კვლავ მოხსნა გუდას პირი: მხოლოდ ურცხვ კაცს შეუძლია საწყალ უმანკო ბავშვებს ჩააგონოს, ენციკლოპედიაში გინდა თუ არა პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდიაა დახატულიო. ნაშუადღევს ბავშვები დასაძინებლად დაწვნენ. აურელიანო მეორე შუშაბანდში გავიდა, მაგრამ ფერნანდამ იქაც არ მოასვენა, გესლიანი სიტყვებით უკლავდა გულს, დასდევდა, კრაზანასავით დაბზუოდა. — ვიდრე ქვების ჭამას არ დავიწყებთ, ჩემი მშვენიერი ქმარი სპარსეთის სულთანივით იჯდება წვიმის ცქერაში გართული, მუქთახორა ხარ, ჩვარი ხარ, არარაობა და ქალების ხელში შემყურე, იონას ცოლი ხომ არ გგონივარ, ვეშაპზე ზღაპრები შეჰყოთ. აურელიანოს ყური თითქოს არ ესმოდა, ორ საათზე მეტხანს ითმენდა მის [illegible] კაცი, მაგრამ მაშინ კი გაუწყდა მოთმინების ძაფი, როცა ცოლის სიტყვები დოლივით ებრახუნებოდა ტვინში.

— თუ შეიძლება, გაჩუმდი, — შეევედრა ის.

ფერნანდამ პირიქით აუმაღლა ხმას. „არ გავჩუმდები, — თქვა მან. — ვისაც არ მოსწონს ჩემი ლაპარაკი, შეუძლია მოშორდეს აქაურობას". მაშინ კი ვეღარ მოითმინა აურელიანო მეორემ, მძიმედ წამოდგა, თითქოს [illegible]-

ბათ და მერე გამხეცებული ეცა თაროებზე ჩამწკრივებულ ქოთნისა თუ ლო-რნაკებში ჩაწყობილ ყვავილებს, იატაკზე გადმოყარა და ნამსხვრევებად აქ-ცია ყველა. ფერნანდას შეეშინდა, არ ეგონა, ამდენი ღონე ან იდუმალი ძალა თუ ჰქონდა მის ლაქლაქს, მაგრამ უკვე გვიან იყო ბოდიშის მოხდა. ავ-რელიანო მეორე უეცრად ამოხეთქილი თავისუფლებით გაბრუებული, მინის კარადა ნამსხვრევებად აქცია, სათითაოდ იღებდა თეფშებს, ჭიქებს, სირჩებს და ასევე სათითაოდ, მშვიდად და აუჩქარებლად ისროდა იატაკზე. ისევე მონდომებითა და გულდაგულობით ამსხვრევდა ყველაფერს, რა მონდომებითაც ერთ დროს ფულს აკრავდა კედლებზე. გულსაკლავად ამ-შვენებდა ბოჰემიის ბროლი, ხელით ნაკეთები ლარნაკები, სურათები — ქა-ლიშვილები რომ იყვნენ გამოსახული ვარდებით პირთამდე სავსე ნავში, ოქ-როსვარაყიანი სარკეები და საერთოდ ყველაფერი, რისი გატეხვაც შეიძლე-ბოდა მთელს სახლში, დაწყებული სასტუმრო ოთახიდან დამთავრებული სა-კუჭნაომდე. სულ ბოლოს სამზარეულოს თიხის ხალამი მოჰყვა ხელში. ყუმ-ბარასავით გასკდა ხალამი და ათას ნამსხვრევად დაიფანტა ეზოში. ავრელია-ნო მეორემ ხელები დაიბანა, ლაბადა მოიხურა და... შუაღამე არ იყო დამდ-გარი, რომ სახლში დაბრუნდა მსუქანი ლორის ნაჭრებით, ბრინჯით და სი-მინდით სავსე ტომრებით და ცოტაოდენი ბანანით დატვირთული. იმ დღიდან საჭმელი აღარ დაჰკლებიათ.

ავრელიანო მეორეს უკვე აღარ ეპარებოდა ეჭვი, ურსულა სამარეში წაიღებდა საიდუმლოს, სასწრაფოდ დაიქირავა მუშები, ვითომდა ეზოში არ-ხის გათხრა მინდაო, რკინის პარს თითონაც უბაგუნებდა ნიჩაბს, მაგრამ სამ-თვის დაუღალავი ძიების შემდეგ მიხვდა, ამაო იყო მისი ცდა. ბოლოს განი-ზრახა მკითხავთან მისულიყო, იქნებ მიწისმთხრელებზე მეტად დამეხმარონო და პილარ ტერნერას მიაკითხა. პილარ ტერნერამ გააფრთხილა, კარტი მხო-ლოდ მაშინ იტყვის ნამდვილს, თუ თვითონ ურსულა აჭრისო, მაგრამ ცოტ-ცოტა აგულისხმო რაღაცა მაინც უთხრა ავრელიანო მეორეს: განძი ნამდვი-ლად არსებობს, შვიდი ათას ორასთოთხმეტი ოქროს მონეტა მავთულით თავ-მოკრულ სამ ტილოს თოფრაკში შენახული და ჩამარხულია ასოცდაორი მე-ტრის რადიუსის წრეში, რომლის ცენტრშიც ურსულას საწოლი დგასო. მაგ-რამ ვიდრე წვიმები არ გადაიღებს, მერე კიდევ სამჯერ არ დადგება ივნისი და ჭაობები არ ამოშრებიან მზეზე, ეს განძი ხელში არავის მოყვებაო. იმდენი უცნაური და იდუმალი რაღაც უთხრა მკითხავმა, რომ ავრელიანო მეორეს მოჩვენებებზე ნაამბობი გაახსენდა და, თუმცა აგვისტო იდგა და პილარ ტერ-ნერას კარტში ამოკითხულის შესრულებამდე ჯერ კიდევ სამი წელიწადი რჩე-ბოდა, მაინც გადაწყვიტა განეგრძო ძებნა. ურსულას საწოლიდან ეზოს ღობემდე მართლაც ასოცდაორი მეტრი იყო, ამან გააკვირვა და კიდევ ჩააფი-ქრა ავრელიანო მეორე. ფერნანდამ რომ დაინახა, რა მონდომებით ზომავდა მისი ქმარი ოთახებს და გაიგონა, მიწისმთხრელებს რომ უთხრა, სიღრმეს კი-დევ ერთი მეტრი მოუმატეთო, შეეშინდა, ნამდვილად თავის ტყუპისცალ ძმასავით გაგიჟდაო. მართლაც ავრელიანო მეორე ისევე გაცხელებული ეძებ-და ოქროს, როგორც — ოდესღაც მისი დიდი პაპა ისწრაფვოდა უცნაური აღ-მოჩენებისკენ. ავრელიანო მეორემ უკანასკნელი ქონიც დაჰკარგა და წინან-დებურად დაემსგავსა თავის ტყუპის ცალ ძმას სიგამხდრით, წაწვრილებული სახეულით და დაბნეულ-გამოთიშული იერითაც. ავრელიანო მეორე ბავშვებს

აღარ ეკარებოდა, თავით ფეხამდე ტალახში ამოსვრილი სამზარეულოს კუთხეში მიიკუნჭებოდა და როცა მოესურვებოდა, მაშინ ჭამდა საჭმელს, სანტა სოფია დე ლა პიედადი ერთ-ორ სიტყვას თუ მიუგდებდა. ფერნანდა მუშამბაში გართულ ქმარს რომ ხედავდა, გაკვირვებული იყო, მისი ხელობა შრომისმოყვარეობად ეჩვენებოდა, სიმდიდრის ხელში ჩაგდების მძაფრი სურვილი თავგანწირვად, ხოლო სიჯიუტე — ნებისყოფის [illegible] ქენჯნა იგრძნო ქალმა, გესლიანი სიტყვით გული როგორ უკლავდით. მაგრამ აურელიანო მეორე დატეხილი ტოტებითა და დამპალი ყვავილებით სავსე ორმოში იდგა და ვერ ამჩნევდა, ფერნანდას შერიგება რომ სწადდა. ეზო და ბაღი რომ გადათხარა, მერე მუშამბანდის აღმოსავლეთ მხარეს მიადგა და იქ ღრმად გამოუთხარა საძირკველი, რომ ერთ ღამეს ყველანი შეშინებული წამოცვივდნენ საწოლებიდან — სახლი კარგა მაგრად შეირყა და საშინელი ჭახანიც მოისმა. ჯერ მიწისძვრა ეგონათ, მაგრამ მერე გამოირკვა, სამ ოთახში იატაკი ჩანგრეულიყო, მუშამბანდში კი, ფერნანდას საწოლ ოთახთან ახლოს, კარგა დიდ ნაპრალს დაეღო პირი. თუმცა უკანასკნელი იმედიც გადაუწყდა და კარტში ამოკითხულს უნდა ჩააჭიდებოდა მხოლოდ, აურელიანო მეორე არც ახლა დაშოშმინდა, საძირკველი გაამაგრა, ნაპრალი კირის ხსნარით ამოავსო და ახლა მუშამბანდის დასავლეთით გადაინაცვლა ოქროს ძებნაში. სწორედ აქ მუშაობისას წამოეწია მომავალი წლის ივნისის თვის მეორე კვირაც, როცა დადგომისთანავე წვიმამაც იკლო, ღრუბელი გაიფანტა და ყველანი დღე-დღეზე ელოდებოდნენ გამოდარებას. ასეც მოხდა. პარასკევს დღის ორ საათზე ქვეყნიერებას თავისი შუქი მოაფინა სულელმა, ალისფერმა, აგურის ხრეშივით მჩქმეტავმა, წყალივით კამკამა მზემ და ამ დღიდან წვიმა აღარავის მოაწრუებია მთელი ათი წელიწადი.

ამარანტა ურსულა და პატარა აურელიანო წვიმიან დღეებსა და წლებს იგონებდნენ, როგორც ყველაზე ბედნიერ დროს. თუმცა ფერნანდა უკრძალავდა, ისინი მაინც გადიოდნენ ეზოში, ტოპავდნენ გუბეებში, იჭერდნენ ხვლიკებს და ატყავებდნენ. სანტა სოფია დე ლა პიედადის ნამალევად წვნიანში პეპლის ფრთის მტვერს ყრიდნენ, მაგრამ ყველაზე მეტად ურსულათი ერთობოდნენ. დიდ და ძველ თოჯინასავით დაათრევდნენ ყოველ კუთხე-კუნჭულში ფერად-ფერად ჩვრებში გახვეულს, სახეს უთხაპნიდნენ წითელი საღებავითა და ჭვარტლით, ერთხელ კი ლამის თვალები არ დათხარეს მაკრატლით, როგორც ბაყაყებს თხრიდნენ ხოლმე. ყველაზე მეტად მაშინ აჭყლოპინდებოდნენ სიხარულით, როცა მათი თოჯინა ბოდვას დაიწყებდა. წვიმების დაწყებიდან მესამე წელიწადს ურსულას გონებაში, ეტყობა, რაღაც მოხდა, თანდათან კარგავდა რეალობის გრძნობას, ერთმანეთში ურევდა აწმყოსა და შორეულ წარსულს, მთელი სამი დღე დასტიროდა თავის დიდ ბებიას პეტრონილა იგუარანს ,ასი წლის წინათ რომ მიაბარეს მიწას. თავში ყველაფერი აერია: პატარა აურელიანო თავისი ვაჟი პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია ეგონა ,ოღონდ იმ ხნისა, ყინულის სანახავად რომ წაიყვანეს პირველად; სემინარიელ ხოსე არკადიოსაც თავის უფროს ვაჟში ურევდა, ბოშებს რომ გაჰყვა. კარგა ხნით ურსულა ბოდვა-ბოდვაში იმდენს ჰყვებოდა თავის ოჯახის წევრებზე, რომ ბავშვებმა ახალი გასართობი მოიგონეს: დიდი ხნის წინათ გარდაცვლილ, სხვადასხვა წლებში მცხოვრებ წინაპრებზე ეუბნებოდნენ. სტუმრად გეწვიენო. დედაბერს თავზე ნაცარი ეყარა და თვალები

წითელი ნაჭრით ქონდა ახვეული, მაგრამ მაინც ბედნიერი იყო, თავისიანე-ბის გვერდით რომ ეგულებოდა თავი. ბავშვებიც ისე ზუსტად აღწერდნენ მათ გარეგნობას, თითქოს საკუთარი თვალით ენახოთო. ურსულა [illegible] დაბა-ლებამდე მომხდარ ამბებზე ელაპარაკებოდა წინაპრებს. გულის[illegible]ით ის-მენდა მათ ნალაპარაკევსაც და მათთან ერთად დასტიროდა იმათ, ვინც აქ სტუმრად მოსულთა მერე დაიხოცნენ. ბავშვებმა შეამჩნიეს [illegible] ყველას ჯიუტად ეკითხებოდა ერთსა და იმავეს, ომის დროს ერთმა [illegible] იო-სების თაბაშირის ქანდაკება მოიტანა, გვთხოვა წვიმის გადაღებამდე აქ იდ-გესო და ხომ არ იცით, ვინ არის ის კაციო. აურელიანო მეორეს გაახსენდა უამრავი ოქრო-ვერცხლი, რომელიც სადღაც იყო გადამალული და ეს ადგილი მხოლოდ ურსულამ იცოდა. როგორ არ მიუდგა დედაბერს, რა ეშმაკობა არ მოიმველია, მაგრამ ამაოდ. ბინდის გზაკლაკნილებში მობორიალე ურსულას მაინც შერჩენოდა იმის გონება. საიდუმლო არ გაემხილა, მხოლოდ იმას დაუ-ჯერებდა, ვინც დაარწმუნებდა, განძის ნამდვილი პატრონი მე ვარო. აურე-ლიანო მეორემ თავისი ერთი ამხანაგი მოიყვანა ურსულასთან, ეს არის განძის პატრონიო, მაგრამ ურსულამ ისე ეშმაკურად და დაწვრილებით გამოჰკითხა ყველაფერი, რომ მაშინვე მიუხვდა გაიძვერობას.

მაკონდო ნანგრევებში იწვა. ქუჩების ნაცვლად ჭაობები გაწოლილიყო. აქა-იქ ტალახიდან და შლამიდან თავი ამოეყო მაკონდოში სწრაფად ჩამო-სულ და კიდევ უფრო სწრაფად გაქცეულ უცხოელ ურდოთა უკანასკნელ მოსაგო-ნარს — ფერად-ფერადი შროშანებით დაფარულ ავეჯის ნამსხვრევებსა და საქონლის ჩონჩხებს. ბანანის ციებ-ცხელების დროს ჩქარ-ჩქარა აშენებული სახლები დაცარიელებულიყო. ბანანის კომპანიას მთელი თავისი ქონება გაე-ზიდა, მავთულხლართით შემოღობილი ქალაქი ნაგვით აევსებულიყო. ხის სახ-ლები და დაჩრდილული ტერასები, სადაც საღამოობით კარტს თამაშობდნენ ხოლმე, თითქოს იმ მოსალოდნელი გრიგალის წინამორბედ ქარს წაეღო, რო-მელსაც ბედად უწერია წლების მერე მიწის პირისაგან აღეგავა მთელი მაკონ-დო. ამ ქარის უძლიერეს სუნთქვას გადარჩენოდა ავტომობილში ნაპოვნი პატ-რიცია ბრაუნის იასამნისფერი ძაფით ამოხვეული ხელთათმანი — ერთადერთი საბუთი იმისა, რომ აქ ოდესღაც ხალხი ცხოვრობდა. ჯერ კიდევ მაკონდოს დაარსებამდე ხოსე არკადიო ბუენდიას მიერ მიკვლეული მოჯადოებული მი-წები, სადაც მოგვიანებით ბანანის ბაღები გაეშენებინათ, ახლა ჭაობად ქცეული-ყო. შორს, გამოშვლებულ ჰორიზონტზე რამდენიმე წელი დაუმშრალ იქაფე-ბოდა ნაცრისფერი ზღვა. აურელიანო მეორე პირველსავე კვირა დღეს გამოე-წყო და გავიდა ქალაქის დასათვალიერებლად. წვიმის მერე მხოლოდ ისინი დარჩენილიყვნენ ცოცხალი, ვინც მაკონდოში დასახლდა ბანანის ციებ-ცხე-ლებამდე. ისინი შუა ქუჩაში იხდნენ და მზის პირველ სხივებზე ნებივრობ-დნენ. მათ კანს ჯერ კიდევ შერჩენოდა წყალმცენარეების სიმწვანე, ჯერ არ გაქრობოდათ გამუდმებული წვიმების დროს შეთვისებული საკუჭნაოს სუნი, მაგრამ სამაგიეროდ ახლა ნათელი ღიმილი დასთამაშებდათ სახეზე — ქალაქი, სადაც დაიბადნენ, კვლავ მათი იყო. თურქების ქუჩა ისევ ისეთივე გახდა, როგო-რიც იყო ყურში რგოლგაყრილი და უქუსლო ფეხსაცმლით შემოსილი მომ-თაბარე არაბების პირველი ჩამოსვლისას. ათას წვრილმანსა და ჰაჭაპუჭას რომ ცვლიდნენ თუთიყუშებში და [illegible] საბო-ლოოდ აქ რომ დამკვიდრდნენ. წვიმების მერე დახლებზე გაფანტული ჩამოგ-

ბული აქონელიდან ალარაფერი დარჩენილიყო, სახლებწინ გამოფენილსაც ობი მოჭკიდებოდა, დახლები ჭიებს დაეღრღნათ, კედლები ნესტს შეეჭამა, მაგრამ არაბთა ნაშიერნი კი ისევ იმ ადგილას და იმდაგვარადვე ისხდნენ, როგორც მათი მამა-პაპანი: დადუმებულნი და უგრძნობელნი, დროისა და უამინდობას მათთვის ვერაფერი დაეკლო, ისეთივე ცოცხალნი ან იქნებ სულაც ისეთივე მკვდრები იყვნენ, უძილობის ეპიდემიისა თუ პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას მიერ წამოწყებულ ოცდათორმეტი ომის მერე რომ ახსოვდათ აქაურებს. სათამაშო თუ სასადილო მაგიდები ნამსხვრევებად ქცეულიყო, მიზანში სასროლი ტირები სადღაც გამქრალიყო, ის ქუჩაც, სადაც სიზმრებს ხსნიდნენ და მომავალს წინასწარმეტყველებდნენ, ნანგრევებს აევსო და ყოველივე ამის ფონზე არაბთა სულის უტეხობა ისე გამოკვეთილად ჩანდა, რომ გაოცებული აურელიანო მეორე მისთვის ჩვეული უბოდიშობით ყველას ეკითხებოდა კარიდან კარზე სიარულისას, ქარიშხლის დროს რა იდუმალმა ძალამ გიხსნათ ჩაძირვისაგან, ეშმაკმა წაგიღოთ, როგორ გადარჩით დახრჩობასო. ისინიც ერთნაირი მშვიდი და იდუმალი ღიმილით უპასუხებდნენ:

— ვცურავდით.

მაკონდოელ მკვიდრთა შორის მხოლოდ პეტრა კოტესს აღმოაჩნდა მკერდში არაბის გული. მის თვალწინ ინგრეოდა საჯინიბოები და ფარეხები, მაგრამ ქალი სულით არ დაცემულა, სახლს თავს ევლებოდა. ბოლო ხანებში წერილს წერილზე უგზავნიდა აურელიანო მეორეს, თავისთან იხმობდა, მაგრამ კაცი პასუხად სწერდა, ჯერ არ ვიცი როდის მოვივალ, მაგრამ როცა მოვივალ, ოქროთი სავსე ტომარას მოგიტან და საწოლ ოთახს თვალ-მარგალიტით მოგიფენო. და მაშინ პეტრა კოტესმა უკანასკნელი ძალა მოიკრიბა გამწარებული სვებედის გადასატანად და მისდა უნებურად წამოუტივტივდა სამართლიანი, ყინულივით ცივი სიბრაზე და შეჰფიცა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, აღედგინა საყვარლისა და წვიმის გამო დაკარგული ქონება. ეს გადაწყვეტილება ისეთი მტკიცე იყო, რომ წერილის მიღებიდან რვა თვის მერე რომ მოუბრუნდა აურელიანო მეორე თავის საყვარელს, პეტრა კოტესი დახვდა გამწვანებული, თმაგაჩეჩილი და თვალებჩაცვივნული, მისი კანი ჭლექს შეეჭამა, იჯდა და ქაღალდზე ლატარიის ბილეთების ციფრებსა და ნომრებს წერდა. გაოცებული და ენაწართმეული აურელიანო მეორე ისეთი გალეული და თავაზიანი ჩანდა, რომ პეტრა კოტესი შეეჭვდა კიდეც, ეს კაცი ჩემი საყვარელია, თუ მისი ტყუპისცალ ძმას ვხედავო?

— ხომ არ გაგიჟდი? — უთხრა ქალს აურელიანო მეორემ. — ლატარიაში რას გათამაშებას აპირებ, ძვლებისას ხომ არა?

ქალმა აჩვენა, საწოლ ოთახში შეიხედეო, აურელიანო მეორემ ოთახში დაინახა ჯორი, თავისი პატრონივით ძვალტყავად ქცეული, მაგრამ ჯიუტი და ცოცხალი მასავით, როდესაც ბალახიც გამოელია და სიმინდიც, პეტრა კოტესმა ძმასავით დაბოლმილი პირუტყვი საწოლ ოთახში შეიყვანა და ნელ-ნელა შეაჭამა ზეწრები, სპარსული ხალიჩები, ბეწვის საბნები, ხავერდის ფარდები და ოქრომკედით ნაქარგი და აბრეშუმის ფოჩებით მორთული გადასაფარებლები, არქიეპისკოპოსის შესაფერ ბალდახინს რომ უმშვენებდა.

დიდი ჯაფა დასჭირდა ურსულას, თავისი პირობა აღესრულებინა და წვიმების გადაღებისთანავე მომკვდარიყო. წვიმების დროს დაბნელებული გონება

უეცრად გაუბათდა აგვისტოს თვიდან. როდესაც დაქროლა ხორშაკმა, ვარდის ბუჩქები მოახრჩო, ჭაობები გააქვავა და მაკონდოს თუნუქის სახურავები და ასწლოვანი ნუშის ხეები მარადიული მწველი მტვრით დაფარა, დედაბერმა რომ გაიგო, სამი წელიწადი ბავშვების სათამაშოდ ყოფილიყო, ისე შეეცოდა საკუთარი თავი, რომ გულსაკლავად ატირდა. სახიდან ჩამოიწმინდა ჭვარტლი და წითელი საღებავი, მოიშორა ჭრელა-ჭრულა ბაფთები, გამხმარი ბაყაყები და ხვლიკები, მთელს ტანზე ასხმული კრიალოსნები და მძივები და ამარანტას სიკვდილის მერე პირველად წამოდგა საწოლიდან სხვის დაუხმარებლად, რათა კვლავ ჩაბმულიყო საოჯახო საქმეებში. მთავარანგელოზივით ხელგაწვდილი და ნიბაბცალე ელიხით დედაბერი ყველას ეცოდებოდა, მაგრამ თავში აზრადაც არავის გაუელვია, რომ იგი ბრმა იყო. თითქოს დაინახოსო, იგრძნო, მისი ყვავილები, ისე საგულდაგულოდ რომ უვლიდა მთელი სიცოცხლე, წვიმებსა და აურელიანოს მუშაობის გათხრებს ალუგავათ მიწიდან. კედლები და იატაკი დამსკდარიყო, მოყანყალებულ ავეჯს ფერი გასვლოდა, კარი ანჯამებიდან ამოვარდნილიყო და რაც მთავარია, ოჯახში დაესადგურებინა უცხო სული — მორჩილებასა და სევდას. ხელის ცეცებით დაიარა საწოლი ოთახები. ყოველ ნაბიჯზე ესმოდა ხის ჭიების ფუთფუთი, თეთრეულის კარადებში ჩრჩილების შრიალი და წვიმების დროს მომრავლებული, სახლის საძირკველს შესეული წითელი ჭიანჭველების ყურთასმენის წამღები ხმაური. ურსულამ ზანდუკსაც რომ ახადა თავი, მაშინვე სანტა სოფია დე ლა პიედადს უხმო საშველად: ხოჭოებს მთელი ტანსაცმელი და თეთრეული ფხვნილად ექციათ და ახლა მას შესეოდნენ ტანზე.

— ასე მიშვებულად ცხოვრება ვის გაუგონია, — თქვა ურსულამ, — გინდათ ამ მწერებმა ჩვენც შეგვჭამონ? ამ დღიდან ურსულას მუხლი არ ჩაუხრია, დილაუთენია იღვიძებდა, ყველას ქაჩავდა, ბავშვებსაც კი ამუშავებდა. რაღაც საწყაულით გადარჩენილ ჯერ კიდევ ვარგის ტანსაცმელსა და თეთრეულს, ხოჭოების მოსასპობად რაღაც შხამიანი წამალი მოასხურა მთელს სახლში, ხის ჭიებით დახრულ-დახვრეტილი კარ-ფანჯრები გამოხიკა და ცხელი კირით ჩაწვა ჭიანჭველები თავიანთავე ბუდეებში. ურსულას მხოლოდ ერთი სურვილი წვავდა: მთელ სახლში დაემყარებინა ძველებური წესრიგი, ამიტომაც მიადგა მივიწყებულ-მიტოვებულ ოთახებსაც. აუარება ნაგავი და აბლაბუდა გაიტანეს იმ ოთახიდან, სადაც ოდესღაც ხოსე არკადიო ბუენდია ტვინს იხვრეტდა ფილოსოფიური ქვის ძიებაში, მიადგა საოქრომჭედლოს, სადაც ჯარისკაცებმა ყველაფერი თავდაყირა დააყენეს — და ბოლოს მელკიადესის ოთახის გასაღებიც მოითხოვა. სანტა სოფია დე ლა პიედადი ერთგულად იცავდა ხოსე არკადიო მეორის სურვილს — ვიდრე არ მოვკვდები, ოთახში არავინ შემოუშვათო: როგორ არ ეცადა, ურსულასთვის გადაეთქმევინებინა, მაგრამ გაჯიუტებულ დედაბერს ვერაფერი მოუხერხა, მთელს სახლში უნდა მოვკაფო მწერებიო, იძახდა ურსულა. სამი დღე უარზე იდგა სანტა სოფია დე ლა პიედადი, მაგრამ მერე მეტი ვეღარ გაუძლო და მელკიადესის ოთახი გააღო. ოთახიდან უცებად ისეთი ჩაწყლეშებული მყრალი სუნი გამოვარდა, რომ ურსულამ კარის წირთხლს ხავლო ხელი, არ წავიქცეო, მაგრამ წამში გაიხსენა, ამ ოთახში ხომ [illegible] ხანაგეებისთვის ნაყიდი სამოცდათორმეტი ღამის ქოთანი შენახული, ისიც გაიხსენა, წვიმების დასაწყისში ჯარისკაცებმა მთელი სახლი რომ გადააბრუნეს და ხოსე არკადიო მეორე ვერსად იპოვეს.

— ღმერთო ჩემო, — ისე შეჰყვირა ურსულამ, თითქოს დაინახაო ყვე-

ლაფერი. — განა ამისათვის გასწავლიდი სისუფთავესა და წესრიგიანობას, ღორივით ჩამჯდარიყავი ამ ნაგავში?!

ხოსე არკადიო მეორე კვლავ პერგამენტებს ჩასჩერებოდა, გაუპარსავ თმა-წვერს დაეფარა მისი სახე, მხოლოდ ჩამწვანებული კბილები და უმოძრაო თვალები უჩანდა. დიდი ბებიის ხმაზე თავი მიაბრუნა, კბილებს გაღიმება სცადა და თავისდა უნებურად დასცდა ოდესღაც ურსულას ნათქვამი სიტყვები.

— აბა, რა გეგონა? — ჩაიბუტბუტა მან. — დრო მიდის.

— მართალია, — დაეთანხმა ურსულა, — მაგრამ მაინც...

ურსულას უცბად გაახსენდა, დიდი ხნის წინათ სწორედ ასევე უპასუხა სიკვდილმისჯილთა საკანში გამომწყვდეულმა პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ და კვლავ შეაკრთო იმის გაფიქრებამ, რომ დრო კი არ გადის, როგორც აქამდე ეგონა, არამედ წრეზე ბრუნავს. ვერც ახლა აჯობეს ურსულას. პატარა ბავშვივით დატუქსა ხოსე არკადიო მეორე, ძალით დაბანა, გაპარსა და სთხოვა, სახლის შეკეთება-დალაგებაში წამოშველე ხელიო. საკუთარი სურვილით განდგომილ ხოსე არკადიო მეორეს ეძნელებოდა იმ ოთახიდან გამოსვლა, სადაც, როგორც იქნა, სულის სიმშვიდე მოიპოვა, და აღელვებულმა შეჰყვირა, ფეხსაც ვერ მომაცვლებინებთ აქედან, გაიგეთ, აღარ მსურს გვამებით პირთამდე სავსე მატარებელს ვუყურო, ყოველ საღამოს როგორ გადის მაკონდოდან ზღვისაკენო. „ვინც სადგურზე მოვიდა, მერე ყველა იქ იყო სამი ათას ოთხას რვა კაცი!“ მაშინ ურსულა მიხვდა, ხოსე არკადიო მეორე ჩაწკვარამებულ წყვდიადში დაბორიალობდა თავის დიდ პაპასავით, ჩაკეტილი და განმარტოებული. მეტად აღარ ჩაციებია, ბრძანა მხოლოდ კარი ბოქლომზე აღარ ჩაეკეტათ, ოთახი ყოველდღე დაელაგებინათ, ღამის ქოთნებიდან ერთი დაეტოვებინათ, დანარჩენი გადაეყარათ და განდეგილი ისე სუფთად და გულმოსასვლელად ჰყოლოდათ მოვლილი, როგორც მისი დიდი პაპა ჰყავდათ წაბლის ძირში წლების განმავლობაში. ფერნანდა პირველ ხანებში ურსულას გამოცოცხლებასა და საქმიანობას ბებრულ გონებაასუსტობას მიაწერდა და ძლივს იკავებდა სიბრაზეს. მაგრამ ამ დროს შვილის — ხოსე არკადიოს წერილი მოუვიდა რომიდან, სამარადისო აღთქმის მიღებამდე მაკონდოში ვესტუმრებიო და ამ ამბავმა ისე გაახარა, რომ თვითონაც აფუსფუსდა. ოღონდ მის შვილს აქაურობა მოსწონებოდა და დილიდან დაღამებამდე ალაგებდა სახლს, დღეში ოთხჯერ რწყავდა ყვავილებს, კვლავ დაიწყო უხილავ მკურნალებთან წერილების წერა, თაროებზე კვლავ შემოდგა ყვავილიანი ქოთნები და ლარნაკები, გაჰყიდა ვერცხლის ჭურჭლეული და იყიდა თიხისა და თითბრის ჯამ-ჭურჭელი. კედლის კარადები აქამდე შეჩვეულნი იყვნენ ინდოეთის კომპანიების ქაშანურის ჭურჭელსა და ბოჰემიის ბროლს და ახლა საცოდავად გამოიყურებოდნენ თიხის ჯამ-ჭურჭლით გამოვსებულნი. ურსულა არ ცხრებოდა. „კარ-ფანჯრები დააღეთ! — ყვიროდა ის, — ნუ დაინანებთ ხორცსა და თევზს, იყიდეთ დიდი კუები, დაე მოვიდნენ უცხოელები, ყოველ კუთხე-კუნჭულში გაშალონ თავიანთი ჭილოფები და თუ უნდათ, ვარდებშიც მიაშარდონ, იმდენი ჭამონ, რამდენიც ჩაეტევათ სტომაქში ,თავიანთი უზარმაზარი ფეხსაცმლებით შეაბოტონ ოთახებში და თან შეიტანონ ტალახი და სიბინძურე, დაე ის აკეთონ, რაც ეპრიანებათ, მხოლოდ ასე ავიშოროთ ნგრევას!“ მაგრამ ურსულას შეუძლებლის შეძლება სურდა, ძალზე ბებერი იყო, მეტისმეტად დიდხანს იცოცხლა და შაქარყინულის სასწაული მეორედ ვეღარ მოახდენდა. მის შთამომავლებს

კი სად ჰქონდათ მისები ცხოვრებისეული სიმტკიცე და იმპერია ფერნანდას განკარგულებით კარი ყველაგ ჩაკეტეს.

აურელიანო მეორე ისევ პეტრა კოტესთან გადაბარგდა [illegible]-ბიანად. ისე ცოტა შემოსავალი ჰქონდა, ოჯახს ძლივს ჰყოფნიდა, [illegible] არ ამოხოცილიყვნენ. ლატარიიდან შემოსული თანხით აურელიანო მეორემ და პეტრა კოტესმა ჯორის ნაცვლად რამდენიმე სული საქონელი [illegible] სალატარიო კანტორა გახსნეს. აურელიანო მეორე კარდაკარ დადიოდა და ყველას სთავაზობდა ლატარიის ბილეთებს, რომლებიც მეტი დამაჯერებლობისათვის საკუთარი ხელით მოეხატა და მოელამაზებინა. ეტყობა, ვერ ამჩნევდა, ზოგნი ბილეთებს სამადლოდ ყიდულობდნენ, უმეტესობა — თანაგრძნობისთვის, თუმცა ყველაზე გულჩვილ მყიდველებსაც იმის იმედი ჰქონდათ, იქნებ ოც სენტავოდ ღორი მოვიგოთ ან ოცდათორმეტად — ხბოო. სწორედ ამ იმედით იყრიდნენ თავს პეტრა კოტესის ეზოში სამშაბათობით და [illegible]ნად ქცეულნი შეჰყურებდნენ პატარა ბიჭს, ვისაც ტომრიდან ბედნიერი ბილეთი უნდა ამოეღო. მალე ეს თავყრილობა ყოველკვირეულ ბაზარ-ბაზრობად იქცა: ეზოში [illegible] და სასმელს დგამდნენ. რომელიმე ბედნიერი კაცი მოგებულ პირუტყვს იქვე სწირავდა მსხვერპლად იმ პირობით, თუ ვინმე ითავებდა დამკვრელების მოყვანასა და არყის ყიდვას. ერთი სიტყვით, აურელიანო მეორემ თავისდა უნებურად, კვლავ ხელში აკორდეონი და კვლავ მიუწვდა მონაწილეობა მიეღო სტომაქმძღომელ პატარ-პატარა შეჯიბრებებში. ეს იყო წარსული დროსტარების საცოდავი გამოძახილი და აურელიანო მეორეც მიხვდა, ძველებურად აღარ შესწევდა სუფრის გაძღოლა და პირველობა ცეკვა-სიმღერაში. შეიცვალა კაცი. „სპილოსთან" შეჯიბრების დროს ას ოც კილოს იწონიდა, ახლა კი სამოცდათვრამეტი კილო იყო მხოლოდ. გულკეთილობა, ნაღველი და დაღლილი ეშმაკი ლოთობით გაბერილ სახეზე, იგუანასაც რომ მიუგავდა, ახლა კი იგუანასავით წაწვრილებულიყო და მაინც არასოდეს ასე არ ჰყვარებია იგი პეტრა კოტესს. იქნებ ებრალებოდა და იმიტომ ეგონა, მიყვარსო, ან იქნებ სიღარიბემ კულიერად დააახლოვა ისინი ერთმანეთს. მათი დაუოკებელი, ვნებაგაშმაგებული სიყვარულის მოწმე ავეჯი ახლა კონფიდენციალური საუბრის ადგილად იქცა: სარკე, სადაც მათი ყოველი მოძრაობა ირეკლებოდა, ჩამოხსნეს, გაყიდეს და საქონელი იყიდეს ლატარიაში გასათამაშებლად. ვნების დამხითები ბროკლის ზეწრები და ხავერდის თბილი საბნები ჯორს დაეღეჭა უკვე. ყოფილი საყვარლები ერთობით შეჰყურებდნენ მოხუცებივით გვიანობამდე ფხიზლობდნენ და იმ დროს, წინათ ფუძლან ვნებაში რომ ახარჯებოდა. ახლა სენტავოებს ითვლიდა და ანგარიშში მიიზლაზნებოდა. ზოგჯერ დასიზნებამდე კიდეც ფულის დახარისხებაში: ეს ფურცნანდას სახარჯოდ, ის ამარანტა ურსულას ფეხსაცმლის ფულით, სანტა სოფია დე ლა პიედადსაც კარგა ხანია კაბა არ გამოსცვლია, ეს ურსულას კუბოს ფულიო, ყავაც საყიდელია — ყოველ სამ თვეში ძვირდებაო, შაქარსაც ტკბილი დღე სიტკბო აკლდება, შეშაც მოსატანია — ჯერაც არ გამხმარა წვიმების დროინდელი სინედლე. ლატარიის ბილეთების მოსახატად საჭირო მელნისა და ქაღალდის ფულსაც ცალკე დებდნენ. ეს კიდევ უკან დასაბრუნებელი ფულიაო: აპრილში ერთმა კაცმა ეშმაკული მოიგო და ამ ეშმაკს ციმბირის წყლული აღმოაჩნდა, ძლივს მოასწრეს დაკვლა, ტყავი მაინც რომ დარჩენოდათ. კი ასე პატიოსნად და სინდისიერად ანაწილებდნენ

ისინი თავიანთ ღარიბულ შემოსავალს, ყველაზე მეტ ფულს ფერნანდას უგზავნიდნენ. მაგრამ იმიტომ კი არა, რომ სინდისი ქენჯნიდათ ან სიკეთის ქმნის წყურვილი ჰკლავდათ, — უბრალოდ, ფერნანდას კარგად ყოფნა მათთვის იყო ხელსაყრელი. როგორც საკუთარ ქალიშვილზე, ისე ზრუნავდნენ ორივენი ფერნანდაზე. ერთხელ მთელი სამი დღე ფაფას ჭამდნენ, ფერნანდასთვის რომ ჰოლანდიური ტილოს სუფრა ეყიდათ. წერილებზე ფერნანდას [illegible] არ იგონებდნენ ოჯახის მოსამაგრებლად. მაგრამ მათი მფარველი ანგელოზები ვეღარ უმკლავდებოდნენ უძილობას და ვიდრე მთელი დღის შრომით ძალაგამოცლილი საყვარლები შემოსავალს ისე ანაწილებდნენ, რომ თავისთვის პურის ფული დაეტოვებინათ მხოლოდ, [illegible] ღრმა ძილში იყვნენ ხოლმე. ურთიერთი დატანჯულები, ფიქრობდნენ, მაინც რა ვიცით, ქვეყანა ხომ არ ვაღდებოდა, რატომ აღარ მრავლდება საქონელი, ფული რატომ [illegible], ხალხიც რატომ გამოიცვალა. განა სულ ახლახან არ იყო, ცეცხლწაკიდებული ფულით ხელში რომ ცეკვავდნენ კუმიამბას?[1] ახლა კი გაბუტულან, დღისით-მზისით გვძარცვავენ; საკუთარ თოფშიც [illegible] რომ ვართმევთ ლატარიის ბილეთში, იმაზე ყვირიან და [illegible] რომ [illegible], იმაზე არაფერს ამბობენ! ფიქრებში წასული აურელიანო მეორე [illegible] თქმას ვერ ბედავდა [illegible] სადაც იყო [illegible] თავი ჩამალული. ქვეყანა რა შუაშია, — [illegible] გონებაში, — ბოროტება სადაც პეტრა კოტესის გულის რომელიღაც კუნჭულშია ჩასახული, წყალდიდობის დროს. ეტყობა, მის გულში რაღაც მოხდა, რის მერეც გაწყდა საქონელი და ფულიც თვალსა და ხელს შუა გაქრა. საიდუმლოს გაგებით შეპყრობილმა აურელიანო მეორემ თავისი საყვარლის გულში ღრმად ჩაიხედა. იქნებ ანგარების რაიმე კვალს წააწყდეო, მაგრამ მალე ამის ნაცვლად სიყვარულის ცეცხლში გაეხვია. ბევრს ცდილობდა ანგარების კარნახით გაეღვიძებინა პეტრა კოტესისთვის ვნებიანი სურვილი, მაგრამ ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ თვითონ შეიყვარა ქალი, თავის მხრივ პეტრა კოტესსაც უყვარდა აურელიანო მეორე, მით უმეტეს, რომ დღითი დღე გრძნობდა, რა მომხიბვლელი სინაზით ეპყრობოდა კაცი. თავისი შემოდგომის დღეებში ქალმა ბავშვივით გულუბრყვილოდ ირწმუნა, რომ სიღარიბე და სიყვარული განუყოფელნი არიან. ახლა ორივენი სიხარულით იგონებდნენ წარსულ უგუნურ ქეიფებს, ფუფუნებას, სიმდიდრეს და უზომო გახელებას, ბოლოს კი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მართალია, გვიან და ძვირად, მაგრამ მაინც მივაღწიეთ მარტოობის სამოთხესო. ამდენი ხანი ერთად ცხოვრობდნენ და მხოლოდ ახლა მიხვდნენ, რომ [illegible] ლოგინში კი არა, სუფრასთანაც, ყოველდღიურ ცხოვრებაშიც შეიძლება არანაკლებ ბედნიერად ერთმანეთთან. ამ გაფიქრებაზე თავს ბედნიერად გრძნობდნენ და თუმცა იმალებოდნენ და სიბერეს მოიცდებოდნენ, მაინც ბავშვებივით ეშმაკობდნენ და ძაღლებივით [illegible] ერთმანეთს.

ლატარიის გათამაშება [illegible] გადაჭრილ საქმედ [illegible] ხანგრძლივი აურელიანო მეორე კვირაში სამი დღე ჩაიკეტებოდა თავის ძველ კანტორაში და ბილეთებს ხატავდა. ხან წითელ ძროხას ამსგავსებდა გულმოდგინედ, ხან [illegible] ღორს [illegible] ქვეშ კი მუქლურჯი ასოებით გამოჰყავდა პეტრა კოტესის მოფიქრებული სახელწოდება: „განგების ლატარია", აურე-

---

[1] კუმიამბა — [illegible] ცეკვავენ ანთებული სანთლებით ხელში.

ლიანო მეორეს ზოგჯერ ორი ათასზე მეტი ბილეთის დახატვა უწევდა კვირაში, ბოლოს ისე დაიღალა, რომ შტამპიანი კაუჩუკის ბეჭდები გააკეთებინა ოსტატს. ამ დღიდან ლატარიის სახელწოდება, ცხოველის სურათები და რიცხვები შტამპით გამოჰყავდა. სხვადასხვა ფერის მელნით გაფერადებულ პატარა-პატარა ბალიშებზე შტამპს დაჰკრავდა და მერე ბილეთებზე გადაჰქონდა. სიცოცხლის ბოლო წლებში აურელიანო მეორემ მოიფიქრა ბილეთების რიცხვების გამოცანებით შეცვლა, ვინც გამოიცნობდა, მოგებულიც ის იქნებოდა, მაგრამ ეს სისტემა ძნელი აღმოჩნდა, თანაც ათასნაირი ეჭვის საბაბს აძლევდა ხალხს და ამიტომ მალე თქვა უარი გამოცანებზე.

აურელიანო მეორე დილიდან დაღამებამდე თავისი სალატარიო საქმის მომაგრებაზე ფიქრობდა და ბავშვების სანახავად ვეღარ იცლიდა. ფერნანდამ ამარანტა ურსულა კერძო სასწავლებელში მიაბარა, სადაც წელიწადში ექვს გოგონას იღებდნენ მხოლოდ, პატარა აურელიანოს კი საქალაქო სკოლაც არ აღირსა. ფერნანდამ ისედაც ბევრი დათმო, ისიც ეყოფა, ოთახში რომ არ ჩაკეტა, თანაც მაშინ სკოლებში მხოლოდ იმ მშობელთა შვილებს იღებდნენ, კათოლიკური წესით რომ იყვნენ დაქორწინებულნი. პატარა აურელიანოს კი, კალათით რომ მოიყვანეს შინ, მხოლოდ ქაღალდის ნაგლეჯი მოჰყვა. ქაღალდზე კი ეწერა: მიგდებული. ამგვარად აურელიანო კვლავ ჩაკეტილი ცხოვრობდა. ორი დედაბრის, სანტა სოფია დე ლა პიედადისა და ვისიტასიონის გულმოწყალებანათებულ ურსულას ალერსს მინდობილი ბიჭი ოთხ კედელშია იყო გამომწყვდეული და მისი სამყაროც ეს გახლდათ. იგი თავაზიანი, მშვიდი და ისეთი ცნობისმოყვარე ბიჭი იზრდებოდა, რომ არაერთხელ გამოუყვანია მოთმინებიდან უფროსები: მისი ხნისას პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას შორსმჭვრეტელისა და ნათელმხილველის თვალები ჰქონდა, ის კი პირიქით დაბნეული ეცქირებოდა ხოლმე და თვალებიც ეჭუტებოდა. ვიდრე ამარანტა ურსულა სკოლაში სწავლობდა, აურელიანო ჭიაყელებს თხრიდა მიწაში და აწვალებდა. ერთხელ კოლოფში მორიელები ჩასვა, რათა მერე ურსულას ლოგინში შეეპარებინა, მაგრამ ფერნანდა წამოადგა თავს და ბიჭი მემეს საწოლ ოთახში ჩაკეტა. მარტოობისაგან რომ თავი დაეღწია, აურელიანომ ენციკლოპედიაში სურათების თვალიერება დაიწყო. ურსულა ამ დროს ოთახ-ოთახ დაბორიალობდა, ჭინჭრით ხელში და საკმევლიან წყალს ასხურებდა კედლებზე. მრავალგზის გადაჰყრია პატარას, მაგრამ ახლა ამ ოთახშიც შესვლისას მაინც ჰკითხა, რომელი ხარო.

— აურელიანო ბუენდია ვარ, — თქვა ბიჭმა.

— მართალია, — უპასუხა ურსულამ. — დროა, ხელი მოჰკიდო ოქრომჭედლობას.

დედაბერს პატარა აურელიანო კვლავ თავის ვაჟიშვილში ერია. წვიმების მერე ხორშაკმა რომ გადაუარა ქალაქს, ურსულას ერთხანობას გონება გაუნათდა, მაგრამ როგორც კი ჩათავდა, კვლავ დაებინდა. საწოლ ოთახში შესვლისას თითქმის ყველა ახლობელს ხვდებოდა: პეტრონილა იგუარანს დიდებულ ხავერდის კაბაზე მძივებით ამოქარგული შარფი მოესხა; დამბლადაცემული ბებია ტრანკილინა მარია მინიატა ალაკოკე ბუენდია სარწეველა სავარძელში იჯდა და ფარშევანგის კუდით ინიავებდა სახეს; ურსულას პაპა აურელიანო არკადიო ბუენდია მეფის გვარდიელის ტანსაცმელში გამოწყობილიყო, აქვე იყო ურსულას მამა აურელიანო იგუარანი, რომელმაც ისეთი შელოცვა იცოდა,

რომ პუზანკალები მაშინვე სცვივოდნენ ძროხას; ურსულას ღვთისმოშიში დედაც მოსულიყო, მისი ლორისკუდიანი ბიძაშვილიც და ხოსე არკადიო ბუენდიაც თავის შვილებთან ერთად — ყველანი კედლის გასწვრივ ჩარიგებულ სკამებზე ისხდნენ, თითქოს სტუმრად კი არა, ვილაცის პანაშვიდზე მოსულიყვნენ. ურსულა მაშინვე გაუბამდა ხოლმე მათ საუბარს, მაგრამ [illegible] ლაპარაკობდა, დროსა და ადგილს ურევდა ერთმანეთში და როდესაც სკოლიდან დაბრუნებული ამარანტა ურსულა აურელიანოსთან ერთად შედიოდა ოთახში, საწოლში წამომჯდარი, მკვდრების ლაბირინთებში გზააბნეული დედაბერი გაცხარებული ხმამაღლა ელაპარაკებოდა ხოლმე საკუთარ თავს. „ხანძარი!" — ერთხელ ისე განწირულ ხმაზე შეჰყვირა, რომ მთელი სახლი ფეხზე დადგა. ცოტა ხნის შერე გაირკვა, ურსულა ოთხი წლისა რომ იყო, საჯინიბოს ხანძარი გაუჩენია და სწორედ ის გაიხსენა ახლა. საცოდავი ქალი ისე ურევდა წარსულსა და აწმყოს, რომ სიკვდილის წინ რომ მოიხედა ცოტა ხნით, უკვე აღარავინ იცოდა დანამდვილებით, მისი ნალაპარაკევი წარსულს ეხებოდა თუ დღევანდელს. ურსულა ნელ-ნელა ილეოდა, ჯერ კიდევ სუნთქავდა და მუმიასავით იყო, ისე გამოხმა და დაჰკნა, რომ ბოლო თვეებში ღამის პერანგში ჩაკარგულ ქლიავის ჩირს დაემსგავსა, მუდამ წინ გაწვდილი ხელი კი მაიმუნისა ეგონებოდა კაცს. შეეძლო რამდენიმე დღე ზედიზედ გაუნძრევლად წოლილიყო. სანტა სოფია დე ლა პიედადი ხშირად შეანჯღრევდა ხოლმე, ცოცხალი თუ არისო, მუხლებზე ისვამდა და კოვზით ასმევდა შაქრიან წყალს. ურსულა ახალშობილ ბებრუხანას ჰგავდა. ამარანტა ურსულასა და აურელიანოს ხელჩაჭიდებული დაჰყავდათ საწოლ ოთახში, საკურთხეველზე აწვენდნენ, ყრმა იესოს ატოლებდნენ, რომელი დიდიაო, ერთხელ კი განჯინაში შეჩურთეს ვირთხების შესაჭმელად. ბზობა დღეს ფერნანდა წირვაზე იყო, ბავშვებმა დრო იხელთეს, შევიდნენ ოთახში და ურსულას თავსა და ფეხებში სწვდნენ.

— საცოდავი ჩვენი პაპის ბებია, — თქვა ამარანტა ურსულამ. — სიბერემ გამოგვაცალა ხელიდან.

ურსულა შეირხა:

— ცოცხალი ვარ.

— ხედავ... — ამარანტა ურსულა სიცილით იგუდებოდა, — არც სუნთქავს.

— ვლაპარაკობ! — იყვირა ურსულამ.

— ხმასაც არ იღებს, — თქვა აურელიანომ. — ჭრიჭინასავით მოკვდა.

მაშინ ურსულა დაემორჩილა განგებას. „ღმერთო ჩემო, — ხმადაბლა შეჰღაღადა მან. — ეს ხომ სიკვდილია?" ურსულამ ლოცვა წამოიწყო ხანგრძლივი და აბდაუბდა, ორ დღეზე მეტხანს ლოცულობდა. სამშაბათ დღეს კი სულ აურია, ხან ღმერთს ელაპარაკებოდა, ხან ჭკუასასწავლიდა ვიღაცას: წითელი ჭიანჭველები გაჟუჟეთ, თორემ ჭერი დაგექცევათ თავზე; რემედიოსის დაგეროტიპის წინ მუდამ გენთოთ ლამპარიო, არც ერთმა ბუენდიამ ცოლად არ მოიყვანოს ნათესავი, თუ გინდათ ლორისკუდიანი ბავშვები არ დაგეპადოთო. აურელიანო მეორემ დრო უპოვა ბოდვაში ჩაძირულ დედაბერს და ჰკითხა, ოქრო სად გაქვს დამალულიო? „მოვა მისი პატრონი, — თქვა ურსულამ, — და ღმერთი აპოვნინებს". სანტა სოფია დე ლა პიედადმა დანამდვილებით იცოდა, ურსულა მალე მოკვდებოდა, რადგან ბუნებაში რაღაც უცნაური ხდებოდა იმ დღეებში: ვარდებს კრეტმიზინის სუნი ასდიოდათ; სანტა სოფია

დე ლა პიედადს ერთ დღეს გოგრა გაუვარდა ხელიდან. გოგრა შუაზე გასკდა, იქიდან ლობიოს მარცვალი გადმოიყარა და იატაკზე ზღვის ვარსკვლავივით გეომეტრიულად ზუსტი ნახატი მოჰფინა; ერთ ღამეს კი ნარინჯისფრად მოკიმკიმე დისკოებმა ჩაიქროლეს მწკრივად.

ურსულა წმინდა ხუთშაბათ დღეს მიიცვალა გამთენიისას. ჯერ კიდევ ბანანის კომპანიის დროს ანგარიშობდნენ ბუენდიები მის ხნოვანებას [illegible] ურსულამ მაშინ გამოითვალა და თქვა, ას თხუთმეტ წელზე [illegible] ოცდაორზე მეტი არ ვიქნებიო. პატარა კუბოში ჩაასვენეს, აურელიანო რომ კალათით მოიყვანეს. იმ კალათზე ცოტა დიდი თუ იქნებოდა კუბო. დაკრძალვას ცოტა ხალხი დაესწრო, ჯერ ერთი, ბევრს აღარ ახსოვდა ურსულა და მეორეც, საშინელი პაპანაქება იდგა, იმ შუადღეს ისე ძალუმად აცხუნებდა მზე, რომ ჩიტებს ფრენის თავი აღარ ჰქონდათ, კედლებს ისე ასკდებოდნენ, ხვრეტდნენ, ფანჯრებზე აკრულ ცხაურებსაც ზედ ენარცხებოდნენ და ოთახებში ცვიოდნენ დახოცილები. პირველ ხანებში, ყველას ეგონა, ჩიტებს ჭირი გაუჩნდათო. ქალებს არაქათი წაერთვათ, ვეღარ აუდიოდნენ ოთახებიდან მკვდარი ჩიტების გამოხვეტას. განსაკუთრებით ბევრი ამოწყდა სიესტის დროს. კაცები სავსე ურიკებს ეზიდებოდნენ და მდინარეში ჰყრიდნენ მკვდარ ჩიტებს. შუქნათელ აღდგომა დღეს ასი წლის მღვდელმა ანტონიო ისაბელმა ამბიონიდან ხალხს აუწყა, სიკვდილიანობა ჩიტებს აგასფერმა მოუტანა. წუხელ საკუთარი თვალით ვიხილე იგიო, თხისა და ერეტიკოსი ქალის ნაშიერს, ჯოჯოხეთის მოციქულს ჰგავდაო. მისი სუნთქვა ჰაერს ავარვარებს, მის დანახვაზე კი ქალებს მახინჯი ნაყოფი ესახებათ საშოშიო. ცოტამ თუ ირწმუნა ეს აპოკალიფსური ნათქვამი, რადგან დანამდვილებით იცოდნენ, მათი მღვდელი კარგა ხანია ჭკუაზე იყო შექანებული. მაგრამ ოთხშაბათ დღეს, გამთენიისას ვიღაც ქალის შემზარავმა ყვირილმა ფეხზე წამოაგდო მთელი ქალაქი: ქალს რომელიღაც ოთხფეხა ცხოველის ჩლიქების ნაკვალევი შეუმჩნევია. კვალი ისეთი უცხოდესი და ზუსტი იყო, რომ ვინც ნახა, ეჭვიც არავის დაბადებია, ნამდვილად მღვდლის აღწერილი საზარელი ურჩხულის დატოვებული კვალი იყო. ეზოებში ხაფანგები დადგეს და რამდენიმე ხნის მერე უცნაური მხეცი დაიჭირეს კიდეც. ურსულას სიკვდილიდან ორი კვირის თავზე პეტრა კოტესი და აურელიანო მეორე მეზობლის ეზოდან წამოსულმა ტირილმა გააღვიძათ. ტირილი მოზვერის ზმუილს უფრო ჰგავდა. ამბის გასაგებად რომ გავიდნენ, კაცები უკვე შემოხვეოდნენ საოცრებას და ხაფანგის ბასრი კბილებიდან მის გათავისუფლებას ლამობდნენ; ხაფანგი ხმელი ფოთლებით გადახურულ ორმოში დაეგოთ ურჩხულისათვის. საოცრება აღარ ზმუოდა, სამუდამოდ დადუმებულიყო. ხარის წონისა იქნებოდა. თუმცა ტანით ბიჭის სიმაღლე იყო, ჭრილობიდან მწვანე, წებოვანი სისხლი სდიოდა. სხეული დაფარული ჰქონდა ტკიპებით სავსე ფუფხიანი ჯაგარა ბალნით. ჯოჯოხეთის მოციქულისა რა მოგახსენოთ, როგორც მღვდელმა თქვა, და ყველაფრით კი ადამიანს ჰგავდა, უფრო სწორად, დაუძლურებულ ანგელოზს უფრო ჰგავდა. სუფთა, მოვლილი ხელები და დიდი, ნაღვლიანი თვალები ჰქონდა, მხრებზე ორი ჭრილობა შეხორცებოდა, — ეტყობა, ძლიერი ფრთები ჰქონდა ერთ დროს და ნაჯახით მოეკვეთათ. გვამი მოედანზე, ერთ-ერთ ნუშის ხეზე დაჰკიდეს თავდაყირა ყველას დასანახად. მაგრამ ხორცმა გახრწნა რომ დაიწყო, ჩამოხსნეს და კოცონზე დაწვეს. გარკვევით კი ვერ გაარკვიეს ვინ იყო, ცხოველი იყო, მდინარეში რომ უნდა გადაეგდოთ, თუ ადამიანი — ქრის-

ტიანული დამარხვის ღირსი. ამგვარად, ვერაფრით ვერ დაადგინეს სიმართლე, რატომ იხოცებოდნენ ჩიტები; არც მღვდლის წინასწარმეტყველება გამართლდა: ურჩხულის დანახვაზე პატარძლებს მახინჯი ბავშვები არ ჩასახვიათ, არც პაპანაქებას მომატებია ძალა.

წლის ბოლოს რებეკა მოკვდა. მისმა ერთადერთმა და უცვლელმა მოახლემ არხენიდამ მთავრობის ხალხს სთხოვა, ჩემი ქალბატონი სამი დღის წინ ჩაიკეტა თავის საწოლ ოთახში და თუ შეიძლება, კარი შეამტვრიეთო. კარი შეტეხეს. გამელოტებული რებეკა მოკრუნჩხული იწვა თავის ეულ საწოლში და საჩვენებელი თითი პირში შეჰყინვოდა. აურელიანო მეორემ ითავა მიცვალებულის მოვლა-პატრონობა, მერე სახლის შეკეთებაც სცადა, იქნებ გავყიდოთ. მაგრამ ნგრევის სული ისე ღრმად გასჯდომოდა შენობას, რომ საკმარისი იყო კედელი შეეღება, რომ საღებავი იმწამსვე სცვიოდა; კირის სქელი ხსნარიც ვერ შველოდა იატაკში თავამოყოფილ სარეველა ბალახსა და ჩახურებული ხავერდის ბოჭკოების ლპობას.

ასე მიდიოდა ცხოვრება მაკონდოში წვიმების შემდეგ. მოთენთილ-მოშვებულ ხალხს ძალა აღარ შესწევდა შეჭიდებოდა გაუმაძღარ, სტომაქამოუყორავ დავიწყებას, ნელ-ნელა და უმოწყალოდ ნთქავდა მათ მოგონებებს და როდესაც ნეერლანდიის ზავის რომელიღაც წლისთავზე მაკონდოში ჩამოვიდა რესპუბლიკის პრეზიდენტის გამოგზავნილი ხალხი, რათა პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას მიერ არაერთხელ უარყოფილი ორდენი ბოლოს და ბოლოს ვინმეს მისი გვარისას მაინც გადასცემოდა, მაკონდოელები მთელი საღამო თავქუდმოგლეჯილი ეძებდნენ ისეთ კაცს, ვისაც ბუენდიების შთამომავალთა ადგილსამყოფელი ეცოდინებოდა. აურელიანო მეორემ კინაღამ სული წაიწყმიდა, იქნებ მეშველოს და სუფთა ოქრო იყოსო ორდენი, მაგრამ პეტრა კოტესმა დროზე შეაჩერა, უღირს საქციელად ჩაგვეთვლებაო, და იმანაც ხელი აიღო თავის განზრახვაზე, თუმცა პრეზიდენტის ხალხს ორკესტრიც მოეყვანა და საზეიმო საღამოზე წარმოსათქმელი სიტყვაც გაეზუთხათ. სწორედ იმ ხანებში დაბრუნდნენ მაკონდოში ბოშები — მელკიადესის განსწავლულობათა უკანასკნელი მფლობელნი. ქალაქი დაცარიელებული დახვდათ. თვითონ მაკონდოელები ისე ჩაკეტილიყვნენ და გამოთიშვოდნენ გარე სამყაროს, რომ ბოშებმა კვლავ დაიწყეს კარდაკარ სიარული დამაგნიტებული რკინის ძელებით ხელში, თან არწმუნებდნენ, ბაბილონელ ბრძენთა ბოლო გამოგონებააო. კვლავ მოუყარეს თავი მზის სხივებს უზარმაზარ ლუპაში. მაკონდოში ჭკუათხელებს რა გამოლევდა და ისინიც პირღია შესცქეროდნენ მაგნიტის მიახლოებაზე თაროებიდან დაძრულ ჯამებსა და ქვაბებს. არც ცნობისმოყვარეები აკლდა მაკონდოს და ისინიც ორმოცდაათ სენტავოს იხდიდნენ მხოლოდ იმისათვის, რომ ეცქირათ, ბოშა ქალი როგორ იღებდა პირიდან ხელოვნურ კბილებს და მერე კვლავ როგორ იდგამდა. დაცარიელებულ სადგურზეც უგულოდ ჩამოდგებოდა ხოლმე ძველი ორთქლმავალი, რომელიც ერთ-ორ ყვითელ ვაგონს მოარიხრიხებდა მხოლოდ. მატარებელს არც არავინ მოჰყავდა და არც არაფერი მოჰქონდა. სადღა იყო მგზავრებით გადავსებული ლამაზი მატარებელი, რომელსაც ბოლოში მიბმული ჰქონდა ბატონ ბრაუნის შუშის სახურავიანი, საეპისკოპოსო სავარძლებით მორთული ვაგონი, აღარც ხილის ვაგონ-მაცივარი ჩანდა სადმე. ეკლესიის წარმომადგენლები მაკონდოში ჩამობრძანდნენ, რათა ადგილზევე შეემოწმებინათ მღვდელ ანტონიო ისაბელის ნათქვამი ჩიტების უცნაურ სიკვდილი-

ნობასა და აგისტურის მიზეზობლად შეწირულ თაობაზე, მაგრამ პატივცემული მღვდელი ბავშვებს დამალობანას ეთამაშებოდა და მისი ნათქვამიც ბევრი ყა-ყის მოჩვენებას დაამთხვიეს და ჭკუასუსტთა თავშესაფარში [illegible] რამდენიმე დღის მერე ქალაქში ჩამოვიდა ავგუსტო ანხელი. ახალი [illegible] მღვდელი: უდრეკი, უშიშარი და ურიცხვი კი, ზარებს თვითონ რეკდა [illegible] მორწმუნეთა გამოსაფხიზლებლად, [illegible] დადიოდა [illegible] დალის წირვაზე დასასწრებლად. მაგრამ ერთი წელიწადიც არ იყო გასული, რომ მღვდელმა ავგუსტო ანხელმა თავი დამარცხებულად სცნო. ძალა არ ეყო შებრძოლებოდა გავრცელებულ ჰაერში მოფარფატე სიზარმაცის სულს, ყველა კუთხე-კუნჭულში რომ იწვებოდა და ყველაფერს აბერებდა. პაპანაქებაში კვლავ ძილს ერეოდა თავს და ხორცის გულგრილობაც ყელში ამოსვლოდა უკვე.

ურსულას სიკვდილის მერე სახლში კვლავ დაისადგურა სიცარიელემ, რასაც წლების მერეც ვერაფერი უშველა ჯიუტმა და თავნება ამარანტა ურსულამაც კი. მხიარულმა, თავნებამ, უკვე დიდმა ქალმა, როცა ყურადღებით გააღო კარ-ფანჯრები ნგრეული, სული გასაღვიძებლად გაალამაზა ბაღი, გაწყვიტა წითელი ჭიანჭველები, დღისით-მზისით [illegible] რომ [illegible] და ამაოდ შეეცადა [illegible] ყურაში გაეღვიძებინა სტუმართმოყვარეობის მიმქრალი ცეცხლი. ფერნანდას სწრაფვა ჩაკეტილი ცხოვრებისაკენ გადაულახავ დაბრკოლებად ექცა ასი წლის დაუღალავ ურსულას. [illegible] რომ გადაიარა, ფერნანდამ საერთოდ აკრძალა კარის გაღება. ის კი [illegible] ბრძანა, ფანჯრებზე ხის ჯვრები აჭედეთო. ქალი, მშობლების დანაბარებს ვასრულებ და ცოცხლად ვიმარხავ თავსო. უხილავ მკურნალებთან მიმოწერა მარცხით დამთავრდა მისთვის. მობეზრდა ამდენი „დღეს არა, ხვალ", თავის საწოლ ოთახში ჩაიკეტა დათქმულ დღესა და საათს, ლოგინში ჩაწვა, თავი ჩრდილოეთისაკენ ქნა და თეთრი ზეწარი გადაიფარა. შუაღამისას იგრძნო, რომ ყინულივით სითხეში დასველებული ხელსახოცი დაადეს სახეზე. როდესაც გამოიღვიძა, ფანჯარაში მზე ბრწყინავდა, სხეულზე კი, ფერდიდან მკერდამდე, რკალისებური ჭრილობის ნაწიბური აჩნდა. მაგრამ [illegible] ახალი ნაოპერაციები საწოლიდან წამოდგებოდა. უხილავ მკურნალებისაგან უსიამო წერილი მიიღო. წერილში იტყობინებოდნენ — მთელი ექვსი საათი გულდასმით გამოგიკვლიეთ, [illegible] გვწერდითო. ფერნანდას ერთი დამღუპველი ჩვევა ჰქონდა, პირდაპირ და სწორად არაფერს იტყოდა. სწორედ ამ ჩვევამ უღალატა [illegible] დასტაქრებმა მხოლოდ საშვილოსნოს დაწევა აღმოაჩინეს, ამას კი [illegible] უშველებოდა ბანდაჟის დამაგრებით. გულდაწყვეტილმა ფერნანდამ სრული და გასაგები ახსნა-განმარტება მოსთხოვა მკურნალებს, მაგრამ მათ საპასუხო წერილი აღარ გამოუგზავნიათ. სიტყვა „ბანდაჟმა" ისე დაიბნია და გაანადგურა ფერნანდა, რომ გადაწყვიტა სირცხვილი დაეძლია, ფრანგ ექიმთან მისულიყო და ეკითხა, რას ნიშნავს „ბანდაჟიო". მაგრამ სწორედ მაშინ გაიგო, ექიმს სამი თვის წინ თავი ჩამოეხრჩო და [illegible] მეგობარს იგი სასაფლაოზე დაუკრძალავს. მაშინ ფერნანდამ თავის ვაჟს ხოსე არკადიოს [illegible] და [illegible] სი ხმარების წესიც. ფერნანდამ წესი ზეპირად [illegible] საპირფარეშოში, ახლოდა, არავინ გაიგოს [illegible] ამიტომ

ფორთხილობდა, ამ სახლის ახლანდელ მკვიდრთ მისთვის არ ეცალათ. სანტა სოფია დე ლა პიედადი მარტოობასა და სიბერეში დაფუსფუსებდა. მთელი ოჯახისთვის ღარიბულ სადილს ის ამზადებდა, თავისუფალ დროს კი ხოსე არკადიო მეორეს უვლიდა. ამარანტა ურსულას მშვენიერი რემედიოსისგან მემკვიდრეობად მიეღო ცოტაოდენი მიმზიდველობა, წინათ ურსულას წვალებით რომ ერთობოდა, ახლა იმ დროს გაკვეთილების დამზადებას ანდომებდა. ისეთი ბეჯითი და გონიერი გოგო დადგა, რომ აურელიანო მეორეს იმედის სხივი ჩაუდგა გულში, მემეს დაემსგავსაო. მამა ქალიშვილს შეჰპირდა, სწავლის გასაგრძელებლად ბრიუსელში გაგაგზავნიო. ჯერ კიდევ ბანანის კომპანიის დროს შემოიღეს წესად ბავშვების გაგზავნა სხვა ქალაქებში სწავლის გასაგრძელებლად. ამ ოცნებამ აურელიანო მეორე აიძულა კვლავ დაეთხარა ნიაღვრებით დაჭმული მიწა. იგი შინ იშვიათად მოდიოდა და ისიც, ამარანტა ურსულასათვის. ფერნანდასთვის იგი უცხო იყო. პატარა აურელიანო კი რაც უფრო იზრდებოდა, მით უფრო იკეტებოდა თავის მარტოობაში. აურელიანო მეორეს სჯეროდა, სიბერეში ფერნანდას გული მოუბრუნდება თავის უკანონო შვილიშვილზე და ნებას დართავს ცხოვრებას გემო გაუგოს, ხალხში გაერიოს, ვის რაში დააინტერესებს მისი წარმოშობაო, მაგრამ, ეტყობა, თვითონ აურელიანო მიეჩვია განდეგილობასა და განმარტოებას, ქვეყნიერების გაცნობის პაწია სურვილიც კი არასოდეს გამოუთქვამს, სულაც არ ჩავარდნილა გულისხმაში, რა ხდება მისი სახლის კედლებს მიღმა. მას შემდეგ, ურსულამ მელკიადესის ოთახის კარი რომ გააღებინა, აურელიანო ხშირად ბოდიალობდა ოთახთან, ჭუჭრუტანაში იყურებოდა და ვერავინ გაიგო, როდის და როგორ მოახერხეს მან და ხოსე არკადიო მეორემ ურთიერთის გაცნობა და დაახლოვება. აურელიანო მეორე მხოლოდ რამდენიმე კვირის მერე მიხვდა, მისი ძმა და შვილიშვილი რომ დამეგობრებულიყვნენ: ბიჭმა ყველას უამბო, როგორ გაჟლიტეს ხალხი სადგურის მოედანზე. ერთხელ სუფრასთან ვიღაცამ სინანულით თქვა, რაც ბანანის კომპანიამ მიგვატოვა, ჩვენი საქმე უკან წავიდაო; პატარა აურელიანო შეეკამათა ამის მთქმელს; მის სიტყვებში ჩანდა მოწიფული და საზრიანი კაცი. პირიქით, თქვა მაშინ აურელიანომ, მაკონდოს დიდი მომავალი ელოდა, მაგრამ სწორედ ბანანის კომპანიამ ააცდინა სწორ გზას. პირწმინდად გაფცქვნეს და გარყვნეს ჩვენი ქალაქი, ინჟინრებმა კი, ოღონდ მუშების მოთხოვნები არ დაეკმაყოფილებინათ და ნიაღვრები გამოიწვიეს. ბიჭი ისე ჭკვიანურად მსჯელობდა, ისე ზუსტად და დაწვრილებით ჰყვებოდა სადგურზე თავმოყრილი სამი ათასზე მეტი ადამიანის ტყვიამფრქვევებით გაჟლეტისა და მერე გვამებით სავსე ორასი ვაგონის ზღვაში გადაშვების ამბავს, თითქოს საკუთარი თვალით ენახოს. ფერნანდას სხვასავით სჯეროდა მთავრობის განცხადება, სადგურის მოედანზე არაფერიც არ მომხდარაო, და ახლა ბიჭის ლაპარაკს რომ უგდებდა ყურს, შიშმა შეიპყრო, პატარა აურელიანო ნამდვილად პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას დაემსგავსა ანარქისტობაშიო. და გაბრაზებულმა შეუყვირა, გაჩუმდიო. სამაგიეროდ აურელიანო მეორემ აუბა მხარი, ჩემი ტყუპის ცალი ძმა ტყუილს არ გეტყოდაო. მართლაც, ხოსე არკადიო მეორე, ყველას გიჟი რომ ეგონა, სინამდვილეში ყველაზე გონიერი იყო მთელს სახლში. პატარა აურელიანოს მან შეასწავლა წერა-კითხვა და ჩაუნერგა პერგამენტების ამოკითხვის სურვილი. ჩაუნერგა აგრეთვე თავისი მოსაზრებაც — ბანანის კომპანიამ უბედურება მოუტანა მაკონდოსო. ეს მო-

საზრდო ისე ემიჯნებოდა ასტრონომიულ ზღვარს და სახელმოხვეჭილ ფილოსოფოსის ... სიებს, რომ მრავალი წლის მერე აურელიანო კვლავ ხომ რომ შედგამს ფეხს, მას ნაამბობს არავინ დაიჯერებს. განმარტოებულ ოთახში სადაც ... შეუღწევია არც ხორშაკს, არც მტვერსა და ჰაპაზებს. ისინი ... ხედვენ და იგონებდნენ ყორნის ფრთებიანი ფარფლებგაშლილ ... მორეულ აჩრდილს, ჩათ დაბადებამდე დიდი ხნით ადრე რომ ... ქვეყნის ამბებს. ხოსე არკადიო მეორემ და აურელიანომ ერთდროულად ... რომ ამ ოთახში მუდამ მარტის თვე და ორშაბათი დღე იდგა და მაშინ მიხვდნენ: რა უსამართლოდ ექცეოდნენ თურმე ხოსე არკადიო ბუენდიას, გიჟად რომ მიიჩნდათ. არადა, ის იყო ერთადერთი კაცი მთელს ოჯახში, ვისაც თავისი ნათელი გონებით შეეძლო ჩასწვდენოდა ჭეშმარიტებას — დროის მსვლელობას გზადაგზა დაბრკოლებები ელობება და ამ დაბრკოლებათა გადალახვისას შეიძლება ერთი მონაკვეთი მოწყდეს და სადღაც, ვთქვათ, რომელიღაც ოთახში გაიჭედოს ნიალვარის ჩამოშორებული სამარადისოდ გაყინული წვეთივით. ხოსე არკადიო მეორემ მოახერხა პერგამენტები დაეყო კრიპტოგრაფიული ნიშნების მიხედვით და შემდეგ შეადგინა ტაბულა. მელკიადესის ხელით ნაწერი ასოები ობობებსა და ტკიპებს ჰგავდნენ, ხოლო სტრიქონებად აკინძული სიტყვები თოკზე გასაშრობად გაფენილ სარეცხს მოაგონებდა კაცს. ამ ნაწერის მიხედვით ხოსე არკადიო მეორემ ორმოცდაცამეტიდან ორმოცდაშვიდი ასო ამოიცნო და ამოიკითხა. აურელიანო მეორეს გაახსენდა, ენციკლოპედიაში რომ ენახა რაღაც ამდაგვარი ტაბულები, სასწრაფოდ მოუტანა ძმას შესადარებლად. ტაბულები მართლაც ერთნაირი იყო.

აურელიანო მეორემ ჯერ კიდევ მაშინ იგრძნო როგორ წაუჭირა ყელში რაღაცამ შეკავებული ქვითინივით, როდესაც გამოცანების ლატარიის მოწყობა განიზრახა. პეტრა კოტესმა მისი უხასიათობა გაჭირვებასა და სიღარიბეს დააბრალა და მთელი წლის მანძილზე ყოველ დილით თაფლში ამოვლებული ფუნჯით უწმენდდა სასას და ასმევდა ბოლოკის დაწურულ წვენს. მაგრამ ყელში მოწოლილმა სიმსივნემ სუნთქვა რომ გაუძნელა, აურელიანო მეორემ პილარ ტერნერას მიაკითხა, იქნებ რამე სამკურნალო ბალახი იცოდესო. მის ჯანგაუტეხავ ასი წლის ბებიას, რომელსაც კვლავ საიდუმლო სახლის პატრონის საპასუხისმგებლო თანამდებობა ეჭირა, წინასწარმეტყველება სჯეროდა მედიცინისა და რჩევისათვის ისევ თავის კარტს მიმართა. ყვავის მეფე ყვავის ვალეტს დაშნით დაეჭრა ყელში — პილარ ტერნერამ კარტში ამოკითხული თავისებურად ახსნა: ფერნანდა ცდილობდა ქმარი დაებრუნებინა ძველებური ჯადოქრობით — ქინძისთავით ჩხვლეტა მის სურათს, მაგრამ ვინაიდან ფერნანდას ჯადოქრობაში საკმარისად არ მიუწვდება ხელი, მისმა შელოცვამ აურელიანო მეორეს სახლში დაბრუნების სურვილის ნაცვლად სიმსივნე ჩაუსახა სხეულში. აურელიანო მეორეს კარგად ახსოვდა, ქორწილის დღეს გადაღებული სურათის გარდა მას სხვა სურათი არა ჰქონია, ისიც საოჯახო ალბომში იყო ჩაწებებული. მაგრამ ცოლისაგან ჩუმად ერთ დღეს მთელი სახლი გადაატრიალა სურათის ძებნაში და კომოდის უჯრაში შემთხვევით გადააწყდა ლამბაქს და ქაღალდის კოლოფებში ჩაწყობილ ქამრიან ბანდაჟს. აურელიანო მეორემ იფიქრა, წამლებით გაჟღენთილი რეზინის პაჰაპუჭებით უნდა ფერნანდას ჩემი მოჯადოებაო, ჯიბეში ჩაიდო ერთი ცალი და სასწრაფოდ გაიქცა პილარ ტერნერასთან საჩვენებლად. პილარ ტერნერამ დიდხანს ატრიალა ხელში, ვერაფერი გაუგო, რა იყო, რის-

თვის იყო, მაგრამ საეჭვო კი მოეჩვენა. აურელიანო მეორეს ყველა მოატანინა ეზოში კოკონი გააჩალა და სათითაოდ შიგ გადაუარა. ფერნანდას ჯადოსაგან რომ საბოლოოდ განთავისუფლებულიყო, პეტრა კოტესმა აურელიანო მეორეს უთხრა, როცა შენი შარვალი გადაამხმე და [illegible] ჩააწყვეო. აურელიანო მეორემ განკურნების იმედით ყველაფერი [illegible] გააკეთა, როგორც უბრძანეს და კოკოს მიწა და გამხმარი ფოთლები [illegible]. მოეჩვენა სუფთავე გამოიღვიძლდაო. ფერნანდამ ბანდაჟების [illegible] მეურნალეებს მიაწერა, პერანგს შიგნიდან ჯიბე გამოაკერა და იმ დღიდან შვილის გამოგზავნილი ახალი ბანდაჟები ფულთან ერთად თან დაჰქონდა.

კოკოს ცოცხლად დამარხვიდან ექვსი თვის თავზე აურელიანო მეორე საშინელმა ხველებამ გამოაღვიძა. შიგნეულს თითქოს უგლეჯდა უზარმაზარი კიბოს რკინის მარწუხები. მხოლოდ ახლაღა მიხვდა, რომ რამდენი ჯადო-ქამარი არ უნდა დაეწვა და შელოცვილ კოკოსთვის მარილი არ გადაესხა, სულ ერთია, მაინც არ ასცდებოდა ერთადერთი ნაღდი და სამწუხარო ჭეშმარიტება — სიკვდილი. არავისთვის არაფერი უთქვამს, ვაითუ ამარანტა ურსულას ბრიუსელში გაგზავნამდე მოვკვდეო, ამის შიშით წელებზე ფეხს იდგამდა, კვირაში სამჯერ მართავდა ლატარიას, დილაუთენია მთელ ქალაქს შემოირბენდა, ღარიბულ გარეუბნებსაც მიაკითხავდა და მოახლოებული სიკვდილით გულდამძიმებული ბილეთების გასაღებას ცდილობდა. „განგების ნება, განგების ნება! — ყვიროდა ის, — ხელიდან ნუ გაუშვებთ, ეს წელიწადში ერთხელ მოდის". ძალით იმხიარულებდა თავს, თავაზიანადაც მიმართავდა ყველას, მაგრამ გაოფლილ უფერულ სახეზე ეტყობოდა, ამ ქვეყნისა აღარ იყო. ზოგჯერ სადმე მოფარებულში შეიყუჟებოდა, რათა შიგნეულში ჩაჭიდებული რკინის მარწუხებისაგან ერთი წამით მაინც მოეთქვა სული. შუაღამისას მეძავთა უბანში დაეხეტებოდა. დიდი ბოხებით ხიბლავდა ქუჩაში თავმოყრილ ქალებს. [illegible] ლატარია თუ არ გათამაშებულა, — ეუბნებოდა მათ, — ხელიდან არ გაუშვათ. ეს ცხოვრებაში ერთხელ ხვდება, [illegible] დიდი-დიდი ყვიროდა, რომ ყველამ თავი მოაბეზრა, [illegible] ეპატიჟებოდნენ და უბრალოდ ეპყრობოდნენ. [illegible] აურელიანო მეორეს ხმა წავიდოდა. [illegible] ჩაეხრინწა, და მაინც რაღაც სასწაულით ხალხს მაინც უყრიდა თავს [illegible] ეზოში. მაგრამ რაც უფრო ელეოდა ხმა და ტკივილიც აუტანელი [illegible] უტევდა, აურელიანო მეორე მით უფრო ხვდებოდა, რომ ლატარიაში გათამაშებული ღორები და თხები არ ეყოფოდა ბრიუსელში ქალიშვილის გამგზავრებას და მაშინ უცბად მოაფიქრდა, მოეწყო ჯერ არგაგონილი [illegible] ლატარია. გაეთამაშებინა წვიმებით გამოჭმული მიწა. ფულიან ხალხს [illegible] გაუძნელდებოდა მისი ყიდვა! ეს აზრი [illegible] მთავა ლატარიის გამოცხადება. ერთი ბილეთი ასი პესო ღირდა. [illegible] ჩამოაყალიბეს, რათა ერთობლივად შეეძინათ ბილეთი [illegible] ყველა ბილეთი გაიყიდა. ლატარიის გათამაშების ღამეს კი [illegible] შოვება, დიდებული ზეიმი გაუმართავს, თითქოს წამის [illegible] ბანანის კომპანიისდროინდელი მხიარული და ხმაურიანი დღეები, აურელიანო მეორემ უკანასკნელად დაუკრა აკორდეონზე ფრანსისკო-ადამიანის ძველი, მივიწყებული სიმღერები; სიმღერით კი ვერ იმღერა.

ორი თვის მერე ამარანტა ურსულა ბრიუსელში გაემგზავრა. აურელია-

ნო მეორემ ამ არაჩვეულებრივი ლატარიიდან შემოსული ფულიც მას მისცა, ბოლო თვეებში თავმოყრილი ფულიც გაატანა და პიანოლაში, კლავიკორდსა და ძველ ავეჯში აღებული ფულიც ზედ დაუმატა. მისი ანგარიშით, ეს ფული ბრიუსელში ყოფნისას სულ უნდა ჰყოფნოდა მის ქალიშვილს, [illegible] უკან დაბრუნებისას ეყოფოდა თუ არა, ეს აღარ იცოდა. ფერნანდას სულის სიღრმემდე აშფოთებდა ის ამბავი, რომ ბრიუსელი ასე ახლოს მდებარეობდა ცოდვილ პარიზთან, ჯიუტად უარობდა, არ გავუშვებო, მაგრამ იგი დაამშვიდა კათოლიკე გოგონათა პანსიონში გაგზავნილმა მღვდელ ანხელის სარეკომენდაციო ბარათმა, პანსიონს მონაზვნები განაგებდნენ და ამარანტა ურსულაც შეჰპირდა დედას, სწავლის დამთავრებამდე იქ ვიცხოვრებო. გარდა ამისა, მღვდელმა კითხვა-კითხვით გამოძებნა ტოლედოში მიმავალი ფრანცისკანელი მონაზვნები, რომლებსაც ქალიშვილი ტოლედომდე დაემგზავრებოდეთ. იქიდან კი ვინმე სანდო კაცს გააყოლებდნენ ბრიუსელამდე. ვიდრე ამ საკითხზე გაცხარებული მიმოწერა მიმდინარეობდა, აურელიანო მეორე და პეტრა კოტესი ამარანტა ურსულას გამგზავრების თადარიგს იჭერდნენ. საღამოსთვის ქალიშვილის ბარგი ფერნანდას ნამზითვ ზანდუკში იყო ჩაწყობილი. ყველაფერი ისე კარგად მოეფიქრებინათ წინასწარ, რომ მომავალმა სტუდენტმა ზეპირად იცოდა, ატლანტის ოკეანის გადაკვეთისას რომელი კაბა და ფეხსაცმელი უნდა ჩაეცვა, სად იდო მისი ლითონის ღილებიანი ცისფერი სუქნის პალტო და ტარსიკონის ფეხსაცმელი, ნაპირზე გადასვლისას რომ უნდა გამოეცვალა. კარგად იცოდა აგრეთვე, როგორ უნდა გაევლო ხიდულზე, წყალში რომ არ ჩავარდნილიყო, არც ერთ ნაბიჯზე არ უნდა მოშორებოდა მონაზვნებს, კაიუტიდან მხოლოდ საჭმელად გამოსულიყო, არავის გამოლაპარაკებოდა ღია ზღვაში. თან გაატანეს ზღვის ავადმყოფობის საწინააღმდეგო წვეთები და რვეული, სადაც მღვდელმა ანხელმა საკუთარი ხელით ჩაუწერა მოსალოდნელი ქარიშხლის თავიდან ასაცილებელი ექვსი შელოცვა. ფერნანდამ მაგარი ტილოს ქამარი შეუკერა ფულის შესანახად, ღამითაც არ მოიცილოო. ძალიან უნდოდა ქალიშვილისათვის თავისი ოქროს ღამის ქოთანიც ეჩუქებინა—სავარაუდოდ გამორეცხა მცენარეული წყლით და სპირტიც გამოვლო—მაგრამ ამარანტა ურსულა სასტიკ უარზე დადგა, მომავალი ამხანაგები დამცინებენო. გავა რამდენიმე თვე და მომაკვდავ აურელიანო მეორეს თავისი ქალიშვილი ისეთივე წარმოუდგება თვალწინ, უკანასკნელად რომ ნახა: ამარანტა ურსულა ამაოდ ეჯაჯგურებოდა მეორე კლასის ვაგონის დამტვერილ ფანჯარას, ბაქანზე მდგომ ფერნანდას ბოლო დარიგება რომ მოესმინა. ქალიშვილს ვარდისფერი კაბა უხდებოდა. მარცხენა მკერდზე ხელოვნური იასამნის ტოტი მიემაგრებინა. დაბალქუსლიანი ტარსიკონის ფეხსაცმელი და აბრეშუმის წინდები ეცვა. გამხდარი ტანისა იყო, გრძელი ჩამოშლილი თმა და ურსულასავით ცოცხალი თვალები ჰქონდა. სულიერი სიმტკიცეც ეტყობა, ურსულასაგან მიეღო მემკვიდრეობად: გამომშვიდობებისას ერთი ცრემლიც არ გადმოუგდია, ღიმილიც არ გაუნელებია. მოყისათვის დაძრულ მატარებელს ფეხდაფეხ მიჰყვა აურელიანო მეორე, რომელსაც ხელკავით მიჰყავდა ფერნანდა. მხოლოდ ახლა გამოუგზავნა ქალიშვილმა ჰაეროვანი კოცნა და მამამაც ძლივს მოასწრო საპასუხოდ ხელის დაქნევა. ცოლქმარი დიდხანს იდგა მხურვალე მზის ქვეშ და გასცქეროდნენ ჰორიზონტზე პატარა შავ წერტილად ქცეულ მატარებელს. ქორწილის მერე პირველად იდგნენ ასე ხელიხელჩაკიდებული.

ცხრა აგვისტოს, ვიდრე ბრიუსელიდან პირველ წერილს მიიღებდნენ, ხოსე არკადიო მეორე და აურელიანო ჩვეულებისამებრ მელკიადესის ოთახში ისხდნენ და საუბრობდნენ. უცებ ხოსე არკადიო მეორემ თქვა:

— კარგად დაიმახსოვრე, სამი ათასზე მეტი კაცი იყო და ყველანი წყალში გადაყარეს.

მერე პერგამენტებს პირქვე დაემხო და თვალღია მოკვდა. იმავე წამს მოელო ბოლო ფერნანდას საწოლში მისი ტყუპისცალი ძმის მტანჯველ ბრძოლას რკინისმარწუხებიან კიბოსთან, ყელს რომ უღადრავდა. ერთი კვირის წინ დაბრუნდა აურელიანო მეორე მშობლების სახლში ხმაწართმეული, სუნთქვადამძიმებული და გაძვალტყავებული, თან მოიტანა თავისი მოარული ზანდუკები და აკორდეონი, დაბრუნდა, რათა ცოლისათვის მიცემული სიტყვა არ გაეტეხა — მომკვდარიყო მის გვერდით. პეტრა კოტესი ბარგის ჩალაგებაში მიეხმარა და უცრემლოდ გამოემშვიდობა, მაგრამ საკუბოვე ლაქის ფეხსაცმლის გატანება კი დაავიწყდა. როდესაც ამბავი მოუტანეს, აურელიანო მეორე მოკვდაო, შავად შეიმოსა, ფეხსაცმელი გაზეთში გაახვია და ფერნანდას შეუთვალა, მიცვალებულთან გამოთხოვების ნება დამრთეო. ფერნანდამ ზღურბლზე არ გადააბიჯებინა ფეხი.

— ჩემს ადგილზე წარმოიდგინეთ საკუთარი თავი, — ემუდარებოდა პეტრა კოტესი, — ნუთუ ვერ ხვდებით, მიყვარდა და ამიტომაც ვიმცირებ ასე თავს.

— ყოველნაირი დამცირების ღირსია ხასა. უკანონო ცოლი, — დაგესლა ფერნანდამ. — ახლა წადი და დაელოდე, ვიდრე არ მოკვდება მრავალთაგან ერთი, ვისთანაც შენ დრო გიტარებია. იმას ჩააცვი ეგ ფეხსაცმელი.

სანტა სოფია დე ლა პიედადს შვილისათვის მიცემული სიტყვა რომ აღესრულებინა — ცოცხლად არავის დავამარხვინებო შენს თავს — სამზარეულოს დანით მოჭკვეთა თავი ხოსე არკადიო მეორის გვამს. მიცვალებულები ერთნაირ კუბოებში ჩააწვინეს და მაშინვე შეამჩნიეს, სიკვდილშიც ისე დამსგავსებოდნენ ერთმანეთს, როგორც ბავშვობაში ჰგავდნენ. ძველმა თანამეინახეებმა აურელიანო მეორის კუბოზე ლილისფერ ბაფთიანი გვირგვინი დადეს. ბაფთაზე ეწერა: „ძროხებო, გამრავლდით: ეს ცხოვრება ხანმოკლეა!“ ფერნანდა გაარისხა ამ თავხედობამ და ბრძანა, გვირგვინი ფეხსალაგში ჩააგდეთო. ბოლო წუთებში მწუხარებით გულდამძიმებულმა კაცებმა კუბოები ერთმანეთში აურიეს: ხოსე არკადიო მეორე აურელიანო მეორის საფლავში ჩაასვენეს, აურელიანო მეორე კი ხოსე არკადიო მეორისთვის გათხრილ სამარეში.

აურელიანომ არა ერთი და ორი წელიწადი გაატარა მელკიადესის ოთახში. დაფლეთილი წიგნებიდან ზეპირად შეისწავლა ფანტასტიკური ლეგენდები, ბერი ჰერმან დადამბლავებულის მოძღვრება, შენიშვნები დემონოლოგიურ მეცნიერებაზე, ფილოსოფიური ქვის საძიებელი სახელმძღვანელო, ნოსტრადამუსის „საუკუნეები“ და მისივე დაკვირვებანი შავ ჭირზე, ისე შეაბიჯა ყრმობაში, რომ არაფერი იცოდა თანამედროვეობაზე, სამაგიეროდ შუასაუკუნეების მეცნიერებაში ფრიად განსწავლული იყო. რა დროსაც არ უნდა შესულიყო სანტა სოფია დე ლა პიედადი მის ოთახში, მუდამ კითხვაში გართული ხვდებოდა. ბადიშის შვილი დილაუთენია უშაქრო ყავა შეაქონდა მასთან, შუადღისას — ერთი თეფში მოხარშული ბრინჯი და შემწვარი ბანანი. აურელიანო მეორის სიკვდილის მერე სხვა საჭმელი არც ღირსებიათ. თმა შეჭრა, ტილები მოაშორა,

მიყუდებული ზანდუკებიდან ძველი ტანსაცმელი და საცვლები ამოქექა და გადაუკეთა. ღინღლმა პირისახე რომ დაუფარა, პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას ნაქონი სამართებელი და საპნის ჭიქა აჩუქა. შვილები არ ჰგავდნენ პოლკოვნიკს ისე, როგორც ეს აურელიანო ჰგავდა. განსაკუთრებით ყვრიმალებითა და პირის კუთხეში ღრმა ხაზით, მტკიცე და ოდნავ დამცინავ იერს რომ აძლევდა მის სახეს. ოდესღაც ამ ოთახში აურელიანო მეორეს [illegible] არაერთხელ მოსჩვენებია, საკუთარ თავს ელაპარაკებოდაო. ახლაც [illegible] სანტა სოფია დე ლა პიედადსაც აურელიანოს შემხედვარეს. და მართლაც, აურელიანო მელკიადესს ელაპარაკებოდა. ერთ პაპანაქება შუადღეს, ტყუპი ძმების სიკვდილის მერე, მზით განათებულ ფანჯრის წინ აურელიანომ დაინახა სახემოქუშული ბერიკაცი, რომელსაც ყორნის ფრთებივით შავი და ფარფლებგაშლილი ქუდი ეხურა, თითქოს გაცოცხლებულიყოს იმ მოხუცის ბუნდოვანი სახება, ჯერ კიდევ დაბადებამდე რომ მოკალათებულიყო აურელიანოს მეხსიერებაში... იმ ხანებში მან უკვე თავიდან ბოლომდე ამოიცნო პერგამენტების ანბანი. როდესაც მელკიადესმა ჰკითხა, თუ იცი რომელ ენაზეა დაწერილი ეს პერგამენტებიო, აურელიანომ უყოყმანოდ უპასუხა:

— სანსკრიტზე.

მელკიადესმა უთხრა, ამიერიდან ამ ოთახში იშვიათად მომიწევს მოსვლა, მაგრამ სამაგიეროდ მშვიდად და საბოლოოდ მოვკვდები, რამეთუ ვიცი, რამდენიმე წელიწადში სანსკრიტს ძირიანად შეისწავლი, მერე კი ამ პერგამენტებს მალე ასი წელიც შეუსრულდება და მისი ამოკითხვაც შესაძლებელი გახდებაო. აურელიანოს სწორედ მელკიადესმა შეატყობინა, მდინარისპირა ქუჩაზე ბანანის კომპანიის წლებში მკითხავებისა და სიზმრის ამომხსნელთა უბანი რომ იყო, ერთ სწავლულ კატალონიელს წიგნების ფარდული აქვს, ამ ფარდულში იშოვი სწორედ „Sanscrit primer"[1]. სასწრაფოდ იყიდე ეს წიგნი, თორემ ექვსი წლის მერე ჩრჩილი შეჭამსო. სანტა სოფია დე ლა პიედადს თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე არავითარი გრძნობა არ გამოუმჟღავნებია საერთოდ, მაგრამ ახლა, როდესაც აურელიანომ სთხოვა, ფარდულში წასულიყო და ის წიგნი მოეტანა, რომელიც „განთავისუფლებულ იერუსალიმსა" და მილტონის პოემებს შორის იდო მეორე თაროზე მარჯვენა კუთხეში, ქალს უსაზღვრო გაკვირვება გამოეხატა სახეზე. მან კითხვა არ იცოდა და ამიტომ ზეპირად დაისწავლა აურელიანოს დანაბარები. გადამალულ ჩვიდმეტ ოქროს თევზს ერთი მოაკლო, გაყიდა და წიგნის ფული იშოვა. მხოლოდ მან და აურელიანომ იცოდნენ ოქროს თევზების სამყოფელი იმ ღამის მერე, ჯარისკაცებმა რომ გაჩხრიკეს სახლი.

აურელიანო სანსკრიტს ჩაუჯდა და დღითი დღე წინ მიიწევდა, მელკიადესი კი უკვე იშვიათად მოდიოდა, ნელინელ შორეული ხდებოდა, ქრებოდა და შუადღის დამაბრმავებელ შუქში უფერულდებოდა. ბოლო მოსვლაზე აურელიანომ უკვე ველარ დაინახა მოხუცი, მხოლოდ უხილავი იქ ყოფნა იგრძნო მისი და ჩურჩულიც მოესმა: „ციებამ მომკლა სინგაპურის ჭაობებში". იმ დღიდან იქცა ოთახი მტვრის, სიცხის, ბუღის, ხის ჭიების, წითელი ჭიანჭველებისა და ჩრჩილის სანავარდო ადგილად, იმ დღიდან დაემუქრათ ამ ბრძნულ წიგნებსა და პერგამენტებს გაცამტვერება.

სახლში საჭმელი უკვე სამყოფად ჰქონდათ. აურელიანო მეორის სიკვდილიდან სულ რაღაც ორიოდე დღის მერე ერთმა მისმა მეგობარმა, — სწორედ

---

[1] სანსკრიტის დაწყებითი კურსი (ინგლ.)

იმან, ვინც მიცვალებულს თავხედური გვირგვინი მოართვა — ფერნანდას ფული მოუტანა, თქვენი მეუღლის ვალი მქონდაო. ამ დღიდან მოყოლებული ყოველ ოთხშაბათ დღეს ვიღაც კაცს მოჰქონდა სანოვაგით სავსე კალათი — მთელი კვირის სარჩო. ეჭვადაც არავის გაუვლია, რომ პეტრა კოტესი უგზავნიდა საჭმელს — ასე სამოწყალო მოსაკითხით სურდა დაემცირებინა თავისი დამამცირებელი. პეტრა კოტესს გულში დაგროვილი ბოღმა უფრო მალე გაუქრა, ვიდრე ელოდა, და მაინც აურელიანო მეორის ყოფილი ხასა პირველ ხანებში სიამაყით შეპყრობილი უგზავნიდა ქვრივ ქალს სანოვაგეს, ხოლო მერე და მერე სიბრალულმა გაიღვიძა მის გულში. კარგა ხნის მერეც, როდესაც ხალხს მობეზრდა ლატარიობანა და პეტრა კოტესიც ბილეთებს ვეღარ ასაღებდა, თვითონ მშიერი იკლავდა თავს, მაგრამ ფერნანდას კი მაინც აჭმევდა, აღთქმა არ დაურღვევია მანამ, ვიდრე საკუთარი თვალით არ იხილა მეტოქის სიკვდილი.

ოჯახი ძველებურად მრავალრიცხოვანი აღარ იყო და სანტა სოფია დე ლა პიედადსაც შეეძლო ცოტა მაინც თავისუფლად ამოესუნთქა ნახევარ საუკუნის მუხლჩაუხრელი შრომის შემდეგ. ერთი საყვედურიც კი არავის სმენია ამ ჩუმი, უწყინარი ქალისაგან, რომელმაც ოჯახს აჩუქა ანგელოზივით მშვენიერი რემედიოსი და უცნაური და ქედმაღალი ხოსე არკადიო მეორე; მთელი თავისი ეული და ჩუმი ცხოვრება ამ ქალმა შეალია პატარების აღზრდას, მათ ხეირიანად არც კი იცოდნენ, რომ მისი შვილები და შვილიშვილები იყვნენ. ღვიძლი შვილივით უვლიდა აურელიანოს, რომელიც მართლა ბადიშის შვილად ერგებოდა, მაგრამ თვითონ ქალმა კი არ იცოდა. სხვა ოჯახში ალბათ საკუჭნაოში, იატაკზე არ მიუჩენდნენ დასაძინებელ კუთხეს ვირთხებთან ერთად. სანტა სოფია დე ლა პიედადს არავისთვის უთქვამს: ერთ ღამეს გველმა გადაუსრიალა მუცელზე და მერე ხვრელიდან კარგა ხანს შემოსცქეროდა თურმე. ეს რომ ურსულასთვის მოეყოლა, უსათუოდ ჩაიწვენდა თავის ლოგინში, მაგრამ იმ ხანებში არავის არ ეცალა; ვიღაცა რომ გამოგსარჩლებოდა, შუშაბანდში უნდა დამდგარიყავი და ხმის ჩახლეჩამდე გეყვირა, რადგან პურის ცხობას, ომსა და ბავშვებს გადაგებულებს მოყვასზე ფიქრისა და ზრუნვის დრო აღარ რჩებოდათ. მხოლოდ პეტრა კოტესს ახსოვდა სანტა სოფია დე ლა პიედადი, თუმცა თვალით არც ენახა. ლამლამობით აურელიანო მეორესთან ერთად ლატარიიდან შემოსულ ფულს რომ საცოდავად ანაწილებდა, პეტრა კოტესი მუდამ ცდილობდა სანტა სოფია დე ლა პიედადის საგარეო კაბისა და ფეხსაცმლის ფული ცალკე გადაედო. ფერნანდა რძლად რომ შემოიყვანეს ოჯახში, სანტა სოფია დე ლა პიედადი მოახლე ეგონა. თუმცა ბევრჯერ უთხრეს, შენი დედამთილიაო, მაინც არ სჯეროდა. ეტყობა, სანტა სოფია დე ლა პიედადს თვითონ არ ეჩოთირებოდა საკუთარი მორჩილი და დამყოლი ხასიათი, პირიქით, მოსწონდა კიდეც ოთახებში ბორიალი, მოსწონდა ყველა კუთხე-კუნჭულს რომ სწვდებოდა მისი ხელი და წესრიგსა და სისუფთავეს იცავდა ამ უზარმაზარ სახლში, სადაც თითქმის ბავშვობიდან ცხოვრობდა. ბანანის კომპანიის დროს ხომ ყაზარმას უფრო ჰგავდა იქაურობა, ვიდრე მყუდრო ოჯახურ კერას! თუმცა ურსულას სიკვდილის მერე ძალას არ ზოგავდა და დილიდან დაღამებამდე შრომობდა, მაინც აღარ შეეძლო მეტი, მოტყდა და მოეშვა. მაგრამ ეს არც სიბერის ბრალი იყო და არც უძლურებისა — სახლი დაძველდა მეტისმეტად. კედლები ხავსით დაიფარა, მთელ ეზოს ბალახი მოედო, შუშაბანდში იატაკი დასკდა და ნაპრალებში იმ ყვითელმა ყვავილებმა ამოყვეს თავი, თითქმის ასი წლის წინათ რომ ნახა ურ-

სულამ მელკიადესის ხელოვნური კბილების ჭიქაში. ბუნებასთან ბრძოლის არც დრო ჰქონდა სანტა სოფია დე ლა პიედადს, არც ძალა შესწევდა, მთელი დღეები საწოლი ოთახიდან დევნიდა ხვლიკებს, მაგრამ ღამღამობით ისინი კვლავ ბრუნდებოდნენ, წითელმა ჭიანჭველებმა კი საძირკველს რომ მოუთავეს ხელი, ბაღსაც მოედვნენ, შუშაბანდში შეცვივდნენ, სადაც გამხმარ ბეგონიებს უკვე მიწისფერი დასდებოდათ და ოთახებშიც შეაღწიეს. სანტა სოფია დე ლა პიედადი ჯერ ცოცხით დაერია, მერე შხამი მოაპკურა, ბოლოს კირიც მოაყარა, მაგრამ ვერაფერი გააწყო, — წითელი ჭიანჭველები ჯიუტად მოედინებოდნენ ნიაღვარივით. ფერნანდა შვილებთან წერილების წერაში იყო გართული, აინუნშიც არ აგდებდა, ირგვლივ ყოველივე რომ ინგრეოდა. სანტა სოფია დე ლა პიედადი მარტო ებრძოდა მწერებს, სამზარეულოში ამოსულ სარეველას, აბლაბუდებს — წამში რომ იქსოვებოდნენ ისევ — ხის ჭიებს, მაგრამ მტვერმა და ათასმა სიბინძურემ მელკიადესის ოთახშიც რომ შეაღწია, თუმცა დღეში სამჯერ გვიდა და ასუფთავებდა, და იქაურობაც ისეთივე უსუფთაო და შესაბრალისი სანახავი გახდა, მხოლოდ პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას და ახალგაზრდა ოფიცერს რომ ეჩვენებოდათ რატომღაც, მაშინ კი ფარ-ხმალი დაჰყარა სანტა სოფია დე ლა პიედადმა, ჩაიცვა საგარეო კაბა, ამარანტა ურსულას ნაჩუქარი უბრალო წინდები, ურსულას გამონაცვალი ფეხსაცმელი და პატარა ბოხჩა გამოკრა.

— მეტი აღარ შემიძლია, — უთხრა აურელიანოს, — ჩემი ბებერი ძვლები ამ სახლს ვეღარ უძლებს.

აურელიანომ ჰკითხა, სად აპირებ წასვლასო, მან გაურკვევლად ჩაიქნია ხელი, მაინც თქვა, ბიძაშვილს შევეკედლები რიოაჩაშიო. ტყუილს ამბობდა. მშობლების სიკვდილის მერე სანტა სოფია დე ლა პიედადს მაკონდოში არც წერილი მიუღია ვინმესაგან და არც ამანათი, არც არასოდეს უთქვამს, ნათესავები მყავსო. აურელიანომ თოთხმეტი ოქროს თევზი მისცა, ეგ ერთი პესო და ოცდახუთი სენტავო რას გეყოფაო. ფანჯრიდან ხედავდა, როგორ მიათრევდა ფეხებს წლებით დამძიმებული ქალი, ეზო გადაჭრა, ბოხჩა მოინაცვლა, ჭიშკრის ურდულს ხელი გაჰკრა და ამის მეტად აურელიანოს აღარასოდეს უნახავს და არც არაფერი სმენია თავისი პაპის დედაზე — სანტა სოფია დე ლა პიედადზე.

მისი წასვლა რომ გაიგო, ფერნანდას მთელი დღე ენა არ გაუჩერებია, ზანდუკები, კამოდები, კარადები გადაქექა და დარწმუნდა, დედამთილს არაფერი წაეღო. მერე პირველად თავის სიცოცხლეში ღუმელი დაანთო და ხელიც დაიწვა, აურელიანოსთანაც თავი დაიმცირა, ყავის მოდუღება მასწავლეო. ახე, თავისდა უნებურად მოუწია ყმაწვილკაცს მზარეულობამ. დილით გაღვიძებულ ფერნანდას საუზმე უკვე გამზადებული ხვდებოდა, საუზმის მერე საწოლ ოთახში იკეტებოდა და სადილობამდე არ გამოდიოდა. სადილობისას სამზარეულოში ღადარში ცხლად შენახულ კერძიან ქვაბს აიღებდა და სასადილო ოთახში შანდლებით გაწყობილ თეთრსუფრაგადაფარებული მაგიდის თავში ჯდებოდა. მაგიდის გარშემო თხუთმეტი ცარიელი სკამი იდგა. სახლში მხოლოდ ორნი დარჩენილიყვნენ: ბებია და შვილიშვილი — ფერნანდა და აურელიანო. ორივენი ცალ-ცალკე გამოკეტილიყვნენ თავ-თავიანთ მარტოობასთან ერთად. მხოლოდ თავიანთ ოთახებს ალაგებდნენ, დანარჩენი ოთახები, ვარდის ბუჩქები, ჩალანგარი და კედლები აბლაბუდებმა დაფარა. ფერნანდას სწორედ იმ

ხანებში აეკვიატა აზრი, სახლში ავი სულები გაჩნდნენო. ყოველ ნივთს საათობით ეძებდა, თითქოს ფეხი აიდგესო, თავის ადგილზე არასოდეს ხვდებოდა, არადა, კარგად ახსოვდა, მაკრატელი წუხელ საწოლზე დადო, მერე შემთხვევით სამზარეულოში წააწყდა თაროზე, თუმცა მისთვის რომ გეკითხათ, ოთხი საათია, ფეხიც არ შეუდგამს იქ. უჯრებში ჩანგლები აღარ დახვდა, მეორე დღეს ექვსი ცალი საკურთხეველთან იპოვა, სამიც — პირსაბანში. [illegible]ების საწერად რომ ჯდებოდა, თითქოს დამალობანას ეთამაშებიანო, [illegible] და საშრობი მუდამ სხვა ადგილას ხვდებოდნენ. სამელნე აქამდე მარჯვენა მხარეს იდგა, ახლა კი რატომღაც მარცხნივ გადაენაცვლებინა. საშრობი საერთოდ გამქრალიყო მაგიდიდან, მხოლოდ სამი დღის მერე ნახა თავის ბალიშის ქვეშ. ხოსე არკადიოსთვის მიწერილი წერილი რამდენჯერ შემთხვევით აღმოაჩინა ამარანტა ურსულასათვის განკუთვნილ კონვერტში. ფერნანდას შიშით გული უსკდებოდა, წერილები არ აერიოსო; ერთხელ კალმისტარი დაეკარგა, მხოლოდ ორი კვირის მერე მოუტანა ფოსტალიონმა, რანაირად აღმოჩნდა ჩემს ჯიბეში, არ ვიცი, კარგა ხანს დამქონდა და პატრონს დავეძებდიო. პირველ ხანებში ფერნანდა, ბანდაჟებისა არ იყოს, ამასაც უხილავ მკურნალებს აბრალებდა და განიზრახა წერილი მიეწერა მათთვის, თავი დამანებეთო, წერისას რაღაც საქმეზე ადგა და გავიდა ოთახიდან, ხოლო შემობრუნებისას აღარც წერილი იყო და თვითონაც დავიწყნოდა რომ უნდა ჩაემთავრებინა. აურელიანოზეც ეჭვობდა, წინ დაუდებდა ხოლმე რაიმე ნივთს და უთვალთვალებდა, — მაშინ წავადგებოდი თავს, გადამალვას რომ შეეცდებაო, მაგრამ მალე დარწმუნდა, აურელიანო მელკიადესის ოთახიდან მხოლოდ სამზარეულოში და საპირფარეშოში გამოდიოდა, თანაც ის კაცი არ იყო, ეს უკადრისი საქმე ეკადრებინა. ერთი სიტყვით, ფერნანდას საეჭვო აღარაფერი დარჩა — სახლში ნამდვილად ავმა სულებმა დაიბუდეს. განიზრახა ყველა ნივთი დაემაგრებინა თავის ადგილზე: მაკრატელი თოკით გამოაბა საწოლის თავს, კალმების კოლოფი და მელნის საშრობი — საწერი მაგიდის ფეხს, სამელნე მაგიდის მარჯვენა მხარეს დააწება, მაგრამ ამაოდ გაისარჯა, საკმარისი იყო კერვა წამოეწყო, რომ ორი საათის მერე უკვე ველარ სწვდებოდა მაკრატელს, თითქოს ავ სულებს დაემოკლებინათ თოკი, ასევე მოუვიდათ მელნის საშრობსა და თვით ფერნანდას ხელსაც, რადგან წერას რომ დაიწყებდა, სამელნეს ველარ სწვდებოდა. არც ამარანტა ურსულამ ბრიუსელში და არც ხოსე არკადიომ რომში ამის თაობაზე არაფერი იცოდნენ. დედა მათ ყოველთვის სწერდათ, კარგად ვარო. მართლაც კარგად გრძნობდა თავს, არაფერი არ ევალებოდა, ეჩვენებოდა, თითქოს დედ-მამის ოჯახში დაბრუნებულიყოს და ყოველდღიური წვრილმანები უმისოდ მოეგვარებინოთ უკვე. წერილების გაუთავებლად წერამ ფერნანდას დაუკარგა დროის შეგრძნების უნარი, განსაკუთრებით დაეტყო ეს სანტა სოფია დე ლა პიედადის წასვლის მერე. დღეებს, თვეებსა და წლებს ანგარიშობდა თავისი შვილების დაბრუნების თარიღიდან თარიღამდე. მაგრამ ისინი რატომღაც ჩამოსვლას სულ სამერმისოდ დებდნენ და ფერნანდას რიცხვებიც აერია, შვილების ჩამოსვლის ვადაც და დღეებიც ერთფეროვანი გახდა, ის კი არადა, დრო თუ გადიოდა, ვერც ატყობდა. შვილების ჩამოუსვლელობას ფერნანდა სულაც არ სწუხდა, პირიქით, კმაყოფილიც იყო. როდესაც ხოსე არკადიომ შეატყობინა, თეოლოგიის სწავლება დავამთავრე და ახლა დიპლომატიის შესწავლას ვაპირებო, ფერნანდას არ სწყენია ,თუმცა რამდენიმე წლის წინ ვაჟიშვილი იმასაც სწერდა. კურთხევას ველოდებიო. განა არ იცო-

და, წმინდა პეტრეს ტაძრისკენ ძალზე მაღალი და დახვეული კიბე რომ იყო ასასვლელი! ის, რაც სხვებისთვის უმნიშვნელო იყო, მისთვის დიდ რამეს წარმოადგენდა. მაგალითად, სიამაყით აღარ იცოდა რა ექნა, როცა ვაჟმა წერილი მოსწერა, პაპი ვიხილეო. ასევე გაეხარდა, როცა ქალიშვილის წერილი მიიღო, — ჩემი ნიჭიერების წყალობით ბრიუსელში კიდევ უნდა დავრჩე სწავლის გასაგრძელებლად, რაც მამაჩემს არ გაუთვალისწინებიაო.

სამ წელიწადზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც სანტა სოფია დე ლა პიედადმა აურელიანოს სანსკრიტის გრამატიკა მოუტანა და მხოლოდ ახლა მოახერხა, პირველი პერგამენტი ეთარგმნა. ბევრი იშრომა, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ნაბიჯი ჰქონდა გადადგმული გრძელ გზაზე, ესპანურად ჯერ ვერ გადათარგმნიდა: ეს იყო დაშიფრული ლექსები. აურელიანოს ხელთ არ ჰქონდა ამოკითხვისთვის მოსარგები გასაღები, მაგრამ მელკიადესის ნახსენები სწავლული კატალონიელის წიგნის ფარდული მოაგონდა და განიზრახა, ფერნანდასთვის ეთხოვა, ქუჩაში გამიშვითო. ოთახში, სადაც ყოველ წამს ემატებოდა ნაგავს ნაგავი, აურელიანო ათასჯერ იმეორებდა ფერნანდასთვის სათქმელ სიტყვებს, ხელსაყრელ წუთს ელოდა: სამზარეულო იყო ერთადერთი ადგილი, სადაც ქალი ღადარში თბილად შენახული კერძის წასაღებად შედიოდა და მაშინაც თავის ოთახში გამოკეტილ აურელიანოს სიტყვა ყელში ეხირებოდა და წინასწარ მოფიქრებული სათქმელი სადღაც ეფანტებოდა. პირველად თავის სიცოცხლეში ჩაუსაფრდა ფერნანდას. ყურს უგდებდა მის ნაბიჯებს საძინებელ ოთახში, ესმოდა, როგორ უღებდა კარს ფოსტალიონს, რათა შვილების წერილები გამოერთმია და თავისი გაეტანინებინა, შუაღამემდე უძლებდა ქაღალდზე კალმის წრიპინს, გვერდით ოთახიდან რომ გამოდიოდა, მერე შუქის ჩამრთველის ტკაცანიც მოესმოდა და ფერნანდას ძილისპირული ლოცვაც. აურელიანოს ამ იმედით ჩაეძინებოდა, ხვალ უსათუოდ ვეტყვი ფერნანდას, ქუჩაში გამიშვასო. ისე დაიმედებული იყო, უარს არ მეტყვისო, რომ ერთ დილით მხრებამდე ჩამოშლილი თმაც კი შეიჭრა, წვერი შეიკრიჭა, ვიწრო შარვალი და ღმერთმა იცის, ვისი გამონაცვალი პერანგი ჩაიცვა, სამზარეულოში შევიდა და იქ დაელოდა. მაგრამ როგორ გაოცდა, როდესაც მის წინ წარსდგა არა ის ქალი, წინათ ამაყად თავაწეული და მტკიცედ რომ დააბიჯებდა, არამედ გაყვითლებულ ყარყუმის მოსასხამში გახვეული, მოოქროვილი მუყაოს გვირგვინით თავდამშვენებული ულამაზესი ბებრუხანა, რომელსაც შიშნეული და ახალი ნამტირალევივით თვალები ჰქონდა. ფერნანდამ აურელიანო მეორის ზანდუკებში თავისი დაჩინჩული სადედოფლო სამოსელი რომ ნახა, ხშირად ირთვებოდა ხოლმე. ვინც კი დაინახავდა, სარკეში რა აღტაცებული შესცქეროდა ფერნანდა საკუთარ დედოფლურ მიხრა-მოხრას, უსათუოდ სულელი ეგონებოდა, მაგრამ ფერნანდა სულაც არ იყო სულელი, უბრალოდ, ამ სამოსით ცდილობდა მეხსიერება გამოეღვიძებინა. პირველად რომ გამოეწყო, მკერდში თითქოს ლოდი ჩაუწვა და თვალები ცრემლით აევსო, იგრძნო კიდეც იმ საცხის სუნი, მის წასაყვანად მოსულ სამხედრო კაცს რომ ასდიოდა ჩექმიდან. დაკარგულმა იმედებმა ფერნანდას ნაღველით აუვსო გული, იგრძნო, დაბერებული, დაგლახაკებული და დაბეჩავებული იყო უკვე და ის შორეული ტკბილ-მწარე დღეებიც კი ინატრა, როდესაც ყველაფერი შავად ეჩვენებოდა, მოენატრა და მხოლოდ ახლა მიხვდა, როგორ აკლდა ბეგონიების სურნელი შუშაბანდში. საღამოობით ვარდის ბუჩქებს აყოლილი ნისლი და ნადირივით ტლანქი უცხოელებიც კი

მისი გული — დატკეპნილი და გალიგვებული ფერფლის გროვა — უმძიმეს შრომას უძლებდა. მაგრამ როგორც კი წარსულზე ნაღველი მოუძალა თავის ცხოვრებაში პირველად, მაშინვე დაქუცმაცდა და დანაწილდა, წყლულები [illegible]-ნენ, ქალს სულს უცარიელებდნენ და ნელ-ნელა ავადმყოფურ ჩვევადაც გადაექცა. სიხარული ეხილა დარდში. ფერნანდამ მარტოობის [illegible] და კვლავ ადამიანი გახდა. მაგრამ იმ დილით სამზარეულოში [illegible], ფერმკრთალი და გაჩხინკული ყმაწვილი რომ დახვდა და ფინჯანი ყავა მიაწოდა, ფერნანდას საკუთარი თავი სასაცილო მოეჩვენა. მან უარი უთხრა თხოვნაზე, ის კი არადა, გასაღებიც გადამალა თავის საიდუმლო ჯიბეში, სადაც ბანდაჟებს ინახავდა. ამით იყო მისი სიფხიზლე, აურელიანოს რომ მოუნდომებინა, ისე გაიპარებოდა და შემოიპარებოდა სახლში, ვერავინ ვერაფერს გაიგებდა. მაგრამ გამოკეტილ სახლში წლობით ცხოვრებამ გარემო სამყაროსადმი ურწმუნოება ჩაუნერგა და თანაც თანდაყოლილმა თვინიერებამ ჩანასახშივე მოუსპო ამბოხის თესლი. კვლავ თავის საკანში დაბრუნდა და მიუჯდა პერგამენტებს, მთელი ღამე არ ასვენებდა ფერნანდას ოთახიდან გამომავალი ოხვრა. ერთ დილით აურელიანო ჩვეულებისამებრ შევიდა სამზარეულოში ღუმელის ასანთებად და ნახა, წინადღით ლანგარში ჩადგმული ქვაბისთვის ხელი არ მოეკიდა ფერნანდას. ყმაწვილი მაშინვე ქალის საძინებელ ოთახში გაიქცა, კარი შეაღო და დაინახა, ფერნანდა საწოლში იწვა, ტანზე ყარყუმის მოსასხამი გადაეფარებინა და ისეთი ლამაზი იყო, როგორც არასდროს, კანი მარმარილოსავით გადაქცეოდა სახეზე. ოთხი თვის მერე მაკონდოში დაბრუნებულ ხოსე არკადიოს ზუსტად ასეთი დაუხვდება დედა.

საოცრად ჰგავდა ხოსე არკადიო დედას. შავი თავთის კოსტიუმი ეცვა, მრგვალსაყელოიან პერანგზე ჰალსტუხის ნაცვლად წვრილი აბრეშუმის ბაფთა გაესკვნა. ფერმკრთალსა და მიბნედილს გაკვირვებული თვალები და უნებისყოფო კაცის ტუჩ-პირი ჰქონდა. შავი, მბზინავი სწორი თმა წმინდანთა ხელოვნურ პარიკს მოგვაგონებდა. წვერის გაპარსვის მერე სანთელივით პირისკანზე დარჩენილი მოლურჯო ფერები სინდისის ქენჯნაზე მიანიშნებდა ადამიანს. ფუქსავატი კაცის უფერო, მსუქან ხელებზე მწვანე ვენები დასხდომოდა. მარცხენა ხელის საჩვენებელ თითზე კი ოპალის თვლიანი ოქროს ბეჭედი წამოეცვა. როდესაც აურელიანომ კარი გაუღო, ბევრი ფიქრი არ დასჭირვებია, მიხვდა, მის წინ შორიდან მოსული კაცი იდგა. ჰოლში სადაც კი გაივლიდა, ის მცენარეული წყლის სურნელს ტოვებდა, ოდესღაც პატარაობაში ურსულა რომ ჰბანდა თავს, რათა თვალდაშრეტილი სუნით მიეგნო მისთვის. ხოსე არკადიოს რატომღაც კვლავინდებურად ნაღვლიანი, მარტოსული და დაბერებული ბავშვის იერი ჰქონდა. სახლში შემოდგა თუ არა ფეხი, პირდაპირ დედის ოთახისაკენ გასწია, სადაც აურელიანო თავისი დიდი ბაბუისდროინდელ ტიგელში მელკიადესის მიგონების მიხედვით ვერცხლის წყალს ადუღებდა, რათა მიცვალებული არ დამპალიყო. ხოსე არკადიომ უსიტყვოდ შეხედა მას, მერე მკვდარს შუბლზე აკოცა და პერანგის შიგნით მიკერებული ჯიბიდან სამი ახალთახალი ბანდაჟი და კარადის გასაღები ამოიღო. ისე დაჯერებულად და მტკიცედ მოძრაობდა, სულ რომ არ შეეფერებოდა მის მიბნედილ-მოთენთილ იერს. კარადიდან საგვარეულო ღერბით მოხატული პატარა ზარდახშა გადმოიღო, გახსნა და ნახა წერილი, სადაც ფერნანდას გულახდილად მოეთხრო ყველაფერი, რასაც სიცოცხლეში უმალავდა შვილს. ხოსე არკადიო არც დამჯდარა, დედის წერილი გულისყურით

წაიკითხა, მაგრამ სახეზე არაფერი გამოხატვია, მესამე გვერდზე ცოტა ხანს შეჩერდა და აურელიანოს ისე დააკვირდა, თითქოს ხელმეორედ ეცნობაო.

— მაშასადამე, — სამართებელივით ჭრიდა მისი ხმა, — შენა ხარ მკვლელი?

— მე აურელიანო ბუენდია ვარ.

— წადი შენს ოთახში, — უთხრა ხოსე არკადიომ.

აურელიანო თავის ოთახში შევიდა და ფერნანდას [illegible]ბაზე ცხვირიც არ გამოუყვია გარეთ. მერე და მერე ხან სამზარეულოს ღრიჩოდ დატოვებულ კარიდან ხედავდა და ხანაც შუაღამისას ესმოდა, სუნთქვადაშძიმებული ხოსე არკადიო როგორ დაბორიალობდა სახლში, მისი ხმა კი საერთოდ კარგა ხანს არ გაუგონია, და განა მარტო იმიტომ, რომ ხოსე არკადიო არ კადრულობდა მასთან დალაპარაკებას, უბრალოდ, აურელიანო ისე გაიტაცა პერგამენტებმა, რომ ვინმესთან ლაპარაკის არც დრო ჰქონდა და არც სურვილი. ფერნანდას სიკვდილის მერე საიდუმლოდ გადანახულ ორ ოქროს თევზს ერთი მოაკლო და გაემართა სწავლული კატალონელის ფარდულისაკენ საჭირო წიგნების შესაძენად. გზაზე არაფერს არ მიუქცევია მისი ყურადღება, ალბათ იმიტომ, რომ მოგონება არა ჰქონდა, ვერაფერს გაახსენებდა ეს უკაცრიელი ქუჩები და მიყრუებული სახლები, ზუსტად ასეთი წარმოედგინა იგინი იმ დღეებში, როდესაც სიხარულით დალევდა სულს, ოღონდ კი შორიდან მაინც მოეკრა მათთვის თვალი. ფერნანდას უარის მერე თვითონ დართო ნება საკუთარ თავს სახლიდან გასულიყო, მაგრამ მხოლოდ ერთხელ, ისიც მეტად აუცილებელ საქმეზე და თანაც ცოტა ხნით. ამიტომ იარა შეუჩერებლივ თერთმეტი კვარტალი, ვიდრე არ მიადგა იმ ვიწრო შესახვევს, სადაც წინათ სიზმრებზე ლაპარაკობდნენ, და გულაძგერებული არ შევიდა ბნელსა და ისე პატარა ოთახში, თავვი კუდს რომ ვერ მოიქნევდა. წიგნების ფარდული კი არა, ძველი წიგნების საერთო საძმო საფლავი ეგონებოდა კაცს. წიგნები უწესრიგოდ ეყარნენ ხის ჭიებით ამოჭმულსა და აბლაბუდებში გახვეულ თაროებზე, იატაკზეც მიმოფანტულიყვნენ და ისედაც ვიწრო გასავლელი მთლად ჩაეხერგათ. ფოლიანტებით დახვავებულ მაგიდას ფარდულის პატრონი მისჯდომოდა და იისფერი ოკრობოკრო ასოებით რაღაც უთავბოლო გამოჰყავდა სასკოლო რვეულიდან ამოხეულ ფურცელზე. ლამაზი, მოვერცხლისფრო, თუთიყუშივით ქოჩორი შუბლზე ჩამოშლოდა, ცოცხალი ცისფერი თვალები კეთილად უციმციმებდა და სწორედ ამ კეთილად მზირალ თვალებზე ეტყობოდა — ყველა წიგნი წაკითხული ჰქონდა ამქვეყნად. იჯდა მთლად გაოფლილი და ნიფხვისამარა. წერაში გართულს თავიც არ აუწევია, ფარდულში შემოსული კაცისათვის შეეხედა. აურელიანომ ამ არნახულ არეულ-დარეულობაში ადვილად იპოვა მისთვის საჭირო ხუთი წიგნი, რადგან ისინი სწორედ იმ ადგილზე დახვდნენ, როგორც მელქიადესმა უკარნახა. ფარდულის პატრონს უსიტყვოდ გაუწოდა წიგნები და ოქროს თევზი. მოხუცმა წიგნებს გადახედა და თვალის გუგები ნიჟარასავით შეაწება ერთმანეთს. „ალბათ გიჟი ხარ", — თქვა მან თავის მშობლიურ ენაზე, მხრები აიჩეჩა და ხუთივე წიგნი და ოქროს თევზი კვლავ დაუბრუნა აურელიანოს.

— წაიღე, — ახლა ესპანურად თქვა. — სულ ბოლოს ეს წიგნები, თუ არ ვცდები, ისაკ უსინათლომ წაიკითხა, ამიტომ კარგად დაფიქრდი, რას აკეთებ.

ხოსე არკადიომ შეაკეთა მემეს საძინებელი ოთახი, ბრძანა გაეფერთხათ და დაეკემსათ საწოლ-ბალდახინის ხავერდის ფარდები, აგრეთვე გაესუფთავებინათ საბანაო ოთახი, სადაც აუზის კედლები უცნაურ შორშავო ბუსუსებს და-

ეფარა. მხოლოდ საძინებელი და საბანაო ოთახები იყო მისი სამყოფელი და სამფლობელო. ათასნაირი უმაქნისი, გაქონილი და ეგზოტიკური ნივთებით სავსო ოთახი, იაფფასიანი სუნამოები და ყალბი თვლები გამოაფინა. მხოლოდ საბავშვო ოთახს მიაკითხა წმინდანთა ქანდაკებებს რატომღაც მორიგად დაადგა თვალი, ერთ საღამოს ყველა გაიტანა ეზოში და ცეცხლს წაუკიდა. შუადღისას იღვიძებდა, გაეხვეოდა ოქროს ურჩხულებით [illegible] ხალათში, ფეხს ოქროსფუნჯიან ფოსტლებში წაჰყოფდა. საბანაოს მიაშურებდა და მშვენიერი რემედიოსისა არ იყოს, კარგა ხანს არ გამოდიოდა იქიდან. ორი საათი პირაღმა იწვა აუზში, და ბურახში წასულს სურნელოვანი წყალი და ამარანტაზე მოგონებები უნახავებდა. ჩამოსვლიდან რამდენიმე დღის მერე გაიხადა თავისი თავთის კოსტუმი. ჯერ ერთი, ისეთი ცხელი იყო, ქალაქში გასვლისას ასე ჩაცმული დაიწვებოდა, მეორეც — ამის მეტი ხეირიანი ჩასაცმელი არაფერი ჰქონდა. ჩემოდნიდან ზუსტად ისეთი ვიწრო შარვალი ამოიღო, პიეტრო კრესპი რომ იცვამდა ცეკვის გაკვეთილებზე, ნამდვილი აბრეშუმის პერანგი ჩაიცვა, მკერდზე ინიციალებამოქარგული. კვირაში ორჯერ რეცხავდა ამ ტანსაცმელს და ვიდრე არ გაშრებოდა, ხალათში გახვეული დადიოდა სახლში, რადგან სხვა გამოსაცვლელი არა ჰქონდა რა. ხოსე არკადიო შინ არ სადილობდა. შუადღის პაპანაქება გადაივლიდა თუ არა, გადიოდა სახლიდან და მხოლოდ შუაღამისას ბრუნდებოდა, რათა სუნთქვადამძიმებულს და ნაღველშემოწოლილს ოთახებში ებორიალა და ამარანტაზე ეფიქრა. მშობლიური სახლიდან მხოლოდ ამარანტა და ღამის სიბნელეში წმინდანთა მოელვარე საშინელი თვალები დამახსოვრებოდა. რომში ყოფნისას, აგვისტოს მოჩვენებებით სავსე ღამეებში არაერთხელ მოლანდებია ამარანტა. მარმარილოს აუზიდან ამოიმართებოდა ხოლმე თავის მაქმანიან კაბებში გამოწყობილი, შავი ნაჭრით ხელშეხვეული და ამა ქვეყნიდან განდგომილი ადამიანის დიდი ნაღველით პირგამშვენიერებული, მაშინ როდესაც აურელიანო ხოსე ცდილობდა ამარანტას სახება ომის სისხლიან ჭაობში ჩაეხრჩო, ხოსე არკადიო პირიქით ცდილობდა ცოცხლად შემოენახა იგი თავის ფიქრებში მთელი ის ხანი, დედას ათასნაირი იგავებით რომატყუებდა ვითომდა სულიერ მოწოდებაზე. არც მასა და არც ფერნანდას აზრად არ მოსვლიათ, რომ მათი მიმოწერა ტყუილების გაცვლა-გამოცვლა იყო მხოლოდ. რომში ჩასვლიდან სულ ცოტა ხანში მიატოვა ხოსე არკადიომ სემინარია, მაგრამ თავის ვითომდა თეოლოგიურ და კანონიკურ სწავლა-განათლებაზე ლეგენდებს კვლავ თხზავდა იქმინოდა, ვაითუ ის ზღაპრული მემკვიდრეობა აღარ მერგოს წილად, დედაჩემი რომ მწერს თავის ნაბოდვარ წერილებშიო. ამ სამემკვიდრეო სიმდიდრის იმედი ჰქონდა ხოსე არკადიოს, ის დაიხსნიდა სიღარიბიდან და გამოიყვანდა იმ ბინძური სახლიდან ტრანსტევერეში, სადაც სხვენზე ცხოვრობდა ორ ამხანაგთან ერთად. ფერნანდას ბოლო წერილი სიკვდილის წინათგრძნობით იყო გამსჭვალული და ხოსე არკადიომაც არ დააყოვნა, ჩემოდანში ჩაალაგა თავისი ყალბი ფუფუნების ნივთები და ოკეანე გადაცურა. გემის ტრიუმში სასაფლაოზე შერეკილი პირუტყვივით შეყუჟულიყვნენ ემიგრანტები და ცივ მაკარონსა და მატლიან ყველს სანსლავდნენ. აბა რა იკოდა ხოსე არკადიომ, რომ დედის ანდერძი მისი უბედური ცხოვრების დაწვრილებითი და დაგვიანებული აღწერა იქნებოდა მხოლოდ! დანჯღრეული ავეჯისა და ბალახით დაფარული შუშაბანდის დანახვაზევე მიხვდა, მახეში გააბეს, აქაურობას თავს ვეღარ დააღწევდა. ვეღარასოდეს იხილავდა თვალისმომჭრელ რომაულ

გაზაფხულისა და ყველა ისუნთქავდა სიავილით გაჟღენთილ მის ჰაერს. ათწლეული შეტევებისაგან არაქათგამოცლილი ყველა იძინებდა და თავის უბედობაზე ფიქრებში ჩაძირული დაბორიალობდა ამ პირქუშ სახლში, სადაც ოდესღაც ბებერი ურსულა სამყაროს წინაშე უხერგავდა. პატარა ხოსე არკადიო, რომ არ აბეზრდა ოთახებში, ულმობელი ძიძამ საიდუმლო ოთახის კუთხეში ჯდომას მიაჩვია, — საღამოს დადგომისთანავე ამ სახლში მიცვალებულები დაბორია-ლობენ და მაგ კუთხეში ვერ მოგვწვდებიანო. „ცუდად თუ მოიქცევი, — ეუბნებოდა ურსულა, — წმინდანები ყველაფერს მეტყვიან“. ჰოდა, ისიც იჯდა ამ კუთხეში შეშინებული; ვიდრე ძილის დრო არ მოაღწევდა, სკამზე არ იძროდა წმინდანთა ყინულივით ცივი თვალებით მონუსხული. იმ ხანებში ხოსე არკადიოს უკვე ისედაც უშინოდა ყველა გარშემო მყოფისა და იმისაც, რაც შემდეგ ცხოვრებაში ელოდა. ქუჩის ქალებისა, სისხლს რომ აჭუჭყიანებენ; შინაური ქალებისა, ღორისკუდიან ბავშვებს რომ შობენ; მიჩხუბარი მამლებისა, ზოგისთვის რომ აყვავებული მოაქვთ და ზოგისთვის — სინდისის ქენჯნა; თოფ-იარაღისა, პირველსავე შეხებაზე რომ ოცი წლის ომით გაგწირავს; არა ერთი და ორი წინდაუხედავი ნაბიჯისა, ყველაფრისადმი გულგრილობითა და უგუნურობით რომ მთავრდება და საერთოდ ყველაფრისა, რაც ღმერთმა სიკეთით შექმნა და ეშმაკმა გააუკუღმართა. ღილაობით კოშმარებით დატანჯული იღვიძებდა ბიჭი, მაგრამ ფანჯარაში შემოჭყრეტილი მზის შუქი და მერე ამარანტას ალერსიანი ხელები ბანაობისას, ღამეულ შიშს უკვალოდ უქრობდა. მზის სხივებით განათებულ ბაღში ურსულაც კი სხვანაირი ჩანდა, საშინელ ამბებს აღარ უყვებოდა და კბილებს ნახშირით უხეხავდა, — შენი ღიმილი პაპის ღიმილივით უნდა ულეარებდეს, ფრჩხილებს აჭრიდა და უსუფთავებდა, — ყოველი კუთხიდან რომში ჩამოსული მლოცველები უნდა გაათვალო, ეს რა ნაპატივები ხელები ჰქონიაო პაპს; მცენარის წყალს ასხურებდა — პაპზე ნაკლები სუნი რატომ უნდა აგდიოდესო. ხოსე არკადიოს ერთხელ მოუწია ეხილა რომის პაპი, კასტელგანდოლფოს სასახლის აივანზე მდგარი შვიდ ენაზე რომ ქადაგებდა მლოცველებს და შორთლაც დაინახა მისი უწმინდესობის თითქოსდა ყვავილის სურნელოვან წყალში განბანილი ხელები, მისი საზაფხულო სამოსის ბრწყინვალებამ თვალი მოსჭრა და დიდებული ოდეკოლონის ნაზი სურნელიც მისწვდა მის ყნოსვას.

თითქმის წელიწადი გავიდა, რაც ხოსე არკადიო მამისეულ სახლს დაუბრუნდა, როცა მეძებებმა ვერცხლის მედლებითა და ღერძებით მოხატული ღამის ქოთანი — ისე, თუ სიმართლე გინდათ გაიგოთ, ოქროსი მხოლოდ ინკრუსტირებული ღერძი აღმოჩნდა და არა მთლიანად ჭურჭელი — თავის გასართობად ქალაქის ბიჭ-ბუჭებს უყრიდა თავს სახლში. სიესტის დროს მოიყვანდა სათამაშოდ და ისინიც რაღაც არ აკეთებდნენ, ბაღში თოკზე ხტუნაობდნენ, შუშაბანდში მღეროდნენ, ოთახში, პირდაპირ ავეჯზე დაჯირითობდნენ, თვითონ კი ხან ერთ ჯგუფთან მიდიოდა, ხან მეორესთან და ზრდილობიან და დახვეწილ ქცევას ასწავლიდა ბიჭებს. იმ დროისათვის აღარ ატარებდა თავის ვიწრო შარვალსა და აბრეშუმის პერანგს, ჩვეულებრივი კოსტიუმი იყიდა არაბების ფარდულში, მაგრამ თვალები კი ისევ მიბნედილი ჰქონდა და პაპსავით ღირსეულად ეჭირა თავიც. ბავშვებმა ისე სწრაფად გაიგეს სახლში სად რა იყო, როგორც ერთ დროს მემეს ამხანაგებმა. გვიან საღამომდე ისმოდა მათი ლაპარაკი, სიმღერა და ცეკვა; სახლი დაემსგავსა უწესრიგო სკოლა-ინტერნატს. პირველ ხანებში აურელიანო ყურადღებას არ აქცევდა ამ შემოსევას. მაგრამ მალე ბიჭები მელკიადე-

სის ოთახსაც მისწვდნენ. ერთ დილით კარი გააღეს და შეშინებულები უკვე შედგნენ: ოთახში პერგამენტებით დახვავებულ მაგიდას მისჯდომოდა ჩამოძონძილ-ჩაბინძურებული კაცი. ნაბიჯის გადადგმა ველარ გაბედეს, მაგრამ იმ დღიდან მთელი გულისყური ამ უცნაური უცნობი კაცისკენ ჰქონდათ მიპყრობილი. კართან ჩურჩულებდნენ, ჭუჭრუტანაში იჭვრიტებოდნენ [illegible] სარკმლიდან ათასნაირ სიბინძურეს ესროდნენ. ერთხელ კარ-ფანჯარა გარედან ჩაუკეტეს და აურელიანო მთელი ნახევარი დღე მის გაღებას მოუნდა. ბავშვები არავის დაუსჯია და ამით გათამამებულებმა დრო შეარჩიეს, აურელიანო სამზარეულოში რომ გავიდა, ოთხი ბიჭი ოთახში შეიპარა, რათა პერგამენტები დაეფხრიწათ. მაგრამ როგორც კი ხელი შეავლეს გაყვითლებულ გრაგნილებს, რაღაც ციურმა ძალამ ისინი ჰაერში ასწია და ასე ჰყავდა დაკიდული მანამ, ვიდრე აურელიანო არ დაბრუნდა და არ გამოგლიჯა მათ ხელიდან პერგამენტები. ამის მეტად აურელიანო ბიჭებს აღარ შეუწუხებია.

ოთხ მოზრდილ ბიჭს თუმცა მოკლე შარვლები ეცვა, სიჭაბუკეში უკვე შეედგათ ფეხი, მათ ევალებოდა ხოსე არკადიოს გარეგნობაზე ეზრუნათ. დილით დანარჩენებზე ადრე მოდიოდნენ, წვერს გაპარსავდნენ, ცხელ-ცხელი პირსახოცით მთელ სხეულზე მასაჟს უკეთებდნენ, ხელ-ფეხზე ფრჩხილს აჭრიდნენ, უსუფთავებდნენ და ყვავილის წყალსასხურებდნენ. ზოგჯერ აუზშიც ჩაჰყოლიან და ვიდრე ბიჭები თავიდან ბოლომდე გასაპნავდნენ, იგი პირაღმა იწვა წყალში და ამარანტაზე ფიქრობდა. მერე გაამშრალებდნენ, პუდრს მიაფრქვევდნენ და ჩააცმევდნენ. ერთი წითური, თმახუჭუჭა ბიჭი, კურდღელივით, მოვარდისფრო შუშის თვალები რომ ჰქონდა, ჩვეულებრივ რჩებოდა ხოლმე მასთან ღამისსათევად, ისე შეეჩვია ხოსე არკადიოს, რომ წამითაც არ შორდებოდა, ასთმური შეტევებისგან არაქათგამოცლილ პატრონთან ერთად დაბორიალობდა ოთახებში ღამღამობით. ერთ ღამეს ურსულას საძინებელ ოთახში დამსკდარი იატაკიდან თითქოს მიწისქვეშა მზე ანათებსო, უცნაურად მოოქროსფროდ მბრჭყვინავი რაღაც შეამჩნიეს. ფარნის მინათებზა არც დასჭირვებიათ, მხოლოდ ცემენტის დამსკდარი ნატეხები ამოიღეს იმ კუთხეში, სადაც ურსულას საწოლი იდგა: იატაკში ის სამალავი აღმოაჩინეს, ასე დიდხანს და ჯიუტად რომ ეძებდა აურელიანო მეორე. ორმოში მავთულით თავმოკრული სამი ტომარა იდო, ტომრებში კი შვიდი ათას ორას თოთხმეტი ოქროს ფული იდო და სიბნელეში გავარვარებული ნაკვერჩხლებივით ელავდნენ.

განძის აღმოჩენა უკუნ ღამეში შუქის გამონათებასავით იყო ხოსე არკადიოსთვის, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ სილარიბეში ნაოცნებარისთვის ფრთა შეესხა და რომში დაბრუნებულიყო, ამ ოქროების წყალობით მთელი სახლი დეკადენტურ სამოთხედ აქცია. საძინებელ ოთახში საწოლ-ბალდახინზე ახალი ხავერდის ფარდები დაკიდა, საბანაოში იატაკი გამოაცვლევინა და კედლებზეც შორენკეცები ააკვრევინა. სასადილო ოთახში კარადა აივსო დაშაქრული ხილით, ათასნაირი ნუგბარით. საკუჭნაომ კვლავ გაუღო კარი ღვინითა და ლიქიორით სავსე ყუთებს, ხოსე არკადიოს სახელი რომ ეწერა ზედ და თითონ საკუთარი ხელით რომ მოჰქონდა რკინიგზის სადგურიდან. ერთ ღამეს თავის რჩეულ ოთხ ბიჭთან ერთად დილამდე ქეიფობდა, დილის ექვს საათზე კი მთლად დედიშობილა გამოვიდნენ საძინებელი ოთახიდან, საბანაოში აუზი დაცალეს წყლისაგან, შამპანური აავსეს, შიგ ჩაცვივდნენ და ანცობას მოჰყვნენ. ისინი სურნელოვანი ბუშტულებით მოფენილ ოქროსფერ ცაში მონავარდე

ჩიტებს ჰგავდნენ. მათ მხიარულებას მოშორებით განრიდებოდა წყალში პირაღმა გაწოლილი ხოსე არკადიო და თვალგახელილი კვლავ ამარანტაზე ფიქრობდა. ბიჭები მალე დაიღალნენ, აუზიდან ამოცვივდნენ და სასტუმრო ოთახში შევარდნენ, იქ ხავერდის ფარდები ჩამოგლიჯეს და ტანი შეიმშრალეს, თავგილაობაში ძვირფასი სარკეც შემოატეხეს, მერე ყველანი ერთად ჩაცვივდნენ ბალდახინში და ისიც ჩაამტვრიეს. ხოსე არკადიო ოთახში რომ [illegible] ბიჭებს უკვე ჩასძინებოდათ ნამსხვრევებში. ხოსე არკადიოს სიბრაზე მოერია, ოთახში რომ ყველაფერი თავდაყირა დახვდა, იმან როდი გაარისხა, — საკუთარი თავი შესძაგდა და შეეცოდა, ამ უგუნური ორგიის დანახვით აზრდაკარგულმა როზგები მოიძია, სკივრში ღრმად რომ ჰქონდა გადამალული ხორცის მოსაკვდინებელ და მოსანანიებელ სხვა რკინის იარაღებთან ერთად. ბიჭებს ცოფმორეული დაერია. შლეგიანივით ღრიალებდა და თავის ყოფილ მეგობრებს უმოწყალოდ შოლტავდა. ყველა რომ გაყარა სახლიდან და არაქათგამოცლილი მარტო დარჩა, ასთმამ მოუარა და რამდენიმე დღე გაუგრძელდა. ბოლოს და ბოლოს შეტევამ გაუარა, მაგრამ ხოსე არკადიო მომაკვდავს დაემსგავსა მთლად. უპაერობით დატანჯულმა მესამე ღამეს ვეღარ გასძლო, აურელიანოს მიაკითხა და სთხოვა, აფთიაქში გამეგზავნე და ყელში გამოსავლები წამალი მიყიდეო. აურელიანოს მეორედ მოუწია ქუჩაში გასვლა. მან მხოლოდ ორი კვარტალი გაირბინა და დაინახა აფთიაქი, რომლის მტვერმოდებულ ვიტრინაში ათასნაირი ქაშანურის ჰურჭელი იდო და ზედ ლათინურად მიეწერათ სახელწოდებები. იდუმალი სილამაზით შემკულმა ქალიშვილმა ის წამალი გაუწოდა, რომლის სახელიც ხოსე არკადიომ დაუწერა ქაღალდის ნაგლეჯზე. აურელიანოს ამჯერადაც არ მიუქცევია ყურადღება ფარნების ყვითელ შუქზე მკრთალად განათებული უკაცრიელი ქუჩებისათვის, სულაც არ აღძვრია პატარა ცნობისმოყვარეობაც კი. ხოსე არკადიომ ის იყო გაიფიქრა, აურელიანო ნამდვილად გაიქცაო, რომ ისიც მოვარდა, სულს ძლივს ითქვამდა, ფეხებს ვეღარ იმორჩილებდა, დიდი ხნის ჯდომისა და უმოძრაობისაგან მოფამფალებოდა. აურელიანოს ისე აშკარად ეტყობოდა, არაფრით რომ არ იზიდავდა გარე სამყარო, რომ რამდენიმე დღის მერე ხოსე არკადიომ დაარღვია დედისთვის მიცემული აღთქმა და აურელიანოს ნება დართო, როცა მოესურვებოდა, ქუჩაში გასულიყო.

— რა საქმე მაქვს ქუჩაში, — უთხრა აურელიანომ პასუხად.

იგი კვლავ ჩაიფლო თავის პერგამენტებში, ამოკითხვას დიდი დრო სჭირდებოდა, მაგრამ რაც ამოიკითხა, იმის აზრი ჯერჯერობით გაუგებარი იყო მისთვის. ხოსე არკადიომ განდეგილს ერთხელ შეუტანა ლორი და დაშაქრული ყვავილები, გაზაფხულის გემოს რომ ტოვებდნენ პირში, ორჯერ გვარიანი ღვინოც მიართვა. ხოსე არკადიოს არ იზიდავდა პერგამენტები, პიროვნულ გართობად და გატაცებად მიაჩნდა, მაგრამ ყველასაგან მიტოვებული უზომოდ განსწავლული და სამყაროს მცოდნე ნათესავის მიმართ კი დიდი გულისხმიერება გამოიჩინა. აღმოჩნდა, რომ აურელიანოს ინგლისური ენა სცოდნია და პერგამენტების შესწავლისას დროდადრო თავიდან ბოლომდე კითხულობდა თურმე ინგლისური ენციკლოპედიის ექვსივე ტომს. ხოსე არკადიოს პირველ ხანებში სწორედ ენციკლოპედიის დამსახურებად მიაჩნდა ის ამბავი, რომ აურელიანო რომზე ისე ლაპარაკობდა, თითქოს დიდი ხანი ეცხოვროს იქ, მაგრამ მალე გამოირკვა, მისმა მოსაუბრემ ბევრი ისეთი რამ იცოდა, რასაც ენციკლოპედიაში ვერ ამოი-

კითხავდა, მაგალითად, ფასების თაობაზე. როდესაც ჰკითხავდა, საიდან იცის ეს ყველაფერი, აურელიანო მუდამ ერთს ეუბნებოდა პასუხად: „ყველაფერის გაგება შეიძლება". თავის მხრივ აურელიანოსაც უკვირდა ბევრი რამ, ხოსე არკადიო აქამდე მხოლოდ შორიდან ენახა, ოთახებში ბორიალისას მოუკრავს თვალი, ახლოდან კი სულ სხვანაირი ყოფილა, თურმე ყველაფერი შეძლებია, ნაღველიც შემოაწვება ხოლმე ბუენდიების სახლის დიდებული წარსულის გახსენებაზე და ერთი-ორჯერ ოხვრისთვის გულიც ამოუყოლებია, მელკიადესის ოთახში სიცარიელე მეფობსო. ერთი სისხლისა და ხორცის ორი განდეგილი კაცი აულიერად დაუახლოვდა ერთმანეთს, დამეგობრებამდე ჯერ კიდევ ბევრი აკლდათ, მაგრამ ეს სიახლოვე ორივეს ულამაზებდა უძირო მარტოობას, რომელიც ერთდროულად კიდეც აშორებდა და კიდეც აახლოვებდა მათ. ამიერიდან ხოსე არკადიოს შეეძლო აურელიანოსთვის დახმარება ეთხოვა ზოგიერთი ძისთვის მეტისმეტად რთულ და გადაუდებელ შინაური საქმეების გადაწყვეტაში. რაც შეეხება აურელიანოს, მას უკვე უფლება ჰქონდა შუშაბანდში მჯდარიყო, ეკითხა ამარანტა ურსულას წერილები, კვლავ ჩვეული რიგითა და წესით რომ მოდიოდა, და ებანავა აუზში, სადაც წინათ ხოსე არკადიო ფეხსაც არ ადგმევინებდა.

ერთ პაპანაქება დილას კარზე ვიღაცის მოუთმენელმა კაკუნმა გამოაღვიძა ორივე. კართან ვიღაც მოხუცი კაცი იდგა, დიდი, მწვანე თვალები არაამქვეყნიური შუქით უნათებდა მკაცრ სახეს. შუბლზე ფერფლის ჯვარი აჩნდა ლაქად. მათხოვარივით იყო ჩამოძონძილი, მათხოვარივით მოეგდო მხარზე ძველი ტომარაც. ერთადერთი ავლადიდება, მაგრამ თავი ისე ღირსეულად ეჭირა, სულ რომ არ შეეფერებოდა მის გარეგნობას. თუმცა სასტუმრო ოთახში ნახევრად ბნელოდა, მაინც შეატყობდა კაცი, თავდაცვის ინსტიქტმა კი არა, სხვა იდუმალმა ძალამ — ჩვევად ქცეულმა შიშის გრძნობამ გააძლებინა მოხუცს აქამდე. ეს მოხუცი გახლდათ შეყვარებული აურელიანო, პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას ჩვიდმეტი ვაჟიშვილიდან ცოცხლად გადარჩენილი ერთადერთი ვაჟი. ამდენი დევნით დაღლილსა და ხიფათით აღსავსე მოხეტიალე ცხოვრების მერე მოსვენება სწყუროდა საცოდავ მოხუცს. მასპინძლებს თავისი ვინაობა გააცნო და შეევედრა, შემიფარეთ, ეს სახლი საბოლოო ნავსაყუდელად მეგულებოდა ყოველთვისო. მაგრამ ხოსე არკადიოსა და აურელიანოს არაფერი სმენოდათ მასზე, მათხოვრად მიიჩნიეს და ქუჩაში გააგდეს. იმწამშივე ორივენი იმ დრამის მოწმენი გახდნენ, ჯერ კიდევ ხოსე არკადიოს დაბადებამდე რომ დაიწყო: ნუშის ხეების ძირში, ქუჩის მოპირდაპირე მხარეს პოლიციის ორი აგენტი გამოჩნდა, ისინი რამდენიმე წელიწადი იყო, შეყვარებულ აურელიანოს კვალს დაედევნენ, და აი, გაისმა ორი გასროლა და შეყვარებული აურელიანო პირქვე დაემხო მიწაზე — ტყვიები ზედ შუბლში მოხვედროდა, ფერფლის ჯვარში.

მას შემდეგ, რაც ხოსე არკადიომ ბიჭები გააგდო სახლიდან, ტრანსატლანტიკური ლაინერის დახმარებით ელოდა ცნობას, რათა ნეაპოლში გამგზავრებულიყო შობამდე. აურელიანო გაფრთხილებული ჰყავდა, მივდივარო და თან მისთვის სამუშაოს ეძებდა, შიმშილით არ მოკვდესო — ფერნანდას სიკვდილის მერე კალათით აღარ მოსდიოდათ საჭმელ-სასმელი. მაგრამ ხოსე არკადიოს ამ ბოლო ოცნებასაც არ ეწერა აღსრულება — სექტემბრის ერთ დილას ხოსე არკადიომ და აურელიანომ სამზარეულოში ყავა დალიეს, მერე ხოსე არკადიო

საბანაოდ გაემართა და ის იყო ბანაობას ამთავრებდა კიდეც, რომ კრამიტის სახურავიდან საბანაოში ჩახტა ის ოთხი ბიჭი, სახლიდან რომ ცემა-ტყეპით გააგდო. ბიჭებმა ხოსე არკადიოს კანზე მოსვლაც არ აცადეს, ტანსაცმლიანად ჩახტნენ აუზში, თმაში ჩაავლეს ხელი, წყალში თავი ჩააყოფინეს და მანამდე ჰყავდათ ასე, ვიდრე წყლის ზედაპირზე უკანასკნელი ბუშტუკა არ გასკდა და პაპის სავარძლის მაძიებლის უსიცოცხლო, ფერდაკარგული სხეული სურნელოვანი წყლით სავსე აუზის ფსკერზე არ დაეშვა. მერე წაიღეს ის სამი ტომარა ოქრო, რომლის სამალავიც მხოლოდ მათ იცოდნენ და მათმა მსხვერპლმა. ყველაფერი საბედისწერო თავდასხმასავით სწრაფად, გააზრებულად და უმოწყალოდ მოიმოქმედეს. თავის ოთახში გამოკეტილ აურელიანოს ეჭვადაც არაფერი გაუვლია გუნებაში. საღამოს სამზარეულოში რომ შევიდა, ხოსე არკადიო მოიკითხა. დაუწყო ძებნა და ბოლოს საბანაოში იპოვა: უზარმაზარი და გაბერილი ხოსე არკადიო სურნელოვანი წყლის ზედაპირზე ტივტივებდა და კვლავ ამარანტაზე ფიქრობდა. მხოლოდ ახლა მიხვდა აურელიანო, როგორ შეჰყვარებოდა ხოსე არკადიო.

ამარანტა ურსულა დეკემბრის პირველ რიცხვებში დაბრუნდა, თან მოიყვანა ქმარი, რომლისთვისაც ყელზე აბრეშუმის საყელური გამოება და მისი ერთი ბოლო ცალ ხელში დაეჭირა. ამარანტა ურსულა მოულოდნელად და უეცრად მოევლინა. ეცვა სპილოსძვლისფერი კაბა, მარგალიტის ყელსაბამი მუხლებამდე სცემდა, ხელებზე უბრწყინავდა ზურმუხტი და ტოპაზი, სწორი თმა მოკლედ შეეჭრა და ლოყებზე ვერცხლის ფრთასავით მოერკალა.

ამარანტა ურსულამ ამ კაცზე სულ რაღაც ექვსი თვის წინ დაიწერა ჯვარი. ხანში შესული, ტანადი ფლამანდიელი კაცი მეზღვაურს ჰგავდა. შეაღო თუ არა სასტუმრო ოთახის კარი, ამარანტა ურსულა დარწმუნდა, კარგა დიდი დრო გასულიყო მის შემდეგ, რაც აქ არ ყოფილა და ისიც თვალნათლივ დაინახა, უფრო მეტად გავერანებულიყო აქაურობა, ვიდრე ელოდა.

— ღმერთო ჩემო! — შეჰყვირა მან და ხმაში ნაღველის ნაცვლად სიხალისე გამოუკრთა, — როგორ ეტყობა უქალობა აქაურობას!

ამარანტა ურსულას ბარგი შუშაბანდში არ დაეტია. გარდა ფერნანდას ძველი სკივრისა, — ბრიუსელში გამგზავრებისას რომ გაატანეს, — თან ჩამოიყოლა ორი კარადა, ოთხი დიდი ჩემოდანი, ქოლგებიანი ტომარა, რვა საქუდე ყუთი, უზარმაზარი გალია ორმოცდაათი იადონით და საგანგებო ბუდეში ჩალაგებული ასაწყობი ველოსიპედი, რომელიც შეგეძლო ვიოლონჩელივით გეტარებინა ხელით. ხანგრძლივი მგზავრობის მერე არც დაისვენა. ქმრის ძველი სამუშაო შარვალ-ხალათი ჩაიცვა და სახლის აღდგენას შეუდგა. შუშაბანდში დაბუდებული წითური ჭიანჭველები ამოხოცა, ვარდის ბუჩქები გამოაცოცხლა, სარეველა ბალახი ყველგან ამოძირკვა, ქოთნებში კვლავ ჩარგო ყვავილები, მოიწვია ხუროები, კალატოზები, ზეინკლები, ამოავსებინა დამსკდარ-დანაპრალებული იატაკი, ჩაასმევინა ახალი კარ-ფანჯრები, შეაკეთებინა ავეჯი, სახლი შიგნიდანაც და გარედანაც შეათეთრებინა და უკვე მისი ჩამოსვლიდან სამი თვის თავზე აქაურობა აავსო ისეთივე ხალისიანმა და ახალგაზრდულმა ჟრიამულმა, პიანოლის ხანაში რომ იყო. ამ სახლს ჯერ არ მოსწრებია ამარანტა ურსულასნაირი არსება, იგი სულ მუდამ სიმღერისა და ცეკვის გუნებაზე იყო, თან წუთს არ ჰკარგავდა. სანაგვე ყუთში გადაუძახა ძველის-

ძველი ნივთები და ჩვევა-წესები. თუკი სადმე წაასწრო სამგლოვიარო ნივთებსა და ყოველ კუთხე-კუნჭულში თავმოყრილ ხარახურას, ყველაფერს დაერია ხელი და გადაყარა, მხოლოდ მშვენიერი რემედიოსის სურათი არ ჩამოხსნა კედლიდან და ისიც — ურსულას ხათრითა და პატივისცემით. „შეხედეთ ერთი, რა ლამაზია! — იცინოდა ამარანტა ურსულა, — ჩემი თოთხმეტი წლის ბებია!“ ერთმა კალატოზმა ამარანტა ურსულა გააფრთხილა, ეს სახლი მოჩვენებებით არის სავსე და თუ გინდა შეაშინო და თავიდან მოიშორო, გადამალული განძი უნდა იპოვოო, მაგრამ ამარანტა ურსულამ ერთი გემრიელად გადაიკისკისა და უთხრა, ცრუმორწმუნე მამაკაცებისა არაფერი მჯერაო. იგი ისეთი უშუალო, თამამი და თანამედროვე ქალი იყო, რომ აურელიანო პირველ დანახვაზევე შეკრთა, აღარ იცოდა რა მოეხერხებინა საკუთარი ხელ-ფეხისათვის. „ერთი ამას დამიხედეთ, — მხიარული შეძახილით გადაეხვია ამარანტა ურსულა დისშვილს, — როგორ გაზრდილა ჩემი ძვირფასი კაციჭამია!“ ვიდრე აურელიანო სიტყვას იპოვიდა სათქმელად, ქალმა ფირფიტა დადო ბრიუსელიდან ჩამოტანილ პატარა პატეფონზე, აურელიანოს მიეჭრა და რომელიღაც ახალი მოდური ცეკვის სწავლება დაუწყო. მერე პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას გამონაცვალი გაქონიანებული შარვალი გააძრობინა, აჩუქა ჭრელ-ჭრელი პერანგები, მშვენიერი ფეხსაცმელი, შემოსა და ქუჩაში გაუშვა.

ურსულასავით მარდი, პატარა და დაუდგრომელი ამარანტა ურსულა სილამაზით არ ჩამოუვარდებოდა მშვენიერ რემედიოსს. იგი დაჯილდოვებული იყო არაჩვეულებრივი ნიჭით — გამოეცნო მომავლის მოდა. და მართლაც, ფოსტით მიღებული მოდების ბოლო ჟურნალები იმის დასტური გახლდათ, რომ ამარანტა ურსულა არ ცდებოდა მოდებში, რომელთაც თვითონ იგონებდა და რის მიხედვითაც თვითონ იკერავდა ხოლმე ტანსაცმელს ურსულას ძველისძველ საკერავ მანქანაზე. ამარანტა ურსულას გამოწერილი ჰქონდა მოდების თითქმის ყველა ევროპული ჟურნალი, გამოწერილი ჰქონდა წიგნები ხელოვნებასა და მუსიკაზე, მაგრამ საკმარისი იყო გადაეფურცლა, რომ მაშინვე რწმუნდებოდა, ქვეყნად ყველაფერი ისე მიდიოდა, როგორც თვითონ წარმოედგინა. პირდაპირ საკვირველი იყო, ასეთი ჭკვიანი და ნიჭიერი ქალი რატომ დაბრუნდა ამ დამტვერილსა და სიცხით გათანგულ ჩამკვდარ ქალაქში და უფრო მეტიც — დაბრუნდა მდიდარ ქმართან ერთად, ვისაც იმდენი ფული ჰქონდა, რომ უზრუნველად შეეძლო ეცხოვრა ყველგან და ისე ძალიან უყვარდა ცოლი, რომ ნებას რთავდა, აბრეშუმის ყელსაბამზე გამობმული ეტარებინა. მაგრამ გადიოდა დრო და ეჭვს აღარ იწვევდა, რომ ამარანტა ურსულა აქ დარჩენას აპირებდა სამუდამოდ; მან აქ იმდენი რამე გააკეთა, რომ ეტყობოდა, მისი გეგმები ხანგრძლივი ვადით იყო გათვალისწინებული. მთელი მისი მონდომება და სწრაფვა ერთ მიზანს ემსახურებოდა — ნებიერი ცხოვრება და მშვიდი სიბერე სურდა მაკონდოში. გალიით ჩამოყვანილი იადონებიც იმის დასტური გახლდათ, რომ ქალს ეს გადაწყვეტილება უცბად და ჰაიჰარად არ მიუღია. ერთ-ერთ წერილში დედა სწერდა ჩიტების სიკვდილზე, მას მერე ამარანტა ურსულამ მოსვენება დაკარგა, კიდევ რამდენიმე თვე დაყოვნდა ევროპაში, კანარის კუნძულებისკენ მიმავალ გემს დაელოდა, გაემგზავრა იქით და იყიდა ოცდახუთი წყვილი საუკეთესო ჯიშის იადონი, რათა მაკონდოს ცა ხელმეორედ აევსო ჩიტებით. მაგრამ ყველა მისი წამოწყებული საქმისა არ იყოს, ესეც ჩაუფლავდა და თანაც ყველაზე მეტად ჩაუფლავდა! როგორც კი ჩიტების რომელიმე

ოჯახი ბარტყებს დაჩეკდა და წამოზრდიდა, ქალს სათითაოდ გამოჰყავდა ისინი გალიიდან და ათავისუფლებდა, ტყვეობას თავდაღწეული ჩიტებიც მაშინვე ტოვებდნენ აქაურობას და სამშობლოსკენ მიეშურებოდნენ. ამაოდ ცდილობდა ამარანტა ურსულა იადონები იმ გალიით მოეხიბლა, ურსულამ რომ გააკეთებინა ჯერ კიდევ სახლის პირველი გადაკეთების* დროს; ამაოდ უშენებდა ბუდეებს ნუშის ტოტებითა და ძეწნით, ამაოდ უყრიდა სახურავებზე [illegible] ცდილობდა აემღერებინა გალიაში გამომწყვდეული ჩიტები, იქნებ მათ ჭიკჭიკზე გაქცეულები დაბრუნდნენო, მაგრამ გალიიდან თავდაღწეული იადონები ელვისუსწრაფესად შეკრავდნენ ხოლმე კამარას ქალაქის თავზე, ერთი-ორჯერ შემოუფრენდნენ გარს და ესეც მხოლოდ იმიტომ, რომ გამოერკვიათ, საით მდებარეობდა მათი სამშობლო — კანარის კუნძულები.

უკვე წელიწადი იყო, რაც ამარანტა ურსულა აქაურობას დაუბრუნდა და ამ ხნის მანძილზე ვერ მოახერხა ერთი საზეიმო სუფრა გაეწყო, მაკონდოელებს დაახლოვებოდა. მაგრამ იმედს მაინც არ კარგავდა, ოდესმე შევძლებ იმ ადამიანთა მოდგმის გამოცოცხლებას, უბედურება რომ სდევთ მუდამო. გასტონი, მისი ქმარი, ხელს არაფერში უშლიდა. როგორც კი იმ პაპანაქება დღეს მატარებლიდან გადმოვიდა ცოლთან ერთად და ფეხი დაადგა მაკონდოს მიწას, გუმანმა უკარნახა, აქ დაბრუნების სურვილი მის ცოლს მოჩვენებითმა ნაღველმა გაუღვიძა და სჯეროდა, სულ ცოტა ხანში სინამდვილე გაუქრობდა ამ ნაღველს. ასე ფიქრობდა კაცი და მალე უკან დაბრუნების იმედით ველოსიპედი არც აუწყვია, მთელი დღეები კალატოზების ჩამოწმენდილ აბლაბუდებში იქექებოდა და ობობის ლამაზ-ლამაზ კვერცხებს ეძებდა. როგორც კი იპოვიდა, ფრჩხილით გახლეჩდა და ლუპით აკვირდებოდა იქიდან გადმოვარდნილ პაწაწკინტელა ობობებს. საქმეში ჩაძირული ცოლი რომ დაინახა, მაშინ კი გაიფიქრა კაცმა, საკუთარი თავის დასარწმუნებლად იღვწის ჩემი ცოლიო და ველოსიპედის აწყობას შეუდგა. დიდებული ველოსიპედი იყო, წინა თვალი უზარმაზარი ჰქონდა, უკანა კი — ძალზე პატარა. მთელი დღე მწერებს დასდევდა, იჭერდა, ახმობდა და მურაბის ქილებით უგზავნიდა ლიეჟის უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო ისტორიის ერთ მოხუც პროფესორს, ვისი ხელმძღვანელობითაც ერთ დროს სწავლობდა ენტომოლოგიის უმაღლეს კურსს, თუმცა ავიაციით იყო მუდამ გატაცებული. ველოსიპედით სეირნობისას გასტონს აკრობატის ტანზე შემოტკეცილი შარვალი და სტვირზე დამკვრელების გრძელყელიანი წინდები ეცვ, თავზე კი პოლიციის აგენტის ქუდი ეხურა. ფეხით სიარულისას თეთრი გაქათქათებული კოსტიუმი და ასევე თეთრი ფეხსაცმელი ეცვა, ყელზე აბრეშუმის ჰალსტუხი ჰქონდა გამონასკვული, თავზე შლაპა ეხურა და ხელთ ახალი ხელჯოხი ეჭირა. მეზღვაურივით მოთეთრო თვალები და ციყვის ბეწვივით წითური ულვაში ჰქონდა. თუმცა იგი თხუთმეტი წლით უფროსი იყო ცოლზე, ისე ლირსეულად, ყმაწვილურად ეჭირა თავი და ცოლის სამსახურად მზადყოფნა ეწერა სახეზე, რომ ასაკობრივი განსხვავება თითქმის არც ჩანდა. ვინ იფიქრებდა, რომ ამ ორმოცი წლის თავაზიან, ყელზე საბელგამობმულ, საცირკო ველოსიპედზე შემჯდარ მამაკაცს თავის ახალგაზრდა ცოლთან ისეთი სიყვარულის ხელშეკრულება ექნებოდა დადებული, რის თანახმადაც შეეძლოთ სასიყვარულო ამბები მოემოქმედათ საამისოდ სრულიად შეუფერებელ დროსა და ადგილას. გაცნობის პირველი დღიდანვე იცავდნენ ამ პირობას და მათი ვნებაც დღითი დღე მდიდრდებოდა ცხოვრებისეული გამოცდილებით. გასტონი არა მარტო

მგზნებარე საყვარელი და სიყვარულის მეცნიერებაში ღრმად განსწავლული კაცი გახლდათ, — იგი ერთადერთი ისტორიული პიროვნება იყო, ვინც გაბედა და თვითმფრინავი დასვა პირდაპირ იებით მოფენილ მინდორში. საკუთარ თავს ვინ ჩიოდა, ცოტაც გაწყდა, საცოლეც არ დაღუპა, და მხოლოდ იმისთვის მოიმოქმედა ასე, რომ სწორედ იებით მოფენილ მინდორში დაეცხრო უეცრად მოვარდნილი ვნება.

ბიბლიოთეკა

ქორწინებამდე სამი წლით ადრე გაიცნეს ერთმანეთი. ერთ დღეს გასტონმა თავისი ბიპლანით რამდენჯერმე გადაუფრინა იმ კოლეჯს, სადაც ამარანტა ურსულა სწავლობდა; უცებ ალამს შეასწრო თვალი და რომ არ დაჯახებოდა, სწრაფად მოაბრუნა მანქანა, მაგრამ ქერელის ტილოსა და ალუმინით შეკოწიწებული ბიპლანი მაინც გამოედო მავთულს და ჰაერში საცოდავად დაეკიდა. იმ დღიდან გასტონი, — თუმცა ორტახებში ჰქონდა ფეხი გაკრული, — ყოველ შაბათს აკითხავდა ამარანტა ურსულას პანსიონში. სადაც ვერ იყო ისეთი სიმკაცრე, ფერნანდას რომ უნდოდა, და თავის სპორტულ კლუბში მიჰყავდა ქალიშვილი. ისინი ხუთი ათასი მეტრის სიმაღლეზე იყვნენ ჰაერში, როცა პირველად მიხვდნენ, ერთმანეთი შეჰყვარებოდათ და რაც უფრო პატარავდებოდა ქვემოთ მიწაზე ყველაფერი, მით უფრო ცხადად ესმოდათ მაღლა ერთმანეთის გულისწადილი. ამარანტა ურსულა გასტონს დაუსრულებლად ელაპარაკებოდა მაკონდოზე — ყველაზე მშვენიერსა და წყნარ ქალაქზე; უყვებოდა უზარმაზარ სახლზე, სადაც მუდამ თავშავას სურნელი იდგა; ოცნებობდა სწორედ ამ სახლში გაეტარებინა წუთისოფელი ერთგულ ქმართან ერთად; ოცნებობდა ჰყოლოდა ორი ცელქი ბიჭუნა, რომელთაც აურელიანოსა და ხოსე არკადიოს კი არა, როდრიგოსა და გონსალოს დაარქმევდა, ხოლო გოგონას რემედიოსის მაგივრად ვირხინიას შეარქმევდა სახელად. თავისიანებზე ნოსტალგიამოწოლილი ქალიშვილი ისე მხურვალედ და ჯიუტად იხსენებდა მშობლიურ ქალაქს, რომ გასტონი მიხვდა, მაკონდოში თუ არ წავყევი, ნამდვილად უარს მეტყვის ცოლობაზეო. ასევე დაჰყვა ცოლის ნებას და ყელზე საბელი გამოიბა, დროებითი ხუშტურია და მალე გაუვლისო. მაგრამ ორმა წელიწადმა გაიარა, ამარანტა ურსულა კი თავს ისე ბედნიერად გრძნობდა მაკონდოში, როგორც ჩამოსვლის პირველ დღეს. ახლა კი შეშფოთდა გასტონი, მან თითქმის ყველა მწერი დაიჭირა და გაახმო, რაც კი მაკონდოში არსებობდა, აქაურთა კილოზე ლაპარაკსაც მიეჩვია და ფოსტით მიღებულ ჟურნალებში დაბეჭდილი თითქმის ყველა კროსვორდიც ამოხსნა. ცხელ ჰავას ვერ ვეგუებიო, ამას ვერ მოიმიზეზებდა გასტონი, განგებამ მას ისეთი ღვიძლიც არგუნა, კოლონიებში ცხოვრება არ გაუჭირდებოდა, დამყაყებული წყალი და პაპანაქება ვერაფერს დააკლებდა. აქაურ საჭმელებსაც მიეჩვია, ის კი არადა, ერთ დღეს იგუანის ოთხმოცდა ორი კვერცხი ტაფამწვარს მიუთავა ხელი. ამარანტა ურსულას კი მატარებლით საგანგებოდ მოსდიოდა ყინულიან ყუთებში ჩალაგებული თევზი, ხორცისა და ხილის ათასნაირი კონსერვი. სხვას ვერაფერს ჭამდა. იგი ევროპულ ყაიდაზე იცვამდა და კვლავ იწერდა მოდების ჟურნალებს, მაგრამ სტუმრად არსად დადიოდა. ქმარს კი ცოლის მოკლე კაბების, თავზე გვერდულად დაკოფსებული ფეტრის ქუდებისა და შვიდფად ასხმული მძივებისა არა გაეგებოდა რა. ამარანტა ურსულას მთელი საიდუმლო, როგორც ჩანს, ის გახლდათ, რომ ყოველთვის შეეძლო საქმის გამონახვა, თვითონვე სწყვეტდა თავისსავე წამოჭრილ ოჯახურ საკითხებს, თვითონვე ასწორებდა თავისსავე შეცდომებს და თა-

ნაც ყველაფერს ისეთი ჯიუტი გულმოდგინებით აკეთებდა, რომ ფერნანდა ცოცხალი რომ ყოფილიყო, უსათუოდ გაიფიქრებდა, ჩემმა ქალიშვილმა მემკვიდრეობად მიიღო წყლის ნაყვის დაწყევლილი ჩვევაო. სიცოცხლის წყურვილი ამარანტა ურსულას არსებაში წყაროსავით ჩქეფდა. როცა კი ახალ ფირფიტებს მიიღებდა, სასტუმრო ოთახში გამოიჭერდა ხოლმე ქმარს და გვიან ღამემდე ასწავლიდა ახალმოდურ ცეკვებს, რომელთა ნახაზებსაც ყოფილი კოლეჯელი ამხანაგები უგზავნიდნენ. ცეკვის გაკვეთილები, ჩვეულებისამებრ, მთავრდებოდა სასიყვარულო ამბებით ვენურ სარწეველა სავარძელში ან პირდაპირ იატაკზე. სრული ბედნიერებისათვის ამარანტა ურსულას მხოლოდ შვილი აკლდა, მაგრამ პირნათლად იცავდა ქმართან დადებულ პირობას. პირველ ხუთ წელიწადს შვილი არ გაეჩინა.

უსაქმოდ დარჩენილი გასტონი დილაობით მელკიადესის ოთახში შეყიალდებოდა ხოლმე და აურელიანოს ემასლაათებოდა. აურელიანო ისე დაწვრილებით ჰყვებოდა გასტონის სამშობლოზე, მის ყოველ კუთხე-კუნჭულზე, თითქოს იქ მოეჭრას ჭიპი. გასტონსაც გულს უხარებდა მშობლიური მხარის გახსენება და, ხოსე არკადიოსი არ იყოს, ისიც გაოცებული ეკითხებოდა, საიდან იცი ისეთი ამბები, ენციკლოპედიებშიც რომ არ წერიაო. „ყველაფერის გაგება შეიძლება", — იყო აურელიანოს უცვლელი პასუხი, სანსკრიტის გარდა აურელიანო ინგლისურსა და ფრანგულსაც სწავლობდა, ცოტაოდენი ლათინური და ბერძნულიც გაეგებოდა. ამარანტა ურსულა მთელი კვირის სამყოფ ჯიბის ფულს აძლევდა, ისიც ყოველ საღამოს გადიოდა სახლიდან და მალე მელკიადესის ოთახში ლამის არ გადმოინაცვლა სწავლული კატალონელის წიგნების ფარდულმა. აურელიანო ხარბად კითხულობდა წიგნებს, გვიანობამდე ჩაჰკირკიტებდა, მაგრამ წაკითხულზე რომ მოჰყვებოდა ლაპარაკს, გასტონი უმალვე ხვდებოდა: აურელიანო წიგნებს იმიტომ კი არ კითხულობდა, რაიმე ესწავლა, არამედ სურდა დარწმუნებულიყო, ყველაფერი მართლა ისე იყო თუ არა, რაც უკვე კარგა ხანია იცოდა. ყველაზე მეტად მას პერგამენტები იზიდავდა და უმეტეს დროსაც მის ამოკითხვას ანდომებდა. ამარანტა ურსულა და გასტონი აურელიანოს სიხარულით მიუჩენდნენ ადგილს თავიანთ მყუდრო ოჯახურ წრეში, მაგრამ აურელიანოს თავი შორს ეჭირა, იდუმალება ღრუბელივით ეკრა გარს და ეს ღრუბელი დღითი დღე ჩაშავებულ-ჩამუქებული ხდებოდა. გასტონმა ვერა და ვერ მოახერხა დაეახლოვებინა აურელიანო და დროის მოსაკლავად სხვა რაღაცას დაუწყო ძებნა. სწორედ მაშინ მოიფიქრა ავიაფოსტის შექმნა.

ეს იდეა ახალი არ გახლდათ მისთვის. ჯერ კიდევ ამარანტა ურსულას გაცნობამდე ფიქრობდა მის ხორცშესხმას. მაშინ კომპანიის ჩამოყალიბებაც კი მოიწადინა ბელგიის კონგოში, სადაც მის ოჯახს დიდძალი თანხა ჰქონდა დაბანდებული პალმის ზეთის წარმოებაში. ქორწინებამ და ცოლის ხათრით მაკონდოში გამგზავრებამ გასტონს დროებით აიღებინა ხელი თავის ჩანაფიქრის აღსრულებაზე, მაგრამ ამარანტა ურსულამ მაკონდოში ქალაქის კეთილმოწყობის საზოგადოება რომ შექმნა და ევროპაში დაბრუნებაზე ფიქრიც კი უკვე სასაცილოდ ეჩვენებოდა, მაშინ კი მიხვდა ფლამანდიელი კაცი, მაკონდოში კარგა ხნით მოუწევდა ცხოვრება, და წერილი მისწერა თავის ბრიუსელელ კომპანიონებს. განა სულ ერთი არ არის, დედამიწის რომელ კუთხეში დაგვერქმევა პირველაღმომჩენის სახელი — აფრიკაში თუ კარიბის სანაპიროზე? ვიდრე მიწერ-მოწერა გრძელდებოდა, გასტონმა აეროპლანის დასაჯდომი

პოლდანი მოაცურეთავა ყოფილ მოჯადოებულ ადგილებში, რომელიც ლორილით დაფარულ ველს ჰგავდა. აბა რა იცოდა გასტონმა, რომ მისმა საქმიანობამ მაკონდოელებს მისტერ ჰერბერტი მოაგონათ და შიშნარ[illegible] ეჭვიც ჩაესახათ გულში: მგონი, ამასაც ბანანის გაშენება განუზრახავს და აეროპლანს ჩვენი თვალის ასახვევად იგონებსო. გასტონი ისე იყო ატაცებული [illegible] საკუთარი იდეით, და მართლაც, მარტო ეს იდეა ეყოფოდა მაკონდოში [illegible] დარჩენის გასამართლებლად, — რომ იგი რამდენჯერმე ეახლა პროვინციის დედაქალაქში ხელისუფალთ, მიიღო ლიცენზიები და ხელი მოაწერა ხელშეკრულებებს. ამასთანავე კვლავ სწერდა წერილებს თავის ბრიუსელელ თანამზრახველებს და ეს მიმოწერა რაღაცით ჰგავდა ფერნანდას მიმოწერას უხილავ მკურნალებთან. ბოლოს, როგორც იქნა, დაითანხმა ბრიუსელელი ამხანაგები, გემით გამოეგზავნათ აეროპლანი და თან ისეთი მექანიკოსიც გამოეყოლებინათ, რომელიც მაკონდოს მახლობელ რომელიმე ნავსადგურშიააწყობდა მფრინავ მანქანას და ასე ჩამოფრინდებოდა ქალაქში. გასტონი ისე იყო დარწმუნებული, ბრიუსელელი ამხანაგები არ გამაწბილებენო, რომ ჩვეულებად ექცა ქუჩაში ხეტიალი და ცაში ყურება. მთელი წელიწადი გაფაციცებული ადევნებდა თვალყურს ქარის ქროლვას და აეროპლანის გამოჩენას სულისწრაფვით ელოდა.

ამარანტა ურსულას დაბრუნებამ მაკონდოში ძირფესვიანად შეცვალა აურელიანოს ცხოვრება, მაგრამ თვითონ ქალი ვერ ამჩნევდა ამას. ხოსე არკადიოს სიკვდილის მერე აურელიანო ხშირად აკითხავდა კატალონელის წიგნების ფარდულს. ტყვეობიდან თავდაღწეულს სხვა რა საქმე ჰქონდა, მთელი გულისყურით შეუდგა ქალაქის დათვალიერებასა და შესწავლას, გაკვირვებით კი არაფერი უკვირდა. იგი დაეხეტებოდა უკაცრიელ ქუჩებში და ჩვეულებრივი ცნობისწადილით კი არა, უფრო მეცნიერის თვალით აკვირდებოდა ყოველივეს: დანგრეულ სახლებსა და ოდესღაც პაპანაქება სიცხით გათანგული ჩიტებისაგან გაგლეჯილ ჟანგმოდებულ რკინის ცხაურებს ფანჯრებზე, ეცნობოდა მოგონებებით გულდამძიმებულ ადამიანებს. იგი ცდილობდა გონებაში წარმოედგინა ქალაქისა და ბანანის კომპანიის წარსული დიდებული სახე. კომპანიის დაშრალი საცურაო აუზი ფეხსაცმლებით იყო სავსე, ერთ-ერთი სახლის ხავსმოდებულ ნანგრევებში აურელიანო რგოლზე ჯაჭვით მიბმულ გერმანული ნაგაზის ჩონჩხს წააწყდა. აქვე ნახა ტელეფონიც, რომელიც განუწყვეტლივ რეკავდა და რეკავდა. აურელიანომ ყურმილი აიღო და ქალის შორეული და შეშფოთებული ხმა მოესმა, ინგლისურად ლაპარაკობდა. „დიახ, გაფიცვა დამთავრდა... დიახ, ნამდვილად სამი ათასი გვამი გადაისროლეს ზღვაში... ბანანის კომპანიაც მოშორდა აქაურობას და მრავალი წლის მერე მაკონდოში კვლავ სიმშვიდე სუფევს“. — იყო აურელიანოს პასუხი. ხეტიალ-ხეტიალში აურელიანო სარისკაპოების მოზრდილ უბანს მიადგა. ოდესღაც აქ ფულს ცეცხლს მხოლოდ იმისთვის უკიდებდნენ, რომ კუმბიამბა ეცეკვათ, ახლა კი ყველაზე ნაღვლიანად და საწყალობლად გამოიყურებოდა აქაურობა. აქა-იქ საცოდავად ბჟუტავდნენ წითელი ფარნები, ჩამოძენძილი გირლიანდებით მორთულ საცეკვაო დარბაზებში კაციშვილი არ ჭაჭანებდა, ხოლო ფრანგი ბებიები და ბაბილონელი მატრიარქები — ძვალტყავა თუ ჩასუქებული უქმროდ დაბერებული და მაინც ქვრივი ქალები — კვლავ ელოდნენ სასწაულს. აურელიანომ ვერვინ იპოვა ისეთი, მის ოჯახზე ან თუნდაც პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიაზე სმენოდა რაიმე. თუმცა ბოლოს მაინც აღმოაჩინა ერთი უხუცესი ანტილიელი

ზანგი, რომელიც თავის სახლის წინ, პატარა ბაღჩაში მღეროდა ხოლმე საღამოს ჰიმნებს. ზანგს თოვლივით ჭაღარა ჰქონდა და ძალიან ჰგავდა სურათის ნეგატივს. აურელიანომ სულ რაღაც ორიოდ კვირაში შეისწავლა ზანგების თავსატეხი ჟარგონი, მიდიოდა მოხუცთან, ემასლაათებოდა და ხანდახან მაჰინილის ბადიშის შვილს, უზარმაზარი ზანგი ქალის მომზადებულ ქათმის თავების წვნიანსაც მიირთმევდა. ამ ქალს ჰაკივით თეძოები და ნესვისებრი ძუძუები ჰქონდა, ლამაზ მრგვალ თავზე შუასაუკუნეების მეომრის ჩაფხუტივით მოერგო ხშირი და ჯაგარივით თმა. ქალს „ჯადოქარს“ ეძახდნენ. იმ ხანებში თავი რომ როგორმე გაეტანა, აურელიანომ ჯერ ჭურჭლეული გაჰყიდა, მერე შანდლებს მიადგა და თუკი რამ წვრილმანი მოეძევებოდა სახლში, ისიც ზედ მიაყოლა. ძალიან ხშირად მთლად უგროშოდაც მჯდარა, წასულა ბაზარში და სავაჭროდ გამოსული გლეხებისთვის ქათმის თავები გამოურთმევია, მერე „ჯადოქართან“ წაუღია, რათა დანდურითა და პიტნით შეზავებული წვნიანი შეეხვრიპათ სტუმარსაც და მასპინძელსაც. როდესაც მოხუცი ზანგი მოკვდა, აურელიანომ ფეხი მოიკვეთა იმ სახლში, სამაგიეროდ მოედანზე, დაბურულ ნუშების ხეივანში არაერთხელ დაუნახავს „ჯადოქარი“. სტვენით რომ იხმობდა კანტიკუნტად ჩავლილ ღამის მგზავრებს. ხშირად ერთადაც გაუვლიათ ქუჩაში, ზანგების ჟარგონზე ებაასებოდა ქალს ქათმის თავების წვნიანსა და ღარიბულ საუცხოო საჭმელებზე. ალბათ კარგა ხანს იხეტიალებდა ასე, ერთ დღეს ქალს რომ არ გადაეკრა მისთვის სიტყვა, მუშტარს მიფრთხობო. აურელიანო ერთხელაც არ წოლილა ამ ქალთან, თუმცა ერთი-ორჯერ კინაღამ ვერ გაუძლო ცდუნებას, რაც ალბათ „ჯადოქარს“ ბუნებრივადაც მოეჩვენებოდა მათი ამდენი ხეტიალის შემდეგ. ერთი სიტყვით, როდესაც ამარანტა ურსულა მაკონდოში დაბრუნდა და თავისი დისშვილი შინაურულად გადაკოცნა, აურელიანო ჯერ კიდევ უცოდველი გახლდათ და ამიტომაც იყო, რომ ამ კოცნამ სული შეუგუბა. ამ დღიდან, როცა კი ამარანტა ურსულა სადმე შეეფეთებოდა ან მოდურ ცეკვებს ასწავლიდა, აურელიანო საცოდავად იბუზებოდა, თითქოს ძვლები უდნებაო, მუხლებში ძალა ეცლებოდა. ეს გახლდათ იგივე განცდა, რამაც ოდესღაც მისი პაპის პაპა შეაკრთო, პილარ ტერნერამ საკუჭნაოში რომ შეიყვანა პირველად ვითომდა სამკითხაოდ. მტანჯველი ნაღველი რომ ჩაეყუჩებინა, აურელიანო პერგამენტებში ჩაეფლო, თავს არიდებდა ამარანტა ურსულას უცოდველსა და წმინდა ალერსს, რომლის მწარე სურნელიც სულს უხუთავდა ღამ-ღამობით. მაგრამ რაც უფრო გაურბოდა, მით უფრო სულისწრაფვითა და შიშით ელოდა მისი სიცილის, ნებიერ კატასავით კრუტუნა ხმისა და სიმღერის გაგონებას. აურელიანოს სიყვარული ჰკლავდა ყოველ საათსა და ყველგან, საყვარულისთვის ყველაზე შეუფერებელ ადგილებშიც კი. ერთ ღამეს მისი საწოლიდან სულ რაღაც ათიოდ ნაბიჯზე ვნებაგახელებული ცოლ-ქმარი ძველ სახელოსნოში ზედ მაგიდაზე მიეცა განცხრომას, ვიტრაჟი გატეხეს, მაგრამ თავიანთ საქმეს მაინც განაგრძობდნენ პირდაპირ მარილმჟავას გუბეში. აურელიანოს მთელი ღამე არ მოუხუჭავს თვალი, მეორე დღესაც ციებიანივით აკანკალებდა და ყელში ბურთივით გაჩხეროდა ქვითინი. ეს დღე უსასრულოდ გაგრძელდა მისთვის და როდესაც სასურველი ღამეც მოვიდა, აურელიანო ნუშების დაბურულ ხეივანში შეხვდა „ჯადოქარს“, გაუბედაობით შებოჭილ ვაჟს გაოფლილ მუჭში მოემწყვდია ერთნახევარი პესო, რომელიც ამარანტა ურსულას გამოართვა. არ იფიქროთ, არ ჰქონდა და იმიტომ სთხოვა. ფული ჰქონდა, მაგრამ სურდა ამა-

ანტა ურსულაც ამ სიაამაგლის თანამონაწილედ გაეხადა, ისიც დაემცირებინა, მისთვისაც წაეცხო ეს სამარცხვინო ლაქა. „ჯადოქარმა" შეთქმულის სანთლებით განათებულ ოთახში შეიყვანა ვაჟი. დასაკეც საწოლზე აფინა გამოფიტული და უსულგულო ძუკნას ბინძური სიყვარულობანას ლაქებით დათხვრილი ზეწარი. ერთი პირობა ქალმა სცადა დასხლტომოდა შეშინებულ ბავშვივით მორჩილ აურელიანოს, მაგრამ მალე მიხვდა, ნამდვილი მამაკაცი უწევს გვერდით — ისე შეურყია შიგნეული, თითქოს მიწა იძრაო.

ისინი საყვარლები გახდნენ. დილაობით აურელიანო პერგამენტებს ჩაჰკირკიტებდა, ნასადილევს კი „ჯადოქრის" მომთენთავ საწოლ ოთახისკენ მიეშურებოდა. მხოლოდ რამდენიმე კვირის თავზე შეამჩნია, რომ მის საყვარელს ვიოლონჩელის სიმივით წვრილი, მაგრამ ფოლადივით მაგარი მავთული ერტყა წელზე. ამ რგოლს არც თავი ჰქონდა და არც ბოლო, რადგან „ჯადოქარი" ასე დაბადებულა და გაზრდილა. თითქმის ყოველთვის, ალერსით გულს რომ იჯერებდნენ, სულის მოსათქმელად საწოლზე ჩამოსხდებოდნენ შიშვლები და წაიხემსებდნენ ხოლმე. მათ თავზე დღის ვარსკვლავებივით ბრწყინავდნენ ჟანგამოჭმული, გავარვარებული თუნუქის სახურავის ნასვრეტები. „ჯადოქარს" თავის სიცოცხლეში არასდროს ჰყოლია ერთი საყვარელი, საკუთარი „გოშია", ასე ეძახდა ვაჟს და თან სიცილით იგუდებოდა. ის იყო გულში იმედის მაგვარი რაღაც ჩაესახა, რომ აურელიანომ გაუმხილა, ამარანტა ურსულა მიყვარსო, ისიც გაუმხილა, შენმა ალერსმაც ვერ დამავიწყა მისი თავიო, აურელიანო რაც უფრო მეტ გამოცდილებას იძენდა სიყვარულობანას საქმეში, მით უფრო გაუსაძლისად სტანჯავდა ამარანტა ურსულას სიყვარული. ამ აღსარების შემდეგ „ჯადოქარი" კვლავინდებურად გულმხურვალედ ხვდებოდა თავის საყვარელს, მაგრამ სამაგიეროდ ახლა საფასურს სთხოვდა ამ სამსახურისთვის. როცა კი აურელიანო უფულოდ მიადგებოდა, ზანგი ქალი კარს უკან კედელზე ცერა თითის ფრჩხილით ხაზს ჩამოუსვამდა ხოლმე და ასე ემატებოდა ვალს ვალი. ღამღამობით „ჯადოქარი" კვლავ ბნელსა და ვიწრო ქუჩებს დაუყვებოდა, აურელიანო კი შინ ბრუნდებოდა, შუშაბანდში უცხოსავით ჩაივლიდა, უბრად მიუღებდა სალამს სავახშმოდ მაგიდასთან შემომსხდარ გასტონსა და ამარანტა ურსულას და თავის ოთახში იკეტებოდა, მაგრამ ვეღარც კითხვას უდებდა გულს და აღარც წერის თავი ჰქონდა, გატანჯული ფიქრითაც ვეღარ ფიქრობდა, რადგან გვერდით ოთახიდან ჩუმი სიცილი, ჩურჩული, ბღლარძუნი და მერე ტკბობას მიცემული ცოლ-ქმრის გმინვა-ოხვრა ესმოდა. ასე ცხოვრობდა იგი ორი წელიწადი, ასე იტანჯებოდა თითქმის იმ ხანებამდე, ვიდრე გასტონი აეროპლანს ელოდებოდა. მის ცხოვრებაში არც მაშინ შეცვლილიყო რამე, როცა ერთ საღამოს სწავლული კატალონელის წიგნის ფარდულში ოთხ ყმაწვილკაცს გადაეყარა. ისინი თავგამოდებით კამათობდნენ შუა საუკუნეებში ხოჭოს მოსპობის ცდებზე. მოხუცმა მწიგნობარმა კარგად იცოდა, აურელიანოს ის წიგნები იტაცებდა ყველაზე მეტად, ჯერ კიდევ ბედა ღირსეული[1] რომ კითხულობდა და უბოროტო ეშმაკობით წააქეზა, იქნებ ერთი-ორი ჭკვიანური სიტყვა შეგვაწიო ამ საკითხზეო. აურელიანომაც არ დააყოვნა პასუხი: ხოჭო უხსოვარი დროიდან არსებობსო, — თქვა მან. — ჯერ კიდევ ძველ აღთქ-

---

[1] ბედა ღირსეული (დაახლ. 637-735 წლები — მღვდელი, ანგლოსაქსონელი სწავლული, ისტორიკოსი.

მაშია მოხსენებული, როგორ ხოცავდნენ მათ ფოსტლებით. დღესდღეობით ამ მწერების გასანადგურებლად მოგონილი ყველა ცდა — დაწყებული საწამლავმოყრილ პამიდვრიდან დამთავრებული შაქრიანი ფქვილით თითქმის უშედეგო აღმოჩნდა. მეცნიერებაში ცნობილია ხოჭოს 1600 სახეობა და კაცობრიობაც აბადან და ბაბადან უმოწყალოდ დევნის მათ. ადამიანი არცერთ სხვა ცოცხალ არსებას არ მოქცევია ასე უსულგულოდ, თავის მოძმესაც კი! და თუ ხოჭოები დღესაც არსებობენ, ეს იმის ბრალია, რომ ბნელ კუნჭულებს შეაფარეს თავი, ადამიანს კი დაბადებიდანვე დაჰყვა სიბნელის შიში, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ხოჭოები დღისითაც ბოგინობენ და მაშასადამე, აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ: ერთადერთი და ყველაზე საიმედო ხერხი ხოჭოების მოსპობისა შუა საუკუნეებში, დღესაც და უკუნითი უკუნისამდეც არის და იქნება მზის შუქით მათი დაბრმავება.

ამ ფატალური და ნამდვილად ენციკლოპედიური სიბრძნით აღსავსე სიტყვებმა დაუდო სათავე ახალ ურყევ მეგობრობას. ახლა აურელიანო თითქმის ყოველ საღამოს ხვდებოდა ოთხ ყმაწვილკაცს — ალვაროს, ხერმანს, ალფონსოს და გაბრიელს. სხვა მეგობარი არც არასოდეს ჰყოლია აურელიანოს და არც არასოდეს ეყოლება. მათი მხიარული თავყრილობები საღამოს ექვს საათზე იწყებოდა წიგნების ფარდულში და გამთენიისას მთავრდებოდა საროსკიპოებში. წიგნების საუფლოში გამოკეტილ აურელიანოსთვის ყოველი ეს შეხვედრა რაღაც ახლის აღმოჩენასავით იყო. აქამდე აზრადაც არ გაუვლია, რომ ლიტერატურა თურმე ხალხის გასამასხრებლად და გასათამაშებლად ყოფილა მოგონილი, ამის გაფიქრებას როგორ გაბედავდა, მაგრამ ამ მოსაზრების სისწორე ალვარომ დაუმტკიცა ერთ ღამეს, გახურებული ქეიფის დროს. მხოლოდ კარგა ხნის მერე მიხვდა აურელიანო, რომ ალვარო სწავლული კატალონელის გამონათქვამებს იმეორებდა: რად მინდა ისეთი ცოდნა, ბაკლას მომზადების ახალი წესის გამოგონებაში თუ ვერ გამოვიყენებო.

იმ საღამოს, როდესაც აურელიანომ საქმის ღრმა ცოდნით ილაპარაკა ხოჭოებზე, კამათი გააგრძელეს მაკონდოს გარეუბანში, ერთ უფერულ საროსკიპოში, სადაც ლუკმა პურისთვის კახპობდნენ ქალები. საროსკიპოს დიასახლისს მუდამ ღიმილი ეხატა სახეზე და ავადმყოფურ ჩვევად ჰქონდა გადაქცეული კარის გაღება და მიხურვა. გეგონებოდა, მუშტრების გულუბრყვილობის გამო აღბეჭდვოდა დიაცს ღიმილი. ტყუილად გგონიათ, რომ აქ საროსკიპოა. იგი მხოლოდ თქვენს წარმოსახვაშია, აქ ხომ უკლებლივ ყველაფერი, — ის საგნებიც კი, ხელით რომ შეგიძლია შეეხო, — არარეალურია; სკამ-ლოგინზე ვერ დაჯდები, მაშინვე იშლება, ბაღში ქაღალდის ყვავილები აკანტურებენ თავს, კედლებზე ჯერ კიდევ ბანანის კომპანიამდელი კალენდრები ჰკიდია, ჩარჩოებში ჯერ არგამოცემულ, საერთოდ არგამოცემულ ჟურნალებიდან ამოჭრილი ლითოგრაფიებია ჩასმული. ის კი არადა, არც მორცხვი კახპა გოგოები ჰგავდნენ ნამდვილს. დიასახლისმა რომ შეატყობინა, მუშტრები მოვიდნენო, გახუნებულ კაბებში გამოწყობილნი უხალისოდ და უსალმოდ შემოლაგდნენ ოთახში. ისევე უხალისოდ გაიძრეს კაბები, როგორც არაერთხელ გაუძვრიათ ამ კვირა დღემდე, ხოლო ვნებიან პაროქსიზმში კი შეძახილებს არ იშურებდნენ: „აჰა! ერთი შეხედეთ, ჭერი გვენგრევა თავზე!“ მერე ერთ სენტავოსა და ორმოცდაათ პესოს რომ ჩაიგდებდნენ ხელში, იქვე ხარჯავდნენ, დიასახლისისგან ყიდულობდნენ პურსა და ყველს. დიასახლისს ღიმილით უფრო მეტად ებადრებოდა

საზე, მან ხომ იცოდა, რომ ეს ყველიცა და პურიც ისეთივე გამოგონილი იყო, როგორც სხვა ყველაფერი. იმ ხანებში აურელიანოს ცხოვრებას მხოლოდ მელქიადესის პერგამენტები და „ჯადოქრის" საწოლი ავსებდა და ეს მოჩვენებითი სარისკიპო თითქოს მხსნელად მოევლინა [illegible] საწინააღმდეგო წამალივით გამოადგა. პირველ ხანებში აურელიანოს ბოლომდე ვერ მიჰყავდა საქმე, რადგან დიასახლისს ჩვევად ჰქონდა ქცეული, სწორედ გადამწყვეტ წუთს შესულიყო ოთახში და დაწვრილებით აეხსნა მთავარი მოქმედი გმირების ფრიად პირადული ღირსება თუ ნაკლი.

თუმცა აურელიანო ოთხივე ვაჟს ერთნაირად მიეჩვია და ხშირად ისე უფიქრია მათზე, როგორც ერთ ადამიანზე, მაინც გაბრიელისკენ მიუწევდა გული ყველაზე მეტად. განსაკუთრებით ერთი საღამოს მერე დაუახლოვდა: აურელიანომ შემთხვევით ჩამოიწყო ლაპარაკი პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიაზე. მხოლოდ გაბრიელმა დაიჯერა, რომ მათი მეგობარი არ მასხრობდა და მართალს ამბობდა. სხვა დროს სიტყვაძვირი დიასახლისი უცებ არატრატდა ნამდვილი ქორიკანა დედაკაცივით: ეგ პოლკოვნიკია თუ ვილაცა, მთავრობამ მიზეზად მოიგონა, რათა ლიბერალები ამოეხოცაო. გაბრიელი, პირიქით, ირწმუნებოდა: პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია ნამდვილად არსებობდა, პაპაჩემის პაპის პოლკოვნიკ ხერინელდო მარკესის თანამებრძოლი და განუყრელი მეგობარი იყოო. მაკონდოელთა მეხსიერებას განსაკუთრებით მაშინ გადაეფარებოდა ხოლმე სქელი ბინდი, როცა მუშათა დახვრეტის ამბავზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი. ყოველთვის, როცა კი აურელიანო ამ ამბავზე ჩამოაგდებდა სიტყვას, მარტო სარისკიპოს დიასახლისი კი არა, უფრო ხნიერი ხალხიც აყაყანდებოდა ხოლმე, რის დახვრეტა, რა ალყაშემორტყმული სადგურის მოედანი, ან საიდან მოიგონეთ გვამებით დატვირთული ორასი ვაგონის ამბავიო! ის კი არადა, მაშინდელ სასამართლოს დასკვნებსაც იშველიებდნენ საბუთად — მერე და მერე დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოებში რომ შეიტანეს: ბანანის კომპანია საერთოდ არც არსებობდაო. ერთი სიტყვით, შეთქმულებივით მხოლოდ აურელიანოსა და გაბრიელს სჯეროდათ იმ ამბების რეალურობა, სხვებს კი გაგონებაც არ უნდოდათ. თანამოაზრეობამ ძალზე შეცვალა ორივე მეგობარი. ზღვის მოქცევისას ნაპირს მოწყვეტილ ტალღასავით მიილტვოდნენ ისინი იქითკენ, სადაც არარაფერი დარჩენილიყო ნაღველის გარდა. გაბრიელს სადაც ულამდებოდა, იქ უთენდებოდა ხოლმე. ერთი-ორჯერ აურელიანომაც გაუშალა ლოგინი სახელოსნოში, მაგრამ გაბრიელს თვალი არ მოუხუჭავს: ოთახებში მობორიალე მიცვალებულები არ ასვენებდნენ. მერე და მერე აურელიანომ „ჯადოქარს" მიანდო თავისი მეგობარი. თუ ქალს მუშტარი არ ჰყავდა, გაბრიელი რჩებოდა ხოლმე იმ ოთახში, სადაც ყველა მამაკაცს მიუწვდებოდა ხელი და „ჯადოქარსაც" კარს უკან კედელზე დარჩენილ იმ პატარა ადგილას, სადაც აურელიანოს ვალების აღმნიშვნელი ხაზები იყო ამოკაწრული, ახლა უკვე გაბრიელის ვალები გამოჰყავდა ცერა თითის ფრჩხილით.

თუმცა ძმაკაცები ასე უწესივროდ ცხოვრობდნენ, მაინც ცდილობდნენ სწავლული კატალონელის დახმარებით რაიმე საჩინო და საქვეყნო საქმე გაეკეთებინათ. სწორედ ამ მოხუცის — კლასიკური ლიტერატურის ყოფილი მასწავლებლის დიდი გამოცდილებისა და მისი უიშვიათესი წიგნების წყალობით იყო, რომ ყმაწვილკაცებს შეეძლოთ ღამეები ეთენებინათ ოცდამეჩვიდმეტე დრამატული სიტუაციის ძებნაში, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ

ამ ქალაქში არავის სჭირდებოდა ასეთი განსწავლულობა, ისედაც იოლას გადიოდნენ საყველპურო წერა-კითხვის ცოდნით. აურელიანო მონუსხა და მოაჯადოვა ახალმა მეგობრებმა და იმ სამყარომ, თავისი უსულგულო ბებრის ფერნანდის გამო რომ არ იცნობდა აქამდე, პერგამენტებს სწორედ მაშინ მიანება თავი, როცა ცოტაც და შესძლებდა წინასწარმეტყველური ლექსების ამოკითხვას. მაგრამ ცოტა მოგვიანებით დარწმუნდა, რომ დრო ყველაფრისთვის ეყოფოდა, საროსკიპოებში სასიარულოდაც კი, და კვლავ დაუბრუნდა მელკიადესის ოთახს, რათა პერგამენტები ბოლომდე ამოეკითხა. ამასობაში გასტონი აეროპლანის გამოჩენას ელოდა, ამარანტა ურსულას კი მარტოობისაგან ისე გაწვრილებოდა გული, რომ ერთ მშვენიერ დილას აურელიანოს მიაკითხა ოთახში.

— გამარჯობა, კაციჭამია, — უთხრა ქალმა, — კიდევ გამოქვაბულში ხარ გამოკეტილი?

ამარანტა ურსულა შეუდარებელი იყო ამ წუთას, უცნაური კაბა ეცვა და ყელზეც თავისივე მოგონილი და ასხმული თევზის მალების ყელსაბამი ჩამოეკიდა. ქმარს კარგა ხანია მოხსნა აბრეშუმის საბელი, ეჭვი აღარ ეპარებოდა მას ერთგულებაში. მაკონდოში დაბრუნების დღიდან მხოლოდ ახლა მოიცალა აურელიანოსთვის. ვაჟი გატრუნული იჯდა. რომც არ დაენახა მისკენ მომავალი ამარანტა ურსულა, რომც არ გაეგონა მისი ხმა, სულერთია, მაინც გრძნობდა, რომ ის, სწორედ ის მოდიოდა მისკენ. ქალი მაგიდას იდაყვით დაეყრდნო. ისეთი ახლობელი და ისეთი საყვარელი იყო, რომ აურელიანოს ძვლები აუგუგუნდა, სასოწარკვეთილმა ცხვირი პერგამენტებში ჩარგო და აღელვება რომ დაეფარა, ციებიანივით ჩაეჭიდა თავის სადღაც გაპარულ ხმასა და სიცოცხლეს, ლამის გაქვავებულ პოლიპად ქცეულ გონებას. და უცებ სანსკრიტის წარმოშობაზე მოჰყვა ლაპარაკს. მერე ისიცა თქვა, მეცნიერებას შეუძლია საუკუნეთა სიღრმე შუქით გაჭკვეთოს და დაგვანახოს მომავალი, ისევე როგორც შეიძლება ქაღალდის მეორე მხარეს ამოვიკითხოთ ნაწერი, თუ ქაღალდს სინათლის შუქზე გავხედავთ. უამბო ნოსტრადამუსის „საუკუნეებზე“ და წმინდა მილიანის ნაწინასწარმეტყველებელ კანტაბრიის დაშლაზე. ქადაგად დავარდნილმა აურელიანომ უცებ ხელი დაადო ამარანტა ურსულას ხელს. თანდაყოლილმა, მაგრამ აქამდე მიძინებულმა გრძნობამ უკარნახა, ასე მოქცეულიყო, ეგონა, აღელვებას დაიცხრობდა, მაგრამ ქალი ისე გულუბრყვილოდ და ალერსიანად ჩააფრინდა თითში, ბავშვობაში რომ სჩვეოდა ხოლმე, და ვიდრე აურელიანო ლაპარაკად იყო გადაქცეული, ხელიდან არ გაუშვია. კარგა ხანს იყვნენ ასე, ყინულივით ცივი და უგრძნობელი საჩვენებელი თითით შეერთებულნი. მერე ისევ ამარანტა ურსულა გამოერკვა წამიერი გარინდებიდან, შუბლში შემოირტყა ხელი: „ჭიანჭველები!“ — შესძახა მან. წამში გადაავიწყდა პერგამენტები, ცეკვა-ცეკვით გაემართა კარისკენ, მერე შემობრუნდა და ზუსტად ისე, როგორც სასწავლებლად ბრიუსელში გამგზავრებისას დაემშვიდობა მამამისს, აურელიანოსაც ჰაეროვანი კოცნა გამოუგზავნა.

— მერე ამიხსენი ყველაფერი, — უთხრა ვაჟს. — სულ გადამავარდა გულიდან, ჭიანჭველების ბუდისთვის კირი რომ უნდა მომესხა.

ვიდრე გასტონი ცას შესცქეროდა, ამარანტა ურსულა ერთი-ორი წუთით აკითხავდა ხოლმე აურელიანოს ოთახში. ვაჟს იმედი მოეცა და თუ წინათ უარს ამბობდა ცოლ-ქმართან ერთად სადილობაზე და სხვაგან მიდიოდა, ახლა შინ რჩებოდა. გასტონს გაეხარდა, სუფრასთან მაინც გავუზიარებ ვინმეს ჩემს დარდებსო

და მართლაც, თავის ბრიუსელელ კომპანიონებს უჩიოდა, მასულელებენ. თვითმფრინავი გემით გამოგიგზავნეთო, საზღვაო სააგენტო კი მარწმუნებს, ეგ გემი კარიბის ზღვის ნავსადგურების განრიგში არ არის შეტანილი და როგორ მოვიდოდაო. კომპანიონები აქეთ მედავებიან, ჩვენ კი არ გატყუებთ შენ, შენ გინდა გაგვაცურო, თვითმფრინავი ნაღდად მიღებული გაქვსო. არც ერთს აღარ სჯეროდა ერთმანეთისა და გასტონმაც გადაწყვიტა, წერილების წერით აღარ შეეწუხებინა თავი და თვითონ გამგზავრებულიყო ბრიუსელში მოკლე ხნით, რათა ადგილზევე გაერკვია ყველაფერი და იქიდან აეროპლანით დაბრუნებულიყო, მაგრამ მისი გეგმა ჩაიფუშა: ამარანტა ურსულამ გარკვევით გაუმეორა ადრე ნათქვამი: თუნდაც დამცილდე, მაკონდოდან ფეხსაც არ გავადგამ არსადო. პირველ ხანებში გასტონი აურელიანოსაც „ველოსიპედიანი გიჟი“ ეგონა და ეცოდებოდა კიდეც, მაგრამ მოგვიანებით, როცა საროსკიპოებში გაიჩვია ფეხი და მამაკაცის ბუნებაც კარგად შეიცნო, ახლა სხვა თვალით შეხედა მათ ცოლქმრობას. და მაინც პირველ ხანებში ფლამანდიელი კაცის ცოლისადმი მორჩილებას დიდი სიყვარულით ხსნიდა, მაგრამ მერე და მერე, უკეთ გაიცნო გასტონი, მიხვდა, სრულიად არ ესადაგებოდა ერთმანეთს ამ კაცის ბუნება და ეს მოჩვენებითი მორჩილება ცოლის წინაშე. აურელიანოს ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ გასტონის ყოველი ნაბიჯი, საქციელი, აეროპლანის ლოდინიც კი ფარსი იყო და მეტი არაფერი. არა, გასტონი არც ისე სულელია, როგორც ჰგონიათ, პირიქით, მაგარი კაცია, არაჩვეულებრივად მოხერხებული და უზომოდ მომთმენი. სწორედ ამ ნიშანთვისებების წყალობით სურდა ცოლის გატეხვა, მოგონილი მორჩილებითა და უსასრულო დათმობით დაღლიდა ქალს, თავისსავე დაგებულ მახეში გააბამდა და როცა ბოლოს და ბოლოს მოწყენილობისაგან ილუზიები გაუქრებოდა, სხვა გზა აღარ ექნებოდა, ევროპაში დასაბრუნებლად საკუთარი ხელით ჩაალაგებდა ჩემოდნებს. აურელიანოს ისე ბინძური და თანაც ზუსტად გამიზნული მოეჩვენა გასტონის ჩანაფიქრი, რომ შეძულდა იგი და გადაწყვიტა ამარანტა ურსულასათვის ეთქვა ყველაფერი. მაგრამ ქალმა უდარდელად გაიცინა მხოლოდ. არადა, რა იცოდა აურელიანომ, რომ ამარანტა ურსულას გულში სიყვარული, ურწმუნოება და ეჭვიანობა ჩაკირულიყო უკვე! არც ამარანტა ურსულას მოსვლია აზრად, აურელიანოს თუ შეეძლო მისი შეყვარება, ძმასავით უყურებდა, მაგრამ ერთ დღეს, კონსერვის ქილის გახსნისას თითი რომ გაეჭრა და აურელიანომ რაღაცნაირი გაშმაგებითა და ერთგულებით დაუწყო გამოწოვა, მაშინ კი კანკალმა აიტანა ქალი.

— აურელიანო, — გაიცინა დაბნეულმა, — მეტისმეტად გახელებული ხარ და ვამპირობა არ გამოგივა.

მაშინ კი ვეღარ მოითმინა აურელიანომ, ქალის ხელის გული ულონო კოცნით დაფარა და გულში ვერდატეული ხვაშიადიც გადმოუფინა: შუაღამისას რამდენჯერ წამოვმხტარვარ ლოგინიდან და საბანაოში გასაშრობად გაფენილ შენს საცვლებში თავჩარგულს მიტირია; რამდენჯერ შევევედრებივარ „ჯადოქარს“[4], კატასავით იკრუტუნე და „გასტონ, გასტონ, გასტონ“ მიჩურჩულე-მეთქი ყურში; რამდენჯერ მომიპარავს შენი წუნამოები და იმ დიაცებისთვის დამიპკურებია, ლუკმაპურისთვის რომ კახპობენ, დამიპკურებია, რათა მათთან ყოფნის დროსაც შენი სუნი მეგრძნოო. ამარანტა ურსულა გაოგნებული ისმენდა ამ ენებიან აღსარებას. ნელ-ნელა მუშტავდა ხელს, ვიდრე ნიჟარასავით არ შეჰკრა მთლიანად

მისი გაკაწრული, დამუშტული ხელი ზურმუხტისა და ტოპაზის გროვად იქცა, ქვასავით მაგარი გახდა.

— ნადირო! — თითქოს გადმოაფურთხა ქალმა. — ახლავე [illegible] გემს ბელგიაში!

ერთხელ ალვარო აქაქანებული შევიდა სწავლული კატალონიელის წიგნების ფარდულში: ზოოლოგიური საროსკიპო აღმოაჩინე. „ოქროს [illegible]იაო. მართლაც, ზედ ღია ცის ქვეშ, უზარმაზარ ღარბაზში თავისუფლად დაგოგმანებდა ორასამდე წყლის ბუღა და ჟამთა სვლას თავიანთი უცნაური ყივილით აღნიშნავდნენ. საცეკვაო მოედნის ირგვლივ მავთულხლართით შემოღობილ ადგილას, ვეებერთელა ამაზონურ კამელიებში ცხოვრობდნენ ნაირ-ნაირი ჯურის ყანჩები, ღორებივით ჩასუქებული კაიმანები, ჩხრიალა გველი და მოოქროვილ ბაკნიანი კუ, რომელიც დროდადრო ყვინთავდა ხოლმე პატარა ხელოვნურ ოკეანეში — ჰაერი აქ ისეთი პირველქმნილი სიმკვრივისა იყო, თითქოს ახლახან გამოეგონოთ. სისხლივით წითელ ყვავილებსა და ძველი ფირფიტებიდან გადმოღვრილ ჰანგებში ჩაფლული, ამაოდ მომლოდინე მშვენიერი მულატი ქალები ფრიად განსწავლულნი გახლდნენ სიყვარულის საქმეში, მათ ყველაფერი იცოდნენ, ისიც კი იცოდნენ, რაც მამაკაცებმა არ უწყოდნენ, რაც მამაკაცებსაც ვერ შეეთვისებინათ მიწიერი სამოთხიდან. როდესაც ხუთივე მეგობარმა პირველად მოინახულა ეს ილუზიების სათბური, კართან სარწეველა სავარძელში ჩამჯდარმა დიდებული შესახედაობის სიტყვაძვირმა დედაბერმა მოსულებში მაშინვე გამოარჩია ერთი გამხდარი, ნაღვლიანი კაცი, რომელსაც თათრული ყვრიმალები ჰქონდა და სახეზე საუკუნო მარტოობის დაღი ესვა. დედაბერს მოეჩვენა, დრომ უკან დაიხია, თავის დასაწყისს დაუბრუნდაო.

— აჰ, — დაიჩურჩულა მან. — აურელიანო!

მის წინ კვლავ ის პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია იდგა, ლამპის შუქზე რომ დაინახა პირველად ჯერ კიდევ ომებამდე, ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე პოლკოვნიკს სახელი და დიდება გამოფიტავდა და ამა ქვეყნიდან განდგომას მოაწყურებდა. სწორედ ასეთი იყო ის აურელიანო ბუენდია, როდესაც ერთ დილაბნელზე ქალს გამოეცხადა საძინებელ ოთახში, რათა გაეცა თავის ცხოვრებაში პირველი ბრძანება: შემიყვარე! ეს დედაბერი პილარ ტერნერა გახლდათ. ას ორმოცდახუთ წელს ისე მიაღწია, უსიამო საქმით — წლოვანების გამოთვლით თავი არასოდეს შეუწუხებია, მიყრუებულ ქუჩასავით განცალკევდა და თავისთვის ცხოვრობდა იმ მოგონებათა უძრავ მორევში, სადაც მომავალი ამჯერად უშეცდომოდ ჰქონდა ამოცნობილი და სამუდამოდ განსაზღვრული: ეყოფა, აღარ სჯერა იმ ბურუსით მოცული მომავლისა, კარტში ამოკაულ უიმედო ვარაუდებს რომ ეყრდნობოდა.

ეს დღე იყო და აურელიანომ თავშესაფარი ჰპოვა აქამდე მისთვის უცნობ, სინაზით სავსე და ყოვლის გამგებ დიდი ბებიის კალთის ქვეშ. სარწეველა სავარძელში ჩამჯდარი პილარ ტერნერა იხსენებდა ოდესღაც ფესვმაგარ ბუენდიათა აღზევებისა და დაცემის ამბავს, იხსენებდა ახლა მიწასთან გასწორებულ მაკონდოს წარსულ დიდებულებას, ამასობაში კი ალვაროს ხარხარი აფეთებდა კაიმანებს, ალფონსო თხზავდა საშინელ ამბავს წყლის ბუღებზე, გასულ კვირას უწესო მუშტრებს რომ ამოკორტნეს თვალები, ხოლო გაბრიელი ჩაკეტილიყო იმ უცნაური მულატი ქალის ოთახში, რომელიც კაცებს სიყვარულობანაში ფულის მაგივრად წერილებით ახდევინებდა საფასურს, ამ წერილებს კი მერე უგზავნი-

და თავის საქმროს — ორინოკოს გაღმა ნაპირზე რომ იჯდა ციხეში კონტრაბანდისტობისთვის. ეს კაცი მესაზღვრეებს ზედ საზღვარზე დაეჭირათ თურმე, რაღაც წამალი დაულევინებიათ, ღამის ქოთანზე დაუსვამთ და მერე იმ ქოთანში კარგა ბლომად ბრილიანტი ამოუჩიჩქნიათ. ეს ნაღდი, რეალური საროსკიპო, რომელსაც დედასავით მზრუნველი დიასახლისი ჰყავდა, აურელიანოსთვის ის სამყარო გახლდათ, რაზედაც არაერთხელ უნატრია ხანგრძლივი განმარტოებისა და კარჩაკეტილობის ჟამს. აქ ისე კარგად და ლაღად გრძნობდა თავს, რომ იმ საღამოს, როდესაც ამარანტა ურსულამ იმედის კოშკი დაუნგრია, გულისმოსაოხებლად სხვაგან გაქცევა არც უფიქრია. როგორ უნდოდა ვიღაცისთვის შეეჩივლა თავისი ვარამი, ვიღაცას მოეგლიჯა მის გულზე შემოჭდობილი მარწუხი, მაგრამ სიტყვაც ვერ დაძრა, მწარედ ატირებულმა ჩარგო თავი პილარ ტერნერას კალთაში. დედაბერმა თმაში თითები შეუცურა ცრემლად დაღვრილ ყმაწვილკაცს, დაელოდა, როდის დამშვიდდებაო, და თუმცა აურელიანოს სიტყვაც არ დაუძრავს, უიმედო სიყვარული მიტირებსო, პილარ ტერნერა აბა მაშ რისი პილარ ტერნერა იყო, რომ მაშინვე არ მიმხვდარიყო ამქვეყნად ყველაზე უძველეს მამაკაცურ ტირილის მიზეზს.

— დამშვიდდი, ბიჭუნი, — მიუალერსა კაცს. — აბა, ახლა კი მითხარი, ვინ არის ის.

როდესაც აურელიანომ სახელი თქვა, პილარ ტერნერამ გულიანად გაიცინა. როგორ არ ჰგავდა ეს გულიანი სიცილი იმ ძველ ხალისიან სიცილს, დროთა განმავლობაში მტრედების ხრინწიან ღუღუნს რომ დაემსგავსა! ბუენდიების გვარის კაცის გულის ხვაშიადის ამოხსნა მისთვის ძნელი საქმე არ იყო. აკი კარტმა და საკუთარმა გამოცდილებამაც არაერთხელ დაუმტკიცა, რომ ამ ოჯახის თაობათა ამბავი განმეორებათა უსასრულო ჯაჭვივით ეხლართებოდა ერთმანეთს, ბორბალივით ტრიალებდა და ალბათ კიდევ დიდხანს იტრიალებდა, ღერძი რომ არ გასცვეთოდა და მოფამფალებოდა.

— ჯავრი ნუ გაქვს — გაიღიმა პილარ ტერნერამ. — სადაც არ უნდა იყოს, ის ქალი მხოლოდ შენ გელოდება.

საღამო ხანს, ხუთის ნახევარზე ამარანტა ურსულა საბანაოდან გამოვიდა ხალათში გახვეული, თავზე პირსახოცი შემოეხვია ჩალმასავით. მთვრალივით ფეხარეული აურელიანო ჩუმად მიჰყვა უკან. ის იყო ამარანტა ურსულა საძინებელ ოთახში შევიდა და ხალათი გადაიხსნა, რომ შეშინებულმა კვლავ შეიკრა და ერთ ადგილზე გაყინულ აურელიანოს გვერდითი ოთახის ღია კარზე ანიშნა თვალით. აურელიანომ იცოდა, გასტონი იმ ოთახში იყო და წერილებს წერდა.

— წადი აქედან! — თვალებით უყვირა ქალმა.

აურელიანომ გაიღიმა, მიუახლოვდა, ორივე ხელი ჩაავლო წელში, ყვავილის ლარნაკივით მსუბუქად ასწია და გულაღმა დასცა საწოლზე. ვიდრე ქალი გონს მოეგებოდა, ერთი ხელის მოსმით გააძრო ხალათი და დაინახა უფსკრულივით თავბრუდამხვევი მშვენიერება წუთისწინ დაბანილი შიშველი სხეულისა. ამ სხეულზე არ იყო სულ პატარა ჩრდილი, ბეწვი თუ მკრთალი ხალიც კი, რომელიც აურელიანოს არ წარმოედგინოს თავისთვის ღამღამობით. ამარანტა ურსულა თავგანწირვით, ველურ ძუსავით ებრძოდა ვაჟს, სინდიოფალასავით მოქნილ, სურნელოვანსა და კრიალა ტანს ძაგრავდა, იგრიხებოდა, ფრჩხილებით უკაწრავდა სახეს. მთელი ეს ხანი არც ერთს არ დასცდენია თუნდაც ერთი ისეთი პატარა ამოოხვრა, ღია ფანჯარასთან მდგომ და აპრილის მშვიდი საღამოთი მო-

ნუსხულ ადამიანს რომ დასცდება ხოლმე. ეს იყო საშინელი, სასტიკი, სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინება, მაგრამ შორიდან როდი ჩანდა ასეთად, ისე ნელა, ფრთხილად და ზარ-ზეიმით ესხმოდნენ თუ იგერიებდნენ ერთმანეთს, რომ ამ თავდასხმა-მოგერიების შუალედში ყვავილები გაშლასაც კი მოასწრებდნენ. ბოლო გვერდით ოთახში გასტონი გადაივიწყებდა აეროპლანზე [illegible]გულ ბრძოლის დროს ამარანტა ურსულა მიხვდა: ჩვენმა ართაბუნმა [illegible] შეიძლება უფრო მეტად დაიჭიროს გასტონი, ვიდრე იმ ხმაურმა, რის აცდენასაც ახლა ვცდილობთ ორივენიო, და მაშინ იგი სიცილს მოჰყვა, დაგუდულ სიცილს, ბრძოლას კი კვლავ განაგრძობდა, თუმცა ამას ბრძოლა აღარ ეთქმოდა. აღარც ეპინებოდა და აღარც პირვანდელი გამეტებით ცდილობდა ვაჟის მარწუხებიდან თავის დაღწევას. ბოლოს ორივენი მიხვდნენ, ერთმანეთის მოქიშპეებიც იყვნენ და თანამზრახველნიც. თავდაცვა თვალთმაქცური გახდა, შეტევა — ალერსიანი. ამარანტა ურსულამ წამით შეწყვიტა თვალთმაქცური დაცვა, თითქოს თამაშობს და რაღაც ახლის წამოწყება განუზრახავსო, მაგრამ როცა წინააღმდეგობის გაწევა მოინდომა, შიშით შეპყრობილი მიხვდა, უკვე გვიან იყო: საშინელმა შერყევამ ადგილზე გააქვავა და აუტანელმა ტკივილმა თავდაცვის სურვილი გაუქრო. ძლივს მოასწრო ხელის ცეცებით დაეძრა პირსახოცი და პირში ჩაეჩარა, რათა არ დასცდენოდა კატის გულგამგმირავი კნავილი, შიგნეულს რომ უგლეჯდა.

პილარ ტერნერა ღამით მოკვდა თავის სავარძელში, თავისი სამოთხის კართან დარაჯობისას. დაბარებული ჰქონდა, სავარძლიანვე დამასაფლავეთო. საცეკვაო მოედნის შუაგულში უზარმაზარი ორმო გათხარეს და მიცვალებული თავის სავარძლიანად რვა კაცმა თოკით ძლივს ჩაუშვა სამარეში. ტირილით თვალდასიებულმა, ფერგამკრთალმა შაოსნმა მულატმა ქალებმა თავიანთებურად აუგეს წესი მიცვალებულს, საყურეები, გულსაბნევები და ბეჭდები ჩააყოლეს სამარეში, საფლავზე უსახელო და უთარიღო ქვა დადეს და ამაზონური კამელიების მთა დააზვავეს; საჭმელში საწამლავი გაურიეს და ფრინველ-ნადირი დახოცეს; კარ-ფანჯრები აგურით ამოაშენეს, შემდეგ და მერე სათითაოდ ყველა თავ-თავის გზას დაადგა. თან წაიღეს ხის ზანდუკები, რომელთა სახურავებიც შიგნიდან აჭრელებული იყო წმინდანთა გამოსახულებებით, ჟურნალებიდან ამოჭრილი ჭყეტელა ნახატებითა და დროებითი, გამოგონილი და ფანტასტიკური საქმროების სურათებით.

ეს იყო დასასრული. პილარ ტერნერას საფლავში მეძავი დიაცების გროშიან სამკაულებთან ერთად ლპებოდა წარსულის ნაშთები, ლპებოდა ის მცირედენი რამ, მაკონდოში ჯერ კიდევ რომ შემორჩენილიყო სწავლული კატალონელის წასვლამდე. მოხუცმა აუქციონში გაჰყიდა თავისი ფარდული და გაზაფხულს დანატრებულმა თავის მშობლიურ სოფელს მიაშურა ხმელთაშუაზღვის ნაპირზე. არავის ეგონა, მოხუცი თუ მიატოვებდა აქაურობას. იგი ხომ ჯერ კიდევ ბანანის კომპანიის აყვავების ხანაში ჩამოვიდა მაკონდოში, რათა უამრავ ომთაგან ერთ-ერთისთვის მაინც დაეღწია თავი. მაკონდოში სხვა უფრო სარფიანი საქმე ვერა გამოძებნა რა, ადგა და ინკუნაბულებითა და სხვადასხვა ენაზე პირველად გამოცემული წიგნებით ვაჭრობას მიჰყო ხელი. ფარდულის მოპირდაპირე მხარეს სიზმრების ამხსნელის სახლის წინ ხალხის რიგი იდგა. ზოგ-ზოგნი, თავიანთი რიგის მოლოდინში, კატალონელთან შედიოდნენ დროის მოსაკლავად და მის წიგნებს ისე ფურცლავდნენ, თითქოს სანაგვე ყუ-

თიდან ამოეღოთ. მოხუცი უმეტესად ფარდულასუკან პატარა დახუთულ ოთახში იჯდა საწერ მაგიდასთან და სასკოლო რვეულიდან ამოხეულ ფურცლებზე რაღაცა გამოჰყავდა გადაპრანჭული ასოებით. არავინ იცოდა, რას წერდა მოხუცი. აურელიანომ რომ გაიცნო, იმდროისათვის სწავლულ კატალონიელს ორი ყუთი ნაწერი ქაღალდი დაეგროვებინა უკვე და ეს ქაღალდები რაღაცით ჰგავდა მელკიადესის პერგამენტებს. გამგზავრებამდე ერთი ყუთიც შეემატა, ეს კი იმის დასტური გახლდათ, რომ კატალონიელს წერის მეტი არაფერი გაეკეთებია თურმე მაკონდოში. ერთადერთი, ვისაც იგი დაუახლოვდა აქ, ეს ოთხი მეგობარი იყო. ჯერ კიდევ სკოლის მოწაფეობიდან მიიზიდა ისინი კატალონიელმა: წიგნებს რომ ამოურჩევდა და გაატანდა, სამაგიეროდ ფრანებსა და ჩიკორებს იტოვებდა. ასე იძულებით წააკითხა მათ სენეკა და ოვიდიუსი. სწავლული კატალონიელი კლასიკოსებზე ისე შინაურულად და უბოდიშოდ იხსენიებდა, თითქოს მათ გვერდით გაეტარებინოს მთელი სიცოცხლე, იმდენი რამე იცოდა მათზე, სხვა ალბათ ვერასოდეს რომ ვერ გაიგებდა. მაგალითად, წმინდა ავგუსტინეს თურმე ანაფორის ქვეშ თოთხმეტ წელიწადს გაუხდელად სცმია ჟილეტი; გრძნეულ დე ვილანოვასთვის ბავშვობაში მორიელს უკბენია და მას მერე გამხდარა ცვედანი. ნაბეჭდი სიტყვა მოხუცს მხურვალედ უყვარდა და ამ სიყვარულში ჩანდა ღრმა პატივისცემაცა და ძმაბიჭური, აგდებული დამოკიდებულებაც. ასევე გაორებული ჰქონდა გრძნობა საკუთარი ნაწერების მიმართაც. ალფონსომ განიზრახა საგანგებოდ შეესწავლა კატალონიური ენა და ესპანურად ეთარგმნა მოხუცის ხელნაწერი. ამ მიზნით ერთ დღეს ერთი ბლუჯა ნაწერი ქაღალდი ჩაიტენა ჯიბეში, რომელიც მუდამ სავსე ჰქონდა ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრილი ცნობარებით უჩვეულო ხელობების თაობაზე, მაგრამ ეს ყველაფერი იმავე ღამეს დაკარგა იმ საროსკიპოში, სადაც ლუკმაპურისთვის კახპობდნენ დიაცები. სწავლულმა კატალონიელმა ეს ამბავი რომ გაიგო, იმის ნაცვლად რომ გაჯავრებულიყო, — რისაც ძალიან ეშინოდა ალფონსოს, — სიცილით თქვა, რას იზამ, ლიტერატურის ბედიც ეს არისო, და მაინც არ მოისმინა მან მეგობრების რჩევა: დატოვე ეგ ყუთები, რად გინდა, სოფელში რომ მიათრევო. რკინიგზის მოხელეებმაც ურჩიეს, სატვირთო ვაგონში მაინც ჩააბარეო, მაგრამ მოხუცმა ერთი ძველებურად, კართაგენულად შეუკურთხა მათ და მანამდე არ დამშვიდდა, ვიდრე ნება არ დართეს, თან ჰქონოდა თავისი ტვირთი. „ქვეყნიერების აღსასრული იმ დღეს დადგება, როცა ადამიანები პირველი კლასის ვაგონებში იმგზავრებენ, ხოლო წიგნებს სატვირთო ვაგონებში მიუჩენენ ადგილს!“ — თქვა მან და გამგზავრებამდე სიტყვაც არ დაუძრავს მეტად. მთელი კვირა კრავდა და ფუთავდა თავის ავლადიდებას, მთელი კვირა შავი კვირა იყო მისთვის, რაც უფრო ახლოვდებოდა გამგზავრების დღე, მოხუცს მით უფრო ემალებოდა უგუნებობა. სულ აერდაერია დავთარი, ყველაფერი ავიწყდებოდა. რომ ეგონა, ეს ნივთი ამ ყუთში ჩავდეო, მეორე წუთში სხვა ყუთში აღმოაჩენდა. მასაც ის ავი სული დაპატრონებოდა, ერთ დროს ფერნანდას რომ სტანჯავდა და აწვალებდა.

ხერმანმა და აურელიანომ ითავეს, მოხუცს დახმარებოდნენ სამგზავრო მზადებაში. გეგონება, პატარა ბავშვიაო, ჯიბეებში საკუთარი ხელით ჩაუდეს ბილეთები და მიგრაციის საბუთები და ინგლისური ქინძისთავითაც დაუმაგრეს. წვრილად ჩამოუწერეს, რა უნდა გაეკეთებინა მაკონდოდან ბარსელონაში ჩასვლამდე, და მაინც მოხუცმა როგორღაც მოახერხა და თვითონაც რომ

არ იცოდა, ისე გადაუძახა სანაგვეში შარვალს, რომლის ჯიბეშიც მთელი დანაზოგის თითქმის ნახევარი ედო. გამგზავრების წინა დღეს, რომელსაც ყუთები უკვე დაჭედილი იყო და ტანსაცმელიც იმ ჩემოდანში ჩალაგებული, რა ჩემოდანიც მაკონდოში ჩამოსვლისას ეჭირა ხელში, მოხუცმა ნიჟარასავით ქუთუთოები ისე შეარხია, შეცდომით დალოცვას მოაგონებდა[illegible] ხელი გაიშვირა იმ აუარება წიგნისაკენ, სამშობლოსთან განშორების [illegible] უტანინეს მთელი ეს ხანი, და თავის მეგობრებს უთხრა:

— ამ ნაგავს თქვენ გიტოვებთ!

სამი თვის თავზე მაკონდოში მოვიდა მოხუცი კატალონელის გამოგზავნილი დიდი კონვერტი: გემით მგზავრობისას დაგროვილი ოცი წერილი და ორმოცდაათი სურათი. თუმცა თარიღი არც ერთ წერილზე არ იყო აღნიშნული, მკითხველი მაინც ადვილად მიხვდებოდა მათ თანმიმდევრობას. ერთ-ერთ პირველ წერილში მოხუცი მისთვის ჩვეული იუმორით იწერებოდა, რა დავიდარაბას გადაჰყარა თავისმა ყუთებმა; იწერებოდა ვიღაც ცერცეტა მანდილოსანზე, რომელსაც ციფრი ცამეტისა სიკვდილივით ეშინოდა არა ცრუ რწმენის გამო, არამედ იმიტომ, რომ ეს ციფრი როგორღაც დაუმთავრებელი ეჩვენება თურმე. მოხუცი იტყობინებოდა აგრეთვე იმის თაობაზე, როგორ მოუვლია სანაძლეო პირველსავე დღეს; ყველას გააგონად უთქვამს თურმე, ამ გემზე წყალს ლერიდას წყაროების გემო აქვსო. მაგრამ გადიოდა დღეები და გემზე მომხდარი ამბები მის გულს აღარ ეკარებოდა, სამაგიეროდ მაკონდოს ყოველ გახსენებაზე ნაღველი ეძალებოდა და რაც უფრო ღრმად შედიოდა გემი ზღვაში, მით უფრო გაუსაძლისი ხდებოდა მაკონდოს მოგონება. განსაკუთრებით სურათებში ჩანდა გარკვევით ამ ნაღველის თანდათანობითი გაღრმავების პროცესი. თუ პირველ ხანებში გადაღებულ სურათებში ოქტომბრის ქაფმორეულ კარიბის ზღვის ფონზე მდგომ თეთრკვართიან თმაჭაღარა კატალონელს სახე ბედნიერებით უბრწყინავდა, მერე და მერე უკვე შავ პალტოში ჩაცმული, ყელზე ავგაროზშემოხვეული, ფერმკრთალი და თვალგამოცრებული იდგა შემოდგომის ოკეანეში მობორიალე ლამეული კოშმარების უსახელო გემის ბაქანზე. ხერმანი და აურელიანო უპასუხოდ არ ტოვებდნენ მოხუცის წერილებს. პირველ ხანებში ისე ხშირად იღებდნენ წერილებს, რომ მეგობრებს ეჩვენებოდათ, მოხუცი აქვე, სადღაც სულ ახლოს არის, მაკონდოში რომ ცხოვრობდა იმაზე ახლოსო და მასთან განშორების უძირო ნაღველი გულს აღარ უღრღნიდათ. მოხუცი შემდეგ იწერებოდა: სახლში ყველაფერი ძველებურად დამხვდა, ვარდისფერი ზღვის ნიჟარა არავის გადაუგდია, პურის ნატეხზე დადებულ შებოლილ ქაშაყის ნაჭერს გემო არ შეუცვლია, სოფლის წყაროებიც საღამოობით კვლავ სურნელებას აფრქვევენო. ხერმანსა და აურელიანოს უკვე მერამდენედ ედოთ წინ სასკოლო რვეულებიდან ამოხეული ნაცნობი ფურცლები, რომლებიც იისფერი ხვეულებით აეჭრელებია მოხუცს. მაგრამ გავიდა ხანი და სწავლულმა კატალონელმა ვერც კი შეამჩნია, ისე შეეპარა მის აქამდე ხალისიან მძიმე სენისაგან განკურნებული კაცის გუნებაგანწყობილებით დაწერილ წერილებს ნაღველი, როგორ იქცნენ ისინი გულგატეხილობის პასტორალად. ზამთრის ღამეებში, ვიდრე ცეცხლზე შემოდგმულ ქვაბში წვნიანი იხარშებოდა, მოხუცი ფიქრებში იძირებოდა, ენატრებოდა თავისი პაწია, თბილი და მყუდრო ოთახი იქ, წიგნების ფარდულსუკან, ენატრებოდა ნუშის ტოტებში აწკრიალებული მზე, ორთქლმავლის კივილი,

სიესტის მდუმარებას რომ ჰკვეთდა ხოლმე, და ისევე როგორც მაკონდოში, ენატრებოდა ცეცხლზე შემომდგარი მოთუხთუხე ქვაბი, ქუჩაში ყავის გამყიდველის შეძახილი და გაზაფხულის ფრთამალი ტოროლები. ეს ორი ნოსტალგია სტანჯავდა მოხუცს. ისინი ისე ირეკლებოდნენ ერთიმეორეში, როგორც ერთმანეთის პირისპირ დაკიდულ სარკეში. მოხუცს სადღაც გაუქრა არარეალობის შეგრძნების იშვიათი უნარი და მეგობრებს ურჩია: წადით, მაკონდოდან, მიატოვეთ მაქაურობა, დაივიწყეთ რასაც გიჩიჩინებდით ქვეყნიერებასა და ადამიანის გულზე, მიაფურთხეთ ჰორაციუსს და მუდამ და ყველგან გახსოვდეთ: წარსული — სიცრუეა, მეხსიერებას უკან დასაბრუნებელი გზა არ აქვს, წარსულ გაზაფხულს ვერ დაიბრუნებ და ყველაზე ძლიერი, ყველაზე მტკიცე სიყვარულიც კი მხოლოდ სწრაფწარმავალი მოვლენაა და მეტი არაფერიო.

პირველი ალვარო აჰყვა მოხუცის რჩევას — მაკონდოდან წასვლა განიზრახა. ყველაფერი მიჰყიდ-მოჰყიდა, იაგუარიც კი გაყიდა, ეზოში ჯაჭვით რომ ჰყავდა დაბმული გამვლელთა დასაფრთხობად და შესაშინებლად. სამაგიეროდ იყიდა რკინიგზის მუდმივი ბილეთი, რომელზეც არცერთი სადგური არ იყო აღნიშნული. ხანმოკლე გაჩერებების დროს გამოგზავნილი ძახილის ნიშნებით აჭრელებულ ღია ბარათებში ალვარო გატაცებით აღწერდა ვაგონის სარკმელს მიღმა წამიერად ჩაქროლილ სურათებს — გეგონებოდა, ერთ გრძელ პოემას ანაკუწებდა და ამ ნაკუწებს მაშინვე ჰყრიდა მივიწყების სიცარიელეში. აი, ეს სურათებიც: ლუიზიანას ბამბის პლანტაციებში მომუშავე ზანგები, კენტუკის ლურჯ ბალახში მოკუნტრუშე რაშები, არიზონას ჩამავალი მზის შუქით განათებული ბერძენი შეყვარებულები, მიჩიგანის ტბის ნაპირზე ხატვაში გართული წითელჯემპრიანი ქალიშვილი. მან იმედისა — და არა გამოთხოვების — ნიშნად ფუნჯი დაუქნია ალვაროს. აბა რა იცოდა ქალიშვილმა, რომ მის წინ ჩაიქროლა იმ მატარებელმა, რომელიც უკან არ ბრუნდება! მალე, ერთ შაბათ დღეს ალფონსო და ხერმანიც მიჰყვნენ ალვაროს კვალს. აურელიანოს შეჰპირდნენ, ორშაბათს დავბრუნდებითო, მაგრამ იმ დღიდან აღარავის სმენია მათზე რამე. მწიგნობარი კატალონელის წასვლიდან ერთი წელიწადიც არ იყო გასული, მაკონდოს კი მეგობრებიდან მარტო გაბრიელი შემორჩენოდა. გაბრიელს ვერა და ვერ გადაეწყვიტა, დარჩენილიყო მაკონდოში თუ ისიც გზას დასდგომოდა სხვებსავით. ვიდრე რაიმე გონივრულს მოიფიქრებდა, კვლავ „ჯადოქრის" ვალს იდებდა, თან ერთ ფრანგულ ჟურნალში გამოცხადებულ საკონკურსო შეკითხვებზე პასუხებს წერდა. კონკურსში გამარჯვებული ხომ პარიზის საგზურით ჯილდოვდებოდა! ეს ჟურნალი აურელიანოს ჰქონდა გამოწერილი და მეგობარს ეხმარებოდა საკონკურსო შეკითხვების ამოხსნაში. ხან შინ ავსებდა საკონკურსო ანკეტას, ხანაც ფაიფურის ჭურჭლით სავსე ოთახში, სადაც ჰაერი ვალერიანის წვეთების სუნით იყო გაჟღენთილი. ეს გახლდათ რაღაც სასწაულად გადარჩენილი აფთიაქი, ერთადერთი აფთიაქი მთელს მაკონდოში. აქ ცხოვრობდა გაბრიელის საიდუმლო საცოლე მერსედესი. მხოლოდ ეს აფთიაქი შემორჩენოდა მაკონდოს წარსულიდან, რომელიც ყოველ წამს, ყოველ წუთს ინგრეოდა გაუთავებლად, იულაპავდა საკუთარ თავს და რომ გეგონა, სადაცაა ყველაფერი დამთავრდებაო, სწორედ მაშინ მიხვდებოდი: არა და არ ეწერა ამ დამთავრებას დამთავრება. ბოლოს და ბოლოს გაბრიელმა კონკურსში გაიმარჯვა და პარიზში გამგზავრების თადარიგსაც შეუდგა: ერთი-ორი ხელი საცვალი, ერთი წყვილი ფეხსაცმელი და

რაბლეს სრულტომეული გამოკრა ბოხჩაში და გავიდა სადგურში. მაგრამ ამასობაში მაკონდო ისე დაცარიელებულიყო, რომ გაბრიელს მემანქანისთვის ხელი რომ არ დაექნია, ის ალბათ არც შეაჩერებდა მატარებელს ამ სადგურში. თურქების ძველი ქუჩა ჩამკვდარიყო, თუმცა დიაგონალის ბოლო თოფი მრავალი წლის წინათ გაიყიდა და ვიტრინებში ახლა მხოლოდ [illegible]კენები იდგნენ, არაბთა უკანასკნელი ნაშიერნი უძველეს ჩვეულ[illegible]ობდნენ და კვლავ თავ-თავიანთი დუქნების წინ ჩამომსხდარიყვნენ. ისინი მშვიდად ელოდნენ სიკვდილს. ბანანის კომპანიის ქალაქის ადგილას ახლა გადაბალახებული ველი დარჩენილიყო. ვინ იცის, აქედან შორს, ალაბამას შტატის ქალაქ პრატვილში — რასობრივი დისკრიმინაციისა და დამარინადებული კიტრების მხარეში — პატრიცია ბრაუნი უკვე მერამდენედ უყვებოდა თავის შვილიშვილებს აქაურ ამბებს! მღვდელი ანხელის შემცვლელი მოხუცი ღვთისმსახური, — ვისი სახელიც არც არავინ იცოდა და არც არავინ ცდილობდა გაეგო, —ართრიტითა და უძილობით გატანჯული პირქვე ჩამხობილიყო ჰამაკში და ელოდა როდის მოაკითხავდა მიქელ-გაბრიელი. ამასობაში კი იქვე, მის გვერდით, ხვლიკები და ვირთხები უბოდიშოდ ეცილებოდნენ ერთმანეთს ეკლესიის დაპატრონებაში. და სწორედ ამ ქალაქში, საიდანაც ჩიტებიც კი გადაკარგულიყვნენ და სადაც გაუსაძლისი სიცხე და მტვერი იდგა, მხოლოდ აურელიანო და ამარანტა ურსულა გრძნობდნენ თავს ბედნიერად. ისინი გამოკეტილიყვნენ მარტოობაში, სიყვარულში და სიყვარულის მარტოობაში, გამოკეტილიყვნენ იმ სახლში, სადაც ხის ჭიების ხმაური ძილს დაუფრთხობდა კაცს. მხოლოდ ეს ორნი იყვნენ ერთადერთი უბედნიერესი სულიერნი კაცთა შორის და ყველაზე ბედნიერი არსებანი მთელი დედამიწის ზურგზე.

გასტონი ბრიუსელში გაემგზავრა. აეროპლანის მოლოდინში ისე გაწამდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს თავის ნივთებსა და წერილებს ხელი მოუსვა, ჩემოდნებში ჩაალაგა და მაკონდოდან წავიდა იმ განზრახვით, რათა უკან აეროპლანით დაბრუნებულიყო, თანაც დაბრუნებულიყო მანამდე, ვიდრე მის შეღავათიან ლიცენზიებს გადასცემდნენ გერმანელ ავიატორთა ამხანაგობას, რომელიც პროვინციის მთავრობას გასტონის პროექტზე უკეთეს პროექტს წარუდგენდა. იმ პირველი ვნებიანი საღამოს მერე ამარანტა ურსულა და აურელიანო სულმოუთქმელად ელოდნენ გასტონის შინიდან გასვლას. იგი იშვიათად გადიოდა გარეთ და როცა კი გავიდოდა, შეყვარებულებს შიშის ფუთება ჰქონდათ, ხვევნა-კოცნაში გართულებს არ მოგვისწროსო. ერთი-ორჯერ მართლაც კინაღამ არ წაადგათ თავს გასტონი, ახლა კი, რაკილა მარტო დაიგულეს თავი, უგონოდ მიენდვნენ გრძნობათა ნიაღვარს. ეს მართლაც უგონო და დამღუპველი ვნება ისე ხშირად აწვალებდა მათ სულსა და ხორცს, რომ ფერნანდას ძვლებიც კი შეშინებული კრთოდნენ სამარეში. ამარანტა ურსულას გამგმირავი ყვირილი ისმოდა დღის ორ საათზე სადილობის ჟამს სუფრასთანაც და ღამის ორ საათზეც საკუჭნაოდანაც. „ყველაზე მეტად ის მწყინს, — იცინოდა იგი, — ამდენი დრო ტყუილად რომ დავკარგეთ". ჭიანჭველები ამარანტა ურსულას თვალწინ სპობდნენ ბაღს, სახლის ხის ნაწილებს სანსლავდნენ უძველესი შიმშილის მოსაკლავად. ქალი ხედავდა, ნიაღვარივით რომ მოედვნენ შუშაბანდს ,მაგრამ ვნებით დაბრმავებულმა და დაყრუებულმა მხოლოდ მაშინ გამოიღო ხელი მათ მოსასპობად, როდესაც მის საძინებელ ოთახშიც შეაღწიეს. აურელიანომ პერგამენტებს სულ მიუშვა ხელი, სახლიდან აღ-

არსად გადიოდა და მწიგნობარ კატალონელსაც იშვიათადღა უგზავნიდა საპასუხო წერილებს. საყვარლებმა ირგვლივ ყველაფერი დაივიწყეს, ჭინამდვილეს გამოეთიშნენ, ჟამთა სრბოლისა აღარაფერი გაეგებოდათ, კარ-ფანჯრები ჩაკეტეს და ტანსაცმლის გახდაში დრო რომ არ დაეკარგოდათ, ოთახებში ისე დაბორიალობდნენ, ოდესღაც მშვენიერი რემედიოსი რომ [illegible] ისინი დედიშობილა ეყარნენ ეზოშიც, გუბეშიც და ერთხელ [illegible] აუზში არ დაიხრჩვნენ ხვევნა-კოცნაში გართულები. რაც ხის ჭიებმა გადაურჩათ სახლში წლების მანძილზე, საყვარლებმა მოუთავეს ხელი სულ მოკლე ხანში. ავეჯს ავეჯი აღარ ეთქმოდა, დალეწეს და დაამსხვრიეს, უგონოდ ვნებაგახელებულებმა დაწყვიტეს ჰამაკიც, ოდესღაც პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას სიყვარულობანას რომ გაუძლო ლაშქრობისას. თუმცა აურელიანო, როგორც საყვარელი და ძლიერი მამაკაცი, არაფრით ჩამოუვარდებოდა აწ აქედან წასულ მეტოქეს, მაინც ამარანტა ურსულა მბრძანებლობდა ამ უგონობის საუფლოში, მბრძანებლობდა თავისი გაუმაძღრობით. ქალს თითქოს სასიყვარულო საქმეებისთვის გადმოსცემოდა მთელი ის უიშვიათესი ძალა და უნარი, ოდესღაც მისი ბებიის ბებია რომ ხარჯავდა შაქარყინულის კეთებაში. იმ დროს, როდესაც ამარანტა ურსულა კმაყოფილი მღეროდა ხოლმე, ანდა საკუთარ ოინავრობაზე იცინოდა, აურელიანო სულ უფრო მეტად და მეტად ჩაფიქრებული და მდუმარე ხდებოდა, რამეთუ მისი სიყვარული ამ სიყვარულშივე იყო ჩაძირული და ჩაფერფლილი. სიყვარულის საქმეში ორივენი ისე დახელოვდნენ, რომ გახელებულები და გონდაკარგულები დაღლას არად აგდებდნენ და ათასნაირ ოინს იგონებდნენ; მათ ერთდროულად აღმოაჩინეს, რომ სურვილის დაცხრომა სხვაფრივაც შეიძლებოდა: სხეულის ყოველ ნაკვთზე ეალერსებოდნენ ერთმანეთს, ერთხელ კი თავით ფეხამდე შეითითხნენ ატმის სიროფში და შუშაბანდში, პირდაპირ იატაკზე მიეცნენ განცხრომას, ძაღლებივით ლოკავდნენ ერთმანეთს და დროზე რომ არ გამოფხიზლებულიყვნენ, ტალღად მომავალი ხორციჭამია წითელი ჭიანჭველების ლუკმა გახდებოდნენ ორივენი.

დროდადრო ამარანტა ურსულას გონება გადაეწმინდებოდა და მაშინ იგი წერილებს სწერდა გასტონს. ქმარი ისეთი შორეული და უცხო ეჩვენებოდა უკვე, რომ მის დაბრუნებაზე ფიქრიც კი ვერ წარმოედგინა. პირველ წერილში გასტონი სწერდა ცოლს: კომპანიონებს აეროპლანი მართლა გამოუგზავნიათ ჩემთვის, მაგრამ ბრიუსელის საზღვაო კომპანიას შეცდომით ტანგანიკის მაკონდოების ტომისთვის გადაუგზავნია და ალბათ ერთი-ორი წელიწადი მაინც მომიწევს აქ დარჩენა; აეროპლანი ხომ უნდა დავიბრუნოო. ასე რომ, ამარანტა ურსულას ქმრის უეცარი დაბრუნების შიში აღარ ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში, ორი წელიწადი მაინც. აურელიანოსაც გარე სამყაროსთან აკავშირებდა მხოლოდ მწიგნობარი კატალონელის წერილები და გაბრიელის ამბები, რომელიც მასთან მოჰქონდა აფთიაქის სიტყვაძვირ მეპატრონეს — მერსედესს. პირველ ხანებში ეს იყო რეალური კავშირი. გაბრიელს თურმე პარიზში დარჩენა განუზრახავს, უკან დასაბრუნებელი ბილეთი აღარ აულია, ახლა დადის და ყიდის ძველ გაზეთებსა და ცარიელ ბოთლებს, რომელსაც დოფინის ქუჩაზე ერთი პირქუში სასტუმროს მსახურები ყრიან თურმე. იმ ხანებში აურელიანოს არ გაუძნელდებოდა თავისი მეგობარი ამ ყოფაში წარმოედგინა: აგერ დააბოტებს გაბრიელი ქუჩებში, მაღალყელიანი სვიტრი აცვია. ამ სვიტრს მხოლოდ გაზაფხულზე იხდის, როდესაც მონპარნასს შეყვარებუ-

ლები მოეფინებიან ხოლმე; შიმშილი რომ მოატყუოს, ღვინით სძიხავს, ღამით კი ზის კომბოსტოს ნახარშის სუნით გაჟღენთილ ოთახში, სადაც როკამადურმა[1] დაასრულა თავისი სიცოცხლე, და წერს და წერს წერილებს. გავიდა ხანი, გაბრიელი უკვე ისეთ აბდაუბდა წერილებს იწერებოდა, ვერაფერს გაუგებდა კაცი, მწიგნობარი კატალონელიც ისე დაგვიანებით და ისეთ ნაღვლიან წერილებს იწერებოდა, რომ აურელიანო შორს [illegible] ისეთსავე ფიქრს მიეჩვია, როგორც ამარანტა ურსულა ფიქრობდა თავის ქმარზე. ასე რომ, საყვარლები აღმოჩნდნენ ერთ დიდ უკაცრიელ სამყაროში, სადაც სიყვარული იყო მხოლოდ ერთადერთი და მარადიული რეალობა.

უეცრად ამ ბედნიერი უგუნურების საუფლოში თოფის გასროლასავით შემოიჭრა გასტონის დაბრუნების ამბავი. ამარანტა ურსულასა და აურელიანოს თითქოს თვალი აეხილათო, პირველად ჩახედეს ერთმანეთს გულში, თვალებში და მიხვდნენ, მათ ველარაფერი გაჰყრიდა ამქვეყნად, ურთმანეთოდ ვერ იცოცხლებდნენ, განშორებას სიკვდილი ერჩივნათ. მაშინ აიღო ქალმა და ქმარს მისწერა უცნაური სიმართლით აღსავსე წერილი: მიყვარხარო, — ეფიცებოდა ქმარს, — ძალიანაც მინდა შენი ნახვა, მაგრამ რა ვქნა, ბედისწერას ვერსად გავექცევი, აურელიანოს გარეშე სიცოცხლე არ შემიძლიაო. ამით დელავდა ამარანტა ურსულა. გასტონმა მამაშვილური დარიგებებით აღსავსე წერილი მოიწერა პასუხად. მთელი ოთხი გვერდი მარტო იმაზე მსჯელობდა, ცვალებადი სიყვარული ადამიანს აკეთებს არ მოუტანსო, და ბოლოს კი ორივეს ქარაგმულად მიმართავდა: გისურვებთ ისეთივე ბედნიერნი ყოფილიყავით, როგორც მე ვიყავი იმ ხანმოკლე ცოლქმრობისასო. ამას კი ნამდვილად არ მოელოდა ამარანტა ურსულა გასტონისაგან და შეურაცხყოფილად იგრძნო თავი, როცა მიხვდა, — ყოველ შემთხვევაში, ასე დაასკვნა მან თავისთვის, — რომ თვითონ ჩაუგდო ქმარს ხელში სასურველი საბაბი. ექვსი თვის შემდეგ კიდევ მოვიდა გასტონის წერილი და ლამის გაცოფდა ქალი. გასტონი ერთი-ორი სიტყვით იწერებოდა, ახლა ლეოპოლდვილში ვარ, აეროპლანი დავიბრუნე და გთხოვ ჩემი ველოსიპედი გამომიგზავნო, მაკონდოში ამაზე ძვირფასი არაფერი დამრჩენიაო. აურელიანო რაც შეეძლო ამშვიდებდა ქალს: დაწყნარდი, მე შენს გვერდით ვარ, კარგ ქმრობას გაგიწევ, ჭირშიც და ლხინშიც მხარში ამოგიდგებიო. მას შემდეგ რაც გასტონმა შეწყვიტა ფულის გზავნა, ამარანტა ურსულასა და აურელიანოს სხვა გზა აღარ ჰქონდათ, უნდა გასჭირვებოდნენ და ეშრომათ. მალე ყოველდღიურმა საზრუნავმა ისინი ამხანაგური გრძნობით შეაკავშირა. მართალია, ყოვლისწამლეკი სურვილი აღარ ჰკლავდათ, მაგრამ სიყვარულით კი კვლავ უყვარდათ ერთმანეთი და თუ წინათ ენებაგახელებულნი უგონოდ ეალერსებოდნენ ერთმანეთს, ახლა ბედნიერსა და მშვიდ ტკბობას მიეცემოდნენ; პილარ ტერნერა რომ მოკვდა, ამარანტა ურსულა უკვე ფეხმძიმედ იყო.

ორსულობისას ამარანტა ურსულამ განიზრახა თევზის ძვლის ყელსაბამები გაეკეთებინა და გაეყიდა. მაგრამ მთელს მაკონდოში მხოლოდ მერსედესი აღმოჩნდა მყიდველი, იმასაც ბოლოს და ბოლოს რამდენის ყიდვა შეეძლო, დიდი დიდი ათი, თორმეტი ყელსაბამისა, მეტი რად უნდოდა! აურელიანო მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ უცხო ენების შესწავლის ნიჭი, ენციკლოპედიური გა-

[1] როკამადური — თანამედროვე არგენტინელი მწერლის ხულიო კორტასარის რომანის — „კლასობანას თამაშის" გმირი.

ნათლება და უცნობ, თვალით უნახავ ქვეყნებზე ყოველი წვრილმანის ცოდნა და დამახსოვრება ისევე გამოუსადეგარი იყო ცხოვრებაში, როგორც მისი ცოლის საგვარეულო ძვირფასეულობა. ისე მცირე იყო ეს განძეულობა, რომ მაკონდოში აქა-იქ შემორჩენილ ოჯახებშიც კი აკრეფდა კაცი მის საფასურს. როგორც საუწყოლით არსებობდნენ ორივენი, მაგრამ ამარანტა ურსულა კვლავ ხალისიანად იყო, კვლავ პოულობდა ძალას სასიყვარულო [illegible]. მხოლოდ ეს იყო, ნასადილევს შუშაბანდში ჯდომას მიეჩვია, [illegible] ოცნებებში წასული, აურელიანოც გვერდით ეჯდა ხოლმე. ისინი უსიტყვოდ შესცქეროდნენ ერთმანეთს თვალებში და ამ ღვთიურ გარინდებაში ჩაძირულებს კვლავ ისე მხურვალედ უყვარდათ ერთმანეთი, როგორც წინათ წრეგადასული ხვევნა-კოცნისას. ბურუსით მოცულმა მომავალმა ორივეს წარსულისკენ აქნევინა პირი. ისინი იგონებდნენ უსასრულო წვიმებს გარდაცვლილსა და დაკარგულ სამოთხეში, იგონებდნენ, პატარები როგორ დატყაპუნობდნენ გუბეებში, დახოცილი ხვლიკებით როგორ რთავდნენ ურსულას და მერე ვითომ ცოცხლადაც რომ მარხავდნენ საბრალო დედაბერს. ეს მოგონებები კიდევ ერთხელ ადასტურებდა იმ ჭეშმარიტებას, რომ მათ პატარაობიდანვე უხაროდათ ერთად ყოფნა. ამარანტა ურსულამ ის საღამო მოიგონა, საოქრომჭედლოში შესვლისას ფერნანდამ რომ უთხრა, პატარა აურელიანო არავის შვილი არ არის, მდინარეს კალათი მოჰქონდა და იმ კალათში ვიპოვეთო. თუმცა ფერნანდას ამ ახსნა-განმარტებისა არც ერთს არა სჯეროდა, მაინ დუმილს არჩევდნენ, რადგან სხვა უფრო დამაჯერებელი საბუთის მოგონება არ შეეძლოთ. ერთი რამისა კი მტკიცედ სჯეროდათ — ფერნანდა არაფრით არ იქნებოდა აურელიანოს დედა. ისე აწონ-დაწონეს და გაიანგარიშ-გამოიანგარიშეს ყველაფერი, რომ ამ მოსაზრების სისწორეს წყალი არ გაუვიდოდა. ერთი პირობა ამარანტა ურსულამ გაიფიქრა, პეტრა კოტესის შვილი ხომ არ არისო, მაგრამ მამამისის ხასაზე ათასნაირი სხვა ბინძური რაღაცები ჰქონდა გაგონილი და ახლა ამის გაფიქრებაზე სახე ზიზღით დაემანჭა.

ეჭვით გაწამებულმა აურელიანომ — ვაითუ საკუთარ ცოლს ძმად ვერგებიო — განიზრახა მღვდლის სახლში შეპარულიყო, ეგებ დანესტიანებულ-დაჩრჩილულ არქივში ეპოვა თავისი წარმოშობის თაობაზე პატარა ქაღალდი მაინც. ძველისძველ მეტრიკულ ჩანაწერებში ამოიკითხა ვიღაც ამარანტა ბუენდიას ნათლობის თარიღი. მღვდელ ნიკანორ რეინას ჩვილი გოგონა იმ ხანებში მოუნათლავს, როცა ცხელ-ცხელი შოკოლადის სმით უმტკიცებდა თავის მრევლს ღმერთის არსებობას. ერთი პირობა აურელიანოს იმედი ჩაესახა, იქნებ ერთ-ერთი ვარ იმ ჩვიდმეტი აურელიანოდან, რომელთა ნათლობის ამბები თითქმის ოთხ ტომში გრძელდებაო, მაგრამ არა, ისინი ხომ დიდი ხნის წინ ცხოვრობდნენ! ართრიტით დასნეულებული მღვდელი ჰამაკიდან უთვალთვალებდა სისხლის ლაბირინთებში მობორიალე, მღელვარებისაგან აკანკალებულ აურელიანოს, მერე ვეღარ მოითმინა და თანაგრძნობით ჰკითხა, რა გქვიაო.

— აურელიანო ბუენდია ვარ, — უპასუხა ვაჟმა.

— თუ ეგრეა, თავს ნუღარ იწვალებ ამაოდ, — დაბეჯითებით უპასუხა მღვდელმა. — კარგა დიდი ხნის წინათ აქ ქუჩას ერქვა ეგ სახელი. იმ დროში კი ხალხს ჩვეულებად ჰქონდა, შვილებისათვის ქუჩების სახელი დაერქმიათ.

აურელიანო რისხვისაგან აენთო:

— მაშასადამე, არც თქვენ გჯერათ?..

რა უნდა მჯეროდეს?

— რადა, პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ ოცდათორმეტი სამოქალაქო ომი რომ წამოიწყო და ოცდათორმეტჯერვე დამარცხდა, — უპასუხა აურელიანომ. — რომ მთავრობის ჯარმა ალყაში მოაქცია სამი ათასამდე ადამიანი, დახვრიტა და მერე ორასი ვაგონით წაიღეს გვამები ზღვაში ჩასაყრელად!

მღვდელმა სიბრალულით შეხედა მოსულს:

— ეჰ, შვილო ჩემო, — ამოიოხრა მან. — ისიც საკმარისია, რომ ჩემი და შენი არსებობა მჯერა ამ წუთას.

ამგვარად, ამარანტა ურსულამ და აურელიანომ კალათის ამბავი დაიჯერეს არა იმიტომ, რომ დარწმუნდნენ მართლა ასე იქნებოდაო, არამედ იმიტომ, რომ მტანჯველი შიშისგან სურდათ თავის დახსნა. ქალს მუცელი ეზრდებოდა და მათი ურთიერთობაც სულ უფრო და უფრო მტკიცდებოდა, ერთ არსებად ქცეულნი ნელ-ნელა იძირებოდნენ მარტოობაში, იძირებოდნენ იმ სახლის კედლებში, რომელსაც ქარის ერთი დაქროლვაღა აკლდა, რომ მიწასთან გასწორებულიყო. ცოლ-ქმარმა საცხოვრებლად შემოითვალა ფერნანდას საწოლი ოთახი და შუშაბანდის ერთი კუთხე, სადაც ამარანტა ურსულა ფაჩუჩებსა და ქუდებს ქსოვდა თავისი პირმშოსთვის, ხოლო აურელიანო ხანდახან წერილებს სწერდა მწიგნობარ კატალონელს. სახლის დანარჩენი ნაწილი უბრძოლველად დამორჩილებოდა ჯიუტად მოზღვავებულ ნგრევის ძალას. საოქრომჭედლო, მელკიადესის ოთახი და სანტა სოფია დე ლა პიედადის მდუმარე და ლარიბული სამეფლო ისე ჩაინგრა და ჩასამარდა, რომ უღრანი ტყისა არ იყოს, შიშით ვერავინ შებედავდა შიგ შესვლას. გაუმაძღარი ბუნებისაგან ყოველმხრივ შევიწროებული ამარანტა ურსულა და აურელიანო მაინც არ ჰყრიდნენ ფარხმალს, თავს ევლებოდნენ ბეგონიებს და თავიანთ სამყოფელს ახრჩოლებული კირის სადემარკაციო ხაზიც კი შემოავლეს, რათა ბოლო მოეღოთ ადამიანებსა და ჭიანჭველებს შორის უხსოვარი დროიდან დაწყებული ომისათვის... თუმცა ამარანტა ურსულას თმა გაეზარდა და მოუვლელობით გაეჩეჩა კიდეც, სახეზეც მუქი ლაქები დაასხდა და ფეხებიც შეუშუპდა, ტანის მოყვანილობაც შეეცვალა და ისე ახალგაზრდულად აღარ გამოიყურებოდა, როგორც მაშინ იყო, მაკონდოში რომ დაბრუნდა ყელში საბელგამობმულ ქმართან და თუთიყუშებთან ერთად, — სული მაინც იგივე შერჩენოდა. „ეშმაკმა დალახვროს, — იცინოდა იგი, — ვინ იფიქრებდა, რომ ბოლოს მართლა კაციჭამიებივით მოგვიწევდა ცხოვრება!" გარე სამყაროსთან დამაკავშირებელი ბოლო ძაფი ორსულობის მეექვსე თვეზე გაწყდა: ერთ დღეს წერილი მიიღეს, მაგრამ მწიგნობარი კატალონელისა არ იყო ეს წერილი: ბარსელონადან გამოეგზავნათ, კონვერტზე ისე გარკვევით დაეწერათ მის მართი ლურჯი მელნით, როგორც ოფიციალურ უწყებებზეა ხოლმე, მტრის მოტანილი საჩუქარივით უწყინარი და უაზრო იყო ეს წერილი. ამარანტა ურსულას ის იყო უნდა გაეხსნა კონვერტი, რომ აურელიანომ გამოსტაცა ხელიდან.

— არ წავიკითხავ, — თქვა მან. — არ მინდა ვიცოდე, რაც აქ წერია.

აურელიანოს წინათგრძნობა გამართლდა: კატალონელმა შეწყვიტა წერილების წერა. ვიღაც უცხოთა წერილი კი წაუკითხავად დააგდეს იმ თაროზე, რომელზეც ფერნანდამ საქორწილო ბეჭედი რომ დადო და მერე დაავიწყდა. იდო წერილი ჩრჩილების ლუკმად და ნელ-ნელა იხრუკებოდა იმ ცუდი ამბების ცეცხლზე, თვითონვე რომ იუწყებოდა. ამასობაში კი ქვეყნიერების განდგომი-

ლი საყვარლები დროის საწინააღმდეგოდ მიცურავდნენ, დროს კი მოჰქონდა სიცოცხლის დასასრული. ვერაგი და დაუნდობელი დრო-ჟამი ამაოდ ცდილობდა გულაცრუებისა და მივიწყების უდაბნოში წარეტანა ქალი და კაცი, თითქოს გუმანით გრძნობდნენ ამ საფრთხესო, ბოლო თვეები არ მოშორებიან ერთმანეთს, ხელიხელჩაკიდებულნი ერთგული სიყვარულით ელოდნენ შვილს, რომელიც ვნებიანი გახელების ჟამს ჩაისახა. ღამით ჩახვეულებს [illegible] ეშინოდათ მთვარის შუქზე აფუთფუთებული ტერმიტებისა, არც ჩრჩილის შრიალისა და არც გვერდით ოთახებში ამოსული შამბისა, გამუდმებული სტვენასტვენით რომ იყრიდა ტანს. რამდენჯერმე გამოუღვიძიათ მიცვალებულთა ქოთქოთზე. ხან ურსულა ილეწოდა ბუენდიათა გვარის განსამტკიცებლად, ხან ხოსე არკადიო ბუენდია ეძებდა უდიდეს აღმოჩენათა უნაყოფო ჭეშმარიტებას, ფერნანდა ლოცვაში ათენ-აღამებდა, ომებითა და ოქროს თევზებით გაწამებული პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია ნადირივით ცხოვრობდა. აგერ კიდევ მხიარული დროსტარების დროს მარტოობისაგან მოკვდა აურელიანო მეორეც. ამარანტა ურსულა და აურელიანო მიხვდნენ, აკვიატებული იდეები და ჩვევები სიკვდილს სჯაბნიდნენ და ამ აღმოჩენით გახარებულებმა თავი ბედნიერად იგრძნეს: მაშასადამე, ჩვენც გვეყვარება ერთმანეთი, როდესაც მოჩვენებებად გადავიქცევით და უფრო მერეც, როდესაც მომავალი, სულ სხვა სახეობის სულიერი არსებანი მწერებს შეებრძოლებიან და იმ უბადრუკ სამოთხეს დაიბრუნებენ, აი ახლა სულ ცოტა ხანში რომ წაგლეჯენ ადამიანებს ხელიდანო.

ერთ კვირა დღეს, საღამოს ექვს საათზე, ამარანტა ურსულას სამშობიარო შეტევები დაეწყო. ბებია ქალად მოიყვანეს იმ საროსკიპოს პატრონი, სადაც ქალები ლუკმაპურისთვის კახპობდნენ. მომღიმარე დედაბერმა აკვნესებული ამარანტა ურსულა სასადილო მაგიდაზე დააწვინა, მერე მუცელზე დააჯდა და იქამდე იხტუნავა, ვიდრე მშობიარის გულგამგმირავი ყვირილი არ შეცვალა ახალშობილის ღნავილმა. ამარანატა ურსულას სიმწრის ცრემლით ავსებოდა თვალები, მაგრამ მაინც შეამჩნია, ჩვილი ნამდვილი ბუენდია იყო — ხოსე არკადიოებს დამსგავსებოდა დიდი, ჩაჯიჯგვული და თავისნება; აურელიანოებისა კი ნათელმხილველის თვალები გამოჰყოლოდა. სწორედ ამ ჩვილს უნდა განეახლებინა ბუენდიათა გვარი, სწორედ მას უნდა განეკურნა იგი დამღუპველი სენისაგან — მარტოობისაკენ სწრაფვისაგან. რადგან ბუენდიათა გვარში ასი წლის მანძილზე შობილთა შორის მხოლოდ ეს ბავშვი იყო სიყვარულით ჩასახული — მხოლოდ ის იყო ნაყოფი სიყვარულისა.

— ნამდვილი კაციჭამიაა, — თქვა ამარანტა ურსულამ. — როდრიგო დავარქვათ.

— არა, — უპასუხა ქმარმა. — დავარქმევთ აურელიანოს და იგი მოიგებს ოცდათორმეტ ომს.

ბებიაქალმა ბავშვს ჭიპლარი მოჭრა და მოლურჯო გარსი მობანა ტანზე; აურელიანო ლამპით უნათებდა. ჩვილი მუცელზე რომ დააწვინეს, უცებ რაღაც უჩვეულო და უცნაური შეამჩნიეს, დაიხარნენ და დაინახეს ღორის კუდი.

ამარანტა ურსულა და აურელიანო სულაც არ შეშფოთებულან, მათ ხომ არაფერი იცოდნენ ბუენდიათა გვარის ამ ავბედით ნიშანზე. ისინი ხომ არც ურსულას მოსწრებიან! მხოლოდ ურსულა იყო ერთადერთი ადამიანი, ვისაც შეეძლო ახალგაზრდებისთვის თავიდან აეცილებინა ეს საფრთხე! ბებიაქალიც არ შეშფოთებულა, ბიჭი სარძევე კბილებს რომ მოიცვლის, ეს კუდიც მაშინ

მოაჭერითო, დაარიგა მშობლები. მერე კი ამაზე ფიქრის დროც აღარ იყო, ამარანტა ურსულას სისხლის დენა დაეწყო. ნაკადულივით მოსჩქეფდა და ვერაფრით ვერ უჩერებდნენ. რაღა არ გააკეთეს, აბლაბუდა და ნაცარიც მიადეს, მაგრამ ამაოდ. პირველ ხანებში ამარანტა ურსულა ცდილობდა მხნედ სჭეროდა თავი, აურელიანოსათვის ხელი ჩაეჭიდა და [illegible]ებოდა. ნუ ღელავ, ჩემისთანები მხოლოდ მაშინ კვდებიან, როცა [illegible]ურვებენო. ბებიაქალის ფუსფუსზეც სიცილს ვერ იკავებდა. მაგრამ აურელიანოს მისი გადარჩენის იმედი აღარ ჰქონდა; ამარანტა ურსულას თითქოს შუქი ეცლებაო, ნელ-ნელა ქრებოდა, ბოლოს კი ღრმა ძილში ჩაიძირა.

ორშაბათ დილას ვიღაც ქალი მოიყვანეს, საწოლთან ფეხი მოართხა და სისხლის შემაჩერებელ შელოცვას მოჰყვა. მისი თქმით ეს შელოცვა უებარი წამალი იყო კაცისთვისაც და ცხოველისთვისაც, მაგრამ ამ ეშმაკისეულ ლოცვას სიყვარულისა არაფერი გაეგებოდა და ამარანტა ურსულას ალისფერი სისხლის დენისაც ვერაფერს უშველიდა. საღამო ხანს იგი მოკვდა. სისხლის ნაკადი თვითონ დაიწრიტა, მიცვალებულს პროფილი წაუმახვილდა, ტანჯულმა იერი გაუქრა და ღიმილი დააკვდა პირზე.

მხოლოდ მაშინ იგრძნო აურელიანომ, რა ძლიერ ჰყვარებია თავისი მეგობრები. როგორ უნდოდა, ახლა მის გვერდით ყოფილიყვნენ; ო, რას არ გაიღებდა ახლა ამ ბედნიერებისათვის! ჩვილი დედისავე წინასწარ გაწყობილ კალათში ჩააწვინა, მიცვალებულს ზეწარი გადააფარა და უკაცრიელ ქალაქში გავიდა იმ ბილიკის საძებრად, წარსულში რომ მიიყვანდა. აფთიაქს მიადგა. კარგა ხანია აქ არ ყოფილა, კარზე დააკაკუნა. როგორ გაოცდა, როცა კარი ვიღაც დედაბერმა გაუღო, ლამპა მიანათა და თანაგრძნობით აუხსნა, ეს სადურგლოა, აფთიაქი აქ არასოდეს ყოფილა, არც ლამაზყელიანი და თვალებმინაბული მერსედესი ვიცი ვინ არისო. აურელიანო იქაურობას გაეცალა, მერე მწიგნობარი კატალონელის ფარდულს მიადგა, კედელს შუბლით მიეყრდნო და მწარედ ატირდა. ტიროდა აურელიანო და გრძნობდა, დაგვიანებულ ხარკს უხდიდა იმ სიკვდილს, რომელიც დროზე არ გამოიტირა, მხოლოდ იმიტომ, რომ სიყვარულის ხიბლი არ სურდა გამქრალიყო. მერე იმდენი უბრახუნა მუშტი „ოქროს ბიჭუნას" კედლებს, ვიდრე არ დაუსკდა. პილარ ტერნერას უხმობდა და ყურადღებას არ აქცევდა ნარინჯისფერი დისკოების ელვას, ცას რომ სერავდნენ წამდაუწუმ. არადა, ღამეული დროსტარების ჟამს ბავშვური ცნობისწადილით შეპყრობილს რამდენჯერ უდევნებია თვალი ეზოდან ამ დისკოებისთვის! მიყრუებულ უბანში, რაღაც სასწაულად გადარჩენილ ერთ საროსკიპოში აკორდეონზე უკრავდნენ ეპისკოპოსის ძმისშვილისა და ფრანსისკო-ადამიანის საიდუმლოებათა მემკვიდრის რაფაელ ესკალონას სიმღერებს. საროსკიპოს პატრონს ცალი ხელი გამხმარი და შერუჯული ჰქონდა. მან ხომ საკუთარ დედაზე აღმართა ეს ხელი! პატრონმა არაყი შესთავაზა აურელიანოს. ერთი ბოთლი რომ დაცალეს, მეორეზე ახლა აურელიანომ დაპატიჟა მასპინძელი. ერთმანეთს გული გადაუშალეს. მასპინძელმა თავისი უსიცოცხლო ხელის ამბავი გაანდო აურელიანოს. აურელიანომაც გაუზიარა თავისი უბედურება: შენ ხელი გაქვს გამხმარი და დახრუკული, მე კი გული, რადგან გავბედე და საკუთარი და შევიყვარე სწორედ ამ გულითო. ბოლოს ორივენი აზლუქუნდნენ და აურელიანომ ცოტაოდენი შვება იგრძნო, მკერდში ჩაკირული ტკივილი ოდნავ გაუყუჩდა. მაგრამ მალე იგი კვლავ მარტო დარჩა საკუთარ ნაღველთან, მაკონდოსთვის

უკანასკნელი დილა თენდებოდა და სწორედ ამ დილის რიჟრაჟში გახვეული აურელიანო შუა მოედანზე დადგა, ხელები გაშალა და თითქოს სურდა მთელი ქვეყნიერებისთვის მიეწვდინა ხმა, გულის სიღრმიდან ამოიძახა:

— მეგობრები კახპის შვილები არიან ყველანი!

„ჯადოქარმა“ ამოათრია იგი ცრემლისა და ნარწყევის გუბეებიდან, შინ მიიყვანა, დაბანა და ქათმის წვნიანი დაალევინა. მერე — იქნებ ამან მაინც დაამშვიდოსო — ნახშირით გადამალა კედელზე ამოკაწრული სიყვარულის დღეები, რომლის ვალი ჯერაც ემართა აურელიანოს. მარტოობაში გამოკეტილ და ატირებულ კაცს თავი მიუსაფრად რომ არ ეგრძნო, „ჯადოქარი“ განგებ აწუწუნდა საკუთარ მწარე ბედზე. გამთენიისას, ხანმოკლე და ღრმა ძილის მერე აურელიანო თავის ტკივილმა გამოაღვიძა, სწრაფად მოეგო გონს და მაშინვე ბავშვი გაახსენდა.

კალათში ბავშვი აღარ დახვდა. აურელიანოს ჯერ გაეხარდა, ნამდვილად ამარანტა ურსულამ გაეღვიძა სიკვდილის ძილისგან, ბავშვისათვის რომ მიეხედაო, მაგრამ ამარანტა ურსულა ზეწარქვეშ იწვა გაქვავებული. აურელიანოს უცებ გაახსენდა, შინ დაბრუნებისას საძინებელი ოთახის კარი ღია დახვდა. მაშინვე შუშაბანდისკენ გასწია, სადაც თავშავას სურნელით გაჟღენთილიყო ჰაერი. სასადილო ოთახში კი არაფერი შეცვლილიყო წუხანდელს მერე: დიდი ქვაბი და ნაცრით სავსე ქოთანი ისევ იქ იდგა ,იატაკზე გასისხლიანებული ზეწრები ეყარა, ახალშობილის დაგრეხილი ჭიპლარი მაგიდაზე გადაფარებულ თეთრ ტილოზე ეგდო მაკრატელთან და თასმასთან ერთად. აურელიანოს უცებ მოაფიქრდა, იქნებ სულაც ბებიაქალი მოვიდა ღამით და იმან წაიყვანა ბავშვიო. ამის გაფიქრებაზე ცოტა მოითქვა სული და აზრის მოსაკრებად იმ სავარძელში ჩაეშვა, ოდესღაც რებეკა რომ იჯდა და ქარგვას ასწავლიდა ქალიშვილებს, მერე კი ამარანტა ურსულამ დაისაკუთრა, იჯდა და კერავდა და კერავდა ბავშვების პერანგებს. გონების ამ უეცარი გამონათებისას აურელიანო მიხვდა, მისი სული ვერ გაუძლებდა ამ უზარმაზარი წარსულის უმძიმეს ტვირთს. საკუთარი და სხვისი ნაღველით დაისრული და სასიკვდილოდ დაჭრილი, გაკვირვებული შესცქეროდა ვარდის უსიცოცხლო ბუჩქებზე თავხედურად მოდებულ აბლაბუდას, ჯიუტად თავამოყოფილ სარეველას, თებერვლის მუქიანი დილის მშვიდ ჰაერს. უცებ ბავშვი დაინახა — გეგონებოდა, რაც ქვეყანაზე ჭიანჭველაა, ყველას აქ მოუყრია თავიო, მისეოდნენ დაჭმუჭნილ, გამხმარ ტყავს და ბაღის მოხვინჭულ ბილიკზე დიდი სიბეჯითით მიათრევდნენ თავიანთი ბუდისაკენ. აურელიანო გაქვავდა. ამ საზარელ სურათს არ გაუქვავებია იგი ერთ ადგილზე, არც გაკვირვებია რამე, უბრალოდ, ამ ზებუნებრივ წამს მელკიადესის შიფრის ამოსახსნელ გასაღებს მიაგნო და დაინახა კიდეც პერგამენტებზე წამძღვარებული ეპიგრაფი, რომელიც სრულად ესადაგებოდა ადამიანთა სამყაროს დროსა და სივრცეს: „გვარში პირველს ხეზე მიაბამენ, გვარში უკანასკნელს ჭიანჭველები შეჭამენ“.

ასე გონივრულად არასოდეს მოქცეულა აურელიანო: დაივიწყა თავისი მიცვალებული, გულიდან გადაიგდო დარდი თავის მიცვალებულებზე და ფერნანდას ხის ჯვრებით ჩაგმანა კარ-ფანჯრები, რათა არავითარ მიწიერ ხიბლს არ შეეშალა მისთვის ხელი. აურელიანომ დარწმუნებით იცოდა უკვე, რომ მელკიადესის პერგამენტებში მის ბედზეც ეწერა ყველაფერი. ყოველი სულიერის კვალისწამშლელ უძველეს მცენარეებში, გუბეებიდან ანაორთქლ კვამლსა და

მანათობელ მწერებში სასწრაფოდ ამოქექა როგორღაც უვნებლად შემონახული პერგამენტები. ველარ ითმენდა, ერთი სული ჰქონდა, როდის ამოიკითხავდა და იმის ნაცვლად რომ პერგამენტები სინათლეზე გაეტანა, იქვე ფეხზე მდგომი მოჰყვა ხმამაღალ კითხვას. ისე ადვილად და სხაპასხუპით კითხულობდა, თითქოს ესპანურ ენაზე ყოფილიყოს დაწერილი და იქაურობაც თვალის დამაბრმავებელი შუქით განათებული. ეს იყო ბუენდიების ოჯახის ამბავი მელკიადესის მიერ წვრილად აღწერილი და ასი წლით ადრე ნაწინასწარმეტყველები. ბოშა სანსკრიტზე, თავის მშობლიურ ენაზე წერდა, წყვილი ლექსები დაშიფრული ჰქონდა იმპერატორ ავგუსტუსისეული შიფრით, კენტი ლექსები კი ლაკედემონთა სამხედრო შიფრით. იმ ხანებში, როდესაც ამარანტა ურსულას სიყვარულით აიმღვრია გონება, აურელიანოსთვის ნელ-ნელა გასაგები ხდებოდა მელკიადესის ბოლო სიფრთხილე. მოხუცს ამბავი ადამიანთათვის ჩვეული თანმიმდევრული წესითა და რიგით კი არ ჰქონდა დალაგებული, არამედ მთელი საუკუნის მანძილზე მომხდარი ყოველდღიური წვრილმანებისთვის ისე მოეყარა თავი, ისე შეეკრა, რომ გეგონებოდა, ერთ წამში, მხოლოდ ერთ წამში მოხდაო ეს ყველაფერი. თავისი აღმოჩენით მონუსხულმა აურელიანომ ხმამაღლა წაიკითხა სწორედ ის „გამღერებული ენციკლიკები“, რომლებსაც მელკიადესი ამაოდ რომ ცდილობდა გაეგებინებინა არკადიოსთვის — სინამდვილეში კი იყო მოხუცი ბოშას ნაწინასწარმეტყველები ამბავი არკადიოს დახვრეტისა. მერე აურელიანომ ამოიკითხა მთელს ქვეყანაზე ულამაზესი ქალის დაბადებისა და მისი სულითა და ხორცით ზეცად ამაღლების ამბავი — ასევე წინასწარგანჭვრეტილი მელკიადესის მიერ. აურელიანომ მამის სიკვდილის მერე დაბადებული ტყუპი ძმების ამბავიც გაიგო. ძმებს ვერ ამოეკითხავთ პერგამენტები მარტო იმიტომ კი არა, რომ ნიჭი და ნებისყოფა არ ეყოთ, არამედ იმიტომაც, რომ ნაადრევად მოჰკიდეს ხელი ამ საქმეს. თავისი წარმომავლობის გაგების სურვილით შეპყრობილმა აურელიანომ რამდენიმე გვერდი გამოტოვა. ამასობაში ქარმა წამოუბერა, ჯერ სუსტად დაჰქროლა, როგორც იცის ხოლმე დასაწყისში და ჰაერი აავსო წარსულის ხმებით — ბებერი ბაბუაწვერების ჩურჩულითა და მძიმე ამოოხვრით, რაიც თან ახლავს ხოლმე ჯიუტად შემოწოლილ ნაღველს. აურელიანომ ვერც კი გაიგო, როდის ამოვარდა ქარი, რადგან სწორედ ამ წუთში წააწყდა საკუთარი წარმომავლობის ფესვებს: იცნო თავისი პოხონდრია მამა და ფეხდაფეხ მიჰყვა მირაჟების ულაბნოში იმ მზეთუნახავი ქალის საპოვნელად წასულს, ვისაც ბედნიერება ვერ არგუნა წილად. აურელიანო მიჰყვა თავისი წარმოშობის საიდუმლო ბილიკებს და იმ ადგილს მიადგა, როდესაც ის ჩაისახა მორიელებითა და პეპლებით სავსე ნახევრად ბნელ საბანაოში, სადაც ვიღაც ხელოსანი ვნებიან სურვილს იკმაყოფილებდა იმ ქალთან, მხოლოდ პროტესტის ნიშნად რომ დანებდა. აურელიანო ისე გაიტაცა კითხვამ, რომ ვერც კი გაიგო, რა ძლიერ დაჰქროლა ქარმა მეორედ — ქარმა ციკლონივით გადაუარა იქაურობას, კარ-ფანჯრები მოგლიჯა, შუშაბანდის აღმოსავლეთ ნაწილის სახურავი გადახადა და სახლის საძირკველი შეაზანზარა, ამასობაში აურელიანომ გაიგო, რომ ამარანტა ურსულა და კი არა, დეიდად ერგებოდა თურმე, ფრენსის დრეიკიც რიოაჩას თავს დაესხმია მხოლოდ იმიტომ, რომ აიმღვრეული სისხლის ლაბირინთებში მათ იქამდე ეძებნათ ერთმანეთი, ვიდრე ქვეყანას არ მოევლინებოდა ის საზარელი მითოლოგიური არსება, რომელიც წერტილს დაუსვამდა მათ მოდგმას. მაკონდო იქცა

მტვრისა და ნაგვის მორევად, რომელიც ბიბლიური ქარიშხალივით ამძვინვარებდა და ტრიალებდა. აურელიანომ კიდევ გამოტოვა თერთმეტი გვერდი, არ უნდოდა ტყუილად დაეკარგა დრო, ისედაც კარგად იცოდა, რაც ამ გვერდებზე ეწერა. ლექსების ამოკითხვა იმ ადგილიდან განაგრძო, სადაც უკვე იმდღევანდელი ამბები იყო აღწერილი და თანაც ისე ზუსტად, თითქოს სარკეში უყურებსო თავის ორეულს. კვლავ გამოტოვა რამდენიმე გვერდი, ახლა [illegible] სწრაფვით სურდა გაეგო, როდის და როგორ მოკვდებოდა. ლექსი ბოლომდე არც კი ჰქონდა ჩაკითხული, რომ მისთვის უკვე ცხადზე უცხადესი გახდა: ამ ოთახიდან ვერასოდეს გავიდოდა, რადგან პერგამენტების წინასწარმეტყველების მიხედვით გრიგალი პირისაგან მიწისა აღგვის გამჭვირვალე (თუ მოჩვენებით) ქალაქს და ადამიანთა მეხსიერებაშიც წაშლის სწორედ იმ წამს, როდესაც აურელიანო ბაბილონია პერგამენტების ამოკითხვას დაამთავრებს, და რომ იქ აღწერილი ამბავი მეტად აღარასოდეს განმეორდება, რამეთუ იმ კაცთა მოდგმა, რომელიც განწირულია ასი წლის მარტოობისათვის, მეორედ აღარ მოვა ამქვეყნად.

□